გაეროს განვითარების პროგრამისა და საქართველოს მთავრობის პროექტი
"საქართველოს საფინანსო სისტემის მოდერნიზება: მეორე ფაზა"



სამაგიდო წიგნი

ნორმატიული აქტების კრებული ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საჯარო მოხელეთათვის

ნაწილი I

საჯარო მოსამსახურის ბიბლიოთეკის
სერია "მოხელე და კანონმდებლობა"

წინამდებარე სამაგიდო წიგნის მესამე გამოცემა მოამზადა და გამოსცა გაეროს განვითარების პროგრამის პროექტმა
"საქართველოს საფინანსო სისტემის მოდერნიზება: მეორე ფაზა"
UNDP/GEO/00041630
UNDP/GEO/00048350

სერიის მომზადების სხვადასხვა სტადიაზე მონაწილეობდა
ავტორთა კოლექტივი - გაეროს განვითარების პროგრამის ექსპერტები:
პროფესორი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი კახა დემეტრაშვილი,
პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ვაჟა გურგენიძე,
მანანა სალუქვაძე, ნოდარ ნაფეტვარიძე, დავით გოგიჩაიშვილი,
ზაზა ჩაგანავა, მიხეილ გვარჯალაძე, დავით ჯაიანი,
ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი ნოდარ ხადური

თბილისი, 0179, თაქთაქიშვილის ქ. 11, ოფისი 2
გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის ოფისი
ტელ.: 253166, 253167, 253203
E-mail: ncteam@cims.ge
Internet: www.undp.org.ge; www.mof.ge; www.cims.ge
© 2007 წლის ივლისი

ᲤᲘᲜᲐᲡᲘᲢᲧᲕᲐᲝᲑᲐ

"საჯარო მოსამსახურის ბიბლიოთეკის" სერია გამოდის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამის (UNDP) მიერ დემოკრატიული მმართველობის, სახელმწიფო მართვის, მენეჯმენტისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების სფეროში საქართველოს პარლამენტის, მთავრობისა და ხელისუფლების სხვა დაწესებულებებისთვის განხორციელებული პროექტების ეგიდით. ასეთი ბროშურების გამოცემის ინიციატორი და განმახორციელებელია ეროვნულ ექსპერტ-კონსულტანტთა ჯგუფი (UNDP Georgia - NCTeam), რომელმაც, ამ პუბლიკაციათა შორის, 1998-2006 წლებში მოამზადა და გამოსცა:

- **ინფორმაციისა და მართვის სისტემა. პრაქტიკული სახელმძღვანელო (სამი გამოცემა)**
- **სახელმწიფო მართვის სრულყოფის საკითხები: მეთოდოლოგიური მიდგომები და რეკომენდაციები. მეთოდური სახელმძღვანელო (ორი გამოცემა)**
- **პერსონალის მართვა: მეთოდოლოგიური მიდგომები და პრაქტიკული რეკომენდაციები**
- **პერსონალის მართვა. მეთოდურ-პრაქტიკული სახელმძღვანელო**
- **მოხელის სამაგიდო ლექსიკონი**
- **თანამედროვე ფინანსური ლექსიკონი (ორი გამოცემა)**

"საჯარო მოსამსახურის ბიბლიოთეკის" სერიით "რჩევები მოხელეთათვის" გამოიცა ქვემოთ ჩამოთვლილი ბროშურები მენეჯმენტის, ახალი ტექნოლოგიების, პერსონალის მართვისა და ადამიანებთან ურთიერთობის ხელოვნების შემდეგ აქტუალურ საკითხზე:

- **თანამშრომელთა მართვა**
- **საუბრის წარმართვა**
- **ლიდერობის მიღწევა**
- **საჯარო გამოსვლების მომზადება და ჩატარება**
- **საქმიანი ეტიკეტი**
- **საქმიანი მიმოწერა**
- **დროის მართვა**
- **თვითმენეჯმენტი**
- **ინტერნეტი დამწყებთათვის**
- **ინტერნეტის პრაქტიკული გამოყენება**
- **კონფლიქტების მართვა**
- **საქმისწარმოება საჯარო დაწესებულებებში**

*"საჯარო მოსამსახურის ბიბლიოთეკის"*ახალი *სერიით "დამხმარე სახელმძღვანელო მოხელეთათვის"*, 2005-2006 წლის განმავლობაში გამოიცა შემდეგი მეთოდური და პრაქტიკული სახელმძღვანელოები, ლექციათა კურსები და ბროშურები:

- **პერსონალური კომპიუტერი დამწყებთათვის**
- **საზოგადოებასთან ურთიერთობა**

- მენეჯმენტი
- ელექტრონული მთავრობა
- საქმისწარმოება საჯარო დაწესებულებებში
- საერთაშორისო სამართალი
- ევროინტეგრაცია და საქართველო
- მოქალაქეებთან კომუნიკაციის პრინციპები
- საქმისწარმოება. საუწყებო არქივი
- ფინანსური აღრიცხვის საფუძვლები. საერთაშორისო სტანდარტები
- ფინანსთა სამინისტროს საკონკურსო საატესტაციო კომისია: ტესტები
- აღრიცხვა და გადასახადები
- ფინანსური კონტროლის საფუძვლები
- საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის კონტროლი საჯარო სექტორში
- ფინანსური მენეჯმენტი
- ეფექტიანობის აუდიტის დანერგვის პრობლემები საქართველოში
- ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი
- პარლამენტი და პროტოკოლი

  და სხვ.

2004-2006 წლებში დაიწყო ახალ გამოცემათა სერიის მომზადება და დაბეჭდვა – ***"საჯარო მოსამსახურის ბიბლიოთეკის" სერია "მოხელე და კანონმდებლობა"***; ეს, სამაგიდო წიგნის ფორმატის, კრებულები სპეციალიზებულია შემდეგი სახელმწიფო სტრუქტურების რეალურ და პრაგმატულ მოთხოვნათა შესაბამისად: საქართველოს პარლამენტი, კონტროლის პალატა, ფინანსთა სამინისტრო, იუსტიციის სამინისტრო, ეკონომიკური განვითარების სამინისტრო და ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოები; ეს კრებულებია:

- საქართველოს საგადასახადო კოდექსი
- ბიუჯეტის შემოსულობების აღრიცხვა (ორი გამოცემა)
- ნავთობპროდუქტების მიწოდების აღრიცხვის და დაბეგვრის კონტროლის ღონისძიებები
- ნორმატიული აქტების კრებული საწარმოთა სახელმწიფო რეგისტრაცია და სამეწარმეო რეესტრის წარმოება
- ინსტრუქცია საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ვალდებულების აღებისა და ხარჯების გაწევის წესის შესახებ
- ინსტრუქცია საბიუჯეტო ორგანიზაციებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების ბურალტრული აღრიცხვის შესახებ
- ინსტრუქცია სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ ვალდებულების აღებისა და ხარჯების გაწევის წესის შესახებ
- ინსტრუქცია ქუთაისის მერიის აპარატისა და ადგილობრივი სამსახურების საქმისწარმოების შესახებ
- საქართველოს კანონი სტატისტიკის შესახებ
- ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი
- საქართველოს კანონმდებლობის პასუხი გამგებლის 100 შეკითხვაზე

- სახელმწიფო ფინანსური კონტროლი
- საკანონმდებლო პროცესი
- საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი (სამი გამოცემა)
- საქართველოს კანონთა ნუსხა
- საქართველოს კონსტიტუცია. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია. საქართველოს კონსტიტუციური კანონი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ
- განმარტებითი ლექსიკონი საჯარო მოსამსახურეთათვის
- საკანონმდებლო, ნორმატიული აქტების, განმარტებების და მეთოდური მასალების კრებული
- სამაგიდო წიგნი-კრებული:
  - ნორმატიული აქტების კრებული პარლამენტის წევრთა და აპარატის მოხელეთათვის (სამი გამოცემა)
  - ნორმატიული აქტების კრებული სამოქალაქო რეესტრის მოხელეთათვის
  - ნორმატიული აქტების კრებული ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოთა მოხელეთათვის (ორი გამოცემა)
  - ნორმატიული აქტების კრებული კონტროლის პალატის მოხელეთათვის (სამი გამოცემა)
  - ნორმატიული აქტების კრებული ფინანსთა სამინისტროს სისტემის მოხელეთათვის: ნაწილი I (ორი გამოცემა)
  - ნორმატიული აქტების კრებული ფინანსთა სამინისტროს სისტემის მოხელეთათვის: ნაწილი II (ორი გამოცემა)
  - საგადასახადო კანონმდებლობის ნორმატიული აქტების კრებული (ორი გამოცემა)
  - საქართველოს საგადასახადო კოდექსი. საქართველოს საბაჟო კოდექსი. საქართველოს კანონი საბაჟო ტარიფის შესახებ
  - კოდექსთა კრებული: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი

"მოხელე და კანონმდებლობის" სერიის უკვე მესამე, წინამდებარე კრებული, რომელშიც ადგილი ეთმობა საბაჟო კანონმდებლობას და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მარეგლამენტირებელ აქტებს. უპირველესად, შემოსავლების სამსახურის საჯარო მოხელეთათვის არის განკუთვნილი; იგი მოიცავს სხვადასხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს.

ეს კრებული, ბუნებრივია, სათანადო დახმარებას გაუწევს ხელისუფლების დანარჩენი შტოების, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლებსა და ნებისმიერ მოქალაქეს, რომელსაც მეტნაკლები ინტერესი ან შეხება აქვს ამ სფეროსთან.

გაეროს განვითარების პროგრამის ეროვნულ ექსპერტ-კონსულტანტთა გუნდს განზრახული აქვს მომავალშიც გააგრძელოს ანალოგიური (მეთოდოლოგიური, მეთოდური, დიდაქტიკური, სახელმძღვანელო, პრაქტიკული, საინსტრუქციო, საცნობარო, ლექსიკოგრაფიული და სხვა სახის) პუბლიკაციები როგორც სახელმწიფო (დემოკრატიული) მმართველობის, ისე ზოგადად, მართვის აქტუალურ საკითხებზე.

შ ი ნ ა ა რ ს ი

საქართველოს კანონი
საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის შესახებ 11

საქართველოს კანონი
ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ 21

საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის დადგენილება N39
საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ 32

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 2 მარტის ბრძანება N170
საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცებისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის, საგადასახადო დეპარტამენტისა და საბაჟო დეპარტამენტის რეორგანიზაციის შესახებ 51

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 2 მარტის ბრძანება N167
საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის რეგიონალური საბაჟო ორგანოების ტიპური დებულების დამტკიცების თაობაზე 66

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 13 აპრილის ბრძანება N343
საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის დებულების დამტკიცების თაობაზე 75

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 13 აპრილის ბრძანება N344
საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის სპეციალური დანიშნულების რაზმის დებულების დამტკიცების თაობაზე 80

საქართველოს კანონი
საქართველოს საბაჟო კოდექსი 84

საქართველოს კანონი
საბაჟო მოსაკრებლების შესახებ 176

კონტეინერებთან დაკავშირებული საბაჟო კონვენცია 178

თავისუფალი ტრანზიტის კონვენცია და სტატუტი 203

საქართველოს მთავრობის 2006 წლის 20 დეკემბრის დადგენილება N240
საბაჟო საწყობის ტექნიკური და უსაფრთხოების მოთხოვნების განსაზღვრისა და შესაბამისი ნებართვების გაცემის წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე 208

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 20 დეკემბრის ბრძანება №1767
გარანტიის წარდგენისა და გამოყენების, მისი წარდგენისაგან გათავისუფლების შემთხვევების და საბარანტიო თანხის განსაზღვრის წესების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე 225

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 20 დეკემბრის ბრძანება №1768
საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის სისწორის კონტროლის წესების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე 236

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 20 დეკემბრის ბრძანება №1773
სასაზღვრო საბაჟო ორგანომდე ან სხვა ადგილამდე საქონლის მიტანის წესის, ვადების, საბაჟო მარშრუტის, წარდგენის წესის და ზოგადი დეკლარირების ფორმების განსაზღვრის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე 243

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 20 დეკემბრის ბრძანება №1771
საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქართველოს მთავრობის დადგენილებით განუსაზღვრელ სხვა ადგილებში ან სასაზღვრო საბაჟო ორგანოს არასამუშაო დროს საქონლის შემოტანის წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე 249

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 20 დეკემბრის ბრძანება №1764
საბაჟო კონტროლის ქვეშ მყოფი საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობის შევსების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე 251

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 20 დეკემბრის ბრძანება №1772
საბაჟო გადაწყვეტილების მიღების ვადების განსაზღვრის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე 268

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 20 დეკემბრის ბრძანება №1766
საბაჟო კონტროლის ზონის შექმნის წესისა და საბაჟო კონტროლის ზონის ადგილების განსაზღვრის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე 269

საქართველოს მთავრობის 2006 წლის 22 დეკემბრის დადგენილება N242
სასაზღვრო საბაჟო ორგანოს გახსნის, სამუშაო დროისა და მისი გავლით შემოსატანი საქონლის სახეობების განსაზღვრის შესახებ 276

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 20 დეკემბრის ბრძანება №1774
საავტომობილო მიმოსვლის სახმელეთო სასაზღვრო საბაჟო-გამშვებ პუნქტებზე საბაჟო პროცედურების განხორციელების წესების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე 276

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 20 დეკემბრის ბრძანება №1770
საქონლის ექსპორტის საბაჟო რეჟიმის გამოყენების წესების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე 297

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 20 დეკემბრის ბრძანება №1756
საქართველოს საბაჟო საზღვარზე მილსადენითა და ელექტროგადამცემი ხაზებით გადაადგილებული საქონლის საბაჟო პროცედურების განხორციელების წესების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე 304

საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს დადგენილება N134
საბაჟო სფეროში ლიცენზიისა და ნებართვის გამცემი ორგანოს განსაზღვრის შესახებ 310

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 20 დეკემბრის ბრძანება №1755
საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში საბაჟო სამართალდარღვევის საქმის წარმოების წესის თაობაზე ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ 311
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 20 დეკემბრის ბრძანება №1762
საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმის გამოყენების წესების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე 330
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 20 დეკემბრის ბრძანება №1763
საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმის გამოყენების წესების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე 340
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 20 დეკემბრის ბრძანება №1757
საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმის გამოყენების წესების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე 352
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 20 დეკემბრის ბრძანება №1753
სახელმწიფო საკუთრებაში საქონლის გადაცემის წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე .....
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 20 დეკემბრის ბრძანება №1758
საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მყოფი საქონლის განადგურების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე 370
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 20 დეკემბრის ბრძანება №1754
საქონლის რეექსპორტის გამოყენების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე 379
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 20 დეკემბრის ბრძანება №1760
საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების (იმპორტის) საბაჟო რეჟიმის გამოყენების წესების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე 387
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 20 დეკემბრის ბრძანება №1761
საქონლის ტრანზიტის საბაჟო რეჟიმის გამოყენების წესების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე 396
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 20 დეკემბერი ბრძანება. №1759
საქონლის დროებითი დასაწყობებისა და საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის საბაჟო რეჟიმის გამოყენების წესების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე 405
საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2006 წლის 20 დეკემბრის ერთობლივი ბრძანება №1778_1497
საბაჟო კონტროლის ზონაში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალისტების დაშვების და იმპორტის საბაჟო რეჟიმით შემოტანილი სატრანსპორტო საშუალებების დათვალიერების და მათი რეკვიზიტების შემოწმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე 439

საქართველოს კანონი
საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის შესახებ

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კანონის მიზანი

ეს კანონი განსაზღვრავს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის (შემდგომში – სამსახური) სამართლებრივ სტატუსს, უფლებამოსილებებს, საქმიანობის სამართლებრივ საფუძვლებს, ძირითად პრინციპებსა და მიმართულებებს, სამსახურის მოსამსახურეთა სამსახურში მიღებისა და სამსახურის გავლის წესის საფუძვლებს და მათი სოციალური დაცვის გარანტიებს.

მუხლი 2. სამსახურის საქმიანობის ძირითადი პრინციპები

სამსახურის საქმიანობა ემყარება კანონიერების, პიროვნების პატივისა და ღირსების დაცვის, სოციალური სამართლიანობის, ჰუმანიზმისა და საჯაროობის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემის ერთიანობისა და მისი ცენტრალიზებული მართვის პრინციპებს.

მუხლი 3. სამსახურის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები

სამსახურის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლებია საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა, საქართველოს კანონი „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ", ეს კანონი და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.

მუხლი 4. სამსახურის სამართლებრივი სტატუსი

სამსახური არის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება, რომლის ცალკეული სტრუქტურული ერთეულები ასრულებენ სამართალდამცავი ორგანოს ფუნქციებს.

მუხლი 5. სამსახურის საერთაშორისო ურთიერთობანი

საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან და შეთანხმებებიდან გამომდინარე, სამსახური საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამშრომლობს სხვა სახელმწიფოთა სათანადო ორგანოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

თავი II

სამსახურის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

მუხლი 6. სამსახურის ძირითადი ფუნქციები

სამსახურის ძირითადი ფუნქციებია:

ა) გადასახადის ან საბაჟო გადასახდელის გადამხდელისათვის მისი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ ინფორმაციის მიწოდება;

ბ) გადასახადის ან საბაჟო გადასახდელის გადამხდელისათვის საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის ცვლილებების შესახებ ინფორმაციის დროულად მიწოდება;

გ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გადასახადების, საბაჟო გადასახდელების, სხვა სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახდელების, აგრეთვე შესაბამისი მოსაკრებლების

ადმინისტრირება;

დ) გადასახადითა და საბაჟო გადასახდელით დაბეგვრის საკითხებზე კანონპროექტებისა და სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულებების პროექტების მომზადებაში მონაწილეობა;

ე) საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასა და საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საქონლის გატანასთან დაკავშირებული პროცედურების, საბაჟო ზედამხედველობისა და საბაჟო კონტროლის განხორციელება;

ვ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის დაცვასა და შესრულებაზე კონტროლის უზრუნველყოფა;

ზ) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემის საქმიანობის უსაფრთხოების და სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების პროცესში ამ ორგანოთა თანამშრომლების მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან დაცვის უზრუნველყოფა;

თ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა პრევენცია და გამოვლენა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსითა და სხვა ნორმატიული აქტებით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე;

ი) თავისი კომპეტენციის ფარგლებში დანაშაულის თავიდან აცილება, გამოვლენა, წინასწარი გამოძიება და წინასწარი გამოძიების სტადიაზე საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად სათანადო ექსპერტიზის ორგანიზება და ჩატარება ამ კანონითა და საქართველოს სხვა ნორმატიული აქტებით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე;

კ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ფუნქციების განხორციელება.

მუხლი 7. სამსახურის ვალდებულებები და უფლებამოსილებები

1. სამსახური ვალდებულია თავისი კომპეტენციის ფარგლებში და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით:

ა) დაიცვას გადამხდელთა უფლებები და სახელმწიფოს ინტერესები;

ბ) დაიცვას საგადასახადო, საბაჟო და მის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა სამართლებრივი აქტები, იმოქმედოს ამ კანონის, საგადასახადო, საბაჟო და მის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა სამართლებრივი აქტების მოთხოვნათა შესაბამისად;

გ) ჩაატაროს განმარტებითი მუშაობა საგადასახადო კანონმდებლობის გამოყენებასთან დაკავშირებით, გამოსცეს მეთოდური და ინსტრუქციული მითითებები, სახელმძღვანელოები და ბროშურები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გამოაქვეყნოს კონსულტაციები და განმარტებები;

დ) გააკონტროლოს გადასახადებისა და საბაჟო გადასახდელების გამოანგარიშების სისწორე, სისრულე და დროულად გადახდა, ჩაატაროს საგადასახადო შემოწმებები საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კოდექსებით დადგენილი წესით და ამ შემოწმებათა ჩატარებისას გააცნოს გადამხდელს მისი უფლებები და ვალდებულებები;

ე) დაიცვას გადამხდელის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის საიდუმლოება;

ვ) განიხილოს გადამხდელის წერილები, საჩივრები და შეკითხვები, მიაწოდოს მას ინფორმაცია მოქმედი გადასახადების/გადასახდელების, მათი გამოანგარიშებისა და გადახდის წესის შესახებ, აგრეთვე გადამხდელის უფლებებისა და ვალდებულებების თაობაზე;

ზ) უზრუნველყოს გადამხდელთა დროულად აღრიცხვა;

თ) შეასრულოს ამ კანონით, საგადასახადო, საბაჟო და მის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული ვალდებულებები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. სამსახური უფლებამოსილია:

ა) თავისი კომპეტენციის ფარგლებში განახორციელოს საგადასახადო, საბაჟო და მის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული

საქმიანობა;

ბ) მის კომპეტენციას მიკუთვნებული დანაშაულის, საგადასახადო და საბაჟო სამართალდარღვევის ან სხვა სამართალდარღვევის გამოელენის, შესწავლის, აღკვეთის ან წინასწარი გამოძიების მიზნით ისარგებლოს მოქალაქეთა ნებაყოფლობითი დახმარებით, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა, როდესაც დახმარება სავალდებულოა;

გ) მის კომპეტენციას მიკუთვნებული დანაშაულის, საგადასახადო და საბაჟო სამართალდარღვევის ან სხვა სამართალდარღვევის შესახებ საკმარისი მონაცემების არსებობისას გამოიყენოს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისი დებულებები და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 244-ე, 245-ე, 247-ე, 248-ე და 249-ე მუხლებით განსაზღვრული უზრუნველყოფის ზომები. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის დებულებების გამოყენების უფლება აქვთ ამ კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული სპეციალური უფლებამოსილებების მქონე მოსამსახურეებს, ხოლო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის დებულებების გამოყენებისა – საბაჟო და საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე უფლებამოსილ მოსამსახურეებს;

დ) თუ დაყოვნება საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს, დაუბრკოლებლად შეიჭრეს საცხოვრებელ ბინებში და მოქალაქეთა კუთვნილ სათავსებში, საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ტერიტორიაზე და შენობა-ნაგებობებში (დიპლომატიური წარმომადგენლობების, საკონსულოების და იმ საერთაშორისო ორგანიზაციების შენობა-ნაგებობათა გარდა, რომლებიც სარგებლობენ დიპლომატიური ხელშეუხებლობით) დანაშაულის აღსაკვეთად ან/და იმ პირის დასაკავებლად, რომელმაც ჩაიდინა დანაშაული ან ეჭვმიტანილია დანაშაულის ჩადენაში, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

3. სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებული დანაშაულის ან სამართალდარღვევის გამოელენისა და აღკვეთის მიზნით, სამსახურის უფროსის ბრძანებით, დასახლებულ პუნქტებში, საგზაო მაგისტრალებზე და ტერიტორიულ წყლებში შეიძლება მოეწყოს შემოწმების პროცედურები. ამ დროს სამსახურის უფლებამოსილ მოსამსახურეს უფლება აქვს გააჩეროს პირი და სატრანსპორტო საშუალება (გარდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული იმუნიტეტის მქონე პირებისა, დიპლომატიური, საკონსულო და მათთან გათანაბრებული წარმომადგენლობებისა), მოსთხოვოს მოქალაქეს პირადობის დამადასტურებელი საბუთი, სატრანსპორტო საშუალებისა და საქონლის თანმხლები საბუთები, მოახდინოს სატრანსპორტო საშუალების ვიზუალური დათვალიერება. შესაბამისი პირის და სატრანსპორტო საშუალების დაუმორჩილებლობის შემთხვევაში უფლებამოსილ მოსამსახურეს უფლება აქვს გამოიყენოს იძულებითი ღონისძიებები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ფუნქციების მქონე თანამდებობის პირების მიერ საგადასახადო შემოწმების ინიციირებისას ასეთ შემოწმებას ატარებს მხოლოდ საგადასახადო ინსპექტორი საქართველოს საგადასახადო კოდექსითა და ,,სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით და დადგენილ ფარგლებში.

მუხლი 8. სამსახურის მოსამსახურეთა სპეციალური უფლებამოსილებები

1. ეს მუხლი ვრცელდება მხოლოდ:

ა) სამსახურის ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელი, სამართალდამცავი ფუნქციის მქონე, წინასწარი გამოძიების უფლებამოსილების მქონე სტრუქტურული

ერთეულის მოსამსახურეებზე და სპეციალური დანიშნულების რაზმზე;

ბ) საბაჟო გამშვები პუნქტებისა და საბაჟო საგუშაგოების სათანადოდ უფლებამოსილ მოსამსახურეებზე – სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას.

2. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას სამსახურის უფლებამოსილ მოსამსახურეს მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში უფლება აქვს გამოიყენოს ფიზიკური იძულება, სპეციალური საშუალებები და ცეცხლსასროლი იარაღი.

3. სამსახურის მოსამსახურე ფიზიკურ იძულებას, სპეციალურ საშუალებებსა და ცეცხლსასროლ იარაღს იყენებს „პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-10, მე-11, მე-12 (გარდა მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „გ", „დ", „ვ" და „ზ" ქვეპუნქტებისა) და მე-13 (გარდა მე-13 მუხლის მე-10 პუნქტისა) მუხლებითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით დადგენილ შემთხვევებში და დადგენილი წესით.

4. სამსახურის მოსამსახურის განკარგულებაში არსებული სპეციალური საშუალებების შენახვის, ტარებისა და გამოყენების, ცეცხლსასროლი იარაღის შენახვისა და ტარების წესებს ამ კანონით განსაზღვრული უფლებამოსილებების ფარგლებში ადგენს საქართველოს ფინანსთა მინისტრი.

5. სამსახურის შეიარაღებაში არსებული ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალების ნუსხა დგინდება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით.

მუხლი 9. სამსახურის ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის პრინციპები

1. დანაშაულის თავიდან აცილების ან გახსნის მიზნით სამსახური ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობისას ხელმძღვანელობს „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით.

2. სამსახური „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების განხორციელებას იწყებს:

ა) გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული შემოწმების ჩატარების შედეგად გამოვლენილი დანაშაულის ნიშნების შესახებ საგადასახადო ან საბაჟო ორგანოების მიერ მიწოდებული ცნობის საფუძველზე;

ბ) „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

თავი III

სამსახურის ორგანიზება

მუხლი 10. სამსახურის სტრუქტურა

1. სამსახური არის ერთიანი ცენტრალიზებული სისტემა, რომელიც თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და ტერიტორიული ორგანოების მეშვეობით. საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანების საფუძველზე სამსახურის ტერიტორიული ორგანოები და სტრუქტურული ქვედანაყოფები, აგრეთვე სამსახური უფლებამოსილი არიან განახორციელონ საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრული საგადასახადო ან/და საბაჟო ორგანოების ფუნქციები, აგრეთვე ამ კანონით განსაზღვრული ცალკეული ფუნქციები.

2. სამსახური შედის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში.

3. სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და ტერიტორიული ორგანოების შექმნის წესი, სტრუქტურა და უფლებამოსილებანი განისაზღვრება ამ კანონით, „მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონითა და სხვა ნორმატიული აქტებით.

4. საქართველოს ფინანსთა მინისტრი უფლებამოსილია ცალკეულ შემთხვევებში, განსაკუთრებული ნიშნის მიხედვით შექმნას სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფი, რომელიც უფლებამოსილია, თავისი საქმიანობა სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე განახორციელოს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

მუხლი 11. წლიური ანგარიში

სამსახური ყოველი საგადასახადო წლის დამთავრებიდან 3 თვის ვადაში აქვეყნებს ანგარიშს, რომელშიც აღინიშნება შესაბამისი ინფორმაცია სამსახურის საქმიანობის სხვადასხვა მიმართულებებზე. ანგარიშში აღინიშნება ყველა პირი, რომლის აღიარებული საგადასახადო დავალიანება აღემატება 100 000 ლარს.

თავი IV

სამსახური და მის მოსამსახურეთა სოციალური დაცვის გარანტიები

მუხლი 12. სამსახურის სამართლებრივი საფუძვლები

1. სამსახურის მოსამსახურეთა სამსახურში მიღებისა და სამსახურის გავლის წესის საფუძვლები და მათი სოციალური დაცვის გარანტიები რეგულირდება ამ კანონითა და მის შესაბამისად გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

2. სამსახურში მიღებისა და სამსახურის გავლის წესი განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით. სამსახურის მოსამსახურეთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები განისაზღვრება სამსახურში მიღებისა და სამსახურის გავლის წესის შესაბამისად დადგენილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მოქმედება სამსახურის მოსამსახურეებზე ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ ამ კანონითა და ამ პუნქტში მითითებული წესით სხვაგვარად არ რეგულირდება შესაბამისი სამსახურებრივი ურთიერთობები.

3. სამსახურში მიღებისა და სამსახურის გავლის წესით (შემდგომში – სამსახურის გავლის წესი) განისაზღვრება სამსახურის მოსამსახურეებთან არსებული სამსახურებრივი ურთიერთობების საკითხები, მათ შორის, სამსახურის მოსამსახურის თანამდებობაზე დანიშვნისა და განთავისუფლების, სამსახურის გავლის, ატესტაციის, კვალიფიკაციის ამაღლების, წახალისების ფორმებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების გამოყენების წესი და საფუძვლები. მითითებული წესით განისაზღვრება აგრეთვე სამსახურში სტატუსების საკითხები. სამსახურის გავლის წესით არ შეიძლება დადგინდეს ისეთი დებულებები, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს საქართველოს შრომის კოდექსის მე-2 მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილებით განსაზღვრული დისკრიმინაციული ხასიათის დებულებებად.

მუხლი 13. სამსახურის მოსამსახურე

1. სამსახურის მოსამსახურე (შემდგომში – მოსამსახურე) არის სახელმწიფო მოსამსახურე.

2. მოსამსახურეს ენიჭება სპეციალური ფორმის ტანსაცმლის ტარების უფლება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების შესაბამისად.

3. მოსამსახურეს თავისი ვინაობისა და უფლებამოსილების დასადასტურებლად ეძლევა სამსახურებრივი მოწმობა.

4. მოსამსახურე ვალდებულია პატივი სცეს და დაიცვას პიროვნების უფლებები და ძირითადი თავისუფლებები, მიუხედავად მისი მოქალაქეობისა, სოციალური და ქონებრივი მდგომარეობისა, რასობრივი და ეროვნული კუთვნილებისა, სქესისა, ასაკისა, განათლებისა, ენისა, სარწმუნოებისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა.

5. მოსამსახურეს ეკრძალება:

ა) მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შექმნა ან მასში მონაწილეობა;

ბ) პირად, კომერციულ, პროფესიულ ან/და სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებული, აგრეთვე კანონით დაცული სხვა ინფორმაციის გამჟღავნება, კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია მოსამსახურის სამსახურიდან განთავისუფლების შემდეგაც;

გ) შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზება ან/და ჩატარება, ასევე მასში მონაწილეობა;

დ) შეთავსებით მუშაობა ანაზღაურებად სამუშაოზე, გარდა სამეცნიერო, პედაგოგიური ან შემოქმედებითი საქმიანობისა, ან რაიმე თანამდებობის დაკავება რომელიმე სხვა სახელმწიფო დაწესებულებაში, ან რაიმე ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულება ანდა რაიმე თანამდებობის დაკავება სხვა ქვეყნის ორგანოში ან დაწესებულებაში.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტის „ა" და „გ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეზღუდვები ვრცელდება მხოლოდ ამ კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული სპეციალური უფლებამოსილებების მქონე მოსამსახურეებზე და საგამოძიებო ფუნქციების მქონე თანამდებობის პირებზე.

მუხლი 14. მოსამსახურეთა სავალდებულო სამედიცინო შემოწმება

1. სამსახურის უფროსის გადაწყვეტილებით, წელიწადში ერთხელ მაინც ტარდება ამ კანონის მე-8 მუხლით გათვალისწინებული მოსამსახურეების სავალდებულო სამედიცინო შემოწმება. შემოწმების არადამაკმაყოფილებელი შედეგების შემთხვევაში შესაბამისი პირი განთავისუფლდება დაკავებული თანამდებობიდან ამ კანონის მე-16 მუხლის „ე.გ" ქვეპუნქტის თანახმად.

2. ჯანმრთელობის მდგომარეობისადმი მოთხოვნებს სამსახურის შესაბამისი თანამდებობის მიხედვით ადგენს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი.

მუხლი 15. შეზღუდვები სამსახურის გავლასთან დაკავშირებით

სამსახურში არ შეიძლება მიღებულ იქნეს და მსახურობდეს:

ა) პირი, რომელიც ნასამართლევია და მოხსნილი არა აქვს ნასამართლობა;

ბ) პირი, თუ მისი ჯანმრთელობა არ აკმაყოფილებს მოცემული თანამდებობის დასაკავებლად დადგენილ მოთხოვნებს (ასეთი მოთხოვნების არსებობის შემთხვევაში);

გ) ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ან ტოქსიკური ნივთიერებების მომხმარებელი;

დ) პირი, რომელიც სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ან შეზღუდულქმედუნარიანად არის აღიარებული;

ე) პირი, რომლის მიმართაც არსებობს „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი თანამდებობრივი შეუთავსებლობის გარემოებები;

ვ) სამსახურის გავლის წესით განსაზღვრული სხვა პირი.

მუხლი 16. მოსამსახურის სამსახურიდან განთავისუფლება

1. მოსამსახურის სამსახურიდან განთავისუფლების საფუძველია:

ა) სამსახურის გავლის წესით განსაზღვრული ასაკის მიღწევა ან ნამსახურობის ვადის ამოწურვა;

ბ) სამედიცინო ცნობის საფუძველზე ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება, დასახიჩრება ან ქრონიკული დაავადება, რომლის გამოც მოსამსახურეს აღარ შეუძლია სამსახურის გაგრძელება;

გ) დანიშვნის ბრძანებით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის გასვლა;

დ) ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა;

ე) დაკავებულ თანამდებობასთან შეუსაბამობა, რაც გულისხმობს მოსამსახურის სამსახურიდან განთავისუფლებას:

ე.ა) ატესტაციის შედეგების საფუძველზე;

ე.ბ) იმ დოკუმენტის არქონისას, რომელიც აუცილებელია მოცემული თანამდებობის დასაკავებლად;

ე.გ) ჯანმრთელობის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობის გამო (ამ კანონის მე-8 მუხლით გათვალისწინებული მოსამსახურეების შემთხვევაში);

ე.დ) გამოსაცდელი ვადის არადამაკმაყოფილებლად შეფასების საფუძველზე;

ე.ე) არადამაკმაყოფილებელი პროფესიული ჩვევების გამო;

ვ) სამსახურებრივი დისციპლინის დარღვევა, თუ პირის მიმართ უკვე მოქმედებს დისციპლინური პასუხისმგებლობის ნებისმიერი სხვა ზომა, ან სამსახურებრივი დისციპლინის უხეში დარღვევა;

ზ) შტატებით გათვალისწინებული თანამდებობის შემცირება;

თ) სხვა სამსახურში გადასვლა;

ი) პირადი განცხადება;

კ) დანაშაულის ჩადენა – კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე;

ლ) თანამდებობრივი შეუთავსებლობა, თუ იგი არ აღმოიფხვრა შეუთავსებლობის გამოვლენიდან 10 დღის ვადაში;

მ) ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ან ტოქსიკური ნივთიერებების მოხმარება;

ნ) სამსახურის ან მისი სტრუქტურული ქვედანაყოფის რეორგანიზაცია ან/და ლიკვიდაცია;

ო) გარდაცვალება;

პ) მოქალაქეობის შეცვლა;

ჟ) უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება;

რ) ქმედუუნაროდ აღიარება;

ს) სამსახურის გავლის წესით განსაზღვრული შემთხვევები.

2. მოსამსახურე არ შეიძლება განთავისუფლდეს ნამსახურობის ვადის გასვლის საფუძველზე, თუ მას დაკავებული აქვს ისეთი თანამდებობა, რომლიდანაც ამ საფუძვლით განთავისუფლების შემთხვევაში მასზე ვერ გავრცელდება „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული კომპენსაცია.

მუხლი 17. მოსამსახურის წახალისება

მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა სანიმუშოდ შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისათვის, განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელობის დავალების შესრულებისათვის წესდება წახალისების შემდეგი ფორმები:

ა) მადლობის გამოცხადება და მადლობის სიგელით დაჯილდოება;

ბ) პრემიის მიცემა ან ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;

გ) 10 დღის დამატებითი შვებულების მიცემა;

დ) სამსახურის სამკერდე ნიშნით დაჯილდოება;

ე) მორიგი სპეციალური წოდების ვადამდე მინიჭება;

ვ) დისციპლინური პასუხისმგებლობის ვადამდე მოხსნა;

ზ) სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას გამოჩენილი ვაჟკაცობისა და მამაცობისათვის სახელმწიფო ჯილდოზე წარდგენა.

მუხლი 18. მოსამსახურის დისციპლინური პასუხისმგებლობა

სამსახურებრივი დისციპლინის დარღვევისთვის მოსამსახურის მიმართ გამოიყენება დისციპლინური პასუხისმგებლობის შემდეგი ზომები:

ა) შენიშვნა;

ბ) გაფრთხილება;

გ) სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან ჩამოშორება ხელფასის გაცემის შეჩერებით;

დ) უფრო დაბალი თანრიგის (რანგის) თანამდებობრივ სარგოზე გადაყვანა არა უმეტეს ერთი წლისა;

ე) სპეციალური წოდების ერთი საფეხურით დაქვეითება;

ვ) არა უმეტეს 10 სამუშაო დღის ხელფასის დაკავება;

ზ) სამსახურიდან განთავისუფლება ამ კანონის საფუძველზე.

მუხლი 19. მოსამსახურის სოციალური დაცვა

1. სახელმწიფო უზრუნველყოფს მოსამსახურის სოციალურ დაცვას.

2. მოსამსახურე ამ მუხლით დადგენილ შემთხვევებში და დადგენილი წესით სამსახურისათვის იღებს:

ა) ხელფასს (თანამდებობრივი სარგო);

ბ) თანამდებობრივ და სპეციალური წოდებისათვის დადგენილ დანამატებს;

გ) კვების ულუფის ფინანსურ კომპენსაციას;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა დანამატებსა და კომპენსაციებს.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ", „გ" და „დ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული თანხების ოდენობას, ამ თანხების მიღებაზე უფლებამოსილი თანამდებობების ჩამონათვალს და მათი მიღების წინაპირობებს ადგენს საქართველოს ფინანსთა მინისტრი. მოსამსახურეთა ხელფასის (თანამდებობრივი სარგოს) ოდენობები განისაზღვრება „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

4. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით მოსამსახურის დაღუპვის შემთხვევაში დაღუპულის მეუღლეს, შვილებსა და შრომისუუნარო მშობლებს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებიდან პროპორციულად მიეცემა ერთჯერადი დახმარება 15 000 ლარის ოდენობით. თუ ერთჯერადი დახმარების მიღების უფლება მხოლოდ მშობლებს აქვთ, მათ დახმარება ყველა შემთხვევაში მიეცემა.

5. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით მოსამსახურის დასახიჩრების ან შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენის შემთხვევაში მოსამსახურეს სხეულის დაზიანების სიმძიმის ხარისხის შესაბამისად მიეცემა ერთჯერადი დახმარება არა უმეტეს 7 000 ლარისა.

6. ამ მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებით დადგენილი გარანტიები ვრცელდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით განსაზღვრულ თანამდებობის პირებზე.

მუხლი 20. მოსამსახურის პასუხისმგებლობა

1. მოსამსახურის უკანონო ბრალეული ქმედებით მიყენებული ზიანი ანაზღაურდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. მოსამსახურის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 21. მოსამსახურის ინტერესთა კონფლიქტი

მოსამსახურეს ეკრძალება პროფესიულ ვალდებულებათა შესრულება იმ პირის მიმართ:

ა) რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად ითვლება მოსამსახურის

ნათესავად;

ბ) რომლის მიმართაც მას ან სხვა პირს, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად ითვლება მოსამსახურის ნათესავად, ან მის ოჯახს აქვს პირდაპირი ან არაპირდაპირი ფინანსური ინტერესი.

თავი V

გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

მუხლი 22. გარდამავალი დებულებანი

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის, საგადასახადო და საბაჟო დეპარტამენტების წარმოებაში არსებული საქმეები ამ მუხლის მე-3 პუნქტის გათვალისწინებით გადაეცეს შემოსავლების სამსახურს მისი შექმნისთანავე.

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიცია, საგადასახადო და საბაჟო დეპარტამენტები აგრძელებენ ფუნქციონირებას ამ კანონის მიღებამდე მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში, ფინანსური პოლიციის, საგადასახადო და საბაჟო დეპარტამენტების რეორგანიზაციის განხორციელებამდე. ფინანსური პოლიციის, საგადასახადო და საბაჟო დეპარტამენტების რეორგანიზაცია განხორციელდეს საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანების შესაბამისად. რეორგანიზაცია შეიძლება განხორციელდეს ეტაპობრივად ან ერთიანად. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ არა უგვიანეს 2007 წლის 1 აპრილისა უზრუნველყოს შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცება და მის საქმიანობასთან დაკავშირებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების გამოცემა.

3. თუ რეორგანიზაციის საწყის ეტაპზე მხოლოდ ორი უწყება გაერთიანდება, შემოსავლების სამსახურის უფლებამოსილებები მისი დებულებით მინიჭებული კომპეტენციების შესაბამისად განახორციელონ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სათანადო საქვეუწყებო დაწესებულებებმა. საჭიროების შემთხვევაში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის, საგადასახადო და საბაჟო დეპარტამენტების კომპეტენციები შეიძლება გაიმიჯნოს საქართველოს ფინანსთა მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

4. კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, რომლებიც არეგულირებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის, საბაჟო და საგადასახადო დეპარტამენტების ორგანიზებასთან, ამ უწყებებში სამსახურში მიღებასა და სამსახურებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებულ საკითხებს, ძალაშია შესაბამისი უწყების შემოსავლების სამსახურში გაერთიანებამდე, მიუხედავად იმისა, შეესაბამება თუ არა ისინი ამ კანონის დებულებებს. ნორმატიულ აქტებში, რომლებშიც მითითებულია ფინანსური პოლიცია, საგადასახადო და საბაჟო დეპარტამენტები, შესაბამისი ცვლილებების განხორციელებამდე ამ აქტებით მინიჭებული უფლებამოსილებები განახორციელონ შესაბამისად საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სათანადო საქვეუწყებო დაწესებულებებმა.

5. შემოსავლების სამსახურში და სამსახურის ტერიტორიულ ორგანოებში, განსაკუთრებული ნიშნის მიხედვით შექმნილ სტრუქტურულ ქვედანაყოფებში ინიშნებიან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის, საგადასახადო და საბაჟო დეპარტამენტების რეორგანიზაციის შედეგად გაუქმებულ/რეორგანიზებულ თანამდებობებზე, ტერიტორიულ ორგანოებში და სტრუქტურულ ქვედანაყოფებში მომუშავე პირები. ის თანამშრომლები, რომელთა გადაყვანა შემოსავლების სამსახურში ვერ ხერხდება სამსახურის ან ფინანსური პოლიციის, საგადასახადო და საბაჟო დეპარტამენტების ნაწილის რეორგანიზების შედეგად შექმნილი ერთეულის საშტატო რიცხოვნობიდან ან შესაბამისი თანამდებობრივი რანგიდან გამომდინარე, ითვლებიან სამსახურიდან განთავისუფლებულებად. შემოსავლების სამსახურში დასანიშნ პირებს შესაბამისი თანამდებობის ქვემდებარეობის მიხედვით ნიშ-

ნავს შესაბამისად სამსახურის უფროსი ან საქართველოს ფინანსთა მინისტრი. აღნიშნულ დანიშვნაზე გადაწყვეტილების მიღებისას არ ვრცელდება დისკრეციული უფლებამოსილების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებების მიმართ წაყენებული მოთხოვნები.

6. გარდამავალ ეტაპზე ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებული პირები (გარდა სამსახურის უფროსისა და მისი მოადგილეებისა) შემოსაელების სამსახურში ინიშნებიან ხელშეკრულებით არა უმეტეს 6 თვის ვადით ან მოვალეობის შემსრულებლად ან გამოსაცდელი ვადით. ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდეგ სამსახურებრივი ურთიერთობის გაგრძელების შემთხვევაში მოსამსახურე ინიშნება განუსაზღვრელი ვადით, თუ იგი თანახმა არ არის, სამსახურებრივი ურთიერთობები გააგრძელოს ხელშეკრულებით დადგენილი ვადით.

7. თუ რეორგანიზაცია ეტაპობრივად ხორციელდება, ამ მუხლის მე-5, მე-6 და მე-8 პუნქტების მოთხოვნები შესაბამისი საგადასახადო და საბაჟო ორგანოების, ფინანსური პოლიციის ტერიტორიული ორგანოების მოსამსახურეებზე ვრცელდება მხოლოდ მათი რეორგანიზაციის შემდეგ. ამავე ორგანოების რეორგანიზაციამდე მოხდება შესაბამისი თანამდებობების პირების დანიშვნა შემოსაელების სამსახურის საგადასახადო და საბაჟო ორგანოების, ტერიტორიული ორგანოების შესაბამის თანამდებობებზე.

8. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის, საგადასახადო და საბაჟო დეპარტამენტების რეორგანიზაციის შედეგად სამსახურიდან განთავისუფლებულ პირებს მიეცემა კომპენსაცია სამსახურის შექმნის დღემდე არსებული 2 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით. კომპენსაცია არ მიეცემა ამ მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე სამსახურში დანიშნულ პირებს.

მუხლი 23. კანონის ამოქმედება

ეს კანონი ამოქმედდეს 2007 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **მ. სააკაშვილი**

თბილისი,
2006 წლის 29 დეკემბერი.
№4254 - რს

საქართველოს კანონი
ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა

1. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა არის ამ კანონით დადგენილი სახელმწიფო ორგანოების სპეციალური სამსახურების მიერ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ღია თუ ფარული მეთოდით ჩატარებული ღონისძიებების სისტემა, რომლის მიზანია ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, იურიდიული პირის უფლებების, საზოგადოებრივი უშიშროების დაცვა დანაშაულებრივი და სხვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან.

2. ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა: (16.12.2005 №2267)

ა) პირის გამოკითხვა – ოპერატიული მუშაკის ან გამომძიებლის პირადი გასაუბრება ფიზიკურ პირთან, რომელმაც რაიმე იცის გამოსაკვლევი შემთხვევის ან მასთან დაკავშირებულ პირთა შესახებ. (გამოკითხვა ნებაყოფლობითია და გამოსაკითხ პირს არ აფრთხილებენ ცრუ ჩვენების მიცემისათვის ან ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ. ოპერატიული მუშაკი ან გამომძიებელი გამოკითხვის შესახებ დადგენილი წესით ადგენს პატაკს, რომელიც გასაცნობად არ წარედგინება გამოკითხულ პირს);

ბ) ცნობების შეგროვება – ოპერატიული მუშაკის ან გამომძიებლის მიერ კრიმინალისტიკური, ოპერატიულ-სამძებრო ან ინფორმაციის შენახვის სხვა წყაროდან იმ ფაქტობრივი მონაცემების ოფიციალურად მოპოვება, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს ამ კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული ამოცანების შესასრულებლად;

გ) ვიზუალური კონტროლი – ოპერატიული თვალთვალი, რომელიც კონსპირაციულად ტარდება ოპერატიული მუშაკის, გამომძიებლის ან ოპერატიულ-სამძებრო ორგანოს მიერ უშუალოდ ან ოპერატიულ-ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებით;

დ) საკონტროლო შესყიდვა – ოპერატიული მუშაკის, გამომძიებლის ან ოპერატიულ-სამძებრო ორგანოს მიერ ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე საგნის ან ნივთიერების შეძენა ანდა შეძენის სიტუაციის შექმნა (მისი გასაღების ან მოხმარების მიზნის გარეშე);

ე) კონტროლირებადი მიწოდება – დანაშაულის გასახსნელად, დანაშაულის ჩამდენი პირის გამოსავლენად საქართველოს ფარგლებში (ხოლო საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევაში – საქართველოს ფარგლებს გარეთაც), საქართველოს ფარგლებს გარედან საქართველოში ან საქართველოს გავლით ნივთიერი მტკიცებულების ან ისეთი საგნის კონტროლირებადი გადაადგილება, რომლის თავისუფალი რეალიზება კანონით აკრძალული ან შეზღუდულია;

ვ) პიროვნების იდენტიფიკაცია (გაიგივება) – შესამოწმებელი პირის ან ეჭვმიტანილის დადგენა დაქტილოსკოპიური კარტოთეკის, შემთხვევის ადგილზე დატოვებული კვალის, სუნის ან გამონაყოფის მიხედვით;

ზ) საგნებისა და დოკუმენტების გამოკვლევა – საგნებისა და დოკუმენტების გამოკვლევა ვიზუალურად ან ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებით, რაც არ ითვლება ექსპერტის დასკვნად;

თ) ინფორმაციის მოხსნა კავშირგაბმულობის არხიდან – ოპერატიულ-სამძებრო ორგანოს მიერ ამ კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი წესით ელექტრონული კავშირიდან (ელექტროფოსტა), კომპიუტერული ქსელიდან, სატელეკომუნიკაციო და საინფორმაციო სისტემებიდან გადაცემული, შეკრებილი, დამუშავებული ან დაგროვებული ინფორმაციის მოხსნა და ფიქსაცია ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებით;

ი) საიდუმლო თანამშრომელი (კონფიდენტი) – 18 წელს მიღწეული ქმედუნარიანი ფიზიკური პირი, რომელიც ნებაყოფლობით, კონტრაქტის საფუძველზე თანამშრომლობს ოპერატიულ-სამძებრო ორგანოსთან ან გამომძიებელთან და ასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ვალდებულებებს;

კ) კონსპირაციული ორგანიზაციის შექმნა – ოპერატიულ-სამძებრო ორგანოს ან გამომძიებლის მიერ დანაშაულებრივ ფორმირებაში შესაღწევად ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის ორგანიზაციის შექმნა.

მუხლი 2. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ამოცანები

ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ამოცანებია:

ა) დანაშაულის ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების გამოვლენა, აღკვეთა და თავიდან აცილება;

ბ) იმ პირის დადგენა, რომელიც ამზადებს, სჩადის ან რომელსაც ჩადენილი აქვს დანაშაული ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედება;

გ) იმ პირის ძებნა და შესაბამის სახელმწიფო ორგანოში წარდგენა, რომელიც ემალება წინასწარ გამოძიებას, სასამართლოს, თავს არიდებს სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის ან იძულებითი ხასიათის სხვა ღონისძიებათა მოხდას; (20.04.2005 N 1370)

დ) დანაშაულებრივი ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფის შედეგად დაკარგული ქონების ძებნა და დადგენა;

ე) უგზოუკვლოდ დაკარგული პირის ძებნა;

ვ) სისხლის სამართლის საქმეზე აუცილებელი ფაქტობრივი მონაცემების მოპოვება.

ზ) დანაშაულის ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენი პირის იდენტიფიცირება (სახელის, გვარის, ასაკის, მოქალაქეობის დადგენა). (17.06.2005 N 1682)

მუხლი 3. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის პრინციპები

1. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა ემყარება ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, იურიდიული პირის უფლებების დაცვისა და პატივისცემის, კანონიერების, კონსპირაციის, ღია და ფარული მეთოდების შეხამების პრინციპებს.

2. აკრძალულია იმ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარება, რომელიც:

ა) საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, პატივსა და ღირსებას, ქონებას;

ბ) საფრთხეს უქმნის იურიდიული პირის უფლებებს;

გ) დაკავშირებულია მოტყუებასთან, შანტაჟთან, ძალით დაყოლიებასთან, დანაშაულის ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენასთან.

მუხლი 4. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები

1. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლებია საქართველოს კონსტიტუცია, საერთაშორისო ხელშეკრულებები, ეს კანონი და საქართველოს სხვა ნორმატიული აქტები.

2. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელ სახელმწიფო ორგანოებს უფლება აქვთ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, ამ კანონის საფუძველზე და კანონით დადგენილი წესით, საქართველოს გენერალური პროკურორის თანხმობით, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ცალკეულ საკითხებზე გამოსცენ უწყებრივი ნორმატიული აქტები.

მუხლი 5. საქვეყნოობა და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა

1. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა მკაცრად გასაიდუმლოებულია. ასეთი საქმიანობის ამსახველი მონაცემების, დოკუმენტებისა და წყაროების გაცნობის უფლება აქვთ მხოლოდ

ამ კანონით განსაზღვრულ პირებს, დადგენილი წესით.

2. იმ პირის მიერ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ამსახველი ცნობების გახმაურება, რომელსაც ეს ცნობები განდობილი ჰქონდა ან რომლისთვისაც ისინი ცნობილი გახდა სამსახურებრივ ან სხვა მოვალეობასთან დაკავშირებით, იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას სახელმწიფო საიდუმლოების გახმაურებისათვის.

3. აკრძალულია ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ამსახველი მონაცემებისა და დოკუმენტების გაცნობა სამეცნიერო ან სხვა მიზნით, თუ მათი მოპოვებიდან გასული არ არის 25 წელზე მეტი.

4. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელი საიდუმლო თანამშრომლის ან ინფორმაციის მიმწოდებელი წყაროს გახმაურებაგამჟღავნება აკრძალულია გასული დროის მიუხედავად, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

5. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვა არ ვრცელდება იმ პირზე, რომელსაც დადგენილი წესით უფლება აქვს გაეცნოს სახელმწიფო საიდუმლოებას, თუ ეს მონაცემები და დოკუმენტები ესაჭიროება სამეცნიერო-კვლევითი ან პედაგოგიური საქმიანობისათვის.

მუხლი 6. ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, იურიდიული პირის უფლებების დაცვის სამართლებრივი გარანტიები ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაში

1. აკრძალულია ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელება იმ ამოცანის მისაღწევად, რომელიც არ არის გათვალისწინებული ამ კანონით.

2. პირს, რომელიც მიიჩნევს, რომ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელი ორგანოს მოქმედებას მოჰყვა მისი უფლებებისა და თავისუფლებების უკანონო შეზღუდვა, შეუძლია გაასაჩივროს ასეთი მოქმედების კანონიერება შესაბამის ზემდგომ სახელმწიფო ორგანოში, პროკურორთან ან სასამართლოში.

3. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელ ორგანოებს (საჯარო მოსამსახურეებს) ეკრძალებათ ფარული მონაწილეობა საქართველოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების, საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების საქმიანობაში. აკრძალულია ფარული მონაწილეობა ოფიციალურად რეგისტრირებული საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციების, რელიგიური ორგანიზაციების საქმიანობაში, თუ ეს საქმიანობა მიზნად არ ისახავს საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობას ან ძალადობით შეცვლას, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფას, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას, ანდა თუ ეს ორგანიზაციები არ ეწევიან ომის ან ძალადობის პროპაგანდას, არ აღვიძებენ (05.05.2000 N289) ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს. ასეთ შემთხვევაში აუცილებელია საქართველოს გენერალური პროკურორის თანხმობა.

4. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია, რომელიც არ ეხება პირის დანაშაულებრივ საქმიანობას, მაგრამ შეიცავს მის მაკომპრომეტირებელ ცნობებს, არ შეიძლება გახმაურდეს ან გამოყენებულ იქნეს რაიმე მიზნით ამ პირის წინააღმდეგ. ასეთი ინფორმაცია არ შეიძლება შენახულ იქნეს და უნდა განადგურდეს დაუყოვნებლივ, რის შესახებაც ეცნობება საქართველოს გენერალურ პროკურორს ან მის მიერ განსაზღვრულ ერთერთ მოადგილეს, აგრეთვე სამსახურებრივი ზედამხედველობის განმახორციელებელი უწყების ხელმძღვანელს ან მის მოადგილეს.

5. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელი ორგანოს (საჯარო მოსამსახურის) მიერ ფიზიკური და იურიდიული პირის უფლებებისა და თავისუფლებების უკანონო შეზღუდვა იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი II

ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარება

მუხლი 7. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ცნება

1. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება არის ამ კანონით დადგენილი წესით უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს ან თანამდებობის პირის მოქმედება, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს ამ კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ ამოცანათა შესრულებას.

2. ამ ამოცანათა შესასრულებლად ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელი ორგანოების მიერ ღიად ან კონსპირაციის წესების დაცვით გამოიყენება:

ა) პირის გამოკითხვა;

ბ) ცნობების შეგროვება და ვიზუალური კონტროლი;

გ) საკონტროლო შესყიდვა;

დ) კონტროლირებადი მიწოდება;

ე) საგნებისა და დოკუმენტების გამოკვლევა;

ვ) პიროვნების იდენტიფიკაცია (გაიგივება);

ზ) დაკავებულის, დაპატიმრებულისა და მსჯავრდებულის კორესპონდენციის ცენზურა;

თ) მოსამართლის ბრძანებით სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადება და ჩაწერა, ინფორმაციის მოხსნა და ფიქსაცია კავშირგაბმულობის არხიდან (კავშირგაბმულობის საშუალებებთან, კომპიუტერულ ქსელებთან, სახაზო კომუნიკაციებთან და სასადგურო აპარატურასთან მიერთებით), საფოსტოსატელეგრაფო გზავნილთა კონტროლი (გარდა დიპლომატიური ფოსტისა);

ი) მოსამართლის ბრძანებით ფარული ვიდეო და აუდიოჩაწერა, კინო და ფოტოგადაღება; ელექტრული თვალყურის დევნება ტექნიკური საშუალებებით, რომელთა გამოყენება ზიანს არ აყენებს ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და გარემოს;

კ) დადგენილი წესით დანაშაულებრივ ჯგუფში საიდუმლო თანამშრომლის ან ოპერატიული მუშაკის ჩართვა;

ლ) დადგენილი წესით კონსპირაციული ორგანიზაციის შექმნა.

3. ამ კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „თ" და „ი" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები ტარდება მხოლოდ მოსამართლის ბრძანებით. ბრძანებას პროკურორის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე გასცემს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე გამოძიების ადგილის მიხედვით. შუამდგომლობას, მისი მიღებიდან არა უგვიანეს 24 საათისა, პროკურორის მონაწილეობით განიხილავს მოსამართლე დახურულ სასამართლო სხდომაზე. შუამდგომლობისა და მასზე დართული მასალების განხილვის, პროკურორის განმარტებების მოსმენის შემდეგ მოსამართლე იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას: (17.06.2005 N 1682)

ა) გასცემს ბრძანებას ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარების შესახებ;

ბ) გამოიტანს დადგენილებას შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

31. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „თ" და „ი" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები მოსამართლის მიმართ ასევე შეიძლება ჩატარდეს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ბრძანებით საქართველოს გენერალური პროკურორის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე.(28.04.2006 N 2941)

4. ამ კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „თ" და „ი" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები, რომელთა ჩატარება საჭიროებს მოსამართლის ბრძანებას, გადაუდებელი აუცილებლობისას, როცა დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს საქმისათვის (გამოძიებისათვის) მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მონაცემების განადგურება

ან შეუძლებელს გახდის აღნიშნული მონაცემების მოპოვებას, პროკურორის მოტივირებული დადგენილებით შეიძლება ჩატარდეს მოსამართლის ბრძანების გარეშე. ასეთ შემთხვევაში ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების დაწყებიდან 12 საათში (ხოლო თუ ამ ვადის ამოწურვა ემთხვევა არასამუშაო დროს, მაშინ ამ დროის გასვლიდან არა უგვიანეს ერთი საათისა) პროკურორი ვალდებულია შუამდგომლობით მიმართოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლეს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზედაც ტარდება აღნიშნული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების დაკანონების მოთხოვნით. სასამართლო ვალდებულია პროკურორის შუამდგომლობა განიხილოს მისი წარდგენიდან 24 საათის განმავლობაში დახურულ სასამართლო სხდომაზე. პროკურორის განმარტებების მოსმენის შემდეგ მოსამართლე ამოწმებს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების კანონიერებას, ასევე მოცემული ღონისძიების გადაუდებელი ჩატარების აუცილებლობას და გამოაქვს ერთ-ერთი შემდეგი დადგენილება: (17.06.2005 N 1682)

ა) ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების კანონიერად ცნობის შესახებ;

ბ) ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების უკანონოდ ცნობის, მისი შედეგების გაუქმებისა და ამ ღონისძიებით მოპოვებული მონაცემების განადგურების შესახებ.

5. ამ მუხლის მე-3 4 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება (ბრძანება, დადგენილება) საბოლოოა და იგი არ გასაჩივრდება.

6. ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი ღონისძიებების ჩამონათვალი შეიძლება შეიცვალოს ან შეივსოს მხოლოდ ამ კანონით.

7. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარებისას დგება ოქმი, რომელშიც აისახება, თუ რა პირობებში იქნა გამოყენებული ტექნიკური საშუალებები. ოქმი მიღებულ მასალებთან ერთად ინახება ამ კანონით დადგენილი წესების დაცვით.

8. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელი ორგანოს თანამდებობის პირი პირადად მონაწილეობს ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი ღონისძიებების ჩატარებაში, ამასთან, მას უფლება აქვს გამოიყენოს კონკრეტული დარგის სპეციალისტების, აგრეთვე ცალკეულ პირთა ნებაყოფლობითი ღია ან ფარული დახმარება.

მუხლი 8. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარების საფუძვლები (20.04.2005 № 1370)

1. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარების საფუძვლებია:

ა) პროკურორის ან პროკურორის თანხმობით გამომძიებლის, დავალება მათ წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარების შესახებ. (ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება ტარდება სისხლის სამართლის საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების ან დავალების მიმცემი თანამდებობის პირის – გამომძიებლის ან პროკურორის მითითებით);

ბ) დანაშაულის შესახებ დადგენილი წესით მიღებული განცხადების ან შეტყობინების განხილვის მიზნით პროკურორის დავალება იმის შესახებ, რომ მზადდება, ხდება ან მოხდა დანაშაული ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რომლის გამოც აუცილებელია წინასწარი გამოძიების ჩატარება, მაგრამ სახეზე არ არის დანაშაულის ან მართლსაწინააღმდეგო ქმედების ნიშნების დამადასტურებელი მონაცემები. (ამ შემთხვევაში ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 7 დღეს);

გ) დადგენილება იმ პირის ძებნის შესახებ, რომელიც ემალება გამოძიებას, სასამართლოს ან თავს არიდებს სასჯელის მოხდას;

დ) პირის უგზოუკვლოდ გაუჩინარება, ამოუცნობი გვამის ან უპატრონო ქონების აღმოჩენა;

ე) ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელი ორგანოს თხოვნაშეკითხვა;

ვ) საერთაშორისო სამართალდამცავი ორგანიზაციის ან უცხო ქვეყნის სამართალდაცვის ორგანოს თხოვნა-შეკითხვა სამართლებრივი დახმარების შესახებ ხელშეკრულების (შეთანხმების) შესაბამისად.

2. თუ ოპერატიული ინფორმაცია პირის დანაშაულებრივი ქმედების შესახებ მოითხოვს დამატებითი მონაცემების შეგროვებას, ოპერატიულ-სამძებრო ორგანოს უფროსის მოტივირებული დადგენილებით, პროკურორის თანხმობით, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარების ვადა შეიძლება გაგრძელდეს 6 თვემდე.

3. ამ კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს ხელმძღვანელის მოადგილის თანხმობით, რომელიც სანქციონირებული უნდა იყოს საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილის მიერ, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარების ვადა შეიძლება გაგრძელდეს 9 თვემდე.

4. განსაკუთრებულ შემთხვევაში ამ კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს ხელმძღვანელის თანხმობით, რომელიც სანქციონირებული უნდა იყოს საქართველოს გენერალური პროკურორის მიერ, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარების ვადა შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 12 თვისა. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარების ვადის შემდგომი გაგრძელება არ დაიშვება.

მუხლი 9. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარების პირობები

1. ცალკეულ პირთა მოქალაქეობა, ეროვნება, სქესი, თანამდებობა, საცხოვრებელი ადგილი, საზოგადოებრივ გაერთიანებათა წევრობა, რელიგიური აღმსარებლობა და პოლიტიკური მრწამსი ხელს არ უშლის იმას, რომ მათ მიმართ საქართველოს ტერიტორიაზე ჩატარდეს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

2. ისეთი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარება, რომელიც ზღუდავს კანონით გარანტირებული სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებებით წარმოებული შეტყობინების საიდუმლოებას, დაიშვება მხოლოდ მოსამართლის ბრძანებით და პროკურორის დადგენილებით, ან იმ პირის წერილობითი განცხადების საფუძველზე, რომელიც არამართლზომიერ მოქმედებათა მსხვერპლია, ან თუ სახეზეა ისეთი მართლსაწინააღმდეგო ქმედების მონაცემები, რომლისთვისაც სისხლის სამართლის კანონით სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა 2 წელზე მეტი ვადით. უფლებამოსილ თანამდებობის პირთა ნუსხა დგინდება უწყებრივი ნორმატიული აქტებით. (20.04.2005 №1370)

3. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფს საქართველოს შინაგან საქმეთა, იუსტიციის, თავდაცვის, ფინანსთა და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროების, საქართველოს საგარეო დაზვერვის სპეციალური სამსახურის და საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ოპერატიული ორგანოებისა და გამომძიებლების (მხოლოდ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ჩატარებისას) გამართულ საქმიანობას და საკუთრივ მათი მუშაკების უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას, ტარდება ამ კანონის საფუძველზე, შესაბამისი უწყების ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული წესით. (22.06.2007 N5034)

მუხლი 10. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების შეწყვეტა

1. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება შეწყდება, თუ:

ა) შესრულდა ამ კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის კონკრეტული ამოცანა;

ბ) დადგინდა გარემოებები, რომლებიც ადასტურებს, რომ ობიექტურად შეუძლებელია ამ კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული კონკრეტული ამოცანის შესრულება;

გ) დადგინდა კონკრეტული გარემოებები, რომლებიც გამორიცხავს შესამოწმებელი პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის საფუძველს;

დ) გავიდა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარების ვადა.

2. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარებისა და შეწყვეტის ვადები და წესი განისაზღვრება ამ კანონითა და უწყებრივი ნორმატიული აქტებით.

მუხლი 11. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შედეგების გამოყენება

1. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმისათვის, რომ მომზადდეს და განხორციელდეს საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებანი, დანაშაულის თავიდან აცილების, აღკვეთისა და გახსნის ღონისძიებანი.

2. ოპერატიული შემოწმების მასალები არ წარმოადგენს ფიზიკური პირის უფლებებისა და თავისუფლებების და იურიდიული პირის უფლებების შეზღუდვის საფუძველს.

თავი III

ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელი ორგანოები

მუხლი 12. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელი ორგანოები

1. თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელების უფლება აქვთ: (16.12.2005 N 2267)

ა) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიულ ორგანოებსა და საგამოძიებო დანაყოფებს;

ბ) საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ოპერატიულ ორგანოებს;

გ) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ოპერატიულ ორგანოებსა და საგამოძიებო დანაყოფებს;

დ) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დაწესებულების უსაფრთხოების სამსახურსა და საგამოძიებო დეპარტამენტის გამომძიებლებს;

ე) საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის ოპერატიულ-საგამოძიებო ქვედანაყოფებსა და გამომძიებლებს, აგრეთვე დაზვერვის დეპარტამენტსა და შესაბამის სადაზვერვო ქვედანაყოფებს, საქართველოს კანონმდებლობით მათთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში; (11.05.2007 №4749)

ვ) საქართველოს საგარეო დაზვერვის სპეციალური სამსახურის ოპერატიულ ორგანოებს;

ზ) პროკურატურის გამომძიებლებს.

თ) საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შესაბამის ოპერატიულ-საგამოძიებო ქვედანაყოფებსა და გამომძიებლებს. (22.06.2007 N5034)

2. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელი ორგანოების ნუსხა შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ ამ კანონით.

3. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელი ორგანოები მათ წინაშე დასმულ ამოცანებს წყვეტენ დამოუკიდებლად, ურთიერთმოქმედებით, აგრეთვე ცალკეულ პირთა ხელშეწყობით.

მუხლი 13. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელი ორგანოების მოვალეობები

1. ამ კანონით განსაზღვრულ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ამოცანათა შესრულებისას საამისოდ უფლებამოსილი ორგანოები ვალდებულნი არიან:

ა) თავიანთი კომპეტენციის შესაბამისად მიიღონ ყველა საჭირო ზომა, რათა დაიცვან ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, საკუთრება, საზოგადოებრივი უშიშროება;

ბ) შეასრულონ პროკურორისა და გამომძიებლის წერილობითი დავალებები და სასამართლოს გადაწყვეტილებები; (20.04.2005 №1370)

გ) შეასრულონ სამართლებრივი დახმარების შესახებ ხელშეკრულებათა (შეთანხმებათა)

საფუძველზე შესაბამისი საერთაშორისო სპეციალური ორგანიზაციებისა და უცხო ქვეყნების სპეციალური ორგანოების თხოვნაშეკითხვები;

დ) მიაწოდონ ინფორმაცია საქართველოს ტერიტორიაზე ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელ ორგანოებს და გაუწიონ მათ საჭირო დახმარება;

ე) ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელებისას დაიცვან კონსპირაციის წესები;

ვ) ხელი შეუწყონ დანაშაულებრივი და სხვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან თავიანთ თანამშრომელთა, მათი ოჯახის წევრთა, ახლობელთა, აგრეთვე სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა, მათი ოჯახის წევრთა, ახლობელთა პირადი უშიშროების უზრუნველყოფას, მათი ქონების დაცვაშენახვას. (20.04.2005 N 1370)

2. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელი ორგანოების თანამდებობის პირთა მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა სათანადოდ შესასრულებლად მათთვის უზრუნველყოფილ უნდა იქნეს სპეციალური პროფესიული მომზადების მიღების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და სამედიცინო მომსახურების პირობები.

3. ოპერატიულ-სასამსახურო დოკუმენტები უკლებლივ უნდა წარედგინოს პროკურორს საპროკურორო ზედამხედველობის განხორციელებისას ან ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების სანქციონირებისას, გარდა "პროკურატურის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-17 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 14. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელი ორგანოების უფლებები

ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ამოცანათა შესასრულებლად უფლებამოსილ ორგანოებს უფლება აქვთ:

ა) ღიად ან/და ფარულად ატარებდნენ ამ კანონის მე-7 მუხლში ჩამოთვლილ ოპერატიულ სამძებრო ღონისძიებებს;

ბ) უსასყიდლოდ ან სასყიდლიან საფუძველზე ამყარებდნენ თანამშრომლობას პირებთან, რომელთაც განაცხადეს თანხმობა, კონფიდენციალურ საფუძველზე ხელი შეუწყონ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელ ორგანოებს;

გ) ქმნიდნენ და იყენებდნენ საინფორმაციო სისტემებს, რომლებიც უზრუნველყოფს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ამოცანათა შესრულებას;

დ) ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა ჩატარების დროს ხელშეკრულებით ან ზეპირი შეთანხმებით იყენებდნენ საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა, სამხედრო ნაწილთა სასამსახურო შენობებს, ქონებას, აგრეთვე კერძო პირთა საცხოვრებელ და არასაცხოვრებელ სადგომებს, სატრანსპორტო საშუალებებსა და სხვა ქონებას;

ე) კონსპირაციის მიზნით იყენებდნენ დოკუმენტებს, რომლებშიც შენიღბულია ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელი ორგანოების თანამდებობის პირთა ვინაობა, ქვედანაყოფების, ორგანიზაციების სადგომებისა და სატრანსპორტო საშუალებების კუთვნილება, აგრეთვე იმ მოქალაქეთა ვინაობა, რომლებიც ამ ორგანოებთან თანამშრომლობენ კონფიდენციალურ საფუძველზე.

მუხლი 15. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელი ორგანოების თანამშრომელთა სამართლებრივი და სოციალური დაცვის გარანტიები

1. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელი ორგანოების თანამშრომლებზე ვრცელდება იმ ორგანოების თანამშრომელთა სამართლებრივი და სოციალური დაცვის გარანტიები, რომელთა სამსახურშიც ისინი ირიცხებიან.

2. არავის არ აქვს უფლება, ჩაერიოს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელი თანამდებობის პირის და ორგანოს კანონიერ მოქმედებაში, გარდა იმ პირისა,

რომელიც კანონით უშუალოდ არის საამისოდ უფლებამოსილი. აკრძალულია მისი მუშაობის შეფასება ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შედეგების რაოდენობრივი მაჩვენებლების მიხედვით.

3. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განსახორციელებლად უფლებამოსილი თანამდებობის პირი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა ჩატარებისას ემორჩილება უშუალო უფროსს. აშკარად კანონსაწინააღმდეგო ბრძანების ან მითითების მიღებისას თანამდებობის პირი ვალდებულია იხელმძღვანელოს კანონით, ხოლო თუ მას აქვს საფუძველი ივარაუდოს, რომ კანონსაწინააღმდეგო ბრძანებისა თუ მითითების შესრულების შედეგად შეიძლება მოხდეს ან ხდება დანაშაული, იგი ვალდებულია აღნიშნულის შესახებ აცნობოს ზემდგომ ორგანოს და პროკურორს.

4. სახელმწიფო დაწესებულებისა და სამხედრო ნაწილის თანამდებობის პირი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარებისას ვალდებულია თავისი კომპეტენციის ფარგლებში დახმარება გაუწიოს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელ ორგანოს.

5. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელი ორგანოს კანონიერი მოთხოვნა სავალდებულოა შესასრულებლად ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის.

თავი IV

მოქალაქეთა ხელშეწყობა ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელი ორგანოებისათვის

მუხლი 16. მოქალაქეთა ხელშეწყობა ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელი ორგანოებისათვის

1. ცალკეული პირები შეიძლება მათივე თანხმობით ჩააბან ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა მომზადებასა თუ ჩატარებაში. ამასთან, მათი სურვილით შეიძლება შენარჩუნებულ იქნეს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელ ორგანოებთან თანამშრომლობის, მათ შორის, კონტრაქტით თანამშრომლობის, კონფიდენციალობა. ეს პირები ვალდებულნი არიან საიდუმლოდ შეინახონ ცნობები, რომლებიც ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა მომზადებისა თუ ჩატარების დროს შეიტყვეს, არ მიაწოდონ შეგნებულად ცრუ ინფორმაცია აღნიშნულ ორგანოებს, არ გამოიყენონ ეს კავშირი თავიანთი ინტერესებისათვის.

2. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელ ორგანოებს შეუძლიათ კონტრაქტები დაუდონ მხოლოდ სრულწლოვან, ქმედუნარიან პირებს მათი მოქალაქეობის, ეროვნების, სქესის, სოციალური, თანამდებობრივი მდგომარეობის, ენის, განათლების, საზოგადოებრივი გაერთიანებების წევრობის, პოლიტიკური და რელიგიური მრწამსის მიუხედავად.

3. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელ ორგანოებს ეკრძალებათ კონტრაქტის საფუძველზე საქართველოს პარლამენტის წევრის, საქართველოს საკონსტიტუციო და უზენაესი სასამართლოების წევრების, საქართველოს სახალხო დამცველის, მოსამართლის, პროკურორის, ადვოკატის, გამომძიებლის, საქართველოს კონსტიტუციის 63-ე და 64-ე მუხლებით გათვალისწინებული სხვა თანამდებობის პირების კონფიდენციალური ხელშეწყობის გამოყენება.

მუხლი 17. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელი ორგანოების ხელშემწყობ მოქალაქეთასამართლებრივი და სოციალური დაცვის გარანტიები

1. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელი ორგანოების ხელშემწყობ პირებს სახელმწიფო იცავს.

2. თუ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელი ორგანოებისათვის ხელშეწყობის გამო ცალკეულ პირებს, ასევე მათი ოჯახების წევრებს, ახლობლებს შეექმნებათ სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან ქონების მართლსაწინააღმდეგო ხელყოფის რეალური საფრთხე, ეს ორგანოები ვალდებულნი არიან მიიღონ საჭირო ზომები ასეთი მოქმედების თავიდან ასაცილებლად, ბრალეული პირების დასადგენად და პასუხისგებაში მისაცემად.

3. ცნობები იმ პირთა შესახებ, რომლებიც კონფიდენციალურ საფუძველზე თანამშრომლობენ ან თანამშრომლობდნენ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელ ორგანოებთან, წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას და მათი გაცემა შეიძლება მხოლოდ ამ პირთა ან მათი მემკვიდრეების წერილობითი თანხმობით ან კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში.

4. პირს, რომელიც ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელ ორგანოებთან თანამშრომლობს, აქვს გასამრჯელოს მიღების უფლება.

5. პირს, რომელმაც თანხმობა განაცხადა კონტრაქტის საფუძველზე ითანამშრომლოს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელ ორგანოებთან, სახელმწიფო აძლევს გარანტიას, რომ შესრულდება კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულებანი.

6. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელ ორგანოებთან კონტრაქტის საფუძველზე მოქალაქეთა თანამშრომლობის პერიოდი, როგორც ძირითადი საქმიანობა, შედის მათ შრომით სტაჟში. აღნიშნულ პირებს აქვთ საპენსიო უზრუნველყოფის უფლება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

7. საჭიროების შემთხვევაში პირის, რომელიც თანამშრომლობს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელ ორგანოებთან, ასევე მისი ოჯახის წევრების უშიშროების უზრუნველყოფის მიზნით ტარდება მათი დაცვის სპეციალური ღონისძიებები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. თუ პირი, რომელიც კონტრაქტით თანამშრომლობს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელ ორგანოებთან, დაიღუპა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებაში მონაწილეობისას, დაღუპულის ოჯახსა და მის კმაყოფაზე მყოფთ შესაბამისი ბიუჯეტის სახსრებიდან ეძლევათ ერთდროული შემწეობა დაღუპულის ათი წლის ხელფასის ოდენობით და კანონით დადგენილი წესით ენიშნებათ პენსია მარჩენალის დაკარგვის გამო.

9. თუ პირმა, რომელიც კონტრაქტით თანამშრომლობს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელ ორგანოებთან, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებაში მონაწილეობისას მიყენებული ჭრილობის, კონტუზიის, დასახიჩრების შედეგად მიიღო ტრავმა, რომელიც გამორიცხავს მისი შემდგომი თანამშრომლობის შესაძლებლობას, მას შესაბამისი ბიუჯეტის სახსრებიდან ეძლევა ერთდროული შემწეობა ხუთი წლის ხელფასის ოდენობით და ენიშნება ინვალიდობის პენსია.

10. პირი, რომელიც კონტრაქტით თანამშრომლობს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელ ორგანოებთან და დადგენილი წესით ჩართულია დანაშაულებრივი ჯგუფის საქმიანობაში დანაშაულის გახსნისა და მისი ჩამდენი პირების დადგენის მიზნით, თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ მან ამ დროს არ ჩაიდინა ძალადობასთან დაკავშირებული დანაშაული ან მის ქმედებას მნიშვნელოვანი ზიანი არ მოჰყოლია.

თავი V

ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ფინანსური უზრუნველყოფა

მუხლი 18. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ფინანსური უზრუნველყოფა

ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განსახორციელებლად უფლებამოსილ საქართველოს სამინისტროებსა და უწყებებს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ამ მიზნით გამოე-

ყოფათ ფინანსური სახსრები, რომლებიც იხარჯება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი VI

კონტროლი და ზედამხედველობა ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობისადმი

მუხლი 19. საუწყებო კონტროლი

ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელი ორგანოების ხელმძღვანელები პერსონალურად აგებენ პასუხს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა ორგანიზებისა და ჩატარების კანონიერებაზე.

მუხლი 20. სასამართლო კონტროლი

ამ კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის "თ" და "ი" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები, რომლებიც ზღუდავს ადამიანის კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებს, დაიშვება სასამართლოს მოტივირებული გადაწყვეტილებით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 21. საპროკურორო ზედამხედველობა

1. ზედამხედველობას ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა განხორციელებისას კანონის ზუსტ და ერთგვაროვან შესრულებაზე, აგრეთვე ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა ჩატარების პროცესში მიღებულ გადაწყვეტილებათა კანონიერებაზე ახორციელებენ საქართველოს გენერალური პროკურორი და მისდამი დაქვემდებარებული პროკურორები.

2. მონაცემები იმ პირებზე, რომლებიც უწევენ ან უწევდნენ კონფიდენციალურ დახმარებას ოპერატიულ-სამძებრო ორგანოებს, თანამშრომლობენ ან თანამშრომლობდნენ მათთან, აგრეთვე ოპერატიულ-სამძებრო ხასიათის ინფორმაციის მოპოვების მეთოდები, ტაქტიკა და ორგანიზაცია არ წარმოადგენს საპროკურორო ზედამხედველობის საგანს.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვა არ ვრცელდება "პროკურატურის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ პირებზე.

თავი VII

დასკვნითი დებულებანი

მუხლი 22. დასკვნითი დებულებანი

1. ეს კანონი ამოქმედდეს 1999 წლის 15 მაისიდან.

2. დაევალოთ ამ კანონის მე-12 მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ სახელმწიფო ორგანოებს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ამ კანონის ამოქმედებიდან 3 თვის ვადაში უზრუნველყონ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის მომწესრიგებელი უწყებრივი ნორმატიული აქტების შემუშავება და მათი რეგისტრაცია.

საქართველოს პრეზიდენტი **ე. შევარდნაძე**
თბილისი,
1999 წლის 30 აპრილი.
№1933 IIს

საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის დადგენილება N 39

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის მე-17 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თანდართული დებულება.

2. ამ დადგენილების ამოქმედებიდან ორ თვეში საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ (ზ. ნოღაიდელი) კანონმდებლობით დადგენილი წესით განახორციელოს სამინისტროს ზოგიერთი ტერიტორიული ორგანოს გარდაქმნა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი საქვეუწყებო დაწესებულების ტერიტორიულ ორგანოდ.

3. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულება

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (შემდგომში – სამინისტრო) არის საქართველოს კონსტიტუციისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილი აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანო, რომელიც ახორციელებს სახელმწიფო მმართველობას საფინანსო-საბიუჯეტო, საგადასახადო და საბაჟო სფეროში; უზრუნველყოფს საქართველოს ტერიტორიაზე საბიუჯეტო, საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის დაცვასა და შესრულების კონტროლს; ახორციელებს ეკონომიური დანაშაულის სფეროში პრევენციულ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას, მოკლე-ვასა და წინასწარ გამოძიებას.

2. სამინისტრო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულე-ბებითა და შეთანხმებებით, "საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონით, "საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ" საქართველოს კანონით, საგადასახადო და საბაჟო კოდექსებით, "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავ-ლების სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით, სხვა საკანონმდებლო აქტებით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებებით, განკარგულებებით, საქართველოს მთავრობის დადგენილებებით, ამ დებულებით და სხვა სამართლებრივი აქტებით; (7.03.2007 N47)

3. თავისი ფუნქციების განხორციელებისას სამინისტრო წარმოადგენს სახელმწიფოს.

4. სამინისტრო ანგარიშვალდებულია მთავრობის წინაშე და ასრულებს კანონით გათვალისწინებულ ან მთავრობისა და პრემიერ-მინისტრის მიერ კანონის საფუძველზე დაკისრებულ ამოცანებს.

5. სამინისტროს დაფინანსების წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტი.

6. სამინისტროს აქვს დამოუკიდებელი ბალანსი და ხარჯთა ნუსხა.

7. სამინისტროს იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, 0162, ი. აბაშიძის ქ. N70.

8. სამინისტროს სრული სახელწოდებაა „საქართველოს ფინანსთა სამინისტრო".

მუხლი 2

1. სამინისტროს აქვს მრგვალი ბეჭედი სახელმწიფო გერბის გამოსახულებით და წარწერით „საქართველოს ფინანსთა სამინისტრო", შესაბამისი თარგმანით ინგლისურ ენაზე.

2. სამინისტროს მიერ სახელმწიფო დროშის გამოყენების წესი დადგენილია მოქმედი კანონმდებლობით.

3. სახელმწიფო გერბის გამოსახულება გამოიყენება როგორც სამინისტროს, ისე მის სისტემაში შემავალ დაწესებულებათა ბლანკებსა და აბრებზე.

4. სამინისტროს შეიძლება ჰქონდეს ემბლემა, რომელიც მტკიცდება და რეგისტრირდება კანონმდებლობით დადგენილი წესით. სამინისტროს ემბლემა შეიძლება გამოყენებულ იქნეს საეზიტო ბარათებზე, სხვა ბეჭდვით გამოცემებსა და სამინისტროს სუვენირებზე.

თავი II

სამინისტროს კომპეტენცია და უფლებამოსილებანი

მუხლი 3

სამინისტროს ფუნქციებია:

ა) საქართველოს კონსტიტუციისა და მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე ქვეყნის საფინანსო სისტემის მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკის რეგულირების ღონისძიებათა განხორციელება;

ბ) "საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ" საქართველოს კანონიდან გამომდინარე, ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის განვითარების ძირითადი მიმართულებების ფარგლებში საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკის ძირითად დებულებათა და საქართველოს ყოველწლიური სახელმწიფო ბიუჯეტების ძირითად მონაცემთა და მიმართულებათა ჩამოყალიბება, აგრეთვე შესაბამისი საფინანსო პროგრამების შემუშავება და მათი განხორციელება; (25.08.2005 N 148)

გ) წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონის პროექტის, ასევე საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობისა და საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მომზადება და საქართველოს კონსტიტუციითა და „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილ ვადებში მისი წარდგენა მთავრობისათვის;

დ) ამოღებულია (26.04.2006 N85)

ე) სახელმწიფო ბიუჯეტის დაბალანსების უზრუნველყოფა, ბიუჯეტის დაბალანსებისათვის საბიუჯეტო დეფიციტის ზღვრული სიდიდის გაანგარიშება და მისი შევსების წყაროების განსაზღვრა; (26.04.2006 N85)

ვ) სახელმწიფო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიებისა და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების შემოსულობათა აღრიცხვა, ანგარიშგება და ანგარიშსწორება;

ზ) ცენტრალური ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი საბიუჯეტო ორგანიზაციების ვალდებულებათა რეგისტრაცია დადგენილი წესის მიხედვით; საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ რეგისტრირებული საბიუჯეტო ვალდებულების დამოწმების შესაბამისად გადახდა დადგენილი წესის მიხედვით; უკან დასაბრუნებელ სახელმწიფო შემოსულობათა დაბრუნების პროცესის მართვა, აღრიცხვა და ანგარიშგება;

თ) ყოველწლიური სახელმწიფო ბიუჯეტის შესაბამისად ამ ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების მცურავი ყოველკვარტალური ფინანსური გეგმის შედგენა;

ი) სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენისა და შესრულების წესის შემუშავება, სახელმწიფო ბიუჯეტიდან სახსრების ხარჯვის ნორმებისა და ნორმატივების სრულყოფა;

კ) სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის აღსრულება, მის შემოსულობათა ოპერატიული მართვა, აღრიცხვა და ანგარიშგება;

ლ) საბიუჯეტო კლასიფიკაციის სტრუქტურისა და ძირითადი შემადგენლობის დამტკიცება, მათში ცვლილების შეტანა საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან შეთანხმებით;

მ) კანონმდებლობის შესაბამისად საბიუჯეტო ანგარიშგებისა და ფორმის დადგენა, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების შესრულების ანგარიშგების წარდგენის წესისა და ვადების დადგენა;

ნ) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების შესრულების პერიოდული (3 თვე, 6 თვე, 9 თვე, წლიური) ანგარიშგების შედგენისა და წარდგენის წესის, ვადებისა და ფორმების შემუშავება; (26.04.2006 N85)

ო) საქართველოს ეროვნულ ბანკთან, როგორც ფისკალურ აგენტ ბანკთან ერთად, ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მთავარი პარამეტრების დაცვაში მონაწილეობა; (26.04.2006 N85)

პ) საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკის შემუშავებაში მონაწილეობა, შესაბამისი პროგრამების შედგენა, კონცეფციების ჩამოყალიბება და მათი განხორციელების ორგანიზება; საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის საფუძველზე საგადასახადო შემოსავლების სრული მობილიზების უზრუნველყოფა გადასახადების აკრეფის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად; ამ მიზნით სათანადო წინადადებათა მომზადება და მათი განხორციელების ორგანიზება;

ჟ) საფინანსო-საბიუჯეტო, საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკის განხორციელებასთან დაკავშირებული საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, საკანონმდებლო აქტების, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებებისა და განკარგულებების, მთავრობის დადგენილებების, განკარგულებების, პრემიერ-მინისტრის ბრძანებების შესრულების ორგანიზება და კონტროლი;

რ) საგადასახადო, საბაჟო და საფინანსო-საბიუჯეტო კანონმდებლობის აღსრულებისა და გამოყენების ინსტრუქციებისა და მეთოდური მითითებების შედგენა და დადგენილი წესით მათი მოთხოვნების შესრულების უზრუნველყოფა;

ს) საგადასახადო და საბაჟო ორგანოების მუშაობით მიღწეული და მოსალოდნელი შედეგების ანალიზი და პროგნოზირება, მათი საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებისა და შემდგომი სრულყოფის შესახებ სათანადო რეკომენდაციების მომზადება;

ტ) სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად საფინანსო-ეკონომიკურ ურთიერთობათა სფეროში ჩადენილ დანაშაულთა გამოვლენა-აღკვეთა, თავიდან აცილება, წინასწარი გამოძიება; საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების შესწავლა, ანალიზი და შეფასება; ამ სფეროში დანაშაულებისა და სხვა სამართალდარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზება და მათი გამომწვევი მიზეზების აღმოსაფხვრელად შესაბამის წინადადებათა მომზადება; (7.03.2007 N47)

უ) არასაგადასახადო შემოსავლების პროგნოზირება და მათი შესრულების მიმდინარეობის ანგარიშების მომზადება;

ფ) სახელმწიფო საგარეო და საშინაო პირდაპირი და პირობითი (გარანტირებული) ფინანსური ვალდებულებების აღრიცხვა, აგრეთვე ამ ვალდებულებათა მართვასა და მომსახურებაში მონაწილეობა;

ქ) სახელმწიფოს მიმართ საქართველოს იმ ეკონომიკური აგენტების ფინანსურ ვალ-

დებულებათა აღრიცხვა, რომლებიც სარგებლობენ საგარეო წყაროებიდან მიღებული სახელმწიფო საკრედიტო რესურსებით ან კრედიტებზე სახელმწიფო გარანტიებით, აგრეთვე ამ ვალდებულებათა მართვასა და მომსახურებაში მონაწილეობა;

ღ) სახელმწიფო ვალის ფორმირების, კერძოდ, სახელმწიფო ვალად აღიარებასთან დაკავშირებული ურთიერთპრეტენზიების საკითხთა განხილვაში მონაწილეობა;

ყ) სხვადასხვა ვადიანი სახელმწიფო სასესხო ვალდებულების გამოშვების, მიმოქცევისა და დაფარვის ძირითადი პირობების შემუშავება, ემისიების განხორციელება და მის შედეგად წარმოქმნილი ვალდებულებების შესრულება;

შ) სახელმწიფოს შიდა, რესურსების ხარჯზე გაცემული სესხების მართვა; სასესხო ვალდებულებათა (დავალიანებათა) დაბრუნების უზრუნველყოფის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება; საჭიროების შემთხვევაში სასესხო ვალდებულებათა (დავალიანებათა) რესტრუქტურიზაციის თაობაზე წინადადებების მომზადება;

ჩ) აქციზური მარკების სფეროს მარეგულირებელი საკანონ-მდებლო აქტების პროექტების მომზადება, აქციზური მარკების რეალიზაცია, მარკების გამოყენებისათვის მკაცრი კონტროლის დაწესება, სამომხმარებლო ბაზარზე მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის მონიტორინგი, დასაბეჭდი აქციზური მარკების რაოდენობის განსაზღვრა და მათი ბეჭდვის ორგანიზება;

ც) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ბუღალტრული აღრიცხვის საერთო მეთოდოლოგიის შემუშავება, სამინისტროების, სხვა მხარჯავი დაწესებულებებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების საქმიანობის მეთოდოლოგიური ხელმძღვანელობა; ბუღალტრული აღრიცხვის წარმოებისა და ანგარიშგების ფორმების, ნორმებისა და წესების შემუშავება;

ძ) საიმპორტო საქონლისათვის გრანტის ან ჰუმანიტარული დახმარების სტატუსის მინიჭების საკითხის განხილვა და სათანადო გადაწყვეტილების მიღება; საქართველოს მიერ მიღებული გრანტების, ჰუმანიტარული და ტექნიკური დახმარების, სახელმწიფო სექტორში განხორციელებული ინვესტიციების აღრიცხვა და სათანადო საჯარო რეესტრების წარმოება;

წ) ჰუმანიტარული დახმარების სტატუსის მქონე საქონლის მონეტიზაციის პროგრამების განხილვა, შეთანხმება;

ჭ) უცხოური საინვესტიციო რესურსების მოზიდვაში მონაწილეობა და ქვეყანაში ინვესტიციური პოლიტიკისადმი ფინანსური მხარდაჭერა, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისა და ქვეყნების ფინანსური მხარდაჭერით დასაფინანსებელი საინვესტიციო პროექტების განხორციელების კოორდინაცია და ზედამხედველობა;

ხ) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა დადების შესაძლო ფინანსური შედეგების თაობაზე დასკვნის მომზადება;

ჯ) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად თავისი კომპეტენციის ფარგლებში სამეწარმეო საქმიანობის უფლების ლიცენზიის (ნებართვის) გაცემა და ლიცენზიის (ნებართვის) პირობების შესრულების კონტროლი;

ჰ) ამოღებულია (16.12.2004 N 115)

ჰ.ა) საქართველოს ტერიტორიაზე ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშების სახელმწიფოებრივი რეგულირება; კანონმდებლობით დადგენილი წესით აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშების თითოეული სახეობის ნებართვის გაცემა, ნებართვის მოქმედების შეჩერება, განახლება, ცვლილებების შეტანა, გაუქმება და საქმიანობის კონტროლი, აგრეთვე ამ სფეროში ნორმატიული აქტების პროექტების შემუშავება; კანონმდებლობით დადგენილი წესით ლატარიის ბილეთების, ტოტალიზატორისა და სხვა მომგებიან თამაშებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტების (ნიშნის) ლეგალიზაცია, განაღდებული და გაუქმებული ფასიანი ქაღალდების, ლატარიის ბილეთების,

ტოტალიზატორისა და სხვა მომგებიან თანმაშებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტების (ნივთის) ღირებულების მქონე და მკაცრი აღრიცხვის ბლანკების (ფორმების, დოკუმენტების) ექსპერტიზა და უტილიზაცია; (25.08.2005 N 148)

ჰ.გ) კანონმდებლობით დადგენილი წესით ვადაგადაცილებულ საგადასახადო დავალიანებათა რესტრუქტურიზაციის პროცესში მონაწილეობა, შესაბამისი ხელშეკრულებების მომზადება;

ჰ.ბ) კანონმდებლობით დადგენილი წესით მკაცრი აღრიცხვის ფორმების, მათი დამზადების, შენახვისა და გამოყენების საკითხთა მართვა, მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხის დამტკიცება, ფორმების სახის შეთანხმება და რეგისტრაცია; (25.08.2005 N 148)

ჰ.დ) ამოღებულია (ძალაშია საჯარო სამართლის იურიდიული პირის „საფინანსო-ეკონომიკური კვლევების ინსტიტუტის" შექმნის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების ამოქმედებისთანავე 5.06.2005 N 106)

ჰ.ე) სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების მიერ მიღებული წმინდა მოგების გამოყენების თაობაზე წარმოდგენილ წინადადებათა განხილვა-შეთანხმება;

ჰ.ვ) კანონმდებლობით დადგენილი საფინანსო-საბიუჯეტო, საგადასახადო და საბაჟო სფეროსთან დაკავშირებულ სხვა ფუნქციათა განხორციელება;

ჰ.ზ) იმ საჯარო სამართლის იურიდიულ პირთა სახელმწიფო კონტროლი, რომელთა მაკონტროლებელ ორგანოდ განსაზღვრულია საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, აგრეთვე „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონით მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელება.

ჰ.თ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობის მიღება საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს მუშაობაში. (24.02.2005 N30)

ჰ.ი) "ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ" ევროპის კონვენციის თანახმად საქართველოსათვის სავალდებულო ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილებების ნებაყოფლობითი აღსრულების ფინანსური საკითხების გადაწყვეტა; (5.04.2006 N 78)

თავი III

სამინისტროს ხელმძღვანელობის ორგანიზება და ხელმძღვანელთა უფლება-მოვალეობები

მუხლი 4

1. სამინისტროს ხელმძღვანელობს მინისტრი, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტის თანხმობით თანამდებობაზე ნიშნავს საქართველოს პრემიერ-მინისტრი.

2. მინისტრის უფლებამოსილების შეწყვეტა ხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3. მინისტრი:

ა) წარმოადგენს სამინისტროს და აწესრიგებს სამინისტროს გამგებლობის სფეროს მიკუთვნებულ საკითხებს;

ბ) პასუხისმგებელია საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო ხელშეკრულებისა და შეთანხმების, საკანონმდებლო აქტების, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებებისა და განკარგულებების, საქართველოს მთავრობის დადგენილებების, საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანებების, საქართველოს პარლამენტის დადგენილებების შესრულებისათვის იმ სფეროში, რომელიც სამინისტროს მმართველობას განეკუთვნება;

გ) უშუალოდ, აგრეთვე პირველი მოადგილისა და მოადგილეების, სამინისტროს ცენტრალური აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფების, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებებისა და სხვა დაქვემდებარებული სამსახურების მეშვეობით წყვეტს ამ დებულებით განსაზღვრულ საკითხებს;

დ) საქართველოს პრემიერ-მინისტრს დასანიშნად წარუდგენს მინისტრის პირველი მოადგილის, მინისტრის მოადგილეებისა და სამინისტროს დაქვემდებარებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების ხელმძღვანელთა კანდიდატურებს. (7.03.2007 N47)

ე) ამოღებულია(7.03.2007 N47)

ვ) თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სამინისტროს დაქვემდებარებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების ხელმძღვანელთა მოადგილეებს, მათი სტრუქტურული ქვედანაყოფების უფროსებსა და მათ მოადგილეებს (გარდა ამ დებულების მე-7 მუხლის პირველი პუნქტის "ა" და "ბ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დაწესებულებების სტრუქტურული ქვედანაყოფებისა, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული), საბაჟო და საგადასახადო ორგანოების ხელმძღვანელებსა და მათ მოადგილეებს, მათი სტრუქტურული ქვედანაყოფების უფროსებსა და მათ მოადგილეებს, საბაჟო საგუშაგოებისა და საბაჟო გამშვები პუნქტების უფროსებსა და მათ მოადგილეებს, მათი სტრუქტურული ქვედანაყოფების უფროსებსა და მათ მოადგილეებს, სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელებსა და მათ მოადგილეებს, მათი სტრუქტურული ქვედანაყოფების უფროსებსა და მათ მოადგილეებს, სამინისტროს ცენტრალური აპარატის საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ ყველა საჯარო მოსამსახურეს. (18.01.2006 N 12)

ზ) დადგენილი წესით საქართველოს პრემიერ-მინისტრს წარუდგენს წინადადებას სამინისტროს წლიური ბიუჯეტის შემოსავლისა და გასავლის საკითხებზე და, აუცილებლობის შემთხვევაში, დამატებითი ბიუჯეტის შესახებ; იღებს გადაწყვეტილებებს საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივი გამოყენების შესახებ; შეაქვს წინადადებები სამინისტროს წლიური ბიუჯეტის შემოსავლის საკითხებზე და პასუხისმგებელია ბიუჯეტის ზუსტი და მიზანშეწონილი შესრულებისათვის;

თ) სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებულ ასიგნებათა ფარგლებში ამტკიცებს სამინისტროს სისტემაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების ხარჯთა ნუსხას, ახორციელებს მათი შესრულების კონტროლს და, აუცილებლობის შემთხვევაში, თავისი კომპეტენციის ფარგლებში იძლევა მითითებებს საბიუჯეტო სახსრების გამოყენების შესახებ;

ი) ამტკიცებს სამინისტროს მმართველობის სფეროში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების, სტრუქტურული ერთეულების, ტერიტორიული ორგანოების სტრუქტურასა და დებულებას, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ისინი დადგენილია უპირატესი იურიდიული ძალის მქონე სხვა ნორმატიული აქტებით;

კ) პასუხისმგებელია სამინისტროს სარგებლობაში გადაცემული სახელმწიფო ქონების დაცვისა და გამოყენებისათვის და ორგანიზებას უწევს ამ საქმიანობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ლ) კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოსცემს ბრძანებებს, ინსტრუქციებსა და მეთოდურ მითითებებს და პასუხისმგებელია მათი კანონიერებისა და მიზანშეწონილობისათვის;

მ) ზედამხედველობს სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების, აგრეთვე სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულებათა და ტერიტორიულ ორგანოთა საქმიანობის კანონიერებასა და მიზანშეწონილობას; ძალადაკარგულად ცნობს პირველი მოადგილის, მოადგილეების, სამინისტროს სისტემის სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების, ტერიტორიული ორგანოების, სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელებისა და სამინისტროს სხვა თანამდებობის პირთა, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ფინანსთა სამინისტროების ხელმძღვანელების აქტებსა და მოქმედებებს, რომლებიც არ შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციას, კანონებს, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებებსა და განკარგულებებს, მთავრობის დადგენილებებს, აგრეთვე მინისტრის ბრძანებებს; მინისტრი უფლებამოსილია, აგრეთვე ძალადაკარგულად ცნოს

ზემოაღნიშნულ თანამდებობის პირთა აქტები და მოქმედებები მათი მიზანშეუწონლობის გამო;

ნ) წყვეტს სამართლებრივ დავას სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებებს, სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფებს, აგრეთვე ტერიტორიულ ორგანოებს შორის;

ო) დადგენილი წესით საქართველოს პრემიერ-მინისტრს წარუდგენს სამინისტროს საქმიანობის ანგარიშს;

პ) ახორციელებს საქართველოს კანონებით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებებითა და განკარგულებებით, მთავრობის დადგენილებებით მისთვის დაკისრებულ სხვა უფლება-მოვალეობებს;

ჟ) კანონმდებლობით დადგენილი წესით სამინისტროს უფლებამოსილ მოხელეებს აძლევს სამსახურებრივი-საშტატო, სამხედრო-საბრძოლო იარაღის, სპეციალური საშუალებების შენახვისა და ტარების უფლებას;

რ) განსაზღვრავს საგადასახადო და საბაჟო ორგანოების საქმიანობის შეფასების კრიტერიუმებს.

4. მინისტრს უფლება აქვს სამინისტროს თანამდებობის პირთა მოქმედების სამსახურებრივი ზედამხედველობა დააკისროს პირველ მოადგილეს.

5. თუ სამინისტროს გამგებლობის სფეროს მიკუთვნებული საკითხი ეხება აგრეთვე სხვა სამინისტროს კომპეტენციას, მინისტრი გადაწყვეტილებას ათანხმებს შესაბამის მინისტრთან; თანხმობის მიუღწეველობის შემთხვევაში საკითხი განიხილება მთავრობის სხდომაზე.

6. ა) მინისტრი უფლებამოსილია თავისი მმართველობის სფეროში შექმნას სათათბირო ორგანო - სათათბირო საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც შედიან: მინისტრი, მინისტრის მოადგილეები, აგრეთვე მინისტრის გადაწყვეტილებით – სამინისტროს აპარატისა და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების თანამდებობის პირები. სათათბირო საბჭოს შემადგენლობაში შეიძლება შეყვანილ იქნენ აგრეთვე სამეცნიერო დაწესებულებებისა და სხვა სამთავრობო დაწესებულებების წარმომადგენლები მხოლოდ მათი თანხმობით. სათათბირო საბჭოს საქმიანობის წესს, წევრთა რიცხოვნობასა და პერსონალურ შემადგენლობას განსაზღვრავს მინისტრი შესაბამისი ბრძანებით;

ბ) სამინისტროს საქმიანობასთან დაკავშირებული განსაკუთ-რებული მნიშვნელობის საკითხთა განხილვისა და მათ შესახებ დასკვნების მომზადების მიზნით მინისტრს შეუძლია თავისი მმართველობის სფეროში შექმნას კომისიები და საბჭოები სათათბირო უფლებით (შემდგომში – სათათბირო ორგანოები), განსაზღვროს მათი უფლება-მოვალეობანი და საქმიანობის წესი. სათათბირო ორგანოებს შეიძლება მიეცეთ გადაწყვეტილების მიღების უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს გათვალისწინებულია კანონით;

გ) სათათბირო ორგანო იქმნება მინისტრის ბრძანებით, რომლითაც განისაზღვრება მისი ამოცანები, თავმჯდომარე (თავმჯდომარის მოადგილე, მდივანი) და წევრები, სათათბირო ორგანოს საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა საკითხები;

დ) სათათბირო ორგანოს წევრად შეიძლება დაინიშნოს სხვა სამთავრობო დაწესებულების საჯარო მოსამსახურე ამ დაწესებულების ხელმძღვანელის თანხმობით; მის მუშაობაში შეიძლება ჩაბმულ იქნენ პირები, რომლებიც არ არიან საჯარო მოსამსახურეები;

ე) თუ სათათბირო ორგანოს თავმჯდომარე არ არის მოხელე, რომელიც შედის სამინისტროს ხელმძღვანელობაში, ან არ არის სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი, მინისტრი სამინისტროს ხელმძღვანელობიდან ან სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელობიდან ნიშნავს ამ ორგანოს მუშაობისათვის პასუხისმგებელ პირს;

ვ) სათათბირო ორგანოს საქმიანობასა და სხდომის ოქმების წარმოებას უზრუნველყოფს

მინისტრის აპარატი;

ზ) სათათბირო ორგანო უფლებამოსილია თავის წინაშე მდგომი ამოცანების შესასრულებლად სამინისტროს სისტემის ორგანოებიდან გამოითხოვოს საჭირო დოკუმენტები;

თ) სათათბირო ორგანოს თავმჯდომარე ანგარიშვალდებულია მინისტრის წინაშე, თუ მოქმედი კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 5

1. საქართველოს ფინანსთა მინისტრს ჰყავს პირველი მოადგილე და ხუთი მოადგილე. მინისტრის პირველ მოადგილეს და მოადგილეებს მინისტრის წარდგინებით, საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმებით, თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი.

2. მინისტრის პირველი მოადგილისა და მოადგილეების უფლებამოსილებანი განისაზღვრება მინისტრის შესაბამისი ბრძანებით.

3. მინისტრის პირველი მოადგილე ხელმძღვანელობს სამინისტროს საქმიანობას და კოორდინაციას უწევს სამსახურების ურთიერთობას მინისტრის არყოფნისას.

4. მინისტრის ერთ-ერთი მოადგილე მინისტრის დავალებით ახორციელებს საპარლამენტო მდივნის ფუნქციას.

მუხლი 6

1. გარდა ამ დებულების მე-5 მუხლით გათვალისწინებული თანამდებობის პირებისა, სამინისტროს თანამდებობის პირები არიან:

ა) სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და მათი შიდა სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები;

ბ) სამინისტროს დაქვემდებარებულ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებათა და მათი შიდა სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები;

გ) სამინისტროს ტერიტორიული ორგანოებისა და მათი შიდა სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები.

2. სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელები უშუალოდ ექვემდებარებიან მინისტრს, მინისტრის პირველ მოადგილეს ან მინისტრის მოადგილეს.

3. სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი:

ა) შიდა ქვედანაყოფების მიხედვით ანაწილებს მოვალეობებს მისდამი დაქვემდებარებული სტრუქტურული ქვედანაყოფის მოხელეებს შორის და აძლევს მათ მითითებებსა და განკარგულებებს;

ბ) თვალყურს ადევნებს სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის მოხელეთა სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებას;

გ) ხელს აწერს ან ვიზას ადებს სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფში მომზადებულ დოკუმენტებს;

დ) ანგარიშვალდებულია სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის მუშაობისათვის;

ე) წარმოადგენს სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფს საკუთარი მოვალეობის შესრულებისას და სტრუქტურული ქვედანაყოფის სახელით წარუდგენს დასკვნებს მინისტრის მოადგილეს, რომელიც მინისტრის ბრძანების შესაბამისად ხელმძღვანელობს ამ სტრუქტურულ ქვედანაყოფს;

ვ) წარუდგენს სამინისტროს ხელმძღვანელობას წინადადებებს სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების სტრუქტურის, შტატების, მუშაობის ორგანიზაციის, სტრუქტურული ქვედანაყოფის მოხელეების წახალისების ან მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;

ზ) შუამდგომლობს იმ სახსრების გამოყოფის თაობაზე, რომლებიც საჭიროა სამინისტროს

სტრუქტურული ქვედანაყოფის ამოცანების შესასრულებლად;

თ) ასრულებს ამ დებულებით, სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების დებულებით, მინისტრის და/ან უშუალო ხელმძღვანელის მიერ განსაზღვრულ ამოცანებს.

თავი IV

სამინისტროს სისტემა

მუხლი 7

1. სამინისტროს სისტემაში შედის:

ა) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრო;

ბ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრო;

გ) ამოღებულია (16.12.2004 N 115)

2. სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქ-ვეუწყებო დაწესებულებებია: (7.03.2007 N47)

ა) გენერალური ინსპექცია;

ბ) შემოსავლების სამსახური;

გ) სახაზინო სამსახური (სახაზინო დეპარტამენტი).

მუხლი 8. (23.10.2004 N 88)

სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფები არიან:

ა) საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი;

ბ) იურიდიული დეპარტამენტი;

გ) ადმინისტრაციული დეპარტამენტი;

დ) მინისტრის აპარატი;

ე) საბიუჯეტო დეპარტამენტი;

ვ)საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციების დეპარტამენტი. (16.12.2004 N 115)

ზ) ფინანსური პოლიტიკის დეპარტამენტი;

თ) საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი.

ი) ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი; (14.02.2007 N22)

თავი V

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებები და ტერიტორიული ორგანოები

მუხლი 9

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს გენერალური ინსპექცია არის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება, რომელიც დადგენილი წესით უზრუნველყოფს სამინისტროს სისტემის ორგანოებისა და მათი სტრუქტურული ქვედანაყოფების, აგრეთვე თანამდებობის პირთა მუშაობის კონტროლს, ხელმძღვანელობს მუშაობის ეფექტიანობის შემოწმებას.

2. ახორციელებს სამინისტროს სისტემის თანამდებობის პირთა და მოხელეთა მიერ დისციპლინისა და კანონიერების დაცვის კონტროლს, აწარმოებს სამსახურებრივი გადაცდომის ფაქტების სამსახურებრივ მოკვლევას, განიხილავს და ამზადებს შესაბამის დასკვნებს ამ ფაქტებთან დაკავშირებით შემოსული განცხადებებისა და ინფორმაციების შესახებ.

3. გენერალური ინსპექცია დაკისრებული ფუნქციების განხორციელების მიზნით, ფინანსთა მინისტრის ბრძანების საფუძველზე, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად

ახორციელებს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფების, საქვეუწყებო დაწესებულებებისა და ტერიტორიული ორგანოების საქმიანობის შემოწმებას.

მუხლი 10. (7.03.2007 N47)

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური (შემდგომში – შემოსავლების სამსახური) არის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება, რომლის ცალკეული სტრუქტურული ერთეულები ასრულებენ სამართალდამცავი ორგანოს ფუნქციებს.

2. სამსახური (სამსახურის უფლებამოსილი მოსამსახურე) თავისი კომპეტენციის ფარგლებში:

ა) უზრუნველყოფს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის დაცვასა და შესრულების კონტროლს;

ბ) ორგანიზაციას უწევს საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული გადასახადების, აგრეთვე სხვა კანონებით განსაზღვრული და მის კომპეტენციაში შემავალი გადასახდელების ადმინისტრირებას;

გ) ახორციელებს გადამხდელთა საგადასახადო და საბაჟო კონტროლს, აგრეთვე სახელმწიფო ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო, სახელმწიფო ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო, სანიტარიულ-საკარანტინო და სხვა კონტროლს;

დ) ახორციელებს ტერიტორიული ორგანოებისა და სპეციალიზებული სტრუქტურული ქვედანაყოფების (საგადასახადო და საბაჟო ორგანოების და სხვა) საქმიანობის მართვას, კოორდინაციას და ზედამხედველობას;

ე) შეიმუშავებს საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კოდექსებით განსაზღვრული დადგენილებებისა და ბრძანებების პროექტებს და მეთოდურ მითითებებს, აგრეთვე მონაწილეობს საგადასახადო და საბაჟო სფეროებში (მათ შორის სისხლის სამართლის სფეროში) კანონპროექტებისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების მომზადებასა და განხილვაში;

ვ) დადგენილი წესით მონაწილეობს სასამართლოში საქმეთა განხილვის დროს;

ზ) ახდენს სამსახურის სისტემაში კადრების შერჩევასა და განაწილებას, აგრეთვე ახორციელებს კადრების გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებებს;

თ) მონაწილეობს საერთაშორისო ურთიერთობებში და თანამშრომლობს საზღვარგარეთის ქვეყნების შესაბამის სამსახურებთან;

ი) იღებს გადაწყვეტილებებს "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონით მის ქვემდებარეობას მიკუთვნებული ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემის, ცვლილებების შეტანის, გაუქმების, მოქმედების შეჩერების და განახლების თაობაზე;

ი1) ახორციელებს საქართველოს ტერიტორიაზე ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშების სახელმწიფოებრივ რეგულირებას; კანონმდებლობით დადგენილი წესით აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშების თითოეულ სახეობაზე ნებართვის გაცემას, ცვლილებების შეტანას, გაუქმებას და კანონით დადგენილი წესით ნებართვის მფლობელის მიერ სანებართვო პირობების შესრულების კონტროლს, აგრეთვე ამ სფეროში ნორმატიული აქტების პროექტების შემუშავებას; ლატარიის ბილეთებისა და სხვა მომგებიან თამაშებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტების/ნივთის (გარდა ტოტალიზატორის ბილეთებისა) ლეგალიზაციას, განაღდებული და გაუქმებული ფასიანი ქაღალდების, ლატარიის ბილეთებისა და სხვა მომგებიან თამაშებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტების/ნივთის (გარდა ტოტალიზატორის ბილეთებისა) და ღირებულების მქონე ბლანკების (ფორმების, დოკუმენტების) ექსპერტიზას და უტილიზაციას; (30.05.2007 N 109)

კ) აწარმოებს საგადასახადო, საბაჟო და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა, აგრეთვე სისხლის სამართლის საქმეებს მოქმედი კანონმდებლობით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს კომპეტენციას მიკუთვნებულ სამართალდარღვევებთან და დანაშაულებთან დაკავშირებით;

ლ) უზრუნველყოფს საფინანსო-ეკონომიკურ სფეროში დანაშაულთა გამოვლენას, გახსნას და აღკვეთას, ამ მიზნით:

ლ.ა) ახორციელებს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას, იყენებს ფიზიკურ იძულებას კანონით დადგენილი წესითა და ფარგლებში;

ლ.ბ) ატარებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებას, გამოითხოვს მოსამართლის ბრძანებას კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევაში და დადგენილი წესით;

ლ.გ) წინასწარი გამოძიების სტადიაზე საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით ახორციელებს შესაბამის ექსპერტიზას;

მ) დანაშაულისა თუ სხვა სამართალდარღვევის შესახებ საკმარისი მონაცემების არსებობისას აჩერებს და ათვალიერებს სატრანსპორტო საშუალებებს, ასევე ამოწმებს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელ საბუთებს, ახდენს პირის (საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების) დაკავებას სისხლის სამართლის საპროცესო და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად;

ნ) შეიმუშავებს ერთობლივ ღონისძიებებს სხვა სამართალდამცავ ორგანოებთან ერთად, მასზე დაკისრებული ამოცანების შესრულების უზრუნველსაყოფად;

ო) სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებასთან დაკავშირებით იძახებს ფიზიკურ პირს, სთხოვს ახსნა-განმარტებას და საქმესთან (მასალებთან) დაკავშირებულ საჭირო დოკუმენტებს;

პ) ახორციელებს კანონმდებლობით დაკისრებულ სხვა უფლება-მოვალეობებს.

მუხლი 11 ამოღებულია (7.03.2007 N47)

მუხლი 12. (10.03.2005 N38)

1. სახაზინო სამსახური (სახელმწიფო ხაზინა) (შემდგომში – სახაზინო დეპარტამენტი) არის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება, რომელიც უზრუნველყოფს:

ა) სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის აღსრულებას, სახელმწიფო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების შემოსულობათა აღრიცხვას, ანგარიშგებასა და ანგარიშსწორებას;

ბ) ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული ხარჯების განწერის საფუძველზე დაფინანსების გეგმის გაშლას მხარჯავ დაწესებულებათა მიერ სახაზინო დეპარტამენტში წარმოდგენილი განაწილების მიხედვით;

გ) მხარჯავ დაწესებულებათა ვალდებულებების რეგისტრაციას დადგენილი წესის მიხედვით, საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ რეგისტრირებული საბიუჯეტო ვალდებულებების დამოწმების შესაბამისად გადახდას დადგენილი წესით;

დ) შესაბამისი საგადასახადო, საბაჟო ორგანოს ან ხელისუფლების სხვა ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე ზედმეტად ან შეცდომით გადახდილი ბიუჯეტის შემოსულობის დაბრუნებას, აღრიცხვასა და ანგარიშგებას;

ე) ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების მეთოდოლოგიის შემუშავებას.

2. სახაზინო დეპარტამენტი მხარჯავი დაწესებულებებიდან იღებს ბიუჯეტის შესრულების ბალანსს.

3. სახაზინო დეპარტამენტი მისთვის დაკისრებულ ფუნქციებს ახორციელებს სახაზინო

დეპარტამენტის ცენტრალურ აპარატში შემავალი დეპარტამენტების, ქ. ფოთისა და რეგიონალური ხაზინების მეშვეობით, რომელთა დებულებას ამტკიცებს საქართველოს ფინანსთა მინისტრი.

მუხლი 13. ამოღებულია
(ძალაშია საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ,,საფინანსო-ეკონომიკური კვლევების ინსტიტუტის" შექმნის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების ამოქმედებისთანავე 5.06.2005 N 106)

მუხლი 14. ამოღებულია (7.03.2007 N47)

მუხლი 15. ამოღებულია (16.12.2004 N 115)

მუხლი 16.
1. სამინისტროს ტერიტორიული ორგანოები იქმნება, მათი ფუნქციები, უფლებამოსილებანი და სამოქმედო ტერიტორიების დადგენის წესი განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით.
2. სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს დებულებას ამტკიცებს მინისტრი.
3. ამოღებულია (16.12.2004 N 115)

თავი VI

სტრუქტურული ქვედანაყოფის ძირითადი ამოცანები და კომპეტენცია

მუხლი 17
1. სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფს, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, არ გააჩნია აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელების უფლებამოსილება იმ პირების მიმართ, რომლებიც არ არიან სამინისტროს მოხელეები.
2. სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის ამოცანები, ხელ-მძღვანელობა, მის შემადგენლობაში არსებული შიდა სტრუქტურული ერთეულები და მათი ძირითადი ამოცანები, თანამდებობათა ნუსხა, ქვემდებარეობა და შენაცვლების წესი განისაზღვრება შესაბამისად ამ დებულებით, სამინისტროს საშტატო ნუსხით, აგრეთვე სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის დებულებით, რომელსაც ამტკიცებს მინისტრი.
3. სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფი შეიძლება დაიყოს სამმართველოებად, განყოფილებებად.

მუხლი 18. (23.07.2004 N 60)
საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის ძირითადი ამოცანებია:
ა) საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალის, კერძოდ, პირდაპირი და გარანტირებული საგარეო ვალის საპროგნოზო ზღვრული მოცულობის განსაზღვრა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში ასახვის მიზნით; მონაწილეობის მიღება ბიუჯეტის დეფიციტის ზღვრული ოდენობის შეუსების წყაროების განსაზღვრაში სახელმწიფო ვალის ფორმირების ხარჯზე;
ბ) საგარეო წყაროებიდან სახელმწიფოს მიერ მისაღები სასესხო რესურსების მოცულობის განსაზღვრა და დაგეგმვა;
გ) საგარეო კრედიტებისათვის, მათ შორის რესტრუქტურირებული კრედიტებისათვის, ვალის მომსახურების ხარჯების მოცულობის განსაზღვრა და დაგეგმვა;
დ) საგარეო კრედიტებზე გაცემული სახელმწიფო გარანტიების ძალაში შესვლის შემთხვევაში საჭირო საგარანტიო თანხის მოცულობის შეფასება და დაგეგმვა;
ე) საერთაშორისო ორგანიზაციებსა და საკრედიტო-საფინანსო დაწესებულებებში საქართველოს სააქციო/საპაიო შესატანების, ასევე აქციონერობიდან/მეპაიეობიდან გამომდინარე

ფინანსურ ვალდებულებათა აღრიცხვა და დაგეგმვა;

ვ) საგარეო ფინანსური რესურსებიდან სახელმწიფოს მიერ აღებულ კრედიტებსა და საქართველოს ეკონომიკური აგენტების მიერ აღებულ კრედიტებზე გაცემული სახელმწიფო გარანტიების აღრიცხვა;

ზ) სახელმწიფო საგარეო პირდაპირი და პირობითი ვალის რეესტრის წარმოება;

თ) სახელმწიფო საგარეო ვალების რესტრუქტურიზაციის შესახებ წინადადებების მომზადება;

ი) საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისა და ქვეყნების ან მათი წარმომადგენლების ფინანსური მხარდაჭერით დასაფინანსებელი საინვესტიციო პროექტების განხორციელების ფინანსური მონიტორინგი;

კ) საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისა და ქვეყნების ან მათი წარმომადგენლების ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი პროექტების დასაფინანსებლად საკრედიტო ხელშეკრულებების მომზადების, მოლაპარაკების გამართვის, ხელშეკრულების ხელმოწერისა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა მოქმედებათა კოორდინაცია;

ლ) საინვესტიციო პროექტების დასაფინანსებლად საგარეო წყაროებიდან მისაღები და სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანადაფინანსების სახით გასაცემი თანხების განსაზღვრა და დაგეგმვა ამ მიზნით სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონით განსაზღვრული პარამეტრის ფარგლებში;

მ) საგარეო წყაროებიდან დაფინანსებული საინვესტიციო პროექტების აღრიცხვა და მონაცემთა ბაზის შემუშავება;

ნ) სახელმწიფო საგარეო კრედიტებიდან მიღებული სესხებით ან საგარეო კრედიტებზე გაცემული სახელმწიფო გარანტიებით მოსარგებლე საქართველოს ეკონომიკური აგენტების მიერ ფინანსთა სამინისტროსთან გაფორმებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულების მონიტორინგი;

ო) ,,საგადასახადო დავალიანებების და სახელმწიფო სესხების რესტრუქტურიზაციის შესახებ'' საქართველოს კანონის შესაბამისად სახელმწიფოს საგარეო კრედიტებიდან გაცემული სესხებისა და სახელმწიფო გარანტიით გაცემული კრედიტების დაუბრუნებლობით წარმოქმნილი დავალიანების რესტრუქტურირების პროცესში მონაწილეობა;

პ) სახელმწიფოს მიერ მიღებული გრანტებისა და ტექნიკური დახმარების აღრიცხვა, საინფორმაციო ბაზის წარმოება;

ჟ) გრანტებითა და ჰუმანიტარული დახმარებით იმპორტირებული საქონლის აღრიცხვა და მისი გამოყენების მონიტორინგი;

რ) საზღვარგარეთის ქვეყნების ტექნიკური დახმარებით იმპორტირებული საქონლის აღრიცხვა და გამოყენების მონიტორინგი;

ს) საზღვარგარეთის ქვეყნების ტექნიკური დახმარების პროექტების განხორციელების კოორდინაცია;

ტ) ჰუმანიტარული დახმარების პროექტების განხორციელების კოორდინაცია;

უ) საერთაშორისო შეთანხმებების, მათ შორის საგადასახადო და საბაჟო სფეროებში მომზადება, მოლაპარაკების გამართვის ორგანიზება;

ფ) კომპეტენციის ფარგლებში საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და კონვენციებზე დასკვნების მომზადების კოორდინაცია, საერთაშორისო აქტებთან საქართველოს შეერთებისა და რატიფიკაციის თაობაზე წინადადებათა შემუშავება;

ქ) სამთავრობათაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობის კომისიების სხდომებისათვის სამინისტროს კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების მომზადების კოორდინაცია;

ღ) საბაჟო და საგადასახადო სფეროებში არსებულ საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ორგანიზება.

მუხლი 19. ამოღებულია (23.07.2004 N 60)

მუხლი 20. ამოღებულია გამოქვეყნებიდან 35-ე დღეს (23.10.2004 N 88)

მუხლი 21. ამოღებულია (02.10.2004 N 83)

მუხლი 22. (10.03.2005 N38)
იურიდიული დეპარტამენტის ძირითადი ფუნქციებია:
ა) სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და საქვეუწყებო დაწესებულებების მიერ შემუშავებული ნორმატიული აქტების პროექტებზე სამართლებრივი დასკვნების მომზადება;
ბ) იურიდიული კონსულტაციების გაწევა სამინისტროს ცენტრალური აპარატისა და სამინისტროს სისტემის ორგანოებისათვის;
გ) საფინანსო კანონმდებლობის ანალიზში მონაწილეობის მიღება მისი შემდგომი სრულყოფის მიზნით;
დ) კომპეტენციის ფარგლებში სამინისტროს სისტემის ორგანოების იურიდიული სამსახურების მუშაობის კოორდინაცია;
ე) კანონმდებლობით დადგენილი წესით სამინისტროს წარმომადგენლობის უზრუნველყოფა სასამართლოში;
ვ) საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან, მთავრობასა და სხვა სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერ-თობის კოორდინაცია;
ზ) მინისტრის მოადგილის – საპარლამენტო მდივნის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების განხორციელების ხელშეწყობა.

მუხლი 23. (23.10.2004 N 88). (20.01.2005 N 6)
ადმინისტრაციული დეპარტამენტის ძირითადი ამოცანებია:
ა) ამოღებულია (14.02.2007 N22)
ბ) ამოღებულია (14.02.2007 N22)
გ) ამოღებულია (14.02.2007 N22)
დ) ამოღებულია (14.02.2007 N22)
ე) ამოღებულია (14.02.2007 N22)
ვ) ამოღებულია (14.02.2007 N22)
ზ) ამოღებულია (14.02.2007 N22)
თ) ამოღებულია (14.02.2007 N22)
ი) ამოღებულია (14.02.2007 N22)
კ) სამინისტროს დეპარტამენტებისა და მათი შიდა ერთეულებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური პირობების შექმნა, კაპიტალური მშენებლობის სარემონტო-სამშენებლო სამუშაოთა ორგანიზება კანონმდებლობით დადგენილი წესით, აგრეთვე სახელმწიფო შესყიდვების ორგანიზება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
ლ) სამინისტროს სისტემაში საქმისწარმოების ორგანიზება;
მ) სამინისტროს სისტემაში საქმისწარმოებისათვის პასუხისმგებელი თანამშრომლებისა და სტრუქტურული ქვედანაყოფების საქმიანობის კოორდინაცია და მეთოდური ხელმძღვანელობა;
ნ) სამინისტროს სათათბირო საბჭოს საქმიანობის ორგანიზება;
ო) საარქივო საქმიანობის წარმართვა;
პ) მოქალაქეთა მიღების კოორდინაცია და ორგანიზაციული უზრუნველყოფა;
ჟ) საიდუმლო საქმისწარმოების განხორციელება, მოქმედი კანონმდებლობით გათვალის-

წინებულ შესაბამის ინფორმაციასა და დოკუმენტაციასთან დაკავშირებით საიდუმლოების რეჟიმის დაცვის უზრუნველყოფა; ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი საქვეუწყებო დაწესებულებების (გარდა შემოსავლების სამსახურისა) სამსახურებრივ-საშტატო, სამხედრო-საბრძოლო იარაღითა და საბრძოლო მასალით მომარაგება, კანონმდებლობით დადგენილი წესით შესაბამისი პირებისათვის მათი ცენტრალიზებული გაცემა და აღრიცხვა, სამინისტროს სისტემაში არსებული იარაღისა და საბრძოლო მასალების გამო საერთო პასუხისმგებლობა და კონტროლი; სამინისტროს სისტემის (გარდა შემოსავლების სამსახურისა) უფლებამოსილი საჯარო მოსამსახურის იარაღის ტარების უფლების დამადასტურებელი მოწმობების გაცემა; იარაღის ტარების უფლების მქონე ფინანსთა სამინისტროს სისტემის თანამდებობის პირთა ერთიანი რეესტრის წარმოება; (7.03.2007 N47)

რ) ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატისა და სისტემის ორგანიზაციათა ბიუჯეტის პროექტის შედგენა და ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტში წარდგენა;

ს) წლიური საბიუჯეტო კანონით ფინანსთა სამინისტროს სისტემის ორგანიზაციათა ამოცანებისა და ფუნქციების შესრულების მიზნით გამოყოფილი ფულადი სახსრების მართვა;

ტ) ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატისა და სამინისტროს სისტემის ნაერთი ბალანსის შედგენა;

უ) წლიური და კვარტალური სტატისტიკური ანგარიშების შედგენა მათი დანიშნულებისამებრ წარდგენის მიზნით.

მუხლი 24. ამოღებულია გამოქვეყნებიდან 35-ე დღეს (23.10.2004 N 88)

მუხლი 25.

მინისტრის აპარატის ძირითადი ამოცანებია მინისტრის საქმიანობის ორგანიზაციული და ადმინისტრაციული უზრუნველყოფა; ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფების, საქვეუწყებო დაწესებულებებისა და სხვა ორგანოების საქმიანობის კოორდინაციაში მონაწილეობის მიღება; სამინისტროში შემოსულ საკონტროლო დავალებათა შესრულების კონტროლი; მინისტრის დავალებებისა და ბრძანებების შესრულების კონტროლი; მინისტრის სათათბირო ორგანოების სხდომების ორგანიზაცია; პროტოკოლის წარმოება; მინისტრის რეზოლუციების პროექტების მომზადება; სამინისტროს კომპეტენციას მიკუთვნებულ სხვადასხვა საკითხებზე მუშაობა.

მუხლი 26. ამოღებულია (02.10.2004 N 83)

მუხლი 27. (23.07.2004 N 60)

საბიუჯეტო დეპარტამენტის ძირითადი ამოცანებია:

ა) ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება და საშუალოვადიანი საბიუჯეტო პოლიტიკის განსაზღვრის მიზნით წინადადებების, ანალიზური მასალებისა და საპროგნოზო გაანგარიშების მომზადება;

ბ) საბიუჯეტო პროცესის მარეგულირებელი საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება;

გ) წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონის პროექტის მომზადება და ამ მიზნით საჭირო სამუშაოთა ორგანიზება და შესრულება, ამ კანონის ამოქმედებისათვის საჭირო საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების პროექტის მომზადება;

დ) დასაგეგმი წლის დაწყებამდე წლიური საბიუჯეტო კანონის მიუღებლობის შემთხვევაში "საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად

წინადადებების მომზადება მხარჯავი დაწესებულებებისათვის გასაცემი თანხების თაობაზე; (26.04.2006 N85)

ე) წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში ,,საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ'' საქართველოს კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში ცვლილებების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის პროექტის მომზადება და ამ მიზნით სამუშაოთა ორგანიზება და შესრულება;

ვ) წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის მიხედვით განსაზღვრული წლიური ასიგნებების ფარგლებში ამ ასიგნებათა კვარტალური გაწერის პროექტის მომზადება და მინისტრის ბრძანების მიხედვით თითოეული მხარჯავი დაწესებულებისათვის მიწოდება;

ზ) მინისტრის მიერ დადგენილი წესის თანახმად მხარჯავი დაწესებულებებისათვის ან სპეციალური სახელმწიფო ფონდისათვის გამოყოფილ ასიგნებათა მთლიანი ოდენობიდან თანხების ერთ ან მეტ ასიგნებაზე დანაწილების შესახებ წინადადების მომზადება;

თ) ''საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ'' საქართველოს კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში საგანგებო ბიუჯეტის პროექტის მომზადება, საჭირო სამუშაოების ორგანიზება და შესრულება; (26.04.2006 N85)

ი) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად საბიუჯეტო კლასიფიკაციის შემუშავებაში მონაწილეობის მიღება და შესაბამისი ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება;

კ) ამოღებულია (26.04.2006 N85)

ლ) საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ'' საქართველოს კანონით დადგენილ ვადებში სახელმწიფო ბიუჯეტის პერიოდული (3 თვე, 6 თვე, 9 თვე, წლიური) შესრულების ანგარიშის მომზადება, სამუშაოთა ორგანიზება და შესრულება; (26.04.2006 N85)

მ) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, სხვა ტერიტორიული ერთეულების საბიუჯეტო პოლიტიკის ძირითადი დებულებებისა და მათი შემდგომი სრულყოფის თაობაზე წინადადებათა შემუშავება;

ნ) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებისადმი საფინანსო-საბიუჯეტო საქმიანობის სფეროში მეთოდური ხელმძღვანელობა და პრაქტიკული დახმარების გაწევა;

ო) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების შესრულების ანგარიშგების შედგენისა და წარდგენის წესის, ვადებისა და ფორმების შემუშავება;

პ) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების შემოსავლებისა და ხარჯების პერიოდული (ყოველთვიური, 3 თვე, 6 თვე, 9 თვე, ყოველწლიური) აღრიცხვა და ანგარიშგების შედგენა; (26.04.2006 N85)

ჟ) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადასაცემი ტრანსფერის თაობაზე წინადა-დებებისა და სათანადო ნორმატიული აქტების შემუშავება; (26.04.2006 N85)

რ) საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის საპროგნოზო ზღვრული მოცულობის განსაზღვრა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში ასახვის მიზნით; მონაწილეობის მიღება ბიუჯეტის დეფიციტის ზღვრული ოდენობის შევსების წყაროების განსაზღვრაში სახელმწიფო ვალის ფორმირების ხარჯზე;

ს) საშინაო წყაროებიდან სახელმწიფოს მიერ მისაღები სასესხო რესურსების მოცულობის განსაზღვრა და დაგეგმვა;

ტ) სახელმწიფო საშინაო ვალის ფორმირების, მათ შორის სახელმწიფო საშინაო ვალად აღიარებასთან დაკავშირებული ურთიერთპრეტენზიების საკითხთა განხილვაში

მონაწილეობის მიღება;

უ) სახელმწიფო საშინაო ვალის რეესტრის წარმოება. (26.04.2006 N85)

ფ) სახელმწიფო საშინაო ვალების რესტრუქტურიზაციის შესახებ წინადადებათა მომზადება;

ქ) სხვადასხვავადიანი სახელმწიფო სასესხო ვალდებულებების (სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების) გამოშვების, მიმოქცევისა და დაფარვის ძირითადი პირობების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება;

ღ) ამოღებულია(10.03.2005 N38)

ყ) ამოღებულია(10.03.2005 N38)

შ) ამოღებულია(10.03.2005 N38)

ჩ) ამოღებულია(10.03.2005 N38)

ც) „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ" ევროპის კონვენციის თანახმად საქართველოსათვის სავალდებულო ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილებების ნებაყოფლობითი აღსრუ-ლე-ბის ფინანსური საკითხების გადაწყვეტისათვის წინადადებების მომზადება; (5.04.2006 N 78)

მუხლი 28 ამოღებულია (23.07.2004 N 60)

მუხლი 29. (16.12.2004 N 115)

საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციების დეპარტამენტი უზრუნველყოფს:

ა) სამინისტროს საქმიანობის გამჭვირვალობასა და დემოკრატიზაციას;

ბ) ფინანსთა სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულებების საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურების კოორდინირებულ საქმიანობას;

გ) მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით ფინანსთა სამინისტროს როლისა და მნიშვნელობის განმარტებას სახელმწიფო პოლიტიკის, მისი პრიორიტეტების, ეკონომიკური რეფორმების პროცესში;

დ) სამინისტროში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებული ოფიციალური შეტყობინებების, განცხადებებისა და სხვა საინფორმაციო მასალების მომზადებასა და მასობრივი საინფორმაციო საშუალებებისათვის მიწოდებას;

ე) სამინისტროს მიერ ორგანიზებული ღონისძიებების, მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ინფორმირებას;

ვ) საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.

მუხლი 30 ამოღებულია გამოქვეყნებიდან 35-ე დღეს (23.10.2004 N 88)

მუხლი 31 ამოღებულია გამოქვეყნებიდან 35-ე დღეს (23.10.2004 N 88)

მუხლი 32 ამოღებულია (12.06.2004 N 49)

მუხლი 33 ამოღებულია (23.07.2004 N 60)

მუხლი 34 ამოღებულია (23.07.2004 N 60)

მუხლი 35 ამოღებულია (23.07.2004 N 60)

მუხლი 36 (25.08.2005 N 148)

ფინანსური პოლიტიკის დეპარტამენტის ამოცანებია:

ა) ქვეყანაში არსებული საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებისათვის კონკრეტულ

წინადადებათა მომზადება;

ბ) მოსაკრებლის სფეროში ერთიანი კომპლექსური საკანონმდებლო აქტების პაკეტის შემუშავება და სრულყოფა;

გ) სახელმწიფოს შიდა და საგარეო საკრედიტო რესურსების ხარჯზე გაცემული სესხების ერთიანი რეესტრის წარ-მოება, სახელმწიფოს შიდა საკრედიტო რესურსების ხარჯზე გაცემული სესხების მართვისა და რესტრუქტურიზაციის საკითხთა განხილვა და მათზე შესაბამისი წინადადებების მომზადება;

დ) "გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად სასესხო დავალიანებათა მქონე სახელმწიფო სესხებით მოსარგებლე საწარმოების მიმართ დაწყებული გაკოტრებისა და რეაბილიტაციის პროცესებში მონაწილეობა;

ე) სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედ საწარმოთა მიერ მიღებული წმინდა მოგების გამოყენების თაობაზე წარმოდგენილი წინადადებებისა და დოკუმენტების განხილვა;

ვ) საგადასახადო-საბაჟო კანონმდებლობის სრულყოფის მიზნით საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკის მიმართულებათა შემუშავება და შესაბამისი პროექტების მომზადება;

ზ) საგადასახადო-საბაჟო კანონმდებლობის ევაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მოთხოვნებთან შესაბამისობისა და ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის შესახებ წინადადებათა მომზადება;

თ) სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითად მიმართულებათა და მაჩვენებელთა შემუშავებისათვის ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ძირითადი მაკროეკონომიკური და საბიუჯეტო მაჩვენებლების ანალიზი და პროგნოზული გაანგარიშების განხორციელება;

ი) წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მომზადებაში მონაწილეობა;

კ) სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისათვის წინადადებათა მომზადება;

ლ) ქვეყნის ეკონომიკის ფინანსური განვითარების ამსახველი მაჩვენებლების შესახებ სათანადო ანალიტიკური მასალებისა და ინფორმაციის მომზადება;

მ) სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის სამუშაოთა ორგანიზება და მონაცემთა გაერცელება ქვეყანაში მიღებული სტატისტიკური მეთოდოლოგიით და საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციათა გათვალისწინებით;

ნ) მკაცრი აღრიცხვის ფორმების, მათი დამზადების, შენახვისა და გამოყენების საკითხთა მართვა;

ო) მკაცრი აღრიცხვის ფორმების ბეჭდვის, შენახვისა და გამოყენების შესახებ ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება, მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხის დამტკიცება, ფორმების სახის შეთანხმება და რეგისტრაცია;

პ) ამოღებულია (30.05.2007 N 109)

ჟ) ამოღებულია (30.05.2007 N 109)

რ) მკაცრი აღრიცხვის ბლანკების (ფორმების, დოკუმენ-ტების) ექსპერტიზა და უტილიზაცია; (30.05.2007 N 109)

ს) ბიუჯეტების საშემოსავლო ნაწილის პარამეტრების წლიური გეგმების თვეებისა და კვარტალების მიხედვით გაწერის შესახებ წინადადებებისა და შესაბამისი პროექტების მომზადება, მათ შორის საგადასახადო და საბაჟო ორგანოების მიხედვით;

ტ) დამტკიცებული გაწერის საფუძველზე ბიუჯეტების საშემოსავლო ნაწილის შესრულების მიმდინარეობის ყოველთვიური და ყოველკვარტალური მონიტორინგი, მის საფუძველზე საჭიროების შემთხვევაში საბიუჯეტო შემოსავლების ყოველთვიური გაწერის კორექტირების შესახებ წინადადებებისა და შესაბამისი პროექტების მომზადება;

უ) ნაერთი და სახელმწიფო ბიუჯეტების საშემოსავლო ნაწილის შესრულების ყოველ-

თვიური ანგარიშების მომზადება. საშემოსავლო ნაწილის შესრულების ანალიზი და საჭიროების შემთხვევაში საკანონმდებლო ღონისძიებათა შესახებ წინადადებების მომზადება;

ფ) "საგადასახადო დავალიანებებისა და სახელმწიფო სესხების რესტრუქტურიზაციის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად ვადაგადაცილებულ საგადასახადო დავალიანებათა რესტრუქტურიზაციის თაობაზე წინადადებების შემუშავება და ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი;

ქ) საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოში წარდგენილი საგადასახადო დავების შესახებ მასალების დამუშავება და საბჭოს სხდომების ორგანიზება;

მუხლი 37 (02.10.2004 N 83)

საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის ძირითადი ამოცანებია:

ა) სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებაში არსებული მონაცემთა ბაზების გაერთიანება ერთიან მონაცემთა ბაზაში და ამ ინფორმაციის საიმედო და ეფექტიანი მომსახურება, უწყებისათვის საინტერესო ინფორმაციის მოძიება, შეგროვება და გადამუშავებული სახით დაინტერესებული ქვედანაყოფებისათვის მიწოდება;

ბ) ინფორმაციის დაცვის საიმედოობის თანამედროვე პროგრამული და ტექნიკური საშუალებების გამოყენებით უზრუნველყოფა;

გ) უწყებაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებისა და ტერიტორიული სამსახურების სტანდარტული საინფორმაციო სისტემებითა და კომპიუტერული ტექნიკით უზრუნველყოფა;

დ) სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ ქვედანაყოფებსა და რეგიონალურ სამსახურებს შორის საინფორმაციო-საკომუნიკაციო საშუალებების გამართული მუშაობის ხელშეწყობა და შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის ზუსტი კონფიგურირება, აგრეთვე სამინისტროს ლოკალური კომპიუტერული ქსელის მომსახურება;

ე) ახალი პროგრამული პროდუქციის შემოწმება სისტემაში შემავალი ქვედანაყოფების სპეციფიკის გათვალისწინებით და ამ პროგრამული სისტემების დანერგვა რეგიონალურ სამსახურებში, პროგრამული სისტემების ცვლილებების შეტანა ახალი მოთხოვნილებების გათვალისწინებით, შემოსული ინფორმაციის დამუშავების მეთოდებისა და ალგორითმების გამოკვლევა და დადგენა, მათ საფუძველზე ტექნიკური პროექტებისა და დავალებების შემუშავება;

ვ) მომხმარებლების ინფორმაციასთან წვდომის იერარქიული დონეების გათვალისწინებით, კონსოლიდირებულ მონაცემებზე დაყრდნობით საცნობარო, საძიებო, ანალიტიკური და ექსპერტული სისტემების პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება, რომელიც განახორციელებს ცალკეული გადასახადების მიხედვით შემოსავლების, საგარეო-ეკონომიკური საქმიანობისა და გადამხდელის შესახებ სრული საინფორმაციო პაკეტის მონიტორინგს;

ზ) ერთიან მონაცემთა ბაზაზე დაყრდნობით ანალიტიკურ-სტატისტიკური ფორმების, სისტემაში შემავალი უწყებებისა და ტერიტორიული სამსახურების ინფორმაციით უზრუნველყოფა მათი კომპეტენციის ფარგლებში;

თ) მონაწილეობა ქვეყნის სახელმწიფო ფინანსების ფაქტობრივი მაჩვენებლების ამსახველი სტატისტიკურ-საინფორმაციო კრებულების შედგენა-გამოცემის სამუშაოებში, სახელმწიფო ბიუჯეტის დაგეგმვისა და შესრულების მიმდინარეობის შესახებ საინფორმაციო ფორმების დამუშავებაში;

ი) სამინისტროს ვებ-გვერდის ადმინისტრირებისა და გვერდზე საჯარო ინფორმაციის განთავსების უზრუნველყოფა.

მუხლი 38. (14.02.2007 N22)

ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის ძირითადი ამოცანებია:

ა) ვაკანტურ თანამდებობათა დასაკავებლად კონკურსის ორგანიზება და გამართა;

ბ) საჯარო მოსამსახურეთა ატესტაციების ორგანიზება და გამართვა;

გ) საკადრო რესურსების მართვის (მიღება, გათავისუფლება, დაწინაურება და სხვ.) პერიოდული ანალიზი და შესაბამისი სტატისტიკის შექმნა;

დ) საჯარო მოსამსახურეთა პირადი საქმეების წარმოება, ჩანაწერების შეტანა მოხელეთა შრომის წიგნაკებში;

ე) საჯარო მოსამსახურეებისათვის კონსულტაციების გაწევა მათი სამართლებრივი მდგომარეობის, შეზღუდვებისა და სამსახურის გავლასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე;

ვ) საჯარო მოსამსახურეთა გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება;

ზ) სახელმწიფო სპეციალურ წოდებათა მინიჭების მიზნით მასალების მომზადება;

თ) სამინისტროს სისტემის თანამდებობის პირთა მიერ მოქმედი კანონმდებლობის თანახმად ქონებრივი მდგომარეობისა და საფინანსო დეკლარაციის და სხვა მოსამსახურეთა მიერ შემოსაელებისა და ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების შესაბამის ორგანოებში ჩაბარების ორგანიზება და გაკონტროლება;

ი) თავისი კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს ფინანსთა მინისტრის ნორმატიული და ინდივიდუალური ხასიათის აქტების მომზადება.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 2 მარტი ბრძანება N 170

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცებისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის, საბაჟო დეპარტამენტისა და საბაჟო დეპარტამენტის რეორგანიზაციის შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის, "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-2, მე-5, მე-6 და მე-7 პუნქტებისა და საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის N39 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ი" ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის დებულება".

2. შემოსავლების სამსახურის უფროსმა 2007 წლის 17 აპრილამდე უზრუნველყოს: (13.04.2007 N342)

ა) საგადასახადო და საბაჟო დეპარტამენტებისა და ფინანსური პოლიციის ცენტრალური აპარატის (მათ შორის საგამოძიებო დეპარტამენტის რეგიონალური სტრუქტურული ერთეულების) რეორგანიზაცია;

ბ) შემოსავლების სამსახურის ცენტრალური აპარატის სტრუქტურისა და საშტატო ნუსხის დამტკიცება და მითითებული საშტატო ნუსხიდან და სტრუქტურიდან გამომდინარე საგადასახადო და საბაჟო დეპარტამენტებისა და ფინანსური პოლიციის ცენტრალური აპარატის (მათ შორის საგამოძიებო დეპარტამენტის რეგიონალური სტრუქტურული

ერთეულების) მოსამსახურეთა დანიშვნა შემოსავლების სამსახურის ცენტრალური აპარატის შესაბამის თანამდებობებზე ხელშეკრულებით არა უმეტეს 6 თვის ვადით, ან მოვალეობის შემსრულებლად, ან გამოსაცდელი ვადით.

გ) შემოსავლების სამსახურის მოსამსახურეთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების დასამტკიცებლად წარმოდგენა საქართველოს ფინანსთა სამინისტროში.

3. საგადასახადო და საბაჟო დეპარტამენტებისა და ფინანსური პოლიციის მოსამსახურეები, მიუხედავად იმისა ფორმალურად მოხდა თუ არა მათი გადანიშვნა შემოსავლების სამსახურში, ექვემდებარებიან შემოსავლების სამსახურის ხელმძღვანელობას. მითითებული მოსამსახურეები განთავისუფლებამდე ან შემოსავლების სამსახურში გადანიშვნამდე, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, "ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონით, "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით, საგადასახადო და საბაჟო კოდექსებით განსაზღვრულ მოქმედებებს ახორციელებენ და შესაბამის დოკუმენტებს აფორმებენ პირველ პუნქტში მითითებული დებულების ამოქმედებამდე მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში.

4. იმ შემთხვევაში, თუ ვერ ხერხდება საგადასახადო და საბაჟო დეპარტამენტებისა და ფინანსური პოლიციის ცენტრალური აპარატის მოსამსახურეთა გადაყვანა შემოსავლების სამსახურის ცენტრალური აპარატის შესაბამის თანამდებობაზე ისინი ითვლებიან სამსახურიდან განთავისუფლებულებად და შემოსავლების სამსახურის უფროსი, ხოლო შესაბამის თანამდებობებზე საქართველოს ფინანსთა მინისტრი შემოსავლების სამსახურის უფროსის წარდგინებით გამოცემს შესაბამის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

5. მოსამსახურე შეიძლება განთავისუფლდეს თანამდებობიდან, როგორც გაფრთხილების ვადის გასვლამდე, ისე გაფრთხილების ვადის გასვლის შემდეგ ნებისმიერ დღეს.

6. თუ მოსამსახურეები განთავისუფლდნენ რეორგანიზაციის საფუძველზე გაფრთხილების ვადის გასვლამდე, მათ მიეცემათ ხელფასი განთავისუფლებიდან გაფრთხილების ვადის გასვლამდე და კომპენსაცია სამსახურის შექმნის დღემდე არსებული 2 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით. გაფრთხილების ვადის გასვლის შემდეგ (მიუხედავად იმისა თუ რამდენი დღე გადაცდება გაფრთხილების ვადას) რეორგანიზაციის საფუძველზე განთავისუფლებულ პირებს მიეცემათ განთავისუფლებამდე სამსახურში ყოფნის ხელფასი და კომპენსაცია სამსახურის შექმნის დღემდე არსებული 2 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით. კომპენსაციები არ გაიცემა შემოსავლების სამსახურში დანიშნულ პირებზე.

7. საგადასახადო დეპარტამენტისა და საბაჟო დეპარტამენტის ტერიტორიული ორგანოების რეორგანიზაციამდე შემოსავლების სამსახურის უფროსმა 2007 წლის 1 აპრილამდე უზრუნველყოს ამ ორგანოების მოსამსახურეების ავტომატური გადანიშვნა საგადასახადო და საბაჟო ორგანოების შესაბამის თანამდებობებზე.

8. შემოსავლების სამსახურმა უზრუნველყოს საგადასახადო და საბაჟო ორგანოებისა და ფინანსური პოლიციის მიერ გამოყენებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების, შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსითა და "ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული საპროცესო და სხვა დოკუმენტებისა და ფორმების, აგრეთვე სამსახურებრივ-საშტატო იარაღის ტარების უფლების დამადასტურებელი მოწმობისა და შესაბამისი ბეჭდის შეცვლა და საჭიროების შემთხვევაში მათი უნიფიცირება. ახალი ფორმების (დოკუმენტების, მოწმობებისა და ბეჭდების) დამტკიცებამდე და დამზადებამდე გამოყენებულ იქნეს ძველი ფორმები (დოკუმენტები, მოწმობები და ბეჭდები). (19.03.2007 N219)

9. ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

ა) საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 7 აგვისტოს N932 ბრძანება ,,საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის დებულების დამტკიცების თაობაზე";

ბ) საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 25 აპრილის N285 ბრძანება "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის დებულების დამტკიცების თაობაზე";

გ) საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2004 წლის 18 მარტის N163 ბრძანება "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის დებულების დამტკიცების შესახებ".

10. ბრძანება ამოქმედდეს 2007 წლის 5 მარტს.

ა. ალექსიშვილი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის დებულება (13.04.2007 N342)

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური (შემდგომში სამსახური) არის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება, რომლის ცალკეული სტრუქტურული ერთეულები ასრულებენ სამართალდამცავი ორგანოს ფუნქციებს.

2. სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო ხელშეკრულებების, საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის, ,,ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ» საქართველოს კანონის, ,,საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსაველების სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების, ამ დებულებისა და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად.

3. სამსახურს აქვს ბეჭედი საქართველოს სახელმწიფო გერბის გამოსახულებით და საკუთარი დასახელებით, დამოუკიდებელი ბალანსი, ანგარიშსწორების ანგარიშები ხაზინაში.

4. სამსახურის ადგილსამყოფელია ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N16. (6.06.2007 N 607)

მუხლი 2. სამსახურის დაფინანსება

სამსახური ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

მუხლი 3. წარმომადგენლობა

1. სამსახური ახორციელებს სახელმწიფოს წარმომადგენლობას და მოქმედებს სახელმწიფოს სახელით მისთვის კანონმდებლობით დაკისრებული უფლებამოვალეობების განხორციელებისას.

2. სამსახურის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირია სამსახურის უფროსი.

3. ცალკეული საკითხების გადაწყვეტისას სამსახურის წარმომადგენლობის უფლებამოსილება სამსახურის უფროსის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით შეიძლება დელეგირებულ იქნას სამსახურის სხვა მოხელეებზე ან სტრუქტურულ ქვედანაყოფებზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

მუხლი 4. სამსახურის ფუნქციები და უფლებამოსილებები

სამსახური (სამსახურის უფლებამოსილი მოსამსახურე) თავისი კომპეტენციის ფარგლებში:

ა) უზრუნველყოფს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის დაცვასა და შესრულებაზე კონტროლს;

ბ) ორგანიზაციას უწევს საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული გადასახადების, აგრეთვე სხვა კანონებით განსაზღვრული და მის კომპეტენციაში შემავალი გადასახდელების ადმინისტრირებას;

გ) ახორციელებს გადამხდელთა საგადასახადო და საბაჟო კონტროლს, აგრეთვე სახელმწიფო ფიტოსანიტარული სასაზღვრო-საკარანტინო, სახელმწიფო ვეტერინალური სასაზღვრო-საკარანტინო, სანიტარულ-საკარანტინო და სხვა კონტროლს;

დ) ახორციელებს ტერიტორიული ორგანოებისა და სპეციალიზირებული სტრუქტურული ქვედანაყოფების საქმიანობის მართვას, კოორდინაციას და ზედამხედველობას;

ე) შეიმუშავებს საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კოდექსებით განსაზღვრული დადგენილებებისა და ბრძანებების პროექტებს და მეთოდურ მითითებებს, აგრეთვე მონაწილეობს საგადასახადო და საბაჟო სფეროში, სისხლის სამართლის სფეროში კანონპროექტებისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების მომზადებასა და განხილვაში კომპეტენციის ფარგლებში;

ვ) დადგენილი წესით მონაწილეობს სასამართლოში საქმეთა განხილვის დროს;

ზ) ახდენს სამსახურის სისტემაში კადრების შერჩევასა და განაწილებას, ახორციელებს ღონისძიებებს კადრების გადამზადებისა და კვალიფიციის ამაღლებისათვის;

თ) მონაწილეობს საერთაშორისო ურთიერთობებში და თანამშრომლობს საზღვარგარეთის ქვეყნების შესაბამის სამსახურებთან;

ი) იღებს გადაწყვეტილებებს «ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ» საქართველოს კანონით მის ქვემდებარეობას მიკუთვნებული ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემის, ცვლილებების შეტანის, გაუქმების, მოქმედების შეჩერების და განახლების თაობაზე;

კ) აწარმოებს საგადასახადო, საბაჟო და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა, სისხლის სამართლის საქმეებს მოქმედი კანონმდებლობით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს კომპეტენციას მიკუთვნებულ სამართალდარღვევებთან და დანაშაულებებთან დაკავშირებით;

ლ) უზრუნველყოფს საფინანსო-ეკონომიკურ სფეროში დანაშაულთა გამოვლენას, გახსნას და აღკვეთას და ამ მიზნით:

ლ.ა) ახორციელებს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას, იყენებს ფიზიკური იძულებას კანონით დადგენილი წესითა და ფარგლებში;

ლ.ბ) ატარებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ ყველა საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებას, გამოითხოვს მოსამართლის ბრძანებას კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევაში და დადგენილი წესით;

ლ.გ) წინასწარი გამოძიების სტადიაზე საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით ახორციელებს შესაბამის ექსპერტიზას;

მ) დანაშაულისა თუ სხვა სამართალდარღვევის შესახებ საკმარისი მონაცემების არსებობისას აჩერებს და ათვალიერებს სატრანსპორტო საშუალებებს, ასევე ამოწმებს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი საბუთებს, ახდენს პირის (საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების) დაკავებას სისხლის სამართლის საპროცესო და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად;

ნ) შეიმუშავებს ერთობლივ ღონისძიებებს სხვა სამართალდამცავ ორგანოებთან ერთად, მასზე დაკისრებული ამოცანების შესრულების უზრუნველსაყოფად;

ო) სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოებასთან დაკავშირებით, იძახებს ფიზიკური პირს, სთხოვს ახსნა-განმარტებას და საქმესთან (მასალებთან) დაკავშირებულ საჭირო დოკუმენტებს;

პ) ახორციელებს კანონმდებლობით დაკისრებულ სხვა უფლება-მოვალეობებს.

მუხლი 5. სამსახურის ხელმძღვანელობა

1. სამსახურს ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი, რომელსაც საქართველოს ფინანსთა მინისტრის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი.

2. სამსახურის უფროსი:

ა) წარმოადგენს სამსახურს ან უფლებამოსილებას ანიჭებს სამსახურის წარმომადგენლობაზე, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;

ბ) ხელმძღვანელობს და კოორდინაციას უწევს სამსახურის საქმიანობას, უზრუნველყოფს კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების ჯეროვან შესრულებას;

გ) ანაწილებს ფუნქციებს სამსახურის უფროსის მოადგილეებს შორის, კოორდინაციას უწევს მათ მუშაობას, განსაზღვრავს სამსახურის მოსამსახურეთა ფუნქციებსა და მათი პერსონალური პასუხისმგებლობის საკითხებს;

დ) უშუალოდ, ხოლო დელეგირების შემთხვევაში _ სამსახურის მოხელეების, ცენტრალური აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფების, ტერიტორიული ორგანოების და მათი სტრუქტურული ქვედანაყოფების მეშვეობით წყვეტს სამსახურის კომპეტენციას მიკუთნებულ საკითხებს;

ე) გამოსცემს მეთოდურ მითითებებს, რომელთა შესრულებაც სავალდებულოა სამსახურის საჯარო მოსამსახურეთათვის, ახორციელებს სამსახურებრივ ზედამხედველობას, უზრუნველყოფს და ახორციელებს სამსახურის მოსამსახურეთა წახალისებასა და დისციპლინურად დასჯას;

ვ) თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სამსახურის საჯარო მოსამსახურეებს, რომელთა დანიშვნისა და განთავისუფლების კომპეტენციაც არ გააჩნია საქართველოს ფინანსთა მინისტრს საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის N39 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების საფუძველზე;

ზ) კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს;

თ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ანიჭებს სპეციალურ წოდებებს და შუამდგომლობს ფინანსთა მინისტრის წინაშე თანამშრომლებისათვის შესაბამისი სპეციალური წოდებების მინიჭების თაობაზე;

ი) ბიუჯეტით განსაზღვრული წლიური ხელფასის ფონდისა და საშტატო რიცხოვნების ფარგლებში შეიმუშავებს და წარუდგენს მინისტრს დასამტკიცებლად სამსახურის ცენტრალური აპარატის, ტერიტორიული ორგანოებისა და სტრუქტურული ქვედანაყოფების საშტატო ნუსხასა და სტრუქტურას;

კ) საქართველოს ფინანსთა მინისტრს წარუდგენს წინადადებებს შემოსავლების სამსახურში სამსახურის გაელის საკითხების გადაწყვეტის შესახებ და სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების თაობაზე;

ლ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში, განკარგავს სამსახურისათვის გამოყოფილ ფულად სახსრებს, პასუხისმგებელია სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შენახვასა და მიზნობრივად გამოყენებაზე;

მ) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ქმნის უფროსის სათათბირო ორგანოს და განსაზღვრავს მის რიცხოვნობას და პერსონალურ შემადგენლობას;

ნ) კომპეტენციის ფარგლებში იღებს გადაწყვეტილებებს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელებაზე;

ო) კომპეტენციის ფარგლებში ძალადაკარგულად ცნობს სამსახურის შესაბამისი მოსამსახურეების საქართველოს კანონმდებლობასთან შეუსაბამო ან მიზანშეუწონელ გადაწყვეტილებებს;

პ) კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში ამტკიცებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;

ჟ) ახორციელებს კანონმდებლობით მის კომპეტენციას მიკუთვნებულ სხვა უფლება-მოვალეობებს.

3. სამსახურის უფროსი ანგარიშვალდებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის წინაშე.

4. სამსახურის უფროსს ჰყავს სამსახურის საშტატო განრიგით გათვალისწინებული რაოდენობის მოადგილე, რომლებიც ხელმძღვანელობენ უფროსის მიერ განსაზღვრულ მიმართულებებს.

5. სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფების, ტერიტორიული ორგანოებისა და სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები წარმართავენ შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფების, ტერიტორიული ორგანოებისა და ერთეულების საქმიანობას.

6. სამსახურის უფროსის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ფინანსთა მინისტრის დავალებით ასრულებს უფროსის ერთ-ერთი მოადგილე.

მუხლი 6. სამსახურის სტრუქტურა

1. სამსახური დაკისრებულ მოვალეობებს ასრულებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. სამსახური შედგება ცენტრალური აპარატის, განსაკუთრებული ნიშნის მიხედვით შექმნილი სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და ტერიტორიული ორგანოებისაგან, რომლებიც ქმნიან ერთიან ცენტრალიზებულ სისტემას.

2. სამსახურის ცენტრალური აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფებია:

ა) ადმინისტრაცია;

ბ) იურიდიული სამმართველო;

გ) მომსახურების სამმართველო;

დ) მეთოდოლოგიის სამმართველო;

ე) საბაჟო კონტროლის ორგანიზაციის სამმართველო;

ვ) ადმინისტრირების სამმართველო;

ზ) აუდიტის სამმართველო;

თ) სპეციალურ გამოკვლევათა და ფინანსური ექსპერიზის სამმართველო;

ი) ინფორმაციის დამუშავებისა და ანალიზის სამმართველო;

კ) საინფორმაციო ტექნოლოგიებისსამმართველო;

ლ) სათამაშო ბიზნესის რეგულირების სამმართველო. (2.07.2007 N787)

3. სამსახურის განსაკუთრებული ნიშნის მიხედვით შექმნილი სტრუქტურული ქვედანაყოფებია:

ა) საგამოძიებო დეპარტამენტი;

ბ) სპეციალური დანიშნულების რაზმი.

4. სამსახურის ტერიტორიული ორგანოებია:

ა) აფხაზეთის საგადასახადო ინსპექცია;

ბ) მსხვილ გადამხდელთა საგადასახადო ინსპექცია;

გ) ამოღებულია (2.07.2007 N785)

დ) ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექცია;

ე) ბათუმის საგადასახადო ინსპექცია;

ვ) ჭუთაისის საგადასახადო ინსპექცია;

ზ) რუსთავის საგადასახადო ინსპექცია;

თ) ფოთის საგადასახადო ინსპექცია;

ი) გორის საგადასახადო ინსპექცია;

კ) თელავის საგადასახადო ინსპექცია;

ლ) ახალციხის საგადასახადო ინსპექცია;

ზ) რეგიონალური საბაჟო „აღმოსავლეთი";

ნ) რეგიონალური საბაჟო „დასავლეთი";

5. საგამოძიებო დეპარტამენტის და სპეციალური დანიშნულების რაზმის, როგორც განსაკუთრებული ნიშნის მიხედვით შექმნილი შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფების დებულებები მტკიცდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ნორმატიული აქტით.

მუხლი 7. ადმინისტრაცია

ადმინისტრაციის ძირითადი ფუნქციებია:

ა) პროტოკოლით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება, სამსახურის ოფიციალური დელეგაციების (თანამშრომელთა) უცხოეთში მიელინებების ორგანიზება;

ბ) საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, მასობრივ საინფორმაციო საშუალებებთან ურთიერთობების ჩამოყალიბება. სამსახურის მიერ დაგეგმილი და განხორციელებული ღონისძიებების საზოგადოებაზე გავლენის ანალიზი. საზოგადოებასთან და მასმედიასთან დაკავშირებული რეკომენდაციების მომზადება. სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებით ოფიციალური შეტყობინების, განცხადებების და სხვა საინფორმაციო მასალების მომზადება და მასობრივი საინფორმაციო საშუალებებისათვის მიწოდება. სამსახურისა და მისი ხელმძღვანელობის დადებითი იმიჯის ფორმირება საზოგადოებაში;

გ) საჯარო ინფორმაციის გაცემის ორგანიზება;

დ) საიდუმლო ინფორმაციასთან მუშაობის ორგანიზება და საიდუმლო ინფორმაციასთან მუშაობის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვის უზრუნველყოფა;

ე) სამსახურის ხელმძღვანელობის თათბირების ორგანიზება, თათბირების ოქმების წარმოება, საოქმო დავალებების შესრულების ვადების კონტროლი;

ვ) შემოსული და გასული კორესპონდენციის, სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების და დავალებების რეგისტრაცია, მათი შესრულების ორგანიზების უზრუნველყოფა, გაწეული მუშაობის შედეგების შესახებ ინფორმაციის მომზადება სამსახურის უფროსისათვის;

ზ) საქმისწარმოების უზრუნველყოფა, დამთავრებული დოკუმენტაციის აღრიცხვა, შენახვა და დაარქივება დადგენილი წესით;

თ) მოქალაქეთა მიღების ორგანიზება;

ი) ერთიანი საკადრო პოლიტიკის განსაზღვრა, საორგანიზაციო-საშტატო მუშაობისა და პერსონალის მართვის ორგანიზაცია, მოსამსახურეთა სამსახურებრივ გადაცდომებზე რეაგირება;

კ) შემოსავლების სამსახურის კომპეტენციის შესაბამისად საერთაშორისო ორგანიზაციებთან და უცხო ქვეყნების შესაბამისი უწყებებთან თანამშრომლობა და მიმოწერის ორგანიზება, სამსახურის საერთაშორისო ურთიერთობების (მათ შორის შესაბამისი საერთაშორისო სამართლებრივი აქტების მომზადებაში მონაწილეობის) კოორდინაცია, სამსახურის კომპეტენციაში შემავალი საერთაშორისო ხელშეკრულებების შესრულების მონიტორინგის ორგანიზება და შესაბამისი ინფორმაციის საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის წარდგენა;

ლ) სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფების ფინანსური და მატერიალური უზრუნველყოფა, სამსახურის ნაერთი ბიუჯეტის პროექტის მომზადება, ნაერთი ბალანსის მომზადება, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნების მართვა და ხარჯვაზე მონიტორინგი, სამსახურის მატერიალური საშუალებების აღრიცხვა და განაწილება, მოსამსახურეთა სტიმულირების და სოციალური დაცვის მექანიზმების შემუშავება;

მ) კომპეტენციის ფარგლებში სამსახურის უფროსის სხვა დავალებათა შესრულება.

მუხლი 8. იურიდიული სამმართველო

იურიდიული სამმართველოს ძირითადი ფუნქციებია:

ა) სამსახურის საქმიანობის მარეგულირებელი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტების მომზადების ორგანიზება;

ბ) კომპეტენციის ფარგლებში შესაბამისი მინდობილობის (რწმუნებულების) საფუძველზე სამსახურის ინტერესების წარმომადგენლობა სასამართლო და სხვა სახის დავებში;

გ) სასამართლო და სხვა სახის დავების წარმოშობის მიზეზების ანალიზი და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება და ხელმძღვანელობისათვის წარდგენა;

დ) კომპეტენციის ფარგლებში ტერიტორიული და სპეციალიზირებული ორგანოების იურიდიული ქვედანაყოფების საქმიანობის კოორდინაცია;

ე) სამსახურში შემოსული საჩივრების განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილებების პროექტების მომზადება;

ვ) სათანადო ინფორმაციის მომზადება საჩივრების განსახილველად დანიშნულ სხდომებზე გასატანად;

ზ) დავების განმხილველი სხდომების ორგანიზება და სხდომის ოქმების წარმოების უზრუნველყოფა;

თ) კომპეტენციის ფარგლებში სამსახურის უფროსის სხვა დავალებების შესრულება.

მუხლი 9. მომსახურების სამმართველო

მომსახურების სამმართველოს ძირითადი ფუნქციებია:

ა) საგადასახადო და საბაჟო ორგანოებში გადასახადის გადამხდელთა მომსახურების ორგანიზების პროცესის კოორდინაცია. წინადადებების და მეთოდური მითითებების მომზადება;

ბ) დადგენილი წესით საწარმოთა (მათ შორის ინდივიდუალურ საწარმოთა), არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა, ფილიალების (წარმომადგენლობების) სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციისა და გადასახადის გადამხდელთა საგადასახადო აღრიცხვის ერთიანი სახელმწიფო (მათ შორის სამეწარმეო) რეესტრების წარმოების უზრუნველყოფა, კომპეტენციის ფარგლებში საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის სრულყოფაზე წინადადებების და შესაბამისი სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადების უზრუნველყოფა;

გ) უცხოური და საერთაშორისო საწარმოების და ორგანიზაციების საგადასახადო ორგანოში საგადასახადო აღრიცხვაზე აყვანის ძირითადი პრინციპებისა და თავისებურებების შემუშავება;

დ) სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციის სრულყოფის მიზნით ურთიერთობების დამყარება სათანადო ორგანოებთან და მათგან ინფორმაციების მიღება, მისი შედარება გადამხდელთა სარეგისტრაციო ბაზებთან და ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში ზომების მიღება მათ აღმოსაფხვრელად;

ე) კომპეტენციის ფარგლებში ანალიტიკური მასალების მომზადებაში მონაწილეობა;

ვ) ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის, ორგანიზაციებისათვის კონსულტაციების გაწევა საბაჟო კანონმდებლობის საკითხებზე, შესაბამისი განცხადებების და მომართვების განხილვა. ფიზიკური და იურიდიული პირების, ორგანიზაციების ინფორმირება საბაჟო და საგადასახადო კანონმდებლობის საკითხებზე, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების (საინფორმაციო ბუკლეტების, ბეჭდითი გამოცემების, სატელევიზიო გადაცემების და ა.შ.) მეშვეობით;

ზ) არსებული პრაქტიკის განზოგადება სახელმწიფო (საგადასახადო) რეგისტრაციის შესახებ კანონმდებლობის გამოყენებაზე, საანგარიშგებო და სტატისტიკური მონაცემების გაანალიზება და შესაბამისი წინადადებების მომზადება ხელმძღვანელობისათვის წარსადგენად;

თ) კომპეტენციის ფარგლებში მოქმედი საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის და განხორციელებული ცვლილებების ეფექტურობის ანალიზის უზრუნველყოფა და შესაბამისი ცვლილებების და დამატებების პროექტების მომზადება;

ი) კომპეტენციის ფარგლებში საბაჟო და საგადასახადო ორგანოების შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის მონიტორინგი. დადგენილ ვადებში გადამხდელთა სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციის მდგომარეობის მონიტორინგის განხორციელება საგადასახადო ორგანოების ჭრილში, მათი საქმიანობის გაანალიზება, პრაქტიკულ დახმარების გაწევა საგადასახადო ორგანოებისათვის;

კ) ბანკის ან საბანკო ოპერაციების ცალკეულ სახეობათა შემსრულებელი ორგანიზაციების მიერ უცხოური საწარმოსათვის გახსნილ საბანკო ანგარიშებზე მოწოდებული ინფორმაციების დამუშავება და შესაბამისი საგადასახადო ორგანოების ინფორმირება;

ლ) სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე სამსახურში არსებული საჯარო ინფორმაციის სისტემატიზაცია და ახსნა-განმარტებებისა და კონსულტაციების გაწევა დაინტერესებული იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის და ორგანიზაციებისათვის;

მ) კომპეტენციის ფარგლებში დაინტერესებული პირებისათვის ინფორმაციის მიწოდება სამსახურის უფლებამოსილებებში შემავალ საკითხებთან დაკავშირებით;

ნ) აქციზური მარკების მიღებისა და გაცემის ორგანიზება, აღრიცხვა და ინვენტარიზაცია. საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან ერთად მბეჭდავ კომპანიებთან გაფორმებული ხელშეკრულებების პირობების დაცვაზე ზედამხედველობა;

ო) წინადადებების მომზადება აქციზური მარკების დამცავი ნიშნებისა და დიზაინის სრულყოფისათვის;

პ) საგადასახადო ორგანოს თანამშრომლების კონსულტირება აქციზური მარკების გამოყენების, კონტროლისა და დამცავი ნიშნების გაყალბების პრევენციის საკითხებთან დაკავშირებით;

ჟ) საგადასახადო ორგანოების უზრუნველყოფა ანგარიშ-ფაქტურებით და დღგ-ის გადამხდელის სარეგისტრაციო სერტიფიკატებით. წინადადებების მომზადება და დღგ-ის დაბეგვრაზე შესაბამისი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სპეციალური დღგ-ის ანგარიშ-ფაქტურა - სერთიფიკატების გაცემა. სპეციალური სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის გაცემა, აღრიცხვა და გაუქმება;

რ) წინადადებების მომზადება მკაცრი აღრიცხვის ბლანკების და სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გადახდის ნიშნების ბეჭდვის ორგანიზებაზე და მათი გაცემის უზრუნველყოფა;

ს) დეპარტამენტის კომპეტენციაში არსებული ფორმების გამოყენების მონიტორინგი და შესაბამისი წინადადებების მომზადება მათი გამოყენებისა და კონტროლის სრულყოფაზე;

ტ) კომპეტენციის ფარგლებში სამსახურის უფროსის სხვა დავალებების შესრულება.

მუხლი 10. მეთოდოლოგიის სამმართველო

მეთოდოლოგიის სამმართველოს ძირითადი ფუნქციებია:

ა) კომპეტენციის ფარგლებში საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის სრულყოფაზე წინადადებების და შესაბამისი ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება, საგადასახადო და საბაჟო ორგანოებისათვის პრაქტიკული დახმარების აღმოჩენა;

ბ) კომპეტენციის ფარგლებში საგადასახადო და საბაჟო ორგანოებში მეთოდოლოგიური ერთიანობის დაცვის უზრუნველყოფა შემუშავებული ინსტრუქციების, განმარტებების და რეკომენდაციების ნაწილში;

გ) კომპეტენციის ფარგლებში გადამხდელთა და საბაჟო საზღვარზე საქონლის გადამაადგილებელი პირების დაბეგვრასთან დაკავშირებული ინსტრუქციის პროექტების, მეთოდურ მითითებების და სხვა აქტების, აგრეთვე საგადასახადო და საბაჟო დეკლარაციების და გაანგარიშებების სხვა ფორმების და მათი შევსების წესების შემუშავება;

დ) შემოსავლების სამსახურის მიერ ადმინისტრირებადი გადასახადებისა და მოსაკრებლების დეკლარაციებისა და ფორმების, აგრეთვე საჯარო მოხელეთა მიერ დეკლარირების კუთხით საგადასახადო და საბაჟო ორგანოთა საქმიანობის მეთოდოლოგიურად უზრუნველყოფა;

ე) სხვა სახელმწიფოებთან ორმაგი დაბეგვრის შესახებ ხელშეკრულების პროექტების მომზადებასა და განხილვაში მონაწილეობა. ორმაგი დაბეგვრის თაობაზე აცილების ხელშეკრულების გამოყენების საკითხებზე ნორმატიული და მეთოდოლოგიური დოკუმენტების შემუშავება.

ვ) წარმოდგენილი ანგარიშების ფორმების გაანალიზება და გამოკვეთილ ტენდენციების განზოგადება კომპეტენციის ფარგლებში;

ზ) კომპეტენციის ფარგლებში საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის გამოყენებასთან დაკავშირებით გადამხდელებისაგან, საგადასახადო ორგანოებიდან და სხვა უწყებებიდან სამსახურში შემოსულ წერილებზე პასუხების მომზადება და დასმულ საკითხებზე ერთიანი მიდგომის გამომუშავება საგადასახადო ორგანოთა სისტემაში;

თ) საბაჟო პროცედურების, აგრეთვე საბაჟო ორგანოების და მათი სტრუქტურული ერთეულების მუშაობის ტექნოლოგიური სქემების შემუშავება და მათი სრულყოფა. სამსახურის ცენტრალური აპარატის შესაბამისი ქვედანაყოფების და სამსახურის ტერიტორიული და სპეციალიზირებული ორგანოების მიერ წინასწარი ოპერაციების, საბაჟო პროცედურების განხორციელებისას საბაჟო კანონმდებლობის (მათ შორის, საერთაშორისო ხელშეკრულებების) ნორმათა გამოყენების პრაქტიკის (პრაქტიკული საქმიანობის, მისი ამსახველი დოკუმენტების და მონაცემების) შესწავლა, ხოლო შესწავლის შედეგებიდან გამომდინარე შესაბამისი რეკომენდაციებისა და პროექტების შემუშავება;

ი) ჰარმონიზირებული სისტემების და საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის საკითხებზე მუშაობა, ჰარმონიზირებული სისტემის ცვლილებების სისტემატიზაციის და ამ ცვლილებებთან სასაქონლო ნომენკლატურის შესაბამისობაში მოყვანის, აგრეთვე ამ სფეროში საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად შესაბამისი რეკომენდაციების წარდგენა;

კ) საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის საკითხებზე მუშაობა, აღნიშნული სფეროს მომწესრიგებელი საერთაშორისო (მათ შორის, რეგიონალური და ორმხრივი ხასიათის) ხელშეკრულებების მიღების და მათში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე ინფორმაციის სისტემატიზაცია, ამ სფეროში საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად შესაბამისი რეკომენდაციების წარდგენა;

ლ) ამ პუნქტის «ი» და «კ» ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ საკითხებზე შესაბამისი სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება და არსებული სამართლებრივი აქტების სრულყოფაზე წინადადებების შემუშავება, საბაჟო კანონმდებლობის გამოყენების თაობაზე მეთოდური მითითებების შედგენა და საბაჟო ორგანოებისადმი დაგზავნა;

მ) საბაჟო ღირებულების განსაზღვრის მეთოდების პრაქტიკული გამოყენებისათვის აუცილებელი საინფორმაციო ბაზების (მსგავსი და იდენტური საქონლის ფასების, საქონლის საბაჟო ღირებულების სარეზერვო მეთოდით განსაზღვრის დროს გამოსაყენებელ საქონელთა ფასების სისტემა და სხვა) შემუშავება, წარმოება და ოპერატიული განახლება;

ნ) საბაჟო საქმის (მათ შორის, საერთაშორისო საბაჟო თანამშრომლობის) მომწესრიგებელ საერთაშორისო ხელშეკრულებებთან მიერთების, ასევე ამ ხელშეკრულებებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე რეკომენდაციების შემუშავება, შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებთან მუშაობის წარმართვა;

ო) წინადადებების შემუშავება საბაჟო პროცედურების განხორციელებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის განვითარების, კონტროლის ახალი მეთოდების და ტექნიკური საშუალებების დანერგვის თაობაზე;

პ) კომპეტენციის ფარგლებში სამსახურის უფროსის სხვა დავალებების შესრულება.

მუხლი 11. საბაჟო კონტროლის ორგანიზაციის სამმართველო

საბაჟო კონტროლის ორგანიზაციის სამმართველოს ფუნქციებია:

ა) „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონით სამსახურის ქვემდებარეობას მიკუთვნებული ლიცენზირების ორგანიზება, კანონმდებლობით დადგენილი წესით სალიცენზიო და სანებართვო პირობების შესრულების კონტროლის ორგანიზება და შესაბამისი გადაწყვეტილებების პროექტების მომზადება;

ბ) საბაჟო კონტროლის განხორციელების და საბაჟო კონტროლის შედეგების რეალიზაციის ერთიანი პრინციპებისა და სტანდარტების დანერგვის, საბაჟო კონტროლის სრულყოფისა და ეფექტურობის გაზრდის მიზნით, კომპეტენციის ფარგლებში რეგიონალური საბაჟოების საქმიანობის ზედამხედველობა, სამსახურის ტერიტორიული ორგანოებისათვის კომპეტენციის ფარგლებში პრაქტიკული დახმარების აღმოჩენა, საბაჟო კონტროლის ორგანიზაციისა და განხორციელების კონკრეტულ საკითხებზე შესასრულებლად სავალდებულო მითითებების მიცემა;

გ) სამმართველოს კომპეტენციაში შემავალი საკითხების ანალიზისა და საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების შესწავლის საფუძველზე სამსახურის ხელმძღვანელობისათვის კანონმდებლობაში აუცილებელი ცვლილებებისა და დამატებების განხორციელების თაობაზე რეკომენდაციების წარდგენა, მეთოდოლოგიის სამმართველოსთან ერთობლივად საბაჟო პროცედურების განხორციელების საკითხებზე შესაბამისი მეთოდური მითითებების მომზადება და დაგზავნა;

დ) საბაჟო ვალდებულების დაფარვის საგარანტიო (საბანკო გარანტია, დაზღვევა, დეპოზიტი და სხვა) სისტემის ფუნქციონირების ორგანიზება და საგარანტიო სისტემის ერთიანი სტანდარტების დანერგვა;

ე) საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების დანიშნულების საბაჟო ორგანოში წარდგენისათვის დადგენილი ვადებისა და პირობების შესრულებაზე, მათ შორის საბაჟო კონტროლის ქვეშ საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობებით საქონლის შემოტანის და გადაადგილების პირობების შესრულებაზე მონიტორინგი და შესაბამისი რეაგირება;

ვ) საბაჟო ორგანოების მიერ ფიტოსანიტარული, ვეტსანიტარული, რადიაციული და სავალუტო კონტროლის, იარაღის, ნარკოტიკულ საშუალებათა და პრეკურსორების, სამკურნალო საშუალებათა, ორმაგი დანიშნულების საქონლის, სახიფათო ნარჩენების საქართველოში შემოტანასა და საქართველოდან გატანაზე ზედამხედველობის განხორციელების, აგრეთვე საავტორო უფლებათა დაცვის მექანიზმების სრულყოფისა და ეფექტურობის გაზრდის მიზნით, საბაჟო ორგანოების მიერ ფიტოსანიტარული, ვეტსანიტარული, რადიაციული და სავალუტო კონტროლის, იარაღის, ნარკოტიკულ საშუალებათა და პრეკურსორების, სამკურნალო საშუალებათა, ორმაგი დანიშნულების საქონლის, სახიფათო ნარჩენების საქართველოში შემოტანასა და საქართველოდან გატანაზე ზედამხედველობის განხორციელების, აგრეთვე საავტორო უფლებათა დაცვის მექანიზმების სრულყოფისა და ეფექტურობის გაზრდის მიზნით კონტროლის ცალკეული სახეობების განხორციელების მონიტორინგი და შესაბამისი რეაგირება;

ზ) კომპეტენციის ფარგლებში რეგიონალური საბაჟოების საქმიანობის ზედამხედველობა, სამსახურის ტერიტორიული ორგანოებისათვის კომპეტენციის ფარგლებში პრაქტიკული დახმარების აღმოჩენა და კონკრეტულ საკითხებზე შესასრულებლად სავალდებულო მითითებების მიცემა;

თ) საბაჟო კონტროლის სახეობების განხორციელებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის განვითარების, ახალი მეთოდების და ტექნიკური საშუალებების დანერგვის თაობაზე წინადადებების შემუშავება;

ი) საბაჟო დამუშავების ოპერაციების მონიტორინგი და ზედამხედველობა;

კ) კომპეტენციის ფარგლებში სამსახურის უფროსის სხვა დავალებების შესრულება.

მუხლი 12. ადმინისტრირების სამმართველო

ადმინისტრირების სამმართველოს ძირითადი ფუნქციებია:

ა) კომპეტენციის ფარგლებში საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის სრულყოფაზე წინადადებების და შესაბამისი ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება;

ბ) საგადასახადო და საბაჟო ორგანოების მიერ საგადასახადო და საბაჟო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების ანალიზი და მონიტორინგი, უზრუნველყოფის ღონისძიებებით გადახდევინების მეთოდებისა და პროგრამების შემუშავება, რისთვისაც ამუშავებს მეთოდოლოგიური და ინსტრუქციული ხასიათის რეკომენდაციებს;

გ) ვადაგადაცილებულ დავალიანებათა აღრიცხვა და ანალიზი ელექტრონული და სხვა სახით წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, მეთოდოლოგიურ დახმარების გაწევა საგადასახადო და საბაჟო ორგანოებისათვის მათ მიერ ვადაგადაცილებულ დავალიანებათა ამოღების პროცესში;

დ) საგადასახადო და საბაჟო ორგანოების მიერ მიმდინარე კონტროლის პროცედურების შედეგების ანალიზი, შესაბამისი ანგარიშგების წარმოება და პრაქტიკის განზოგადება;

ე) მომხმარებლებთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას გამოსაყენებელი საკონტროლო-სალარო აპარატების მოდელების სახელმწიფო რეესტრის წარმოება და რეგისტრაციის პროცესის ორგანიზება;

ვ) საგადასახადო და საბაჟო ვალდებულებების ვადის შეცვლის, რესტრუქტურიზაციის და დავალიანებათა ჩამოწერის საკითხებზე სამართლებრივი აქტების და მეთოდური რეკომენდაციების პროექტების მომზადება;

ზ) რესტრუქტურიზაციის რეჟიმში მომუშავე საწარმოების (ორგანიზაციების) მიერ საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან დადებული რესტრუქტურიზაციის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების შესახებ ინფორმაციის მიწოდება საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის; თ) საგადასახადო და საბაჟო ორგანოების მიერ საგადასახადო და საბაჟო დავალიანების უიმედო ვალად აღიარებისა და ჩამოწერის მიზნით განხორციელებულ ღონისძიებათა სისრულის ანალიზი;

ი) იღებს და აანალიზებს შემოსავლების სამსახურის ტერიტორიული და სპეციალიზირებული ორგანოებიდან წარმოდგენილ ინფორმაციას მათ მიერ გამოვლენილ სამართალდარღვევებზე;

კ) კომპეტენციის ფარგლებში საგადასახადო და საბაჟო ორგანოებისათვის პრაქტიკული დახმარებების გაწევა;

ლ) კომპეტენციის ფარგლებში სამსახურის უფროსის სხვა დავალებების შესრულება.

მუხლი 13. აუდიტის სამმართველო

აუდიტის სამმართველოს ძირითადი ფუნქციებია:

ა) კომპეტენციის ფარგლებში საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის სრულყოფაზე წინადადებების და შესაბამისი ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება;

ბ) კამერალური და გასვლითი საგადასახადო შემოწმებების მომზადების და მათი შედეგების რეალიზაციის კომპლექსური სტანდარტული პრინციპების შემუშავება;

გ) საგადასახადო და საბაჟო ორგანოების მიერ საგადასახადო და საბაჟო შემოწმების ხაზით გაწეული საქმიანობის დაგეგმვა, ანალიზი და პრაქტიკის განზოგადება;

დ) საგადასახადო და საბაჟო ორგანოების მიერ გადამხდელთა მიმართ ჩასატარებელ გასვლით გეგმურ საგადასახადო და საბაჟო შემოწმებებზე გეგმის დამტკიცების ორგანიზება და მონიტორინგის დაწესება მის შესრულებაზე;

ე) საგადასახადო და საბაჟო ორგანოებისათვის გადამხდელთა საგადასახადო და

საბაჟო ანგარიშგების უტყუარობის შემოწმებაზე მეთოდური რეკომენდაციების დამუშავება და კონსულტირება;

ვ) სრულყოფის და განვითარების პროგრამის ჩარჩოებში საგადასახადო და საბაჟო კონტროლის და ტექნოლოგიის პერსპექტიული ღონისძიებების აღწერის მასალების შემუშავების პროცესის ორგანიზება;

ზ) კომპეტენციის ფარგლებში საგადასახადო და საბაჟო ორგანოებისათვის პრაქტიკული დახმარებების გაწევა;

თ) კომპეტენციის ფარგლებში სამსახურის უფროსის სხვა დავალებების შესრულება.

მუხლი 14. სპეციალურ გამოკვლევათა და ფინანსური ექსპერტიზის სამმართველო.

სპეციალურ გამოკვლევათა და ფინანსური ექსპერტიზის სამმართველოს ძირითადი ფუნქციებია:

ა) სასამართლოს დადგენილებით (ბრძანებით), გამომძიებლის ან პროკურორის დადგენილებით რევიზიის, ინვენტარიზაციის, შემოწმების და ფინანსურ სფეროში სპეციალური გამოკვლევების ჩატარება,

ბ) გამოძიებისათვის შესაბამისად მიღებულ შედეგებზე დასკვნების (დოკუმენტების) წარდგენა,

გ) წინასწარი გამოძიების სტადიაზე ფინანსური ექსპერტიზის ორგანიზება და განხორციელება.

დ) კომპეტენციის ფარგლებში სამსახურის უფროსის სხვა დავალებების შესრულება.

მუხლი 15. ინფორმაციის დამუშავებისა და ანალიზის სამმართველო

ინფორმაციის დამუშავებისა და ანალიზის სამმართველოს ძირითადი ფუნქციებია:

ა) მონაცემთა ელექტრონული (ქსელური და ელექტრონული ინფორმაციის მატარებლების გამოყენებით დაცული) და არაელექტრონული ბაზების შექმნა, ოპერატიული განახლება, სისტემატიზაცია და წარმართვა;

ბ) სამსახურის ხელმძღვანელობისათვის, აგრეთვე სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფებისათვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდება;

გ) კომპეტენციის ფარგლებში ექსპორტ-იმპორტის ოპერაციების და უცხოეთის სახელმწიფოების უფლებამოსილი ორგანოებიდან მიღებული საგადასახადო ინფორმაციის დამუშავება, ანალიზი და შესაბამის საგადასახადო და საბაჟო ორგანოებზე დაყვანა;

დ) დანაშაულობათა (მათში მონაწილე პირთა) და სამართალდარღვევათა აღრიცხვა-სისტემატიზაცია, სტატისტიკური ანალიზი, საინფორმაციო საძიებო კომპიუტერული სისტემების დანერგვა და ექსპლუატაცია;

ე) სახელმწიფო დაწესებულებებიდან, ასევე კანონით დასაშვები წყაროებიდან სამსახურის ფუნქციონირებისათვის საჭირო ინფორმაციის მოგროვება, სისტემატიზაცია;

ვ) საგადასახადო შემოსაელების მობილიზაციის და მათი აკრეფის გაუმჯობესების შესახებ წინადადებების და ანალიტიკურ ინფორმაციის მომზადება;

ზ) ინფორმაციული ბაზების, სპეციალური საბაჟო სტატისტიკის მონაცემების, საბაჟო და საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევების თაობაზე არსებული, აგრეთვე საერთაშორისო საბაჟო და საგადასახადო თანამშრომლობის მექანიზმების გამოყენებით მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით რისკის ფაქტორების გამოვლენა და ანალიზი, რისკების მენეჯმენტის თაობაზე წინადადებების შემუშავება და მათი განხორციელების კოორდინაცია;

თ) საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკის და სპეციალური საბაჟო სტატისტიკის მონაცემების, საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის რეგულირების არსებული სატარიფო და არასატარიფო მექანიზმების საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების დინამიკაზე ზეგავლენის ანალიზი, შესაბამისი რეკომენდაციებისა და წინადადებების შემუშავება;

ი) საგადასახადო და საბაჟო ორგანოებში საბიუჯეტო შემოსულობათა (მათ შორის,

ზედმეტად გადახდილი თანხის), გადატანების, დაბრუნებების, საგადასახადო სანქციებისა და საურავების მიხედვით აღრიცხვის წარმოების წესების შემუშავება;

კ) გადამხდელთა პირადი ბარათების წარმოების მეთოდოლოგიის შემუშავება;

ლ) საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკის, სპეციალური საბაჟო, საგადასახადო და სხვა შესაბამისი სტატისტიკის წარმოება;

მ) საგადასახადო შემოსავლების ანგარიშგების სტატისტიკური ფორმების შედგენის მეთოდოლოგიის შემუშავება-სრულყოფა და ეკონომიკური ანალიზი;

ნ) ელექტრონულ და სხვა სახის ინფორმაციის მიღება და დამუშავება სამსახურის ადმინისტრირებადი შემოსავლების შესახებ;

ო) დამტკიცებული საგეგმო-საპროგნოზო მაჩვენებლების დაყვანა საგადასახადო და ორგანოებამდე;

პ) შემოსავლების დამუშავების ორგანიზება გადასახადის სახეების, ტერიტორიული ერთეულების, ეკონომიკის ძირითადი დარგების მიხედვით;

ჟ) საგადასახადო შემოსავლების მიმდინარეობის, მათ შორის ეკონომიკის დარგების და რაიონების მიხედვით, აგრეთვე დაბეგვრის საკითხებზე აქტუალური ინფორმაციების და მასალების მომზადება;

რ) საგადასახადო ბაზის საპროგნოზო გაანგარიშებების წარმოება ფინანსთა სამინისტროს მიერ დაშვებული წესით;

ს) საბაჟო პროცედურების განხორციელებისას პირების მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის და ინფორმაციის ანალიზი და შერჩევითი შემოწმება საერთაშორისო საბაჟო თანამშრომლობის მექანიზმების გამოყენებით და შესაბამისი რეაგირება;

ტ) გაწეული მუშაობის შედეგების, ასევე მათი კონტროლის განხორციელების მიზნით ანგარიშების მიღება, თავისი კომპეტენციის ფარგლებში სისტემატიზაცია და ანალიზი; სამსახურის მუშაობის შემაჯამებელი ანგარიშების მომზადება;

უ) წინადადებების მომზადება მკაცრი აღრიცხვის ბლანკების გამოყენებით წარმოქმნილ დარღვევებზე რეაგირების შესახებ და შემდგომი ღონისძიებების გატარების მიზნით ინფორმაციას მიწოდება შემოსავლების სამსახურის ტერიტორიული და სპეციალიზირებული ორგანოებისათვის;

ფ) კომპეტენციის ფარგლებში სამსახურის უფროსის სხვა დავალებების შესრულება.

მუხლი 16. საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემების და აპარატურული უზრუნველყოფის მხარდაჭერის სამმართველო

საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემების და აპარატურული უზრუნველყოფის მხარდაჭერის სამმართველოს ძირითადი ფუნქციებია:

ა) ქსელების ადმინისტრირება და სამსახურის მონაცემთა საინფორმაციო სისტემების შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

ბ) კომპეტენციის ფარგლებში ინსტრუქციის და მეთოდური მითითებების პროექტების შემუშავება. დანერგილი კომპიუტერული პროგრამების გამოყენების შესახებ სახელმძღვანელოების და რეკომენდაციების შესახებ ტრეინინგების მომზადება;

გ) აპარატურული ინფრასტრუქტურის შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

დ) სამსახურის ქვედანაყოფებისათვის პრაქტიკული დახმარებების გაწევა;

ე) საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემების ლოკალური გაუმართაობების აღრიცხვა და აღმოფხვრა, სისტემის ფუნქციონალური სპეციფიკაციის დახვეწისათვის მომხმარებელთა წინადადებების შეგროვება და სისტემატიზაცია;

ვ) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ერთიანი საინფორმაციო ინფრასტრუქტურის განვითარების ფარგლებში კომპეტეციის ფარგლებში სამსახურის ფუნქციონირებისათვის საჭირო საინფორმაციო სისტემების შემუშავება და დანერგვა;

ზ) კომპეტეციის ფარგლებში ინფორმაციის კონფიდენციალურობის და უსაფრთხოების პოლიტიკის გატარება;

თ) კომპეტენციის ფარგლებში სამსახურის უფროსის სხვა დავალებების შესრულება.

მუხლი 16[1]. სათამაშო ბიზნესის რეგულირების სამმართველო (2.07.2007 N787)

სათამაშო ბიზნესის რეგულირების სამმართველოს ძირითადი ფუნქციებია:

ა) კომპეტენციის ფარგლებში საგადასახადო კანონმდებლობის სრულყოფაზე წინადადებების და შესაბამისი ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება, საგადასახადო ორგანოებისათვის პრაქტიკული დახმარების აღმოჩენა;

ბ) საქართველოს ტერიტორიაზე ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშების სახელმწიფოებრივი რეგულირება;

გ) კანონმდებლობით დადგენილი წესით აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშების თითოეულ სახეობაზე ნებართვის გაცემა, ცვლილების შეტანა, გაუქმება და კანონით დადგენილი წესით ნებართვის მფლობელის მიერ სანებართვო პირობების შესრულების კონტროლი, აგრეთვე ამ სფეროში ნორმატიული აქტების პროექტების შემუშავება;

დ) ლატარიის ბილეთებისა და სხვა მომგებიან თამაშებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტების/ნიშნის (გარდა ტოტალიზატორის ბილეთებისა) ლეგალიზაცია, განაღდებული და გაუქმებული ლატარიის ბილეთებისა და სხვა მომგებიან თამაშებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტების/ნიშნის (გარდა ტოტალიზატორის ბილეთებისა) და ღირებულების მქონე ბლანკების (ფორშების, დოკუმენტების) ექსპერტიზა და უტილიზაცია;

ე) შემოსავლების სამსახურის ტერიტორიული და სპეციალიზირებული ორგანოებიდან წარმოდგენილი ინფორმაციის მიღება, გაანალიზება და შესაბამისი წინადადებების მომზადება;

ვ) შემოსავლების სამსახურის ხელმძღვანელობისათვის პერიოდულად სათანადო ანგარიშის წარდგენა;

ზ) კომპეტენციის ფარგლებში სამსახურის უფროსის სხვა დავალებების შესრულება.

მუხლი 17. სამსახურის სათათბირო ორგანო

1. სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებული განსაკუთრებული მნიშვნელობის საკითხების განხილვისა და მათ შესახებ რეკომენდაციების შემუშავების მიზნით სამსახურის უფროსს შეუძლია თავისი მმართველობის სფეროში შექმნას სათათბირო ორგანოები სათათბირო უფლებით.

2. სათათბირო ორგანოები იქმნება სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

3. სათათბირო ორგანოების სხდომების ორგანიზებას და სხდომის ოქმების წარმოებას უზრუნველყოფს სამსახურის უფროსის მიერ განსაზღვრული სტრუქტურული ქვედანაყოფი.

მუხლი 18. სამსახურის რეორგანიზაცია, საქმიანობის შეწყვეტა, დებულებაში ცვლილებების შეტანა

1. სამსახურის რეორგანიზაცია ან მისი საქმიანობის შეწყვეტა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. სამსახურის დებულებაში ცვლილებების შეტანა ხორციელდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის რეგიონალური საბაჟო ორგანოების ტიპური დებულების დამტკიცების თაობაზე

მუხლი 1.

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის 26-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის N39 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ი" ქვეპუნქტის საფუძველზე, ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის რეგიონალური საბაჟო ორგანოების ტიპური დებულება".

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის დებულებისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის რეგიონალური საბაჟო ორგანოების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2004 წლის 23 ივნისის N426 ბრძანება.

მუხლი 2.

ბრძანება ამოქმედდეს 2007 წლის 5 მარტს.

ა. ალექსიშვილი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის რეგიონალური საბაჟო ორგანოების ტიპური დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროსშემოსავლების სამსახურის რეგიონალური საბაჟო (შემდგომში – საბაჟო) არის საქართველოს ფინანსთა სამინისტროსშემოსავლების სამსახურის (შემდგომში – შემოსავლების სამსახური) ტერიტორიული ორგანო, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში, საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით განსაზღვრულ სამოქმედო ტერიტორიაზე.

2. საბაჟო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, საბაჟო საქმის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტებით, საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებებითა და ამ დებულებით.

3. საბაჟოს აქვს ბეჭედი და ბლანკი საქართველოს სახელმწიფო გერბის გამოსახულებით და საკუთარი სახელწოდების აღნიშვნით, აგრეთვე სხვა ბეჭდები და დამღები საბაჟო კონტროლისა და საბაჟო დამუშავების ოპერაციებისათვის, დამოუკიდებელი ბალანსი და ანგარიში ხაზინაში.

4. საბაჟო ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

მუხლი 2. საბაჟოს ამოცანები

საბაჟოს ძირითადი ამოცანებია:

ა) სამოქმედო ტერიტორიაზე საქართველოს საბაჟო პოლიტიკის განხორციელების უზრუნველყოფა;

ბ) კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს ეკონომიკური სუვერენიტეტისა და ეკონომიკური უსაფრთხოების დაცვა;

გ) საბაჟო გადასახდელების, კანონმდებლობით მინიჭებული კომპეტენციების ფარგლებში სხვა გადასახადებისა და მოსაკრებლების დარიცხვა-ამოღება და შესაბამის ბიუჯეტებში მათი დროული და სრული აკუმულირება;

დ) საბაჟო საზღვარზე საბაჟო წესების დარღვევით გადაადგილებული საქონლის და/ან სატრანსპორტო საშუალებების გამოვლენა-აღკვეთა და სათანადო რეაგირება.

მუხლი 9. საბაჟოს ძირითადი ფუნქციები

საბაჟოს ძირითადი ფუნქციებია:

ა) კომპეტენციის ფარგლებში საბაჟო პოლიტიკის ამოცანების პრაქტიკული რეალიზაციის უზრუნველყოფა;

ბ) საბაჟო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამების რეალიზაცია;

გ) საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული საქონლის და სატრანსპორტო საშუალებების მიმართ საბაჟო რეჟიმის რეგულირება;

დ) საბაჟო სფეროში არსებული პრაქტიკული გამოცდილების გაანალიზება, შემოსავლების სამსახურში საბაჟო საქმის მართვის სრულყოფის თაობაზე წინადადებების წარდგენა;

ე) ცალკეული საბაჟო რეჟიმების შესაბამისად საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონლისა და/ან სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო დამუშავების ოპერაციები და საბაჟო კონტროლი;

ვ) საქართველოს საბაჟო საზღვარზე საბაჟო კონტროლთან ერთად ვეტერინარული და ფიტოსანიტარული კონტროლის განხორციელება და შესაბამისი მოსაკრებლის გადახდევინება;

ზ) დადგენილი წესის შესაბამისად საქონლისა და/ან სატრანსპორტო საშუალებების მიერ საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას გაჩერების ადგილისა და დროის ხანგრძლივობის განსაზღვრა, საბაჟო კონტროლისა და საბაჟო დამუშავების ოპერაციის დროს დროის გათვალისწინებით;

თ) საბაჟო გადასახდელებისა ან კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა გადასახადების და მოსაკრებლების დარიცხვა, ამოღება და მათი ბიუჯეტში გადარიცხვა, დადგენილი წესით შემოსავლების სამსახურში შესაბამისი ინფორმაციის წარდგენა;

ი) საბაჟო კანონმდებლობით შექმნილი საწყობების და სხვა ობიექტების (სადაც იმყოფება საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონელი) საბაჟო კონტროლი;

კ) საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული კულტურული ფასეულობების (მხატვრული, ისტორიული, არქეოლოგიური საგნების და ა.შ.) საბაჟო კონტროლი;

ლ) საქონლის კლასიფიცირება და საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურაში აღნიშნული პოზიციების მკუთვნება;

მ) სამოქმედო ტერიტორიაზე საბაჟო სფეროში ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამოვლენა და აღკვეთის ღონისძიებების განხორციელება, კანონით დადგენილი წესით მის კომპეტენციას მიკუთვნებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვა და ადმინისტრაციული სახდელის დადება, საბაჟო სფეროში სამართალდარღვევების გამოვლენა-აღკვეთის საქმეში სხვა სამართალდამცავ და მაკონტროლებელ ორგანოებთან თანამშრომლობა;

ნ) საგარეო ვაჭრობის, საბაჟო სტატისტიკისა და სპეციალური საბაჟო სტატისტიკის ფორმირების მიზნით, პირველადი მონაცემების დამუშავება და შემოსავლების სამსახურში წარდგენა;

ო) საბიუჯეტო შემოსავლების ოპერატიულ და წლიურ პროგნოზულ მონაცემებზე წინადადებების მომზადება და შემოსავლების სამსახურში წარდგენა, მათ შემდგომ დაზუსტებასა და კორექტირებაში მონაწილეობა;

პ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში საბაჟოს საჯარო მოსამსახურეთა სამსახურებრივი გადაადგილების, წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ღონისძიებების გამოყენების თაობაზე წინადადებების მომზადება; საჯარო მოსამსახურეთა შვებულებების გრაფიკის მომზადება და შემოსავლების სამსახურში წარდგენა; საბაჟოს საჯარო მოსამსახურეთა სამსახურებრივი აღწერილობების შემუშავება და დასამტკიცებლად წარდგენა;

ჟ) კომპეტენციის ფარგლებში შემოსავლების სამსახურთან და სხვა სახელმწიფო ორგანოებთან თანამშრომლობა;

რ) საბაჟო სამსახურების ერთიანი ავტომატიზირებული ინფორმაციული სისტემის შექმნისა და სრულყოფის ღონისძიებებში მონაწილეობა;

ს) საბუღალტრო აღრიცხვა და ანგარიშგების განხორციელება, საანგარიშო პერიოდების მიხედვით საბუღალტრო ბალანსების შედგენა და შესაბამისი ანგარიშების შემოსავლების სამსახურში წარმოდგენა;

ტ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ფუნქციების განხორციელება.

მუხლი 4. საბაჟოს უფლებები

საბაჟოს (უფლებამოსილ პირს) დაკისრებული ამოცანების შესრულების უზრუნველსაყოფად უფლება აქვს:

ა) განახორციელოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოსული, საბაჟო ტერიტორიაზე არსებული და ტერიტორიიდან გამავალი სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო კონტროლი, აგრეთვე, კომპეტენციის ფარგლებში, კანონმდებლობით განსაზღვრული სახელმწიფო კონტროლის სხვა სახეები;

ბ) მოითხოვოს და უსასყიდლოდ (თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი) მიიღოს სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებიდან, იურიდიული და ფიზიკური პირებისაგან ინფორმაცია, რომლებიც აუცილებელია საბაჟოს ამოცანებისა და ფუნქციების შესასრულებლად;

გ) შეიმუშაოს ერთობლივი ღონისძიებები სხვა სამართალდამცავ ორგანოებთან, მათზე დაკისრებული ამოცანების შესრულების უზრუნველსაყოფად;

დ) გადაამოწმოს საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონელი და სატრანსპორტო საშუალებები, აგრეთვე საცავები და სხვა ადგილები, სადაც შესაძლებელია მოთავსებული იყოს აღნიშნული საქონელი და სატრანსპორტო საშუალებები;

ე) განახორციელოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო დამუშავების ოპერაციები;

ვ) განსაზღვროს საქართველოს საბაჟო საზღვრის გადამკვეთი სატრანსპორტო საშუალების დგომის ადგილი და დგომის ხანგრძლივობა, გასცეს ამ სადგომიდან გასვლის ნებართვა;

ზ) საბაჟო დამუშავების ოპერაციების, საბაჟო კონტროლის, აგრეთვე კანონმდებლობით განსაზღვრული სახელმწიფო კონტროლის სხვა სახეების განხორციელებასთან დაკავშირებული ფუნქციონალური მოვალეობების აღსრულების მიზნით მოითხოვოს კანონმდებლობით დადგენილი დოკუმენტაცია პირებისაგან, რომლებიც უზრუნველყოფენ საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილებას, დეკლარანტებისაგან, საწყობების მფლობელებისაგან, საბაჟო ბროკერებისაგან, გადამზიდველებისაგან და სხვა პირებისაგან, რომლებიც უფლებამოსილნი არიან აწარმოონ საბაჟო ოპერაციები;

თ) საბაჟო დამუშავების ოპერაციების განხხორციელების მიზნით აიღოს საქონლის სინჯები და ნიმუშები, ჩაატაროს მათი გამოკვლევა. მისცეს ნებართვა საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებულ საქონელზე სინჯები და ნიმუშები აიღოს საქონლის მფლობელმა ან

მათმა წარმომადგენელმა და სახელმწიფო კონტროლის სხვა ორგანოების წარმომადგენლებმა, მოითხოვოს გამოკვლევის შედეგების გაცნობა;

ი) განახორციელოს საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული, ასევე შეღავათებით შემოტანილი საქონლის ინვენტარიზაცია;

კ) იძულების წესით გააჩეროს სატრანსპორტო საშუალებები, უკან დააბრუნოს საზღვაო და საჰაერო ხომალდები, რომლებიც საბაჟო ტერიტორიიდან გადაიყვანენ საბაჟო ორგანოების ნებართვის გარეშე, გარდა სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე მყოფი ხომალდებისა;

ლ) საბაჟო გადასახდელების გადაუხდელობისას მიმართოს სასამართლოს საბაჟო გადასახადების გადამხდელის ქონებაზე ყადაღის დადების ან საბანკო ანგარიშებიდან საინკასო დავალებით (განკარგულებით) საბაჟოს კუთვნილი თანხის ჩამოწერის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად;

მ) საბაჟო კონტროლის უზრუნველყოფის აუცილებლობიდან გამომდინარე, აკონტროლოს საბაჟო კონტროლის ზონებში საქონლის, სატრანსპორტო საშუალებებისა და ფიზიკურ პირთა გადაადგილება;

ნ) საბაჟო კონტროლის განხორციელებისას მოიწვიოს სამართალდამცავი და მაკონტროლებელი ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების სპეციალისტები და ექსპერტები;

ო) მოახდინოს სატრანსპორტო საშუალებების, სათასოების და სხვა ადგილების, სადაც არის ან შეიძლება იყოს საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონელი და სატრანსპორტო საშუალებები, ადგილების, სადაც ხორციელდება საბაჟო ორგანოების კონტროლს დაქვემდებარებული საქმიანობა, აგრეთვე საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების იდენტიფიცირება;

პ) საბაჟო კონტროლის განხორციელების მიზნით შეიჭრეს ნებისმიერ საცავში, სადაც ხორციელდება საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქმიანობა, ან სადაც შეიძლება მოთავსებული იყოს საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული ტვირთები და სატრანსპორტო საშუალებები თუ საბაჟო კონტროლისათვის საჭირო დოკუმენტები;

ჟ) განახორციელოს საბაჟო საზღვრის გავლით, თავისუფალი საბაჟო ზონებისა და თავისუფალი საწყობების პერიმეტრის გარდა, ვალუტის, ფასიანი ქაღალდების, სავალუტო ფასეულობათა გადაადგილების კონტროლი;

რ) მოახდინოს პირადი გასინჯვა საფუძვლიანი ეჭვის არსებობისას იმის თაობაზე, რომ საბაჟო საზღვრის გავლით მიმავალ ან საბაჟო კონტროლის ზონაში, ანდა საერთაშორისო მიმოსვლისათვის ღია აეროპორტის სატრანზიტო ზონაში მყოფი პირი მალავს და არ აჩენს საქონელს, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის ან საერთაშორისო ხელშეკრულებებისა თუ შეთანხმების დარღვევის ობიექტია და რომელთა შესრულებაზე კონტროლი საბაჟო ორგანოებს ევალებათ;

ს) კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში მოითხოვოს საკონსულო ვალიზის გახსნა უცხო სახელმწიფოს წარმომადგენლისაგან, საკონსულო ვალიზის გახსნაზე უარის შემთხვევაში დააბრუნოს იგი გამოგზავნის ადგილზე;

ტ) საბაჟო წესების დარღვევის გამოვლენისას შეადგინოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი, დაადოს დამრღვევს ადმინისტრაციული სახდელი;

უ) ისარგებლოს კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებამოსილებით.

მუხლი 5. საბაჟოს სტრუქტურა და მართვა

1. საბაჟოს ხელმძღვანელობს უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს ფინანსთა მინისტრი.

2. საბაჟოს საჯარო მოსამსახურეებს (საქართველოს ფინანსთა მინისტრის ნომენკლატურას მიკუთვნებული საჯარო მოსამსახურეების გარდა) თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს

შემოსაველების სამსახურის უფროსი.

3. საბაჟოს უფროსი:

ა) ხელმძღვანელობს საბაჟოს მუშაობას და პასუხს აგებს მის წინაშე მდგარი ამოცანებისა და დაკისრებულ ფუნქციათა შესრულებაზე;

ბ) პასუხისმგებელია საბაჟო საქმის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების შესრულებაზე და ანგარიშვალდებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და შემოსავლების სამსახურის უფროსის წინაშე;

გ) იღებს გადაწვეტილებებს საბაჟოს კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე, მოქმედებს საბაჟოს სახელით, წარმოადგენს მას სახელმწიფო ხელისუფლების სხვა ორგანოებთან და ორგანიზაციებთან ურთიერთობებში;

დ) შემოსაველების სამსახურის უფროსს თანამდებობაზე დასანიშნად წარუდგენს დაქვემდებარებული სტრუქტურული ერთეულების საჯარო მოსამსახურეებს;

ე) კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს;

ვ) კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში განიხილავს საბაჟო წესების დარღვევაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს;

ზ) დადგენილი წესით შეაქვს წინადადებები საბაჟო ორგანოების საჯარო მოსამსახურეებისათვის სპეციალური წოდებების მინიჭების შესახებ;

თ) წარადგენს წინადადებებს საბაჟოს თანამშრომელთა წახალისების ან მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;

ი) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს სხვა ფუნქციებს და სარგებლობს სხვა უფლებამოსილებებით.

4. საბაჟოს უფროსის არყოფნის შემთხვევაში მის უფლება-მოვალეობებს ასრულებს საბაჟოს უფროსის მოადგილე.

5. საბაჟოს სტრუქტურული ერთეულებია:

ა) საბაჟო გამშვები პუნქტები;

ბ) საბაჟო საგუშაგოები;

გ) საბაჟო დამუშავების ოპერაციის განყოფილება;

დ) ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილება;

ე) იურიდიული განყოფილება;

ვ) ადმინისტრაციული განყოფილება.

ზ) მომსახურების განყოფილება;

თ) ადმინისტრირების განყოფილება.

6. საბაჟო გამშვები პუნქტის ფუნქციებია:

ა) საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების აღრიცხვა;

ბ) საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო კონტროლი;

გ) საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების ფიტოსანიტარული და ვეტსანიტარული კონტროლი;

დ) საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების სახელმწიფო კონტროლის სხვა სახეების კოორდინაცია და აგრეთვე სამკურნალო საშუალებათა, ნარკოტიკულ საშუალებათა და პრეკურსორების, იარაღის, ორმაგი დანიშნულების საქონლის, სახიფათო ნარჩენების, კულტურულ ფასულობათა საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილების კონტროლი, რადიაციული და სავალუტო კონტროლი, საავტორო უფლებების დაცვაზე კონტროლი;

ე) კომპეტენციის ფარგლებში, სსსდ-ით შემოტანას დაქვემდებარებულ ტვირთებზე

კონტროლი;

ვ) დანიშნულების საბაჟო ორგანომდე და/ან საბაჟო დამუშავების ოპერაციის ადგილამდე იმ საქონლის, რომლის საიმედო იდენტიფიცირება საბაჟო გამშვები პუნქტის ტერიტორიაზე შეუძლებელია, გადაადგილებაზე უშუალო ზედამხედველობის განხორციელება საბაჟო მოხელის თანხლებით;

ზ) კომპეტენციის ფარგლებში ფიზიკური პირების მიერ შემოტანილი საქონლის მიმართ საბაჟო დამუშავების ოპერაციის განხორციელება;

თ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში საბაჟო გადასახდელებისა და შესაბამისი მოსაკრებლების დარიცხვა-ამოღება და ბიუჯეტში მათი დროული და სრული აკუმულირება;

ი) საბაჟო საზღვარზე საბაჟო წესების დარღვევით გადაადგილებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გამოვლენა-აღკვეთა, მათზე სათანადო რეაგირება, მათ შორის სამართალდარღვევის ოქმების შედგენა.

კ) შემოსავლების სამსახურის დებულებით, ამ დებულებით და საქართველოს კანონმდებლობით რეგიონალურ საბაჟოზე დაკისრებული სხვა ფუნქციების შესრულება.

7. საბაჟო საგუშაგოს ფუნქციებია:

ა) საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების აღრიცხვა;

ბ) საბაჟო კონტროლი;

გ) ფიტოსანიტარული და ვეტსანიტარული კონტროლი;

დ) სახელმწიფო კონტროილის სხვა სახეების კოორდინაცია და აგრეთვე სამკურნალო საშუალებათა, ნარკოტიკულ საშუალებათა და პრეკურსორების, იარაღის, ორმაგი დანიშნულების საქონლის, სახიფათო ნარჩენების, კულტურულ ფასულობათა საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილების კონტროლი, რადიაციული და სავალუტო კონტროლი, საავტორო უფლებების დაცვაზე კონტროლი;

ე) სსსდ-ით შემოტანას დაქვემდებარებულ ტვირთებზე კონტროლი;

ვ) დანიშნულების საბაჟო ორგანომდე და/ან საბაჟო საბაჟო დამუშავების ოპერაციის ადგილამდე იმ საქონლის, რომლის საიმედო იდენტიფიცირება საბაჟო გამშვები პუნქტის ტერიტორიაზე შეუძლებელია, გადაადგილებაზე უშუალო ზედამხედველობის განხორციელება საბაჟო მოხელის თანხლებით;

ზ) კომპეტენციის ფარგლებში ფიზიკური პირების მიერ შემოტანილი საქონლის მიმართ საბაჟო დამუშავების ოპერაციის განხორციელება;

თ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში საბაჟო გადასახდელებისა და შესაბამისი მოსაკრებლების დარიცხვა-ამოღება და ბიუჯეტში მათი დროული და სრული აკუმულირება;

ი) საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო პროცედურების განხორციელება, მათი შესაბამის საბაჟო რეჟიმში მოქცევისა და ამ რეჟიმის დასრულების მიზნით:

ი.ა) დანიშნულების საბაჟო ორგანოში საქონლის წარდგენის პირობებისა და ვადების შემოწმება (მათ შორის, სააღრიცხვო მოწმობით, ხოლო კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში - სხვა საბაჟო დოკუმენტებით განსაზღვრული ვადებისა და მარშრუტის დაცვის შემოწმება; ავარიისა და დაუძლეველი ძალის მოქმედების გამო საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრული მარშრუტისა და დანიშნულების საბაჟო ორგანოში საქონლისა ან/და სატრანსპორტო საშუალებების მიტანის ვადების დარღვევების შემთხვევაში – სათანადო მტკიცებულებებისა და საბაჟო ორგანოს მიერ გაცემული მითითებების შესრულების შემოწმება; საპატრულო პოლიციის მიერ საგზაო წესების დარღვევის, ან/და საბაჟო ორგანოს მიერ ადმინისტრაციული სახდელის შეფარდების თაობაზე გაკეთებული აღნიშვნების საფუძველზე, შესაბამისი სახდელის აღსრულების მდგომარეობის შემოწმება (მაგ., ჯარიმის დაკისრების შემთხვევაში - გადახდის ქვითარის არსებობის შემოწმება);

ი.ბ) დეკლარაციისა და თანდართული საბუთების, დეკლარირების ვადების და დეკლარირების სისწორის შემოწმება (მათ შორის, საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის და საბაჟო ღირებულების განსაზღვრის, საბაჟო გადასახდელების დარიცხვის სისწორის შემოწმება);

ი.გ) საბაჟო პროცედურების და საბაჟო კონტროლის ღონისძიებების განხორციელება;

ი.დ) სახელმწიფო კონტროლის სხვა სახეობების კოორდინაცია;

ი.ე) საქართველოს ტერიტორიაზე საქონლისა ან/და სატრანსპორტო საშუალებების შემოტანასთან ან გატანასთან და საბაჟო რეჟიმში მოქცევასთან დაკავშირებული პირობების დაცვის შემოწმება;

ი.ვ) საბაჟო შეღავათების გამოყენების საფუძვლიანობის შემოწმება;

ი.ზ) კომპეტენციის ფარგლებში საბაჟო გადასახდელების დარიცხვა, ბიუჯეტში მათი დროული და სრული აკუმულირების უზრუნველყოფა;

კ) ვადაგადაცილებული საბაჟო გადასახდელების ამოღების უზრუნველყოფის მიზნით, დადგენილი წესით მონაცემთა ბაზების წარმოება და შესაბამისი ინფორმაციის რეგიონალური საბაჟოს უფლებამოსილი ქვედანაყოფებისადმი გადაცემა;

ლ) საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების სისტემატიური კონტროლი შესაბამისი საბაჟო რეჟიმით გათვალისწინებული პირობებისა და ვალდებულებების, აგრეთვე საბაჟო კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნების შესრულების მიზნით;

მ) საბაჟო კანონმდებლობის დარღვევათა გამოვლენა-აღკვეთა, სამართალდარღვევის ოქმების შედგენა, კონკრეტული დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე, ინფორმაციის უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოებისადმი ან/და რეგიონალური საბაჟოს უფლებამოსილი ქვედანაყოფებისადმი მიწოდება;

ნ) შემოსავლების სამსახურის დებულებით, ამ დებულებით და საქართველოს კანონმდებლობით რეგიონალურ საბაჟოზე დაკისრებული სხვა ფუნქციების შესრულება.

8. საბაჟო დამუშავების ოპერაციის განყოფილების ფუნქციებია:

ა) საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო დამუშავების ოპერაციების განხორციელება, მათი შესაბამის საბაჟო რეჟიმში მოქცევისა და ამ რეჟიმის დასრულების მიზნით:

ა.ა) დანიშნულების საბაჟო ორგანოში საქონლის წარდგენის პირობებისა და ვედების შემოწმება (მათ შორის, სააღრიცხვო მოწმობით, ხოლო კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში სხვა საბაჟო დოკუმენტებით განსაზღვრული ვადებისა და მარშრუტის დაცვის შემოწმება; ავარიისა და დაუძლეველი ძალის მოქმედების გამო საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრული მარშრუტისა და დანიშნულების საბაჟო ორგანოში საქონლისა ან/და სატრანსპორტო საშუალებების მიტანის ვადების დარღვევების შემთხვევაში – სათანადო მტკიცებულებებისა და საბაჟო ორგანოს მიერ გაცემული მითითებების შესრულების შემოწმება; საპატრულო პოლიციის მიერ საგზაო წესების დარღვევის, ან/და საბაჟო ორგანოს მიერ ადმინისტრაციული სახდელის შეფარდების თაობაზე გაკეთებული აღნიშვნების საფუძველზე, შესაბამისი სახდელის აღსრულების მდგომარეობის შემოწმება (მაგ., ჯარიმის დაკისრების შემთხვევაში - გადახდის ქვითარის არსებობის შემოწმება);

ა.ბ) დეკლარაციისა და თანდართული საბუთების, დეკლარირების ვადების და დეკლარირების სისწორის შემოწმება (მათ შორის, საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის ნომენკლატურის და საბაჟო ღირებულების განსაზღვრის, საბაჟო გადასახდელების დარიცხვის სისწორის შემოწმება);

ა.გ) საბაჟო პროცედურების და საბაჟო კონტროლის ღონისძიებების განხორციელება;

ა.დ) სახელმწიფო კონტროლის სხვა სახეების კოორდინაცია;

ა.ე) საქართველოს ტერიტორიაზე საქონლისა ან/და სატრანსპორტო საშუალებების

შემოტანასთან ან გატანასთან და საბაჟო რეჟიმში მოქცევასთან დაკავშირებული პირობების დაცვის შემოწმება;

ა.ვ) საბაჟო შეღავათების გამოყენების საფუძვლიანობის შემოწმება;

ა.ზ) კომპეტენციის ფარგლებში საბაჟო გადასახდელების დარიცხვა, ბიუჯეტში მათი დროული და სრული აკუმულირების უზრუნველყოფა;

ბ) ვადაგადაცილებული საბაჟო გადასახდელების ამოღების უზრუნველყოფის მიზნით, დადგენილი წესით მონაცემთა ბაზების წარმოება და შესაბამისი ინფორმაციის რეგიონალური საბაჟოს უფლებამოსილი ქვედანაყოფებისადმი გადაცემა;

გ) საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების სისტემატიური კონტროლი შესაბამისი საბაჟო რეჟიმით გათვალისწინებული პირობებისა და ვალდებულებების, აგრეთვე საბაჟო კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნების შესრულების მიზნით;

დ) საბაჟო კანონმდებლობის დარღვევათა გამოვლენა-აღკვეთა, სამართალდარღვევის ოქმების შედგენა, კონკრეტული დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე, ინფორმაციის უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოებისათვის ან/და რეგიონალური საბაჟოს სათანადო ქვედანაყოფებისათვის მიწოდება;

ე) შემოსავლების სამსახურის დებულებით, ამ დებულებით და საქართველოს კანონმდებლობით რეგიონალურ საბაჟოზე დაკისრებული სხვა ფუნქციების შესრულება.

9. ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილების ფუნქციებია:

ა) საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების სტატისტიკის წარმოება, მონაცემთა ელექტრონული და არაელექტრონული ბაზების ოპერატიული განახლება და სისტემატიზაცია;

ბ) სტატისტიკურ და ფაქტობრივი შემოსავლების, ზედმეტად და შეცდომით გადახდილი საბაჟო გადასახდელების თანხების, ვადაგადაცილებული დავალიანებების, სანქცია-საურავების, რესტრუქტურიზებულ და უიმედოდ აღიარებულ დავალიანებათა აღრიცხვა და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულისათვის ინფორმაციის მიწოდება, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ღონისძიებების განხორციელების მიზნით;

გ) ქვეყნის ბიუჯეტის სასარგებლოდ როგორც ნაღდი, ასევე უნაღდო ანგარიშსწორების წესით ამონაგები თანხების აღრიცხვა (მათ შორის სახელმწიფო ხაზინის მეშვეობით მიღებული ინფორმაციის დამუშავება), მათ შორის, ცალკეული გადამხდელების და გადასახდელების სახეობების მიხედვით;

დ) გადასახადის გადამხდელის მიერ საბაჟო დამუშავების ოპერაციების მიზნით დეპოზიტზე განთავსებული თანხის ხაზინის შესაბამის ანგარიშზე გადატანის უზრუნველყოფა;

ე) სტატისტიკური ინფორმაციის გაცემა;

ვ) კომპეტენციის ფარგლებში საბაჟო ორგანოებში არსებული კომპიუტერული ტექნიკისა და ლოკალური ქსელის მომსახურება;

ზ) შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფებისათვის დადგენილი წესით და ფორმით ინფორმაციების მიწოდება.

10. იურიდიული განყოფილების ფუნქციებია:

ა) საბაჟო საქმის მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმატიული აქტების პროექტების მომზადებაში მონაწილეობა;

ბ) კომპეტენციის ფარგლებში საბაჟო ორგანოს ინტერესების წარმომადგენლობა სასამართლოსა და სხვა ორგანოებში;

გ) საბაჟოს უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების (ბრძანებების) ფორმის სამართლებრივი ექსპერტიზა;

დ) მონაცემთა ბაზების წარმოებისა და ოპერატიული განახლების მიზნით, კომპეტენციის ფარგლებში, ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილებისათვის შესაბამისი ინფორმა-

ციის მიწოდება.

11. ადმინისტრაციული განყოფილების ძირითადი ფუნქციებია:

ა) მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების აღრიცხვა და განაწილება, მათი დანიშნულებისამებრ გამოყენებისა და შენახვის უზრუნველყოფა;

ბ) კაპიტალური მშენებლობებისა და რემონტების დაგეგმვასა და განხორციელებაში მონაწილეობის მიღება;

გ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში საბაჟოს საჯარო მოსამსახურეთა სამსახურებრივი დანიშვნის, გათავისუფლების, გადაადგილების, წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ღონისძიებების გამოყენების თაობაზე წარდგინებების მომზადება;

დ) საჯარო მოსამსახურეთა შვებულებების გრაფიკის მომზადება და შემოსაველების სამსახურში წარდგენა;

ე) საბაჟოს საჯარო მოსამსახურეთა სამსახურებრივი აღწერილობების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება;

ვ) საბაჟოს პირადი შემადგენლობის მიერ დისციპლინისა და კანონიერების დაცვაზე ზედამხედველობა;

ზ) ნაერთი ხარჯთაღრიცხვით დამტკიცებულ მოცულობათა ფარგლებში საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგების საქმისწარმოება;

თ) ბიუჯეტით გამოყოფილი სახსრების მიზნობრიები ხარჯვა, კვარტლისა და წლიური ბალანსის პროექტის შედგენა შემოსავლების სამსახურში წარსადგენად;

ი) თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების დარიცხვა-გაცემა;

კ) საანგარიშო პერიოდების მიხედვით ბალანსების შედგენა და შესაბამისი ანგარიშების შემოსაველების სამსახურში წარდგენა;

ლ) ძირითადი საშუალებების, მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნების აღრიცხვიანობის წარმოება და მათ სალიკვიდაციოდ შესაბამისი ღონისძიებების ჩატარება;

მ) შემოსული და გასული კორესპონდენციების აღრიცხვა და დამუშავება, მათ შესრულებაზე ზედამხედველობა;

ნ) საქმისწარმოების, საჩივარ-განცხადებების განხილვისა და მოქალაქეთა მიღების ორგანიზაცია;

ო) თათბირების ოქმების გაფორმება და საოქმო გადაწყვეტილებების შესრულებაზე ზედამხედველობა;

პ) საქმისწარმოებით დასრულებული დოკუმენტების საქმეებად ფორმირების, შენახვის, დაცვის უზრუნველყოფა და საქმეთა მომზადება არქივზე გადასაცემად.

12. მომსახურების განყოფილების ფუნქციებია:

ა) ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის, ორგანიზაციებისათვის კონსულტაციების გაწევა საბაჟო კანონმდებლობის საკითხებზე, შესაბამისი განცხადებების და მომართვების განხილვა;

ბ) სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაცია;

გ) საბაჟო ოპერაციების განმახორციელებელი პირების საბაჟო დოკუმენტაციის ბლანკებით მომარაგება.

13. ადმინისტრირების განყოფილების ფუნქციებია:

ა) საბაჟო გადასახდელების გადამხდელთა საინფორმაციო ბარათების (მათ შორის, კონკრეტული გადამხდელების და გადასახდელების სახეობებისდა მიხედვით საგადასახადო დავალიანებათა, საბიუჯეტო შემოსულობათა და ზედმეტად გადახდილი თანხების, ზედმეტად გადახდილი თანხების დაბრუნების, საბაჟო კანონმდებლობის დარღვევებისათვის გამოყენებული სანქციებისა და საურავების აღრიცხვის) საინფორმაციო ბაზების წარმოება;

ბ) საგადასახადო დავალიანებათა ამოღება;

გ) საბაჟო ორგანოებისათვის მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში, საგადასახადო

ვალდებულებების რესტრუქტურიზაციაზე და დავალიანებათა უიმედოდ აღიარების თაობაზე შემოსავლების სამსახურის ადმინისტრირების სამმართველოში წინადადებების წარდგენა;

დ) საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის გასვლითი და კამერალური შემოწმების ჩატარება;

ე) საბაჟო ორგანოების ქვემდებარეობას მიკუთვნებულ სამართალდარღვევათა საქმეებზე სამართალწარმოება, რეგიონალური საბაჟოს მიერ გამოვლენილი და წარმოებული სამართალდარღვევათა საქმეების აღრიცხვა და საინფორმაციო ბაზის წარმოება;

ვ) საბაჟო სფეროში სამართალდარღვევების გამოვლენა-აღკვეთის საქმეში საგამოძიებო და სხვა უფლებამოსილ ორგანოებთან თანამშრომლობა, მათ შორის ერთობლივი ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 13 აპრილი ბრძანება N343

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის დებულების დამტკიცების თაობაზე

«საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-4 პუნქტის და საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის N39 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის «ლ» ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს «საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის დებულება».

2. ბრძანება ამოქმედდეს 2007 წლის 16 აპრილს.

ა. ალექსიშვილი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი) არის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის სისტემაში შემავალი განსაკუთრებული ნიშნის მიხედვით შექმნილი სტრუქტურული ქვედანაყოფი, რომელიც არსებული კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს საფინანსო-ეკონომიკურ სფეროში დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით მის კომპეტენციას მიკუთნებულ საქმეთა წინასწარ გამოძიებას და კანონმდებლობით დადგენილ სხვა ფუნქციებს.

2. დეპარტამენტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებებით, საქართველოს საბაჟო კოდექსით, საქართველოს სხვა კანონებითა და ნორმატიული აქტებით და ამ დებულებით.

3. დეპარტამენტი თავისი ფუნქციების განხორციელებისას მოქმედებს სახელმწიფოს სახელით.

4. დეპარტამენტი ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის (შემდგომში - სამსახური) ასიგნებების ფარგლებში.

5. დეპარტამენტის იურიდიული მისამართია: ქ.თბილისი, უნივერსიტეტის ქ. 2.

მუხლი 2. დეპარტამენტის ამოცანები

დეპარტამენტის ძირითადი ამოცანებია:

ა) საფინანსო-ეკონომიკურ სფეროში დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევების გამოვლენა-აღკვეთა, მათზე სათანადო რეაგირება, მათში მონაწილე პირის ან პირების დადგენა, მათ მიმართ კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება;

ბ) საფინასო-ეკონომიკურ სფეროში სამოხელეო დანაშაულის და კორუფციულ გარიგებათა პრევენცია, აღკვეთა და გამოვლენა;

გ) დანაშაულის ნიშნების არსებობისას სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად წინასწარი გამოძიების წარმოება;

დ) მოსამართლისა და პროკურორის წერილობითი დავალების, მითითებების შესრულება, საფინანსო-ეკომომიკურ სფეროში საგამოძიებო მოქმედებების წარმოებისას კომპეტენციის ფარგლებში მათთვის დახმარების გაწევა;

ე) დანაშაულის გამოვლენა-აღკვეთის მიზნით ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა;

ვ) საბაჟო და საგადასახადო სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებისათვის ხელის შეწყობა, რეკომენდაციათა შემუშავება ამ ურთიერთობის გაუმჯობესებისა და ბიუჯეტში გადასახადების სრულად და დროულად მობილიზაციის კუთხით;

ზ) საფინანსო-საბიუჯეტო და ფულად-საკრედიტო ურთიერთობათა სფეროში კანონმდებლობის დარღვევის ხელშემწყობი მიზეზების გამოვლენა, პირობების შესწავლა-ანალიზი და რეკომენდაციების შემუშავება.

მუხლი 3. დეპარტამენტის სტრუქტურა

1. დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულებია:

ა) ადმინისტრაცია;

ბ) განსაკუთრებულ მნიშვნელოვან საქმეთა მთავარი სამმართველო;

გ) ოპერატიულ-ტექნიკური უზრუნველყოფის მთავარი სამმართველო;

დ) ოპერატიული აღრიცხვის სამმართველო;

ე) თბილისის მთავარი სამმართველო;

ვ) ქვემო ქართლის სამმართველო;

ზ) კახეთის სამმართველო;

თ) მცხეთა-მთიანეთის სამმართველო;

ი) შიდა ქართლის სამმართველო;

კ) სამცხე-ჯავახეთის სამმართველო;

ლ) იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის და გურიის სამმართველო;

მ) სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველო;

ნ) აჭარის სამმართველო.

2. ადმინისტრაციის ძირითადი ამოცანებია:

ა) უზრუნველყოს დეპარტამენტში საქმისწარმოება – შემოსავლების სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისად;

ბ) განახორციელოს საკონტროლო დავალებათა შესრულებაზე კონტროლი და დეპარტამენტის უფროსს პერიოდულად მიაწოდოს ინფორმაცია მათი შესრულების შესახებ;

გ) განახორციელოს შემოსული და გასული კორესპონდენციების სათანადო დამუშავება და დააწესოს კონტროლი შემოსული კორესპონდენციების მოძრაობაზე;

დ) უზრუნველყოს არქივის წარმოება;

ე) უზრუნველყოს მუდმივად შესანახი კორესპონდენციებისა და კორესპონდენციათა რეგისტრაციის ჟურნალების ქრონოლოიური წესით დალაგება და მათი არქივში გადასაცემად მომზადება;

ვ) აწარმოოს მოხელეთა დანიშვნა-გათავისუფლების შესახებ ინდივიდუალური ადმინის-

ტრაციულ-სამართლებრივი აქტების (ბრძანებების) პროექტების მომზადება, მათი პირადი საქმეების შედგენა და შრომის წიგნაკების აღრიცხვა;

ზ) უზრუნველყოს შრომის დისციპლინის დაცვა;

თ) წრადგინოს ნაერთი ანგარიშები შემოსავლების სამსახურში;

ი) კანონმდებლობით დადაგენილი წესით განახორციელოს დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა და ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგება.

3. განსაკუთრებულ მნიშნელოვან საქმეთა მთავარი სამმართველო არის დეპარტამენტის ოპერატიულ-საგამოძიებო ორგანო და მისი ძირითადი ამოცანებია:

ა) აწარმოოს ქვეყნის მასშტაბით რთული, მრავალეპიზოდიანი, აგრეთვე დეპარტამენტის უფროსის გადაწყვეტილებით განსაზღვრული სხვა სისხლის სამართლის საქმეების გამოძიება;

ბ) განახორციელოს ქვეყნის მასშტაბით დეპარტამენტის უფროსის მიერ განსაზღვრულ სფეროში დანაშაულის გამოვლენა-თავიდან აცილების მიზნით ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები, ამ სფეროში დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობის ხაზობრივი ანალიზი;

გ) დანაშაულის სახეების, ხერხების, მეთოდების განსაზღვრა და სათანადო ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ორგანიზება;

დ) დეპარტამნტის ტერიტორიული ორგანოებში ამ მიმართულებით ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ორგანიზება და კოორდინაცია.

4. ოპერატიულ-ტექნიკური უზრუნველყოფის მთავარი სამმართველო არის დეპარტამენტის ოპერატიულ-სამძებრო ორგანო, რომლის ძირითადი ამოცანებია:

ა) დეპარტამენტის ოპერატიულ-საგამოძიებო დანაყოფების ოპერატიულ-ტექნიკური უზრუნველყოფა;

ბ) სპეციალური საშუალებების და სპეციალიზირებული დანაყოფების გამოყენებით ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების განხორციელება.

5. ოპერატიული აღრიცხვის სამმართველოს არის დეპარტამტნის ოპერატიულ-სამძებრო ორგანო და მისი ძირითადი ამოცანებია:

ა) ოპერატიული ინფორმაციის, ოპერატიული აღრიცხვის საქმეების და საიდუმლო თანამშრომელთა აპარატის აღრიცხვა;

ბ) სამსახურის დანაყოფებისათვის ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელებისათვის მეთოდური და პრაქტიკული დახმარების გაწევა;

გ) დეპარტამენტში საიდუმლო რეჟიმის, კონსპირაციის დაცვის უზრუნველყოფა და კონტროლი.

6. დეპარტამენტის ტერიტორიული ოპერატიულ-საგამოძიებო ორგანოების (თბილისის მთავარი სამმართველო, ქვემო ქართლის სამმართველო; კახეთის სამმართველო; მცხეთა-მთიანეთის სამმართველო; შიდა ქართლის სამმართველო; სამცხე-ჯავახეთის სამმართველო; იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის და გურიის სამმართველო; სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველო; აჭარის სამმართველო) ძირითადი ამოცანებია:

ა) სამოქმედო ტერიტორიაზე საფინანსო-ეკონომიკურ სფეროში დანაშაულისა და სამართალდარღვევების გამოვლენა-აღკვეთა;

ბ) დანაშაულის შესახებ განცხადებებისა და შეტყობინებების მიღება, რეგისტრაცია და რეაგირება;

გ) საფინანსო-ეკონომიკურ სფეროში ჩადენილი დანაშულთა გახსნა, მათი ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოძიება;

დ) საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელება;

ე) დანაშაულის გამოვლენა-აღკვეთის მიზნით ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა;

ვ) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე კანონით დადგენილი წესით რეაგირება;

ზ) სამოქმედო ტერიტორიაზე მოსამართლისა და პროკურორის წერილობით დავალებების, მითითებების შესრულება, საფინანსო-ეკონომიკურ სფეროში საგამოძიებო მოქმედების წარმოებისას მათთვის დახმარების აღმოჩენა.

7. დეპარტამენტის ტერიტორიულ ოპერატიულ-საგამოძიებო ორგანოებს სამოქმედო ტერიტორიებად განესაზღვროთ:

ა) თბილისის მთავარი სამმართველო – ქ. თბილისის ადმინისტრაციული ტერიტორიის ფარგლები;

ბ) ქვემო ქართლის სამმართველო – ქ. რუსთავის, გარდაბნის, მარნეულის, ბოლნისის, დმანისის, წალკის, თეთრიწყაროს რაიონების ადმინისტრაციული ტერიტორიის ფარგლები;

გ) კახეთის სამმართველო – თელავის, საგარეჯოს, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, სიღნაღის, ყვარელის, ახმეტისა და ლაგოდეხის რაიონების ადმინისტრაციული ტერიტორიის ფარგლები;

დ) მცხეთა-მთიანეთის სამმართველო – ქ. მცხეთის, დუშეთის, ახალგორის, თიანეთის და ყაზბეგის რაიონების ადმინისტრაციული ტერიტორიის ფარგლები;

ე) შიდა ქართლის სამმართველო – გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის რაიონების ადმინისტრაციული ტერიტორიის ფარგლები;

ვ) სამცხე-ჯავახეთის სამმართველო – ქ. ბორჯომის, ახალციხის, ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონების ადმინისტრაციული ტერიტორიის ფარგლები;

ზ) იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის სამმართველო – ქ. ქუთაისის, ჭიათურის, საჩხერის, ზესტაფონის, თერჯოლის, ტყიბულის, ბაღდათის, ვანის, სამტრედიის, ხონის, ხარაგაულის, წყალტუბოს, ამბროლაურის, ონის, ცაგერის, ლენტეხის ლანჩხუთის, ჩოხატაურისა და ოზურგეთის რაიონების ადმინისტრაციული ტერიტორიის ფარგლები;

თ) სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველო – ქ. ფოთის, ზუგდიდის, წალენჯიხის, მესტიის, ჩხოროწყუს, მარტვილის, ხონის, აბაშის და სენაკის რაიონების ადმინისტრაციული ტერიტორიის ფარგლები;

ი) აჭარის სამმართველო – ქ. ბათუმის, ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, შუახევისა და ხულოს რაიონების ადმინისტრაციული ტერიტორიის ფარგლები.

8. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამდე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ოპერატიულ-საგამოძიებო ორგანოების ფუნქციებს ახორციელებს დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველო, ხოლო ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე – შესაბამისად დეპარტამენტის შიდა ქართლის სამმართველო.

9. დეპარტამენტის მთავარი სამმმართველოები დეპარტამენტის საშტატო განრიგის შესაბამისად შეიძლება დაიყოს რამდენიმე სამმართველოდ (არანაკლებ ორ სამმართველოდ), რომელთა ხელმძღვანელები სარგებლობენ ამ დებულების მე-4 მუხლით განსაზღვრული უფლებამოსილებით.

მუხლი 4. დეპარტამენტის ხელმძღვანელობა

1. დეპარტამენტს ხელმძღვანელობს უფროსი, რომელიც:

ა) ხელმძღვანელობს დეპარტამენტის მუშაობას და პასუხს აგებს მის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულებაზე;

ბ) უწყებრივ და ორგანიზაციულ კონტროლს უწევს მის დაქვემდებარებაში მყოფი საგამოძიებო დანაყოფებს და გამომძიებლებს, აკონტროლებს მათ მიერ საშემსრულებლო და სამსახურებრივი დისციპლინეს დაცვას;

გ) უწყებრივ და ორგანიზაციულ კონტროლს უწევს იმ მოქმედებათა შესრულებას, რომლებიც დანაშაულის გამოვლენისა და თავიდან აცილებისკენაა მიმართული;

ვ) ხელმძღვანელობს ოპარატიულ-სამძებრო ღონისძიებებს დანაშაულის გამოვლენის,

დამნაშავე პირის დადგენა-დაკავების და დანაშაულის თავიდან აცილების მიზნით;

ზ) კომპეტენციის ფარგლებში იღებს გადაწყვეტილებებს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელებაზე;

თ) ახორციელებს დეპარტამენტის ოპერატიული ორგანოების თანამშრომელთა სამსახურებრივ ზედამხედველობას;

ი) მონაწილეობს დეპარტამენტის ოპერატიულ-საგამოძიებო ორგანოების თანამშრომელთა შერჩევასა და განაწილებაში;

კ) შემოსაელების სამსახურის უფროსს თანამდებობაზე დასანიშნად წარუდგენს დაქვემდებარებული სტრუქტურული ერთეულების საუკეთესო მოსამსახურეთა კანდიდატურებს;

ლ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს;

2. დეპარტამენტის უფროსს ჰყავს მოადგილე (მოადგილეები), რომელთა რაოდენობა დგინდება საშტატო ნუსხით, ხოლო უფლებამოსილება სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (ბრძანებით).

3. ამ პუნქტით დადგენილ უფლებამოსილებას ახორციელებენ დეპარტამენტის ოპერატიულ-საგამოძიებო დანაყოფების (მთავარი სამმართველო, სამმართველო, განყოფილება) უფროსები და მათი მოადგილეები, კერძოდ:

ა) ხელმძღვანელობენ ოპერატიულ-საგამოძიებო ორგანოების მუშაობას და პასუხს აგებენ მათ წინაშე მდგარი ამოცანების შესრულებაზე;

ბ) სწავლობენ და აანალიზებენ ხაზობრივად საფინანსო-ეკონომიკურ სფეროში დანაშაულის მდგომარეობას, მასთან ბრძოლის შედეგებს, სახავენ და ახორციელებენ ღონისძიებებს ამ მიმართულებით მუშაობის გაუმჯობესების მიზნით;

გ) ადგენენ დანაყოფის სამუშაო და სპეციალურ გეგმებს, აწესებენ კონტროლს მათ შესრულებაზე, აჯამებენ დანაყოფის მიერ გაწეულ მუშაობას, შეიმუშავებენ და წარუდგენენ პოლიციის ხელმძღვანელობას წინადადებებს დანაყოფის მუშაობის შემდგომი სრულყოფის თაობაზე;

დ) უზრუნველყოფენ პირადი შემადგენლობის საქმიანობაში კანონიერების და პირადი დისციპლინის დაცვას, დახმარებას უწევენ მათ, რათა სისტემატურად აიმაღლონ პროფესიული მომზადების დონე; აფასებენ მათ მიერ გაწეულ მუშაობას და პოლიციის ხელმძვანელობას წარუდგენენ წინადადებებს დისციპლინური პასუხისგებლობის ან წახალისების გამოყენების შესახებ;

ე) სამსახურის უფროსის მიერ განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში აწარმოებენ მიმოწერას მათ წინაშე მდგარი ამოცანების შესაბამისად;

ვ) ორგანიზაციას უწევენ მოქალაქეთა განცხადებების და საჩიერების დროულ და ხარისხიან შესრულებას.

ზ) პირადად გაანიათ ოპერატიული წყაროები და მონაწილეობენ განსაკუთრებულ საქმეებთან დაკავშირებულ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებში. აძლევენ მითითებებს და რეკომენდაციებს დანაყოფის პირად შემადგენლობას ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელებაში.

თ) კანონმდებლობის შესაბამისად განიხილავენ საფინანსო-ეკონომიკურ სფეროში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს, კანონმდებლობის შესაბამისად დამრღვევს ადებენ ადმინისტრაციულ სახდელს.

ი) უწყებრივ და ორგანიზაციულ კონტროლს უწევენ მათ დაქვემდებარებაში მყოფ გამომძიებლებს, აკონტროლებენ მათ მიერ საშემსრულებლო და სამსახურებრივი დისციპლინის დაცვას;

კ) უწყებრივ და ორგანიზაციულ კონტროლს უწევენ იმ მოქმედებათა შესრულებას, რომლებიც დანაშაულის გამოვლენისა და თავიდან აცილებისკენაა მიმართული;

ლ) კომპეტენციის ფარგლებში იღებენ გადაწყვეტილებებს ოპერატიულ-სამძებრო

საქმიანობის განხორციელებაზე;

მ) მონაწილეობენ დეპარტამენტის ოპერატიულ-საგამოძიებო ორგანოების თანამშრომელთა შერჩევასა და განაწილებაში;

ნ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებენ სხვა უფლებამოსილებებს.

4. ამ პუნქტით დადგენილ უფლებამოსილებებს ახორციელებენ დეპარტამენტის ოპერატიულ-სამძებრო დანაყოფების (მთავარი სამმართველო, სამმართველო) უფროსები და მათი მოადგილეები, კერძოდ:

ა) ხელმძღვანელობენ ოპერატიულ-სამძებრო ორგანოების მუშაობას და პასუხს აგებენ მათ წინაშე მდგარი ამოცანების შესრულებაზე;

ბ) ადგენენ დანაყოფის სამუშაო და სპეციალურ გეგმებს, აწესებენ კონტროლს მათ შესრულებაზე, აჯამებენ დანაყოფის მიერ გაწეულ მუშაობას, შეიმუშავებენ და წარუდგენენ დეპარტამენტის ხელმძღვანელობას წინადადებებს დანაყოფის მუშაობის შემდგომი სრულყოფის თაობაზე;

გ) უზრუნველყოფენ პირადი შემადგენლობის საქმიანობაში კანონიერების და პირადი დისციპლინის დაცვას, დახმარებას უწევენ მათ, რათა სისტემატურად აამაღლონ პროფესიული მომზადების დონე; აფასებენ მათ მიერ გაწეულ მუშაობას და სამსახურის ხელმძღვანელობას წარუდგენენ წინადადებებს დისციპლინური პასუხისგებლობის ან წახალისების გამოყენების შესახებ;

დ) სამსახურის უფროსის მიერ განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში აწარმოებენ მიმოწერას მათ წინაშე მდგარი ამოცანების შესაბამისად;

ე) ახორციელებენ კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

5. დეპარტამენტის უფროსის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას დეპარტამენტის უფროსის დავალებით ასრულებს დეპარტამენტში სტრუქტურული ქვედანაყოფის სახით შემავალი ერთ-ერთი სამმართველოს უფროსი. (15.05.2007 N20)

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 13 აპრილი ბრძანება N344

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის სპეციალური დანიშნულების რაზმის დებულების დამტკიცების თაობაზე

«საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-4 პუნქტის და საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის N39 დდაგენილებით დამტკიცებული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის «ლ» ქვეპუნქტის საფუძველზე, **ბრძანებ:**

1. დამტკიცდეს «საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის სპეციალური დანიშნულების რაზმის დებულება».

2. ბრძანება ამოქმედდეს 2007 წლის 16 აპრილს.

მინისტრის პირველი მოადგილე **კ. ბაინდურაშვილი**

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის სპეციალური დანიშნულების რაზმის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის სპეციალური დანიშნულების რაზმი (შემდგომში - რაზმი) არის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის (შემდგომში - სამსახური) სისტემაში შემავალი, განსაკუთრებული ნიშნის მიხედვით შექმნილი სტრუქტურული ქვედანაყოფი, რომლის ძირითადი ფუნქციაა შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული ერთეულებისათვის დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევების გამოვლენა-აღკვეთისას, ასევე საბაჟო და საგადასახადო კანონმდებლობის აღსრულებისას, საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისას და მათ კომპეტენციაში შემავალი ამოცანების განხორციელებისას ფიზიკური დახმარების აღმოჩენა.

2. რაზმი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებებით, საქართველოს კანონით «იარაღის შესახებ», საქართველოს სხვა კანონებითა და სამართლებრივი აქტებით და ამ დებულებით.

3. რაზმი თავისი ფუნქციების განხორციელებისას მოქმედებს სახელმწიფოს სახელით.

4. რაზმი ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ასიგნებების ფარგლებში.

5. რაზმის ამოცანების ეფექტურად შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, სამსახურის უფროსის მიერ სპეციალური რაზმის მიმართ განსახორციელებელი შესაბამისი ფუნქციები შეიძლება დელეგირებულ იქნას სამსახურის უფროსის ერთ-ერთ მოადგილეზე.

6. რაზმის დისლოკაციის ადგილია: ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. 2.

მუხლი 2. რაზმის ამოცანები

რაზმის ძირითადი ამოცანებია:

ა) სამსახურის სტრუქტურული ერთეულებისათვის ფიზიკური დახმარების გაწევა;

ბ) საქართველოს სისხლის სამართლის, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა, საბაჟო და საგადასახადო კოდექსებით განსაზღვრულ საქმეებზე არსებული მტკიცებულებების დაცვის უზრუნველყოფა;

გ) საგამოძიებო მოქმედებების, ასევე საბაჟო და საგადასახადო კოდექსებით განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელებისას სამსახურის თანამშრომლებისათვის ფიზიკური დახმარების გაწევა;

დ) ფინანსთა სამინისტროს შემობა-ნაგებობების, დანაშაულის ადგილების, მტკიცებულებების, საბაჟო კონტროლის ზონების და სხვა სპეციალური სადგომებისა და ქონების დაცვა დანაშაულებრივი ხელყოფისაგან;

ე) სამსახურის შენობა-ნაგებობებში მოქალაქეთა დაშვების ორგანიზება;

ვ) სამსახურის საგამოძიებო ორგანოების მიერ დაკავებულ და დაპატიმრებულ პირთა აღრიცხვა და ბადრაგირება;

ზ) დღე-ღამური ოპერატიული ვითარების ინფორმაციის მიღება და სისტემატიზაცია;

თ) სამსახურზე რიცხული ცეცხლსასროლი იარაღის და კავშირგაბმულობის საშუალებების (გარდა სპეციალური ოპერატიული ტექნიკის) გაცემის ორგანიზება;

ი) ფინანსთა სამინისტროს სისტემის (მათ შორის, სამსახურის) თანამდებობის პირების უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

კ) საგანგებო ვითარებისას მობილიზაციის, ასევე შენობებიდან საევაკუაციო გეგმების შემუშავება და მართვა.

მუხლი 3. რაზმის სტრუქტურა

1. რაზმი შედგება სამორიგეო განყოფილებისაგან და სამმართველოებისაგან, რომელთა რაოდენობა განისაზღვრება რაზმის საშტატო ნუსხით, რომელსაც სამსახურის უფროსის წარდგინებით ამტკიცების საქართველოს ფინანსთა მინისტრი.

2. სამორიგეო განყოფილების ძირითადი ამოცანაა:

ა) რაზმის განთავსების შენობაში მოქალაქეთა დაშვების ორგანიზება;

ბ) საგამოძიებო დანაყოფების მიერ დაკავებულ პირთა აღიცხვა;

გ) დღე-ღამური ოპერატიულ ვითარების ინფორმაციის მიღება-სისტემატიზაცია;

დ) განგაშის ან საგანგებო შემთხვევისას სამსახურის ხელმძღვანელ პირთა ინფორმიება;

ე) საგანგებო სიტუაციებში სამსახურის შენობიდან თანამშრომელთა ევაკუაციის ორგანიზება;

ვ) სამსახურზე რიცხული ცეცხლსასროლი იარაღის და კავშირგაბმულობის საშუალებების მიღება-გაცემის ორგანიზება.

3. რაზმის სამმართველოების ძირითადი ამოცანებია:

ა) სამსახურის ოპერატიულ-საგამოძიებო და სხვა სტრუქტურული ერთეულებისათვის მათზე დაკისრებული ამოცანების შესრულების უზრუნველსაყოფად ფიზიკური დახმარების გაწევა;

ბ) სამსახურის შენობა-ნაგებობის, დანაშაულის ადგილების, მტკიცებულების და სხვა ფასეულობების, საბაჟო კონტროლის ზონების და სხვა სპეციალური სადგომების დაცვა დანაშაულებრივი ხელყოფისაგან.

მუხლი 4. რაზმის ხელმძღვანელობა

1. რაზმს ხელმძღვანელობს უფროსი, რომელიც:

ა) წარმართავს რაზმის მუშაობას და პასუხს აგებს მის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულებაზე;

ბ) უწყებრივ და ორგანიზაციულ კონტროლს უწევს მის დაქვემდებარებაში მყოფ რაზმის თანამშრომლებს, აკონტროლებს მათ მიერ საშემსრულებლო და სამსახურებრივი დისციპლინის დაცვას;

გ) კომპეტენციის ფარგლებში იღებს გადაწყვეტილებებს სპეციალური ღონისძიებების განხორციელებაზე;

დ) ახორციელებს რაზმის თანამშრომელთა სამსახურებრივ ზედამხედველობას;

ე) მონაწილეობს რაზმის თანამშრომელთა შერჩევასა და განაწილებაში;

ვ) სამსახურის უფროსს თანამდებობაზე დასანიშნად წარუდგენს დაქვემდებარებული სტრუქტურული ერთეულების საჯარო მოსამსახურეთა კანდიდატურებს;

ზ) ამზადებს წინადადებებს შეიარაღებაში არსებული ტექნიკური საშუალებებისა და კავშირგაბმულობის საშუალებების სრულყოფის თაობაზე, სამსახურებრივი ამოცანების შესრულების ეფექტურობის გაზრდის მიზნით;

თ) შეიმუშავებს თანამშრომელთა მომზადებისა და სწავლების პროგრამებს, სასწავლო-მეთოდურ სახელმძღვანელოებს, ორგანიზებას უწევს სასწავლო-მეთოდურ შეკრებებს და მეცადინეობებს, თანამშრომელთა მომზადებას და გადამზადებას;

ი) აანალიზებს სამსახურებრივი დისციპლინის მდგომარეობას, შეიმუშავებს და ახორციელებს მოსამსახურეთა შორის სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების თავიდან აცილების ღონისძიებებს;

კ) იღებს ზომების შეიარაღების, საბრძოლო და სხვა ტექნიკის, საწვავისა და სხვა მატერიალური საშუალებების შენახვის, მოვლისა და სწორად გამოყენებისათვის. პერიოდულად ამოწმებს მათ რაოდენობას და საბრძოლო მზადყოფნას;

ლ) ატარებს ქვედანაყოფების მიხედვით მატერიალური საშუალებების არსებობის დაგეგმილ და მოულოდნელ შემოწმებას;

მ) იღებს ზომებს დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევათა თავიდან ასაცილებლად;

ნ) დანაშაულებრივი ქმედების შემთხვევაში აღნიშნულის თაობაზე მოახსენებს სამსახურის უფროსს;

ო) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

2. რაზმის უფროსი ანგარიშვალდებულია სამსახურის უფროსის წინაშე.

3. რაზმის უფროსს ჰყავს მოადგილე (მოადგილეები), რომელთა რაოდენობა დგინდება საშტატო ნუსხით, ხოლო უფლებამოსილება _ სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (ბრძანებით).

მუხლი 5. ფიზიკური იძულების, სპეციალური საშუალებების და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების უფლება

1. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას რაზმის თანამშრომელს მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, კანონით დადგენილი წესით უფლება აქვს გამოიყენოს ფიზიკური იძულება, სპეციალური საშუალებები, სამსახურებრივ-საშტატო იარაღი.

2. რაზმის მოსამსახურე ფიზიკურ იძულებას, სპეციალურ საშუალებებსა და ცეცხლსასროლ აირაღს იყენებს «პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონის მე-10, მე-11, მე-12 (გარდა მე-12 მუხლის პირველი პუნქტის «გ», «დ», «ვ» და «ზ» ქვეპუნქტისა) და მე-13 მუხლებითა და სხვა ნორმატიული აქტებით დადგენილ შემთხვევებში და წესით.

მუხლი 6. დაცვის ობიექტის განსაზღვრა

1. რაზმის თანამშრომლის ან თანამშრომელთა ჯგუფის მიერ დაცვის ობიექტის განსაზღვრის თაობაზე სამსახურის უფროსის წარდგინებით გადაწყვეტილებას იღებს რაზმის უფროსი.

2. გადაუდებელ შემთხვევაში როდესაც დაყოვნებამ შეიძლება გამოუსწორებელი შედეგები გამოიწვიოს, დავალების შესრულებაზე გადაწყვეტილება მიიღება რაზმის უფროსის მიერ სამსახურის უფროსთან სიტყვიერი შეთანხმებით, ამ შემთხვევაში გადაწყვეტილება წერილობით უნდა გაფორმდეს სამი დღის ვადაში.

3. იმ შემთხვევაში, როდესაც დაცვის ობიექტია ფინანსთა სამინისტროს/ სამსახურის თანამდებობის პირი ან სხვა, საქმისათვის საჭირო დაცვის ობიექტი, რაზმის უფროსის მიერ კეთდება წარდგინება ხანგრძლივი მივლინების (არა უმეტეს 6 თვისა) გაფორმების თაობაზე. შესაძლებელია მივლინების გაგრძელება.

4. დაკავებულთა და დაპატიმრებულთა ბადრაგირებაზე, ასევე რაზმის თანამშრომლების დახმარებაზე გადაწყვეტილებას იღებს რაზმის უფროსი, სამსახურის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის უფროსის წარდგინებით.

მუხლი 7. რაზმის თანამშრომლთა უსაფრთხოება

რაზმის თანამშრომელი დაკისრებული დავალების შესრულებისას, მისი უსაფრთხოების დაცვის უზრუნველსაყოფად, უფლებამოსილია ისარგებლოს პირბადით.

საქართველოს საბაჟო კოდექსი

კარი I
ზოგადი დებულებანი

თავი I. საქართველოს საბაჟო კოდექსით რეგულირებული ურთიერთობები და ამ კოდექსში გამოყენებული ტერმინები

მუხლი 1. საქართველოს საბაჟო კოდექსით რეგულირებული ურთიერთობები

ეს კოდექსი აწესრიგებს საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასა და საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საქონლის გატანასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს, განსაზღვრავს საბაჟო ზედამხედველობისას, საბაჟო კონტროლის და საბაჟო პროცედურების განხორციელებისას წარმოშობილ ურთიერთობებში მონაწილე პირებისა და საბაჟო ორგანოების სამართლებრივ მდგომარეობას, პასუხისმგებლობას საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის დარღვევისათვის, აგრეთვე საბაჟო ორგანოებისა და მათი უფლებამოსილი პირების არამართლზომიერ ქმედებათა გასაჩივრების წესსა და პირობებს, საბაჟო დავების გადაწყვეტის წესს.

მუხლი 2. საქართველოს საბაჟო კანონმდებლობა

1. საქართველოს საბაჟო კანონმდებლობა შედგება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ძალაში შესული საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების, ამ კოდექსის, საბაჟო საქმის ორგანიზების მარეგულირებელი სხვა საკანონმდებლო აქტებისაგან და მათ შესაბამისად მიღებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისაგან.

2. საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის მოქმედება ვრცელდება საქართველოს მთელ საბაჟო ტერიტორიაზე, თუ ამავე კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი.

3. საბაჟო ურთიერთობების რეგულირებისას ამ კოდექსში გამოყენებული სამოქალაქო სამართლის ან საქართველოს კანონმდებლობის სხვა სფეროს ტერმინები და ცნებები გამოიყენება იმ მნიშვნელობით, რა მნიშვნელობაც მათ აქვთ შესაბამის სფეროში, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 3. დადგენილებები, ბრძანებები და მითითებები

1. ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში და მისი აღსრულების მიზნით საქართველოს მთავრობა და საქართველოს ფინანსთა მინისტრი შესაბამისად გამოსცემენ დადგენილებებსა და ბრძანებებს.

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის უფროსი საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის აღსრულების მიზნით გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს საბაჟო ორგანოების მიერ საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის გამოყენების შესახებ. საბაჟო ორგანოები საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის აღსრულებისას ხელმძღვანელობენ ამ აქტებით. *(29.12.2006 N4256)*

მუხლი 4. საბაჟო პოლიტიკა და საბაჟო საქმის ორგანიზება

1. საქართველოში ტარდება ერთიანი საბაჟო პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო ინტერესების დაცვასა და საერთაშორისო სამართლის წესებით გათვალისწინებული პრინციპების, ნორმებისა და სტანდარტების გამოყენებით საქართველოს საბაჟო საქმის ორგანიზების სრულყოფას.

2. საბაჟო პოლიტიკის გატარება განეკუთვნება საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას.

3. საბაჟო საქმის ორგანიზება არის საბაჟო ორგანოების მიერ გასატარებელ იმ ღონისძიებათა ერთობლიობა, რომლებიც დაკავშირებულია საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასა და საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საქონლის გატანასთან და საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის გამოყენებასთან.

მუხლი 5. საქართველოს საბაჟო ტერიტორია და საბაჟო საზღვარი

1. საქართველოს საბაჟო ტერიტორია შედგება საქართველოს სახმელეთო ტერიტორიისაგან, ტერიტორიული და შიდა წყლებისაგან და მათი საჰაერო სივრცისაგან. საქართველოს საბაჟო ტერიტორია აგრეთვე მოიცავს განსაკუთრებულ საზღვაო ეკონომიკურ ზონაში განლაგებული დანადგარების, ნაგებობებისა და ხელოვნური კუნძულების ტერიტორიებს, რომლებზედაც ერცელდება საქართველოს განსაკუთრებული იურისდიქცია.

2. საქართველოს საბაჟო ტერიტორია შემოიფარგლება საბაჟო საზღვრით, რომელიც ემთხვევა საქართველოს სახელმწიფო საზღვარს.

მუხლი 6. საქონლის საბაჟო სტატუსი

1. საქონლის დაბეგვრის, სავაჭრო პოლიტიკის ღონისძიებების გატარების და საბაჟო პროცედურების განხორციელების მიზნით საქონელს ენიჭება საქართველოს საქონლის ან უცხოური საქონლის საბაჟო სტატუსი.

2. ამ კოდექსის მიზნებისათვის საქართველოს საქონელი არის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე მთლიანად წარმოებული ან მიღებული საქონელი ან/და უცხო ქვეყნიდან შემოტანილი და თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებული საქონელი.

3. ამ კოდექსის მიზნებისათვის უცხოური საქონელი არის საქონელი, რომელიც არ აკმაყოფილებს ამ მუხლის მე-2 ნაწილში აღნიშნულ პირობებს. თუ საქართველოს საქონელი გატანილ იქნა საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან, იგი კარგავს საქართველოს საქონლის საბაჟო სტატუსს.

მუხლი 7. ამ კოდექსში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1. დეკლარანტი – პირი, რომელიც საბაჟო დეკლარირებას ახორციელებს თავისი სახელით ან რომლის სახელითაც ხორციელდება საბაჟო დეკლარირება.

2. საბაჟო დეკლარირება – მოქმედება, რომლითაც პირი საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით დადგენილი ფორმისა და წესის შესაბამისად აცხადებს საქონლის მიმართ საბაჟო დამუშავების ოპერაციის გამოყენების განზრახვას.

3. საბაჟო დეკლარაცია – დოკუმენტი, რომლითაც პირი საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით დადგენილი ფორმისა და საშუალების შესაბამისად აცხადებს საქონლის მიმართ საბაჟო რეჟიმის გამოყენების განზრახვას.

4. პირი, რეზიდენტი, არარეზიდენტი, საწარმო, ორგანიზაცია, მეწარმე ფიზიკური პირი, საქართველოს საწარმო/ორგანიზაცია, უცხოური საწარმო/ორგანიზაცია, საბიუჯეტო ორგანიზაცია, ურთიერთდამოკიდებული პირები, ნათესავი, დაქირავებული პირი, პირის ოჯახი, კომპენსაცია – თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, განისაზღვრება საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით.

5. სავაჭრო პოლიტიკის ღონისძიებები – საქონლის საქართველოში შემოტანისა და საქართველოდან გატანის მარეგულირებელი აქტების საფუძველზე მოქმედი სატარიფო და არასატარიფო ღონისძიებები.

6. სატარიფო ღონისძიებები – განისაზღვრება საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული საბაჟო გადასახადით. *(29.12.2006 N4247)*

7. არასატარიფო ღონისძიებები – საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საზედამხედველო ან დაცვითი ღონისძიებები, საქონლის საქართველოში შემოტანასა და საქართველოდან გატანაზე დაწესებული აკრძალვები ან/და შეზღუდვები.

8. საბაჟო გადასახდელებია:

ა) იმპორტის გადასახდელი – საბაჟო მოსაკრებელი, საბაჟო გადასახადი, აქციზი ან/და დამატებული ღირებულების გადასახადი, რომლის გადახდის ვალდებულება წარმოიშობა საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასთან დაკავშირებით; *(29.12.2006 N4247)*

ბ) ექსპორტის გადასახდელი – საბაჟო მოსაკრებელი ან/და გადასახადი, რომლის გადახდის ვალდებულება წარმოიშობა საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საქონლის გატანასთან დაკავშირებით.

9. საქონელი – საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე გადაადგილებული ნებისმიერი მატერიალური ქონება, მათ შორის, ფული, ფასიანი ქაღალდები, ელექტრო- და თბოენერგია, გაზი და წყალი.

10. იდენტური საქონელი – საქონელი, რომელიც შესაფასებელ საქონელთან შედარებით ყოველმხრივ, ფიზიკური მახასიათებლების, ხარისხისა და რეპუტაციის (სავაჭრო ნიშნის) ჩათვლით, ერთნაირია, აგრეთვე აქვს ერთი და იგივე წარმოშობის ქვეყანა და მწარმოებელი პირი (ან სხვადასხვა მწარმოებელი პირი, თუ არ მოიპოვება მონაცემები შესაფასებელი საქონლის მწარმოებელი პირის მიერ წარმოებულ იდენტურ საქონელზე). უმნიშვნელო გარეგნული განსხვავებები არ უნდა უშლიდეს ხელს საქონლის იდენტურად მიჩნევას, თუ სხვა მაჩვენებლებით იგი შეესაბამება მოცემულ განსაზღვრებას. იდენტურ საქონლად არ ჩაითვლება ისეთი საქონელი, რომლის ინჟინერია, დამუშავება, მხატვრული დიზაინი, ნახაზები და ესკიზები დამზადებულია საქართველოში.

11. მსგავსი საქონელი – საქონელი, რომელიც არ არის ზუსტად შესაფასებელი საქონელი და აქვს ერთი და იგივე წარმოშობის ქვეყანა და მწარმოებელი პირი (ან სხვადასხვა მწარმოებელი პირი, თუ არ მოიპოვება მონაცემები შესაფასებელი საქონლის მწარმოებელი პირის მიერ წარმოებულ იდენტურ საქონელზე), მსგავსი ფიზიკური მახასიათებლები და შემადგენელი მასალები, რომელთა საფუძველზედაც ამ საქონელს შეუძლია შეასრულოს იგივე ფუნქციები და იყოს კომერციული თვალსაზრისით ჩანაცვლებადი. მსგავს საქონლად არ მიიჩნევა ისეთი საქონელი, რომლის ინჟინერია, დამუშავება, მხატვრული დიზაინი, ნახაზები და ესკიზები დამზადებულია საქართველოში.

12. იმავე კლასის ან ტიპის საქონელი – საქონელი, რომელიც ძირითადი ფიზიკური მახასიათებლებით ერთგვაროვანია შესაფასებელ საქონელთან მიმართებით. იგი მაქსიმალურად მიახლოებული უნდა იყოს იმპორტირებულ საქონლის მახასიათებლებთან და მიეკუთვნებოდეს შესაფასებელი საქონლის სახეობის ვიწრო ჯგუფს, რიგსა და ნომენკლატურას. ამასთანავე, იმავე კლასის ან ტიპის საქონლად შეიძლება ჩაითვალოს საქონელი, რომლის შემოტანა ხორციელდება როგორც შესაფასებელი საქონლის ქვეყნიდან, ისე სხვა ქვეყნებიდან.

13. საქონლის მფლობელი – პირი, რომელიც საქონლის შემდგომი გადაზიდვის ან/და სხვა მოქმედების შესრულების მიზნით საქონელს ინახავს საწყობში ან სხვაგვარადაა პასუხისმგებელი საქონლის შენახვისათვის, აგრეთვე პირი, რომელიც საბაჟო ორგანოს ვერ დაუმტკიცებს, რომ მის სატრანსპორტო საშუალებაში, შენობა-ნაგებობაში ან სხვა ტერიტორიაზე მოთავსებული საქონელი მასთან მოხვდა მისი ნების საწინააღმდეგოდ.

14. საქონლის მესაკუთრე – პირი, რომელსაც საქონელზე აქვს საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული საკუთრების უფლება.

15. მგზავრი – ფიზიკური პირი, რომელიც კანონიერად კვეთს საქართველოს საბაჟო საზღვარს, მიუხედავად საბაჟო საზღვრის გადაკვეთის მიზნებისა.

16. პირადი ნივთები – მგზავრობის დროს მგზავრის პირადი გამოყენებისა და მოხმარებისათვის განკუთვნილი საგნები, რომლებიც მგზავრის გადაყვანისას გადაიზიდება ბარგით ან/და ხელბარგით.

17. ხელბარგი – მგზავრების მიერ პირადად გადასატანი საგნები.

18. ბარგი – მგზავრებისაგან განცალკევებულად გადასაზიდი საგნები.

19. სატრანსპორტო საშუალება – საავტომობილო, საჰაერო, საზღვაო და სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალებები, აგრეთვე ელექტროგადამცემი ხაზები, მილსადენი, კონტეინერი, მისაბმელი, ნახევარმისაბმელი და ნებისმიერი სხვა საშუალება, რომლებიც გამოიყენება მგზავრთა გადაყვანისათვის ან/და საქონლის გადაზიდვისათვის.

20. საბაჟო მარშრუტი – საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საბაჟო ზედამხედველობას დაქვემდებარებული საქონლის გადაადგილებისათვის საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრული მარშრუტი.

21. საბაჟო ორგანოში საქონლის წარდგენა – საბაჟო ორგანოში ან საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრულ ადგილზე საქონლის მიტანის შესახებ ინფორმაციის საბაჟო ორგანო-, სათვის მიწოდება.

22. საქონლის გაშვება – მოქმედება, რომლითაც საბაჟო ორგანო უზრუნველყოფს დეკლარანტის მიერ საქონლის განკარგვის ან/და საქონლით სარგებლობის შესაძლებლობას მის მიმართ გამოყენებული საბაჟო დამუშავების ოპერაციის პირობების შესაბამისად.

23. ლიცენზია, სალიცენზიო მოწმობა, ლიცენზიის მაძიებელი, ლიცენზიის გამცემი, ლიცენზიის მფლობელი, სალიცენზიო მოსაკრებელი, სალიცენზიო პირობები, ნებართვა, სანებართვო მოწმობა, ნებართვის მაძიებელი, ნებართვის გამცემი, ნებართვის მფლობელი, სანებართვო მოსაკრებელი, სანებართვო პირობები – თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, განისაზღვრება „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის მიხედვით.

24. საბაჟო ორგანო – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური, მისი სტრუქტურული ერთეული, ტერიტორიული ორგანო, ტერიტორიული ორგანოს სტრუქტურული ერთეული ან სხვა ქვედანაყოფი, რომლის ფუნქციაა საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასა და საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საქონლის გატანასთან დაკავშირებული პროცედურების, საბაჟო ზედამხედველობისა და საბაჟო კონტროლის განხორციელება. ამასთანავე, აღნიშნული ორგანოების რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შემთხვევაში საბაჟო ორგანოდ აგრეთვე ჩაითვლება რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შედეგად შექმნილი ნებისმიერი დაწესებულება, ამ დაწესებულების ტერიტორიული ორგანო ან სხვა ქვედანაყოფი, რომელსაც შეიძლება მიენიჭოს უფლებამოსილება, შეასრულოს საბაჟო ორგანოს ფუნქციები. *(29.12.2006 N4256)*

24[1]. შემოსავლების სამსახური – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური ან შემოსავლების სამსახურის რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შემთხვევაში ამის შედეგად შექმნილი ნებისმიერი დაწესებულება, რომელსაც მიენიჭება უფლებამოსილება, შეასრულოს შემოსავლების სამსახურის ამ კოდექსით გათვალისწინებული ფუნქციები. *(29.12.2006 N4256)*

25. საბაჟო გადაწყვეტილება – საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირის მიერ განხორციელებული ქმედება ან დოკუმენტი, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს ან გასცემს საბაჟო ორგანო ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.

26. საბაჟო პროცედურები – საბაჟო ორგანოში საქონლის წარდგენა და დათვალიერება, სათანადო დოკუმენტების არსებობის დადგენა, ზოგადი დეკლარირება, საბაჟო დეკლარაციის წარდგენა და რეგისტრაცია, საბუღალტრო და სხვა დოკუმენტაციის შემოწმება, საბაჟო გადასახდელების გადახდა, საქონლის, სატრანსპორტო საშუალებისა და მგზავრის პირადი ნივთების შემოწმება, აგრეთვე საბაჟო ორგანოების ან მათი უფლებამოსილი პირების

ოფიციალური მოთხოვნა ან/და ქმედება, რომლის მიზანია საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესრულება.

27. საბაჟო ზედამხედველობა – საბაჟო ორგანოს მიერ გატარებულ ღონისძიებათა ერთობლიობა, რომელთა მიზანია საქონლის მიმართ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ვალდებულებების, შეზღუდვების, აკრძალვების, მოთხოვნების ან სხვა პირობების დაცვა.

28. საბაჟო კონტროლი – საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესრულების უზრუნველსაყოფად საბაჟო ორგანოს მიერ საბაჟო ზედამხედველობას დაქვემდებარებული საქონლის მიმართ ამ კოდექსით გათვალისწინებული საბაჟო პროცედურების განხორციელება.

29. საბაჟო დამუშავების ოპერაცია – საქონლის მიმართ საბაჟო რეჟიმის გამოყენება, საქონლის გადატანა თავისუფალ ზონაში ან თავისუფალ საწყობში, საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საქონლის რეექსპორტი, საქონლის განადგურება საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ ან საქონლის გადაცემა სახელმწიფო საკუთრებაში.

30. საბაჟო რეჟიმები:

ა) საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება (იმპორტი);

ბ) საქონლის ტრანზიტი;

გ) საბაჟო საწყობში საქონლის შენახვა;

დ) საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავება;

ე) საქონლის დროებითი შემოტანა;

ვ) საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავება;

ზ) საქონლის ექსპორტი.

31. ვალდებული პირი – პირი, რომელსაც ეკისრება საბაჟო ვალდებულების შესრულება.

32. საბაჟო ვალდებულება – პირის ვალდებულება, გადაიხადოს საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით დადგენილი საბაჟო გადასახდელები, ჯარიმები ან/და საურავები.

33. საბაჟო დავალიანება – სხვაობა დეკლარანტის ჯამურ საბაჟო ვალდებულებასა და მის მიერ საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით დადგენილი ცალკეული საბაჟო ვალდებულების მიხედვით ზედმეტად გადახდილი თანხების ჯამს შორის.

34. საქონლის გადამუშავების ოპერაციები:

ა) საქონლის დამუშავება, მათ შორის, მონტაჟი, აწყობა ან სხვა საქონელზე მორგება;

ბ) საქონლის წარმოება;

გ) საქონლის შეკეთება, მათ შორის, აღდგენა და მუშა მდგომარეობაში მოყვანა;

დ) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ განსაზღვრული საქონლის გამოყენება, რომელიც ხელს უწყობს ან აადვილებს გადამუშავების პროდუქტის წარმოებას, მიუხედავად იმისა, რომ ეს საქონელი მთლიანად ან ნაწილობრივ იხარჯება გადამუშავების პროცესში.

35. გადაუმუშავებელი საქონელი – საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში ან საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონელი, რომელიც არ არის გადამუშავებული ამ რეჟიმში.

36. გადამუშავების პროდუქტი – საქონლის გადამუშავების შედეგად მიღებული ან წარმოებული პროდუქტი.

37. გამოსავლიანობის ნორმა – გადამუშავების პროდუქტის რაოდენობა, რომელიც მიღებულია განსაზღვრული რაოდენობის საქონლის გადამუშავების შედეგად.

38. ეკვივალენტური საქონელი – საქართველოს საქონელი, რომელიც საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში დეკლარირებული შემოსატანი საქონლის ნაცვლად გამოიყენება გადამუშავების პროდუქტის მისაღებად.

თავი II. საბაჟო პროცედურების განმახორციელებელ პირთა უფლებები და მოვალეობები

მუხლი 8. წარმომადგენელი

1. პირს უფლება აქვს, საბაჟო ორგანოსთან ურთიერთობა ჰქონდეს უშუალოდ ან წარმომადგენლის მეშვეობით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, წარმომადგენლის უფლებამოსილება წარმოიშობა დავალების (ერთჯერადი ან გენერალური მინდობილობის, ხელშეკრულების ან მისი შემცვლელი დოკუმენტის) საფუძველზე, რომლითაც წარმომადგენელმა შეიძლება იცისროს საბაჟო ორგანოში საბაჟო დეკლარაციის წარდგენის, საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრული საბაჟო პროცედურების განხორციელების ან/და საბაჟო ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ამ კოდექსის შესაბამისად გასაჩივრების ვალდებულება.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული წარმომადგენლობა შეიძლება იყოს:

ა) პირდაპირი, როდესაც წარმომადგენელი მოქმედებს სხვა პირის სახელით და მისი დავალებით;

ბ) ირიბი, როდესაც წარმომადგენელი მოქმედებს თავისი სახელით, მაგრამ სხვა პირის დავალებით.

3. წარმომადგენელი უნდა იყოს რეზიდენტი, გარდა ამ კოდექსის 70-ე მუხლის მე-4 ნაწილში აღნიშნული შემთხვევებისა.

4. საბაჟო პროცედურების განხორციელებისათვის ირიბი წარმომადგენელი ისევე ასრულებს ყველა ვალდებულებას, როგორც შეასრულებდა საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას საქონლის მესაკუთრე ან/და მფლობელი, და მას ეკისრება ისეთივე პასუხისმგებლობა, როგორიც დაეკისრებოდა საქონლის მესაკუთრეს ან/და მფლობელს.

5. საბაჟო ორგანო ვალდებულია, წარმომადგენელს მოსთხოვოს წარმომადგენლობის უფლების განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტი, ხოლო წარმომადგენელი ვალდებულია, საბაჟო ორგანოს წარუდგინოს ნოტარიალურად დამოწმებული დავალება (ერთჯერადი ან გენერალური მინდობილობა, ხელშეკრულება ან მისი შემცვლელი დოკუმენტი). წარმომადგენლობაზე დავალება (მინდობილობა) არ არის აუცილებელი, თუ საწარმოს/ორგანიზაციის ან მეწარმე ფიზიკური პირის სახელით მოქმედებს მისი რომელიმე დაქირავებული პირი და მასზე საწარმოს/ორგანიზაციის ხელმძღვანელის (დირექტორის) ან მეწარმე ფიზიკური პირის მიერ გაცემულია წარმომადგენლობის უფლება მისივე ბეჭდით დამოწმებული (მისი არსებობის შემთხვევაში) და ხელმოწერილი ბლანკით.

მუხლი 9. საბაჟო გადაწყვეტილება

1. საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის გამოყენებისას საბაჟო ორგანო საკუთარი ინიციატივით ან პირის (დაინტერესებული მხარის) წერილობითი ან ზეპირი განცხადების (მოთხოვნის) საფუძველზე იღებს საბაჟო გადაწყვეტილებას.

2. პირის (დაინტერესებული მხარის) წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადაში მიღებული უნდა იქნეს წერილობითი საბაჟო გადაწყვეტილება, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

3. წერილობით საბაჟო გადაწყვეტილებაში აღნიშნული უნდა იყოს:

ა) გადაწყვეტილების მიმღები საბაჟო ორგანოს დასახელება და მისამართი;

ბ) გადაწყვეტილების სახელწოდება, ნომერი და მიღების თარიღი;

გ) იმ პირის რეკვიზიტები (სახელი და გვარი/დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და მისამართი), რომლის მიმართაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება;

დ) გადაწყვეტილების მიღების საფუძველი საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის

აქტის ნორმებზე მითითებით;

ე) გადაწყვეტილების შინაარსი;

ვ) საბაჟო სანქციები, რომლებიც გამოიყენება ამ გადაწყვეტილების შეუსრულებლობის შემთხვევაში;

ზ) გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი;

თ) გადაწყვეტილების მიმღები საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი და თანამდებობა.

4. საბაჟო გადაწყვეტილების მიღების მაქსიმალური ვადები განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 10. საბაჟო გადაწყვეტილების ძალაში შესვლა

წერილობითი საბაჟო გადაწყვეტილება ძალაში შედის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად, ხოლო სხვა საბაჟო გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი მიღებისთანავე და დაუყოვნებლივ უნდა აღსრულდეს, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი.

მუხლი 11. წერილობითი საბაჟო გადაწყვეტილების ან მისი ნაწილის ბათილად ცნობა ან არარად აღიარება

1. წერილობითი საბაჟო გადაწყვეტილება ან მისი ნაწილი შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი ან არარად აღიარებული:

ა) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

ბ) თუ ეს გადაწყვეტილება ან მისი ნაწილი მიღებულ იქნა არასწორი ან არასრული ინფორმაციის საფუძველზე, რის შესახებაც განმცხადებელმა (მომთხოვნმა) იცოდა ან განმცხადებელს (მომთხოვნს) უნდა სცოდნოდა, და ეს გადაწყვეტილება ან მისი ნაწილი არ იქნებოდა მიღებული სწორი ან სრული ინფორმაციის საფუძველზე;

გ) ამ კოდექსით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

2. წერილობითი საბაჟო გადაწყვეტილების ან მისი ნაწილის ბათილად ცნობა ან არარად აღიარება ხდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით და მისი ბათილად ცნობა ან არარად აღიარება იწვევს ამავე კოდექსით გათვალისწინებულ სამართლებრივ შედეგებს.

მუხლი 12. წერილობითი საბაჟო გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადება ან მასში ცვლილების შეტანა

1. წერილობითი საბაჟო გადაწყვეტილება შეიძლება ძალადაკარგულად გამოცხადდეს ან მასში შეტანილ იქნეს ცვლილება:

ა) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

ბ) თუ საბაჟო ორგანო დაადგენს, რომ გადაწყვეტილების მისაღებად სავალდებულო პირობა არ არის დაცული ან შესრულებული;

გ) თუ საბაჟო ორგანო დაადგენს, რომ პირი, რომლის მიმართაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, არღვევს ან ვერ ასრულებს მისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ პირობებს.

2. წერილობითი საბაჟო გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადება ან მასში ცვლილების შეტანა ხდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით.

მუხლი 13. საბაჟო ორგანოსაგან ინფორმაციისა და საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის გამოყენების შესახებ წერილობითი განმარტების მოთხოვნის უფლება

1. ნებისმიერ პირს (განმცხადებელს) შეუძლია საბაჟო ორგანოს მოსთხოვოს ინფორმაცია მხოლოდ თავის მიერ განხორციელებული საბაჟო დამუშავების ოპერაციის შესახებ, აგრეთვე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული სხვა საჯარო ინფორმაცია.

2. საბაჟო ორგანოს უფლებამოსილ პირს უფლება აქვს, დაინტერესებულ პირს გაუგზავნოს წერილობითი განმარტება, რომელიც გამოხატავს საბაჟო ორგანოს პოზიციას პირის მიერ განხორციელებული ან განსახორციელებელი საბაჟო პროცედურებისას საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის გამოყენების შესახებ. აღნიშნული განმარტება არის რეკომენდაცია და მას არა აქვს სავალდებულო იურიდიული ძალა ამ განმარტების მიმცემი საბაჟო ორგანოს ფარგლებს გარეთ.

მუხლი 14. საბაჟო პროცედურების განხორციელების ენა

1. საბაჟო პროცედურები ხორციელდება ქართულ ენაზე, ხოლო აფხაზეთში – აგრეთვე აფხაზურ ენაზე.

2. საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში საბაჟო პროცედურები შეიძლება განხორციელდეს ან/და საბაჟო ორგანოში წარსადგენი დოკუმენტები შეიძლება შედგენილ იქნეს სხვა ენაზედაც.

3. თუ დეკლარანტის მიერ საბაჟო ორგანოში წარდგენილი დოკუმენტები შედგენილია უცხოურ ენაზე, გარდა ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული შემთხვევისა, და გაუგებარია საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირისათვის, მას უფლება აქვს მოითხოვოს ამ დოკუმენტების ნოტარიალურად დამოწმებული თარგმანი სახელმწიფო ენაზე.

მუხლი 15. დოკუმენტებისა და ინფორმაციის წარდგენა

1. საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად დეკლარანტმა უნდა უზრუნველყოს საბაჟო ორგანოში საჭირო დოკუმენტისა და ინფორმაციის წარდგენა და საბაჟო ზედამხედველობის ფუნქციის შესრულებისათვის საბაჟო ორგანოს მოთხოვნის შესაბამისად სათანადო დახმარების გაწევა.

2. საბაჟო კონტროლის ან/და საბაჟო ზედამხედველობის განხორციელებისათვის საჭირო დოკუმენტების ნუსხა განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

მუხლი 16. ინფორმაციის კონფიდენციალობა

1. პირის მიერ (გარდა საბიუჯეტო ორგანიზაციისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირისა) საბაჟო ორგანოსათვის ამ კოდექსისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად წარდგენილი ინფორმაცია არის კომერციული საიდუმლოება და მისი გამოყენება დაშვებულია მხოლოდ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 122-ე მუხლით დადგენილი წესით.

2. ინფორმაცია, რომელიც არის სახელმწიფო, კომერციული, საბანკო ან კანონით დაცული სხვა საიდუმლოება, და კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც არ არის საყოველთაოდ ხელმისაწვდომი და რომელმაც შეიძლება შელახოს მისი წარმდგენი პირის უფლებები და კანონით დაცული ინტერესები, არ შეიძლება გამოქვეყნდეს, გამოყენებულ იქნეს საბაჟო ორგანოს თანამდებობის პირის მიერ საკუთარი მიზნებისათვის და გადაეცეს მესამე პირს, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 17. დოკუმენტების შენახვის ვადა

საბაჟო ორგანოს მიერ კონტროლის განხორციელების მიზნით პირი ვალდებულია, უზრუნველყოს ამ კოდექსის მე-15 მუხლით განსაზღვრული დოკუმენტების შენახვა საბაჟო ზედამხედველობის დასრულებიდან 6 კალენდარული წლის განმავლობაში.

მუხლი 18. ვადების განსაზღვრა

1. საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით დადგენილი ვადა განისაზღვრება კონკრეტული კალენდარული თარიღით ან დროის მონაკვეთით, რომელიც გამოიანგარიშება წლებით, კვარტალებით, თვეებით ან დღეებით, ან იმ გარემოებაზე მითითებით, რომელიც აუცილებლად უნდა დადგეს.

2. ამ კოდექსით დადგენილი ვადის ათვლა იწყება შესაბამისი მოქმედების განხორციელების მომდევნო დღიდან.

3. მოქმედების განხორციელების ვადა განისაზღვრება კონკრეტული კალენდარული თარიღით ან იმ გარემოებაზე მითითებით, რომელიც აუცილებლად უნდა დადგეს, ან დროის მონაკვეთით. უკანასკნელ შემთხვევაში მოქმედება შეიძლება განხორციელდეს დროის მთელი მონაკვეთის განმავლობაში.

4. ვადა, რომელიც გამოიანგარიშება წლებით, მთავრდება ვადის ბოლო წლის შესაბამის თვესა და რიცხვში.

5. ვადა, რომელიც გამოიანგარიშება კვარტალებით, მთავრდება ვადის ბოლო კვარტალის შესაბამის თვესა და რიცხვში.

6. ვადა, რომელიც გამოიანგარიშება თვეებით, მთავრდება ვადის ბოლო თვის შესაბამის რიცხვში.

7. მოქმედება, რომლის განხორციელებისათვის დადგენილია ვადა, შეიძლება განხორციელდეს ამ ვადის ბოლო სამუშაო დღის დამთავრებამდე.

8. თუ ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, ვადა გრძელდება შემდეგი სამუშაო დღის ბოლომდე.

მუხლი 19. საქართველოს ეროვნული ვალუტის – ლარის გაცვლითი კურსი უცხოურ ვალუტასთან მიმართებით

საბაჟო ღირებულებისა და საბაჟო გადასახდელების ოდენობის განსაზღვრისას უცხოური ვალუტა საქართველოს ეროვნულ ვალუტაზე – ლარზე გადაიანგარიშება საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღისათვის:

ა) საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსით, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

ბ) იმ კურსით, რომელიც განისაზღვრება ლარის მიმართ უცხოური ვალუტის გამოქვეყნებული კურსით, მათ შორის, სხვა ქვეყნებში გამოქვეყნებული კურსით იმ ვალუტის მიმართ, რომელზედაც არსებობს ლარის გაცვლის ოფიციალური კურსი, თუ საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღისათვის არ არსებობს საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი.

მუხლი 20. საბაჟო კონტროლის ზონა

1. საბაჟო კონტროლის ზონა არის საქართველოს საბაჟო ტერიტორიის ნაწილი, სადაც საქონლის, სატრანსპორტო საშუალებისა და პირის მიმართ შეიძლება განხორციელდეს საბაჟო კონტროლის ყველა ღონისძიება.

2. საბაჟო კონტროლის ზონა მოიცავს საერთაშორისო მიმოსვლისათვის ღია სასაზღვრო პუნქტებს, ტერიტორიულ წყლებს, საბაჟო ორგანოს განთავსების ადგილსა და საბაჟო საწყობებს, აგრეთვე ხმელეთის, შიდა წყლებისა და შენობა-ნაგებობის ნებისმიერ ტერიტორიას, რომელიც საბაჟო პროცედურების მუდმივი ან დროებითი განხორციელებისათვის გამოყო საბაჟო ორგანომ მესაკუთრესთან ან კანონიერ მფლობელთან შეთანხმებით, თუ მესაკუთრე არ არის მფლობელი.

3. საბაჟო კონტროლის ზონაში საბაჟო პროცედურების განხორციელების ზუსტ ადგილს განსაზღვრავს საბაჟო ორგანო.

4. საბაჟო კონტროლის ზონაში საბაჟო ორგანოს თანხმობის გარეშე აკრძალულია საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მყოფი სატრანსპორტო საშუალების დატვირთვა-გადმოტვირთვა და აუცილებელი საბაჟო პროცედურების განხორციელებამდე საბაჟო კონტროლის ზონის საზღვრებს გარეთ საქონლის გატანა.

5. საბაჟო კონტროლის ზონაში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალისტები დაიშვებიან მხოლოდ ამ კოდექსის 78-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად საქართველოს ფინანსთა და შინაგან საქმეთა მინისტრების ერთობლივი ბრძანებით.

6. საბაჟო კონტროლის ზონის შექმნის წესი და საბაჟო კონტროლის ზონის ადგილები განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

კარი II
საქართველოს საბაჟო ორგანოები

თავი III. საქართველოს საბაჟო ორგანოები

მუხლი 21. საბაჟო ორგანოების საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები

საბაჟო ორგანოების საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლებია საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, ეს კოდექსი და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.

მუხლი 22. საბაჟო ორგანოები

1. საბაჟო ორგანოების ერთიანი, ცენტრალიზებული სისტემა შედგება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურისა და მასში შემავალი საბაჟო ორგანოებისაგან. *(29.12.2006 N4256)*

2. ამოღებულია *(29.12.2006 N4256)*

3. ამოღებულია *(29.12.2006 N4256)*

4. საბაჟო ორგანოს შექმნის წესი, სტრუქტურა და უფლებამოსილებები განისაზღვრება ამ კოდექსით, „მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონითა და სხვა ნორმატიული აქტებით.

მუხლი 23. საბაჟო ლაბორატორიები

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს უფლება აქვს, საბაჟო საქმის ორგანიზების მიზნით, საქონლის ექსპერტიზისა და სხვა გამოკვლევის ჩასატარებლად საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შექმნას საბაჟო ლაბორატორიები.

2. საბაჟო ორგანოს უფლება აქვს, სავალდებულო საბაჟო პროცედურების განხორციელების გარდა, დამატებით გასწიოს საბაჟო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა მომსახურება საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესით.

მუხლი 24. ამოღებულია *(29.12.2006 N4256)*

მუხლი 25. ამოღებულია *(29.12.2006 N4256)*

კარი III
საბაჟო გადასახდელების გამოყენების პირობები და საგარეო ვაჭრობის მარეგულირებელი სხვა ღონისძიებები

თავი IV. საქართველოს საბაჟო ტარიფები და საქონლის კლასიფიკაცია (29.12.2006 N4247)

მუხლი 26. საქართველოს საბაჟო ტარიფის არსი

1. ამოღებულია *(29.12.2006 N4247)*

2. ამოღებულია *(29.12.2006 N4247)*

3. საქართველოს საბაჟო ტარიფი არის მონაცემთა სისტემატიზებული ერთობლიობა, რომელიც შედგება: *(29.12.2006 N4247)*

ა) საგარეო-ეკონომიური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურისაგან (შემდგომში – სესესნ);

ბ) საბაჟო გადასახადის განაკვეთებისაგან ან შეღავათებისაგან, რომლებიც გამოიყენება სესესნ-ში მოცემული საქონლის მიმართ;

გ) საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული და ძალაში შესული საერთაშორისო ხელშეკრულებებით დადგენილი შეღავათებისაგან (პრეფერენციებისაგან);

დ) საქართველოს საგადასახადო კოდექსით ცალკეული ქვეყნებისათვის, ქვეყნების ჯგუფებისათვის ან ტერიტორიებისათვის ცალმხრივად დადგენილი საბაჟო გადასახადის შეღავათებისაგან.

4. ამ მუხლის მე-3 ნაწილის „გ" და „დ" ქვეპუნქტებში აღნიშნული შეღავათები გამოიყენება საბაჟო გადასახადის ჩვეულებრივი განაკვეთების ნაცვლად, თუ საქონელი აკმაყოფილებს ამ შეღავათებით სარგებლობისათვის დადგენილ პირობებს. *(29.12.2006 N4247)*

მუხლი 27. საქონლის კლასიფიკაცია *(29.12.2006 N4247)*

1. საქონლის კლასიფიკაციისას დეკლარანტი საქონლის კოდს განსაზღვრავს სესესნ-ის მიხედვით, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.

2. თუ საბაჟო ორგანო არ ეთანხმება დეკლარირებული საქონლის კოდს, იგი ამის შესახებ აცნობებს დეკლარანტს და საქონლის კოდი განისაზღვრება სესესნ-ის საქონლის კლასიფიკაციის ზოგადი წესებით.

3. საგარეო ვაჭრობის მარეგულირებელი ღონისძიებები, რომლებიც მოქმედებს სხვა სფეროს მარეგულირებელი სამართლებრივი აქტებით, გამოყენებული უნდა იქნეს საქონლის კლასიფიკაციის შესაბამისად.

4. საგარეო-ეკონომიური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურა და მისი გამოყენების წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

მუხლი 28. საბაჟო მოსაკრებლებისა და საბაჟო გადასახადის განაკვეთები *(29.12.2006 N4247)*

საბაჟო მოსაკრებლების განაკვეთები, მათი შემოღებისა და ადმინისტრირების წესები რეგულირდება „საბაჟო მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონით, ხოლო საბაჟო გადასახადის განაკვეთები, მათი შემოღებისა და ადმინისტრირების წესები – საქართველოს საგადასახადო კოდექსით.

თავი V. საქონლის წარმოშობა

მუხლი 29. საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრა

1. საქონლის წარმოშობის ქვეყანა განისაზღვრება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე

საქონლის შემოტანისას ან/და საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საქონლის გატანისას საეჭრო პოლიტიკის ღონისძიებების გატარების მიზნით.

2. საქონლის წარმოშობა შეიძლება იყოს შეღავათების გარეშე (არაპრეფერენციული) და შეღავათიანი (პრეფერენციული).

3. საქონლის შეღავათების გარეშე (არაპრეფერენციული) წარმოშობა გამოიყენება:

ა) საბაჟო გადასახადის გამოყენებისათვის, გარდა ამ კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ" და „დ" ქვეპუნქტებში მითითებული შეღავათებით სარგებლობისათვის; *(29.12.2006 N4247)*

ბ) საგარეო ვაჭრობის მარეგულირებელი არასატარიფო ღონისძიებების გატარებისათვის, რომლებიც მოქმედებს სხვა სფეროს მარეგულირებელი სამართლებრივი აქტებით.

4. საქონლის შეღავათიანი (პრეფერენციული) წარმოშობის წესებით დგინდება საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის ის პირობები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს საქონელი, რათა მის მიმართ გამოყენებულ იქნეს ამ კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ" და „დ" ქვეპუნქტები.

5. საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის კრიტერიუმები და წესი დგინდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

მუხლი 30. საქონლის წარმოშობის დადასტურება

1. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანისას მისი წარმოშობის დასადასტურებლად წარდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი სერტიფიკატი, თუ ეს გათვალისწინებულია საქართველოს საბაჟო კანონმდებლობითა და სხვა ნორმატიული აქტებით.

2. თუ საბაჟო ორგანო ეჭვს შეიტანს საქონლის წარმოშობის სერტიფიკატის ნამდვილობაში ან მასში აღნიშნული მონაცემების სისწორეში, მას შეუძლია თხოვნით მიმართოს სერტიფიკატის გამცემ ორგანოს ან სერტიფიკატის გამცემი ქვეყნის სხვა კომპეტენტურ უწყებას დამატებითი ან დაზუსტებული მონაცემების მისაღებად. თუ დეკლარანტს საბაჟო პროცედურები არა აქვს დასრულებული, მას საშუალება ეძლევა, საბაჟო ორგანოდან გაიტანოს საქონელი, თუ იგი გადაიხდის თავის მიერ წარდგენილი საქონლის წარმოშობის სერტიფიკატის გათვალისწინებით გაანგარიშებულ საბაჟო გადასახდელებს და წარადგენს საბაჟო გარანტიას, რომლის საგარანტიო თანხა ტოლია წარდგენილი საქონლის წარმოშობის სერტიფიკატის გაუთვალისწინებლად გაანგარიშებული დამატებით გადასახდელი საბაჟო გადასახდელების თანხისა.

3. საქონლის შეღავათიანი (პრეფერენციული) ან შეღავათების გარეშე (არაპრეფერენციული) წარმოშობის დამადასტურებელი სერტიფიკატის ფორმა, მისი გაცემისა და შევსების წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

თავი VI. საქონლის საბაჟო ღირებულება

მუხლი 31. საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის ზოგადი დებულებები

1. საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრა ითვალისწინებს დეკლარირების დღისათვის საქონლის შეფასებას საბაჟო გადასახადისა და სხვა სფეროს მარეგულირებელი სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სატარიფო ღონისძიებების გამოყენების მიზნებისათვის. *(29.12.2006 N4247)*

2. ამ კოდექსის 41-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული შემთხვევების გარდა, საქონლის საბაჟო ღირებულებას განსაზღვრავს დეკლარანტი.

3. თუ იმპორტირებული საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრისას საჭიროა საბოლოო გადაწყვეტილების მიღების გადავადება, დეკლარანტს საშუალება ეძლევა, საბაჟო ორგანოდან გაიტანოს საქონელი, თუ იგი გადაიხდის თავის მიერ განსაზღვრული საქონლის საბაჟო ღირებულების საფუძველზე გაანგარიშებულ საბაჟო გადასახდელებს და დამატებით

წარმოადგენს ამ კოდექსით გათვალისწინებულ გარანტიას, რომელიც არის საქონლის მაქსიმალური ღირებულების საფუძველზე გაანგარიშებულ საბაჟო გადასახდელებსა და დეკლარანტის მიერ განსაზღვრული საქონლის საბაჟო ღირებულების საფუძველზე გაანგარიშებულ საბაჟო გადასახდელებს შორის სხვაობა.

4. საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების (იმპორტის) საბაჟო რეჟიმში დეკლარირებული საქონლის საბაჟო ღირებულება განისაზღვრება შემდეგი მეთოდებით:

ა) გარიგების ფასის მიხედვით (პირველი მეთოდი);

ბ) იდენტური საქონლის გარიგების ფასის მიხედვით (მეორე მეთოდი);

გ) მსგავსი საქონლის გარიგების ფასის მიხედვით (მესამე მეთოდი);

დ) საქონლის ერთეულის ფასის მიხედვით (მეოთხე მეთოდი);

ე) შედგენილი ღირებულების მიხედვით (მეხუთე მეთოდი);

ვ) სარეზერვო მეთოდით (მეექვსე მეთოდი).

5. ამ მუხლის მე-4 ნაწილში აღნიშნული ყოველი მომდევნო მეთოდი გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ დასაბუთებულად ვერ ხერხდება წინა მეთოდის გამოყენება. დეკლარანტს უფლება აქვს, შეცვალოს ამ მუხლის პირველი ნაწილის „დ" და „ე" ქვეპუნქტებში აღნიშნული საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის მეთოდების გამოყენების რიგითობა.

6. საქონლის საბაჟო ღირებულებას განსაზღვრავს დეკლარანტი ამ მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნების შესაბამისად, ხოლო დეკლარანტის მიერ განსაზღვრული საქონლის საბაჟო ღირებულების სისწორეს აკონტროლებს საბაჟო ორგანო.

7. საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის სისწორის კონტროლის წესები დგინდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

მუხლი 32. გარიგების ფასის მეთოდი

1. იმპორტირებული საქონლის საბაჟო ღირებულება არის გარიგების ფასი ანუ საექსპორტოდ შეძენილ საქონელზე იმპორტიორ ქვეყანაში გადახდილი ან გადასახდელი ფასი (ამ კოდექსის 38-ე და 39-ე მუხლების მოთხოვნების გათვალისწინებით), თუ:

ა) არ არსებობს რაიმე შეზღუდვა, რომელიც დაკავშირებულია მყიდველის მიერ საქონლის განკარგვასთან ან გამოყენებასთან, გარდა იმ შეზღუდვებისა, რომლებიც:

ა.ა) დადგენილია ან მოითხოვება საქართველოს კანონმდებლობით;

ა.ბ) ადგენს იმ გეოგრაფიული რაიონების ჩამონათვალს, სადაც დაშვებულია საქონლის ხელახალი გაყიდვა;

ა.გ) არსებით გავლენას არ ახდენს საქონლის ღირებულებაზე;

ბ) საქონლის გაყიდვა ან ფასი არ არის რაიმე პირობის საგანი, რომლის გაუთვალისწინებლობაც შეუძლებელს გახდის იმპორტირებული საქონლის ღირებულების განსაზღვრას;

გ) მყიდველის მიერ იმპორტირებული საქონლის შემდგომი გამოყენების, გადაცემის ან გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლების არც ერთი ნაწილი არც პირდაპირ და არც ირიბად არ მიეცემა გამყიდველს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამგვარი გადარიცხვა შეესაბამება ამ კოდექსის 38-ე მუხლის პირველი–მე-8 ნაწილებით გათვალისწინებულ პირობებს;

დ) მყიდველი და გამყიდველი არ არიან ან არიან ურთიერთდამოკიდებული პირები, გარიგების ფასი უნდა შეესაბამებოდეს ამ მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით განსაზღვრულ პირობებს.

2. თუ მყიდველი და გამყიდველი ურთიერთდამოკიდებული პირები არიან, აუცილებელია განხილულ იქნეს გაყიდვასთან დაკავშირებული პირობები, და თუ ეს ურთიერთდამოკიდებულება გავლენას არ ახდენს საქონლის ფასზე, საქონლის გარიგების ფასი ჩაითვლება საქონლის საბაჟო ღირებულებად. თუ დეკლარანტის მიერ წარმოდგენილი ან რაიმე

სხვა სახით მიღებული ინფორმაციის საფუძველზე საბაჟო ორგანოს წარმოეშვა საფუძვლიანი ეჭვი, რომ გამყიდველისა და მყიდველის ურთიერთდამოკიდებულებამ გავლენა მოახდინა საქონლის გარიგების ფასზე, საბაჟო ორგანო დეკლარანტს აცნობებს თავის დასაბუთებულ მოსაზრებებს, რომლებზედაც დეკლარანტს უფლება აქვს, წარადგინოს შესაბამისი ახსნა-განმარტება. დეკლარანტის მოთხოვნით საბაჟო ორგანო აფორმებს თავის დასაბუთებულ მოსაზრებებს წერილობით და წარუდგენს დეკლარანტს.

3. თუ მყიდველი და გამყიდველი ურთიერთდამოკიდებული პირები არიან, საქონლის გარიგების ფასი მიიღება საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის საფუძვლად, თუ დეკლარანტი წარმოადგენს მტკიცებულებებს, რომ აღნიშნული ღირებულება მაქსიმალურად მიახლოებულია დროის იმავე მონაკვეთში განსაზღვრული შემდეგი ღირებულებებიდან ერთ-ერთთან:

ა) იმპორტირებული იდენტური ან მსგავსი საქონლის გარიგების ფასთან, რომელიც გამყიდველმა მიჰყიდა ურთიერთდამოუკიდებელ პირს (მყიდველს);

ბ) ამ კოდექსის 35-ე მუხლის შესაბამისად განსაზღვრულ იდენტური ან მსგავსი საქონლის საბაჟო ღირებულებასთან;

გ) ამ კოდექსის 36-ე მუხლის შესაბამისად განსაზღვრულ იდენტური ან მსგავსი საქონლის საბაჟო ღირებულებასთან.

4. ამ მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრული ღირებულება გამოიყენება მხოლოდ დეკლარანტის სურვილით და მხოლოდ შედარებისათვის, ამასთანავე, გათვალისწინებული უნდა იქნეს განსხვავებები:

ა) გაყიდულ საქონელზე კომერციულ დონეებს შორის;

ბ) საქონლის რაოდენობებს შორის;

გ) ამ კოდექსის 38-ე მუხლის პირველ–მე-5 ნაწილებში მითითებულ პირობებში;

დ) ხარჯებში, თუ გაყიდვის გარიგებასთან დაკავშირებით მყიდველი და გამყიდველი არ არიან ურთიერთდამოკიდებული პირები.

მუხლი 33. იდენტური საქონლის გარიგების ფასის მეთოდი

1. იდენტური საქონლის გარიგების ფასად ითვლება საბაჟო ორგანოს მიერ რეგისტრირებული იმ იდენტური საქონლის საბაჟო ღირებულება, რომელიც საქართველოში იმპორტირებულია და გაყიდულია იმავე დროს ან თითქმის იმავე დროს (არა უადრეს 90 დღისა), როდესაც ხორციელდება მოცემული საქონლის იმპორტი.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის საფუძველია:

ა) საბაჟო ორგანოს მიერ რეგისტრირებული იდენტური საქონლის გარიგების ფასი, რომელიც საქართველოში გაყიდულია იმავე კომერციულ და რაოდენობრივ დონეებზე, როგორებზედაც იმპორტირებული საქონელი (იგულისხმება საქონლის პარტიის მოცულობა და ფასი);

ბ) ამ ნაწილის „ა" ქვეპუნქტში აღნიშნული პირობის არარსებობისას –საბაჟოს ორგანოს მიერ რეგისტრირებული იდენტური საქონლის გარიგების ფასი, რომელიც გაიყიდა სხვა კომერციულ დონეზე ან/და სხვა რაოდენობით და აღნიშნული ღირებულება კორექტირებულია კომერციული დონით ან/და რაოდენობით განპირობებულ სხვაობათა გათვალისწინებით. ასეთი კორექტირება შეიძლება გაკეთდეს წარმოდგენილ მტკიცებულებათა საფუძველზე, რომლებიც ნათლად წარმოსახავს კორექტირების მიზანშეწონილობას და სიზუსტეს, მიუხედავად იმისა, კორექტირება ზრდის თუ ამცირებს ღირებულებას.

3. საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრისას ამ კოდექსის 38-ე მუხლის მე-6 ნაწილში მითითებული ხარჯების იმ განსხვავების გასათვალისწინებლად, რომელიც გამოწვეულია იმპორტირებული საქონლისა და მისი იდენტური საქონლის გადაზიდვის

სატრანსპორტო საშუალებებსა და გადაზიდვის მანძილს შორის განსხვავებით, დაშვებულია აუცილებელი კორექტირება.

4. თუ გამოვლინდა იდენტური საქონლის ერთზე მეტი გარიგების ფასი, საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრისათვის კორექტირების საფუძვლად, გამოყენებული უნდა იქნეს უმცირესი ღირებულება.

მუხლი 34. მსგავსი საქონლის გარიგების ფასის მეთოდი

1. მსგავსი საქონლის გარიგების ფასად ითვლება საბაჟო ორგანოს მიერ რეგისტრირებული იმ მსგავსი საქონლის საბაჟო ღირებულება, რომელიც საქართველოში იმპორტირებულია და გაყიდულია იმავე დროს ან თითქმის იმავე დროს (არა უადრეს 90 დღისა), როდესაც ხორციელდება მოცემული საქონლის იმპორტი.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის საფუძველია:

ა) საბაჟო ორგანოს მიერ რეგისტრირებული მსგავსი საქონლის გარიგების ფასი, რომელიც საქართველოში გაყიდულია იმავე კომერციულ და რაოდენობრივ დონეებზე, როგორებზედაც იმპორტირებული საქონელი (იგულისხმება საქონლის პარტიის მოცულობა და ფასი);

ბ) ამ ნაწილის „ა" ქვეპუნქტში აღნიშნული პირობის არარსებობისას – საბაჟო ორგანოს მიერ რეგისტრირებული მსგავსი საქონლის გარიგების ფასი, რომელიც გაიყიდა სხვა კომერციულ დონეზე ან/და სხვა რაოდენობით და აღნიშნული ღირებულება კორექტირებულია კომერციული დონით ან/და რაოდენობით განპირობებულ სხვაობათა გათვალისწინებით. ასეთი კორექტირება შეიძლება გაკეთდეს წარმოდგენილ მტკიცებულებათა საფუძველზე, რომლებიც ნათლად წარმოსახავს კორექტირების მიზანშეწონილობას და სიზუსტეს, მიუხედავად იმისა, კორექტირება ზრდის თუ ამცირებს ღირებულებას.

3. საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრისას ამ კოდექსის 38-ე მუხლის მე-6 ნაწილში მითითებული ხარჯების იმ განსხვავების გასათვალისწინებლად, რომელიც გამოწვეულია იმპორტირებული საქონლისა და მისი მსგავსი საქონლის გადაზიდვის სატრანსპორტო საშუალებებსა და გადაზიდვის მანძილს შორის განსხვავებით, დაშვებულია აუცილებელი კორექტირება.

4. თუ გამოვლინდა მსგავსი საქონლის ერთზე მეტი გარიგების ფასი, საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრისათვის კორექტირების საფუძვლად გამოყენებული უნდა იქნეს უმცირესი ღირებულება.

მუხლი 35. საქონლის ერთეულის ფასის მეთოდი

1. თუ იმპორტირებული, იდენტური ან მსგავსი იმპორტირებული საქონელი საქართველოში იყიდება იმავე სასაქონლო სახით (უცვლელ მდგომარეობაში), რა სახითაც იგი შემოტანილ იქნა საქართველოში, იმპორტირებული საქონლის საბაჟო ღირებულება განისაზღვრება იმ საქონლის ერთეულის ფასით, რა ფასადაც იმპორტირებული საქონლის შემოტანის იმავე დროს ან თითქმის იმავე დროს (არა უადრეს 90 დღისა) იმპორტირებული, იდენტური ან მსგავსი იმპორტირებული საქონელი გამყიდველთან არაურთიერთდაკავშირებულ პირს მიეყიდა უდიდესი ოდენობით ანუ მაქსიმალურად დიდ პარტიებად, რომელიც ექვემდებარება შემდეგი სახის დაქვითვებს:

ა) ხელშეკრულების შესაბამისად გადახდილი ან გადასახდელი საკომისიოები ან იმპორტირებული საქონლის რეალიზაციასთან დაკავშირებული დამატებითი თანხა, რომელიც საქართველოში მიეკუთვნება იმავე კლასის ან ტიპის საქონელს, რომელშიც ჩვეულებრივ შეიტანება მოგება და საერთო ხარჯები;

ბ) საქართველოში ჩვეულებრივ განხორციელებული სატრანსპორტო და სადაზღვეო

ხარჯები, აგრეთვე მათთან დაკავშირებული ხარჯები;

გ) ამ კოდექსის 38-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული ხარჯები;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საბაჟო გადასახდელები, სხვა გადასახადები და მოსაკრებლები, რომლებიც დაკავშირებულია საქონლის შემოტანასთან ან მიწოდებასთან.

2. თუ იმპორტირებული, იდენტური ან მსგავსი იმპორტირებული საქონელი საქართველოში არ იყიდება იმავე სასაქონლო სახით (უცვლელ მდგომარეობაში), რა სახითაც იგი შემოტანილ იქნა საქართველოში, დეკლარანტის მოთხოვნით იმპორტირებული საქონლის საბაჟო ღირებულება განისაზღვრება იმ საქონლის ერთეულის ფასით, რა ფასადაც საქართველოში გადამუშავების შემდგომ იმპორტირებული საქონელი გამყიდველთან არაურთიერთდაკავშირებულ პირს მიეყიდა უდიდესი ოდენობით ანუ მაქსიმალურად დიდ პარტიებად. ამასთანავე, იმპორტირებული საქონლის ფასიდან აუცილებლად უნდა გამოიქვითოს მისი გადამუშავების დროს შექმნილი დამატებული ღირებულება, აგრეთვე გადასახდელები, ხარჯები და გადასახადები, რომლებიც მითითებულია ამ მუხლის პირველ ნაწილში.

მუხლი 36. შედგენილი ღირებულების მეთოდი

საქონლის საბაჟო ღირებულებად ითვლება შედგენილი ღირებულება, რომელიც შედგება შემდეგი ელემენტებისაგან:

ა) საქონლის წარმოებისათვის გამოყენებული მასალების, დამზადებისა თუ დამუშავების ღირებულება;

ბ) მოგებისა და საერთო ხარჯების რაოდენობა, რომელსაც ადგილი აქვს ექსპორტიორ ქვეყანაში მწარმოებლის მიერ იმავე კლასის ან ტიპის საქონლის საქართველოში საექსპორტოდ გაყიდვისას;

გ) ამ კოდექსის 38-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული ხარჯები.

მუხლი 37. სარეზერვო მეთოდი

1. საქონლის საბაჟო ღირებულება განისაზღვრება საქართველოში არსებული საქონელთა ფასების შესახებ მონაცემთა სისტემის საფუძველზე, საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად.

2. სარეზერვო მეთოდის დროს საბაჟო ღირებულების განსაზღვრის საფუძვლად არ გამოიყენება:

ა) საქართველოში წარმოშობილი საქონლის შიდა გასაყიდი ფასი;

ბ) საქონლის ფასი ექსპორტიორი ქვეყნის შიდა ბაზარზე;

გ) სხვა ქვეყანაში საექსპორტოდ გასატანი საქონლის ფასი;

დ) საქონლის მინიმალური საბაჟო ღირებულება;

ე) საქონლის თვითნებურად შერჩეული ან ფიქციური ღირებულებები;

ვ) საქონლის ორ ღირებულებას შორის უდიდესი ღირებულების მიღების პრინციპი;

ზ) ამ კოდექსის 36-ე მუხლის „ა" ქვეპუნქტში მითითებული ხარჯები იდენტური ან მსგავსი საქონლის ღირებულების გამოყენების შემთხვევაში.

3. სარეზერვო მეთოდის მიზნებისათვის შეფასების მეთოდებად გამოიყენება ამ კოდექსის 32-ე–36-ე მუხლების დებულებები, მაგრამ მათი მისაღები მოქნილობა უნდა შეესაბამებოდეს ამ მეთოდის მიზნებსა და დებულებებს. შეფასების მეთოდების მოქნილობა გულისხმობს წინა მეთოდების ლიბერალურად გამოყენებას, კერძოდ:

ა) გარიგების ფასის მეთოდის გამოყენება: თუ არ არსებობს დეკლარანტის მიერ გაცხადებული საბაჟო ღირებულების დამადასტურებელი დოკუმენტები, მოცემული საქონლის შეფასება შესაძლებელია მოხდეს იმ კონკრეტული ფასების შესახებ მონაცემების საფუძ-

ველზე, რომლებიც აქვს დეკლარანტს ან საბაჟო ორგანოს;

ბ) იდენტური საქონლის გარიგების ფასის ან/და მსგავსი საქონლის გარიგების ფასის მეთოდის გამოყენება: ამ შემთხვევაში მოქნილობა გულისხმობს იდენტური ან მსგავსი საქონლის შემოტანის ვადების თავისუფალ ინტერპრეტაციას. ამასთანავე, იდენტური ან მსგავსი საქონელი შეიძლება წარმოებული იყოს სხვა ქვეყანაში და სხვა მწარმოებლების მიერ, ვიდრე ეს ხდება იმპორტირებული საქონლის დროს;

გ) საქონლის ერთეულის ფასის და შედგენილი ღირებულების მეთოდების გამოყენება: ამ შემთხვევაში მოქნილობა გულისხმობს იმავე კლასის ან ტიპის საქონლის უცვლელ მდგომარეობაში მიწოდების თაობაზე მოთხოვნისა და შიდა ბაზარზე გაყიდვის ვადების თავისუფალ ინტერპრეტაციას და იმპორტირებული საქონლის შესაძლო გადამუშავების დაშვებას განსაკუთრებული პირობების გარეშე. იდენტური ან მსგავსი საქონლის არარსებობისას შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმავე კლასის ან ტიპის საქონელი, რომელიც შეტანილია სხვა ქვეყნებიდანაც. ამასთანავე, არ გაითვალისწინება მყიდველსა და გამყიდველს შორის ურთიერთ- დაკავშირებულობის ფაქტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

4. სარეზერვო მეთოდით განსაზღვრული საქონლის საბაჟო ღირებულება შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად უნდა ეფუძნებოდეს ადრე უკვე განსაზღვრულ საქონლის საბაჟო ღირებულებას.

მუხლი 38. საბაჟო ღირებულების ელემენტები

1. იმპორტირებული საქონლის საბაჟო ღირებულების ამ კოდექსის 32-ე მუხლის საფუძველზე განსაზღვრისას გარიგების ფასს უნდა დაემატოს შემდეგი ხარჯები, იმ პირობით, რომ ეს ხარჯები მყიდველმა რეალურად გასწია, მაგრამ ისინი არ არის ჩართული გარიგების ფასში:

ა) საკომისიო და საბროკერო ხარჯები, გარდა შესყიდვაზე გაწეული საკომისიო ხარჯებისა;

ბ) იმ კონტეინერების ღირებულება, რომლებიც საბაჟო მიზნებისათვის განიხილება იმპორტირებულ საქონელთან ერთობლიობაში;

გ) შეფუთვის ღირებულება, გაწეული შრომისა და შესაფუთი მასალების ჩათვლით.

2. თუ მყიდველის მიერ საქონელი ან მომსახურება გამყიდველს უფასოდ ან ფასდაკლებით, პირდაპირ ან არაპირდაპირ მიეწოდება და გამოიყენება იმპორტირებული საქონლის წარმოებასთან და საექსპორტოდ გაყიდვასთან დაკავშირებით, საქონლის საბაჟო ღირებულების ამ კოდექსის 32-ე მუხლის საფუძველზე განსაზღვრისას გარიგების ფასს უნდა დაემატოს შემდეგი საქონლისა და მომსახურების პროპორციულად განაწილებული ღირებულება იმ ოდენობით, რომლითაც ეს ღირებულება ჩართული არ არის გადახდილ ან გადასახდელ ფასში:

ა) საქონლის შემადგენლობაში შემავალი მასალები, ნაწილები (დეტალები) და სხვა ანალოგიური კომპონენტები;

ბ) საქონლის წარმოების დროს გამოყენებული სამუშაო ინსტრუმენტები, შტამპები, ჩამოსასხმელი ფორმები და შრომის სხვა საშუალებები;

გ) საქართველოს ფარგლებს გარეთ წარმოებული ინჟინერია, დამუშავება, საკონსტრუქტორო და სამხატვრო-დიზაინერული საქმიანობა, მხაზველობითი სამუშაოები, პროექტები, სქემები, ესკიზები და სხვა სამუშაოები.

3. ამ მუხლის მე-2 ნაწილის მიზნებისათვის საქონლისა და მომსახურების ღირებულება, რომელიც უნდა შევიდეს საბაჟო ღირებულებაში, უნდა განისაზღვროს იმ ფასით, რომლითაც იგი შეიძინა მყიდველმა. თუ ეს საქონელი ნაწარმოებია თვით მყიდველის მიერ, მისი ფასი განისაზღვრება მყიდველის საბუღალტრო დოკუმენტაციაზე დაყრდნობით. იმ შემთხვევაში, როცა მოცემული საქონელი ამორტიზებულია, მისი ღირებულება განისაზღვრება

ამორტიზაციის ნორმების გათვალისწინებით.

4. საქონლის საბაჟო ღირებულების ამ კოდექსის 32-ე მუხლის საფუძველზე განსაზღვრისას გარიგების ფასს უნდა დაემატოს იმპორტირებულ საქონელთან დაკავშირებული საავტორო პონორარი ან სალიცენზიო გადასახდელები იმ ოდენობით, რა ოდენობითაც ჩართული არ არის გადახდილ ან გადასახდელ ფასში და პირდაპირ ან არაპირდაპირ უნდა გადაიხადოს მყიდველმა, როგორც ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული იმპორტირებული საქონლის პირობა. მასში შედის გადასახდელები პატენტებზე, სასაქონლო მარკებზე, საავტორო უფლებებზე, „ნოუ-ჰაუზე". ამასთანავე, სალიცენზიო და ინტელექტუალური საკუთრების გადასახდელები ჩაირთვება საბაჟო ღირებულებაში, თუ ინტელექტუალური საკუთრების ნიმუშებს განუყრელი კავშირი აქვს იმპორტირებულ საქონელთან და ეს პირობები დაფიქსირებულია კონტრაქტში. თუ მყიდველი სალიცენზიო გადასახდელებს უხდის მესამე პირს, ეს შეთანხმებული უნდა იყოს გამყიდველთან.

5. საქონლის საბაჟო ღირებულების ამ კოდექსის 32-ე მუხლის საფუძველზე განსაზღვრისას გარიგების ფასს უნდა დაემატოს იმ მოგების ნაწილის ღირებულება, რომელიც საქონლის ყოველი შემდგომი გადაყიდვის, განკარგვის და გამოყენების შედეგად პირდაპირ ან არაპირდაპირ ეკუთვნის გამყიდველს.

6. საქონლის საბაჟო ღირებულებაში ჩაირთვება იმპორტირებული საქონლის მიერ საქართველოს საბაჟო საზღვრის გადმოკვეთამდე გაწეული შემდეგი ხარჯები:

ა) ტრანსპორტირების ღირებულება, დატვირთვა-გადმოტვირთვისა და დამუშავების (მათ შორის, საწყობში შენახვის) ხარჯები. თუ სხვადასხვა საქონლის პარტია ერთი და იმავე ტრანსპორტით არის იმპორტირებული, ტრანსპორტირების ხარჯები პროპორციულად გადანაწილდება;

ბ) დაზღვევასთან დაკავშირებული ხარჯები.

7. ამ მუხლის დებულებების შესაბამისად გარიგების ფასს ემატება საიმედო მონაცემების საფუძველზე განსაზღვრული ხარჯები, რომლებიც გაწეულ იქნა საქონლის მკაცრად განსაზღვრულ რაოდენობაზე.

8. საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრისას დაუშვებელია გარიგების ფასისათვის იმ ხარჯების მიკუთვნება, რომლებიც ამ მუხლით არ არის გათვალისწინებული.

9. საქონლის საბაჟო ღირებულებაში არ უნდა იყოს ჩართული შემდეგი გადასახდელები და ხარჯები, თუ ისინი გამოყოფილია საქონლის ფაქტობრივი ფასიდან:

ა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადები და მოსაკრებლები;

ბ) ექსპორტიორი ქვეყნის არაპირდაპირი გადასახადები, რომლებიც გამოყოფილია გარიგების ფასიდან;

გ) საქართველოს საბაჟო საზღვრის გადმოკვეთის შემდგომი ტრანსპორტირების ხარჯები;

დ) სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების, საწყობის, მომსახურების ან გაწეული ტექნიკური დახმარების ხარჯები, რომლებიც გაწეულ იქნა საქონლის შემოტანის შემდეგ;

ე) საბაჟო პროცედურებთან დაკავშირებული ხარჯები და სხვა ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია საქართველოს ტერიტორიაზე იმპორტირებული საქონლის გადაადგილებასთან.

მუხლი 39. საბაჟო ღირებულებაში შესატანი პროცენტები

1. მყიდველის მიერ იმპორტირებული საქონლის ყიდვასთან დაკავშირებით დადებული საფინანსო შეთანხმებით გათვალისწინებული პროცენტები არ შედის საქონლის საბაჟო ღირებულებაში, თუ:

ა) ეს პროცენტები გამოყოფილია საქონლის ფაქტობრივი ფასიდან;

ბ) საფინანსო შეთანხმება შედგენილია წერილობითი ფორმით;

გ) საჭიროების შემთხვევაში მყიდველს შეუძლია დაადასტუროს, რომ საქონელი ფაქტობრივად გაყიდულია დეკლარირებული ფასით და საპროცენტო განაკვეთი არ აღემატება

საშუალო საპროცენტო განაკვეთს, რომელიც დაფინანსების მომენტში მოქმედებს მსგავს შეთანხმებებთან მიმართებით იმ ქვეყანაში, რომელშიც იმყოფება დამფინანსებელი პირი.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილის დებულებები გამოიყენება მიუხედავად იმისა, გარიგებას აფინანსებს გამყიდველი, ბანკი თუ მესამე პირი.

მუხლი 40. მონაცემების ავტომატიზებული დამუშავების ან სასწავლო პროგრამების პროგრამული უზრუნველყოფის მატარებლების საბაჟო ღირებულების განსაზღვრა

1. ამ კოდექსის 32-ე–39-ე მუხლების დებულებებისაგან განსხვავებით, მონაცემების ავტომატიზებული დამუშავების ან სასწავლო პროგრამების პროგრამული უზრუნველყოფის მატარებლების საბაჟო ღირებულების განსაზღვრისას გაითვალისწინება მხოლოდ ამ პროგრამის მატარებლების ფასი, იმ პირობით, რომ მონაცემების ავტომატიზებული დამუშავების ან სასწავლო პროგრამების ღირებულება დოკუმენტურად განცალკევებულია პროგრამის მატარებლების ღირებულებისაგან.

2. პროგრამის მატარებლების საბაჟო ღირებულება განისაზღვრება პროგრამის მატარებლების ღირებულებისა და მის ტრანსპორტირებაზე, ჩატვირთვა-გადმოტვირთვაზე, მოვლასა და შეფუთვაზე გაწეული ხარჯების ერთობლიობით.

3. ამ მუხლის მიზნებისათვის ცნება „მატარებელი" არ მოიცავს ინტეგრირებულ სქემებს, ნახევარგამტარებს და მოწყობილობებს ან ნაწილებს, რომლებისგანაც შედგება ზემოაღნიშნული სქემები, ნახევარგამტარები ან მოწყობილობები, ხოლო ცნებები „მონაცემები" და „სასწავლო პროგრამები" არ მოიცავს აუდიო-, კინო- და ვიდეოჩანაწერებს.

მუხლი 41. უთანხმოება საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის დროს

1. თუ საბაჟო ორგანო არ ეთანხმება დეკლარირებულ საბაჟო ღირებულებას, იგი ვალდებულია, თავისი მოსაზრებები აცნობოს დეკლარანტს და საქონლის საბაჟო ღირებულება განსაზღვროს ამ თავის მიხედვით. დეკლარანტი ვალდებულია, საბაჟო ორგანოში წარადგინოს ინფორმაცია (მათ შორის, მტკიცებულებები და დოკუმენტები), რომელსაც საბაჟო ორგანო ამ კოდექსით დადგენილი წესით მოითხოვს იმპორტირებული საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის მიზნით.

2. დამატებითი გარემოებების გამოვლენის შემთხვევაში საბაჟო ორგანოს უფლება აქვს, მოახდინოს საბაჟო ღირებულების კორექტირება საბაჟო ღირებულების განსაზღვრის თარიღიდან 6 კალენდარული წლის განმავლობაში.

3. თუ დეკლარანტი არ ეთანხმება საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრულ საბაჟო ღირებულებას, იგი უფლებამოსილია, ამ კოდექსით დადგენილი წესით გაასაჩივროს საბაჟო გადაწყვეტილება. ამ შემთხვევაში დეკლარანტს საშუალება ეძლევა, საბაჟო ორგანოდან გაიტანოს საქონელი, თუ იგი გადაიხდის თავის მიერ განსაზღვრული საქონლის საბაჟო ღირებულების საფუძველზე გაანგარიშებულ საბაჟო გადასახდელებს და დამატებით წარმოადგენს ამ კოდექსით გათვალისწინებულ გარანტიას, რომელიც არის საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრული საქონლის საბაჟო ღირებულების საფუძველზე გაანგარიშებულ საბაჟო გადასახდელებსა და დეკლარანტის მიერ განსაზღვრული საქონლის საბაჟო ღირებულების საფუძველზე გაანგარიშებულ საბაჟო გადასახდელებს შორის სხვაობა.

4. დეკლარანტს უფლება აქვს, წერილობით მიმართოს საბაჟო ორგანოს და მიიღოს წერილობითი განმარტება თავის მიერ შემოტანილი ან/და გატანილი საქონლის შემოწმებისას საბაჟო ორგანოს მიერ საბაჟო ღირებულების განსაზღვრის თაობაზე.

მუხლი 42. განსაკუთრებული დებულებები საბაჟო ღირებულების განსაზღვრისას

ამ თავის გამოყენება იმ საქონლის მიმართ, რომელიც სხვა საბაჟო რეჟიმის გამოყენების

შემდგომ თავისუფალ მიმოქცევაშია გაშვებული, არ ზღუდავს საბაჟო ღირებულების განსაზღვრის მარეგულირებელი დებულებების გამოყენებას.

მუხლი 43. საბაჟო ღირებულების განსაზღვრა სხვადასხვა საბაჟო დამუშავების ოპერაციის დროს, გარდა საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისა

1. საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმით გატანილი საქონლის გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქტების საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას მათ საბაჟო ღირებულებას აკლდება გადასამუშავებლად გატანილი და დეკლარირებული საქონლის საბაჟო ღირებულება.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული საბაჟო რეჟიმისა და საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების საბაჟო რეჟიმის გარდა, სხვა საბაჟო დამუშავების ოპერაციებისათვის საქონლის საბაჟო ღირებულება განისაზღვრება ამ თავის შესაბამისად.

კარი IV
საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანის ზოგადი დებულებები

თავი VII. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანა

მუხლი 44. საბაჟო ზედამხედველობა საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილ საქონელზე

1. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი საქონელი საბაჟო საზღვრის გადმოკვეთის მომენტიდან ექვემდებარება საბაჟო ზედამხედველობას. საბაჟო ორგანო ახორციელებს ასეთი საქონლის, მასთან დაკავშირებული პირების, სატრანსპორტო საშუალებებისა და დოკუმენტების საბაჟო კონტროლს. საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანა ხორციელდება საბაჟო პროცედურების დაცვით.

2. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი უცხოური საქონელი იმყოფება საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მისთვის საბაჟო სტატუსის მინიჭებამდე, შეცელამდე, მის თავისუფალ ზონაში ან თავისუფალ საწყობში მის გადატანამდე, საბაჟო ტერიტორიიდან რეექსპორტამდე ან საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ განადგურებამდე.

3. თუ საქონელი უკანონოდ გადის საბაჟო ზედამხედველობიდან ან საბაჟო ორგანოს აქვს საფუძვლიანი ეჭვი საბაჟო ზედამხედველობიდან საქონლის უკანონოდ გასვლაზე და ამ კოდექსის 188-ე მუხლის მე-2 ნაწილში აღნიშნულ ვალდებულ პირებს არ შეუძლიათ, საბაჟო ორგანოს დაუმტკიცონ ამ საქონლის საბაჟო ზედამხედველობიდან გასვლის კანონიერება, ვალდებულმა პირებმა საბაჟო ზედამხედველობიდან საქონლის უკანონოდ გასვლის აღმოჩენიდან 5 კალენდარული დღის განმავლობაში უნდა შეასრულოს წარმოშობილი საბაჟო ვალდებულება.

4. საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მყოფი საქონლის მიმართ შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ საბაჟო ორგანოსთან შეთანხმებული მოქმედებები და ოპერაციები, თუ საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

5. თუ საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მყოფი საქონელი განადგურდა ან დაზიანდა, საქონლის მფლობელი ვალდებულია, დაუყოვნებლივ შეატყობინოს უახლოეს საბაჟო ორგანოს და წარუდგინოს მას საქონლის განადგურების ან დაზიანების უტყუარი მტკიცებულებები, რომლებიც დამოწმებულია შესაბამისი უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ. სხვა შემთხვევებში საქონელი ჩაითვლება საბაჟო ზედამხედველობიდან უკანონოდ გასულად.

6. თუ წარმოიშვა ეჭვი საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის უკანონოდ შემოტანაზე ან საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილ საქონელზე დეკლარირებული მონაცემების უტყუარობაზე, საბაჟო ორგანო უფლებამოსილია, მტკიცებულებად ჩათვალოს დოკუმენტი ან დეკლარაცია, რომელიც გაცემულია სხვა ქვეყნის საბაჟო ორგანოს მიერ და ადასტურებს საქართველოში შემოტანის მიზნით ამ ქვეყნიდან საქონლის გატანის რეგისტრაციას.

მუხლი 45. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილება

1. პირი, რომელსაც საქონელი შემოაქვს საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე, ვალდებულია, საქართველოს საბაჟო საზღვრის გადმოკვეთის შემდეგ საქონელი დადგენილი წესით მიიტანოს საბაჟო ორგანოს მიერ შერჩეულ ან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ადგილზე.

2. პირზე, რომელიც იღებს საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი საქონლის შემდგომი ტრანსპორტირების პასუხისმგებლობას, ერცელდება ამ მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ვალდებულება.

3. ამ მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ვალდებულება არ გამორიცხავს მგზავრთა გადაადგილების ან საფოსტო გზავნილების შემოტანის მიმართ ნებისმიერი მოქმედი დებულების გამოყენებას, თუ ამით არ შეიზღუდება საბაჟო ზედამხედველობის ან საბაჟო კონტროლის განხორციელების შესაძლებლობები.

4. ამ მუხლის მოთხოვნები არ ვრცელდება იმ საქონელზე, რომლის დანიშნულების ქვეყანა არ არის საქართველო და რომელიც გადაიზიდება:

ა) საზღვაო ან საჰაერო სატრანსპორტო საშუალებით, რომელიც კვეთს საქართველოს ტერიტორიულ წყლებს ან საჰაერო სივრცეს;

ბ) მილსადენით ან ელექტროგადამცემი ხაზებით.

5. სასაზღვრო საბაჟო ორგანომდე ან სხვა ადგილამდე საქონლის მიტანის წესი, ვადა და საბაჟო მარშრუტი განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

6. სასაზღვრო საბაჟო ორგანოს გახსნა, სამუშაო დრო და მისი გაელით შემოსატანი საქონლის სახეობები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

7. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანა სხვა ადგილებში, რომლებიც განსაზღვრული არ არის ამ მუხლის მე-6 ნაწილში აღნიშნული საქართველოს მთავრობის დადგენილებით, ან სასაზღვრო საბაჟო ორგანოს არასამუშაო დროს დაიშვება საქონლის შემომტანი პირის განცხადების საფუძველზე, მისივე ხარჯებით, საბაჟო ორგანოსთან შეთანხმებითა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

8. სახელმწიფო არ ანაზღაურებს საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემომტანი პირის მიერ ამ მუხლის მოთხოვნათა შესრულებისათვის გაწეულ ხარჯებს.

მუხლი 46. ავარიისა და დაუძლეველი ძალის დროს გასატარებელი ღონისძიებები

1. პირი, რომელიც ამ კოდექსის 233-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული ავარიისა და დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ამავე კოდექსის 45-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილ მოთხოვნებს, ვალდებულია:

ა) დაუყოვნებლივ აცნობოს უახლოეს საბაჟო ორგანოს აღნიშნული გარემოებების, საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალებების ადგილმდებარეობისა და მდგომარეობის შესახებ და იმოქმედოს მისი მითითების შესაბამისად;

ბ) მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალებების ხელშეუხებლობის უზრუნველსაყოფად;

გ) უზრუნველყოს საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალებების მიტანა უახლოეს

საბაჟო ორგანომდე ან მის მიერ მითითებულ ადგილამდე.

2. თუ ამ კოდექსის 45-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა" ქვეპუნქტში აღნიშნული საზღვაო ან საჰაერო სატრანსპორტო საშუალება ამავე კოდექსის 233-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული ავარიისა და დაუძლეველი ძალის შედეგად ახორციელებს საბაჟო ტერიტორიაზე იძულებით დაშვებას ან შესვლას, საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების გადაზიდვაზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია შეასრულოს ამ კოდექსის 45-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი მოთხოვნები, ხოლო მათი შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში იმოქმედოს ამ მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი წესით.

3. საბაჟო ორგანომ უნდა განსაზღვროს გასატარებელი ღონისძიებები, რომლებიც აუცილებელია ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებულ საქონელზე საბაჟო ზედამხედველობის განხორციელებისათვის, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში აგრეთვე უნდა განსაზღვროს ამ საქონლის დანიშნულების საბაჟო ორგანომდე ან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ადგილამდე მიტანის უზრუნველყოფის ღონისძიებები.

4. სახელმწიფო არ ანაზღაურებს ამ მუხლის მოთხოვნათა შესრულებისათვის გაწეულ ხარჯებს.

თავი VIII. საქონლის წარდგენა საბაჟო ორგანოში

მუხლი 47. საქონლის წარდგენის ვალდებულება

1. საქონელი ამ კოდექსის 45-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ ადგილზე მიტანისთანავე წარედგინება საბაჟო ორგანოს. საქონლის წარდგენის ვალდებულება ეკისრება პირს, რომელმაც იგი შემოიტანა საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ან რომელმაც საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანის შემდეგ აიღო პასუხისმგებლობა მის შემდგომ ტრანსპორტირებაზე.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილი არ გამორიცხავს იმ დებულებების გამოყენებას, რომელთა მოქმედება ვრცელდება:

ა) მგზავრის პირად ნივთებზე ამ კოდექსის 79-ე და 90-ე მუხლების შესაბამისად;

ბ) საფოსტო გზავნილით საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილ საქონელზე ამ კოდექსის 81-ე და 91-ე მუხლების შესაბამისად.

3. საქონლის წარდგენის წესი განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

მუხლი 48. ოპერაციები საბაჟო ორგანოში წარდგენილ საქონელზე

საბაჟო ორგანოში საქონლის წარდგენის შემდგომ საბაჟო დამუშავების ოპერაციის შერჩევის მიზნით საბაჟო ორგანოს თანხმობით შეიძლება განხორციელდეს საქონლის დათვალიერება, სინჯის ან/და ნიმუშის აღება და მისი ანალიზი ან გამოკვლევა. წერილობითი შუამდგომლობის საფუძველზე საბაჟო ორგანოს თანხმობა გაიცემა პირზე, რომელიც უფლებამოსილია განსაზღვროს საქონლის საბაჟო დამუშავების ოპერაციის სახე. ნიმუშის ან/და სინჯის დეკლარირება ხდება ცალკე ან საქონელთან ერთად.

თავი IX. ზოგადი დეკლარირება და საბაჟო ორგანოში წარდგენილი საქონლის გადმოტვირთვა

მუხლი 49. ზოგადი დეკლარირება

საბაჟო ორგანოსათვის ამ კოდექსის 47-ე მუხლის შესაბამისად საქონლის წარდგენიდან არა უგვიანეს 2 სამუშაო დღისა პირი ახორციელებს ზოგად დეკლარირებას.

მუხლი 50. ზოგადი დეკლარირების ფორმები და მისი წარმდგენი პირი

1. ზოგადი დეკლარირება ნიშნავს საქონელზე იმ ზოგადი მონაცემების წარდგენას, რომლებიც აუცილებელია შესაბამისი საბაჟო დამუშავების ოპერაციის შერჩევამდე მისი იდენტიფიკაციისათვის, საბაჟო ზედამხედველობისა და საბაჟო კონტროლის განხორციელებისათვის. ზოგადი დეკლარირების ფორმები განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

2. ზოგადი დეკლარირება უნდა განახორციელოს პირმა:

ა) რომელმაც საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოიტანა საქონელი ან რომელმაც საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანის შემდეგ აიღო პასუხისმგებლობა მის შემდგომ ტრანსპორტირებაზე;

ბ) რომლის სახელითაც მოქმედებენ ამ ნაწილის „ა" ქვეპუნქტში აღნიშნული პირები.

3. საზღვაო და საჰაერო ხომალდებზე ზოგადი დეკლარირება ხდება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე დანიშნულების ნავსადგურში ან აეროპორტში ჩასვლისას, ხოლო საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გასვლის შემთხვევაში – იმ საბაჟო ტერიტორიის ნავსადგურში ან აეროპორტში, საიდანაც ისინი გადიან.

4. ცარიელ და მგზავრთა გადამყვან სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებებზე ზოგადი დეკლარირება ხდება საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას.

5. ზოგადი დეკლარირების საფუძველზე ხორციელდება საბაჟო ორგანოს მიერ საბაჟო კონტროლის ქვეშ მყოფი საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობის გამოწერა. აღრიცხვის მოწმობის შევსების წესი დგინდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

მუხლი 51. საქონლის გადმოტვირთვა

1. სატრანსპორტო საშუალებიდან საქონლის გადმოტვირთვა ან/და სხვა სატრანსპორტო საშუალებაზე გადატვირთვა შესაძლებელია მხოლოდ ამ მიზნისათვის სპეციალურად განსაზღვრულ ადგილებში და საბაჟო ორგანოს სამუშაო დროს. სხვა ადგილებში ან/და საბაჟო ორგანოს არასამუშაო დროს საქონლის გადმოტვირთვა ან/და სხვა სატრანსპორტო საშუალებაზე გადატვირთვა დასაშვებია დაინტერესებული პირის მოტივირებული განცხადებითა და საბაჟო ორგანოს თანხმობით. საბაჟო ორგანოს თანხმობა აუცილებელი არ არის, თუ საქონელს ემუქრება პირდაპირი საფრთხე და საჭიროა საქონლის ან მისი ნაწილის დაუყოვნებლივ გადმოტვირთვა, რის შესახებაც მაშინვე უნდა ეცნობოს საბაჟო ორგანოს.

2. საქონელზე ან/და მის გადამზიდავ სატრანსპორტო საშუალებაზე საბაჟო კონტროლის განხორციელების მიზნით საბაჟო ორგანომ შეიძლება ნებისმიერ დროს მოითხოვოს საქონლის მფლობელის ხარჯით საქონლის გადატანა თავის მიერ მითითებულ დანიშნულების ადგილზე საქონლის გადმოტვირთვის, ჩატვირთვის, გადატვირთვის, შეფუთვისა და გახსნისათვის, აგრეთვე შენობების, კონტეინერებისა და სხვა საწყობების გახსნისა და სატრანსპორტო საშუალებების ახალ ადგილზე გადასვლისათვის.

3. პირი, რომელიც ახორციელებს ზოგად დეკლარირებას, ვალდებულია უზრუნველყოს საბაჟო ორგანოში წარდგენილი, სატრანსპორტო საშუალებიდან გადმოუტვირთავი საქონლის ხელშეუხებლობა მის მიმართ საბაჟო დამუშავების ოპერაციის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე.

4. საქონლის მფლობელი, რომელსაც სურს, გადმოტვირთულ საქონელს შეუცვალოს განთავსების ადგილი ან მოათავსოს იგი საწყობში, ვალდებულია უზრუნველყოს საქონლის ხელშეუხებლობა.

მუხლი 52. საწყისი განთავსების ადგილიდან საქონლის გადატანა-გადაადგილების აკრძალვა

საბაჟო ორგანოს თანხმობის გარეშე საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მყოფი საქონლის გადატანა-გადაადგილება მისი საწყისი განთავსების ადგილიდან აკრძალულია, თუ საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

თავი X. საქონლის დროებითი დასაწყობება

მუხლი 53. საქონლის დროებითი დასაწყობების არსი

საბაჟო ორგანოსათვის წარდგენილი საქონელი მისი წარდგენიდან საბაჟო ორგანოს მიერ საქონლის მიმართ საბაჟო დამუშავების ოპერაციის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე ან შესაბამისი საბაჟო დამუშავების ოპერაციის გამოყენების შემთხვევაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში ამ ოპერაციის დასრულებამდე ითვლება დროებით დასაწყობებულად.

მუხლი 54. საქონლის დროებითი დასაწყობების პირობები

1. დროებით დასაწყობებული საქონელი უნდა ინახებოდეს საბაჟო ორგანოსთან შეთანხმებულ საბაჟო საწყობში ან შენახვის სხვა ადგილზე, რომელიც აკმაყოფილებს საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით დადგენილ პირობებს. საბაჟო ორგანო უფლებამოსილია, საქონლის მფლობელს მოსთხოვოს იმ საბაჟო ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის წარდგენა, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას ამ კოდექსის 188-ე და 189-ე მუხლების საფუძველზე.

2. საბაჟო ორგანო უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს განახორციელოს დროებით დასაწყობებული საქონლის კონტროლი ან/და შეამოწმოს მასთან დაკავშირებული დოკუმენტები.

მუხლი 55. დროებით დასაწყობებული საქონლის მიმართ დასაშვები ოპერაციები

დროებით დასაწყობებული საქონლის მიმართ დასაშვებია მხოლოდ ისეთი ღონისძიებების გამოყენება, რომლებიც უზრუნველყოფს მის დაცულობას და არ ცვლის მის გარეგნულ სახეს ან ტექნიკურ მახასიათებლებს, გარდა ამ კოდექსის 48-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 56. საბაჟო ორგანოს მოქმედებები დროებით დასაწყობებულ საქონელზე საბაჟო დამუშავების ოპერაციის სახის განსაზღვრის ან განსაზღვრული საბაჟო დამუშავების ოპერაციის დაუსრულებლობის შემთხვევაში

1. თუ ამ კოდექსის 61-ე მუხლით განსაზღვრულ ვადებში ვალდებულმა პირმა არ განახორციელა დროებით დასაწყობებულ საქონელზე საბაჟო დამუშავების ოპერაციის სახის განსაზღვრის დასრულებისათვის ან უკვე განსაზღვრული საბაჟო დამუშავების ოპერაციის დასრულებისათვის აუცილებელი საბაჟო პროცედურები, საქონლის მიმართ გამოიყენება ამ კოდექსის 87-ე მუხლის დებულებები.

2. საქონლის მფლობელი ვალდებულია, საბაჟო ორგანოს მოთხოვნით შეინახოს საქონელი საკუთარი ხარჯებით ან საბაჟო კონტროლის განხორციელების აუცილებლობიდან გამომდინარე საბაჟო ორგანოს მოთხოვნით უზრუნველყოს საქონლის მიტანა მის მიერ განსაზღვრულ ადგილზე.

3. საქონლის დროებითი დასაწყობების წესი განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

თავი XI. საქონლის ტრანზიტის საბაჟო რეჟიმში საქონლის მოსაქცევად განსახორციელებელი საბაჟო პროცედურები

მუხლი 57. დებულებები, რომლებიც არ გამოიყენება საქონლის ტრანზიტის საბაჟო რეჟიმში მოსაქცევი საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას

საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე იმ საქონლის შემოტანისას, რომელიც განკუთვნილია საქონლის ტრანზიტის საბაჟო რეჟიმში მოსაქცევად, არ გამოიყენება ამ კოდექსის 45-ე მუხლის (გარდა 45-ე მუხლის პირველი ნაწილისა) და 47-ე–56-ე მუხლების დებულებები.

მუხლი 58. დებულებები, რომლებიც გამოიყენება საქონლის ტრანზიტის საბაჟო რეჟიმში მოქცეული უცხოური საქონლის მიმართ საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანისას

საქონლის ტრანზიტის საბაჟო რეჟიმში მოქცეული უცხოური საქონლის მიმართ, რომელიც მიტანილია საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე დანიშნულების საბაჟო ორგანოში და საბაჟო ორგანოსათვის წარდგენილია საქონლის ტრანზიტის საბაჟო რეჟიმის მარეგულირებელი საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად, გამოიყენება ამ კოდექსის 46-ე, 49-ე–56-ე და 61-ე მუხლების დებულებები.

თავი XII. სხვა საბაჟო პროცედურები

მუხლი 59. საბაჟო ორგანოში წარდგენილი საქონლის მიმართ განსახორციელებელი სხვა პროცედურები

1. დროებითი დასაწყობების მიზნით საქონლის მფლობელის შუამდგომლობის საფუძველზე საბაჟო ორგანო უფლებამოსილია, საბაჟო ორგანოში წარდგენილი საქონელი შეინახოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო საწყობში მის მიმართ საბაჟო დამუშავების ოპერაციის სახის განსაზღვრის დასრულებამდე. *(29.12.2006 N4256)*

2. საქონლის მფლობელის მოტივირებული წერილობითი შუამდგომლობის საფუძველზე საბაჟო ორგანო უფლებამოსილია, საბაჟო ორგანოში წარდგენილი საქონელი გაანადგუროს საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ ამ კოდექსის 167-ე მუხლის შესაბამისად.

მუხლი 60. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის უკანონოდ შემოტანისას ან საბაჟო ორგანოში მისი წარუდგენლობისას საბაჟო ორგანოს მიერ განსახორციელებელი პროცედურები

საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის უკანონოდ შემოტანისას ან საბაჟო ორგანოში მისი წარუდგენლობისას ან საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის დარღვევის სხვა შემთხვევაში საბაჟო ორგანო აკავებს საქონელს და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 61. საბაჟო დამუშავების ოპერაციის სახის განსაზღვრის ან უკვე განსაზღვრული საბაჟო დამუშავების ოპერაციის დასრულებისათვის დადგენილი ვადები

1. თუ საქონელზე განხორციელებულია ზოგადი დეკლარირება, საბაჟო დამუშავების ოპერაციის სახის განსაზღვრის დასრულებისათვის საჭირო საბაჟო პროცედურები უნდა განხორციელდეს:

ა) ზოგადი დეკლარირებიდან 45 კალენდარულ დღეში, თუ საქონელი შემოტანილია საზღვაო გზით;

ბ) ზოგადი დეკლარირებიდან 20 კალენდარულ დღეში, თუ საქონელი შემოტანილია სხვა გზით.

2. საბაჟო ორგანოს შესაბამისი დასაბუთებით შეუძლია შეამციროს ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული ვადები ან დეკლარანტის წერილობითი განცხადების საფუძველზე გააგრძელოს ისინი 45 კალენდარული დღით.

3. ამ მუხლის მიზნებისათვის საბაჟო დამუშავების ოპერაციის სახის განსაზღვრის დასრულებისათვის საჭირო საბაჟო პროცედურებში იგულისხმება საქონლისა და საბაჟო დეკლარაციის წარდგენა, საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად, თუ ამავე კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

4. საქონელი, რომელზედაც უკვე განსაზღვრულია საბაჟო დამუშავების ოპერაცია, პირის მოთხოვნით შეიძლება ინახებოდეს დროებითი შენახვის საწყობში არა უმეტეს 3 თვისა.

ᲙᲐᲠᲘ V
ᲡᲐᲥᲝᲜᲚᲘᲡ ᲡᲐᲑᲐᲟᲝ ᲓᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲔᲑᲘ

ᲗᲐᲕᲘ XIII. ᲖᲝᲒᲐᲓᲘ ᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ

მუხლი 62. საქონლის საბაჟო დამუშავების ოპერაციის სახის განსაზღვრა

1. საქონლის სახეობის, რაოდენობის, მისი წარმოშობის, გამგზავნი და მიმღები ქვეყნების მიუხედავად, საქონლის საბაჟო დამუშავების ოპერაციის სახე შეიძლება განისაზღვროს საბაჟო პროცედურების განხორციელების ნებისმიერ დროს ამ კოდექსით დადგენილი პირობების შესაბამისად, თუ საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2. საქონლის საბაჟო დამუშავების ოპერაციის სახის განსაზღვრისათვის საბაჟო პროცედურების განხორციელების წესები დგინდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

მუხლი 63. საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასთან ან საბაჟო ტერიტორიიდან მის გატანასთან დაკავშირებული ლიცენზიები, ნებართვები, სერტიფიკატები, აკრძალვები ან/და შეზღუდვები

1. საკანონმდებლო აქტით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს გადაწყვეტილებით საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანაზე ან საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან მის გატანაზე შეიძლება დაწესდეს შეზღუდვები ან/და აკრძალვები.

2. საქონლის მიერ, რომლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანა აკრძალულია, საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთის შემთხვევაში იგი დაუყოვნებლივ უნდა იქნეს გატანილი საბაჟო ტერიტორიიდან, თუ ამ კოდექსით ან სხვა საკანონმდებლო აქტით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. თუ შეუძლებელია საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან ამ საქონლის დაუყოვნებლივ გატანა, იგი უნდა მოთავსდეს დროებითი შენახვის საწყობში ან საბაჟო ორგანოს მიერ შერჩეულ საბაჟო კონტროლის სხვა ზონაში. ამგვარი საქონლის გატანის ვალდებულება და დროებითი შენახვის ხარჯები სოლიდარულად ეკისრებათ საქონლის მიმღებსა და საქონლის მფლობელს. ასეთ შემთხვევაში დროებითი შენახვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 3 კალენდარულ დღეს, რომლის გასვლის შემდეგაც საქონლის განკარგვა მოხდება ამ კოდექსის 87-ე მუხლის შესაბამისად.

3. საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და შესაბამისი სახელმწიფო კონტროლის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სამინისტროების ერთობლივი ბრძანებით შეიძლება

განისაზღვრონ ის სასაზღვრო საბაჟო ორგანოები, რომელთა გავლითაც არ უნდა მოხდეს სანიტარიულ-საკარანტინო, სახელმწიფო ვეტერინარულ სასაზღვრო-საკარანტინო, სახელმწიფო ფიტოსანიტარიულ სასაზღვრო-საკარანტინო, ტექნიკური სტანდარტებისადმი შესაბამისობისა და ხარისხის ან/და სხვა სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანა ან საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანა.

4. სახელმწიფო არ ანაზღაურებს ამ მუხლით გათვალისწინებული აკრძალვების ან/და შეზღუდვების შესრულებასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

5. საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანაზე ან/და საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანაზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ლიცენზიების, ნებართვებისა და სერტიფიკატების გაცემის უფლებამოსილება საქართველოს მთავრობის დადგენილებით შეიძლება დელეგირებულ იქნეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურზე. *(29.12.2006 N4256)*

მუხლი 64. საბაჟო კონტროლის განხორციელება

1. საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთა ნებადართულია მხოლოდ იმ საქონლისათვის, რომლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანა ან საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანა არ არის აკრძალული.

2. საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ნებართვები ან/და ლიცენზიები, რომლებიც სავალდებულოა საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისათვის ან საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანისათვის, წარდგენილი უნდა იქნეს საბაჟო პროცედურების განხორციელებისას.

3. საბაჟო კონტროლის განხორციელებისას საბაჟო ორგანო უფლებამოსილია, ამ კოდექსის 78-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, მოიწვიოს ექსპერტი. ექსპერტიზის ხარჯებს აანაზღაურებს საბაჟო ორგანო, თუ საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

4. საბაჟო კონტროლის განხორციელებამ საფრთხე არ უნდა შეუქმნას ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას და ზიანი არ უნდა მიაყენოს შესამოწმებელ საქონელსა და გარემოს. საბაჟო კონტროლი ხორციელდება ყოველგვარი შეფერხების გარეშე.

5. საბაჟო საწყობში, თავისუფალ ზონაში, თავისუფალ საწყობში, საფოსტო მომსახურების ადგილზე, ნავსადგურში, აეროპორტსა და რკინიგზის სადგურში საბაჟო კონტროლის განხორციელების მიზნით საბაჟო ორგანო უფლებამოსილია, შენობა-ნაგებობის ან ფართობის მესაკუთრისაგან ან მფლობელისაგან (თუ მესაკუთრე არ არის მფლობელი) უსასყიდლო სარგებლობისათვის მოითხოვოს და მიიღოს საჭირო შენობა-ნაგებობა ან ფართობი, რომელთა ნორმები განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

6. საბაჟო კონტროლის განხორციელებისას საბაჟო ორგანოს მოთხოვნის საფუძველზე დეკლარანტი ვალდებულია, საქონლის ოდენობა განსაზღვროს საკუთარი ხარჯებით.

7. საბაჟო კონტროლი ხორციელდება რისკების განსაზღვრის, ანალიზის, მართვის, მონიტორინგისა და პრიორიტეტების საფუძველზე.

8. საბაჟო კონტროლის განხორციელებისას გამოსაყენებელი რისკების მართვის სისტემა განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

თავი XIV. საბაჟო რეჟიმში საქონლის მოსაქცევად განხორციელებული, დეკლარირებასთან და დათვალიერებასთან დაკავშირებული საბაჟო პროცედურები

მუხლი 65. საბაჟო დეკლარაციის წარდგენა

1. საქონელზე, რომლის მიმართაც გამოყენებული უნდა იქნეს საბაჟო რეჟიმი, სავალდე-

ბულოა, წარდგენილ იქნეს საბაჟო დეკლარაცია, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2. საქონლის ექსპორტის საბაჟო რეჟიმში, საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში ან საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის საბაჟო რეჟიმში მოქცევის მიზნით საქონელი საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ იმყოფება საბაჟო დეკლარაციის წარდგენიდან, ხოლო საქონლის ტრანზიტის საბაჟო რეჟიმის შემთხვევაში – ზოგადი დეკლარირებიდან საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საქონლის გატანამდე ან ამ კოდექსის 167-ე მუხლის შესაბამისად საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მის განადგურებამდე ან საბაჟო დეკლარაციის ბათილად ცნობამდე.

3. სახმელეთო სატრანსპორტო საშუალების, რომლითაც გადაიზიდება საქონელი, დეკლარირება ხდება საქონელთან ერთად, გარდა ამ კოდექსის 50-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. საერთაშორისო სპაერო, სარკინიგზო და საზღვაო რეისების განსახორციელებლად ამ ტრანსპორტზე მიწოდებული, მგზავრებისა და ეკიპაჟის წევრებისათვის საჭირო სამომხმარებლო საქონელი, რომელიც განკუთვნილია მათი უშუალო პირადი მოხმარებისათვის ან მათზე სარეალიზაციოდ, აგრეთვე ზემოაღნიშნულ ტრანსპორტზე მისი ექსპლუატაციის ნორმალური პირობებისათვის ატანილი წყალი, საწვავი და საცხებ-საპოხი მასალები (გარდა სათადარიგო ნაწილებისა და მოწყობილობებისა) არ ექვემდებარება ამ კოდექსით დადგენილი წესით საბაჟო დეკლარირებას.

მუხლი 66. საბაჟო პროცედურების განხორციელების დრო და ადგილი

საბაჟო ორგანოების მიერ საბაჟო პროცედურების განხორციელების დრო და ადგილი განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

მუხლი 67. საბაჟო დეკლარაციის წარდგენის საშუალებები

1. საბაჟო დეკლარაციის წარდგენა ხდება წერილობით ან ელექტრონული ფორმით.

2. ზეპირი (მგზავრის შემთხვევაში) ან სხვა საშუალებით დეკლარირება, რომლითაც საქონლის მფლობელი საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად გამოთქვამს სურვილს, საქონლის მიმართ გამოყენებულ იქნეს საბაჟო რეჟიმი, ითვლება საბაჟო დეკლარაციის წარდგენად.

მუხლი 68. საბაჟო დეკლარაციის ფორმა და დამატებითი დოკუმენტები

1. საბაჟო დეკლარაცია უნდა შეიცავდეს მონაცემებს, რომლებიც აუცილებელია საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის რეგულირების მექანიზმების სწორად გამოყენებისათვის, საბაჟო სტატისტიკის წარმოებისა და საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის აღსრულებისათვის, მათ შორის, შესაბამისი საბაჟო რეჟიმის მოთხოვნების განხორციელებისათვის. საბაჟო დეკლარაციის სახეები, ფორმა და შევსების წესი განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

2. საბაჟო დეკლარაციას უნდა დაერთოს საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებული საჭირო დოკუმენტები, რომლებიც აუცილებელია შესაბამისი საბაჟო რეჟიმის პირობების შესრულებისა და დეკლარირებული მონაცემების დადასტურებისათვის. შესაბამისი დოკუმენტების ჩამონათვალი განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

მუხლი 69. საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაცია

1. საბაჟო ორგანო დაუყოვნებლივ ახორციელებს ამ კოდექსის 68-ე მუხლის შესაბამისად წარდგენილი საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციას, თუ უზრუნველყოფილია დეკლარაციაში

აღნიშნული საქონლის წარდგენა საბაჟო ორგანოში და საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2. თუ დაცული არ არის საბაჟო დეკლარაციის ფორმა და მისი შევსების წესი, თანმხლები დოკუმენტები შესაბამის დარღვევაზე მითითებით დაუყოვნებლივ უბრუნდება დეკლარანტს.

3. რეგისტრაციის დღიდან საბაჟო დეკლარაცია არის იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დამადასტურებელი საბუთი, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

4. საქონლის მიმართ გამოიყენება საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღისათვის მოქმედი შესაბამისი საბაჟო რეჟიმის მარეგულირებელი საქართველოს საბაჟო კანონმდებლობა, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

5. საბაჟო დეკლარაციის წარდგენის, დაბრუნებისა და რეგისტრაციის წესი განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

მუხლი 70. დეკლარანტი

1. ამ კოდექსის მე-8 მუხლის დებულებების გათვალისწინებით საბაჟო დეკლარაციის წარდგენის უფლება აქვს პირს, რომელსაც შეუძლია, საქონელი წარადგინოს უფლებამოსილ საბაჟო ორგანოში.

2. თუ საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაცია იწვევს პირის ვალდებულებების წარმოშობას, საბაჟო დეკლარაცია უნდა წარადგინოს შესაბამისმა პირმა ან მისმა წარმომადგენელმა. ამ კოდექსის მე-8 მუხლის დებულებების გათვალისწინებით საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანისას დეკლარანტად ითვლება საქონლის მიმღები, ხოლო საბაჟო ტერიტორიიდან საქონლის გატანისას – საქონლის გამგზავნი, რომლებიც შესაბამისად მითითებული უნდა იყვნენ საქონლის მფლობელობის დამადასტურებელ დოკუმენტებში. ამასთანავე, საქონლის ტრანზიტის საბაჟო რეჟიმში საქონლის მოქცევისას დეკლარანტი აგრეთვე შესაძლოა იყოს საქონლის მფლობელი.

3. დეკლარანტი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე, რეზიდენტი ფიზიკური პირი ან საქართველოს საწარმო/ორგანიზაცია, გარდა ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა.

4. უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ (გარდა ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული რეზიდენტი ფიზიკური პირისა) ან უცხოური საწარმოს/ორგანიზაციის მიერ საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის დეკლარირება ხორციელდება:

ა) საქონლის ტრანზიტის საბაჟო რეჟიმში ან საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმში;

ბ) საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში.

5. დეკლარანტი და პირი, რომლის მაგივრადაც ირიბი წარმომადგენლობისას წარადგინეს საბაჟო დეკლარაცია, პასუხისმგებელი არიან დეკლარირებული მონაცემების სისწორეზე, წარმოდგენილი დოკუმენტების ნამდვილობასა და საბაჟო დეკლარაციასთან საქონლის შესაბამისობაზე.

მუხლი 71. დეკლარირებული მონაცემების შეცვლა

1. საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის შემდეგ დეკლარანტის წერილობითი განცხადების საფუძველზე შესაძლებელია საბაჟო დეკლარაციაში მითითებული მონაცემების შეცვლა, გარდა ამ მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი შემთხვევებისა.

2. საბაჟო დეკლარაციაში ცვლილებების შეტანა აკრძალულია, თუ:

ა) საბაჟო ორგანომ დაადგინა საქონლის სახეობის, რაოდენობის, წარმოშობის ქვეყნის ან/და საბაჟო ღირებულების შესახებ არასწორი დეკლარირებული მონაცემები;

ბ) საბაჟო ორგანომ უკვე გაუშვა საქონელი.

3. აკრძალულია საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირის მიერ საბაჟო დეკლარაციის შევსება ან საბაჟო დეკლარაციაში მონაცემების დამატება ან მასში მონაცემების შეცვლა, გარდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული შემთხვევებისა.

4. ამ მუხლში აღნიშნული დეკლარირებული მონაცემების შეცვლის შემთხვევაში დეკლარანტს არ დაეკისრება ამ კოდექსით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

მუხლი 72. საქონლის გაშვებამდე რეგისტრირებული საბაჟო დეკლარაციის ბათილად ცნობა

1. საქონლის გაშვებამდე რეგისტრირებული საბაჟო დეკლარაცია ბათილად იქნება ცნობილი დეკლარანტის წერილობითი განცხადების საფუძველზე, გარდა ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2. საქონლის გაშვებამდე რეგისტრირებული საბაჟო დეკლარაცია ბათილად იქნება ცნობილი საბაჟო გადაწყვეტილების საფუძველზე, თუ ამ დეკლარაციის შემოწმებისას დადგინდება, რომ:

ა) საქონლის მიმართ გაცხადებული საბაჟო დამუშავების ოპერაციის სახის გამოყენება შეუძლებელია;

ბ) დეკლარანტმა არ შეასრულა საქონლის მიმართ გაცხადებული საბაჟო დამუშავების ოპერაციის გამოყენებისათვის აუცილებელი მოქმედებები და ამ მუხლით დადგენილი წესით არ მიმართა უფლებამოსილ საბაჟო ორგანოს საბაჟო დეკლარაციის ბათილად ცნობისათვის;

გ) საქონლის სახეობის, რაოდენობის, წარმოშობის ქვეყნის ან/და საბაჟო ღირებულების შესახებ დეკლარირებული მონაცემები არ არის სწორი.

3. რეგისტრირებული საბაჟო დეკლარაციის ბათილად ცნობა არ წარმოადგენს საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის დარღვევისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველს.

მუხლი 73. საბაჟო რეჟიმის მარეგულირებელი საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის გამოყენება

საბაჟო რეჟიმში მოსაქცევად გამოიყენება საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღისათვის მოქმედი შესაბამისი საბაჟო რეჟიმის მარეგულირებელი საქართველოს საბაჟო კანონმდებლობა, გარდა ამ კოდექსის 89-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 74. რეგისტრირებული საბაჟო დეკლარაციის შემოწმება

1. რეგისტრირებული საბაჟო დეკლარაციის შემოწმების მიზნით საბაჟო ორგანო უფლებამოსილია:

ა) შეამოწმოს საბაჟო დეკლარაციის შესაბამისობა თანდართულ დოკუმენტებთან და წარდგენილ საქონელთან;

ბ) დეკლარანტს მოსთხოვოს დამატებითი დოკუმენტები, რომლებიც დაკავშირებულია დეკლარირებულ მონაცემებთან;

გ) დაათვალიეროს საქონელი და აიღოს სინჯი ან/და ნიმუში.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული პროცედურების განხორციელების დრო არ უნდა აღემატებოდეს ასეთი მოქმედებებისათვის საჭირო ვადებს.

მუხლი 75. საქონლის დათვალიერება და სინჯის ან/და ნიმუშის აღება

1. საქონლის დათვალიერების ადგილი და დრო განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით. დეკლარანტის წერილობითი განაცხადის საფუძველზე საქონლის დათვალიერება შეიძლება მოხდეს სხვა ადგილზე და დროს. შესაბამის ხარჯებს აანაზღაუ-

რებს დეკლარანტი.

2. დეკლარანტი ვალდებულია, საქონლის დათვალიერებისა და სინჯის ან/და ნიმუშის აღებისათვის განკუთვნილ ადგილზე მიიტანოს საქონელი ან საკუთარი პასუხისმგებლობით განახორციელოს საქონლის მიტანისათვის, მისი დათვალიერებისა და სინჯის ან/და ნიმუშის აღებისათვის საჭირო მოქმედებების ორგანიზება. თუ დეკლარანტი უარს აცხადებს ამ მოქმედებების შესრულებაზე, მათ ახორციელებს საბაჟო ორგანო დეკლარანტის ხარჯებით.

3. დეკლარანტი უფლებამოსილია, დაესწროს საქონლის დათვალიერებასა და სინჯის ან/და ნიმუშის აღებას. საქონლის დათვალიერებისა და სინჯის ან/და ნიმუშის აღებისათვის დახმარების გაწევის მიზნით, საბაჟო ორგანოს მოთხოვნის საფუძველზე დეკლარანტი ან მისი წარმომადგენელი ვალდებულია, დაესწროს საქონლის დათვალიერებასა და სინჯის ან/და ნიმუშის აღებას.

4. თუ სინჯის ან/და ნიმუშის აღება ხდება დეკლარანტის ინიციატივით, ჩატარებული ანალიზის ან გამოკვლევის ხარჯებს აანაზღაურებს დეკლარანტი.

5. თუ სინჯის ან/და ნიმუშის აღება ხდება საბაჟო ორგანოს ინიციატივით, ჩატარებული ანალიზის ან გამოკვლევის ხარჯებს აანაზღაურებს საბაჟო ორგანო. ამასთანავე, საბაჟო ორგანო ვალდებული არ არის, აანაზღაუროს სინჯის ან/და ნიმუშის აღებით გამოწვეული დანაკლისი. აღებული სინჯის ან/და ნიმუშის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ანალიზისათვის ან გამოკვლევისათვის საჭირო რაოდენობას.

6. საბაჟო ორგანო ვალდებულია, ანალიზის ან გამოკვლევის შედეგები ფოსტით ან ელექტრონული ფორმით აცნობოს დეკლარანტს. მოთხოვნის შემთხვევაში დეკლარანტს უბრუნდება გამოუყენებელი სინჯი ან/და ნიმუში ან მისი ნარჩენები.

7. საქონლის დათვალიერებისას და სინჯის ან/და ნიმუშის აღებისას განსახორციელებელი საბაჟო პროცედურები განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

მუხლი 76. დეკლარირებული საქონლის შერჩევითი დათვალიერება

1. თუ საბაჟო ორგანო ათვალიერებს დეკლარირებული საქონლის ნაწილს, შერჩევითი დათვალიერების შედეგებზე დგება აქტი, რომელიც ძალაშია მთელი დეკლარირებული საქონლისათვის.

2. თუ დეკლარანტი მიიჩნევს, რომ შერჩევითი დათვალიერების შედეგები არ შეიძლება გავრცელდეს მთელ საქონელზე, იგი უფლებამოსილია, მოითხოვოს საქონლის დამატებითი დათვალიერება.

3. თუ საბაჟო დეკლარაციაში დეკლარირებულია საქონლის რამდენიმე სახეობა, ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების გამოყენებისას საქონლის თითოეულ სახეობაზე არსებული მონაცემები განიხილება ცალ-ცალკე დეკლარირებულად.

მუხლი 77. საბაჟო დეკლარაციის შემოწმების შედეგების გამოყენება

1. საბაჟო დეკლარაციის შემოწმების შედეგები გამოიყენება საქონლის შესაბამისი საბაჟო რეჟიმის მარეგულირებელი საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის მიზნებისათვის.

2. თუ არ ხდება საბაჟო დეკლარაციის შემოწმება, საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის მიზნებისათვის გამოიყენება საბაჟო დეკლარაციაში არსებული მონაცემები.

მუხლი 78. სატრანსპორტო საშუალების დათვალიერება

1. საბაჟო ორგანო უფლებამოსილია, გააჩეროს და დაათვალიეროს საქართველოს საბაჟო საზღვრის გადამკვეთი სატრანსპორტო საშუალება.

2. საქონლის სახით იმ სატრანსპორტო საშუალების დათვალიერება და მისი რეკვიზიტების (საიდენტიფიკაციო მარკირების, ნომრის) შემოწმება, რომელიც საქონლის თავისუფალ

მიმოქცევაში გაშვების (იმპორტის) საბაჟო რეჟიმით შემოდის საქართველოში და რომლის რეგისტრაციას ახორციელებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სატრანსპორტო საშუალებების სარეგისტრაციო სამსახური, შეიძლება განხორციელდეს ამავე დაწესებულების სპეციალისტების მონაწილეობით, საქართველოს ფინანსთა და შინაგან საქმეთა მინისტრების ერთობლივი ბრძანებით დადგენილი წესით და მათ მიერ დელეგირებულ უფლებამოსილებათა ფარგლებში.

3. სასაზღვრო გამტარი პუნქტით საქართველოს საბაჟო საზღვრის გადამკვეთი სატრანსპორტო საშუალება ვალდებულია, გაჩერდეს საზღვართან არსებულ საბაჟო ორგანოში, ხოლო მისი არარსებობის შემთხვევაში გაუჩერებლად მკაცრად განსაზღვრული საბაჟო მარშრუტით გაემართოს დანიშნულების საბაჟო ორგანომდე. სატრანსპორტო საშუალების იძულებითი გაჩერების შესახებ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა ეცნობოს უახლოეს საბაჟო ორგანოს.

4. ნავსადგურის, რკინიგზის სადგურისა და აეროპორტის უფლებამოსილი თანამდებობის პირები ვალდებული არიან, საბაჟო ორგანოს აცნობონ თითოეული სატრანსპორტო საშუალების შემოსვლის ან/და გასვლის შესახებ და საბაჟო ორგანოს თანხმობის გარეშე არ დაუშვან შემოსატანი ან/და გასატანი საქონლის გადატვირთვა ან გადმოტვირთვა.

მუხლი 79. პირადი ნივთების დათვალიერება

1. საბაჟო ორგანოს უფლებამოსილ პირს საფუძვლიანი ეჭვის არსებობისას უფლება აქვს, საქართველოს საბაჟო საზღვრის გადამკვეთ, საბაჟო კონტროლის ზონაში მყოფ მგზავრს დათვალიერებისათვის მოსთხოვოს პირადი ნივთების, საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული ვალუტისა და ფასიანი ქაღალდების წარდგენა. მგზავრი ვალდებულია, საბაჟო ორგანოს უფლებამოსილ პირს წარუდგინოს თავისი ბარგი და სატრანსპორტო საშუალება და მისივე მოთხოვნით გახსნას ბარგი. წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში საბაჟო ორგანომ უნდა იმოქმედოს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

2. პირადი ნივთების დათვალიერება უნდა მოხდეს მესაკუთრის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით. თუ პირადი ნივთების (ბარგის) მესაკუთრის დადგენა შეუძლებელია ან მესაკუთრე უარს აცხადებს, დაესწროს დათვალიერებას, საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირის გადაწყვეტილებით პირადი ნივთები (ბარგი) შეიძლება დათვალიერებულ იქნეს მესაკუთრის ან მისი წარმომადგენლის გარეშე.

3. საქართველოს ტერიტორიაზე ნავსადგურში ან აეროპორტში ტრანზიტით შემოსული მგზავრის (რომელიც არ ტოვებს საბაჟო კონტროლის ზონას) პირად ნივთებს საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირი ათვალიერებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ მას აქვს ნივთები, რომელთა ტრანზიტი აკრძალულია ან საჭიროებს ნებართვას ან/და ლიცენზიას.

მუხლი 80. მგზავრის დათვალიერება და შემოწმება

1. თუ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ საქართველოს საბაჟო საზღვრის გადამკვეთი, საბაჟო კონტროლის ზონაში მყოფი მგზავრი სხეულზე ან სხეულში მალავს საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთს, საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირის გადაწყვეტილებით ხდება მგზავრის დათვალიერება. თუ მგზავრს აღმოაჩნდება არადეკლარირებული ნივთი, მისი მოქმედება ჩაითვლება საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის უკანონო გადაადგილებად.

2. მგზავრის დათვალიერებას ახორციელებს საბაჟო ორგანოს იმავე სქესის უფლებამოსილი პირი ცალკე ამისთვის განსაზღვრულ ადგილას და იმავე სქესის მოწმის თანდასწრებით. შესამოწმებელი მგზავრის მოთხოვნით მის დათვალიერებას უნდა დაესწროს

მოწმე, რომელსაც თვითონ აირჩევს იქ მყოფთაგან.

3. მგზავრის შემოწმებამდე საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირი ვალდებულია, წარუდგინოს მას თანამდებობრივი მოწმობა და გააცნოს მგზავრის დათვალიერების წესები.

4. საბაჟო ორგანოს უფლებამოსილ პირს უფლება აქვს:

ა) შეამოწმოს მგზავრი დათვალიერებით;

ბ) სხეულის შიდა ორგანოების დათვალიერების მიზნით გააგზავნოს მგზავრი სამედიცინო დაწესებულებაში საბაჟო ორგანოს უფლებამოსილ პირთან ერთად, თუ მას აქვს ეჭვი, რომ მგზავრი სხეულის შიდა ორგანოებში მალავს საქონელს.

5. წარმოშობილ ეჭვთან დაკავშირებით მგზავრი ვალდებულია, ზუსტად უპასუხოს დასმულ კითხვებს და დამალული საქონლის აღმოსაჩენად შეასრულოს საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირის მოთხოვნები; წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში საბაჟო ორგანომ უნდა იმოქმედოს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით. უცხო ქვეყნის მგზავრი უფლებამოსილია, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით.

მუხლი 81. საფოსტო გზავნილის დათვალიერება

1. უცხო ქვეყნიდან მიღებული საქონლის შემცველი საფოსტო გზავნილის დათვალიერება ხდება მიმღებისათვის გზავნილის გადაცემამდე, საფოსტო მომსახურების გამწევი პირის ადგილსამყოფლის მიხედვით, ხოლო უცხო ქვეყანაში გასაგზავნი საფოსტო გზავნილების დათვალიერება – საფოსტო მომსახურების გამწევი პირის ადგილსამყოფელზე მათი მიღებისთანავე ან მიღების შემდეგ.

2. საფოსტო გზავნილში მოთავსებული საქონელი, რომლის გატანა ან შემოტანა აკრძალულია ან საჭიროებს ნებართვას ან/და ლიცენზიას, მაგრამ საბაჟო ორგანოს არ წარედგინა შესაბამისი ნებართვა ან/და ლიცენზია, უბრუნდება გამომგზავნს მისივე ხარჯებით ან ჩერდება საბაჟო ორგანოში, რის შესახებაც უნდა ეცნობოს საქონლის მიმღებს.

მუხლი 82. საქონლის იდენტიფიკაცია

საბაჟო ორგანო ახორციელებს საქონლის ნიშანდებას მისი შემდგომი იდენტიფიკაციისათვის, თუ ეს აუცილებელია საბაჟო რეჟიმის გამოყენებისას გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებისათვის.

მუხლი 83. საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალებები (ნიშნები)

1. საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალებებია (ნიშნებია) შტამპები, ბეჭდები და ნიშანდების სხვა საშუალებები, რომლებსაც საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირი ადებს საქონელს, სატრანსპორტო საშუალებას ან შენობა-ნაგებობას მათი ხელშეუხებლობის უზრუნველყოფის მიზნით. თითოეულ ობიექტზე შეიძლება საბაჟო იდენტიფიკაციის რამდენიმე საშუალების (ნიშნის) დადება.

2. საბაჟო ორგანოს მიერ საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალებით ნიშანდებული სატრანსპორტო საშუალების ან შენობა-ნაგებობის ან მათში მოთავსებული საქონლის ხელშეუხებლობასა და საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალების (ნიშნის) დაუზიანებლობაზე პასუხისმგებელია სატრანსპორტო საშუალების ან შენობა-ნაგებობის მფლობელი. აკრძალულია საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალების (ნიშნის) მოხსნა/მოცილება საბაჟო ორგანოს თანხმობის გარეშე, გარდა ამ კოდექსის 233-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული ავარიისა და დაუძლეველი ძალის შედეგად წარმოშობილი აუცილებლობისას სატრანსპორტო საშუალებაში ან შენობა-ნაგებობაში შენახული საქონლის ხელშეუხებლობის უზრუნველსაყოფად.

3. საბაჟო ორგანო უფლებამოსილია, აღიაროს საბაჟო იდენტიფიკაციის სხვა საშუალებები, რომლებიც დადგენილია უცხო ქვეყნის საბაჟო ორგანოს ან სხვა უფლებამოსილი

ორგანოს მიერ. ასეთ შემთხვევაში საბაჟო ორგანოს მიერ აღიარებული საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალებები ცვლის საქართველოში დადგენილ საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალებებს (ნიშნებს).

4. საბაჟო ორგანოს უფლება აქვს, მოითხოვოს დაინტერესებული პირის დასწრება საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირის მიერ საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალების (ნიშნის) დადებისას ან/და მოხსნისას/მოცილებისას.

5. საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალება (ნიშანი) ისე უნდა იქნეს დადებული, რომ საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალების (ნიშნის) დაუზიანებლად შეუძლებელი იყოს საქონელთან მისვლა ან კვალის დატოვების გარეშე სატრანსპორტო საშუალებაში ან შენობა-ნაგებობაში უკანონო შეღწევა. საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალება (ნიშანი) იმგვარად უნდა იყოს დადებული, რომ გამოირიცხოს დაუზიანებლად მისი მოხსნა/მოცილება. საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირი ვალდებულია, სპეციალურ დოკუმენტში ან/და საბაჟო დეკლარაციაში გააკეთოს აღნიშვნა თავის მიერ დადებული საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალების (ნიშნის) შესახებ.

6. სატრანსპორტო საშუალების ან შენობა-ნაგებობის მფლობელი ვალდებულია, დაუყოვნებლივ შეატყობინოს საბაჟო ორგანოს დაზიანებული ან დაკარგული საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალების (ნიშნის) თაობაზე და ნიშანდებული სატრანსპორტო საშუალების ან შენობა-ნაგებობის გატეხვის კვალის ან სხვა რაიმე დაზიანების აღმოჩენის შესახებ.

7. საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალებები (ნიშნები), მათი დადებისა და მოხსნის/მოცილების, ნიშანდადებულ შენობა-ნაგებობებთან და სატრანსპორტო საშუალებებთან მოპყრობის წესები განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

მუხლი 84. სახელმწიფო ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო, სახელმწიფო გეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო და სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლი *(29.12.2006 №4256)*

საქართველოს საზღვრებზე, საზღვაო ნავსადგურებში, აეროპორტებში, სახმელეთო გასასვლელებში და საბაჟო გამშვები პუნქტის ტერიტორიაზე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური ახორციელებს:

ა) სახელმწიფო ფიტოსანიტარიულ სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლს „სასოფლო-სამეურნეო კარანტინის შესახებ" და „მავნე ორგანიზმებისაგან მცენარეთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად;

ბ) სახელმწიფო ვეტერინარულ სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლს „სასოფლო-სამეურნეო კარანტინის შესახებ" და „ვეტერინარიის შესახებ" საქართველოს კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად;

გ) სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლს საქართველოს სანიტარიული კოდექსისა და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად.

მუხლი 85. საქონლის გაშვება

1. თუ საბაჟო დეკლარაციის შემოწმების შედეგად არ გამოვლინდა საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის დარღვევები და დადგინდა, რომ შესრულებულია საბაჟო დამუშავების შესაბამისი ოპერაციის პირობები და დაცულია საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის რეგულირებასთან დაკავშირებული შეზღუდვები და აკრძალვები, საქონელი დაუყოვნებლივ გაიშვება, გარდა ამ კოდექსის 86-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2. ერთი საბაჟო დეკლარაციით დეკლარირებული მთელი საქონელი გაშვებული უნდა იქნეს ერთდროულად. თუ ერთი საბაჟო დეკლარაციით დეკლარირებულია რამდენიმე სხვადასხვა სახეობის საქონელი, ამ კარის მიზნებისათვის საქონლის თითოეულ სახეობაზე არსებული მონაცემები განიხილება ცალ-ცალკე დეკლარირებულად.

3. საქონლის გაშვება არ გამორიცხავს საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მისი ყოფნის ვადის გაგრძელებას, თუ ეს გათვალისწინებულია საქონლის მიმართ საბაჟო რეჟიმის მარეგულირებელი საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით.

მუხლი 86. საქონლის გაშვება საბაჟო ვალდებულების არსებობისას

1. თუ საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის შედეგად წარმოიშობა საბაჟო ვალდებულება, დეკლარირებული საქონელი გაიშვება საბაჟო გადასახდელების გადახდის ვალდებულების ან ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში საბაჟო ვალდებულების უზრუნველყოფის გარანტიის წარდგენისას.

2. თუ საგარანტიო უზრუნველყოფა გათვალისწინებულია საქონლის მიმართ საბაჟო რეჟიმის მარეგულირებელი საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით, შესაბამის საბაჟო რეჟიმში საქონლის მოქცევა დასაშვებია მხოლოდ გარანტიის წარდგენის შემდეგ.

მუხლი 87. საბაჟო ორგანოს მიერ საქონლის განკარგვა

1. ამ მუხლის მე-2 ნაწილის გათვალისწინებით, საბაჟო ორგანოს მიერ საქონლის განკარგვის ნებისმიერი ღონისძიება (მათ შორის, საბაჟო სამართალდარღვევის საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების ჩამორთმევა, რეალიზაცია, საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ განადგურება ან უსასყიდლოდ გადაცემა) განხორციელდება იმ საქონლის მიმართ:

ა) რომლის გაშვება არ შეიძლება, რადგან დეკლარანტის მიზეზით შეუძლებელია დადგენილ ვადაში საბაჟო პროცედურების განხორციელება (საბაჟო დამუშავების ოპერაციის სახის განსაზღვრა) ან არ იქნა გადახდილი იმპორტის ან ექსპორტის გადასახდელები ან/და არ იქნა წარდგენილი საგარანტიო უზრუნველყოფა;

ბ) რომლის საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანა და საქართველოს ტერიტორიიდან გატანა აკრძალულია ან შეზღუდულია;

გ) რომელიც გაშვებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში არ იქნა გატანილი საბაჟო კონტროლის ზონიდან.

2. საბაჟო ორგანო წერილობით აცნობებს დეკლარანტს საქონლის განკარგვის შესახებ თავისი განზრახვის თაობაზე და ადგენს ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული ნაკლოვანებების აღმოფხვრის ვადას, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 30 კალენდარულ დღეს. დადგენილ ვადაში დეკლარანტის მიერ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ან საქონლის რეექსპორტის შემთხვევაში საბაჟო ორგანო არ ახორციელებს საქონლის განკარგვას.

მუხლი 88. გამარტივებული საბაჟო დეკლარაცია

1. საბაჟო პროცედურების გამარტივების მიზნით საბაჟო ორგანო უფლებამოსილია, შესაბამისი წერილობითი განცხადების საფუძველზე ნება დართოს დეკლარანტს, წარადგინოს გამარტივებული საბაჟო დეკლარაცია.

2. გამარტივებული საბაჟო დეკლარაციის სახეებს, წარდგენის შემთხვევებსა და წესებს განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა.

მუხლი 89. სხვა საშუალებით წარდგენილი საბაჟო დეკლარაციები

1. მონაცემთა ბაზის ელექტრონული დამუშავების სისტემის გამოყენებით, ზეპირი დეკლარირებით ან სხვა მოქმედებების განხორციელებით საბაჟო დეკლარაციის წარდგენისას დაცული უნდა იქნეს ამ კოდექსის 68-ე–88-ე მუხლების დებულებების მოთხოვნები.

2. მონაცემთა ბაზის ელექტრონული დამუშავების სისტემის გამოყენებით საბაჟო დეკლარაციის წარდგენისას არ მოითხოვება დეკლარაციაზე იმ დოკუმენტების დართვა, რომლებიც განსაზღვრულია შესაბამისი საბაჟო რეჟიმის გამოყენებისათვის, თუ ისინი წარდგენილ იქნა ელექტრონული ფორმით. აღნიშნული დოკუმენტები უნდა ინახებოდეს დეკლარან-

ტთან ამ კოდექსის მე-17 მუხლით დადგენილ ვადაში და მოთხოვნისთანავე უნდა იქნეს წარდგენილი საბაჟო ორგანოში.

3. მონაცემთა ბაზის ელექტრონული დამუშავების სისტემის გამოყენებით, ზეპირი დეკლარირებით ან სხვა მოქმედებების განხორციელებით საბაჟო დეკლარაციის წარდგენის წესები განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

მუხლი 90. მგზავრის საბაჟო დეკლარაცია

1. საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას მგზავრი, რომელსაც აქვს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 270[5] მუხლის „ლ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დაუბეგრავ რაოდენობასა და ღირებულებაზე მეტი საქონელი, ვალდებულია წარადგინოს მგზავრის საბაჟო დეკლარაცია, თუ საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. დანიშნულების საბაჟო ორგანოში დაგეგიანებით წარდგენილი პირადი ნივთები (ბარგი) საქართველოში შემოტანისას განიხილება, როგორც მგზავრთან ერთად გადაადგილებული პირადი ნივთები (ბარგი). *(29.12.2006 N4247)*

2. პირადი ნივთები არ ექვემდებარება დეკლარირებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მათი შემოტანა-გატანისათვის საჭიროა ნებართვა ან/და ლიცენზია ან/და მათი რაოდენობა და ღირებულება აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 270[5] მუხლის „ლ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დაუბეგრავ რაოდენობასა და ღირებულებას. *(29.12.2006 N4247)*

3. პირად ნივთებზე, რომელთა შემოტანა-გატანისათვის საჭიროა ნებართვა ან/და ლიცენზია, წარდგენილი უნდა იქნეს მგზავრის საბაჟო დეკლარაცია.

4. მგზავრი, რომელსაც საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას თან არა აქვს დეკლარირებას დაქვემდებარებული საქონელი, საბაჟო კონტროლის ზონაში შესვლისას საქონლის დეკლარირებას ახდენს ზეპირად ან სხვა მოქმედებით საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად.

5. მგზავრის წერილობითი განცხადების საფუძველზე საბაჟო ორგანო უფლებამოსილია, საქონელი შეინახოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო საწყობში 20 კალენდარული დღის განმავლობაში. მგზავრის დასაბუთებული წერილობითი განცხადების შესაბამისად საბაჟო ორგანო უფლებამოსილია, აღნიშნული ვადა გააგრძელოს 10 კალენდარულ დღემდე. *(29.12.2006 N4256)*

6. თუ ამ მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებულ ვადაში მგზავრის მიზეზით ვერ განხორციელდა საქონლის საბაჟო დამუშავების ოპერაციის სახის განსაზღვრისათვის აუცილებელი პროცედურები, საქონლის მიმართ გამოიყენება ამ კოდექსის 110-ე მუხლის დებულებები.

7. მგზავრის პირადი ნივთების საბაჟო საზღვარზე გადატანის/ გადმოტანის წესი, აგრეთვე მგზავრის საბაჟო დეკლარაციის ფორმა და შევსების წესი განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

მუხლი 91. საფოსტო გზავნილის დეკლარაცია

1. თუ საქართველოდან გასაგზავნი საქონელი მოთავსებულია საერთაშორისო საფოსტო გზავნილში, გამგზავნი ავსებს საფოსტო გზავნილის დეკლარაციას, რომელიც უნდა დაერთოს საფოსტო გზავნილს.

2. თუ უცხო ქვეყნიდან მიღებულ საფოსტო გზავნილში საქონლის რაოდენობა და ღირებულება აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 270[5] მუხლის „ლ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დაუბეგრავ რაოდენობასა და ღირებულებას, გზავნილის მიმღები, საფოსტო გზავნილის დეკლარაციასთან ერთად, წარადგენს საბაჟო დეკლარაციას. *(29.12.2006 N4247)*

3. საფოსტო გზავნილის დეკლარაციის ფორმა და შევსების წესი განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

მუხლი 92. საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქმიანობის შემოწმება

1. საბაჟო ორგანო თავისი კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად, უფლებამოსილია დანიშნოს და მოახდინოს იმ პირის საქმიანობის შემოწმება, რომელიც ახორციელებს საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებულ საქმიანობას.

2. საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქმიანობის შემოწმებას და საბაჟო გადასახდელების ადმინისტრირებას საბაჟო ორგანო ახორციელებს საქართველოს საგადასახადო კოდექსის IV–VI კარებით დადგენილი წესების შესაბამისად.

3. საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქმიანობის შემოწმებისას საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირის მოქმედებამ არამართლზომიერი ზიანი არ უნდა მიაყენოს ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნულ პირს, რომელსაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს შემოწმების შედეგები.

4. ამ მუხლის მიზნებისათვის საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებულ საქმიანობად ითვლება:

ა) საბაჟო პროცედურების განმახორციელებელი დეკლარანტის ან/და ვალდებული პირის საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული სამეწარმეო საქმიანობა;

ბ) საბაჟო ორგანოს მიერ გაცემული ლიცენზიის/ნებართვის მფლობელის სამეწარმეო საქმიანობა, რომელიც გათვალისწინებულია ამ ლიცენზიით/ნებართვით.

თავი XV. საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება (იმპორტი)

მუხლი 93. საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების (იმპორტის) საბაჟო რეჟიმის გამოყენება

1. თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისას საქონელს ენიჭება საქართველოს საქონლის საბაჟო სტატუსი. საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისას გამოიყენება სავაჭრო პოლიტიკის ღონისძიებები, ხორციელდება მისი შემოტანისას გათვალისწინებული საბაჟო პროცედურები და გადაიხდევინება საბაჟო გადასახდელები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2. საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების (იმპორტის) საბაჟო რეჟიმის გამოყენების წესები განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

მუხლი 94. საბაჟო გადასახდელის შეღავათიანი განაკვეთის ან/და საბაჟო შეღავათების (პრეფერენციების) გამოყენება

1. დეკლარანტი უფლებამოსილია, მოითხოვოს საბაჟო გადასახდელის შეღავათიანი განაკვეთის ან/და საბაჟო შეღავათების (პრეფერენციების) გამოყენება, თუ:

ა) ამას ითვალისწინებს საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღეს მოქმედი საქართველოს საბაჟო კანონმდებლობა;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით საბაჟო გადასახდელის განაკვეთი შემცირდა საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის შემდეგ, მაგრამ არა უგვიანეს საქონლის გაშვებისა;

გ) საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების (იმპორტის) საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონლის გაშვების შემდეგ საბაჟო ორგანოში იგი წარადგენს წარმოშობის სერტიფიკატს, რაც ითვალისწინებს საბაჟო გადასახდელის შეღავათიანი განაკვეთის ან/და საბაჟო შეღავათების (პრეფერენციების) გამოყენებას.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილის „ბ" ქვეპუნქტის დებულება არ გამოიყენება, თუ საქონლის გაშვება არ განხორციელებულა მხოლოდ დეკლარანტის მიზეზით ან მისი უმოქმედობის გამო.

მუხლი 95. საქონლის მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენებასთან დაკავშირებული გამონაკლისები

1. თუ საქონელი მიზნობრივი დანიშნულებით და იმპორტის გადასახდელებზე შეღავათების გამოყენებით გაშვებულია თავისუფალ მიმოქცევაში, იგი რჩება საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ. საბაჟო ზედამხედველობა დასრულდება, თუ:

ა) შესრულდება მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პირობა;

ბ) საქონელი დეკლარირებული იქნება საქონლის ექსპორტის საბაჟო რეჟიმში გამოსაყენებლად;

გ) საქონელი განადგურდება საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ ამ კოდექსის 167-ე მუხლის შესაბამისად;

დ) საქონელი გამოყენებული იქნება სხვა მიზნობრივი დანიშნულებით.

2. მიზნობრივი დანიშნულებით და იმპორტის გადასახდელებზე შეღავათების გამოყენებით თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებულ საქონელზე საბაჟო ზედამხედველობის დასრულების წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

მუხლი 96. საქონლისათვის საქართველოს საქონლის საბაჟო სტატუსის ჩამორთმევა

1. თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებულ საქონელს ჩამოერთმევა საქართველოს საქონლის საბაჟო სტატუსი, თუ მისი გაშვების შემდეგ საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების საბაჟო დეკლარაცია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში ცნობილია ბათილად, აღიარებულია არარად ან გამოცხადებულია ძალადაკარგულად.

2. თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებულ საქონელს ჩამოერთმევა საქართველოს საქონლის საბაჟო სტატუსი, თუ იგი მოექცევა საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში.

თავი XVI. საქონლის ტრანზიტი

მუხლი 97. საქონლის ტრანზიტის საბაჟო რეჟიმის გამოყენება

1. საქონლის ტრანზიტის საბაჟო რეჟიმი საშუალებას იძლევა, უცხოური საქონელი სხვა ქვეყნებს შორის ან ერთი ქვეყნის ტერიტორიულ ერთეულებს შორის გადაადგილდეს საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გავლით მის მიმართ იმპორტის გადასახდელების გადახდისა და არასატარიფო ღონისძიებების გატარების გარეშე.

2. საქონლის ტრანზიტის საბაჟო რეჟიმის შესაბამისად საქონლის გადატანა ხორციელდება:

ა) TIR-ის (საერთაშორისო საგზაო გადაზიდვების) დოკუმენტის საფუძველზე;

ბ) ფოსტით, საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტების საფუძველზე;

გ) სატრანსპორტო ზედდებულის, საჰაერო, სარკინიგზო და საზღვაო ტრანსპორტით გადაზიდვის შემთხვევაში, აგრეთვე სხვა დოკუმენტის საფუძველზე, რომელიც გამოიყენება შემდგომი გადაზიდვისათვის ან/და შეიცავს საქონლის და სატრანსპორტო საშუალების იდენტიფიკაციისათვის საჭირო მონაცემებს;

დ) სხვა დოკუმენტებით, საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დადგენილ შემთხვევებში და დადგენილი ფორმით.

3. საქონლის ტრანზიტი შეიძლება განხორციელდეს ნებისმიერი მიმართულებითა და მარშრუტით, თუ უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების მიერ სხვა რამ არ არის

დადგენილი.

4. საქონლის ტრანზიტის საბაჟო რეჟიმში შეიძლება მოექცეს ის უცხოური საქონელი, რომლის ტრანზიტი საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე არ არის აკრძალული.

5. საქონელი, რომელიც გადაიტანება საქონლის ტრანზიტის საბაჟო რეჟიმის შესაბამისად, უნდა დარჩეს უცვლელ მდგომარეობაში, გარდა იმ ცვლილებებისა, რომლებიც გამოწვეულია ბუნებრიეი ცვეთით, ტრანსპორტირებით ან შენახვის ნორმალური პირობებისათვის ბუნებრიეი დანაკარგებით, და არ უნდა იქნეს გამოყენებული სხვა მიზნით, გარდა ტრანზიტისა.

6. გაგზავნის საბაჟო ორგანოდ მიჩნეულია საქართველოს საბაჟო ტერიტორიის ადგილი, საიდანაც იწყება სატრანზიტო გადაზიდვა, ხოლო დანიშნულების საბაჟო ორგანოდ – საქართველოს საბაჟო ტერიტორიის ადგილი, სადაც მთავრდება სატრანზიტო გადაზიდვა.

7. საქონლის ტრანზიტის საბაჟო რეჟიმის გამოყენების წესები განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

მუხლი 98. დეკლარანტის ან/და საქონლის გადამზიდველის ვალდებულება

1. დეკლარანტი ორგანიზებას უწევს საქონლის სატრანზიტო გადაზიდვას გაგზავნის საბაჟო ორგანოდან დანიშნულების საბაჟო ორგანომდე.

2. დეკლარანტი ან/და საქონლის გადამზიდველი ვალდებულია:

ა) დანიშნულების საბაჟო ორგანოში დადგენილ ვადაში და უცვლელ მდგომარეობაში წარადგინოს საქონელი საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალებების (ნიშნების) დაუზიანებლად და თანმხლები დოკუმენტები;

ბ) წარადგინოს გარანტიები საქონელთან დაკავშირებით წარმოსაშობი საბაჟო ვალდებულების დაფარვის უზრუნველყოფის მიზნით;

გ) შეასრულოს საქონლის ტრანზიტის საბაჟო რეჟიმთან დაკავშირებული სხვა ვალდებულებები.

3. საქონლის ტრანზიტის საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონლის გადამზიდველი ან სხვა პირი, რომელსაც საქონელი გადაეცა საბაჟო ორგანოსაგან შეთანხმებით, ვალდებულია, დანიშნულების საბაჟო ორგანოში დადგენილ ვადაში და უცვლელ მდგომარეობაში წარადგინოს საქონელი საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალებების (ნიშნების) დაუზიანებლად და თანმხლები დოკუმენტები.

მუხლი 99. გარანტიის წარდგენა

1. სატრანზიტო გადაზიდვებთან დაკავშირებული საბაჟო ვალდებულების დაფარვის უზრუნველყოფის მიზნით, დეკლარანტი ან/და საქონლის გადამზიდველი ვალდებულია, გაგზავნის საბაჟო ორგანოს წარუდგინოს გარანტია, რომლის ოდენობა განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

2. გარანტია შეიძლება იყოს:

ა) ინდივიდუალური, ცალკეული სატრანზიტო გადაზიდვისათვის;

ბ) საერთო, რამდენიმე სატრანზიტო გადაზიდვისათვის.

მუხლი 100. გარანტიის წარდგენისაგან განთავისუფლება

1. საბაჟო ვალდებულების დაფარვის უზრუნველსაყოფად გარანტიის წარდგენა სავალდებულო არ არის, თუ საქონელი გადაადგილდება:

ა) საჰაერო ან საზღვაო ტრანსპორტით;

ბ) მილსადენით ან ელექტროგადამცემი ხაზებით;

გ) სარკინიგზო ტრანსპორტით.

2. გარანტიის წარდგენისაგან განთავისუფლების სხვა შემთხვევები, ამ მუხლის პირველი

ნაწილით გათვალისწინებულის გარდა, განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

მუხლი 101. სატრანზიტო გადაზიდვის დასრულება და საქონლის ტრანზიტის საბაჟო რეჟიმის შეწყვეტა

1. გაგზავნის საბაჟო ორგანოდან ტრანზიტის საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონელი და ყველა აუცილებელი დოკუმენტი დანიშნულების საბაჟო ორგანოს უნდა წარედგინოს გაგზავნის საბაჟო ორგანოს მიერ სატრანსპორტო საშუალების ტექნიკური მახასიათებლების, განსაზღვრული საბაჟო მარშრუტისა და გადაზიდვის სხვა პირობების გათვალისწინებით დადგენილ ვადაში, მაგრამ არა უმეტეს 10 დღისა.

2. სატრანზიტო გადაზიდვა დასრულებულად ჩაითვლება, თუ გაგზავნისა და დანიშნულების საბაჟო ორგანოებში არსებული მონაცემების შედარებით საბაჟო ორგანო დარწმუნდება, რომ სატრანზიტო გადაზიდვა განხორციელდა საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის დაცვით.

3. საქონლის ტრანზიტის საბაჟო რეჟიმის გამოყენება შეწყდება, თუ:

ა) საქონლის ტრანზიტის საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონელი გადაკვეთს საქართველოს საბაჟო საზღვარს;

ბ) საქონლის ტრანზიტის საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონლის მიმართ განისაზღვრება ახალი საბაჟო დამუშავების ოპერაცია.

4. თუ წარმოდგენილი არ იქნება მტკიცებულებები ამ კოდექსით გაუთვალისწინებელი წესით განხორციელებული საქონლის ტრანზიტის საბაჟო რეჟიმის შეწყვეტის შესახებ, საბაჟო ორგანო ატარებს სათანადო ღონისძიებებს საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის დაცვის მიზნით.

თავი XVII. საბაჟო საწყობში საქონლის შენახვა

მუხლი 102. საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის საბაჟო რეჟიმის გამოყენება

1. საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის საბაჟო რეჟიმი საშუალებას იძლევა, საბაჟო საწყობში შენახვის მიზნით მოთავსდეს:

ა) უცხოური საქონელი იმპორტის გადასახდელების (გარდა საბაჟო მოსაკრებლების) გადახდისა და არასატარიფო ღონისძიებების გატარების გარეშე;

ბ) საქართველოს საქონელი, თუ საბაჟო საწყობში მისი შენახვის მიზანია მისი საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ გატანა.

2. საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონელი შესაძლებელია შენახულ იქნეს საბაჟო საწყობის გარეთ სხვა ადგილას.

3. საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის საბაჟო რეჟიმის გამოყენების წესები განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

მუხლი 103. საბაჟო საწყობის სახეები, საბაჟო საწყობის მფლობელი და მომთაგსებელი

1. საბაჟო საწყობი არის საბაჟო კონტროლის ზონა, სადაც საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად შეიძლება მოთავსდეს საქონელი და რომლის საქმიანობისათვის სავალდებულოა შესაბამისი ორგანოს მიერ გაცემული საბაჟო საწყობის საქმიანობის ნებართვა.

2. საბაჟო საწყობი შეიძლება იყოს ღია, დროებითი შენახვის ღია, დახურული ან დროებითი შენახვის დახურული; კერძოდ, საბაჟო საწყობი:

ა) ღიაა – სადაც საქმიანობას ახორციელებს ნებისმიერი პირი, საბაჟო საწყობში

საქონლის შენახვის საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონლის შესანახად;

ბ) დროებითი შენახვის ღია – სადაც საქმიანობას ახორციელებს ნებისმიერი პირი საბაჟო დამუშავების ოპერაციის სახის განსაზღვრამდე საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალებების დროებით შესანახად;

გ) დახურულია – სადაც საქმიანობას ახორციელებს მხოლოდ ნებართვის მფლობელი ან მხოლოდ ერთი პირი, საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონლის შესანახად;

დ) დროებითი შენახვის დახურულია – სადაც საქმიანობას ახორციელებს მხოლოდ ნებართვის მფლობელი ან მხოლოდ ერთი პირი საბაჟო დამუშავების ოპერაციის სახის განსაზღვრამდე საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალებების დროებით შესანახად.

3. საბაჟო საწყობის მფლობელი შეიძლება იყოს საქართველოს საწარმო ან მეწარმე ფიზიკური პირი ან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური. *(29.12.2006 N4256)*

4. მომთავსებელი არის პირი, რომელიც საქონელს ინახავს საბაჟო საწყობში და რომელსაც დაეკისრა შესაბამისი ვალდებულებები, ან რომელსაც გადაეცა შესაბამისი დეკლარირების განმახორციელებელი პირის უფლებები და ვალდებულებები.

მუხლი 104. საბაჟო საწყობის საქმიანობის ნებართვა

1. საბაჟო საწყობის საქმიანობის ნებართვას გასცემს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური. თუ შემოსავლების სამსახური თვითონ არის საბაჟო საწყობის მფლობელი, საბაჟო საწყობის საქმიანობის ნებართვა საჭირო არ არის. *(29.12.2006 N4256)*

2. საბაჟო საწყობისათვის გათვალისწინებულ, ტერიტორიულად განცალკევებულ თითოეულ შენობაზე ან/და ტერიტორიულად განცალკევებულ თითოეულ ღია მოედანზე გაიცემა ცალკე ნებართვა.

3. „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, საბაჟო საწყობის საქმიანობის ნებართვას 3 წლის ვადით გასცემს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური. საბაჟო საწყობის საქმიანობის ნებართვის მისაღებად, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი პირობების გარდა, საჭიროა: *(29.12.2006 N4256)*

ა) საბაჟო საწყობი აკმაყოფილებდეს საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. საბაჟო საწყობის ტექნიკური და უსაფრთხოების მოთხოვნები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით;

ბ) ნებართვის მაძიებლის საკუთრებაში ან არანაკლებ 3 წლის ვადით დადებული საიჯარო ხელშეკრულებით მის მფლობელობაში არსებობდეს საბაჟო საწყობისათვის განკუთვნილი მიწის ნაკვეთი და შენობა-ნაგებობა;

გ) წარდგენილ იქნეს საბაჟო გარანტია, რომლის ოდენობა განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით;

დ) ნებართვის მაძიებელს არ ჰქონდეს საგადასახადო ან/და საბაჟო დავალიანება.

მუხლი 105. საბაჟო საწყობის მფლობელის ვალდებულებები

1. საბაჟო საწყობის მფლობელი ვალდებულია:

ა) არ დაუშვას საბაჟო საწყობში შენახვის საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონლის გადაადგილება საბაჟო ორგანოსთან შეუთანხმებლად;

ბ) გაატაროს ის ღონისძიებები, რომლებიც გათვალისწინებულია საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის საბაჟო რეჟიმის მარეგულირებელი საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით;

გ) აწარმოოს საბაჟო საწყობში შენახული საქონლის აღრიცხვა და განახორციელოს

ყოველკვარტალური ანგარიშგება, რისთვისაც კვარტალის დასრულებიდან 15 დღის ვადაში საბაჟო ორგანოს წარუდგენს ანგარიშს აღნიშნულ პერიოდში საბაჟო საწყობში წარმოებული ყველა ოპერაციის თაობაზე;

დ) უზრუნველყოს საქონლის დაცვა და ხელი შეუწყოს საბაჟო კონტროლის განხორციელებას, რისთვისაც საბაჟო ორგანოს საბაჟო საწყობში უსასყიდლოდ უნდა გამოუყოს საბაჟო კონტროლისა და საბაჟო პროცედურებისათვის აუცილებელი სათავსი, მოწყობილობები და კავშირგაბმულობის საშუალებები;

ე) განახორციელოს საბაჟო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფა საბაჟო საწყობის საქმიანობის მთელი ვადის განმავლობაში;

ვ) გადაიხადოს საბაჟო გადასახდელები ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

2. საბაჟო ორგანოსთან შეუთანხმებლად საბაჟო საწყობიდან საქონლის გატანის ან საქონლის დაკარგვის შემთხვევაში საბაჟო გადასახდელების გადახდის ვალდებულება ეკისრება საბაჟო საწყობის მფლობელს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საქონლის განადგურება ან დანაკლისი გამოწვეულია ამ კოდექსის 233-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული ავარიისა და დაუძლეველი ძალის მოქმედებით ან შენახვის ნორმალური პირობებისათვის ბუნებრივი დანაკარგებით.

მუხლი 106. მომთავსებლის ვალდებულება

1. მომთავსებელი ვალდებულია შეასრულოს საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის საბაჟო რეჟიმში საქონლის მოქცევასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

2. ურთიერთობა საბაჟო საწყობის მფლობელსა და მომთავსებელს შორის რეგულირდება ხელშეკრულებით.

მუხლი 107. საქონლის შენახვა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო საწყობში *(29.12.2006 N4256)*

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო საწყობი ღია სახისაა.

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო საწყობში საქონლის შენახვისას საბაჟო ორგანოსა და მომთავსებელს შორის წარმოშობილი ურთიერთობები, მათი უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობა რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსითა და ამ კოდექსით.

მუხლი 108. საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონლის აღრიცხვა

საბაჟო საწყობის მფლობელმა საბაჟო საწყობში საქონლის მიტანის მომენტიდან უნდა აწარმოოს საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონლის აღრიცხვა საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული ფორმით.

მუხლი 109. საბაჟო საწყობში საქონლის შენახვა და გადამუშავება საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის საბაჟო რეჟიმში მოქცევის გარეშე

1. საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში საბაჟო ორგანომ შესაძლებელია გასცეს თანხმობა:

ა) საქართველოს საქონლის საბაჟო საწყობში შენახვაზე, გარდა ამ კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა;

ბ) საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოქცეული უცხოური საქონლის საბაჟო საწყობში გადამუშავებაზე ამ რეჟიმით

განსაზღვრული პირობებისა და იმ სპეციალური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ასეთი შემთხვევებისათვის გათვალისწინებულია საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ შემთხვევებში საქონელი არ ჩაითვლება საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის საბაჟო რეჟიმში მოქცეულად.

3. საბაჟო ორგანო უფლებამოსილია, მოითხოვოს ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული საქონლის აღრიცხვა ამ კოდექსის 108-ე მუხლის შესაბამისად.

მუხლი 110. საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის ვადები

1. საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონლის შენახვის ვადა არ არის შეზღუდული, გარდა ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა.

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ განსაზღვრულ შემთხვევებში საბაჟო ორგანო უფლებამოსილია, მომთაესებელს განუსაზღვროს ვადა, რომლის განმავლობაშიც მან უნდა შეარჩიოს საქონლის საბაჟო დაშუშავების ახალი ოპერაცია. ეს ვადა აითვლება საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის საბაჟო რეჟიმში საქონლის მოქცევის დღიდან.

3. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შეუძლია ამ კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ" ქვეპუნქტში აღნიშნული საქართველოს საქონლის ცალკეული სახეობის საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის საბაჟო რეჟიმში შენახვისათვის განსაზღვროს კონკრეტული ვადები.

4. საქონლის შენახვის ფაქტობრივ ვადას ამ მუხლით გათვალისწინებული ვადის ფარგლებში განსაზღვრავს მომთაესებელი და მიუთითებს საბაჟო დეკლარაციაში. საბაჟო ორგანოს მიერ შენახვის ფაქტობრივი ვადის გაგრძელება დაიშვება მომთაესებლის მოტივირებული განცხადების საფუძველზე, ამ მუხლის მოთხოვნების გათვალისწინებით.

მუხლი 111. საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონლის მიმართ დასაშვები ქმედებები

1. საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონლის მიმართ დასაშვები ქმედებების ნუსხა და განხორციელების წესი განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

2. საბაჟო საწყობში შენახულ საქონელზე დასაშვებია საკუთრების უფლების გადაცემა.

მუხლი 112. საბაჟო საწყობიდან საქონლის დროებითი გატანა და სხვა საბაჟო საწყობში გადატანა

1. განსაკუთრებულ შემთხვევებში და საბაჟო ორგანოსთან შეთანხმებით შესაძლებელია, საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონელი დროებით გატანილ იქნეს საბაჟო საწყობიდან ან/და გადატანილ იქნეს სხვა საბაჟო საწყობში.

2. საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონლის საბაჟო საწყობიდან დროებითი გატანისა და სხვა საბაჟო საწყობში გადატანის პირობები განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

მუხლი 113. საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის საბაჟო რეჟიმის დასრულება

1. საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის ვადის გასვლამდე ამ კოდექსით დადგენილი მოთხოვნების დაცვით ხდება საქონლის მიმართ განსახორციელებელი საბაჟო დამუშავების ოპერაციის შერჩევა. შენახვის ვადის გასვლის შემდეგ საქონლის განკარგვა ხორციელდება ამ კოდექსის 167-ე და 168-ე მუხლების შესაბამისად.

2. საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონლის საქართველოს ტერიტორიაზე ყოფნის ვადის გაანგარიშებისას არ ჩაითვლება დროის ის მონაკვეთი, რომლის განმავლობაშიც ეს საქონელი იმყოფებოდა საბაჟო საწყობში.

მუხლი 114. საბაჟო კონტროლის ზონაში მდებარე და მგზავრების მომსახურებისათვის განკუთვნილი უბაჟო ვაჭრობის პუნქტი

1. მგზავრების მომსახურებისათვის განკუთვნილი უბაჟო ვაჭრობის პუნქტის საქმიანობა (უბაჟო საცალო ვაჭრობა მგზავრებისათვის, რომლებიც ტოვებენ საქართველოს საბაჟო ტერიტორიას) საბაჟო კონტროლის ზონაში (აეროპორტში, ნავსადგურსა და სხვა ადგილებში, რომლებიც ღიაა საერთაშორისო მიმოსვლისათვის) ნებადართულია საქონლის მიმართ საბაჟო პოლიტიკის სატარიფო ღონისძიებების გატარების გარეშე.

2. უბაჟო ვაჭრობის პუნქტში შეიძლება გაიყიდოს წებისმიერი საქონელი, გარდა იმ საქონლისა, რომლის საქართველოში შემოტანა, საქართველოდან გატანა ან საქართველოს ტერიტორიაზე გაყიდვა აკრძალულია.

3. საქონელი, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე გაყიდვა შეზღუდულია, შეიძლება გაიყიდოს უბაჟო ვაჭრობის პუნქტში მხოლოდ იმ პირობით, თუ დაცული იქნება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები.

4. „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, უბაჟო ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვას 3 წლის ვადით გასცემს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური. ეს ნებართვა შეიძლება გაიცეს მხოლოდ საქართველოს საწარმოზე ან მეწარმე ფიზიკურ პირზე. *(29.12.2006 N4256)*

5. უბაჟო ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვის მისაღებად, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი პირობების გარდა, საჭიროა:

ა) ნებართვის მაძიებელს არ ჰქონდეს საგადასახადო ან/და საბაჟო დავალიანება;

ბ) ნებართვის მაძიებელმა წარადგინოს გარანტია, რომლის თანხა არ უნდა იყოს 50 000 ევროს ეკვივალენტ ლარზე ნაკლები;

გ) ნებართვის მაძიებელმა წარადგინოს უბაჟო ვაჭრობის პუნქტისათვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობის საკუთრების ან შესაბამისი მფლობელობის უფლების დამადასტურებელი საბუთები და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.

6. უბაჟო ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვის მფლობელი ვალდებულია:

ა) აწარმოოს საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის მიმართ განხორციელებული ოპერაციების აღრიცხვის ჟურნალი და მოთხოვნისთანავე წარუდგინოს იგი საბაჟო ორგანოს;

ბ) განახორციელოს ყოველკვარტალური ანგარიშგება, რისთვისაც კვარტალის დასრულებიდან 15 დღის ვადაში საბაჟო ორგანოს წარუდგენს ანგარიშს აღნიშნულ პერიოდში უბაჟო ვაჭრობის პუნქტში წარმოებული ყველა ოპერაციის შესახებ;

გ) განახორციელოს უბაჟო ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის საგარანტიო უზრუნველყოფა თავისი საქმიანობის მთელი ვადის განმავლობაში;

დ) შეასრულოს საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები.

7. უბაჟო ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის წესი განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

თავი XVIII. საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავება

მუხლი 115. საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმის გამოყენება

1. თუ ამ კოდექსის 116-ე მუხლით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმი საშუალებას იძლევა, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე გამოყენებულ იქნეს საქონლის გადამუშავების ერთი ან ერთზე მეტი ოპერაცია:

ა) უცხოური საქონლის მიმართ, რომლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას არ გადაიხდევინება იმპორტის გადასახდელები (გარდა საბაჟო მოსაკრებლისა)

და არ ტარდება საეაჭრო პოლიტიკის ღონისძიებები, ხოლო მისგან მიღებული გადამუშავების პროდუქტის საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანისას არ გადაიხდევინება ექსპორტის გადასახდელები და არ ტარდება საეაჭრო პოლიტიკის ღონისძიებები;

ბ) თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებული საქონლის მიმართ, რომელზედაც გადახდილი იმპორტის გადასახდელები (გარდა საბაჟო მოსაკრებლისა) უნდა დაექვემდებაროს დაბრუნებას ან ჩათვლას, თუ გადახდილი იმპორტის გადასახდელები (გარდა საბაჟო მოსაკრებლისა) დაბრუნებული ან ჩათვლილი არ არის და მისგან მიღებული გადამუშავების პროდუქტი გაიტანება საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან;

გ) უცხოური საქონლის მიმართ, რომლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას არ გადაიხდევინება იმპორტის გადასახდელები (გარდა საბაჟო მოსაკრებლისა) და არ ტარდება საეაჭრო პოლიტიკის ღონისძიებები, ხოლო მისგან მიღებული გადამუშავების პროდუქტის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისას გადაიხდევინება იმპორტის გადასახდელები და ტარდება საეაჭრო პოლიტიკის ღონისძიებები.

2. საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმის გამოყენების წესები განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

მუხლი 116. ეკვივალენტური საქონლის გამოყენება

1. საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში დეკლარირებული შემოსატანი საქონელი საბაჟო ორგანოს თანხმობით შესაძლებელია შეიცვალოს საქართველოს საქონლით, თუ მისი აღწერილობა, ხარისხი, ტექნიკური მახასიათებლები და საბაჟო ღირებულება შეესაბამება საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში დეკლარირებული შემოსატანი საქონლის შესაბამის მონაცემებს.

2. ეკვივალენტური საქონლის გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქტი, ნაშთები ან/და ნარჩენები განიხილება, როგორც ამ თავის დებულებათა შესაბამისად საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში დეკლარირებული შემოტანილი საქონლის გადამუშავების პროდუქტი, ნაშთები ან/და ნარჩენები.

3. ამ კოდექსის მიზნებისათვის ეკვივალენტურ საქონელს აქვს უცხოური საქონლის საბაჟო სტატუსი, ხოლო შემოტანილ საქონელს – საქართველოს საქონლის საბაჟო სტატუსი.

4. ეკვივალენტური საქონლისაგან მიღებული გადამუშავების პროდუქტის, ნაშთების ან/და ნარჩენების საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანა ან თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება შესაძლებელია მხოლოდ საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში დეკლარირებული შემოსატანი საქონლის საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანამდე. ასეთი საქონლის შემოტანის ვადებს ადგენს საბაჟო ორგანო.

მუხლი 117. საქონლის იდენტიფიკაცია გადამუშავების პროდუქტებში

1. საქონლისა და განხორციელებული გადამუშავების ოპერაციების გათვალისწინებით გადამუშავების პროდუქტებში საქონლის იდენტიფიკაციისათვის დეკლარანტმა შესაძლებელია გამოიყენოს შემდეგი საშუალებები:

ა) საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოსაქცევი საქონლის მონიშვნა შტამპით, ციფრული ან სხვაგვარი მარკირებით;

ბ) საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოსაქცევი საქონლის დაწვრილებითი აღწერა, მისი ფოტოგადაღება, მასშტაბურად გამოსახვა;

გ) საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოსაქცევი საქონლისა და მისი გადამუშავების პროდუქტის სინჯის ან/და ნიმუშის გამოკვლევის ან ანალიზის შედეგების შედარება;

დ) საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოსაქცევ საქონელზე მწარმოებლის მიერ დატანილი სერიული ნომრები ან სხვა მარკირება.

2. გადამუშავების პროდუქტებში საქონლის იდენტიფიკაციისათვის საბაჟო ორგანო უფლებამოსილია, აირჩიოს ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული და მისთვის მისაღები საშუალებები.

3. დეკლარანტის მოთხოვნითა და საბაჟო ორგანოს თანხმობით, საქონლის იდენტიფიკაცია შესაძლებელია უზრუნველყოფილ იქნეს საქონლის გადამუშავების ოპერაციაში გამოყენებული ნედლეულის, მასალებისა და მაკომპლექტებლების, აგრეთვე გადამუშავების პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიის შესახებ წარდგენილი დეტალური მონაცემების გამოკვლევით ან საქონლის გადამუშავების ოპერაციაზე საბაჟო კონტროლის განხორციელებით.

მუხლი 118. საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმის გამოყენების პირობები

1. საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმის გამოყენების პირობებია:

ა) გადამუშავების პროდუქტში საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოსაქცევი საქონლის იდენტიფიკაციის შესაძლებლობა;

ბ) ეკონომიკურად მომგებიანი საშუალებით გადამუშავების პროდუქტების პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენის შეუძლებლობა;

გ) დეკლარანტის მიერ დასაბუთებული მონაცემების წარდგენა:

გ.ა) იმ პირის შესახებ, რომელიც უშუალოდ ახორციელებს საქონლის გადამუშავების ოპერაციებს;

გ.ბ) საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოსაქცევი საქონლის, მისი გადამუშავების პროდუქტის, ნაშთებისა და ნარჩენების აღწერილობის, ხარისხისა და რაოდენობის შესახებ;

გ.გ) საქონლის გადამუშავების ოპერაციების, მათი განხორციელების ვადებისა და საშუალებების შესახებ;

გ.დ) გადამუშავების პროდუქტის გამოსავლიანობის ნორმის შესახებ;

გ.ე) გადამუშავების პროდუქტში საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოსაქცევი საქონლის იდენტიფიკაციის საშუალებების შესახებ;

დ) დეკლარანტის მიერ საგადასახადო ან/და საბაჟო დავალიანების არქონა;

ე) დეკლარანტის მიერ საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოსაქცევ საქონელზე იმპორტის გადასახდელების შესაბამისი გარანტიის წარდგენა, რომლის ფარგლებშიც იგი უფლებამოსილია განახორციელოს საქმიანობა.

2. პირმა, რომელმაც მიიღო საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმის გამოყენების უფლება, საბაჟო ორგანოს უნდა წარუდგინოს ანგარიში ამ თავით დადგენილი მოთხოვნებისა და პირობების შესრულების შესახებ იმ პერიოდისათვის, როდესაც საქონელი გამოიყენებოდა საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმის შესაბამისად, და უნდა გადაიხადოს საბაჟო დავალიანება, თუ აღნიშნულ პერიოდში წარმოიშვა საბაჟო ვალდებულება.

მუხლი 119. საქონლის გადამუშავების ვადები

1. საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმის გამოყენებისას დეკლარანტი საქონლის გადამუშავების ვადას განსაზღვრავს საბაჟო ორგანოსთან შეთანხმებით და იგი არ უნდა აღემატებოდეს 2 წელს.

2. საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების ვადა განისაზღვრება გადამუშავების პროცესის ხანგრძლივობისა და იმ დროის გათვალისწინებით, რომელიც საჭიროა გადამუშავების პროდუქტის, ნაშთების ან/და ნარჩენების საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გასატანად ან სხვა საბაჟო დამუშავების ოპერაციის სახის განსაზღვრისათვის.

3. დეკლარანტის მოტივირებული განცხადების საფუძველზე წინასწარ განსაზღვრული ვადა შესაძლებელია გაგრძელდეს ამ მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ვადის ფარგლებში.

4. საქონლის გადამუშავების ვადა აითვლება საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში საქონლის მოქცევის დღიდან, ხოლო საქონლის ცალკეულ სასაქონლო პარტიებად შემოტანისას – ამ საბაჟო რეჟიმში საქონლის პირველი პარტიის მოქცევის დღიდან.

5. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო უფლებამოსილია, საქონლის გადამუშავებასთან დაკავშირებული განსაზღვრული მოქმედებისათვის ან ცალკეული საქონლის გადამუშავებისათვის დაადგინოს კონკრეტული ვადები.

მუხლი 120. გამოსავლიანობის ნორმა და მისი გაანგარიშების მეთოდის განსაზღვრა

1. საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმის გამოყენებისათვის დეკლარანტი საბაჟო ორგანოსთან შეთანხმებით განსაზღვრავს გამოსავლიანობის ნორმას და საჭიროებისამებრ მისი გაანგარიშების მეთოდს იმ ფაქტობრივი პირობებიდან გამომდინარე, რომლებშიც ხორციელდება საქონლის გადამუშავება, გარდა ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა.

2. დეკლარანტთან გადამუშავების პროდუქტის გამოსავლიანობის ნორმის შეთანხმებისას საბაჟო ორგანო ითვალისწინებს საექსპერტო ორგანიზაციების (მათ შორის, საბაჟო ლაბორატორიების) დასკვნებს, რომლებიც ეფუძნება საქონლის გადამუშავების კონკრეტულ ტექნოლოგიურ პროცესს.

3. თუ საქონლის გადამუშავების ოპერაციას აქვს მუდმივი მახასიათებლები და იგი ხორციელდება განსაზღვრული ტექნიკური პირობების დაცვით, რის შედეგადაც იწარმოება იმავე ხარისხის გადამუშავების პროდუქტი, საქართველოს მთავრობის უფლებამოსილი, კომპეტენტური ორგანოები საბაჟო მიზნებიდან გამომდინარე ადგენენ გადამუშავების პროდუქტის გამოსავლიანობის სტანდარტულ ნორმებს.

მუხლი 121. საბაჟო დავალიანების ოდენობის განსაზღვრა საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმის გამოყენებისას

1. თუ გადაუმუშავებელი საქონლის ან/და გადამუშავების პროდუქტის მიმართ, გარდა ამ კოდექსის 122-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმის დარღვევისათვის ან თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისათვის წარმოიშვა საბაჟო ვალდებულება, გადასახდელი თანხა განისაზღვრება ამ საქონლის ან/და პროდუქტის სახეობის, საბაჟო ღირებულებისა და რაოდენობის საფუძველზე და საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღეს იდენტური საქონლის ან/და პროდუქტის იმპორტისას მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის დებულებებით.

2. თუ საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში საქონლის დეკლარირების დღისათვის ამ მუხლის პირველ ნაწილში განსაზღვრულ საქონლის იმპორტზე ვრცელდება შეღავათიანი საბაჟო გადასახდელების განაკვეთები, საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების საბაჟო რეჟიმში საქონლის მოქცევის მიზნით მასზე ვრცელდება საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღეს იდენტური საქონლისათვის დადგენილი შეღავათიანი საბაჟო გადასახდელების განაკვეთები.

3. თუ გადაუმუშავებელი უცხოური საქონლის ან/და გადამუშავების პროდუქტის მიმართ წარმოიშვა საბაჟო ვალდებულება საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმის დარღვევისათვის, საბაჟო ვალდებულების წარმოშობის დღიდან, ხოლო

მისი დაუდგენლობის შემთხვევაში – საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღიდან იმპორტის გადასახდელებზე გადახდილი უნდა იქნეს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 129-ე მუხლით განსაზღვრული საურავი.

მუხლი 122. გადამუშავების შედეგად წარმოქმნილ ნარჩენებზე ან/და გადაუმუშავებელი საქონლის ნაშთებზე საბაჟო ვალდებულების წარმოშობა

1. საქონლის გადამუშავების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების ან/და გადაუმუშავებელი საქონლის ნაშთების თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება ექვემდებარება იმპორტის გადასახდელების გადახდას ისევე, როგორც საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ასეთ მდგომარეობაში იმპორტირებული საქონელი.

2. თუ საქონლის გადამუშავების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენებისათვის ან/და გადაუმუშავებელი საქონლის ნაშთებისათვის განისაზღვრა საბაჟო დამუშავების ოპერაციის სახე (გარდა თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისა), ასეთ საქონელზე საბაჟო ვალდებულება წარმოიშობა განსაზღვრული საბაჟო ოპერაციის სახის მარეგულირებელი დებულებების შესაბამისად.

მუხლი 123. გადაუმუშავებელი საქონლის, გადამუშავების პროდუქტის ან/და მათი მაკომპლექტებელი ნაწილების საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ გადამუშავება

1. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმის გამოყენებისას გადაუმუშავებელი საქონელი, გადამუშავების პროდუქტი ან/და მათი მაკომპლექტებელი ნაწილები საბაჟო ორგანოსთან შეთანხმებით და ამ კოდექსის 119-ე მუხლის საფუძველზე განსაზღვრული ვადის ამოწურვამდე დაბრუნების პირობით გადამუშავებისათვის შეიძლება დროებით გატანილ იქნეს საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ.

2. თუ ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დროებით გატანილი გადაუმუშავებელი საქონელი, გადამუშავების პროდუქტი ან/და მათი მაკომპლექტებელი ნაწილები ამ კოდექსის 119-ე მუხლის საფუძველზე განსაზღვრული ვადის ამოწურვამდე დაბრუნდა გადამუშავების პროდუქტის სახით და მოექცა იმავე საბაჟო რეჟიმში, მაშინ მის მიმართ საბაჟო ვალდებულება არ წარმოიშობა. ამასთანავე, გადამუშავების პროდუქტის დაბრუნებისას დეკლარანტმა უნდა უზრუნველყოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმის გამოყენებისათვის წარდგენილი გარანტიის გაზრდა ამ კოდექსის 43-ე მუხლის პირველი ნაწილით გაანგარიშებული საბაჟო ღირებულების საქონელზე გადასახდელი იმპორტის გადასახდელების თანხის ოდენობით.

3. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული გადამუშავების პროდუქტის დაბრუნებასთან დაკავშირებით (გარდა ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა) წარმოიშობა საბაჟო ვალდებულება ამ კოდექსის 121-ე და 122-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში და შესაბამისად გაანგარიშებული იმპორტის გადასახდელების თანხის ოდენობით.

მუხლი 124. იმპორტის გადასახდელების დაბრუნება ან/და ჩათვლა

1. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმის გამოყენების პირობების შესრულების შემთხვევაში დეკლარანტს შეუძლია მოითხოვოს იმპორტის გადასახდელების (გარდა საბაჟო მოსაკრებლისა) დაბრუნება ან/და ჩათვლა, თუ იგი საბაჟო ორგანოს წარუდგენს სათანადო მტკიცებულებებს, რომ ამ კოდექსის 115-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებული საქონლისგან მიღებული გადამუშავების პროდუქტი ან გადაუმუშავებელი საქონელი:

ა) გატანილია საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან, გარდა ამ კოდექსის 123-ე მუხ-

ლით გათვალისწინებული შემთხვევისა, როდესაც საქონელი დაბრუნებულ იქნა 3 წლის განმავლობაში;

ბ) საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანის პირობით მოქცეულია საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის, საქონლის დროებითი შემოტანის ან საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში ან/და საქონელი მიტანილია თავისუფალ ზონაში ან თავისუფალ საწყობში.

2. გადამუშავების პროდუქტი ან გადაუმუშავებელი საქონელი ამ მუხლის პირველი ნაწილის „ბ" ქვეპუნქტში აღნიშნული საბაჟო დამუშავების ოპერაციის სახის განსაზღვრისათვის განიხილება, როგორც უცხოური საქონელი.

3. თუ გადამუშავების პროდუქტი ან გადაუმუშავებელი საქონელი, რომელიც მოქცეულია ამ მუხლის პირველი ნაწილის „ბ" ქვეპუნქტში აღნიშნულ რომელიმე საბაჟო რეჟიმში ან მიტანილია თავისუფალ ზონაში ან თავისუფალ საწყობში და გაიშვება თავისუფალ მიმოქცევაში, საბაჟო დავალიანება წარმოიშობა იმპორტის გადასახდელების დაბრუნებული ან ჩათვლილი თანხის ოდენობით.

თავი XIX. საქონლის დროებითი შემოტანა

მუხლი 125. საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმის გამოყენება

1. საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმი საშუალებას იძლევა, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე დაბრუნების ვალდებულებით შემოტანილი უცხოური საქონელი შემოტანისას იმპორტის გადასახდელების (გარდა საბაჟო მოსაკრებლისა) გადახდისაგან სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლების პირობითა და სავაჭრო პოლიტიკის ღონისძიებების გაუტარებლად, გარკვეული დროის განმავლობაში საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე უცვლელად იქნეს გამოყენებული, გარდა იმ ცვლილებებისა, რომლებიც გამოწვეულია ექსპლუატაციით, ტრანსპორტირებით ან შენახვის ნორმალური პირობებისათვის ბუნებრივი დანაკარგებით.

2. საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმის გამოყენების წესები განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

მუხლი 126. საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმის გამოყენების პირობები

1. საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმში მოქცევის პირობებია:

ა) საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმში მოსაქცევი საქონლის საიმედო იდენტიფიკაციის უზრუნველყოფის შესაძლებლობა;

ბ) საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმში ნებისმიერი საქონლის (გარდა იმ საქონლისა, რომლის საქართველოში დროებითი შემოტანა აკრძალულია ამ მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად) მოქცევის შესაძლებლობა;

გ) დეკლარანტის მიერ დასაბუთებული მონაცემების წარდგენა:

გ.ა) დროებით შემოტანილი საქონლის უკან გატანის ვალდებულების შესახებ;

გ.ბ) საქონლის დროებითი შემოტანის ვადების შესახებ;

დ) იმპორტის გადასახდელების გადახდისაგან ნაწილობრივ გათავისუფლებით საქონლის დროებითი შემოტანისას დეკლარანტის მიერ საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმში მოსაქცევ საქონელზე იმპორტის გადასახდელების შესაბამისი გარანტიის წარდგენა.

2. იმ საქონლის ნუსხა, რომლის საქართველოში დროებითი შემოტანა აკრძალულია, განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

მუხლი 127. საქონლის დროებითი შემოტანის ვადები

1. საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმში საქონლის მოქცევის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 2 წელს. საქონლის ცალკეული სახეობისათვის აღნიშნული ზღვრული

ვადის ფარგლებში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შეუძლია დაადგინოს განსხვავებული ზღვრული ვადები.

2. საქონლის დროებითი შემოტანის მიზნის გათვალისწინებით და საბაჟო ორგანოსთან შეთანხმებით, ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული ზღვრული ვადების ფარგლებში დეკლარანტი განსაზღვრავს კონკრეტულ ვადას, რომლის განმავლობაშიც დროებით შემოტანილი საქონელი გატანილი უნდა იქნეს საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან ან მის მიმართ უნდა განისაზღვროს სხვა საბაჟო დამუშავების ოპერაციის სახე.

3. საქონლის დროებითი შემოტანის ვადა აითვლება საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმში უცხოური საქონლის მოქცევის დღიდან.

4. საბაჟო ორგანოს საჭიროების შემთხვევაში შეუძლია დეკლარანტის წერილობითი განცხადების საფუძველზე საქონლის დროებითი შემოტანის წინასწარ განსაზღვრული ვადა გააგრძელოს ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული ზღვრული ვადების ფარგლებში.

5. საქონლის დროებითი შემოტანის ვადის გაგრძელებისას წარმოიშობა ხელახალი დეკლარირების მოთხოვნები, რომლებიც წარმოიშობოდა ამ საქონლის თავდაპირველად დროებითი შემოტანისას.

მუხლი 128. საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმის გამოყენება იმპორტის გადასახდელების გადახდისაგან სრულად გათავისუფლებით

1. იმპორტის გადასახდელების (გარდა საბაჟო მოსაკრებლისა) გადახდისაგან სრულად გათავისუფლებით შესაძლებელია საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმში მოექცეს საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე დროებითი შემოტანისათვის განკუთვნილი ქვემოთ ჩამოთვლილი უცხოური საქონელი (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამ საქონელს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის გადაწყვეტილების საფუძველზე უგრძელდება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე დროებითი ყოფნის ვადა): *(29.12.2006 N4256)*

ა) ნებისმიერი სახის ცოცხალი ცხოველები (მათ შორის, თევზები), რომელთა შემოყვანის მიზანია:

ა.ა) წვრთნა, ვარჯიში, მოშენება, აწონვა, ვეტერინარული დამუშავება ან შემოწმება (შესყიდვის მიზნით და სხვა);

ა.ბ) წარმოდგენაში, გამოფენაში, კონკურსში, შეჯიბრებაში ან ჩვენებაში მონაწილეობა;

ა.გ) გართობა (ცირკის ცხოველები და სხვა), მოგზაურობა (მოგზაურთა შინაური ცხოველების ჩათვლით);

ა.დ) სპეციალური სამუშაოების შესრულება (პოლიციისათვის და სხვა მიზნებისათვის);

ა.ე) სამაშველო ოპერაციების ჩატარება;

ა.ვ) ძოვება;

ა.ზ) სამუშაოების შესრულება ან ტრანსპორტირება;

ა.თ) სამედიცინო დანიშნულებით გამოყენება (გველის შხამის მიღება და სხვა);

ბ) ბაზრობისათვის, გამოფენისათვის, სხვადასხვა სახის შეხვედრისა და მსგავსი ღონისძიებებისათვის განკუთვნილი საქონელი, გარდა ღონისძიებაზე წარმოდგენილი დასახარჯი (მოსახმარი, გასანადგურებელი) უცხოური საქონლის ნიმუშებისა (კვების პროდუქტები, ელექტროშედუღებისათვის განკუთვნილი ელექტროდები, საღებავი, ლაქი, შპალერი, ნაბეჭდი მასალები, კატალოგები, სარეკლამო პლაკატები, ფასების მაჩვენებლები და სხვა). ეს საქონელია:

ბ.ა) საქონელი, რომელიც განკუთვნილია უცხოური დანადგარებისა და მოწყობილობების საჩვენებლად და გამოსაცდელად;

ბ.ბ) სამშენებლო და დეკორატიული მასალა (ელექტრომოწყობილობების ჩათვლით), რომელიც აუცილებელია უცხოური დანადგარებისა და მოწყობილობების საჩვენებლად

და გამოსაცდელად;

ბ.გ) სარეკლამო-საჩვენებელი მასალა, რომელიც განკუთვნილია უცხოური საქონლის საჯარო დემონსტრირებისათვის (ხმისა და გამოსახულების ჩამწერი საშუალებები, ფილმები და სლაიდები, ასევე სხვა შესაბამისი მოწყობილობა);

გ) კინემატოგრაფიისათვის, პრესისათვის, ტელევიზიისა და რადიოს გადაცემებისათვის საჭირო პროფესიონალური მოწყობილობები, რომლებიც ეკუთვნის უცხოურ საწარმოს/ორგანიზაციას ან არარეზიდენტ ფიზიკურ პირს, საქართველოში შემოტანილია და გამოიყენება ამავე პირის მიერ მხოლოდ პრესის, ხმოვანი და სატელევიზიო მოწყობილობებისათვის, რომლებიც საჭიროა უცხოური კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი პრესის, მაუწყებლობის ან სატელევიზიო ორგანიზაციის იმ წარმომადგენლობისათვის, რომელიც ამზადებს ან გადასცემს რეპორტაჟებს ან იწერს სპეციალურ პროგრამებს; კინემატოგრაფიული მიზნებისათვის განკუთვნილი პროფესიონალური მოწყობილობები, რომლებიც საჭიროა იმ უცხოური საწარმოსათვის/ორგანიზაციისათვის ან არარეზიდენტი ფიზიკური პირისათვის, რომელიც საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ახორციელებს ფილმის (ფილმების) გადაღებას. ეს მოწყობილობებია:

გ.ა) პრესისათვის განკუთვნილი მოწყობილობები: პერსონალური კომპიუტერი, ტელეფაქსი, საბეჭდი მანქანა, ყველა ტიპის ფოტოაპარატი (ფირიანი და ელექტრონული), ხმის გადამცემი ან გამოსახულების ჩამწერი ანდა აღმწარმოებელი აპარატები (მაგნიტოფონი, ვიდეომაგნიტოფონი, ფლეიერი, მიკროფონი, მიქშერული პულტი, აკუსტიკური სვეტი), ხმის ან გამოსახულების ჩანაწერების მატარებლები ჩანაწერით ან ჩანაწერის გარეშე, საზომ-საკონტროლო ხელსაწყოები და აპარატები (ოსცილოგრაფი, მაგნიტოფონისა და ვიდეომაგნიტოფონის შესამოწმებელი სისტემები, მულტიმეტრი, ჩემოდანი და ჩანთა ინსტრუმენტებისათვის, ვექტოროსკოპი, ვიდეოსიგნალების გენერატორი და ა.შ.), გამანათებელი მოწყობილობები (პროექტორი, ტრანსფორმატორი, სამფეხა), დამხმარე საკუთნოები (კასეტა, ფოტომეტრი, ობიექტივი, სამფეხა, აკუმულატორი, ამძრავი ღვედი, ბატარეის დასატენი მოწყობილობა, მონიტორი);

გ.ბ) რადიომაუწყებლობისათვის განკუთვნილი მოწყობილობები: კავშირგაბმულობის მოწყობილობები (რადიოგადამცემი, რადიომიმღები ან გადამცემები, ტერმინალები, ქსელთან ან კაბელთან მისაერთებელი, კავშირგაბმულობის თანამგზაურული ხაზები), მოწყობილობები ბგერითი სიხშირეების გენერირებისათვის (ხმის ჩამწერი, რეგისტრაციის ან აღმწარმოებელი აპარატები), საზომ-საკონტროლო აპარატები და ხელსაწყოები (ოსცილოგრაფი, მაგნიტოფონისა და ვიდეომაგნიტოფონის შესამოწმებელი სისტემები, მულტიმეტრი, ჩემოდანი და ჩანთა ინსტრუმენტებისათვის, ვექტოროსკოპი, ვიდეოსიგნალების გენერატორი და ა.შ.), დამხმარე მოწყობილობები და საკუთნოები (საათი, ქრონომეტრი, კომპასი, მიკროფონი, მიქშერული პულტი, ხმის ჩამწერი მაგნიტური ლენტი, ელექტროაგრეგატი, ტრანსფორმატორი, ბატარეა და აკუმულატორი, ბატარეის დასატენი მოწყობილობა, ჰაერის გამათბობელი, კონდიცირებისა და ვენტილაციის აპარატურა და ა.შ.), ხმის ჩანაწერების მატარებლები ჩანაწერით ან ჩანაწერის გარეშე;

გ.გ) ტელევიზიისათვის განკუთვნილი მოწყობილობები: ტელეკამერა, ტელეკინოპროექციის დანადგარი, საზომ-საკონტროლო აპარატები და ხელსაწყოები, გადამცემი და რეტრანსლაციის აპარატები, ხმის ან გამოსახულების ჩამწერი ანდა აღმწარმოებელი აპარატები (მაგნიტოფონი, ვიდეომაგნიტოფონი, ფლეიერი, მიკროფონი, მიქშერული პულტი, აკუსტიკური სვეტი), გამანათებელი მოწყობილობები (პროექტორი, ტრანსფორმატორი, სამფეხა), აპარატურა ვიდეომონტაჟისათვის, დამხმარე მოწყობილობები და საკუთნოები (საათი, ქრონომეტრი, კომპასი, ობიექტივი, ფოტომეტრი, სამფეხა, ბატარეის დასატენი მოწყობილობა, კასეტა, ელექტროაგრეგატი, ტრანსფორმატორი, ბატარეა და აკუმულატორი, ჰაერის გამათბობელი, კონდიცირებისა და ვენტილაციის აპარატურა და ა.შ.), ხმის ან გამოსახუ-

ლების ჩანაწერების მატარებლები ჩანაწერით ან ჩანაწერის გარეშე (გადაცემის სათაური, სადგურის პირობითი მოსახმობი სიგნალი, მუსიკალური ჩანართი და ა.შ.), მიმდინარე გადასაღები მასალა (კინოფირი და ა.შ.), მუსიკალური ინსტრუმენტები, კოსტიუმები, დეკორაციები და სხვა თეატრალური და სასცენო აქსესუარები, გრიმი, თმის საშრობი;

გ.დ) სატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც შემუშავებულია ან სპეციალურად მომარჯვებულია ზემოთ მითითებული მიზნებისათვის, კერძოდ, სატრანსპორტო საშუალებები ტელეგადამცემი აპარატურისათვის, სატელევიზიო დამხმარე მოწყობილობებისა და საკუთვნოებისათვის, ხმის ჩამწერი ან აღმწარმოებელი აპარატებისათვის, შენელებული აღწარმოების აპარატურისათვის, გამანათებელი მოწყობილობებისათვის;

გ.ე) კინემატოგრაფიისათვის განკუთვნილი მოწყობილობები: ყველა ტიპის კამერა (კინოკამერა და ვიდეოკამერა), საზომ-საკონტროლო მოწყობილობები და აპარატები (ოსცილოგრაფი, მაგნიტოფონისა და ვიდეომაგნიტოფონის შესამოწმებელი სისტემები, მულტიმეტრი, ჩემოდანი და ჩანთა ინსტრუმენტებისათვის, ექვტოროსკოპი, ვიდეოსიგნალების გენერატორი და ა.შ.), ამწე-ურიკა ოპერატორისათვის და შტატიე მიკროფონისათვის, გამანათებელი მოწყობილობები (პროჟექტორი, ტრანსფორმატორი, სამფეხა), აპარატურა ვიდეომონტაჟისათვის, ხმის ან გამოსახულების ჩამწერი ანდა აღმწარმოებელი აპარატები (მაგნიტოფონი, ვიდეომაგნიტოფონი, ფლეიერი, მიკროფონი, მიქშერული პულტი, აკუსტიკური სვეტი), მიმდინარე გადასაღები მასალა, დამხმარე მოწყობილობები და საკუთვნოები (საათი, ქრონომეტრი, კომპასი, მიკროფონი, მიქშერული პულტი, ხმის ჩამწერი მაგნიტური ლენტი, ელექტროაგრეგატი, ტრანსფორმატორი, ბატარეა და აკუმულატორი, ბატარეის დასატენი მოწყობილობა, ჰაერის გამათბობელი, კონდიცირებისა და ვენტილაციის აპარატურა და ა.შ.), მუსიკალური ინსტრუმენტები, კოსტიუმები, დეკორაციები და სხვა თეატრალური და სასცენო აქსესუარები, გრიმი, თმის საშრობი;

გ.ვ) სატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც შემუშავებულია ან სპეციალურად მომარჯვებულია ზემოთ მითითებული მიზნებისათვის;

დ) სხვა მოწყობილობები:

დ.ა) მოწყობილობები მანქანის, დანადგარის, სატრანსპორტო მოწყობილობების მონტაჟის, გამოცდის, გაშვების, კონტროლის, შემოწმების, ტექნიკური მომსახურების ან შეკეთებისათვის: ხელსაწყოები, მოწყობილობები და ხელსაწყოები გაზომვისათვის, შემოწმებისა და კონტროლისათვის (ტემპერატურის, წნევის, მანძილის, სიმაღლის, ზედაპირის, სიჩქარის და ა.შ.), მათ შორის, ელექტრონული ხელსაწყოები (ვოლტმეტრი, ამპერმეტრი, საზომი სადენი, კომპარატორი, ტრანსფორმატორი, სარეგისტრაციო მოწყობილობა და ა.შ.) და მოსაჭერი მოწყობილობები, აპარატები და მოწყობილობები მანქანებისა და დანადგარების ფოტოგრაფირებისათვის მონტაჟის დროს და მის შემდეგ, ხელსაწყო გემის ტექნიკური კონტროლისათვის;

დ.ბ) ექსპერტის, ბუღალტრისა და მსგავსი პროფესიის ადამიანებისათვის აუცილებელი მოწყობილობები: პერსონალური კომპიუტერი, საბეჭდი მანქანა, ხმის ან გამოსახულების ჩამწერი ანდა აღმწარმოებელი ან გადამცემი აპარატები, საანგარიშო ხელსაწყო და აპარატი;

დ.გ) მოწყობილობა, რომელიც საჭიროა ექსპერტისათვის, რომელსაც ევალება ტოპოგრაფიული გადაღება ან გეოფიზიკური დაზვერვა: საკონტროლო-საზომი ხელსაწყოები და აპარატები, საბურღი მოწყობილობა, გადამცემი მოწყობილობა და კაეშირგაბმულობის მოწყობილობა;

დ.დ) მოწყობილობა, რომელსაც იყენებს ექსპერტი გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით;

დ.ე) ხელსაწყოები და აპარატები, რომლებიც აუცილებელია ექიმის, ქირურგის, ვეტერინარის, სანიტრისა და მსგავსი პროფესიის ადამიანებისათვის;

დ.ვ) მოწყობილობები, რომლებიც აუცილებელია არქეოლოგიის, პალეონტოლოგიის,

გეოგრაფიის, ზოოლოგიისა და სხვა სპეციალისტებისათვის;

დ.ზ) მოწყობილობები, რომლებიც აუცილებელია მსახიობისათვის, თეატრალური დასისა და ორკესტრისათვის; საგნები, რომლებიც გამოიყენება წარმოდგენის მსვლელობის დროს, მუსიკალური ინსტრუმენტები, დეკორაციები, კოსტიუმები და ა.შ.;

დ.თ) მოწყობილობა, რომელიც აუცილებელია მომხსენებლისათვის თავისი მოხსენების განმარტებისათვის;

დ.ი) მოწყობილობები, რომლებიც აუცილებელია მოგზაურობის დროს ფოტოსურათების გადასაღებად (ნებისმიერი სახის ფოტოაპარატი, კასეტა, ექსპონომეტრი, ობიექტივი, სამფეხა, აკუმულატორი, ამძრავი ქამარი, ბატარეის დასატენი მოწყობილობა, მონიტორი, გამანათებელი, მოდური ტანსაცმელი და მანეკენის ტუალეტის საგნები და ა.შ.);

დ.კ) ზემოაღნიშნული მიზნებისათვის გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებები, როგორებიცაა: მოძრავი საკონტროლო დანადგარი, მოძრავი სახელოსნო, მოძრავი ლაბორატორია და ა.შ.;

ე) საგანმანათლებლო, სამეცნიერო და კულტურული მიზნებისათვის შემოტანილი საქონელი (თუ საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ყოფნის დროს ეს საქონელი რჩება უცხოური საწარმოს/ორგანიზაციის ან არარეზიდენტი ფიზიკური პირის საკუთრებაში):

ე.ა) ხმის ან გამოსახულების ჩამწერი ანდა აღმწარმოებელი აპარატები: ეპიდიასკოპი, კინოპროექტორი, რირპროექტორი და ეპისკოპი, მაგნიტოფონი, ვიდეომაგნიტოფონი და კინოსკოპი, დახშული სატელევიზიო სისტემა;

ე.ბ) ხმისა და გამოსახულების მატარებლები: დიაპოზიტივი, დიაფილმი და მიკროფილმი, კინოფილმი, ხმოვანი ჩანაწერი (მაგნიტური ლენტი, დისკი), ვიდეოლენტი;

ე.გ) სპეციალური მოწყობილობები: ბიბლიოგრაფიული მოწყობილობა და აუდიოვიზუალური საშუალებები ბიბლიოთეკისათვის, მოძრავი ბიბლიოთეკა, უცხოურ ენათა შემსწავლელი ლაბორატორია, სინქრონული თარგმნის მოწყობილობა, მექანიკური ან ელექტრონული პროგრამული სასწავლო მანქანა, სპეციალურად შექმნილი მოწყობილობა ინვალიდების სწავლებისათვის ან მათი პროფესიული მომზადებისათვის;

ე.დ) სხვა მოწყობილობები: კედლის დიაგრამა, მაკეტი, გრაფიკა, რუკა, გეგმა, ფოტოსურათი და ნახატი, საჩვენებლად შექმნილი ხელსაწყო, აპარატები და მოდელები, ხმოვანი ან ვიზუალური პედაგოგიური ინფორმაციის მატარებელი საგნების კოლექცია, რომელიც შექმნილია ამა თუ იმ საგნის (სასწავლო კომპლექტების) სასწავლებლად, ხელობის შესასწავლი ხელსაწყო, აპარატი, ინსტრუმენტი და ჩარხი, მოწყობილობა, რომელიც განკუთვნილია სამაშველო პერსონალის მოსამზადებლად, იმ სატრანსპორტო საშუალებების ჩათვლით, რომლებიც შექმნილია ან სპეციალურად გამოიყენება სამაშველო ოპერაციის დროს;

ე.ე) წიგნები და ბეჭდვითი პროდუქცია: ყველა ჟანრის წიგნი, დაუსწრებელი სწავლების სახელმძღვანელო, გაზეთი და პერიოდული გამოცემა, ბროშურა, რომელიც შეიცავს ინფორმაციას ნავსადგურში მეზღვაურების დასვენებისათვის ჩასატარებელი ღონისძიებების შესახებ;

ე.ვ) აუდიოვიზუალური დანადგარები: ხმის ან გამოსახულების აღმწარმოებელი აპარატები, მაგნიტოფონი, რადიომიმღები და ტელევიზორი, საპროექციო აპარატი, ჩანაწერი დისკზე ან მაგნიტურ ლენტზე (ენების შემსწავლელი კურსები, რადიოგადაცემები, მუსიკალური ჩანაწერები და გასართობი ხასიათის ჩანაწერები), გადაღებული ან გამუღაენებული კინო- და ფოტოფირები, დიაპოზიტივი, ვიდეოლენტი;

ე.ზ) სპორტული ნაწარმი: სპორტული ტანსაცმელი, დიდი და პატარა ბურთები, ჩოგანი და ბადე, გემბანის თამაშები (შესაბამისი მოწყობილობა), ინვენტარი მძლეოსნობისათვის, სატანვარჯიშო მოწყობილობა;

ე.თ) მოწყობილობები თამაშისა და დასვენებისათვის: ოთახის თამაშები, მუსიკალური ინსტრუმენტები, მოწყობილობები და აქსესუარები მოყვარულთა თეატრისათვის, მოწყობი-

ლობები ფერწერისათვის, სკულპტურისათვის, ხესა და ლითონზე მუშაობისათვის, ხალიჩის დასამზადებლად და ა.შ.;

ე.ი) რელიგიური რიტუალების ჩასატარებლად საჭირო ნივთები;

ე.კ) დასვენებისათვის აუცილებელი მოწყობილობის ნაწილები, დეტალები და საკუთნოები;

ე.ლ) თეატრალური კოსტიუმები და აქსესუარები, რომლებიც გამოგზავნილია თეატრალური საზოგადოებისა და თეატრისათვის დროებით, უსასყიდლო სარგებლობისათვის;

ე.მ) პარტიტურა და ნოტები, რომლებიც გამოგზავნილია საკონცერტო დარბაზებისათვის ან ორკესტრისათვის დროებით, უსასყიდლო სარგებლობისათვის;

ვ) საქონელი, რომელიც სახელმწიფო ორგანოებს ან/და დაწესებულებებს დროებით, უსასყიდლოდ გადაეცათ სტიქიური უბედურების, ავარიის, კატასტროფისა და ეპიდემიის შედეგების სალიკვიდაციოდ;

ზ) სასწავლო დამხმარე საშუალებები, მათი სათადარიგო და დამხმარე ნაწილები და სამეცნიერო მოწყობილობები, აგრეთვე ხელსაწყოები, რომლებიც განკუთვნილია ასეთ დამხმარე საშუალებათა შენახვის, შემოწმების, შეკეთების ან დაყალიბებისათვის, თუ შესრულებულია ყველა შემდეგი პირობა:

ზ.ა) დროებით შემოტანილია დამტკიცებული დაწესებულების მიერ საკუთარი საჭიროებისათვის, არა უმეტეს წინასწარ განსაზღვრული რაოდენობისა და გამოიყენება მხოლოდ ასეთი დაწესებულების მიერ მისი ზედამხედველობითა და პასუხისმგებლობით;

ზ.ბ) არ გამოიყენება ეკონომიური საქმიანობისათვის;

ზ.გ) საბაჟო ტერიტორიაზე ყოფნის დროს რჩება უცხოური საწარმოს/ორგანიზაციის ან არარეზიდენტი ფიზიკური პირის საკუთრებაში;

თ) სამეცნიერო სამედიცინო მოწყობილობები, მათი სათადარიგო და დამხმარე ნაწილები, აგრეთვე ხელსაწყოები, რომლებიც განკუთვნილია ასეთ მოწყობილობათა შენახვის, შემოწმების, შეკეთების ან დაყალიბებისათვის, სამეცნიერო-კვლევითი ან სასწავლო მიზნებისათვის, თუ შესრულებულია ყველა შემდეგი პირობა:

თ.ა) დროებით შემოტანილია დამტკიცებული დაწესებულების მიერ საკუთარი საჭიროებისათვის, არა უმეტეს წინასწარ განსაზღვრული რაოდენობისა და გამოიყენება მხოლოდ ასეთი დაწესებულების მიერ მისი ზედამხედველობითა და პასუხისმგებლობით;

თ.ბ) არ გამოიყენება ეკონომიური საქმიანობისათვის;

თ.გ) საბაჟო ტერიტორიაზე ყოფნის დროს რჩება უცხოური საწარმოს/ორგანიზაციის ან არარეზიდენტი ფიზიკური პირის საკუთრებაში;

ი) სატრანსპორტო საშუალებები (მათ შორის, გემი და საფრენი საშუალება), თუ შესრულებულია ყველა შემდეგი პირობა:

ი.ა) რეგისტრირებულია უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე;

ი.ბ) რეგისტრირებულია პირზე, რომელიც არ არის საქართველოს მოქალაქე, და გამოიყენება მის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე გადასაადგილებლად;

კ) საქონელი დიპლომატიური და ტურისტული მიზნებისათვის, თუ საბაჟო ტერიტორიაზე ყოფნის დროს რჩება უცხოური საწარმოს/ორგანიზაციის ან არარეზიდენტი ფიზიკური პირის საკუთრებაში;

ლ) კომერციულ ოპერაციასთან დაკავშირებით შემოტანილი კონტეინერი, ქვესადგამი, შეფუთვა, ნიშუში, სარეკლამო ფილმი და სხვა საქონელი:

ლ.ა) კონტეინერი („კონტეინერების შესახებ" ჟენევის 1972 წლის კონვენციის მიხედვით);

ლ.ბ) ქვესადგამი;

ლ.გ) შეფუთვა (ნებისმიერი ნაკეთობა და მასალა, რომლებიც განკუთვნილია იმ სახით, რა სახითაც ისინი შემოტანილია საქონლის შეფუთვის, დაცვის, განთავსების, დამაგრების ან დანაწევრების მიზნით, გარდა შესაფუთი მასალისა, როგორიცაა: ჩალა-ნამჯა, ქაღალდი, შუშაბამბა, ბურბუშელა და სხვა);

ლ.დ) ნიმუში (ნაკეთობა, რომელიც არის გარკვეული კატეგორიის მზა საქონელი ან წარმოებისათვის გათვალისწინებული საქონლის ნიმუში, გარდა იდენტური ნაკეთობისა, რომელიც მიეწოდა იმავე პირის მიერ ან გაეგზავნა იმავე მიმღებს იმ რაოდენობით, რომელიც ერთად აღებული, საყოველთაოდ მიღებული ვაჭრობის წესების თანახმად, აღარ არის ნიმუში);

ლ.ე) სარეკლამო ფილმი (გამოსახულების გადაღებული მატარებლები (ფონოგრამით ან ფონოგრამის გარეშე), რომელიც აჩვენებს უცხოური საწარმოს/ორგანიზაციის ან არარეზიდენტი ფიზიკური პირის მიერ გასაყიდად ან გასაქირავებლად შემოთავაზებული ნაკეთობის ან მოწყობილობის არსს, იმ პირობით, რომ ის გამოსადეგია პოტენციური კლიენტისათვის საჩვენებლად, მაგრამ არა საჯარო დათვალიერების დარბაზში, შემოტანილია ყოველი ფილმის თითო ასლის შემცველ საფუთავში და არ არის ფილმის უფრო დიდი ამანათი);

ლ.ვ) საქონელი, რომელიც შემოტანილია გამოცდის, შემოწმების, ცდებისა და ჩვენების ჩატარების მიზნით;

ლ.ზ) საქონელი, რომელიც გამოიყენება გამოცდის, შემოწმების, ცდებისა და ჩვენების ჩატარების პროცესში;

ლ.თ) გადაღებული და გამჟღავნებული კინემატოგრაფიული ფირები, აგრეთვე პოზიტიური და გამოსახულების მატარებელი ფირები, რომლებიც განკუთვნილია მათ კომერციულ გამოყენებამდე საჩვენებლად;

ლ.ი) ფირი, მაგნიტური ლენტი, მაგნიტური ფირი და ხმის ან გამოსახულების მატარებელი სხვა ფირი ან ლენტი, რომლებიც განკუთვნილია გახმოვანებისათვის, დუბლირებისა და ხმის ან გამოსახულების აღწარმოებისათვის;

ლ.კ) ჩაწერილი ინფორმაციის მატარებლები, რომლებიც განკუთვნილია უფასოდ გაგზავნილ და განკუთვნილ მონაცემთა ავტომატური გადამუშავებისათვის;

ლ.ლ) ნაწარმი (სატრანსპორტო საშუალებების ჩათვლით), რომელიც თავისი მახასიათებლებით შეიძლება გამოყენებულ იქნეს გარკვეული სახის ნაწარმის რეკლამირებისათვის ან გარკვეული მიზნით პროპაგანდისათვის.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილის მიზნებისათვის:

ა) ტერმინი „ღონისძიება" ნიშნავს:

ა.ა) საეაჭრო, სამრეწველო, სოფლის მეურნეობის ან კერამიკული ნაწარმის გამოფენას, ბაზრობას ან მსგავს საჩვენებელ გამოფენას;

ა.ბ) გამოფენას ან შეხვედრას, რომელიც ორგანიზებულია განათლების, ხელოვნების, სპორტის, მეცნიერების, კულტურის დონის ამაღლებისათვის;

ა.გ) სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ჯგუფების შეხვედრას;

ა.დ) ოფიციალური ან ღირსშესანიშნავი ხასიათის წარმომადგენლობით შეხვედრას, გარდა გამოფენებისა, რომლებიც ორგანიზებულია კერძო მიზნებისათვის, მაღაზიებსა და ბიზნესცენტრებში საქონლის გასაყიდად;

ბ) ტერმინი „სასწავლო დამხმარე საშუალებები" ნიშნავს დამხმარე საშუალებებს, რომლებიც განკუთვნილია სასწავლო მიზნებისათვის ან პროფესიული წვრთნისათვის, როგორებიცაა მოდელები, ინსტრუმენტები, აპარატები და ხელსაწყო მექანიზმები;

გ) ტერმინი „დამტკიცებული დაწესებულება" ნიშნავს კერძო ან საჯარო სასწავლო ან პროფესიულ დაწესებულებას, რომელიც არ ითვალისწინებს მოგების მიღებას და რეგისტრირებულია შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს მიერ, რომელიც, როგორც სასწავლო დამხმარე საშუალებების მიმღები, გასცემს რწმუნებას დროებითი შემოტანის რეჟიმზე;

დ) ტერმინი „სამეცნიერო სამედიცინო მოწყობილობა" ნიშნავს ინსტრუმენტებს, აპარატებს და ხელსაწყო მექანიზმებს, რომლებიც გამოიყენება სამეცნიერო-კვლევითი ან სასწავლო მიზნებისათვის.

მუხლი 129. საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმის გამოყენება იმპორტის გადასახდელების გადახდისაგან ნაწილობრივ გათავისუფლებით

იმპორტის გადასახდელების გადახდისაგან ნაწილობრივ გათავისუფლებით შესაძლებელია საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმში მოექცეს უცხოური საქონელი, რომელიც რჩება უცხოური საწარმოს/ორგანიზაციის ან არარეზიდენტი ფიზიკური პირის საკუთრებაში და არ შედის ამ კოდექსის 128-ე მუხლის პირველ ნაწილში მოცემულ საქონლის ჩამონათვალში.

მუხლი 130. საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმში მოქცეული, იმპორტის გადასახდელების გადახდისაგან ნაწილობრივ გათავისუფლებული საქონლის მიმართ გადასახდელი თანხის განსაზღვრა

1. საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღიდან იმპორტის გადასახდელების გადახდისაგან ნაწილობრივ გათავისუფლებული საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ყოფნის ყოველ სრულ და არასრულ კალენდარულ თვეზე გადაიხდევინება იმპორტის გადასახდელების (გარდა საბაჟო მოსაკრებლისა) იმ თანხის 3 პროცენტი, რომელიც გადაიხდევინებოდა საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღეს ამ საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისას. აღნიშნული თანხის გადახდა უნდა განხორციელდეს ყოველთვიურად, საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვამდე, ხოლო ბოლო გადახდა – საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმის დასრულების დღეს.

2. ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული, გადახდას დაქვემდებარებული თანხების ჯამური ოდენობა (საურავის გარეშე) არ უნდა აღემატებოდეს იმპორტის გადასახდელების (გარდა საბაჟო მოსაკრებლისა) იმ თანხას, რომელიც გადაიხდევინებოდა საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღეს ამ საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისას.

3. საბაჟო ორგანოს და საქონლის მესაკუთრის თანხმობით დასაშვებია საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონლის გადაცემა სხვა პირის სარგებლობაში, რომელსაც აქვს საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო დეკლარაციის წარდგენის უფლება და აკმაყოფილებს ამ თავით განსაზღვრულ პირობებს. დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონლის სხვა პირის სარგებლობაში გადაცემის დღიდან ამ პირს გადაეცემა აღნიშნული საბაჟო რეჟიმის დეკლარანტის უფლება-მოვალეობანი (მათ შორის, საბაჟო სანქციები). ამასთანავე, საქონლის გადამცემი პირი ვალდებულია გადაიხადოს იმპორტის გადასახდელები იმ პერიოდისათვის, რომლის განმავლობაშიც იგი იყენებდა საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმში მოქცეულ, იმპორტის გადასახდელების გადახდისაგან ნაწილობრივ გათავისუფლებულ საქონელს.

4. თუ იმპორტის გადასახდელების გადახდისაგან ნაწილობრივ გათავისუფლებულ დროებით შემოტანილ საქონელზე წარმოიშვა საბაჟო დავალიანება, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 129-ე მუხლით გათვალისწინებული საურავი საბაჟო დავალიანების თანხაზე გადაიხდევინება საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღიდან.

მუხლი 131. საბაჟო გალდებულების განსაზღვრა

1. თუ საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმში მოქცეული, იმპორტის გადასახდელების გადახდისაგან სრულად გათავისუფლებული საქონლის მიმართ საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმის დარღვევისათვის ან თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისათვის წარმოიშვა საბაჟო ვალდებულება, იმპორტის გადასახდელების თანხა ამ კოდექსის მე-200 მუხლით გათვალისწინებული დროიდან განისაზღვრება ამ საქონლის სახეობის, საბაჟო ღირებულებისა და რაოდენობის საფუძველზე და საქონლის დროებითი

შემოტანის საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღეს იდენტური საქონლის იმპორტისას მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის დებულებებით.

2. თუ საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმში მოქცეული, იმპორტის გადასახდელების გადახდისაგან ნაწილობრივ გათავისუფლებული საქონლის მიმართ საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმის დარღვევისათვის ან თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისათვის წარმოიშვა საბაჟო ვალდებულება, იმპორტის გადასახდელების თანხა ამავე კოდექსის მე-200 მუხლით გათვალისწინებული დროიდან განისაზღვრება ამ მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად გაანგარიშებულ თანხასა და ამავე კოდექსის 130-ე მუხლით გადახდილი იმპორტის გადასახდელების თანხას შორის სხვაობით.

მუხლი 132. საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონლის ან/და მისი მაკომპლექტებელი ნაწილების საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ გადამუშავება

1. საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმის გამოყენებისას ამ რეჟიმში მოქცეული საქონელი ან/და მისი მაკომპლექტებელი ნაწილები საბაჟო ორგანოსთან შეთანხმებით და ამ კოდექსის 127-ე მუხლის საფუძველზე განსაზღვრული ვადის ამოწურვამდე დაბრუნების პირობით გადამუშავებისათვის შეიძლება დროებით გატანილ იქნეს საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ.

2. თუ ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დროებით გატანილი საქონელი, რომელიც საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმში მოქცეული იყო იმპორტის გადასახდელების გადახდისაგან სრული გათავისუფლებით, ამ კოდექსის 127-ე მუხლის საფუძველზე განსაზღვრული ვადის ამოწურვამდე დაბრუნდა გადამუშავების პროდუქტის სახით და მოექცა იმავე საბაჟო რეჟიმში, მაშინ მის მიმართ საბაჟო ვალდებულება არ წარმოიშობა.

3. თუ ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დროებით გატანილი საქონელი, რომელიც საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმში მოქცეული იყო იმპორტის გადასახდელების გადახდისაგან ნაწილობრივი გათავისუფლებით, ამ კოდექსის 127-ე მუხლის საფუძველზე განსაზღვრული ვადის ამოწურვამდე დაბრუნდა გადამუშავების პროდუქტის სახით და მოექცა იმავე საბაჟო რეჟიმში, მაშინ დეკლარანტმა უნდა უზრუნველყოს წარდგენილი გარანტიის გაზრდა ამ კოდექსის 43-ე მუხლის პირველი ნაწილით განგარიშებული საბაჟო ღირებულების საქონელზე გადასახდელი იმპორტის გადასახდელების თანხის ოდენობით და ასეთ საბაჟო ღირებულებაზე ამ კოდექსის 130-ე მუხლის შესაბამისად გაანგარიშებული იმპორტის გადასახდელების თანხის გადახდა.

4. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული საქონლის დაბრუნებასთან დაკავშირებით (გარდა ამ მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული შემთხვევებისა) წარმოიშობა საბაჟო ვალდებულება ამ კოდექსის 131-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში და შესაბამისად გაანგარიშებული იმპორტის გადასახდელების თანხის ოდენობით.

თავი XX. საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავება

მუხლი 133. საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმის გამოყენება

1. თუ ამ კოდექსის 123-ე, 131-ე და 143-ე–146-ე მუხლებით სხვა რამ არ არის დადგენილი, საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმი საშუალებას იძლევა, საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ დროებით გატანილი საქართველოს საქონლის მიმართ გამოყენებულ იქნეს საქონლის გადამუშავების ერთი ან ერთზე მეტი

ოპერაცია და გადამუშავების პროდუქტის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას გაშვებულ იქნეს თავისუფალ მიმოქცევაში იმპორტის გადასახდელების (გარდა საბაჟო მოსაკრებლისა) გადახდისაგან სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლებით.

2. საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქართველოს საქონლის დროებითი გატანისას გადაიხდევინება ექსპორტის გადასახდელები და ტარდება სავაჭრო პოლიტიკის ღონისძიებები, ასევე ხორციელდება ის საბაჟო პროცედურები, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საქართველოს საქონლის ექსპორტისას.

3. საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმის გამოყენების წესები განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

მუხლი 134. საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმის გამოყენების შეზღუდვის პირობები

1. საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმი არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს საქართველოს საქონლის მიმართ, თუ:

ა) მისი გატანა გამოიწვევს მასზე გადახდილი საბაჟო გადასახადის დაბრუნებას ან ჩათვლას; *(29.12.2006 N4247)*

ბ) იგი გატანამდე მიზნობრივი დანიშნულებით და იმპორტის გადასახდელებზე შეღავათების გამოყენებით თავისუფალ მიმოქცეებაში იყო გაშვებული და ასეთი შეღავათების გამოყენების პირობა ძალაშია.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილის „ბ" ქვეპუნქტში აღნიშნული შემთხვევისაგან გამონაკლისს განსაზღვრავს საქართველოს ფინანსთა მინისტრი შესაბამისი ბრძანებით.

მუხლი 135. საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმის გამოყენების პირობები

საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმის გამოყენების პირობებია:

ა) გადამუშავების პროდუქტში საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოსაქცევი საქონლის იდენტიფიკაციის შესაძლებლობა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხდება გადამუშავების პროდუქტის შეცვლა უცხოური საქონლით;

ბ) დეკლარანტის მიერ დასაბუთებული მონაცემების წარდგენა:

ბ.ა) იმ პირის შესახებ, რომელიც უშუალოდ ახორციელებს საქონლის გადამუშავების ოპერაციებს;

ბ.ბ) საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოსაქცევი საქონლის, მისი გადამუშავების პროდუქტის, ნაშთებისა და ნარჩენების აღწერილობის, ხარისხისა და რაოდენობის შესახებ;

ბ.გ) საქონლის გადამუშავების ოპერაციების, მათი განხორციელების ვადებისა და საშუალებების შესახებ;

ბ.დ) გადამუშავების პროდუქტში საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოსაქცევი საქონლის იდენტიფიკაციის საშუალებების შესახებ;

ბ.ე) საქონლის გადამუშავების ვადების შესახებ;

ბ.ვ) გადამუშავების პროდუქტის გამოსავლიანობის ნორმის შესახებ;

ბ.ზ) გადამუშავების პროდუქტის უცხოური საქონლით შეცვლის შესახებ;

გ) დეკლარანტის მიერ საგადასახადო ან/და საბაჟო დავალიანების არქონა.

მუხლი 136. საქონლის იდენტიფიკაცია გადამუშავების პროდუქტებში

1. საქონლისა და განხორციელებული გადამუშავების ოპერაციების გათვალისწინებით

გადამუშავების პროდუქტებისა და გატანილი საქონლის იდენტიფიკაციისათვის დეკლარანტმა შესაძლებელია გამოიყენოს შემდეგი საშუალებები:

ა) საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოსაქცევი საქონლის მონიშვნა შტამპით, ციფრული ან სხვაგვარი მარკირებით;

ბ) საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოსაქცევი საქონლის დაწერილებითი აღწერა, მისი ფოტოგადაღება, მასშტაბურად გამოსახვა;

გ) საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოსაქცევი საქონლისა და მისი გადამუშავების პროდუქტის სინჯის ან/და ნიმუშის გამოკვლევის ან ანალიზის შედეგების შედარება;

დ) საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოსაქცევ საქონელზე მწარმოებლის მიერ დატანილი სერიული ნომრები ან სხვა მარკირება;

ე) დოკუმენტები, რომლებითაც დასტურდება საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმით გატანილ საქონელზე განხორციელებული გადამუშავების ოპერაციები;

ვ) იდენტიფიკაციის სხვა საშუალებები, რომლებიც ითვალისწინებს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას.

2. გადამუშავების პროდუქტებში საქონლის იდენტიფიკაციისათვის საბაჟო ორგანო უფლებამოსილია, აირჩიოს ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული და მისთვის მისაღები საშუალებები.

3. დეკლარანტის მოთხოვნითა და საბაჟო ორგანოს თანხმობით, საქონლის იდენტიფიკაცია შესაძლებელია უზრუნველყოფილ იქნეს საქონლის გადამუშავების ოპერაციაში გამოყენებული ნედლეულის, მასალებისა და მაკომპლექტებლების, აგრეთვე გადამუშავების პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიის შესახებ წარდგენილი დეტალური მონაცემების გამოკვლევით ან საქონლის გადამუშავების ოპერაციაზე საბაჟო კონტროლის განხორციელებით.

მუხლი 137. საქონლის გადამუშავების ვადები

1. საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმის გამოყენებისას დეკლარანტი საქონლის გადამუშავების ვადას განსაზღვრავს საბაჟო ორგანოსთან შეთანხმებით და იგი არ უნდა აღემატებოდეს 2 წელს.

2. საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების ვადა განისაზღვრება გადამუშავების პროცესის ხანგრძლივობისა და იმ დროის გათვალისწინებით, რომელიც საჭიროა გადამუშავების პროდუქტის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოსატანად.

3. დეკლარანტის მოტივირებული განცხადების საფუძველზე წინასწარ განსაზღვრული ვადა შესაძლებელია გაგრძელდეს ამ მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ვადის ფარგლებში.

4. საქონლის გადამუშავების ვადა აითვლება საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში საქონლის მოქცევის დღიდან, ხოლო საქონლის ცალკეულ სასაქონლო პარტიებად გატანისას – ამ საბაჟო რეჟიმში საქონლის პირველი პარტიის მოქცევის დღიდან.

5. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო უფლებამოსილია, საქონლის გადამუშავებასთან დაკავშირებული განსაზღვრული მოქმედებისათვის ან ცალკეული საქონლის გადამუშავებისათვის დაადგინოს კონკრეტული ვადები.

მუხლი 138. გამოსავლიანობის ნორმა და მისი გაანგარიშების მეთოდის განსაზღვრა

1. საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმის გამოყენებისათვის დეკლარანტი საბაჟო ორგანოსთან შეთანხმებით განსაზღვრავს გამოსავლიანობის ნორმას და საჭიროებისამებრ მისი გაანგარიშების მეთოდს იმ ფაქტობრივი პირობებიდან

გამომდინარე, რომლებშიც ხორციელდება საქონლის გადამუშავება, გარდა ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა.

2. დეკლარანტთან გადამუშავების პროდუქტის გამოსაყალიანობის ნორმის შეთანხმებისას საბაჟო ორგანო ითვალისწინებს საექსპერტო ორგანიზაციების (მათ შორის, საბაჟო ლაბორატორიების) დასკვნებს, რომლებიც ეფუძნება საქონლის გადამუშავების კონკრეტულ ტექნოლოგიურ პროცესს.

3. თუ საქონლის გადამუშავების ოპერაციას აქვს მუდმივი მახასიათებლები და იგი ხორციელდება განსაზღვრული ტექნიკური პირობების დაცვით, რომლის შედეგადაც იწარმოება იმავე ხარისხის გადამუშავების პროდუქტი, საქართველოს მთავრობის უფლებამოსილი, კომპეტენტური ორგანოები საბაჟო მიზნებიდან გამომდინარე ადგენენ გადამუშავების პროდუქტის გამოსაყალიანობის სტანდარტულ ნორმებს.

მუხლი 139. იმპორტის გადასახდელების გადახდისაგან სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლების პირობები

1. ამ კოდექსის 140-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული იმპორტის გადასახდელების (გარდა საბაჟო მოსაკრებლისა) გადახდისაგან სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმის გამოყენებისას შემოტანილი გადამუშავების პროდუქტი დეკლარირებულია თავისუფალ მიმოქცევაში გასაშვებად:

ა) საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მომქცევი დეკლარანტის მიერ;

ბ) ნებისმიერი რეზიდენტის მიერ, თუ მას თანხმობა მისცა საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მომქცევმა დეკლარანტმა, და საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმის გამოყენების პირობები შესრულებულია.

2. საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმის გამოყენებისას შემოტანილი გადამუშავების პროდუქტი იმპორტის გადასახდელების გადახდისაგან სრულად ან ნაწილობრივ არ თავისუფლდება, თუ არ შესრულდა საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმთან დაკავშირებული ყველა პირობა ან ვალდებულება.

მუხლი 140. გადამუშავების პროდუქტის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას საბაჟო ვალდებულების განსაზღვრა

1. თუ საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონლის გადამუშავების შედეგად მიღებული გადამუშავების პროდუქტის ამ კოდექსის 133-ე მუხლით გათვალისწინებული იმპორტის გადასახდელების გადახდისაგან სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლებით საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას წარმოიშვა საბაჟო ვალდებულება (გარდა ამ კოდექსის 141-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა), გადასახდელი თანხა განისაზღვრება ამ კოდექსის 43-ე მუხლის პირველი ნაწილით გაანგარიშებული გადამუშავების პროდუქტის საბაჟო ღირებულების საფუძველზე გადასახდელი იმპორტის გადასახდელების თანხის ოდენობით.

2. ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული გადასახდელი თანხის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნეს საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონლის და მისგან მიღებული გადამუშავების პროდუქტის სახეობა და რაოდენობა, აგრეთვე გადამუშავების პროდუქტის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების საბაჟო დეკლარაციის დღეს მოქმედი იმპორტის გადასახდელების განაკვეთები.

მუხლი 141. საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონლის უსასყიდლოდ გადამუშავება

1. თუ დეკლარანტი დაადასტურებს, რომ საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონლის გადამუშავება განხორციელდა უსასყიდლოდ (კონტრაქტის ან საგარანტიო ვალდებულებების საფუძველზე, ასევე საწარმოო დეფექტის გამო), მაშინ გადამუშავების პროდუქტის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას იგი თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებული უნდა იქნეს იმპორტის გადასახდელების გადახდისაგან სრულად გათავისუფლებით.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული შეღავათი არ ვრცელდება გადამუშავების პროდუქტის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას, თუ საქონლის საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოქცევამდე საწარმოო დეფექტი გათვალისწინებული იყო მისი თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისას.

მუხლი 142. საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონლის გადამუშავება კომპენსაციის გადახდით

თუ საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონლის გადამუშავება ხორციელდება შესაბამისი კომპენსაციის გადახდით, გადამუშავების პროდუქტის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას იგი თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებული უნდა იქნეს იმპორტის გადასახდელების გადახდისაგან ნაწილობრივ გათავისუფლებით. ასეთ შემთხვევაში საბაჟო ვალდებულება განისაზღვრება ამ კოდექსის 140-ე მუხლის შესაბამისად.

მუხლი 143. სტანდარტული გაცვლის სისტემა

1. ამ კოდექსის 143-ე–146-ე მუხლების გამოყენებისას სტანდარტული გაცვლის სისტემა საშუალებას იძლევა, საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონლის გადამუშავების შედეგად მისაღები გადამუშავების პროდუქტი შეიცვალოს უცხოური საქონლით (შემდგომში – შემცვლელი პროდუქტი).

2. საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმის გამოყენებისას დეკლარანტის მოტივირებული განცხადების საფუძველზე საბაჟო ორგანო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება სტანდარტული გაცვლის სისტემის გამოყენების შესახებ.

3. საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმის გამოყენებისას დეკლარანტის მოტივირებული განცხადების საფუძველზე საბაჟო ორგანო უფლებამოსილია საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონლის გადასამუშავებლად გატანამდე მიიღოს გადაწყვეტილება შემცვლელი პროდუქტის შემოტანაზე (შემდგომში – წინასწარ შემოტანა).

4. საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონლის გადამუშავების შედეგად მისაღებ გადამუშავების პროდუქტთან დაკავშირებული, ამ თავით გათვალისწინებული დებულებები ვრცელდება აგრეთვე შემცვლელ პროდუქტზე.

მუხლი 144. შემცვლელი პროდუქტის სტანდარტული გაცვლის სისტემის გამოყენების პირობები

1. შემცვლელ პროდუქტს უნდა ჰქონდეს ისეთივე საქონლის კოდი, ხარისხი და ტექნიკური მაჩვენებლები, როგორიც ექნებოდა საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონლის გადამუშავების შედეგად მიღებულ გადამუშავების პროდუქტს.

2. შემცვლელი პროდუქტის სტანდარტული გაცვლის სისტემის გამოყენება ნებადართულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დეკლარანტი საბაჟო ორგანოს დაუდასტურებს ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებას.

მუხლი 145. შემცველი პროდუქტის წინასწარ შემოტანისას გარანტიის წარდგენა და საქონლის გატანის ვადები

1. შემცველი პროდუქტის წინასწარ შემოტანიდან (თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებიდან) საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანამდე დეკლარანტმა უნდა განახორციელოს საგარანტიო უზრუნველყოფა იმპორტის გადასახდელების თანხის იმ ოდენობით, რომელიც გადაიხდეინებოდა საქონლის (შემცველი პროდუქტის) თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების დღეს. ამ შემთხვევაში საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანის ვადა, რომელიც აითვლება საბაჟო ორგანოს მიერ შემცველი პროდუქტის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღიდან, არ უნდა აღემატებოდეს 2 თვეს.

2. დეკლარანტის დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე საბაჟო ორგანო უფლებამოსილია საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმის ამ მუხლის პირველ ნაწილში მითითებული ვადა გააგრძელოს 1 თვით.

მუხლი 146. შემცველი პროდუქტის წინასწარ შემოტანისას იმპორტის გადასახდელების გაანგარიშება

თუ ამ კოდექსის 141-ე მუხლით სხვა რამ არ არის დადგენილი, შემცველი პროდუქტის წინასწარ შემოტანისას საბაჟო ვალდებულება წარმოიშობა:

ა) საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან დადგენილ ვადებში გატანისას და გადასახდელი იმპორტის გადასახდელები გაიანგარიშება ამ კოდექსის 140-ე მუხლის შესაბამისად;

ბ) საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმის დარღვევისას და გადასახდელი იმპორტის გადასახდელები გაიანგარიშება შემცველი პროდუქტის სახეობის, რაოდენობისა და საბაჟო ღირებულების გათვალისწინებით, მისი თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღეს მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის დებულებათა შესაბამისად.

თავი XXI. საქონლის ექსპორტი

მუხლი 147. საქონლის ექსპორტის საბაჟო რეჟიმის გამოყენება

1. საქონლის ექსპორტის საბაჟო რეჟიმი საშუალებას იძლევა, საქართველოს საქონელი გატანილ იქნეს საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ, თუ გატარდება სავაჭრო პოლიტიკის ღონისძიებები და განსაზღვრულ შემთხვევებში გადაიხდება ექსპორტის გადასახდელები.

2. საქართველოს საქონელი, რომლის გატანა განზრახულია საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ, უნდა მოექცეს საქონლის ექსპორტის საბაჟო რეჟიმში, გარდა იმ საქონლისა, რომელიც მოქცეულია საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში.

3. საქონლის ექსპორტის საბაჟო რეჟიმში დეკლარირებული საქონელი გატანილი უნდა იქნეს საქონლის ექსპორტის საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღიდან 30 კალენდარულ დღეში, თუ საბაჟო კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი. ამ ვადის დარღვევის შემთხვევაში დეკლარანტი ვალდებულია 5 კალენდარულ დღეში საბაჟო ორგანოს წარუდგინოს შუამდგომლობა საბაჟო დეკლარაციის გაუქმების შესახებ ან შუამდგომლობა საქონლის გასატანად დადგენილი ვადის 10 კალენდარული დღით გაგრძელების თაობაზე. საქონლის გატანასა და საბაჟო პროცედურების შესრულებაზე პასუხისმგებე-

ლია დეკლარანტი.

4. საქონლის ექსპორტის საბაჟო რეჟიმში დეკლარირებული საქონელი საბაჟო ზედამხედველობას ექვემდებარება საქონლის ექსპორტის საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღიდან საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საქონლის გატანამდე.

5. საქონლის ექსპორტის საბაჟო რეჟიმის გამოყენების წესები განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

მუხლი 148. საქონლის ექსპორტის საბაჟო რეჟიმის გამოყენების პირობა

საქონლის ექსპორტის საბაჟო რეჟიმი გამოიყენება, თუ საქონელი საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანისას იყო ისეთივე მდგომარეობაში, როგორშიც ექსპორტის საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღეს.

თავი XXII. თავისუფალი ზონა და თავისუფალი საწყობი

მუხლი 149. თავისუფალი ზონისა და თავისუფალი საწყობის არსი

თავისუფალი ზონა ან თავისუფალი საწყობი არის საქართველოს საბაჟო ტერიტორიის ნაწილი, სადაც განლაგებული შენობა-ნაგებობები გამოიყენება მხოლოდ თავისუფალი ზონის ან თავისუფალი საწყობის საქმიანობისათვის და სადაც:

ა) იმპორტის გადასახდელების გადახდისათვის და სავაჭრო პოლიტიკის ღონისძიებების გატარებისათვის უცხოური საქონელი არ ითვლება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილად, თუ არ ხდება მისი თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება, სხვა საბაჟო რეჟიმში მოქცევა, მოხმარება ან/და გამოყენება საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

ბ) საქართველოს საქონლის მოთავსებისას გამოიყენება საბაჟო კანონმდებლობის ისეთივე ნორმები, როგორიც გამოიყენება მსგავსი საქონლის მოქცევისას საქონლის ექსპორტის საბაჟო რეჟიმში.

მუხლი 150. თავისუფალი ზონის შექმნა და თავისუფალი საწყობის მოწყობა

1. თავისუფალი ზონის შექმნა და თავისუფალი საწყობის მოწყობა შესაძლებელია საბაჟო ტერიტორიის ფარგლებში ნავსადგურში ან აეროპორტში ანდა იმ სატრანსპორტო კვანძის მიმდებარე ტერიტორიაზე, რომელიც უშუალოდ ესაზღვრება საქართველოს საბაჟო საზღვარს. თავისუფალი ზონის შექმნა და თავისუფალი საწყობის მოწყობა გათვალისწინებულია განსაზღვრული ვადით.

2. დაინტერესებული პირის განცხადების და შესაბამისი გარანტიის წარდგენის საფუძველზე თავისუფალი ზონის შექმნისა და თავისუფალი საწყობის მოწყობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს მთავრობა.

3. თავისუფალი ზონა ან თავისუფალი საწყობი უნდა იყოს შემოსაზღვრული და შესაბამისად მონიშნული.

4. თავისუფალ ზონაში ან თავისუფალ საწყობში ან/და მის ნაწილში უნდა განისაზღვროს შესასვლელი და გამოსასვლელი, რათა თავიდან იქნეს აცილებული საქონლის სხვა ადგილებიდან შეტანა ან გატანა, და პერიმეტრის ზღუდე.

5. წარსადგენი გარანტიის ოდენობას, თავისუფალი ზონის შექმნისა და თავისუფალი საწყობის მოწყობის პირობებს, მათი ფუნქციონირების, საქონლის შენახვისა და საბაჟო კონტროლის წესებს განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა შესაბამისი დადგენილებით.

მუხლი 151. თავისუფალ ზონასა და თავისუფალ საწყობში საბაჟო კონტროლის განხორციელება

1. თავისუფალი ზონისა და თავისუფალი საწყობის შესასვლელებსა და გამოსასვლელებზე

თავისუფალი ზონისა და თავისუფალი საწყობის საზღვრებზე (პერიმეტრის ზღუდეზე) კონტროლს ახორციელებს საბაჟო ორგანო.

2. საბაჟო ორგანო უფლებამოსილია:

ა) განახორციელოს კონტროლი თავისუფალი ზონის ან თავისუფალი საწყობის პერიმეტრში პირის, საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების გადაადგილებასა და საქონლის შენახვაზე;

ბ) აკრძალოს თავისუფალ ზონაში ან თავისუფალ საწყობში იმ პირის შესვლა და საქმიანობა, რომელიც ვერ უზრუნველყოფს საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნათა სათანადოდ შესრულებას;

გ) მოითხოვოს და მიიღოს თავისუფალ ზონაში ან თავისუფალ საწყობში არსებული საქონლის დოკუმენტების ასლები;

დ) ნებისმიერ დროს დაათვალიეროს თავისუფალ ზონაში ან თავისუფალ საწყობში შენახული საქონელი.

მუხლი 152. თავისუფალ ზონაში და თავისუფალ საწყობში საქონლის შეტანა

1. თავისუფალ ზონაში ან თავისუფალ საწყობში დასაშვებია:

ა) ამ კოდექსის 149-ე მუხლის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქართველოს საქონლის შეტანა;

ბ) საქართველოს საქონლის შეტანა, რომელიც გათვალისწინებული არ არის ამ ნაწილის „ა" ქვეპუნქტით და რომელიც არ გაართულებს საბაჟო კონტროლის განხორციელებას;

გ) უცხოური საქონლის შეტანა.

2. თუ თავისუფალ ზონაში ან თავისუფალ საწყობში შეიტანება ისეთი საქონელი, რომელმაც შეიძლება დააზიანოს სხვა საქონელი, საბაჟო ორგანო უფლებამოსილია მოითხოვოს ასეთი საქონლის მოთავსება სპეციალურად მოწყობილ შენობაში.

მუხლი 153. საქონლის წარდგენა და დეკლარირება

1. თავისუფალ ზონაში ან თავისუფალ საწყობში შესატან საქონელზე საბაჟო დეკლარაციის წარდგენა არ არის სავალდებულო, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი.

2. თავისუფალ ზონაში ან თავისუფალ საწყობში შესატანი საქონელი ექვემდებარება წარდგენას და საბაჟო პროცედურების განხორციელებას, თუ:

ა) იგი მოქცეული იყო საბაჟო რეჟიმში, რომელიც დასრულდა თავისუფალ ზონაში ან თავისუფალ საწყობში საქონლის შეტანით. ამასთანავე, საქონლის წარდგენა არ არის სავალდებულო, თუ საბაჟო რეჟიმის მარეგულირებელი საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებულია საქონლის საბაჟო ორგანოში წარდგენის ვალდებულებისაგან გათავისუფლება;

ბ) იგი მოთავსებულ იქნა თავისუფალ ზონაში ან თავისუფალ საწყობში იმპორტის გადასახდელების დაბრუნების ან მათი გადახდისაგან გათავისუფლების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე;

გ) მის მიმართ გამოიყენება ექსპორტის საბაჟო რეჟიმში მსგავსი საქონლის მოქცევისას გათვალისწინებული ღონისძიებები.

3. საბაჟო ორგანო უფლებამოსილია მოითხოვოს, აცნობონ იმ საქონლის შესახებ, რომელიც ექვემდებარება ექსპორტის გადასახდელების გადახდას ან რომლის მიმართაც საქონლის ექსპორტის საბაჟო რეჟიმის შემთხვევაში ტარდება სავაჭრო პოლიტიკის ღონისძიებები.

4. დაინტერესებული პირის შუამდგომლობის საფუძველზე საბაჟო ორგანო ვალდებულია წერილობით დაადასტუროს თავისუფალ ზონაში ან თავისუფალ საწყობში მოთავსებული საქონლის სტატუსი.

მუხლი 154. თავისუფალ ზონაში ან თავისუფალ საწყობში საქონლის შენახვის ვადები

1. თავისუფალ ზონაში ან თავისუფალ საწყობში საქონლის შენახვის ვადა არ არის შეზღუდული.

2. ამ კოდექსის 149-ე მუხლის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში თავისუფალ ზონაში ან თავისუფალ საწყობში საქონლის შენახვის ვადები შეიძლება განსაზღვროს საქართველოს მთავრობამ შესაბამისი დადგენილებით.

მუხლი 155. თავისუფალ ზონასა და თავისუფალ საწყობში ნებადართული საქმიანობა

1. საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებულ პირობებში თავისუფალ ზონასა და თავისუფალ საწყობში დასაშვებია ნებისმიერი საქონლის წარმოება ან მომსახურების გაწევა, გარდა ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა. ასეთი საქმიანობის განხორციელების შესახებ წინასწარ უნდა ეცნობოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს. *(29.12.2006 N4256)*

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული საქმიანობა უარყოფითად არ უნდა მოქმედებდეს თავისუფალ ზონაში ან თავისუფალ საწყობში ადამიანთა ჯანმრთელობასა და უსაფრთხოების ნორმებზე.

3. საბაჟო ზედამხედველობის განხორციელების მიზნით თავისუფალ ზონასა და თავისუფალ საწყობში ნებადართული საქმიანობის სახეობაზე საქართველოს მთავრობამ შესაბამისი დადგენილებით შეიძლება დააწესოს აკრძალვები ან შეზღუდვები.

მუხლი 156. თავისუფალ ზონაში ან თავისუფალ საწყობში მოთავსებული უცხოური საქონელი

1. თავისუფალ ზონაში ან თავისუფალ საწყობში მოთავსებული უცხოური საქონელი მისი შენახვის პერიოდში შეიძლება:

ა) გაშვებულ იქნეს თავისუფალ მიმოქცევაში საქონლის იმპორტის საბაჟო რეჟიმის ან ამ კოდექსის 162-ე მუხლის შესაბამისად;

ბ) მოექცეს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში ამავე რეჟიმით განსაზღვრული პირობების შესაბამისად;

გ) მოექცეს საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმში ამავე რეჟიმით განსაზღვრული პირობების შესაბამისად;

დ) გადაეცეს სახელმწიფოს საკუთრებაში ამ კოდექსის 168-ე მუხლის შესაბამისად;

ე) განადგურდეს საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ ამ კოდექსის 167-ე მუხლის შესაბამისად.

2. საბაჟო ორგანოსთან შეთანხმების გარეშე თავისუფალ ზონაში ან თავისუფალ საწყობში შესანახად მოთავსებული უცხოური საქონლის მიმართ მისი შენახვის პერიოდში შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ ამ კოდექსის 111-ე მუხლით გათვალისწინებული მოქმედებები.

მუხლი 157. თავისუფალ ზონაში ან თავისუფალ საწყობში მოთავსებული საქართველოს საქონელი

ამ კოდექსის 149-ე მუხლის „ბ" ქვეპუნქტით განსაზღვრული და შესანახად განკუთვნილი საქართველოს საქონლის მიმართ საბაჟო ორგანოსთან შეთანხმების გარეშე დასაშვებია განხორციელდეს მხოლოდ ამავე კოდექსის 111-ე მუხლით გათვალისწინებული მოქმედებები.

მუხლი 158. საქონლის გამოყენება ან/და მოხმარება

1. ამ კოდექსის 156-ე და 157-ე მუხლებით განსაზღვრული შემთხვევების გარდა, თავისუფალ ზონაში ან თავისუფალ საწყობში მოთავსებული უცხოური საქონლისა და ამავე კოდექსის 149-ე მუხლის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქართველოს საქონლის გამოყენება ან/და მოხმარება აკრძალულია.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილი არ ერცელდება იმ საქონლის გამოყენებაზე ან/და მოხმარებაზე, რომლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება ან დროებით შემოტანა არ ითვალისწინებს იმპორტის გადასახდელების გადახდას ან სავაჭრო პოლიტიკის არასატარიფო ღონისძიებების გატარებას. ასეთ შემთხვევაში საჭირო არ არის საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების ან დროებითი შემოტანის საბაჟო დეკლარაციის წარდგენა.

3. თავისუფალ ზონაში ან თავისუფალ საწყობში საქონლის საცალო გაყიდვა აკრძალულია, გარდა ამ ადგილებში მომუშავე დაქირავებულ პირთა საკუთრებით უზრუნველყოფისა.

მუხლი 159. თავისუფალ ზონასა და თავისუფალ საწყობში აღრიცხვის წარმოება

1. პირი, რომელიც თავისუფალ ზონაში ან თავისუფალ საწყობში მონაწილეობს საწყობში საქონლის მოთავსებაში, დამუშავებაში ან გადამუშავებაში, ყიდვასთან ან გაყიდვასთან დაკავშირებულ საქმიანობაში, ვალდებულია აწარმოოს საწყობის აღრიცხვა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ დამტკიცებული ფორმით.

2. ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული პირის მიერ საწყობში საქონლის შეტანისას იგი დაუყოვნებლივ უნდა აღირიცხოს საწყობის აღრიცხვის დოკუმენტში.

3. საწყობის აღრიცხვის დოკუმენტი ხელმისაწვდომი უნდა იყოს საბაჟო ორგანოსათვის, რომელიც ახორციელებს საქონლის იდენტიფიკაციას და აღრიცხავს საქონლის მოძრაობას.

მუხლი 160. თავისუფალი ზონის ან თავისუფალი საწყობის საქმიანობის შეწყვეტა

თავისუფალი ზონის ან თავისუფალი საწყობის საქმიანობა წყდება ამ საქმიანობის ვადის გასვლისთანავე ან საქართველოს მთავრობის განკარგულებით ვადაზე ადრე, თუ თავისუფალი ზონა ან თავისუფალი საწყობი აღარ შეესაბამება საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს ან აღნიშნული მოთხოვნები არ სრულდება.

მუხლი 161. თავისუფალი ზონიდან ან თავისუფალი საწყობიდან საქონლის გატანის პირობები

1. თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი, თავისუფალი ზონიდან ან თავისუფალი საწყობიდან გასატანი საქონელი შეიძლება:

ა) გატანილ იქნეს საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან;

ბ) გადატანილ იქნეს საქართველოს საბაჟო ტერიტორიის სხვა ადგილზე.

2. საქართველოს საბაჟო ტერიტორიის სხვა ადგილზე გადატანილი საქონლის მიმართ გამოიყენება ამ კოდექსის 44-ე–61-ე მუხლების დებულებები, გარდა საქართველოს საქონელთან დაკავშირებული, ამ კოდექსის 53-ე–56-ე და 61-ე მუხლების დებულებებისა.

3. ამ მუხლის მე-2 ნაწილი არ ვრცელდება იმ საქონელზე, რომლის გატანა თავისუფალი ზონიდან ხდება საზღვაო ან საჰაერო გზით მის მიმართ საბაჟო რეჟიმის გამოყენების გარეშე.

მუხლი 162. საბაჟო ვალდებულებისა და საბაჟო ღირებულების განსაზღვრის სპეციალური დებულებები

1. თუ საბაჟო ვალდებულება წარმოიშობა საბაჟო ტერიტორიის სხვა ადგილზე გადატანილი საქონლის მიმართ და ამ საქონლის საბაჟო ღირებულება გაანგარიშებულია გარიგების ფასის მიხედვით, რომელიც მოიცავს თავისუფალ ზონაში საქონლის ყოფნის დროს საწყობში საქონლის მოთავსების ან შენახვის საზღაურს, ასეთი საზღაური არ უნდა შედიოდეს საბაჟო ღირებულებაში, თუ იგი ნაჩვენებია გარიგების ფასისაგან დამოუკიდებლად.

2. ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული იმ საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრისას, რომლის მიმართაც განხორციელდა ამ კოდექსის 111-ე მუხლში აღნიშნული მოქმედებები, დეკლარანტის შუამდგომლობის საფუძველზე და იმ შემთხვევაში, თუ ეს

მოქმედებები განხორციელდა საბაჟო ორგანოს თანხმობით, საქონლის სახეობა, ღირებულება და რაოდენობა განისაზღვრება ამავე კოდექსის მე-200 მუხლის შესაბამისად და იმ პირობით, რომ მის მიმართ არ განხორციელებულა 111-ე მუხლში აღნიშნული მოქმედებები.

მუხლი 163. ოპერაციები თავისუფალ ზონაში ან თავისუფალ საწყობში მოთავსებული საქართველოს საქონლის მიმართ

1. საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად ამ კოდექსის 149-ე მუხლის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქართველოს საქონლის მიმართ ტარდება ისეთივე საბაჟო ღონისძიებები, როგორიც გამოიყენება საქონლის ექსპორტის საბაჟო რეჟიმში მოქცეული მსგავსი საქონლის მიმართ.

2. თუ ამ კოდექსის 149-ე მუხლის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქართველოს საქონელი დაბრუნდა საქართველოს საბაჟო ტერიტორიის სხვა ადგილზე ან ამავე კოდექსის 154-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად განსაზღვრულ ვადაში არ იქნა წარმოდგენილი შუამდგომლობა საქონლისათვის საბაჟო დამუშავების ოპერაციის სახის განსაზღვრის მოთხოვნით ამ მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, იგი ექვემდებარება დაკავებას.

მუხლი 164. საქონლის საბაჟო სტატუსი

1. თუ საქონელი შეტანილია ან დაბრუნებულია საქართველოს საბაჟო ტერიტორიის სხვა ადგილზე ანდა მოქცეულია საბაჟო რეჟიმში, საქონლის საბაჟო სტატუსის დასამოწმებლად გამოიყენება ამ კოდექსის 153-ე მუხლის მე-4 ნაწილში აღნიშნული წერილობითი შეტყობინება.

2. თუ საბაჟო ორგანოს წერილობითი შეტყობინებით არ მტკიცდება, რომ საქონელს აქვს საქართველოს ან უცხოური საქონლის სტატუსი, საქონელი განიხილება, როგორც:

ა) საქართველოს საქონელი ექსპორტის გადასახდელების გადახდისა და სავაჭრო პოლიტიკის სხვა ღონისძიებების გატარების მიზნებისათვის;

ბ) უცხოური საქონელი, გარდა ამ ნაწილის „ა" ქვეპუნქტში აღნიშნული შემთხვევებისა.

მუხლი 165. საქონლის გატანისას საბაჟო ორგანოს ვალდებულება

საბაჟო ორგანო ვალდებულია თავისუფალი ზონიდან ან თავისუფალი საწყობიდან საქონლის გატანისას განახორციელოს კონტროლი საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმების დაცვაზე.

თავი XXIII. საქონლის რეექსპორტი, მისი განადგურება საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ და საქონლის გადაცემა სახელმწიფო საკუთრებაში

მუხლი 166. საქონლის რეექსპორტი

1. საქონლის რეექსპორტის საბაჟო დამუშავების ოპერაცია საშუალებას იძლევა, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი საქონელი გატანილ იქნეს საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ საბაჟო გადასახდელების (გარდა საბაჟო მოსაკრებლისა) გადახდისაგან გათავისუფლებით ან გადახდილი თანხის (გარდა საბაჟო მოსაკრებლისა) დაბრუნებით ან ჩათვლით, თუ ასეთი გათავისუფლება, დაბრუნება ან ჩათვლა გათვალისწინებულია იმ საბაჟო რეჟიმის მოქმედების დასრულებისას, რომელშიც მოქცეული იყო საქონელი საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე.

2. საქონლის რეექსპორტის საბაჟო დამუშავების ოპერაციას შესაძლებელია დაექვემდებაროს უცხოური საქონელი და ნებისმიერ საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონელი, რომლის მიმართაც ამ კოდექსით დადგენილი წესით დასრულებულია საბაჟო რეჟიმის მოქმედება.

3. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ განსაზღვრულ შემთხვევებში საქონლის რეექსპორტის საბაჟო დამუშავების ოპერაცია ხორციელდება საბაჟო ორგანოს წინასწარი შეტყობინებით. თუ განზრახულია საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის, საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების ან საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონლის რეექსპორტი, საბაჟო ორგანოს წარედგინება საბაჟო დეკლარაცია.

4. თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებული საქონელი, რომელსაც დადგენილია, რომ აქვს დეფექტი ან მისი რაოდენობა, ხარისხი, შეფუთვა ან აღწერილობა არ შეესაბამება საგარეო-ეკონომიკურ გარიგებას და ამ მიზეზით იგი უბრუნდება მომწოდებელს ან მის მიერ მითითებულ სხვა პირს, შესაძლებელია რეექსპორტირებულ იქნეს, თუ იგი:

ა) არ გამოიყენებოდა და მისი გადამუშავება არ განხორციელებულა საქართველოს ტერიტორიაზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საქონლის გამოყენება დაკავშირებული იყო დეფექტის ან სხვა გარემოებების აღმოჩენასთან, რამაც გამოიწვია საქონლის დაბრუნება;

ბ) შეიძლება იდენტიფიცირებულ იქნეს საბაჟო ორგანოს მიერ;

გ) თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების დღიდან 6 თვეში გატანილ იქნება საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან.

5. ამ მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად საქონლის რეექსპორტისას ხორციელდება გადახდილი საბაჟო გადასახდელების (გარდა საბაჟო მოსაკრებლისა) დაბრუნება.

6. საქონლის რეექსპორტის გამოყენების წესს განსაზღვრავს საქართველოს ფინანსთა მინისტრი შესაბამისი ბრძანებით.

მუხლი 167. საქონლის განადგურება საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ

1. საბაჟო ორგანოსთან შეთანხმებით უცხოური საქონელი შეიძლება განადგურდეს საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ, რისთვისაც საქონლის მესაკუთრე ან/და მფლობელი (მათ შორის, საბაჟო საწყობის მფლობელი) საბაჟო ორგანოს წარუდგენს წერილობით შუამდგომლობას და ახორციელებს ზოგად დეკლარირებას. იმისათვის, რომ საქონლის განადგურებამ მნიშვნელოვანი ზიანი არ მიაყენოს გარემოს ან/და პირდაპირი ან პოტენციური საფრთხე არ შეუქმნას ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, საქონლის განადგურება დასაშვებია მხოლოდ გარემოს დაცვის ორგანოებთან შეთანხმებით.

2. არ შეიძლება განადგურდეს:

ა) კულტურული ფასეულობები;

ბ) გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ცხოველთა და მცენარეთა სახეობები, ასევე მათი ნაწილები და წარმოშობის წყაროები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათი განადგურება ნებადართულია ეპიდემიისა და ეპიზოოტიის შეჩერების მიზნით;

გ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ჩამორთმეული საქონელი ან საქონელი, რომელსაც ყადაღა აქვს დადებული, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მისი განადგურება ნებადართულია ეპიდემიისა და ეპიზოოტიის შეჩერების მიზნით ან როდესაც იგი პირდაპირ ან პოტენციურ საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

3. საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ საქონლის განადგურება ხდება მხოლოდ განმცხადებლის (საქონლის მესაკუთრის ან/და მფლობელის) ხარჯით. განადგურების შედეგად მიღებული ნებისმიერი ნარჩენის ან ჯართის მიმართ გამოიყენება საბაჟო დამუშავების შესაბამისი ოპერაცია. ნარჩენი ან ჯართი საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ რჩება ამ კოდექსის 44-ე მუხლის მე-2 ნაწილში აღნიშნულ მოქმედებათა განხორციელებამდე.

4. საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მყოფი საქონლის განადგურების წესს განსაზღვრავს საქართველოს ფინანსთა მინისტრი შესაბამისი ბრძანებით.

მუხლი 168. საქონლის გადაცემა სახელმწიფო საკუთრებაში

1. საბაჟო ორგანოსთან შეთანხმებით უცხოური საქონელი შეიძლება გადაცემულ

იქნეს სახელმწიფო საკუთრებაში, რისთვისაც საქონლის მფლობელი საბაჟო ორგანოს წარუდგენს საქონლის მესაკუთრესთან შეთანხმებულ წერილობით შუამდგომლობას.

2. საქონლის გადაცემა სახელმწიფო საკუთრებაში ხდება იმპორტის გადასახდელების გადახდის გარეშე, საქონლის მფლობელის ხარჯით.

3. სახელმწიფო საკუთრებაში საქონლის გადაცემის წესს განსაზღვრავს საქართველოს ფინანსთა მინისტრი შესაბამისი ბრძანებით.

კარი VI
საქონელი, რომელიც გაიტანება საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან

თავი XXIV. საქონელი, რომელიც გაიტანება საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან

მუხლი 169. საბაჟო ზედამხედველობა საქონელზე, რომელიც გაიტანება საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან

1. საქონელი, რომელიც გაიტანება საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან, ექვემდებარება საბაჟო ზედამხედველობას. საბაჟო ორგანო უფლებამოსილია აღნიშნულ საქონელზე განახორციელოს საბაჟო კონტროლი.

2. საქონლის გატანა საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან ხორციელდება შესაბამისი საბაჟო პროცედურების დაცვით, ამ კოდექსის 45-ე მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული ადგილების გავლითა და საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრული საბაჟო მარშრუტით.

3. თუ წარმოიშვა ეჭვი საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საქონლის გატანაზე ან საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანილ საქონელზე დეკლარირებული მონაცემების უტყუარობის თაობაზე, საბაჟო ორგანო უფლებამოსილია მტკიცებულებად ჩათვალოს დოკუმენტი ან დეკლარაცია, რომელიც გასცა სხვა ქვეყნის საბაჟო ორგანომ და ადასტურებს საქართველოდან გატანილი საქონლის ამ ქვეყანაში შეტანის რეგისტრაციას.

კარი VII
საბაჟო შეღავათები (პრეფერენციები)

თავი XXV. საბაჟო შეღავათები (პრეფერენციები)

მუხლი 170. საქონლის გათავისუფლება საბაჟო გადასახდელებისაგან

1. საბაჟო გადასახდელებისაგან საქონლის გათავისუფლების შემთხვევებს განსაზღვრავს საქართველოს პარლამენტი რატიფიცირებული და ძალაში შესული საერთაშორისო ხელშეკრულებებით, საქართველოს საგადასახადო კოდექსითა და „საბაჟო მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონით. *(29.12.2006 N4247)*

2. საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციიდან 3 კალენდარული წლის განმავლობაში დაუშვებელია მიზნობრივი დანიშნულებით და იმპორტის გადასახდელებზე შეღავათების გამოყენებით შემოტანილი საქონლის სხვა მიზნით გასხვისება, დაგირავება, გასესხება ან სხვა დავალიანების დაფარვის უზრუნველსაყოფად მისი გადაცემა, აგრეთვე სხვა პირის სარგებლობაში გადაცემა ან გამოყენება. იმპორტის გადასახდელების გადახდის შემთხვევაში ზემოაღნიშნული შეზღუდვა არ გაერცელდება.

მუხლი 171. დაბრუნებული საქონლის დაბეგვრა

1. საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანილი საქართველოს საქონლის, რომელიც საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციიდან 3 კალენდარული წლის ვადაში უცვლელ მდგომარეობაში დაუბრუნდა დეკლარანტს, რაც დასტურდება მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენ-

ტებით, შემოტანა საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე არ ჩაითვლება საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების (იმპორტის) საბაჟო რეჟიმში მოქცევად და, შესაბამისად, მასზე არ გადაიხდევინება იმპორტის გადასახდელები (გარდა საბაჟო მოსაკრებლისა).

2. საბაჟო ორგანო უფლებამოსილია საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებსა და დეკლარანტის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული ვადა გააგრძელოს ერთი კალენდარული წლით.

3. თუ საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საქონლის გატანამდე იგი გაშვებულ იქნა თავისუფალ მიმოქცევაში მიზნობრივი დანიშნულებით და იმპორტის გადასახდელებზე შეღავათების გამოყენებით, ამ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული გადასახდელების გადახდისაგან გათავისუფლება დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დაბრუნებული საქონელი შემოტანილია საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე უცვლელ მდგომარეობაში და იმავე მიზნით.

4. თუ ამ მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონელი სხვა მიზნითაა შემოტანილი, ამ საქონლის იმპორტის გადასახდელების ოდენობა უნდა შემცირდეს იმ ოდენობით, რომელიც გადახდილი იყო თავისუფალ მიმოქცევაში საქონლის პირველად გაშვებისას.

5. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული იმპორტის გადასახდელების გადახდისაგან არ თავისუფლდება საქონელი:

ა) რომელიც გატანილი იყო საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმის შესაბამისად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამ საქონლის მდგომარეობა არ შეიცვალა მისი საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანის შემდეგ;

ბ) რომლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანისას ტარდება სავაჭრო პოლიტიკის ღონისძიებები.

6. ამ მუხლით განსაზღვრული იმპორტის გადასახდელების გადახდისაგან გათავისუფლება დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქონელი საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე დაბრუნებულია იმავე მდგომარეობაში, როგორშიც იგი იყო საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანისას.

მუხლი 172. დაბრუნებული გადამუშავების პროდუქტის დაბეგვრა

1. გადამუშავების პროდუქტზე, რომელიც საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმის გამოყენების შემდეგ გატანილ იქნა საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან და უცვლელ მდგომარეობაში ბრუნდება, ვრცელდება ამ კოდექსის 171-ე მუხლის დებულებები.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში იმპორტის გადასახდელების ოდენობა განისაზღვრება საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმის მარეგულირებელი დებულებების საფუძველზე.

მუხლი 173. საზღვაო თევზჭერის პროდუქტებისა და ზღვის სხვა პროდუქტების გათავისუფლება იმპორტის გადასახდელებისაგან

თუ საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად საქონლის წარმოშობის განსაზღვრის წესებით სხვა რამ არ არის დადგენილი, საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების (იმპორტის) საბაჟო რეჟიმში მოქცევად არ ჩაითვლება და, შესაბამისად, მასზე არ გადაიხდევინება იმპორტის გადასახდელები (გარდა საბაჟო მოსაკრებლისა) საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემდეგი საქონლის შემოტანისას:

ა) საქართველოში რეგისტრირებული და საქართველოს ალმით მცურავი გემის მიერ მოპოვებული თევზჭერის პროდუქტები და ზღვის სხვა პროდუქტები;

ბ) პროდუქტები, რომლებიც საქართველოშია რეგისტრირებული და საქართველოს ალმით მცურავი გადამამუშავებელ (მწარმოებელ) გემზე მიიღება ამ მუხლის „ა" ქვეპუნქტში აღნიშნული პროდუქტებისაგან.

მუხლი 174. საბაჟო კონტროლისაგან გათავისუფლება

1. საბაჟო კონტროლისაგან გათავისუფლება ხდება მხოლოდ ამ კოდექსის საფუძველზე.

2. საბაჟო კონტროლისაგან გათავისუფლება არ ნიშნავს საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით, საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას.

3. საბაჟო კონტროლს არ ექვემდებარება საქართველოს პრეზიდენტი, პარლამენტის თავმჯდომარე, საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მთავრობის წევრები, სხვა სახელმწიფოში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობის დიპლომატიური და დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი, მათი თანმხლები ოჯახის წევრები, პირადი ნივთები, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. საბაჟო კონტროლს არ ექვემდებარება საქართველოში სხვა სახელმწიფოს დიპლომატიურ და მასთან გათანაბრებულ წარმომადგენლობათა დიპლომატიური და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი (მათთან მცხოვრები ოჯახის წევრების ჩათვლით) და მათი პირადი ნივთები, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

5. საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას აკრძალულია სხვა სახელმწიფოს დიპლომატიური ფოსტისა და საკონსულო ვალიზას გახსნა ან დაკავება. თუ არსებობს სერიოზული ვარაუდის საფუძველი, რომ საკონსულო ვალიზაში მოთავსებულია საგნები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ამ მუხლის მე-7 ნაწილით, საბაჟო ორგანოს უფლება აქვს მოითხოვოს საკონსულო ვალიზას გახსნა სახელმწიფოს წარმომადგენელი უფლებამოსილი პირის მიერ საბაჟო ორგანოს თანამდებობის პირთა თანდასწრებით. საკონსულო ვალიზას გახსნაზე უარის შემთხვევაში იგი ბრუნდება გამოგზავნის ადგილზე.

6. ყველა გზავნილს, რომელიც შეადგენს დიპლომატიურ ფოსტასა და საკონსულო ვალიზას, უნდა ჰქონდეს თვალსაჩინო გარეგნული ნიშანი, რომელიც მიუთითებს გზავნილის ხასიათზე.

7. დიპლომატიური ფოსტა შეიძლება შეიცავდეს მხოლოდ დიპლომატიურ საბუთებსა და ოფიციალური სარგებლობისათვის გათვალისწინებულ საქონელს, ხოლო საკონსულო ვალიზა – მხოლოდ ოფიციალურ კორესპონდენციას, საბუთებს ან ოფიციალური სარგებლობისათვის გათვალისწინებულ საქონელს.

8. სხვა ქვეყნის დიპლომატიურ და საკონსულო კურიერებს უფლება აქვთ საქართველოში შემოიტანონ და საქართველოდან გაიტანონ პირადი სარგებლობისათვის გათვალისწინებული საქონელი ნაცვალგების პრინციპით, ორ ქვეყანას შორის არსებული საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების საფუძველზე, საბაჟო კონტროლის გარეშე, საბაჟო გადასახადისა და მოსაკრებლებისაგან გათავისუფლებით. *(29.12.2006 N4247)*

9. სხვა სახელმწიფოს წარმომადგენლებზე, საპარლამენტო და სამთავრობო დელეგაციის, აგრეთვე ნაცვალგების პრინციპით უცხო ქვეყნის დელეგაციის იმ წევრებზე, რომლებიც საქართველოში ჩამოდიან სახელმწიფოთაშორის მოლაპარაკებებში, საერთაშორისო კონფერენციებსა და თათბირებში მონაწილეობის მისაღებად ან სხვა ოფიციალური დავალებით, აგრეთვე მათ თანმხლებ ოჯახის წევრებზე ვრცელდება ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული საბაჟო შეღავათები.

10. საბაჟო შეღავათები საერთაშორისო სამთავრობათაშორისო ორგანიზაციებისათვის, მათთან არსებული სხვა სახელმწიფოთა წარმომადგენლობებისათვის, აგრეთვე ამ ორგანიზა-

ციებისა და წარმომადგენლობების პერსონალისათვის, მათი თანმხლები ოჯახის წევრებისათვის განსაზღვრება საქართველოს შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებით.

11. სხვა სახელმწიფოს წარმომადგენლობის დიპლომატიურ პერსონალზე, საკონსულო თანამდებობის პირებსა და მათი ოჯახის წევრებზე, აგრეთვე ამ მუხლის მე-9 ნაწილში აღნიშნულ პირებზე, რომლებიც იმავე მიზნით გადაადგილდებიან ტრანზიტით საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გავლით, ვრცელდება ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული საბაჟო შეღავათები.

ᲙᲐᲠᲘ VIII
ᲡᲐᲑᲐᲟᲝ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ᲗᲐᲕᲘ XXVI. ᲡᲐᲑᲐᲟᲝ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲐᲜᲢᲘᲐ

მუხლი 175. ზოგადი დებულებანი

1. პირმა, რომელსაც წარმოეშვა ან შეიძლება წარმოეშვას საბაჟო ვალდებულება, უნდა წარადგინოს გარანტია, თუ საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი.

2. ერთ საბაჟო ვალდებულებასთან დაკავშირებით საბაჟო ორგანოს შეუძლია მოითხოვოს მხოლოდ ერთი გარანტიის წარდგენა.

3. მესამე პირს უფლება აქვს გარანტიის წარმდგენი ვალდებული პირის ნაცვლად წარადგინოს გარანტია.

4. გარანტიის წარდგენა საჭირო არ არის, თუ პირი, რომელსაც წარმოეშვა ან შეიძლება წარმოეშვას საბაჟო ვალდებულება, სახელმწიფო ხელისუფლების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოა.

5. გარანტიის წარდგენისა და გამოყენების, მისი წარდგენისაგან გათავისუფლების შემთხვევებს და საგარანტიო თანხის განსაზღვრის წესებს ადგენს საქართველოს ფინანსთა მინისტრი შესაბამისი ბრძანებით.

მუხლი 176. გარანტიის წარდგენა

საბაჟო ორგანოში გარანტიის წარდგენა სავალდებულოა:

ა) უცხოური საქონლის საბაჟო ტერიტორიაზე გადაადგილებისას, გარდა საბაჟო საწყობში საქონლის განთავსებისა და ამ კოდექსის მე-100 მუხლის პირველი ნაწილის „ა", „ბ" და „გ" ქვეპუნქტებში მითითებული ტრანსპორტით გადაადგილებული ნებისმიერი საბაჟო დამუშავების ოპერაციისათვის განკუთვნილი საქონლისა;

ბ) საბაჟო დამუშავების ოპერაციების მარეგულირებელი დებულებების საფუძველზე;

გ) თუ საბაჟო ორგანო დაადგენს, რომ წარმოშობილი საბაჟო ვალდებულების შესრულება არ არის უზრუნველყოფილი.

მუხლი 177. საერთო გარანტია

ამ კოდექსის 175-ე მუხლის პირველ და მე-3 ნაწილებში აღნიშნული პირების შუამდგომლობის საფუძველზე საბაჟო ორგანო უფლებამოსილია, მისცეს მათ საერთო გარანტიის წარდგენის უფლება ორ ან ორზე მეტ ისეთ საბაჟო დამუშავების ოპერაციაზე, რომელთა მიმართაც უკვე წარმოიშვა ან შესაძლებელია წარმოიშვას საბაჟო ვალდებულება.

მუხლი 178. საგარანტიო თანხის ოდენობის განსაზღვრა

1. თუ გარანტიის წარდგენა სავალდებულოა, საქართველოს საბაჟო კანონმდებლობისა და საქონლის ტრანზიტით გადაადგილებასთან დაკავშირებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, საბაჟო ორგანო განსაზღვრავს საგარანტიო თანხის ოდენობას, რომელიც

ეკვივალენტურია:

ა) ერთი ან რამდენიმე საბაჟო ვალდებულებისაგან წარმოშობილი გადასახდელი თანხისა, თუ აღნიშნული თანხის განსაზღვრა შესაძლებელია გარანტიის წარდგენის მოთხოვნის მომენტში;

ბ) საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული საგარანტიო თანხის ოდენობისა.

2. თუ საერთო გარანტია წარდგენილია ისეთ წარმოშობილი ან წარმოსაშობი საბაჟო ვალდებულების შესრულებაზე, რომლის სიდიდეც დროთა განმავლობაში იცვლება, საერთო გარანტიის თანხა განისაზღვრება იმ ოდენობით, რომელიც ნებისმიერ მომენტში უზრუნველყოფს საბაჟო გადასახდელების დაფარვას.

3. ამ კოდექსის 176-ე მუხლის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისას საბაჟო ორგანო განსაზღვრავს საგარანტიო თანხის ოდენობას, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ამ მუხლის პირველი ნაწილის „ა" და „ბ" ქვეპუნქტებით დადგენილ ოდენობებს.

მუხლი 179. გარანტიის სახეები

1. საბაჟო ორგანოს წარედგინება შემდეგი სახის გარანტიები:

ა) საბანკო გარანტია;

ბ) ფინანსური რისკის დაზღვევის პოლისი;

გ) დეპოზიტი სახელმწიფო ხაზინაში.

2. ვალდებული პირი უფლებამოსილია საბაჟო ვალდებულება შეასრულოს ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული ნებისმიერი საშუალებით.

3. საჭიროების შემთხვევაში გარანტიის სხვა სახეს ადგენს საქართველოს ფინანსთა მინისტრი შესაბამისი ბრძანებით.

მუხლი 180. საბანკო გარანტია

1. საბაჟო ორგანოსათვის წარსადგენი საბანკო გარანტიის გამცემი ბანკების ნუსხას, ერთი საბანკო გარანტიისა და ერთი ბანკის მიერ გასაცემი საბანკო გარანტიის მაქსიმალურ ოდენობას განსაზღვრავს საქართველოს ეროვნული ბანკი საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით.

2. საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილი საბაჟო გადასახდელების გადაუხდელობის შემთხვევაში საბაჟო ორგანოს მოთხოვნისთანავე შესაბამის თანხას გარანტორი ჩარიცხავს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში.

მუხლი 181. ფინანსური რისკის დაზღვევის პოლისი

1. საბაჟო ორგანოსათვის წარსადგენი ფინანსური რისკის დაზღვევის პოლისის გამცემი სადაზღვევო ორგანიზაციების ნუსხას, ერთი ფინანსური რისკის დაზღვევის პოლისისა და ერთი სადაზღვევო ორგანიზაციის მიერ გასაცემი პოლისის მაქსიმალურ ოდენობას განსაზღვრავს საქართველოს დაზღვევის ზედამხედველობის სამსახური საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით.

2. ფინანსური რისკის დაზღვევის პოლისით უზრუნველყოფილი საბაჟო გადასახდელების გადაუხდელობის შემთხვევაში საბაჟო ორგანოს მოთხოვნისთანავე შესაბამის თანხას დამზღვევი ჩარიცხავს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში.

მუხლი 182. დეპოზიტი სახელმწიფო ხაზინაში

1. სახელმწიფო ხაზინაში სათანადო თანხა შეიტანება ბიუჯეტის შემოსულობების ერთიან ანგარიშზე – დეპოზიტების საბაჟო საბიუჯეტო შემოსულობების სახაზინო

კოდზე, რის შესახებაც სახელმწიფო ხაზინა გასცემს შესაბამის ცნობას, საბაჟო ორგანოსათვის წარსადგენად.

2. შესაბამისი საბაჟო ორგანოს მიერ სახელმწიფო ხაზინისათვის წერილობითი ნებართვის გაცემის გარეშე აკრძალულია დეპოზიტზე თანხის შემტანის მიერ მისი განკარგვა.

3. სახელმწიფო ხაზინაში დეპოზიტით უზრუნველყოფილი საბაჟო გადასახდელების გადაუხდელობის შემთხვევაში საბაჟო ორგანოს მოთხოვნისთანავე დეპოზიტის თანხა ჩაირიცხება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში.

მუხლი 183. გარანტიის შეთანხმება

1. გარანტიის წარმდგენი ვალდებული პირი უფლებამოსილია, ამ კოდექსის 179-ე მუხლში მითითებული გარანტიის სახეებიდან ამოირჩიოს წარსადგენი გარანტია, ხოლო საბაჟო ორგანო უფლებამოსილია, მოითხოვოს არჩეული გარანტიის შესრულება განსაზღვრულ ვადაში.

2. საბაჟო ორგანო უფლებამოსილია უარი თქვას წარდგენილ გარანტიაზე, თუ:

ა) იგი ეწინააღმდეგება საბაჟო რეჟიმის მარეგულირებელ საქართველოს საბაჟო კანონმდებლობას;

ბ) იგი, საგარანტიო თანხის ან/და გარანტიის მოქმედების ვადის გათვალისწინებით, ვერ უზრუნველყოფს წარმოსაშობი საბაჟო ვალდებულების შესრულებას.

მუხლი 184. ახალი ან დამატებითი გარანტიის წარდგენა

თუ საბაჟო ორგანო დაადგენს, რომ წარდგენილი გარანტიის საგარანტიო თანხა არასაკმარისია ან მისი მოქმედების ვადა ეელარ უზრუნველყოფს წარმოსაშობი საბაჟო ვალდებულებების შესრულებას, საბაჟო ორგანო ვალდებულია, ამ კოდექსის 175-ე მუხლის პირველ ნაწილში მითითებული პირისაგან მოითხოვოს პირველად წარდგენილი გარანტიის ახლით შეცვლა ან დამატებითი გარანტიის წარდგენა.

მუხლი 185. გარანტიის გაუქმება ან შესრულება

1. თუ არ წარმოიშვა საბაჟო ვალდებულება, შესრულდა საბაჟო ვალდებულება ან შეწყდა მისი წარმოშობის საფუძვლები, საბაჟო ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად წარდგენილი გარანტიები უქმდება.

2. თუ საბაჟო დავალიანება ნაწილობრივ დაფარულია ან საბაჟო დავალიანება შესაძლოა წარმოიშვას მხოლოდ საბაჟო გადასახდელების უზრუნველყოფილი თანხის ნაწილზე, ვალდებული პირის მიერ საბაჟო ორგანოში წარდგენილი განცხადების საფუძველზე საგარანტიო თანხის ნაწილი ექვემდებარება გაუქმებას.

3. დადგენილ ვადაში საბაჟო გადასახდელების თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში საბაჟო ორგანო უფლებამოსილია სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე მოითხოვოს წარდგენილი გარანტიის შესრულება საბაჟო გადასახდელების თანხისა და საბაჟო ვალდებულების წარმოშობის დღიდან დარიცხული, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 129-ე მუხლით გათვალისწინებული საურავის გადახდით.

თავი XXVII. საბაჟო ვალდებულების წარმოშობა

მუხლი 186. საბაჟო ვალდებულების წარმოშობა საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი საქონლის დეკლარირებისას

1. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილ საქონელზე (გარდა ამ კოდექსის 187-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა) საბაჟო ვალდებულება წარმოიშობა საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღიდან, თუ იგი:

ა) თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისას ექვემდებარება იმპორტის გადასახდელების

გადახდას;

ბ) მოქცა იმპორტის გადასახდელების გადახდისაგან ნაწილობრივ გათავისუფლებით საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმში ან იმპორტის გადასახდელების გადახდისაგან სრულად გათავისუფლებით საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმში და ამ რეჟიმის ვადა გაგრძელდა.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ საბაჟო ვალდებულებასთან დაკავშირებით ვალდებულ პირები არიან დეკლარანტი და საქონლის მესაკუთრე.

მუხლი 187. საბაჟო ვალდებულების წარმოშობა საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის უკანონოდ შემოტანისას

1. ამ კოდექსის მიზნებისათვის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის უკანონოდ შემოტანა გულისხმობს ამავე კოდექსის 44-ე–47-ე მუხლებისა და 161-ე მუხლის მე-2 ნაწილის დებულებათა დარღვევას.

2. საბაჟო ვალდებულება წარმოიშობა:

ა) საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე იმ საქონლის უკანონოდ შემოტანის დღიდან, რომლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება ექვემდებარება იმპორტის გადასახდელების გადახდას;

ბ) თავისუფალ ზონაში ან თავისუფალ საწყობში მოთავსებული საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიის სხვა ადგილზე უკანონოდ გადაადგილების დღიდან.

3. ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულ საბაჟო ვალდებულებასთან დაკავშირებით ვალდებული პირები არიან დეკლარანტი, საქონლის მესაკუთრე და საქონლის მფლობელი.

მუხლი 188. საბაჟო ვალდებულების წარმოშობა საბაჟო ზედამხედველობიდან საქონლის გატანისას

1. საბაჟო ვალდებულება წარმოიშობა საბაჟო ზედამხედველობიდან იმ საქონლის გატანის დღიდან, რომელიც ექვემდებარება საბაჟო გადასახდელებით დაბეგვრას.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ საბაჟო ვალდებულებასთან დაკავშირებით ვალდებული პირები არიან დეკლარანტი, საქონლის მესაკუთრე და საქონლის მფლობელი.

3. ამ მუხლის პირველი ნაწილი აგრეთვე ვრცელდება საქონლის ისეთ გატანაზე, რომლის დროსაც საქონელს უსაფუძვლოდ ენიჭება საქართველოს საქონლის სტატუსი.

მუხლი 189. საბაჟო ვალდებულების წარმოშობა საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნებისა და პირობების შეუსრულებლობისას

1. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანის დღიდან საბაჟო ვალდებულება წარმოიშობა, თუ:

ა) არ სრულდება იმპორტის გადასახდელებით დაბეგვრას დაქვემდებარებული საქონლის დროებითი დასაწყობების ან მის მიმართ შესაბამისი საბაჟო რეჟიმის გამოყენების მოთხოვნები, გარდა ამ ნაწილის „ბ" ქვეპუნქტში აღნიშნული შემთხვევისა;

ბ) არ სრულდება შესაბამის საბაჟო რეჟიმში საქონლის მოქცევისათვის ან იმპორტის გადასახდელებზე შეღავათების გამოყენებისათვის დადგენილი პირობები.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ საბაჟო ვალდებულებასთან დაკავშირებით ვალდებული პირი არის პირი, რომელმაც საქონელთან დაკავშირებული გარემოებებიდან გამომდინარე უნდა შეასრულოს იმპორტის გადასახდელებით დაბეგვრას დაქვემდებარებულ საქონელთან, მის საბაჟო საწყობში დროებით შენახვასთან, დეკლარირებული საბაჟო რეჟიმის გამოყენებასთან ან ამ რეჟიმში საქონლის მოქცევასთან დაკავშირებული პირობები.

მუხლი 190. საბაჟო ვალდებულების წარმოშობა თავისუფალ ზონაში ან თავისუფალ საწყობში საქონლის მოხმარებისას ან გამოყენებისას

1. იმპორტთან დაკავშირებული საბაჟო ვალდებულება წარმოიშობა თავისუფალ ზონაში ან თავისუფალ საწყობში იმპორტის გადასახდელების გადახდას დაქვემდებარებული საქონლის საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრული პირობებისაგან განსხვავებულად მოხმარების ან გამოყენების დროს. თუ საქონელი დაიკარგა, საქონლის მფლობელი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს საბაჟო ორგანოს და წარუდგინოს მას საქონლის დაკარგვის უტყუარი მტკიცებულებები, რომლებიც დამოწმებულია შესაბამისი უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ. სხვა შემთხვევებში საქონელი ჩაითვლება თავისუფალ ზონაში ან თავისუფალ საწყობში საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრული პირობებისაგან განსხვავებულად მოხმარებულად ან გამოყენებულად.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული საბაჟო ვალდებულება წარმოიშობა იმ დღიდან, როდესაც თავისუფალ ზონაში ან თავისუფალ საწყობში დაიწყება საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრული პირობებისაგან განსხვავებულად საქონლის მოხმარება ან გამოყენება.

3. ამ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ საბაჟო ვალდებულებასთან დაკავშირებით ვალდებული პირი არის თავისუფალ ზონაში ან თავისუფალ საწყობში საქმიანობის განმახორციელებელი პირი, რომელმაც მოიხმარა ან გამოიყენა საქონელი.

4. თუ საბაჟო ორგანო დაკარგულ საქონელს ჩათვლის თავისუფალ ზონაში ან თავისუფალ საწყობში მოხმარებულ ან გამოყენებულ საქონლად და შეუძლებელია ამ მუხლის მე-3 ნაწილის გამოყენება, საბაჟო გადასახდელების გადახდა დაეკისრება პირს, რომელიც საბაჟო ორგანოს ინფორმაციით იყო ამ საქონლის ბოლო მფლობელი.

მუხლი 191. შემთხვევები, როდესაც საბაჟო ვალდებულება არ წარმოიშობა

1. ამ კოდექსის 187-ე მუხლითა და 189-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული, საქონლის იმპორტთან დაკავშირებული საბაჟო ვალდებულება არ წარმოიშობა, თუ ვალდებული პირი დაამტკიცებს, რომ ამ კოდექსის 45-ე–47-ე მუხლებითა და 161-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი, თავისუფალი ზონიდან ან თავისუფალი საწყობიდან საქონლის გატანასთან, დროებით შენახვასთან და შესაბამისი საბაჟო რეჟიმის პირობებთან დაკავშირებული ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ამ კოდექსის 233-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული ავარიისა და დაუძლეველი ძალის შედეგად საქონლის მთლიანად განადგურებით ან გაფუჭებით. ამ მუხლის გამოყენების მიზნით საქონელი გაფუჭებულად ჩაითვლება, თუ შეუძლებელია მისი შემდგომი გამოყენება.

2. იმპორტის გადასახდელებზე შეღავათების გამოყენებითა და მიზნობრივი დანიშნულებით თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებული საქონლის მიმართ საბაჟო ვალდებულება არ წარმოიშობა, თუ იგი გატანილია საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საბაჟო ორგანოს თანხმობით.

მუხლი 192. ნარჩენების საბაჟო სტატუსი

თუ ამ კოდექსის 191-ე მუხლის პირველი ნაწილის გათვალისწინებით იმ საქონლის, რომელიც იმპორტის გადასახდელებზე შეღავათების გამოყენებითა და მიზნობრივი დანიშნულებით გაშვებულია თავისუფალ მიმოქცევაში და საბაჟო ვალდებულება არ ითვლება წარმოშობილად, განადგურების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენები ჩაითვლება უცხოურ საქონლად.

მუხლი 193. მიზნობრივი დანიშნულებით თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებულ საქონელზე საბაჟო გადასახდელების გაანგარიშება

თუ ამ კოდექსის 188-ე და 189-ე მუხლების შესაბამისად საბაჟო ვალდებულება წარ-

მოიშობა საქონლის იმპორტის გადასახდელებზე შეღავათების გამოყენებითა და მიზნობრივი დანიშნულებით თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისას, საბაჟო გადასახდელების მთლიან თანხას უნდა გამოაკლდეს საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების დროს გადახდილი გადასახდელების ოდენობა.

მუხლი 194. საბაჟო ვალდებულების წარმოშობა საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გასატანი საქონლის დეკლარირებისას

1. საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გასატან საქონელზე საბაჟო ვალდებულება წარმოიშობა საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღიდან, თუ მისი გატანა ექვემდებარება ექსპორტის გადასახდელების გადახდას.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ საბაჟო ვალდებულებასთან დაკავშირებით ვალდებული პირები არიან დეკლარანტი და საქონლის მესაკუთრე.

მუხლი 195. საბაჟო ვალდებულების წარმოშობა საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან არადეკლარირებული საქონლის გატანისას

1. საბაჟო ვალდებულება წარმოიშობა საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან იმ არადეკლარირებული საქონლის გატანისას, რომელიც ექვემდებარება ექსპორტის გადასახდელების გადახდას.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ საბაჟო ვალდებულებასთან დაკავშირებით ვალდებული პირები არიან საქონლის მესაკუთრე და საქონლის მფლობელი.

მუხლი 196. საბაჟო ვალდებულების წარმოშობა საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საქონლის გატანის პირობების შეუსრულებლობისას

1. საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საქონლის გატანისას საბაჟო ვალდებულება წარმოიშობა იმ პირობების შეუსრულებლობისას, რომლებიც დაკავშირებულია ექსპორტის გადასახდელებისაგან საქონლის ნაწილობრივ ან სრულად გათავისუფლებასთან.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში საბაჟო ვალდებულება წარმოიშობა საბაჟო ტერიტორიიდან ექსპორტის გადასახდელებისაგან ნაწილობრივ ან სრულად გათავისუფლებით გატანილი საქონლის დანიშნულების ადგილისაგან განსხვავებულ ადგილზე მიტანის დღიდან. თუ საბაჟო ორგანო ვერ ახერხებს ამ დღის განსაზღვრას, საბაჟო ვალდებულება წარმოიშობა საქონლის გატანასთან დაკავშირებული პირობების შესრულებისათვის დადგენილი ვადის გასვლისას.

3. ამ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ საბაჟო ვალდებულებასთან დაკავშირებით ვალდებული პირები არიან დეკლარანტი, საქონლის მესაკუთრე და საქონლის მფლობელი.

მუხლი 197. საბაჟო ვალდებულების წარმოშობა აკრძალვებისა და შეზღუდვების არსებობისას

1. ამ კოდექსის 186-ე–190-ე და 194-ე–196-ე მუხლებით გათვალისწინებული საბაჟო ვალდებულება წარმოიშობა, თუ იგი შეეხება იმ საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანას ან საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანას, რომელთანაც დაკავშირებულია აკრძალვები ან შეზღუდვები.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილის დებულების გათვალისწინებით საბაჟო ვალდებულება არ წარმოიშობა საბაჟო ტერიტორიაზე ყალბი ფულის, ნარკოტიკების ან ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონოდ შემოტანაზე, თუ იგი საბაჟო ორგანოს მკაცრი ზედამხედველობის გამო საქართველოს ტერიტორიაზე მიმოქცევაში არ შეუდა სამედიცინო და სამეცნიერო დანიშნულებით გამოყენებისა და ექსპერტიზის ჩატარების მიზნით.

3. თუ საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის დარღვევებთან დაკავშირებული დებულებების შესაბამისად საბაჟო გადასახდელები წარმოადგენს ჯარიმის საფუძველს, ან საბაჟო

გადასახდელების არსებობა წარმოადგენს სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საფუძველს, საბაჟო ვალდებულების წარმოშობა უნდა განისაზღვროს ამ მუხლის მე-2 ნაწილში აღნიშნული პირობების დაცვით.

მუხლი 198. საბაჟო გადასახდელებისაგან გათავისუფლების გამოყენების პირობები

თუ ამ კოდექსის 95-ე, 133-ე ან 170-ე–172-ე მუხლების თანახმად ხორციელდება იმპორტისა და ექსპორტის გადასახდელებისაგან საქონლის ნაწილობრივ ან სრულად გათავისუფლება, აღნიშნული გათავისუფლება ასევე უნდა შეეხოს იმ საქონელს, რომლის მიმართაც ამ კოდექსის 187-ე–190-ე, 195-ე ან 196-ე მუხლების შესაბამისად წარმოიშვა საბაჟო ვალდებულება, იმის გათვალისწინებით, რომ სათანადო პირი არ უნდა შეიმჩნეოდეს საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის განზრახ დარღვევაში ან მის დაუდევრად გამოყენებაში და მას უნდა შეეძლოს იმის დამტკიცება, რომ საბაჟო გადასახდელებისაგან ნაწილობრივ ან სრულად გათავისუფლებასთან დაკავშირებული ყველა პირობა შესრულებულია.

მუხლი 199. სოლიდარული პასუხისმგებლობა

თუ ამ კოდექსის 186-ე–192-ე ან/და 194-ე–197-ე მუხლებით საბაჟო გადასახდელების გადახდაზე პასუხისმგებელია რამდენიმე პირი, ისინი ჩაითვლებიან გადახდაზე სოლიდარულად პასუხისმგებელ პირებად.

მუხლი 200. საბაჟო ვალდებულების წარმოშობის დროის განსაზღვრა

1. ამ კოდექსის თანახმად საბაჟო ვალდებულების წარმოშობის დროს განსაზღვრისათვის გამოიყენება საქონელთან დაკავშირებული ექსპორტის ან იმპორტის გადასახდელების განაკვეთები, რომლებიც მოქმედებს საბაჟო ვალდებულების წარმოშობის დღეს, თუ საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი.

2. თუ საბაჟო ვალდებულების წარმოშობის ზუსტი დროის განსაზღვრა შეუძლებელია, მისი წარმოშობის დროდ ჩაითვლება ის დღე, როდესაც წარმოიშვა საბაჟო ვალდებულება საბაჟო ორგანოში არსებული ინფორმაციის საფუძველზე. ასეთი ინფორმაციის არარსებობის შემთხვევაში საბაჟო ვალდებულების წარმოშობის დღედ ჩაითვლება საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღე.

მუხლი 201. საბაჟო ვალდებულების წარმოშობის ადგილი

1. საბაჟო ვალდებულება წარმოიშობა იმ ადგილას, სადაც ხორციელდება საბაჟო ვალდებულების წარმოშობასთან დაკავშირებული მოქმედებები.

2. თუ ამ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ადგილის დადგენა შეუძლებელია, საბაჟო ვალდებულების წარმოშობის ადგილად ჩაითვლება ის ადგილი, სადაც საბაჟო ორგანოში არსებული ინფორმაციის საფუძველზე წარმოიშვა საბაჟო ვალდებულება. ასეთი ინფორმაციის არარსებობის შემთხვევაში საბაჟო ვალდებულების წარმოშობის ადგილად ითვლება საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის ადგილი.

3. თუ საქონელი მოქცეულია საბაჟო რეჟიმში, საბაჟო ვალდებულების წარმოშობის ადგილად ჩაითვლება ის ადგილი, სადაც საქონელი მოექცა საბაჟო რეჟიმში.

თავი XXVIII. საბაჟო ვალდებულების შესრულება

მუხლი 202. საბაჟო გადასახდელების გამოანგარიშებისა და მათი გადახდის წესი

1. დეკლარანტი დაბეგვრის ობიექტის, გადასახდელის განაკვეთისა და შეღავათების გათვალისწინებით დამოუკიდებლად გამოიანგარიშებს გადასახდელ საბაჟო გადასახდელის თანხას, თუ საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

2. საქართველოს საგადასახადო ან/და საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში გადასახდელი საბაჟო გადასახდელის თანხის გამოანგარიშების ვალდებულება შეიძლება დაეკისროს საბაჟო ორგანოს ან სხვა ვალდებულ პირს.

3. საბაჟო გადასახდელები გამოიანგარიშება შესაბამისი გადასახდელებისათვის საქართველოს საგადასახადო ან/და საბაჟო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. საბაჟო გადასახდელების გადახდა ხორციელდება საბაჟო პროცედურების შესრულებისას საბაჟო ორგანოს მიერ რეგისტრირებული საბაჟო დეკლარაციის ან შეტყობინების საფუძველზე, ხოლო გადახდილი საბაჟო გადასახდელის თანხა საბაჟო პროცედურების შესრულებისას ან საბაჟო პროცედურების დასრულების შემდეგ აისახება ბიუჯეტის ანგარიშზე.

5. საბაჟო გადასახდელების გადახდა ხორციელდება ეროვნულ ვალუტაში – ლარში ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორებით საბანკო დაწესებულების მეშვეობით, თუ საქართველოს საგადასახადო ან/და საბაჟო კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი. საბანკო დაწესებულებების არარსებობის შემთხვევაში დეკლარანტ ფიზიკურ პირს უფლება აქვს საბაჟო გადასახდელები გადაიხადოს საბაჟო ორგანოს სალაროში მცირე ალრიცხვის ქვითრის სავალდებულო გამოწერით.

მუხლი 203. საბაჟო გადასახდელების ან/და საბაჟო სანქციის თანხის დარიცხვა

1. საბაჟო გადასახდელების ან/და საბაჟო სანქციის თანხის დარიცხვა გულისხმობს საბაჟო ორგანოში კონკრეტული პერიოდისათვის ვალდებული პირის მიერ გადასახდელი საბაჟო გადასახდელების ან/და საბაჟო სანქციის თანხის აღრიცხვას. დარიცხვა მოიცავს შესწორებით დარიცხვასა და სავარაუდო დარიცხვას. ამასთანავე, შესწორებითი დარიცხვის შემთხვევაში უქმდება სავარაუდო დარიცხვა.

2. საბაჟო ორგანოს უფლება აქვს განახორციელოს თითოეული ვალდებული პირის კუთვნილი საბაჟო გადასახდელების ან/და საბაჟო სანქციის თანხის დარიცხვა საქართველოს საგადასახადო ან/და საბაჟო კანონმდებლობის თანახმად, შემდეგი ერთი ან ერთზე მეტი ინფორმაციის საფუძველზე:

ა) ვალდებული პირის საბაჟო დეკლარაცია;

ბ) შემოწმების მასალები და სხვა ინფორმაცია, რომელიც ცნობილია საბაჟო ორგანოსათვის.

3. თუ დეკლარანტი არ წარმოადგენს საბაჟო გადასახდელების ან/და საბაჟო სანქციის თანხის დასარიცხად საჭირო ინფორმაციას, საბაჟო ორგანო უფლებამოსილია დაარიცხოს მას საბაჟო გადასახდელები ან/და საბაჟო სანქციის თანხა მის ხელთ არსებული ინფორმაციის საფუძველზე და გაუგზავნოს შესაბამისი შეტყობინება.

4. თუ საქართველოს საგადასახადო ან/და საბაჟო კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული საბაჟო გადასახდელების ან/და საბაჟო სანქციის თანხის გადახდა საბაჟო დეკლარაციის წარდგენასთან ერთად, აგრეთვე თუ საბაჟო ორგანო დაასკვნის, რომ ადრინდელი დარიცხვა შეცდომით განხორციელდა, საბაჟო ორგანომ საბაჟო გადასახდელები ან/და საბაჟო სანქციის თანხა უნდა დაარიცხოს ვალდებულ პირს და გაუგზავნოს მას შეტყობინება.

5. თუ საბაჟო გადასახდელის გადახდევინება დაკავშირებულია საბაჟო დეკლარაციის შევსებასთან, გადასახდელის გადახდის ვალდებულებათა ამსახველი დეკლარაციის შევსება განიხილება, როგორც:

ა) ამ გადასახდელის დარიცხვა;

ბ) შეტყობინება და საქართველოს საგადასახადო ან/და საბაჟო კანონმდებლობით დადგენილ ვადებში შესასრულებული ვალდებულება.

6. ვალდებული პირის მიერ გადასახდელი საბაჟო გადასახდელების ან/და საბაჟო სანქციის დარიცხული და გადახდილი თანხების აღრიცხვის წესს განსაზღვრავს საქართველოს

ფინანსთა მინისტრი შესაბამისი ბრძანებით.

მუხლი 204. დარიცხვის ხანდაზმულობის ვადა

საბაჟო გადასახდელების ან/და საბაჟო სანქციის თანხის დარიცხვის ხანდაზმულობის ვადაა 6 კალენდარული წელი, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი. ეს ვადა ითვლება შესაბამისი ვალდებულების წარმოშობის კალენდარული წლის დასრულებიდან.

მუხლი 205. შეტყობინება დარიცხულ საბაჟო ვალდებულებებზე

1. შეტყობინება არის საბაჟო ორგანოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც წარედგინება ვალდებულ პირს. შეტყობინების შესრულება სავალდებულოა ამ კოდექსით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.

2. საბაჟო ორგანო ვალდებულია ვალდებულ პირს წარუდგინოს შეტყობინება, თუ დადგინდა საბაჟო სამართალდარღვევის არსებობა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გადახდას დაქვემდებარებული გადასახდელის თანხა დეკლარირებულია საბაჟო დეკლარაციაში და მასში მითითებული თანხა შეესაბამება საბაჟო ორგანოს მიერ გაანგარიშებული გადასახდელის თანხას.

3. შეტყობინებაში უნდა აღინიშნოს:

ა) საბაჟო ორგანოს დასახელება და მისამართი;

ბ) შეტყობინების გაგზავნის (გადაცემის) თარიღი;

გ) ვალდებული პირის რეკვიზიტები (სახელი და გვარი; დასახელება, მისამართი);

დ) ვალდებული პირის საიდენტიფიკაციო ნომერი (მისი არსებობის შემთხვევაში);

ე) მისი წარდგენის საფუძველი საქართველოს საგადასახადო ან/და საბაჟო კანონმდებლობის აქტის იმ ნორმაზე მითითებით, რომლის თანახმადაც მოხდა საბაჟო ვალდებულებების დარიცხვა ან რომელიც დაარღვია ვალდებულმა პირმა;

ვ) მისი შინაარსი (დაბეგვრის ობიექტი, დარიცხული გადასახდელის, საურავისა და ჯარიმის ოდენობა, საურავის დაწყების დღე, ამ მოთხოვნის შესრულების ვადა, გადახდის წესი);

ზ) ვალდებული პირის უფლებები და მოვალეობანი (მათ შორის, შეტყობინების გასაჩივრების წესი);

თ) მისი შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებები, რომლებიც გამოიყენება ვალდებული პირის მიმართ ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში.

4. შეტყობინება შეიძლება გასაჩივრდეს ამ კოდექსით დადგენილი წესით.

მუხლი 206. საბაჟო გადასახდელების გადახდის ვადები

1. თუ საბაჟო ვალდებულების წარმოშობის საფუძველია საბაჟო დეკლარაცია, საბაჟო გადასახდელების გადახდა ხდება საქონლის საბაჟო პროცედურების დამთავრებამდე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი.

2. თუ საბაჟო ვალდებულების შესრულების საფუძველს არ წარმოადგენს საბაჟო დეკლარაცია, გადასახდელი თანხა ექვემდებარება გადახდას დარიცხული საბაჟო ვალდებულების შესახებ შეტყობინების მიღებიდან 15 კალენდარულ დღეში.

3. თუ პირი სარგებლობს საბაჟო ვალდებულების შესრულების ვადის შეცვლით (გაგრძელებით), გადასახდელი თანხა ექვემდებარება გადახდას არა უგვიანეს ამ შეცვლილი (გაგრძელებული) ვადის დასრულებისა.

4. გამარტივებული წესით საბაჟო დეკლარაციის წარდგენისას საბაჟო გადასახდელების თანხა ექვემდებარება იმ ვადაში გადახდას, რომელიც გათვალისწინებულია საბაჟო რეჟიმის მარეგულირებელი დებულებებით.

მუხლი 207. საბაჟო ვალდებულების შესრულების ვადის შეცვლის ზოგადი პირობები

1. საბაჟო ვალდებულების შესრულების ვადის შეცვლად ითვლება საბაჟო გადასახდელის ან მისი ნაწილის გადახდისათვის დადგენილი ვადის გაგრძელება გარკვეული დროით.

2. რეგისტრირებული საბაჟო დეკლარაციის საფუძველზე წარმოშობილი საბაჟო ვალდებულების შესრულების ვადა შეიძლება შეიცვალოს გადასახდელის მთლიანი თანხის ან მისი ნაწილის მიმართ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 129-ე მუხლით გათვალისწინებული საურავის დარიცხვით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი.

3. ვალდებული პირის წერილობითი განცხადების მიღებისა და ამ კოდექსით გათვალისწინებული შესაბამისი გარანტიის წარდგენის შემდეგ რეგისტრირებული საბაჟო დეკლარაციის საფუძველზე წარმოშობილი საბაჟო ვალდებულების შესრულების ვადა შეიძლება გაგრძელდეს 1 კალენდარული თვით.

4. საბაჟო ვალდებულების შესრულების ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას საბაჟო ვალდებულებების დაფარვის გრაფიკზე იდება ხელშეკრულება.

5. საბაჟო ვალდებულებების დაფარვის ამ მუხლით გათვალისწინებული პირობების დარღვევისას საბაჟო ორგანო ვალდებულია ვალდებული პირის მიმართ გამოიყენოს წარმოდგენილი გარანტიის შესრულება.

მუხლი 208. საბაჟო ვალდებულების შესრულების ვადის შეცვლის გამომრიცხველი გარემოებები

1. საბაჟო ვალდებულების შესრულების ვადა არ შეიძლება შეიცვალოს, თუ:

ა) იგი არ არის წარმოშობილი რეგისტრირებული საბაჟო დეკლარაციის საფუძველზე;

ბ) თუ დეკლარანტს აქვს შეუსრულებელი საგადასახადო ან/და საბაჟო დავალიანება;

გ) თუ წარდგენილი გარანტიის მოქმედების ვადა ან საგარანტიო თანხა ვერ უზრუნველყოფს საბაჟო ვალდებულების შესრულებას;

დ) ვალდებული პირის წინააღმდეგ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე საქართველოს საგადასახადო ან/და საბაჟო კანონმდებლობის დარღვევის გამო;

ე) მიმდინარეობს საგადასახადო სამართალდარღვევის, საბაჟო სამართალდარღვევის ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება ვალდებული პირის მიერ საგადასახადო ან/და საბაჟო კანონმდებლობის დარღვევის გამო.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული გარემოებების აღმოჩენისას საბაჟო ვალდებულებების შესრულების ვადის შეცვლასთან დაკავშირებით ნებისმიერი გადაწყვეტილება ითვლება ბათილად, ხოლო ამ გადაწყვეტილების შესასრულებლად დადებული ნებისმიერი ხელშეკრულება – ბათილ გარიგებად.

3. გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი პირი ვალდებულია ამ მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად გადაწყვეტილების ბათილად ცნობის დღიდან 3 დღეში წერილობითი შეტყობინება გაუგზავნოს ვალდებულ პირს და შესაბამის საბაჟო ორგანოს.

მუხლი 209. საბაჟო ვალდებულების შესრულების ვადის შეცვლის შესახებ გადაწყვეტილების მიმღები პირები

1. საბაჟო ვალდებულების შესრულების ვადის გაგრძელების შესახებ ვალდებული პირის დასაბუთებული წერილობითი განცხადების მიღების შემდეგ საბაჟო ვალდებულებების დაფარვის გადავადების უფლება აქვს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსაელების სამსახურის უფროსს/მის მოადგილეს. *(29.12.2006 N4256)*

2. საბაჟო გადასახდელების გადახდის ვადის გაგრძელება არ ათავისუფლებს ვალდებულ პირს ბიუჯეტში საბაჟო გადასახდელების არადროულად ჩარიცხვის გამო დარიცხული საქართველოს საგადასახადო კოდექსის 129-ე მუხლით გათვალისწინებული საურავის გადახდისაგან.

მუხლი 210. გადავადების მოქმედების შეწყვეტა

1. გადავადების მოქმედება წყდება შესაბამისი გადაწყვეტილების (ხელშეკრულების) ვადის ამოწურვისას ან შეიძლება შეწყდეს აღნიშნული ვადის ამოწურვამდე ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

2. გადავადება წყდება ვადამდე, თუ ვალდებული პირი დადგენილი ვადის ამოწურვამდე სრულად გადაიხდის გადასახდელების კუთვნილ თანხებს და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 129-ე მუხლით გათვალისწინებულ საურავს.

3. შესაბამისი გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი პირი ვადამდე შეწყვეტს გადავადებას, თუ ვალდებული პირი არღვევს გადავადების პირობებს.

4. გადაწყვეტილება გადავადების ვადამდე შეწყვეტის შესახებ უფლებამოსილი პირის მიერ მისი მიღებიდან 5 დღის ვადაში წერილობით გადაეცემა ვალდებულ პირს. გადაწყვეტილების ასლი ამავე ვადაში ეგზავნება შესაბამის საბაჟო ორგანოს.

მუხლი 211. დარიცხული საბაჟო გადასახდელების ან/და საბაჟო სანქციის თანხის გადახდევინება

თუ ვალდებულმა პირმა განსაზღვრულ ვადაში არ გადაიხადა დადგენილი საბაჟო გადასახდელების ან/და საბაჟო სანქციის თანხა, საბაჟო ორგანოები ამ ვალდებული პირის მიმართ ახორციელებენ საბაჟო ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებებს საქართველოს საგადასახადო კოდექსის XI თავით საგადასახადო ორგანოებისათვის დადგენილი წესით.

მუხლი 212. ბანკებისა და სხვა ორგანიზაციების ვალდებულებანი საბაჟო ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებით

1. ბანკები და ცალკეულ სახეობათა საბანკო ოპერაციების შემსრულებელი სხვა ორგანიზაციები ვალდებული არიან, უპირველეს ყოვლისა, შეასრულონ ვალდებული პირის საგადახდო დავალებები და საბაჟო ორგანოების გადაწყვეტილებები (საინკასო დავალებები) ვალდებული პირის საბანკო ანგარიშებიდან საბაჟო გადასახდელების გადახდის შესახებ.

2. ბანკების მიერ საგადახდო დავალება ან საინკასო დავალება სრულდება არა უგვიანეს აღნიშნული დავალების ან გადაწყვეტილების მიღების დღის მომდევნო საოპერაციო დღისა, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი. საინკასო დავალების მომსახურება ხორციელდება ვალდებული პირის ხარჯით იმავე ფასად, რომლითაც მისი საგადახდო დავალების შესრულება.

3. ვალდებული პირის ანგარიშზე ფულადი სახსრების არსებობისას ბანკს უფლება არა აქვს შეაფერხოს ვალდებული პირის საგადახდო დავალება ან საბაჟო ორგანოს საინკასო დავალება შესაბამის ბიუჯეტში გადასახდელის ჩარიცხვის თაობაზე. თუ ვალდებულ პირს ანგარიშზე არ აქვს ფულადი სახსრები ან ანგარიშებზე არსებული ფულადი სახსრები არასაკმარისია საგადახდო დავალების ან/და საინკასო დავალების შესასრულებლად, მათი აღსრულება ხორციელდება ამ ანგარიშებზე ფულადი სახსრების ჩარიცხვის შესაბამისად, არა უგვიანეს ყოველი ასეთი ჩარიცხვის დღის მომდევნო საოპერაციო დღისა.

4. ვალდებული პირის ანგარიშზე ფულადი სახსრების არსებობისას ანგარიშებიდან თანხების ჩამოწერისა და ბიუჯეტში მათი გადარიცხვის თაობაზე ვალდებული პირის საგადახდო დავალების ან საბაჟო ორგანოს საინკასო დავალების დროულად შეუსრულებლობისათვის ბანკს დაერიცხება საურავი საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესით. ასეთ შემთხვევაში ვალდებულ პირს სანქცია არ დაეკისრება.

5. ვალდებული პირის მომსახურე ბანკის მიერ ან ცალკეულ სახეობათა საბანკო ოპერაციების შემსრულებელი ორგანიზაციების მიერ გადასახდელი თანხების ბიუჯეტში ჩარიცხვის ამ მუხლით დადგენილი წესის დარღვევა წარმოადგენს ბანკისა და ცალკეულ

სახეობათა საბანკო ოპერაციების შემსრულებელი ორგანიზაციების ან/და მათი თანამდებობის პირების საგადასახადო სამართალდარღვევისათვის პასუხისგებაში ამ კოდექსითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით განსაზღვრული წესით მიცემის საფუძველს.

თავი XXIX. საბაჟო ვალდებულების შესრულების პირობები

მუხლი 213. საბაჟო ვალდებულების შესრულების პირობები

1. საბაჟო ვალდებულების შესრულება არის ვალდებული პირის ერთ-ერთი ძირითადი მოვალეობა. საბაჟო ვალდებულება სრულდება ვალდებული პირისათვის დაკისრებული სხვა ვალდებულებებისაგან დამოუკიდებლად.

2. საბაჟო ვალდებულების შესრულებად ჩაითვლება:

ა) დადგენილ ვადაში საბაჟო გადასახდელების ან/და საბაჟო სანქციის თანხის გადახდა;

ბ) საბაჟო გადასახდელების თანხის ჩათვლისას – ჩათვლილი ნაწილი;

გ) საბაჟო რეჟიმში დეკლარირებულ და საბაჟო გადასახდელების გადახდას დაქვემდებარებულ საქონელზე:

გ.ა) საბაჟო დეკლარაციის ძალადაკარგულად გამოცხადება;

გ.ბ) მის გაშვებამდე ჩამორთმევა, ამ კოდექსის 167-ე მუხლის შესაბამისად საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ განადგურება, ამ კოდექსის 168-ე მუხლის შესაბამისად სახელმწიფო საკუთრებაში მიქცევა, ამ კოდექსის 233-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული ავარიისა და დაუძლეველი ძალის მოქმედების შედეგად საქონლის მთლიანი განადგურება;

დ) თუ ხანდაზმულობის ვადის გასვლასთან დაკავშირებით ვერ განხორციელდა დარიცხვა და ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებები;

ე) თუ საქონლის, რომელთან დაკავშირებითაც ამ კოდექსის 187-ე მუხლის შესაბამისად წარმოიშვა საბაჟო ვალდებულება, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე უკანონოდ შემოტანისას განხორციელდა მისი უსასყიდლოდ ჩამორთმევა.

3. ვალდებული პირი საბაჟო ვალდებულების შესრულებაზე პასუხს აგებს მთელი თავისი კუთვნილი ქონებით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი.

თავი XXX. საბაჟო გადასახდელების ჩათვლა ან დაბრუნება

მუხლი 214. ზედმეტად გადახდილი საბაჟო გადასახდელების თანხის ჩათვლა ან დაბრუნება

1. თუ კონკრეტული საბაჟო გადასახდელის ან/და საბაჟო სანქციის გადახდილი თანხა აღემატება დარიცხული საბაჟო გადასახდელის ან/და საბაჟო სანქციის თანხას, გადამხდელის მოთხოვნის შემთხვევაში საბაჟო ორგანო:

ა) ზედმეტად გადახდილ თანხას გადამხდელს ჩაუთვლის მომავალი საბაჟო ვალდებულებების ანგარიშში;

ბ) ზედმეტად გადახდილ თანხას გადაიტანს სახელმწიფო ხაზინის ბიუჯეტის შემოსულობების ერთიან ანგარიშზე გადამხდელის სხვა საბაჟო გადასახდელების გადახდის ანგარიშებში კალენდარული წლის განმავლობაში გადასახდელების სახეებში მობილიზებული სახსრების ფარგლებში.

2. თუ საბაჟო გადასახდელებისა და საბაჟო სანქციების გადახდილი თანხების ჯამი აღემატება დარიცხული საბაჟო გადასახდელებისა და საბაჟო სანქციების თანხების ჯამს, გადამხდელის მოთხოვნის შემთხვევაში საბაჟო ორგანო მოთხოვნიდან 45 კალენდარულ დღეში გადამხდელს დაუბრუნებს დარჩენილ თანხას სახელმწიფო ხაზინის ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიშის საგადასახადო შემოსავლის ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების ქვეანგარიშიდან მასზე რიცხული ნაშთის ფარგლებში.

3. თუ გადამხდელის მიერ ზედმეტად გადახდილი თანხა გადაიტანება სხვა საბაჟო

გადასახდელის ვალდებულებათა ანგარიშში, გადამხდელისათვის გაგზავნილ შეტყობინებაში უნდა აღინიშნოს, რომელი საბაჟო გადასახდელის ანგარიშზე (ანგარიშებზე) იქნა გადატანილი ზედმეტად გადახდილი თანხა.

4. გადამხდელის მიერ ბიუჯეტში ზედმეტად გადახდილი საბაჟო გადასახდელების ან/და საბაჟო სანქციის თანხა სხვა პირის საბაჟო დავალიანების დაფარვის ანგარიშში არ გადაიტანება.

მუხლი 215. საგადასახადო შემოსავლის ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების ქვეანგარიშზე თანხების აკუმულირება

1. საბაჟო გადასახდელების ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების უზრუნველყოფისათვის საბაჟო ორგანოების მიერ ადმინისტრირებადი შემოსავლებიდან ბიუჯეტის შემოსულობების ერთიან ანგარიშზე ფაქტობრივად ჩარიცხული თანხების ნაწილი ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული პროცენტის ოდენობით ირიცხება საგადასახადო შემოსავლის ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების ქვეანგარიშზე. თანხებს ამ ქვეანგარიშზე ბიუჯეტის შემოსულობების ერთიან ანგარიშზე ფაქტობრივად ჩარიცხული თანხების პროპორციულად რიცხავს სახელმწიფო ხაზინა.

2. ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიშიდან საგადასახადო შემოსავლის ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების ქვეანგარიშზე ჩასარიცხი თანხის პროცენტი განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. ეს პროცენტი იმდენი უნდა იყოს, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ზედმეტად გადახდილი თანხის სრულად დაბრუნება ამ კოდექსით განსაზღვრულ ვადაში. *(29.12.2006 N4256)*

3. ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიშის საგადასახადო შემოსავლის ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების ქვეანგარიშიდან ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების წესს განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა.

მუხლი 216. ზედმეტად გადახდილი საბაჟო გადასახდელების თანხის ჩათვლის ან დაბრუნების ხანდაზმულობის ვადა

ზედმეტად გადახდილი საბაჟო გადასახდელების თანხის ჩათვლის ან დაბრუნების მოთხოვნის წარდგენის ხანდაზმულობის ვადაა 6 წელი, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი. ეს ვადა აითვლება შესაბამისი ვალდებულების წარმოშობის კალენდარული წლის დასრულებიდან.

კარი IX
საბაჟო დავა

თავი XXXI. საბაჟო დავის განხილვის საერთო წესი

მუხლი 217. საბაჟო დავის დაწყების საფუძველი

1. საბაჟო დავის დაწყების მატერიალური საფუძველია საბაჟო ორგანოს, დეკლარანტის, საქონლის მფლობელის, საქონლის მესაკუთრის ან სხვა ვალდებული პირის (შემდგომში – საბაჟო პროცედურების განმახორციელებელი პირის) მიერ საბაჟო კანონმდებლობით დადგენილი ვალდებულების დარღვევა.

2. საბაჟო დავის დაწყების ფორმალური საფუძველია საბაჟო ორგანოს წერილობითი გადაწყვეტილება ან საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადაში წერილობითი გადაწყვეტილების მიუღებლობა.

3. ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული საფუძვლის არსებობისას და საბაჟო ორგანოს წერილობითი გადაწყვეტილების წარდგენის უზრუნველყოფის შემთხვევაში საბაჟო

პროცედურების განმახორციელებელ პირს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს სადაო საკითხი გაასაჩივროს საქართველოს საგადასახადო კოდექსის VIII კარით დადგენილი წესით. (29.12.2006 N4256)

მუხლი 218. *ამოღებულია (29.12.2006 N4256)*

მუხლი 219. *ამოღებულია (29.12.2006 N4256)*

მუხლი 220. *ამოღებულია (29.12.2006 N4256)*

მუხლი 221. *ამოღებულია (29.12.2006 N4256)*

მუხლი 222. *ამოღებულია (29.12.2006 N4256)*

თავი XXXII. ამოღებულია (29.12.2006 N4256)

კარი X
საბაჟო სამართალდარღვევა და პასუხისმგებლობა

თავი XXXIII. საბაჟო სამართალდარღვევისთვის პასუხისმგებლობის ზოგადი დებულებანი

მუხლი 232. საბაჟო სამართალდარღვევა და საბაჟო პასუხისმგებლობის სუბიექტები

1. საბაჟო სამართალდარღვევად ითვლება ამ კოდექსის XXXIV თავით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა).

2. ამ კოდექსის XXXIV თავით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ საწარმოს/ორგანიზაციას და ფიზიკურ პირს.

მუხლი 233. საბაჟო სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის ზოგადი პრინციპები

1. ამ კოდექსით გათვალისწინებული საბაჟო სამართალდარღვევის გამო არავის არ შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა, თუ არა ამ კოდექსით დადგენილ საფუძველზე და დადგენილი წესით.

2. არავის არ შეიძლება დაეკისროს განმეორებითი პასუხისმგებლობა ერთი და იმავე ქმედებისათვის. საბაჟო სამართალდარღვევა განმეორებით ჩადენილად ჩაითვლება, თუ პირველ სამართალდარღვევაზე სანქციის შესრულებიდან ერთი წელი არ გასულა.

3. ამ კოდექსით გათვალისწინებული საბაჟო სამართალდარღვევისათვის ფიზიკურ პირს პასუხისმგებლობა დაეკისრება, თუ ეს სამართალდარღვევა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად არ იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.

4. საბაჟო სამართალდარღვევის გამო საწარმოს/ორგანიზაციის მიმართ საბაჟო სანქციის გამოყენება არ ათავისუფლებს მის თანამდებობის პირს, შესაბამისი საფუძვლების არსებობისას, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ადმინისტრაციული, სისხლის-სამართლებრივი ან სხვა პასუხისმგებლობისაგან.

5. საბაჟო სამართალდარღვევის გამო პირის მიმართ საბაჟო სანქციის გამოყენება არ ათავისუფლებს მას კუთვნილი გადასახადების, მოსაკრებლისა და საურავის გადახდის ვალდებულებისაგან.

6. ამ კოდექსის 232-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულ სუბიექტებს ამავე კოდექსით გათვალისწინებული კონკრეტული საბაჟო სამართალდარღვევისათვის არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა, თუ საბაჟო სამართალდარღვევა გამოწვეულია ავარიის ან დაუძლე-

ველი ძალის პირობების მოქმედების შედეგად, ხოლო სუბიექტმა დაუყოვნებლივ აცნობა ამის თაობაზე საბაჟო ორგანოს და წარუდგინა მას სათანადო მტკიცებულებები. დაუძლეველი ძალის პირობებად ითვლება ისეთი საგანგებო და განსაკუთრებული გარემოებები (გარდა ჭირდობისა და ძარცვა-ყაჩაღობისა), რომლებიც შეუძლებელს ხდის ამ კოდექსით დადგენილი ვალდებულებების შესრულებას, რომელთა დადგომა არ არის დამოკიდებული სუბიექტის ნებაზე, ხოლო მათი გათვალისწინება ან/და თავიდან აცილება შეუძლებელია ცოდნისა და ტექნიკური განვითარების არსებული დონიდან გამომდინარე, კერძოდ:

ა) სტიქიური უბედურებები (მიწისძვრა, წყალდიდობა, მეწყერი, ზვავი, ხანძარი და სხვა);

ბ) საგარეო ვაჭრობის შეზღუდვა, საგანგებო/საომარი მდგომარეობის გამოცხადება, აგრეთვე სახელმწიფო ორგანოების სხვა გადაწყვეტილებები;

გ) მასობრივი არეულობა, გაფიცვა.

მუხლი 234. საბაჟო სანქცია

1. საბაჟო სანქცია არის პასუხისმგებლობის ზომა ჩადენილი საბაჟო სამართალდარღვევისათვის.

2. საბაჟო სანქცია გამოიყენება საურავის, ფულადი ჯარიმისა და საბაჟო სამართალდარღვევის საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების უსასყიდლოდ ჩამორთმევის სახით ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში, საბაჟო ორგანოს გადაწყვეტილებით, თუ ამავე კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი.

3. საბაჟო სამართალდარღვევათა ერთობლიობისას საბაჟო სანქცია გამოიყენება თითოეული სამართალდარღვევისათვის ცალ-ცალკე.

4. საბაჟო სამართალდარღვევათა ერთობლიობა ნიშნავს ამ კოდექსის XXXIV თავით გათვალისწინებული ორი ან ორზე მეტი ქმედების (მოქმედება ან უმოქმედობა) ჩადენა, რომელთაგან სუბიექტს არც ერთის გამო არ დაკისრებია პასუხისმგებლობა.

5. საბაჟო სამართალდარღვევათა ერთობლიობად ჩაითვლება აგრეთვე ისეთი ქმედების (მოქმედება ან უმოქმედობა) ჩადენა, რომელიც შეიცავს ამ კოდექსის XXXIV თავით გათვალისწინებული ორი ან ორზე მეტი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული საბაჟო სამართალდარღვევის ნიშნებს. თუ ქმედება გათვალისწინებულია ზოგადი და სპეციალური ნორმებით, საბაჟო სამართალდარღვევათა ერთობლიობა არ არსებობს და სუბიექტს პასუხისმგებლობა დაეკისრება სპეციალური ნორმით.

6. თუ საბაჟო სამართალდარღვევის სუბიექტი არის ერთზე მეტი პირი, მათ ამ კოდექსით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა დაეკისრებათ სოლიდარულად.

7. უსასყიდლოდ ჩამორთმეული და სახელმწიფოს საკუთრებაში გადაცემული საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების რეალიზების წესი განისაზღვრება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით.

8. საბაჟო სანქციას საურავი არ ერიცხება.

მუხლი 235. საბაჟო სამართალდარღვევის საქმის წარმოება

1. თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, საბაჟო სამართალდარღვევის საქმეს აწარმოებს, განიხილავს და შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს საბაჟო ორგანო თავისი კომპეტენციის ფარგლებში მხოლოდ ამ კოდექსით განსაზღვრული წესით.

2. ამ კოდექსით გათვალისწინებული საბაჟო სამართალდარღვევის გამოვლენისას დგება სამართალდარღვევის ოქმი. ოქმს ადგენენ:

ა) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული თანამდებობის პირები; *(29.12.2006 N4256)*

ბ) ამოღებულია *(29.12.2006 N4256)*

გ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საზღვრის დაცვის დეპარტამენტისა და საპატრულო პოლიციის უფლებამოსილი პირები – ამ კოდექსის 239-ე, 241-ე–243-ე, 246-ე და 248-ე მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე.

3. ოქმში აღინიშნება:

ა) მისი შედგენის ადგილი და თარიღი;

ბ) ოქმის შემდგენის, აგრეთვე იმ პირის (პირების) თანამდებობა, სახელი და გვარი, რომელმაც გამოავლინა სამართალდარღვევა;

გ) მონაცემები საბაჟო სამართალდარღვევის სუბიექტის შესახებ (მისი არსებობის შემთხვევაში);

დ) სამართალდარღვევის ადგილი, დრო და შინაარსი (მათ შორის, არსებითი ფაქტები და გარემოებები);

ე) ამ კოდექსის XXXIV თავით გათვალისწინებული ის მუხლი ან მუხლის ნაწილი, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ამ სამართალდარღვევისათვის;

ვ) მოწმის, აგრეთვე საქმის წარმოების სხვა მონაწილის გვარი, სახელი და მისამართი (მათი არსებობის შემთხვევაში);

ზ) საბაჟო სამართალდარღვევის სუბიექტის ახსნა-განმარტებები;

თ) საბაჟო სამართალდარღვევის საქმის წარმოების უზრუნველყოფის ღონისძიებები (ასეთის გამოყენების შემთხვევაში).

4. ოქმი გასაცნობად წარედგინება საქმის წარმოების მონაწილე ყველა პირს. მათ უფლება აქვთ გამოთქვან შენიშვნები, რომლებიც აისახება ოქმში.

5. ოქმს ხელს აწერენ ოქმის შემდგენი და საბაჟო სამართალდარღვევის ჩამდენი ან მისი წარმომადგენელი, აგრეთვე მოწმეები (მათი არსებობის შემთხვევაში).

6. თუ სამართალდარღვევის ჩამდენი უარს იტყვის ოქმის ხელმოწერაზე, მასში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი. სამართალდარღვევის ჩამდენს უფლება აქვს წარმოადგინოს ოქმისათვის დასართავი ახსნა-განმარტებები და შენიშვნები ოქმის შინაარსთან დაკავშირებით, აგრეთვე ჩამოაყალიბოს საკუთარ ხელმოწერაზე უარის მიზეზები.

7. ოქმის ერთი პირი გადაეცემა საბაჟო სამართალდარღვევის ჩამდენს.

8. ოქმი დაუყოვნებლივ ეგზავნება იმ ორგანოს (თანამდებობის პირს), რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს სამართალდარღვევისათვის სანქციის შეფარდების საკითხი.

9. საბაჟო სამართალდარღვევის ოქმის შედგენიდან 30 დღის ვადაში საქმის განხილვის მასალებზე დაყრდნობით საბაჟო ორგანოს უფროსი/მისი მოადგილე საქმეზე იღებს გადაწყვეტილებას (გარდა ამ მუხლის მე-11 და მე-12 ნაწილებით გათვალისწინებული შემთხვევებისა), რომელიც ფორმდება საბაჟო შეტყობინებით.

10. ამ მუხლის მე-9 ნაწილით განსაზღვრული ვადის დარღვევით გამოცემული საბაჟო შეტყობინება ჩაითვლება იურიდიული ძალის არმქონედ.

11. თუ ამ მუხლის მე-9 ნაწილით გათვალისწინებულ ვადაში შეუძლებელია საბაჟო სამართალდარღვევის სუბიექტის დადგენა ან მისი იდენტიფიკაცია, საბაჟო ორგანოს უფროსი/მისი მოადგილე გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს სამართალდარღვევის საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების უსასყიდლოდ ჩამორთმევის შესახებ.

12. საბაჟო სამართალდარღვევის სუბიექტს მხოლოდ ოქმის საფუძველზე, სამართალდარღვევის ადგილზე შეეფარდება სანქცია, თუ:

ა) საბაჟო სამართალდარღვევის სუბიექტი სადავოდ არ ხდის მის მიერ ჩადენილი საბაჟო სამართალდარღვევის ფაქტს, რასაც ადასტურებს ოქმზე ხელმოწერით;

ბ) საბაჟო სამართალდარღვევისათვის შესაძლებელია მხოლოდ ჯარიმის შეფარდება.

13. საბაჟო სამართალდარღვევის საქმის წარმოების უზრუნველსაყოფად ამ მუხლის მე-2 ნაწილში მითითებული უფლებამოსილი პირები იყენებენ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 244-ე, 245-ე, 247-ე, 248-ე და 249-ე მუხლებით განსაზღვრულ უზრუნველყოფის ზომებს. საბაჟო სანქციის აღსრულების უზრუნველყოფისათვის საბაჟო სამართალდარღვევის საქმის წარმოებისას სამართალდარღვევის სუბიექტის, სამართალდარღვევის საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების მიმართ გამოსაყენებელი უზრუნველყოფის ღონისძიებები და მათი განხორციელების წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

14. საბაჟო სამართალდარღვევის საქმის წარმოება და მისი განხილვა, აგრეთვე შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება ხორციელდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესით.

15. ამ მუხლის პირველი-მე-14 ნაწილები არ ვრცელდება ამ კოდექსის 237-ე მუხლზე. ამ კოდექსის 237-ე მუხლით დადგენილი ვალდებულების გადახდევინება ხორციელდება გადაუხდელი საბაჟო გადასახდელების გადახდევინების წესის შესაბამისად.

მუხლი 236. გასაჩივრების წესი

1. საბაჟო სამართალდარღვევის საქმეზე საბაჟო ორგანოს მიერ გაგზავნილი შეტყობინება შეიძლება გაასაჩივროს პირმა, რომლის მიმართაც გამოტანილია აღნიშნული გადაწყვეტილება, ან მისმა წარმომადგენელმა ამ კოდექსის IX კარით დადგენილი წესით.

2. საბაჟო სამართალდარღვევის ოქმი შეიძლება გასაჩივრდეს საბაჟო სანქციის შეფარდების შესახებ გამოტანილ გადაწყვეტილებასთან ერთად. ამასთანავე, ამ კოდექსის 235-ე მუხლის მე-12 ნაწილით გათვალისწინებული ოქმი არ საჩივრდება, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ იგი შესრულებულია ფიზიკური ან ფსიქიკური ზეძალმედების შედეგად.

თავი XXXIV. საბაჟო სამართალდარღვევათა სახეები და პასუხისმგებლობა

მუხლი 237. საბაჟო გადასახდელების გადაუხდელობა

საბაჟო გადასახდელების გადაუხდელობა, –

იწვევს საურავის გამოყენებას საქართველოს საგადასახადო კოდექსის 129-ე მუხლით გათვალისწინებული ოდენობითა და წესით.

მუხლი 238. დეკლარირების დადგენილ ვადაში განუხორციელებლობა

1. დეკლარირების დადგენილ ვადაში განუხორციელებლობა, –

იწვევს დეკლარირებაზე ვალდებული პირის დაჯარიმებას 500 ლარით.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

იწვევს დეკლარირებაზე ვალდებული პირის დაჯარიმებას ყოველ შემდგომ განმეორებაზე 1 000 ლარით.

მუხლი 239. საბაჟო ორგანოს თანხმობის გარეშე საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალებების მოხსნა/მოცილება ან/და განადგურება

1. საბაჟო ორგანოს თანხმობის გარეშე საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალებების მოხსნა/მოცილება ან/და განადგურება, საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მყოფ სატრანსპორტო საშუალებაში ან საბაჟო კონტროლის ზონაში არსებულ შენობა-ნაგებობაში შეღწევა, –

იწვევს საქონლის, სატრანსპორტო საშუალების ან/და შენობა-ნაგებობის მფლობელის დაჯარიმებას 5 000 ლარით.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედებები, ჩადენილი განმეორე-

ბით, –

იწვევს საქონლის, სატრანსპორტო საშუალების ან/და შენობა-ნაგებობის მფლობელის დაჯარიმებას ყოველ შემდგომ განმეორებაზე 10 000 ლარით.

მუხლი 240. საბაჟო დეკლარაციის შევსების წესების დარღვევა

1. საბაჟო დეკლარაციაში საქონლის სახეობის, რაოდენობის, წარმოშობის ქვეყნის ან/და საბაჟო ღირებულების შესახებ არასწორი მონაცემების შეტანა, რაც იწვევს საბაჟო გადასახდელების ოდენობის შემცირებას ან არასატარიფო ღონისძიებებისათვის თაყის არიდებას, თუ ეს ქმედება არ შეიცავს ამ კოდექსის 242-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული საბაჟო სამართალდარღვევის ნიშნებს, –

იწვევს დეკლარანტის დაჯარიმებას გადასახდელი საბაჟო გადასახდელების თანხის 50 პროცენტის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 1 000 ლარისა. *(29.12.2006 N4256)*

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

იწვევს ვალდებული პირის დაჯარიმებას ყოველ შემდგომ განმეორებაზე გადასახდელი საბაჟო გადასახდელების თანხის 200 პროცენტის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 2 000 ლარისა, ან/და საბაჟო სამართალდარღვევის სატრანსპორტო საშუალებისა და საქონლის უსასყიდლოდ ჩამორთმევას. *(29.12.2006 N4256)*

3. ამ მუხლის მიზნებისათვის საბაჟო დეკლარაციაში არასწორი მონაცემების შეტანად ჩაითვლება ისეთი მონაცემების შეტანა, რომელთა არასწორობა დადასტურებულია მტკიცებულებებზე დაყრდნობით საბაჟო კონტროლის განხორციელებისას ან სისხლის სამართლის საქმეზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. მხოლოდ საფუძვლიანი ეჭვის არსებობა, რომელიც შეიძლება გახდეს საბაჟო ღირებულების კორექტირების ან განსხვავებული მეთოდით დადგენის საფუძველი, არ ქმნის სამართალდარღვევის შემადგენლობას.

მუხლი 241. დეკლარირებული საქონლის მიერ უკანონოდ საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთა ან საბაჟო კონტროლის ზონის დატოვება

1. საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირის თანხმობის გარეშე დეკლარირებული საქონლის მიერ საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთა ან საბაჟო კონტროლის ზონის დატოვება, –

იწვევს ვალდებული პირის დაჯარიმებას ამ საქონელზე გადასახდელი იმპორტის გადასახდელების თანხის 25 პროცენტის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 500 ლარისა.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

იწვევს ვალდებული პირის დაჯარიმებას ყოველ შემდგომ განმეორებაზე ამ საქონელზე გადასახდელი იმპორტის გადასახდელების თანხის 75 პროცენტის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 1 500 ლარისა.

მუხლი 242. საბაჟო საზღვარზე საქონლის უკანონოდ გადატანა ან გადმოტანა *(29.12.2006 N4256)*

1. საქართველოს საბაჟო საზღვარზე მოძრავი ნივთის გადატანა ან გადმოტანა, ჩადენილი საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით ან მისგან მალულად ან/და დოკუმენტის ან საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალების მოტყუებით გამოყენებით ან/და საბაჟო დეკლარაციაში ან სხვა საბაჟო დოკუმენტში ყალბი მონაცემების შეტანით, –

იწვევს ვალდებული პირის დაჯარიმებას ამ მოძრავი ნივთის საბაჟო ღირებულების 100 პროცენტის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 2 000 ლარისა, ან/და საბაჟო სამართალდარღვევის სატრანსპორტო საშუალებისა და საქონლის უსასყიდლოდ ჩამორთმევას.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

იწვევს ვალდებული პირის დაჯარიმებას ყოველ შემდგომ განმეორებაზე ამ მოძრავი ნივთის საბაჟო ღირებულების 100 პროცენტის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 4 000 ლარისა, და საბაჟო სამართალდარღვევის სატრანსპორტო საშუალებისა და საქონლის უსასყიდლოდ ჩამორთმევას.

მუხლი 243. საბაჟო ორგანოსთან შეუთანხმებლად საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მყოფი საქონლის გახსნა, ხელმეორედ შეფუთვა, გადატვირთვა ან გადმოტვირთვა

1. საბაჟო ორგანოსთან შეუთანხმებლად საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მყოფი საქონლის გახსნა, ხელმეორედ შეფუთვა, გადატვირთვა ან გადმოტვირთვა, –

იწვევს ვალდებული პირის დაჯარიმებას 500 ლარით.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

იწვევს ვალდებული პირის დაჯარიმებას ყოველ შემდგომ განმეორებაზე 1 500 ლარით.

მუხლი 244. თავისუფალი ზონისათვის ან თავისუფალი საწყობისათვის დადგენილი მოთხოვნების დარღვევა

1. თავისუფალი ზონისათვის ან თავისუფალი საწყობისათვის დადგენილი მოთხოვნების დარღვევით საქონლის გადაადგილება ან ამ ტერიტორიიდან გატანა, აგრეთვე საქონლის დასაწყობების, შენახვის ან აღრიცხვის წარმოების მოთხოვნების დარღვევა, –

იწვევს თავისუფალი ზონის ან თავისუფალი საწყობის მფლობელის დაჯარიმებას 500 ლარით.

2. თავისუფალ ზონაში ან თავისუფალ საწყობში უკანონო საწარმოო ან სავაჭრო საქმიანობა ან/და მომსახურება, შენობა-ნაგებობების მშენებლობა, საქონლის მოხმარება ან გამოყენება, –

იწვევს თავისუფალი ზონის ან თავისუფალი საწყობის მფლობელის დაჯარიმებას 500 ლარით.

3. ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული ქმედებები, ჩადენილი განმეორებით, –

იწვევს თავისუფალი ზონის ან თავისუფალი საწყობის მფლობელის დაჯარიმებას ყოველ შემდგომ განმეორებაზე 1 000 ლარით.

მუხლი 245. საბაჟო ორგანოს თანამდებობის პირისათვის წინააღმდეგობის გაწევა

1. საბაჟო ორგანოს თანამდებობის პირისათვის წინააღმდეგობის გაწევა, მათ შორის, დათვალიერების ჩატარებაზე, საბაჟო ორგანოს თანამდებობის პირის კანონიერი გადაწყვეტილებისა და მოთხოვნის უგულებელყოფა, აგრეთვე საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრულ ადგილზე სატრანსპორტო საშუალების გაჩერების მოთხოვნის შეუსრულებლობა, –

იწვევს დაჯარიმებას 1 000 ლარით.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედებები, ჩადენილი განმეორებით, –

იწვევს დაჯარიმებას ყოველ შემდგომ განმეორებაზე 2 000 ლარის ოდენობით.

მუხლი 246. სატრანსპორტო საშუალებასთან დაკავშირებული საბაჟო კანონმდებლობის დარღვევა

1. საბაჟო პროცედურების განხორციელებისას საბაჟო ორგანოს თანხმობის გარეშე სატრანსპორტო საშუალების გადაადგილება, მოძრაობისათვის დადგენილი საბაჟო მარშრუტიდან გადახვევა, –

იწვევს დაჯარიმებას 1 000 ლარით.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედებები, ჩადენილი განმეორებით, –

იწვევს დაჯარიმებას ყოველ შემდგომ განმეორებაზე 2 000 ლარით.

მუხლი 247. საბაჟო დამუშავების ოპერაციებზე საბაჟო კანონმდებლობით დადგენილი პირობების დარღვევა

1. საბაჟო დამუშავების ოპერაციებზე საბაჟო კანონმდებლობით დადგენილი პირობების დარღვევა, –

იწვევს ვალდებული პირის დაჯარიმებას 500 ლარით.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

იწვევს ვალდებული პირის დაჯარიმებას 1 000 ლარით.

მუხლი 248. საქონლის დაკარგვა, განადგურება ან უკანონო განკარგვა

საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მყოფი საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების საბაჟო ზედამხედველობიდან გატანა/გასელა, რომელსაც თან ახლავს საბაჟო კანონმდებლობით დადგენილი პირობების დარღვევა, –

იწვევს საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების მფლობელის დაჯარიმებას ასეთ საქონელზე ან/და სატრანსპორტო საშუალებაზე გადასახდელი იმპორტის გადასახდელების თანხის 100 პროცენტის ოდენობით ან/და საბაჟო სამართალდარღვევის საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების უსასყიდლოდ ჩამორთმევას.

მუხლი 249. დოკუმენტების შენახვის ვადის დარღვევა

1. ამ კოდექსის მე-17 მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტების შენახვის ვადის დარღვევა, –

იწვევს ამ დოკუმენტების შენახვაზე ვალდებული პირის დაჯარიმებას 300 ლარით.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

იწვევს ამ დოკუმენტების შენახვაზე ვალდებული პირის დაჯარიმებას ყოველ შემდგომ განმეორებაზე 1 000 ლარით.

მუხლი 250. ავარიისა და დაუძლეველი ძალის დროს გასატარებელი ღონისძიებების განუხორციელებლობა

1. ამ კოდექსის 46-ე მუხლით გათვალისწინებული ავარიისა და დაუძლეველი ძალის დროს საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მყოფი საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების დასაცავად შესაბამისი ზომების მიუღებლობა, ასეთ გარემოებებზე, საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მყოფი საქონლის დაზიანებაზე ან განადგურებაზე საბაჟო ორგანოსათვის დაუყოვნებლივ შეუტყობინებლობა, –

იწვევს ვალდებული პირის დაჯარიმებას 300 ლარით.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

იწვევს ვალდებული პირის დაჯარიმებას ყოველ შემდგომ განმეორებაზე 1 000 ლარით.

მუხლი 251. სატრანსპორტო საშუალების შემოსვლის/ჩამოფრენის ან გასვლის/გაფრენის შესახებ საბაჟო ორგანოსათვის შეუტყობინებლობა

1. ნავსადგურის, საფოსტო სამსახურის, რკინიგზის ან აეროპორტის მიერ სატრანსპორტო საშუალების შემოსვლის/ჩამოფრენის ან გასვლის/გაფრენის შესახებ საბაჟო ორგანოსათვის შეუტყობინებლობა, –

იწვევს ნავსადგურის, საფოსტო სამსახურის, რკინიგზის ან აეროპორტის დაჯარიმებას 5 000 ლარით.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

იწვევს ნავსადგურის, საფოსტო სამსახურის, რკინიგზის ან აეროპორტის დაჯარიმებას ყოველ შემდგომ განმეორებაზე 10 000 ლარით.

მუხლი 252. დროებითი შენახვის საწყობის, საბაჟო საწყობის ან უბაჟო ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვის მფლობელის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პირობების შეუსრულებლობა

1. დროებითი შენახვის საწყობის, საბაჟო საწყობის ან უბაჟო ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვის მფლობელის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პირობების შეუსრულებლობა, –

იწვევს ნებართვის მფლობელის დაჯარიმებას 3 000 ლარით.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

იწვევს ნებართვის მფლობელის დაჯარიმებას ყოველ შემდგომ განმეორებაზე ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ჯარიმის გასამმაგებული ოდენობით.

მუხლი 253. სხვა ჯარიმები

დეკლარანტის, საქონლის მფლობელის ან სხვა ვალდებული პირის მიერ ამ კოდექსით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა, რომლისთვისაც ამ კოდექსით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა, მაგრამ არ არის განსაზღვრული ჯარიმის ოდენობა, –

იწვევს დაჯარიმებას 300 ლარით.

კარი XI
გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

თავი XXXV. გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

მუხლი 254. გარდამავალი დებულებანი

1. ამ კოდექსის ამოქმედებამდე გაცემული ლიცენზიები და ნებართვები 3 კალენდარული თვის ვადაში შესაბამისობაში უნდა იქნეს მოყვანილი ამ კოდექსით განსაზღვრულ სანებართვო მოთხოვნებთან.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნების დადგენილ ვადებში შეუსრულებლობის შემთხვევაში ამ კოდექსის ამოქმედებამდე გაცემული ლიცენზიები და ნებართვები გამოცხადდეს ძალადაკარგულად.

3. ამ კოდექსის პროცედურული დებულებები ვრცელდება ამ კოდექსის ამოქმედების დღიდან დეკლარირებულ საბაჟო დამუშავების ოპერაციებზე.

4. ამ კოდექსის ამოქმედებამდე დეკლარირებულ საბაჟო რეჟიმებზე ვრცელდება საქართველოს საბაჟო კოდექსი (პარლამენტის უწყებანი, N47-48, 31.12.1997, გვ. 86) და მის შესაბამისად გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.

5. საქართველოში ნავთობის მსუბუქი, საშუალო და მძიმე დისტილატებისათვის არ გამოიყენება ამ კოდექსის მე-7 მუხლის 30-ე ნაწილის „დ"–„ე" ქვეპუნქტებით განსაზღვრული საბაჟო რეჟიმები და საქონლის გადატანა თავისუფალ ზონაში ან თავისუფალ საწყობში. ამასთანავე, ამ საქონლის რექვიზორტი დასაშვებია მხოლოდ 1 თვით, ხოლო საბაჟო საწყობის რეჟიმში მოქცევისას საქონელი უნდა განთავსდეს მხოლოდ დახურული ტიპის საბაჟო საწყობში არა უმეტეს 3 თვისა. *(29.12.2006 N4247)*

6. აკრძალულია აქციზური მარკებით ნიშანდების გარეშე მარკირებას დაქვემდებარებული თამბაქოს ნაწარმის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანა ან/და გადაადგილება

(მათ შორის, ტრანზიტი დანიშნულების ქვეყნის აქციზური მარკის გარეშე. თუ დანიშნულების ქვეყანას არ გააჩნია აქციზური მარკით საგალდებულო ნიშანდების მოთხოვნა, მაშინ საბაჟო ორგანოს შესაბამისი სამსახური ახორციელებს თამბაქოს ნაწარმის გაცილებას საბაჟო გამშვებ პუნქტამდე), გარდა უბაჟო ვაჭრობის პუნქტისათვის განკუთვნილი თამბაქოს ნაწარმისა, უცხო ქვეყნის უბაჟო ვაჭრობის ზონაში რეალიზებისათვის განკუთვნილი თამბაქოს ნაწარმისა და აქციზური მარკის გარეშე თამბაქოს ნაწარმით ვაჭრობის ნებადართულ ქვეყნებში ექსპორტისა.

7. საქართველოს საბაჟო საზღვარზე მილსადენითა და ელექტროგადამცემი ხაზებით გადაადგილებული საქონლის საბაჟო პროცედურების განხორციელების წესებს ადგენს საქართველოს ფინანსთა მინისტრი შესაბამისი ბრძანებით.

მუხლი 253. დასკვნითი დებულებანი

1. ეს კოდექსი, გარდა 207-ე–210-ე მუხლებისა, ამოქმედდეს 2007 წლის 1 იანვრიდან.

2. ამ კოდექსის 207-ე–210-ე მუხლები ამოქმედდეს 2008 წლის 1 იანვრიდან.

3. 2007 წლის 1 იანვრიდან ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი საქართველოს 1997 წლის 14 ნოემბრის საბაჟო კოდექსი (პარლამენტის უწყებანი, N47-48, 31.12.1997, გვ. 86).

საქართველოს პრეზიდენტი მ. სააკაშვილი

თბილისი,
2006 წლის 25 ივლისი.
N3545 - რს

საქართველოს კანონი

საბაჟო მოსაკრებლების შესახებ

მუხლი 1. ზოგადი დებულება

ეს კანონი ადგენს საქართველოს საბაჟო კოდექსით განსაზღვრული საბაჟო პროცედურებისათვის გადასახდევინებელი მოსაკრებლების სახეებსა და განაკვეთებს, ამ მოსაკრებლების გადახდევინების წესსა და ვადებს.

მუხლი 2. საბაჟო მოსაკრებლის ცნება

საბაჟო მოსაკრებელი არის ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის საგალდებულო ფულადი შენატანი სახელმწიფო ბიუჯეტში, რომელსაც ახდევინებენ საბაჟო ორგანოები საქონლის, აგრეთვე სატრანსპორტო საშუალებების მიერ საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას განხორციელებული საგალდებულო საბაჟო პროცედურებისათვის.

მუხლი 3. საბაჟო მოსაკრებლების გადამხდელები

საბაჟო მოსაკრებლების გადამხდელები არიან ფიზიკური და იურიდიული პირები, რომელთაც საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოაქვთ ან ამ ტერიტორიიდან გააქვთ საქონელი, ასევე საქართველოს ტერიტორიაზე სატრანსპორტო საშუალებების დროებით შემომყვანი პირები, რომლებიც რეგისტრაციაში გაატარებენ ამ საშუალებებს.

მუხლი 4. საბაჟო მოსაკრებლების სახეები *(29.12.2006 N4228)*

საბაჟო მოსაკრებლების სახეებია მოსაკრებლები, რომლებიც გადაიხდევინება საქონლის საბაჟო პროცედურებისათვის.

მუხლი 5. საბაჟო მოსაკრებლების განაკვეთები *(29.12.2006 N4228)*

საბაჟო მოსაკრებლების განაკვეთებია:

ა) საქონლის საბაჟო პროცედურებისათვის (გარდა საქონლის დროებით შემოტანისა):

ა.ა) იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ (გარდა ამ მუხლის „ა.ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ფიზიკური და იურიდიული პირებისა) საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული საქონლისათვის გათვალისწინებული საბაჟო პროცედურებისათვის – ერთ დეკლარაციაზე 60 ევროს ეკვივალენტი ლარებში;

ა.ბ) ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ (გარდა ამ კანონის მე-6 მუხლის „ზ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ფიზიკური და იურიდიული პირებისა) საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული, 3000 ლარზე ნაკლები საბაჟო ღირებულების მქონე საქონლისათვის გათვალისწინებული საბაჟო პროცედურებისათვის – ერთ დეკლარაციაზე 5 ევროს ეკვივალენტი ლარებში;

ბ) საქართველოს ტერიტორიაზე საქონლის დროებით შემოტანისათვის:

ბ.ა) 10000 კილოგრამზე ნაკლები წონის საქონლის ყოველ კილოგრამზე – 1 თეთრი;

ბ.ბ) 10000 კილოგრამზე მეტი წონის საქონლის ყოველ კილოგრამზე – 100 ლარიდან დამატებით 0,3 თეთრი;

ბ.გ) საგამოფენო დანიშნულების საქონლის ყოველ კილოგრამზე – 2,5 თეთრი.

მუხლი 6. საბაჟო მოსაკრებლების გადახდისაგან განთავისუფლება

საბაჟო მოსაკრებლების გადახდისაგან განთავისუფლებულია:

ა) საქონლის იმპორტი სტიქიური უბედურების, ავარიისა და კატასტროფის ლიკვიდაციის, აგრეთვე ჰუმანიტარული დახმარების მიზნით;

ბ) საქონლის იმპორტი, რომელიც გათვალისწინებულია ხელშეკრულებით გრანტის შესახებ, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით განსაზღვრული წესით;

გ) უცხო ქვეყნების დიპლომატიური და მათთან გათანაბრებული წარმომადგენლობების ოფიციალური სარგებლობისათვის, აგრეთვე ამ წარმომადგენლობების დიპლომატიური და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის (მათთან მცხოვრები ოჯახის წევრების ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი საქონელი;

დ) საქონლის იმპორტი საქართველოს საგადასახადო კოდექსის 270^5 მუხლის „ლ" ქვეპუნქტის შესაბამისად; *(29.12.2006 N4248)*

ე) ეროვნული და უცხოური ვალუტის (გარდა ნუმიზმატიკური მიზნებით გამოსაყენებლად გათვალისწინებულისა) და ფასიანი ქაღალდების იმპორტი. *(29.12.2004 N 944)*

ვ) საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების ტრანზიტი; *(17.03.2006 N2790)*

ზ) საქონლის ექსპორტი და საქონლის რეექსპორტი. *(29.12.2006 N4248)*

მუხლი 7. საბაჟო მოსაკრებლების დარიცხვისა და ამოღების წესი

1. საქონლის საბაჟო პროცედურებისათვის მოსაკრებლების დარიცხვა და ამოღება ხორციელდება საქართველოს საგადასახადო კოდექსითა და საქართველოს საბაჟო კოდექსით დადგენილი წესებით. *(29.12.2006 N4248)*

2. საბაჟო ორგანოებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა გადამხდელთა მიერ მოსაკრებლების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის სათანადოდ დაცვის უზრუნველყოფისათვის და მისი გამოყენების კონტროლისათვის.

მუხლი 8. ამოღებულია *(29.12.2000 N4228)*

მუხლი 9. დასკვნითი დებულებანი

1. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

ა) ,,საბაჟო გადასახადით და მოსაკრებლებით დაბეგვრის მოწესრიგებისა და ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე" საქართველოს 1996 წლის 18 ოქტომბრის კანონი (პარლამენტის უწყებანი, N 27 28/4, 1996 წლის 21 ნოემბერი);

ბ) "საქართველოს რესპუბლიკის საბაჟო კომიტეტის სისტემაში საბაჟო პროცედურებისა და გაწეული მომსახურების სახეებისა და მათზე საბაჟო მოსაკრებლების განაკვეთების დამტკიცების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 27 აპრილის N333 დადგენილება.

3. ამოღებულია *(17.03.2006 N2790)*

4. ამოღებულია *(17.03.2006 N2790)*

საქართველოს პრეზიდენტი ე. შევარდნაძე.
თბილისი,
1998 წლის 18 თებერვალი.
N1226 - IIს

საქართველოში ძალაშია საქართველოს პარლამენტის 1999 წლის 16 აპრილის N1907 დადგენილებით

კონტეინერებთან დაკავშირებული საბაჟო კონვენცია 1972 პრეამბულა

ხელშემკვრელი მხარეები,

სურვილი აქვთ რა გააფართოვონ და შეამსუბუქონ საერთაშორისო საკონტეინერო გადაზიდვები შეთანხმდნენ შემდეგზე:

თავი I

ზოგადი დებულებები

მუხლი 1

წინამდებარე კონვენციის გამოყენებისას:

a) ტერმინი "შემოზიდვის ბაჟი და მოსაკრებლები" ნიშნავს საბაჟო ბაჟს და ყველა სხვა ბაჟს, გადასახადებს, მოსაკრებლებს და სხვა თანხას, რომელსაც ახდევინებენ შემოზიდვისას ან ტვირთების შემოზიდვასთან დაკავშირებით, მაგრამ იმ თანხებისა და მოსაკრებლების გამოკლებით, რომლებიც თავისი სიდიდით შეზღუდულია გაწეული მომსახურების მიახლოებით ღირებულებამდე.

B) ტერმინი "დროებითი შემოზიდვა" ნიშნავს დროებით შემოზიდვას-შემდგომი გაზიდვის პირობით – საბაჟოს ბაჟისა და მოსაკრებლების გადახდისაგან გათავისუფლებით და საიმპორტო აკრძალვებისა და შეზღუდვების გამოყენების გარეშე.

C) ტერმინი "კონტეინერი" ნიშნავს სატრანსპორტო მოწყობილობას (გალია, მოსახსნელი ცისტერნა ან მსგავსი მოწყობილობა):

I) რომელიც წარმოადგენს მთლიანად ან ნაწილობრივ ჩაკეტილ მოცულობას, რომელიც გათვალისწინებულია ტვირთის მოსათავსებლად;

II) რომელსაც აქვს მუდმივი ხასიათი და ამის გამო საკმაოდ გამძლეა იმისათვის, რომ მრავალჯერ იქნეს გამოყენებული;

III) რომელიც სპეციალურადაა კონსტრუირებული იმისათვის, რომ გააადვილოს ტვირთების გადატანა ერთი ან რამოდენიმე სახის ტრანსპორტის საშუალებით ტვირთების შუალედური გადატვირთვის გარეშე;

IV) კონსტრუირიებულია იმგვარად, რომ გააადვილოს მისი გადატვირთვა, კერძოდ ერთი სახის ტრანსპორტიდან მეორე სახის ტრანსპორტზე;

V) კონსტუირებულია იმგვარად, რომ იოლად შეიძლებოდეს მისი დატვირთვა და გადმოტვირთვა.

VI) აქვს შიდა მოცულობა არანაკლებ ერთი კუბური მეტრისა.

"ტერმინი კონტეინერი" მოიცავს კონტეინერის კუთვნილ ნაწილებს და მოწყობილობას, რომლებიც აუცილებელია მოცემული ტიპის კონტეინერისათვის, იმ პირობით, რომ ასეთი კუთვნილი ნაწილებისა და მოწყობილობების გადაზიდვა კონიტეინერებთან ერთად ხდება. ტერმინი "კონტეინერი" არ მოიცავს სატრანსპორტო საშუალებებს, კუთვნილი ნაწილებს, სატრანსპორტო საშუალებების სათადარიგო ნაწილებს და შეფუთვას.

d) ტერმინი "შიდა გადაზიდვები" ნიშნავს ტვირთების გადაზიდვებს, რომლებიც იტვირთება მოცემული ქვეყნის ტერიტორიაზე და ექვემდებარება გადმოტვირთვას იმავე ქვეყნის ტერიტორიაზე;

e) ტერმინი "პირი" ნიშნავს როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირს;

f) ტერმინი "კონტეინერების საექსპლუატაციო საწარმო" ნიშნავს პირს, რომელიც მიუხედავად იმისა, არის თუ არა მფლობელი, ახორციელებს ეფექტურ კონტროლს კონტეინერის გამოყენებაზე.

მუხლი 2

იმისათვის, რომ წინამდებარე კონვენციაში გათვალისწინებული პირობები ვრცელდებოდეს კონტეინერებზე, მათი მარკირება უნდა ხდებოდეს N 1 დანართში მოცემული დებულებების შესაბამისად.

თავი II

დროებითი შემოზიდვა

a) დროებითი შემოზიდვის პირობები

მუხლი 3

1. 4-9 მუხლებში ჩამოყალიბებული პირობების შესრულებისას შეთანხმებების თითოეული მხარე როგორც დატვირთული, ისე ცარიელი კონტეინერების შემოზიდვის ნებას იძლევა.

2. შეთანხმების თითოეული მხარე უფლებას იტოვებს არ მისცეს ისეთი კონტეინერების დროებითი შემოზიდვის უფლება, რომლებიც წარმოადგენენ ყიდვის, იჯარის ან იჯარა-ყიდვის ან მსგავსი ხასიათის კონტრაქტის საგანს, დადებულს ამ ქვეყნის ტერიტორიაზე მცხოვრები ან მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მქონე პირის მიერ.

მუხლი 4

1. დროებითი შემოზიდვის პროცედურის შესაბამისად შემოზიდული კონტეინერები ექვემდებარებიან გაზიდვას შემოზიდვის დღიდან სამი თვის განმავლობაში. თუმცა ეს

ვადა შეიძლება გააგრძელონ კომპეტენტურმა საბაჟო ორგანოებმა.

2. დროებითი შემოზიდვის პროცედურის შესაბამისად შემოზიდული კონტეინერების გაზიდვა შეიძლება განხორციელდეს ნებისმიერი სათანადო საბაჟოს გაცილით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს საბაჟო არ წარმოადგენს იმ საბაჟოს, საიდანაც განხორციელდა დროებითი შემოზიდვა.

მუხლი 5

1. მიუხედავად მე-4 მუხლის პუნქტ 1-ში შემავალი მოთხოვნისა გაზიდვის შესახებ, ეს მოთხოვნა არ იქნება გამოყენებული სერიოზულად დაზიანებული კონტეინერების მიმართ, იმ პირობით, რომ მოცემული ქვეყნის წესების შესაბამისად და იმ მოცულობით, როგორითაც მისი საბაჟო ორგანოები იძლევიან უფლებას, ისინი (კონტეინერები):

a) იქნებიან დაბეგრილი შემოზიდვის ბაჟებით და მოსაკრებლებით, რომელიც ერგებათ მათგან იმ მომენტში, როდესაც კონტეინერები იქნებიან წარმოდგენილი, და იმ მდგომარეობის გათვალისწინებით, რა მდგომარეობაშიც ისინი იყვნენ წარმოდგენილი. ან

b) უსასყიდლოდ გადაეცემათ ამ ქვეყნის კომპეტენტურ ორგანოებს ან

c) განადგურებულნი იქნებიან დაინტერესებული მხარეების ხარჯზე ოფიციალური კონტროლის ქვეშ, ამასთან გადარჩენილი დეტალები ან მასალები დაიბეგრება შემოზიდვის ბაჟებით და მოსაკრებლებით, რომლებიც მათგან ერგებათ მათი წარმოდგენის მომენტში, იმ მდგომარეობის მხედველობაში მიღებით, რა მდგომარეობაშიც ისინი იყვნენ წარდგენილნი.

2. თუ კონტეინერი, რომელიც შემოზიდული იყო დროებითი შემოზიდვის პროცედურის შესაბამისად, არ შეიძლება გატანილ იქნეს ყადაღის დადების გამო, მე-4 მუხლის პუნქტი 1-ით გათვალისწინებული გადაზიდვის მოთხოვნის შესრულების შეჩერება ხდება ყადაღის დადების გასვლამდე.

b) დროებითი შემოზიდვის პროცედურა

მუხლი 6

მე-7 და მე-8 მუხლების დებულებათა დარღვევის გარეშე წინამდებარე კონვენციის პირობების შესაბამისად დროებით შემოზიდული კონტეინერების მიმართ გამოიყენება დროებითი შემოზიდვის რეჟიმი მათი შემოზიდვის და გადაზიდვისას საბაჟო დოკუმენტების, აგრეთვე გარანტიების წარდგენის გარეშე.

მუხლი 7

თითოეული ხელშემკვრელ მხარეს შეუძლია განაპირობოს კონტეინერების დროებითი შემოზიდვა მე-2 დანართში ჩამოყალიბებული კონტეინერების დროებითი შემოზიდვის პროცედურის მთლიანი ან ნაწილობრივი ფორმალობის შესრულებით.

მუხლი 8

თითოეული ხელშემკვრელი მხარე იმ შემთხვევაში, როდესაც მე-6 მუხლის დებულებების გამოყენება არ შეიძლება, იტოვებს უფლებას მოითხოვოს გარანტიის რომელიმე სახე და/ან საბაჟო დოკუმენტები, რომლებიც დაკავშირებულია კონტეინერების გაზიდვას და შემოზიდვასთან.

c) დროებითი შემოზიდვის პროცედურის შესაბამისად შემოზიდული კონტეინერების გამოყენების პირობები

მუხლი 9

1. ხელშემკვრელი მხარეები, წინამდებარე კონვენციის დებულებების შესაბამისად დროებითი შემოზიდვის პროცედურის გამოყენებით შემოტანილი კონტეინერების ტვირთების შიდა გადაზიდვისათვის გამოყენების ნებას იძლევიან და ამ შემთხვევაში შეთანხმების

თითოეულ მხარეს უფლება აქვს დაავალდებულოს დანართი 3-ში მითითებული ყველა ან ზოგიერთი პირობის შესრულება.

2. პუნქტ 1-ში გათვალისწინებული დებულება გამოყენებულ იქნება სატრანსპორტო საშუალებების, ბუქსირმზიდების ან კონტეინერების გადამზიდების მიმართ შეთანხმების თითოეული მხარის ტერიტორიაზე მოქმედი წესების დარღვევის გარეშე.

d) განსაკუთრებული შემთხვევები

მუხლი 10

1. დასაშვებია დროებით შემოზიდული კონტეინერების რემონტისათვის გათვალისწინებული სათადარიგო ნაწილების დროებითი შემოზიდვა.

2. გამოცვლილი ნაწილები, რომლებიც არ იქნა გამოზიდული დაინტერესებული ქვეყნის წესების შესაბამისად და ამ ქვეყნის საბაჟო ორგანოების მიერ დაშვებული მოცულობით:

a) დაიბეგრება შემოზიდვის ბაჟით და მოსაკრებლებით იმ თანხით, რაც ერგებათ მათგან იმ მომენტში, როდესაც ისინი იყენენ წარდგენილნი და იმ მდგომარეობის გათვალისწინებით, რა მდგომარეობაშიც იყენენ წარმოდგენილნი. ან

b) უსასყიდლოდ გადაეცემა ამ ქვეყნის კომპეტენტურ ორგანოებს ან

c) განადგურდება ოფიციალური კონტროლის ქვეშ, დაინტერესებული მხარეების ხარჯზე.

3. მე-6, მე-7 და მე-8 მუხლების დებულებების შესაბამისი ცვლილებებით გამოყენებული იქნება პუნქტი 1-ით გათვალისწინებული სათადარიგო ნაწილების დროებითი შემოზიდვისათვის.

მუხლი 11

1. ხელშემკვრელი მხარეები შეთანხმდნენ დაუშვან დროებით შემოტანილი კონტეინერების მოწყობილობებისა და კუთვნილი ნაწილების დროებითი შემოზიდვა, რომლებიც შემოიზიდება ან კონტეინერებთან ერთად და გაიზიდება ცალკე ან სხვა კონტეინერებთან ერთად და გაიზიდება ცალკე ან სხვა კონტეინერთან ერთად ან შემოიზიდება ცალკე და გაიზიდება კონტეინერთან ერთად.

2. პუნქტი 1-ში ნახსენები კონტეინერების მოწყობილობისა და კუთვნილი ნაწილების დროებითი შემოზიდვის მიმართ გამოყენებული იქნება 4,5,6,7 და 8 და მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის დებულებები შესაბამისი ცვლილებებით.

ეს კუთვნილი ნაწილები და მოწყობილობა გამოყენებული იქნება შიდა გადაზიდვებში მე-9 მუხლის პუნქტი 1-ის დებულებათა შესაბამისად, როდესაც ისინი გადაიზიდება კონტეინერთან ერთად, რომელზედაც ერცელდება მითითებული პუნქტის დებულებები.

თავი III

კონტეინერების დაშვება გადაზიდვებზე საბაჟო ბეჭდებითა და პლომბებით

მუხლი 12

1. იმისათვის, რომ ტვირთები საბაჟო ბეჭდებითა და პლომბებით დაუშვან გადასაზიდად, კონტეინერები უნდა პასუხობდნენ მე-4 დანართში ჩამოყალიბებული წესების დებულებებს.

2. დაშვება წარმოებს მე-5 დანართში გათვალისწინებული ერთ-ერთი პროცედურის შესაბამისად.

3. ერთი ხელშემკვრელი მხარის მიერ საბაჟოს ბეჭდებით დ პლომბებით ტვირთების გადასაზიდად დაშვებული კონტეინერები სხვა ხელშემკვრელი მხარეების მიერაც დაიშვება საბაჟოს ბეჭდებით და პლომბებით საერთაშორისო გადაზიდვების ნებისმიერი რეჟიმის დროს.

4. თითოეული ხელშემკვრელი მხარე იტოვებს უფლებას არ ცნოს იმ კონტეინერების დაშვების მოწმობის ნამდვილობა, რომლებიც არ პასუხობენ მე-4 დანართში ჩამოყალიბებულ პირობებს. მიუხედავად ამისა შეთანხმების მხარეებმა არ უნდა შეაფერხონ გადაზიდვა, როცა აღმოჩენილ დეფექტებს არა აქვს დიდი მნიშვნელობა და არ არიან დაკავშირებულნი კონტრაბანდის შესაძლებლობასთან.

5. საბაჟოს ბეჭდებითა და პლომბებით ტვირთების გადასაზიდად განმეორებითი გამოყენების წინ ნებისმიერი კონტეინერი, რომლის დაშვების მოწმობას აღარ სცნობენ, ან უნდა მოიყვანონ იმ მდგომარეობაში, რომელიც მისი დაშვების საფუძველი გახდა, ან ამ კონტეინერმა ხელმეორედ უნდა გაიაროს დაშვების პროცედურა.

6. როდესაც გამოვლინდება, რომ რაღაც დეფექტები არსებობდა კონტეინერის დაშვების პროცედურის დროს, ამის თაობაზე დაშვებაზე პასუხისმგებელ კომპეტენტურ ორგანოს მიეწოდება ინფორმაცია.

7. თუ აღმოჩნდება, რომ დანართი 5-ის 1 a) და b) პუნქტებში აღწერილი პროცედურების შესაბამისად საბაჟოს ბეჭდებით და პლომბებით ტვირთების გადასაზიდად დაშვებული კონტეინერები ფაქტიურად არ პასუხობენ დანართი 4-ის ტექნიკურ პირობებს, კომპეტენტური ორგანო, რომელმაც მოახდინა დაშვება, იღებს აუცილებელ ზომებს კონტეინერების საჭირო ტექნიკურ პირობებთან შესაბამისობაში მოსაყვანად ან აუქმებს დაშვებას.

თავი IV

განმარტებითი ჩანაწერები

მუხლი 13

დანართ 6-ში მოყვანილი განმარტებითი ჩანაწერები შეიცავენ წინამდებარე კონვენციის და მისი დანართების ზოგიერთი დებულების ახსნა-განმარტებას.

თავი V

სხვა დებულებები

მუხლი 14

წინამდებარე კონვენცია არ ეწინააღმდეგება უფრო შეღავათიანი პირობების გამოყენებას, რომელთაც ხელშემკვრელი მხარეები წარმოადგენენ, ან შეუძლიათ მოისურვონ მათი მინიჭება როგორც ცალმხრივი გადაწყვეტილების, ასევე ორმხრივი ან მრავალმხრივი შეთანხმების საფუძველზე იმ პირობით, რომ ამგვარად მინიჭებული შეღავათები არ შეეწინააღმდეგება წინამდებარე კონვენციის დებულებების გამოყენებას.

მუხლი 15

წინამდებარე კონვენციების დებულებების ყოველ დარღვევას, ყოველ სიყალბეს, ყალბ დეკლარაციას ან მოქმედებას, რომლის შედეგსაც წარმოადგენს რომელიმე პირზე ან საგანზე იმ შეღავათების უკანონო გავრცელება, რომელიც წინამდებარე კონვენციის დებულებებით არის დაშვებული, მოსდევს სანქციები იმ ქვეყანაში, სადაც სამართალდარღვევა მოხდა, მოცემული ქვეყნის კანონების შესაბამისად.

მუხლი 16

შესაბამისი თხოვნის შემთხვევაში ხელშემკვრელი მხარეები ერთმანეთს აწვდიან ინფორმაციას, რომელიც აუცილებელია წინამდებარე კონვენციის დებულებების გამოსაყენებლად და კერძოდ ინფორმაციას, რომელიც კონტეინერების დაშვებას და აგრეთვე მათი კონსტრუქციის ტექნიკურ მახასიათებლებს ეხება.

მუხლი 17

წინამდებარე კონვენციის დანართი და ხელმოწერის ოქმი წარმოადგენს კონვენციის განუყოფელ ნაწილს.

თავი VI

დასკვნითი დებულებები

მუხლი 18

ხელის მოწერა, რატიფიკაცია, მიღება, მოწონება და შეერთება

1. წინამდებარე კონვენცია ღიაა ხელის მოწერისათვის 1973 წლის 15 იანვრამდე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განყოფილებაში ჟენევაში, და შემდეგ 1973 წლის 1 თებერვლიდან 1973 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ცენტრალურ დაწესებულებებში ნიუ-იორკში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ყველა ქვეყნის ან ნებისმიერი სპეციალიზირებული დაწესებულების ან ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს წევრების მიერ ან საერთაშორისო სასამართლოს სტატუსის მონაწილეების და აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ წინამდებარე კონვენციაში მონაწილეობისათვის მიწვეული ნებისმიერი სხვა სახელმწიფოს მიერ.

2. წინამდებარე კონვენცია ექვემდებარება რატიფიკაციას, მიღებას ან მოწონებას მასზე ხელის მომწერი სახელმწიფოების მიერ.

3. წინამდებარე კონვენცია ღია რჩება შეერთებისათვის პუნქტ 1-ში მითითებული ნებისმიერი სახელმწიფოსათვის.

4. დოკუმენტები რატიფიკაციის, მიღების, მოწონების, ან შეერთების შესახებ გადაეცემა შესანახად გაერთიანებული ორგანიზაციის გენერალურ მდივანს.

მუხლი 19

ძალაში შესვლა

1. წინამდებარე კონვენცია ძალაში შედის რატიფიკაციის, მიღების მოწონების ან შეერთების შესახებ მეხუთე დოკუმენტის შესანახად გადაცემიდან ცხრა თვის შემდეგ.

2. თითოეული სახელმწიფოსათვის, რომელმაც რატიფიკაციის, მიღების, მოწონების ან შეერთების შესახებ მეხუთე დოკუმენტის შესანახად გადაცემის შემდეგ მოახდინა წარმოდგენილი კონვენციის რატიფიკაცია, მიიღო ან მოიწონა იგი ან შეუერთდა მას, წინამდებარე კონვენცია ძალაში შედის ამ სახელმწიფოს მიერ რატიფიკაციის, მიღების, მოწონების ან შეერთების შესახებ თავისი დოკუმენტის შესანახად გადაცემიდან ექვსი თვის შემდეგ.

3. ითვლება, რომ ნებისმიერი დოკუმენტი რატიფიკაციის, მიღების, მოწონების ან შეერთების შესახებ, რომელიც შესანახად გადაეცემა წინამდებარე კონვენციაში შეტანილი შესწორების ძალაში შესვლის შემდეგ, მიეკუთვნება კონვენციის შეცვლილ ტექსტს.

4. ითვლება, რომ ნებისმიერი ასეთი დოკუმენტი, რომელიც შესწორების მიღების შემდეგ, მაგრამ მის ძალაში შესვლამდე გადაეცემა შესანახად, კონვენციის შეცვლილ ტექსტს მიკუთვნება ამ შესწორების ძალაში შესვლის შემდეგ.

მუხლი 20

კონტეინერებთან დაკავშირებული საბაჟო კონვენციის (1956 წ.) მოქმედების შეწყვეტა

1. წინამდებარე კონვენცია ძალაში შესვლისთანავე აუქმებს კონტეინერებთან დაკავშირებულ საბაჟო კონვენციას, რომელიც ღია იყო ხელის მოწერისათვის ჟენევაში, (1956 წ.) 18 მაისიდან, და ცვლის მას ხელშემკვრელ მხარეთა შორის ურთიერთობაში.

2. მე-12 მუხლის 1, 2, და 4 პუნქტების დებულებების დარღვევის გარეშე კონტეინერები, რომელიც დაშეებული იყო გადაზიდვისათვის კონტეინერებთან დაკავშირებული საბაჟო კონვენციის (1956 წ.) დებულებების შესაბამისად, ან იქიდან გამომდინარე, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით დადებული შეთანხმებების შესაბამისად, დაიშვებიან წინამდებარე კონვენციის ნებისმიერი ხელშემკვრელი მხარის მიერ საბაჟო ბეჭდებითა და პლომბებით ტვირთების გადასაზიდად, თუ ისინი წინანდებურად პასუხობენ პირობებს, რომელთა შესაბამისადაც ისინი თავდაპირველად იყვნენ დაშვებულნი გადასაზიდად. ამ მიზნით მოწმობები დაშვების შესახებ, რომლებიც გაცემული იყო კონტეინერებთან დაკავშირებული საბაჟო კონვენციის (1956 წ.) დებულებების შესაბამისად, შეიძლება შეიცვალოს ფირფიტით დაშვების შესახებ ამ მოწმობების მოქმედების ვადის გასვლამდე.

მუხლი 21

წინამდებარე კონვენციაში შესწორებების შეტანის პროცედურა, მათ შორის მის დანართებშიც

1. ნებისმიერ ხელშემკვრელ მხარეს შეუძლია შესთავაზოს ერთი ან მეტი შესწორება წინამდებარე კონვენციაში შესატანად ნებისმიერ შემოთავაზებული შესწორების ტექსტს ატყობინებენ საბაჟო თანამშრომლობის საბჭოს, რომელიც უგზავნის მას ყველა ხელშემკვრელ მხარეს და ინფორმაციას აწვდის მე-18 მუხლში ნახსენებ სახელმწიფოებს, რომლებიც არ წარმოადგენენ ხელშემკვრელ მხარეებს. საბაჟო თანამშრომლობის საბჭომ დანართი 7-ში ჩამოყალიბებული პროცედურის წესების შესაბამისად აგრეთვე უნდა მოიწვიოს ადმინისტრაციული კომიტეტი.

2. წინა პუნქტის შესაბამისად შემოთავაზებული ან კომიტეტის სესიაზე შემუშავებული და კომიტეტში დამსწრე და ხმის მიმცემთა უმრავლესობის ორი მესამედის მიერ მოწონებული ნებისმიერ შესწორება ეგზავნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს.

3. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი უგზავნის შესწორებას შეთანხმების მხარეებს მიღებისათვის და აგრეთვე მე-18 მუხლში ხსენებულ სახელმწიფოებს, რომლებიც ხელშემკვრელ მხარეებს არ წარმოადგენენ, მათი ინფორმირებისათვის.

4. წინა პუნქტის შესაბამისად გაგზავნილი ნებისმიერ შესწორება მიღებულად ითვლება, თუ შემოთავაზებული შესწორების გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მიერ გაგზავნის მომენტიდან 12 თვის განმავლობაში არც ერთმა ხელშემკვრელმა მხარემ მის მიმართ საწინააღმდეგო აზრი არ განაცხადა.

5. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი შეძლებისდაგვარად მოკლე ვადაში ატყობინებს ყველა ხელშემკვრელ მხარეს და მე-18 მუხლში ხსენებულ სახელმწიფოებს, რომლებიც ხელშემკვრელ მხარეებს არ წარმოადგენენ, იმის შესახებ იყო თუ არა გამოთქმული საწინააღმდეგო აზრი შემოთავაზებული შესწორების მიმართ. თუ შემოთავაზებული შესწორების საწინააღმდეგო აზრი ეცნობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს, შესწორება არ ითვლება მიღებულად, და ამასთან დაკავშირებით არავითარი ზომები არ მიიღება. თუ ასეთი საწინააღმდეგო აზრის შესახებ არ ეცნობა გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანს, შესწორება ძალაში შედის ყველა ხელშემკვრელი მხარისათვის სამი თვის შემდეგ წინა პუნქტში მითითებული 12 თვიანი პერიოდის გასვლის შემდეგ, ან ასეთი უფრო გვიანი ვადის შემდეგ, რომელიც შეუძლია განსაზღვროს კომიტეტმა მისი მიღების მომენტში.

6. ნებისმიერ ხელშემკვრელ მხარეს შეუძლია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის ინფორმირების გზით მიმართოს თხოვნით წინამდებარე კონვენციის გადახედვის მიზნით კონფერენციის მოწვევის შესახებ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ატყობინებს ყველა ხელშემკვრელ მხარეს ამ თხოვნის შესახებ და

იწვევს კონფერენციას კონვენციის გადასახედად, თუ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მიერ შეტყობინების თარიღიდან ოთხთვიანი პერიოდის განმავლობაში ხელშემკვრელი მხარეების არანაკლებ ერთი მესამედისა აცნობებენ მას ამ თხოვნისათვის მხარდაჭერის შესახებ. ასეთი კონფერენციის მოწვევა ხდება აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მიერ, ადმინისტრაციული კომიტეტის თხოვნის საფუძველზე. ადმინისტრაციული კომიტეტი ასეთი თხოვნით მიმართავს შესაბამისი გადაწყვეტილების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც იღებს კომიტეტში დამსწრეთა და ხმის მიმცემთა უმრავლესობა. თუ კონფერენციის მოწვევა ხდება წინამდებარე პუნქტის მიხედვით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი მასში მონაწილეობის მისაღებად იწვევს მე-18 მუხლში ხსენებულ ყველა სახელმწიფოს.

მუხლი 22

დანართებში 1, 4, 5 და 6 შესწორებების შეტანის განსაკუთრებული პროცედურა

1. 21-ე მუხლში ჩამოყალიბებული შესწორებების შეტანის პროცედურის მიუხედავად, დანართებში 1, 4, 5 და 6 შესწორებების შეტანა შეიძლება ისე, როგორც ეს წინამდებარე მუხლითაა გათვალისწინებული და დანართში 7 ჩამოყალიბებული პროცედურის წესების შესაბამისად.

2. ნებისმიერი ხელშემკვრელი მხარე შესწორებების შეტანის შესახებ წინადადებებს უგზავნის საბაჟო თანამშრომლობის საბჭოს. საბაჟო თანამშრომლობის საბჭო აცნობებს მათ შეთანხმების მხარეებსა და მე-18 მუხლში ხსენებულ სახელმწიფოებს, რომლებიც ხელშემკვრელ მხარეებს არ წარმოადგენენ და იწვევს ადმინისტრაციულ კომიტეტს.

3. ნებისმიერი შესწორება, რომელიც შემოთავაზებული იქნება წინამდებარე პუნქტის შესაბამისად ან შემუშავებული კომიტეტის სესიაზე და მიღებული კომიტეტში დამსწრეთა და ხმის მიმცემთა უმრავლესობის – ორი მესამედის მიერ, ეგზავნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს.

4. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი უგზავნის შესწორებას ხელშემკვრელ მხარეთა მიღებისათვის და აგრეთვე მე-18 მუხლში ხსენებულ სახელმწიფოებს, რომლებიც შეთანხმების მხარეებს არ წარმოადგენენ, ინფორმაციისათვის.

5. შესწორება მიღებულად ითვლება, თუ შეთანხმების ერთი მეხუთედი ან ხუთივე მხარე, ამასთან მხედველობაში მიიღება უმცირესი ამ ორი რიცხვიდან, არ აცნობებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს 12 თვის განმავლობაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მიერ შემოთავაზებული ცვლილებების ხელშემკვრელი მხარეებისათვის გაგზავნის მომენტიდან, რომ ისინი წინააღმდეგნი არიან ამ წინადადებისა. იმ შესწორების მიმართ, რომელიც არ მიიღება, არავითარი ზომები არ არის გათვალისწინებული.

6. თუ შესწორებას იღებენ, ის ძალაში შედის ყველა ხელშემკვრელი მხარისათვის, რომელთაც არ გამოთქვეს მისი საწინააღმდეგო აზრი, წინა პუნქტში ხსენებული თორმეტთვიანი პერიოდის გასვლიდან სამი თვის შემდეგ ან ისეთი უფრო მოგვიანებით ვადაში, რომლის განსაზღვრაც კომიტეტს შეუძლია მისი მიღების მომენტში. შესწორების მიღების მომენტში კომიტეტს შეუძლია აგრეთვე გადაწყვიტოს, რომ გარდამავალი პერიოდის განმავლობაში არსებული დებულებები ძალაში დარჩება მთლიანად ან ნაწილობრივ ასეთ შესწორებასთან ერთად.

7. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი შესწორების ძალაში შესვლის თარიღს აცნობებს ხელშემკვრელ მხარეებს და ინფორმაციას აწვდის მე-18 მუხლში ხსენებულ სახელმწიფოებს, რომლებიც ხელშემკვრელ მხარეებს არ წარმოადგენენ.

მუხლი 23. დენონსაცია

ნებისმიერ ხელშემკვრელ მხარეს შეუძლია წინამდებარე კონვენციის დენონსირება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისათვის შესაბამისი დოკუმენტის შესანახად გადაცემის გზით. დენონსაცია ძალაში შედის გენერალური მდივნისათვის ასეთი დოკუმენტის შესანახად გადაცემიდან ერთი წლის შემდეგ.

მუხლი 24. მოქმედების შეწყვეტა

წინამდებარე კონვენცია ძალას კარგავს თუ ხელშემკვრელ მხარეთა რიცხვი ხუთზე ნაკლებია რომელიმე თანმიმდევრული თორმეტთვიანი პერიოდის განმავლობაში.

მუხლი 25. დავათა გადაწყვეტა

1. ნებისმიერი დავა შეთანხმების ორ ან მეტ მხარეს შორის წინამდებარე კონვენციის განმარტებასთან ან გამოყენებასთან დაკავშირებით, რომლის გადაწყვეტაც არ შეიძლება მოლაპარაკებით ან მოგვარების სხვა საშუალებებით, ერთ-ერთი მათგანის თხოვნით გადაეცემა საარბიტრაჟო სასამართლოს, რომელიც შემდეგნაირად იქნება: დავის ყოველი მონაწილე ნიშნავს არბიტრს და ეს ორი არბიტრი ნიშნავს მესამე არბიტრს – თავმჯდომარეს. თუ თხოვნის მიღებიდან სამი თვის შემდეგ ერთ-ერთი მონაწილე ვერ შეძლებს არბიტრის დანიშვნას, ან არბიტრები ვერ შეძლებენ თავმჯდომარის არჩევას, ნებისმიერ მონაწილეს შეუძლია მიმართოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანს თხოვნით დანიშნოს არბიტრი ან საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარე.

2. პუნქტი 1-ის დებულებების შესაბამისად დანიშნული საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოებულოა დავის მონაწილეებისათვის.

3. საარბიტრაჟო სასამართლო პროცედურის თავის წესებს ადგენს.

4. საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილება მისი პროცედურის და სხდომის ადგილის, აგრეთვე მის მიერ განხილული დავის შესახებ მიიღება ხმების უმრავლესობით.

5. ნებისმიერი დავა, რომელიც შეიძლება წამოიჭრას დავის მონაწილეებს შორის გადაწყვეტილების განმარტებასთან ან მის შესრულებასთან დაკავშირებით, ნებისმიერ მონაწილეს შეუძლია გადასცეს განსახილველად საარბიტრაჟო სასამართლოს, რომელმაც ეს გადაწყვეტილება გამოიტანა.

მუხლი 26. შენიშვნები

1. წინამდებარე კონვენციის მიმართ შენიშვნები იმ შენიშვნების გამოკლებით, რომლებიც ეხება 1-8, 12-17, 20, 25 და წინამდებარე მუხლს, აგრეთვე დანართებში შემავალ დებულებებთან დაკავშირებული შენიშვნების გამოკლებით, დაიშვება იმ პირობით, რომ ეს შენიშვნები წარმოდგენილი იქნება წერილობითი ფორმით და თუ ისინი წარდგენილ იქნა რატიფიკაციის, მიღების, მოწონების ან შეერთების შესახებ დოკუმენტის შესანახად გადაცემამდე, ისინი დადასტურებულია ამ დოკუმენტში. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი უგზავნის ამ შენიშვნებს მე-18 მუხლში მითითებულ ყველა სახელმწიფოს.

2. პუნქტი 1-ის შესაბამისად გაკეთებული ნებისმიერ შენიშვნა:

a) ცვლის შეთანხმების მხარისათვის, რომელმაც ასეთი შენიშვნა გააკეთა ამ შენიშვნის ფარგლებში, წინამდებარე კონვენციის იმ დებულებებს, რომელსაც ის ეხება; და

b) ამგვარადვე ცვლის ამ დებულებებს სხვა ხელშემკვრელი მხარეებისთვისაც მათ ურთიერთდამოკიდებულებაში შენიშვნის გამკეთებელ ხელშემკვრელ მხარესთან.

3. ნებისმიერ ხელშემკვრელ მხარეს, რომელმაც წარადგინა შენიშვნა პუნქტი 1-ის შესაბამისად, შეუძლია მოხსნას იგი ნებისმიერ დროს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის სახელზე გაგზავნილი შეტყობინების საშუალებით.

მუხლი 27. შეტყობინება

21, 22 და 26 მუხლებში გათვალისწინებული შეტყობინებებისა და ინფორმირების გარდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი მე-18 მუხლში მითითებულ ყველა სახელმწიფოს აცნობებს:

a) ხელის მოწერას, რატიფიკაციას, მიღებას, მოწონებას და შეერთებას მე-18 მუხლის შესაბამისად;

b) წინამდებარე კონვენციის ძალაში შესვლის თარიღებს მე-19 მუხლის შესაბამისად;

c) წინამდებარე კონვენციის მიმართ შესწორების ძალაში შესვლის თარიღს 21-ე და 22-ე მუხლების შესაბამისად;

d) დენონსაციას 23-ე მუხლის შესაბამისად;

e) წინამდებარე კონვენციის მოქმედების შეწყვეტას 24-ე მუხლის შესაბამისად.

მუხლი 28. ავთენტიკური ტექსტები

წინამდებარე კონვენციის დედანი, ინგლისური, ესპანური, ჩინური, რუსული და ფრანგული ტექსტები თანაბრად ავთენტიკური არიან და გადაეცემა შესანახად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს, რომელიც სათანადოდ დამოწმებულ ასლებს უგზავნის მე-18 მუხლში მითითებულ ყველა სახელმწიფოს.

რის დასადასტურებლადაც ქვემორე ხელისმომწერნი სრულუფლებიანი წარმომადგენლები, რომლებიც თავიანთი მთავრობების მიერ სათანადოდ უფლებამოსილნი არიან, ხელს აწერენ წინამდებარე კონვენციას.

შესრულებულია ჟენევაში ათას ცხრაას სამოცდათორმეტი წლის ორ დეკემბერს.

დანართი I

დებულებები კონტეინერების ნიშანდების შესახებ

1. სათანადოდ გამოსაჩენ ადგილას კონტეინერზე მყარად უნდა იყოს დატანილი შემდეგი ინფორმაცია:

a) მფლობელის ან კონტეინერის ექსპლუატაციის საწარმოს ინდეტიფიკაციური მონაცემები;

b) კონტეინერების ამოსაცნობი ნიშნები და ნორმები, მფლობელის ან კონტეინერის ექსპლუატაციის საწარმოს მონაცემები; და

c) კონტეინერის ტარის წონა, მისი მთელი მუდმივი მოწყობილობის ჩათვლით

2. ქვეყანა, რომელსაც ეკუთვნის კონტეინერი, შეიძლება აღინიშნოს მთლიანად ან განმასხვავებელი ნიშნის მეშვეობით, რომელიც გამოიყენება საერთაშორისო მოძრაობაში მყოფი ავტოსატრანსპორტო საშუალებების რეგისტრაციის ქვეყნის აღსანიშნავად. ყოველ ქვეყანაში მისი დასახელების ან განმასხვავებელი ნიშნის კონტეინერებზე აღნიშვნის საკითხი შეიძლება მოწესრიგდეს ეროვნული კანონმდებლობით. მფლობელის ან კონტეინერის ექსპლუატაციის საწარმოს იდენტიფიკაციური მონაცემები შეიძლება მიეთითოს ან მთლიანად ან ინიციალების მეშვეობით იმ პირობით, რომ უკანასკნელნი, გარდა ემბლემებისა და დროშებისა, ადრე დადგენილ ამოსაცნობ ნიშანს წარმოადგენენ.

3. საბაჟო ბეჭდითა და პლომბებით გადაზიდვებში დაშვებულ კონტეინერებზე აღინიშნება შემდეგი მონაცემები, რომლებიც მე –5 დანართის დებულებათა შესაბამისად დაიტანება დაშვების ფირფიტაზე:

a) ქარხნის რიგითი ნომერი (ქარხნის ნომერი); და

b) იმ შემთხვევაში თუ ისინი კონსტრუქციის ტიპის მიხედვითაა დაშვებული ამ ტიპის ამოსაცნობი ნომრები ან ასოები.

წინამდებარე კონვენციის მე –7 მუხლით გათვალისწინებული დროებითი შემოზიდვის პროცედურა

1. წინამდებარე კონვენციის მე-7 მუხლის დებულებების გამოყენებისას ყოველი ხელშემკვრელი მხარე დროებითი შემოზიდვის პროცედურის შესაბამისად შემოზიდული კონტეინერების მოძრაობის შესამოწმებლად იყენებს დოკუმენტებს, რომლებშიც კონტეინერების მფლობელები ან კონტეინერების ექსპლუატაციის საწარმოები ან მათი წარმომადგენლები ახდენენ ამ კონტეინერების მოძრაობის რეგისტრაციას.

2. გამოიყენება შემდეგი დებულებები:

a) კონტეინერების მფლობელი ან კონტეინერების ექსპლუატაციის საწარმო წარმოდგენილი უნდა იყოს იმ ქვეყანაში, სადაც კონტეინერები დროებითი შემოზიდვის პროცედურის შესაბამისად შეიზიდება;

b) კონტეინერების მფლობელი ან კონტეინერების ექსპლუატაციის საწარმო ან მათი წარმომადგენელი იღებს წერილობითი სახით ვალდებულებას:

i) წარმოუდგინოს მოცემული ქვეყნის საბაჟო ორგანოებს მათი მოთხოვნისთანავე დაწვრილებითი ინფორმაცია ყოველი კონტეინერის მოძრაობის შესახებ, რომელიც შემოზიდულია დროებით შემოზიდვის პროცედურის შესაბამისად, შემოზიდვის და მოცემული ქვეყნიდან გადაზიდვის თარიღის და ადგილის ჩათვლით;

ii) გადაიხადოს შემოზიდვის ბაჟი და მოსაკრებლები, რომლებიც ეკისრებათ იმ შემთხვევაში, როცა დროებითი შემოზიდვის პირობები არ არის შესრულებული.

კონტეინერების გამოყენება შიდა გადაზიდვებში

ყოველ ხელშემკვრელ მხარეს უფლება აქვს წინამდებარე კონვენციის მე-9 მუხლის დებულებათა შესაბამისად განსაზღვროს თავისი ტერიტორიის ფარგლებში შიდა გადაზიდვებში კონტეინერების გამოყენების პირობები:

a) პირდაპირი მარშრუტით განსახორციელებელი გადაზიდვის შედეგად კონტეინერი მიიტანება იმ ადგილას ან რაც შეიძლება ახლოს იმ ადგილთან, სადაც კონტეინერი უნდა დაიტვირთოს საექსპორტო ტვირთით ან საიდანაც იგი გაყვანილ უნდა იქნეს ცარიელი.

b) გაყვანამდე კონტეინერი შიდა გადაზიდვებში გამოიყენება მხოლოდ ერთხელ.

იმ კონტეინერებისათვის გამოსაყენებელი ტექნიკური პირობების წესები, რომლებიც შეიძლება დაშვებულ იქნეს საბაჟო ბეჭდებითა დ პლომბებით განსახორციელებელ საერთაშორისო გადაზიდვებისთვის

მუხლი 1. ძირითადი პრინციპები

საბაჟო ბეჭდებითა და პლომბებით განსახორციელებელ ტვირთის საერთაშორისო გადაზიდვებში შეიძლება დაშვებულ იქნეს მხოლოდ იმგვარად აწყობილი და აღჭურვილი კონტეინერები:

a) რომ კონტეინერის დალუქული ნაწილიდან ვერ მოხერხდეს ტვირთის ამოღება ან მისი იქ ჩატვირთვა გატეხის აშკარა კვალის გარეშე ან საბაჟო ბეჭდებისა და პლომბების დაუზიანებლად;

b) რომ საბაჟო ბეჭდებისა და პლომბების დადება ხდებოდეს მარტივი და საიმედო

ხერხით;

c) რომ მათში არ იყოს არანაირი ტვირთის დასამალი ადგილი;

d) რომ ყველა ადგილი, სადაც შეიძლება ტვირთის მოთავსება, ადვილად მისაწვდომი იყოს საბაჟო დათვალიერებისათვის.

მუხლი 2. კონტეინერის კონსტრუქცია

1. წინამდებარე წესების 1 მუხლის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად:

a) კონტეინერის შემადგენელი ნაწილები (კედლები, იატაკი, კარები, სახურავი, ბიგი, ჩარჩოები, განივი ელემენტები და ა.შ.) ერთმანეთს უნდა უერთდებოდნენ ან მოწყობილობების მეშვეობით, რომელთა მოხსნა გარედან და ისევე ადგილზე დაბრუნება აშკარა კვალის გარეშე ვერ მოხერხდება, ან იმ მეთოდების მეშვეობით, რომლებიც ასეთ კონსტრუქციას უზრუნველყოფენ, რომლის შეცვლა შეუძლებელია აშკარა კვალის გარეშე. როცა კედლები, იატაკი, კარები და სახურავი დამზადებულია სხვადასხვა ელემენტებისაგან, ისე უნდა პასუხობდნენ იგივე მოთხოვნებს და საკმაოდ გამძლე უნდა იყოს;

b) კარებს და დახურვის სხვა სისტემებს (ჩამკეტი ონკანები, საძრომების სახურავები, მილტუჩები და ა.შ.) უნდა ჰქონდეთ მოწყობილობა, რომელზედაც შეიძლება საბაჟო ბეჭდებისა და პლომბების დასმა. ეს მოწყობილობა უნდა იყოს ისეთი, რომ მისი გარედან ჩამოხსნა და ისევე ადგილზე დაბრუნება კვალის დაუტოვებლად შეუძლებელი იყოს და დასაკეტი მოწყობილობები არ უნდა იხსნებოდეს საბაჟო ბეჭდებისა და პლომბების დარღვევით. უკანასკნელი შესაბამისად უნდა იყოს დაცული. ნებადართულია ასახსნელი სახურავების გაკეთება;

c) სავენტილიაციო და სადრენაჟო ხვრელებს უნდა ჰქონდეთ კონტეინერის შიგნით შესვლის დასაბრკოლებელი მოწყობილობა, რომელიც ისეთი კონსტრუქციის უნდა იყოს, რომ ვერ მოხერხდეს მისი ჩამოხსნა გარედან და ისევე ადგილზე დაბრუნება შესამჩნევი კვალის გარეშე.

2. წინამდებარე წესების 1 მუხლის c) ქვეპუნქტის დებულებათა მიუხედავად, ნებადართულია კონტეინერის შემადგენელი ელემენტების არსებობა, რომლებიც პრაქტიკული მოსაზრებით უნდა შეიცავდნენ ღრუ სივრცეებს (მაგალითად, ორმაგი კედლის შემადგენელ ნაწილებს შორის). იმისათვის, რომ ეს სივრცეები ვერ გამოიყენონ ტვირთის დასამალავად:

i) კონტეინერის შიდა შემოკერვა ისე უნდა იყოს გაკეთებული, რომ მისი მოხსნა და ადგილზე დაბრუნება შესამჩნევი კვალის გარეშე შეუძლებელი იყოს; ან

ii) აღნიშნული სივრცეების რაოდენობა მინიმუმამდე უნდა იყოს შეზღუდული და ეს სივრცეები ადვილი მისაწვდომი უნდა იყოს საბაჟო კონტროლისათვის.

მუხლი 3. ასაწყობი ან დასაშლელი კონტეინერები

ასაწყობი ან დასაშლელი კონტეინერები უნდა პასუხობდნენ წინამდებარე წესების 1 და 2 მუხლის დებულებებს; ამის გარდა, მათ უნდა ჰქონდეთ მოწყობილობა, რომელიც კონტეინერების აწყობის შემდეგ აფიქსირებს სხვადასხვა ნაწილებს თუ ასეთი მაფიქსირებელი მოწყობილობები განლაგებულია აწყობილი კონტეინერის გარეთა მხრიდან, ისინი ისეთი კონსტრუქციისა უნდა იყოს, რომ მათზე შეიძლებოდეს საბაჟო ბეჭდებისა და პლომბების დადება.

მუხლი 4. ბრეზენტით გადახურული კონტეინერები

1. წინამდებარე წესების 1,2 და 3 მუხლების დებულებები ვრცელდება ბრეზენტით გადახურულ კონტეინერებზე იმდენად, რამდენადაც ისინი შეიძლება გამოყენებულ იქნეს მათ მიმართ. ამის გარდა, ეს კონტეინერები უნდა პასუხობდნენ ამ მუხლის დებულებებს.

2. ბრეზენტი დამზადებული უნდა იყოს ან მაგარი ტილოსაგან, ან ჭიმვადი, საკმაოდ

გამძლე, პლასტმასით დაფარული დარეზინებული ქსოვილისაგან. ბრეზენტი დაუზიანებელი უნდა იყოს და ისეთნაირად უნდა იყოს დამზადებული, რომ დახურვის მოწყობილობის დამაგრების შემდეგ ტვირთთან მისელა შეუძლებელი იყოს შესამჩნევი კვალის გარეშე.

3. თუ ბრეზენტი რამდენიმე ნაჭრისაგან შედგება, ამ ნაჭრების კიდეები ერთი მეორეში უნდა იყოს შეკეცილი და ორი ნაკერი ჰქონდეს გაკეთებული, რომლებიც ერთმანეთისაგან 15 მმ უნდა იყოს დაშორებული. ეს ნაკერები უნდა იყოს გაკეთებული ისე, როგორც წინამდებარე წესებზე თანდართული N 1 ნახატზეა ნაჩვენები; მაგრამ, თუ ბრეზენტის რომელიმე ნაწილში (მაგალითად, უკანა ასახდელი იატაკზე და გაძლიერებულ კუთხეებში) შეუძლებელია ზოლების აღნიშნული ხერხით შეერთება, საკმარისია ბრეზენტის ზედა ნაწილის შეკეცვა და ზოლების ისე გაკერვა, როგორც წინამდებარე წესებზე თანდართულ N 2 ნახატზეა ნაჩვენები. ერთი ნაკერი უნდა ჩანდეს მხოლოდ შიგნიდან და ამ ნაკერის ძაფის ფერი უნდა გამოირჩეოდეს თვით ბრეზენტის ფერისაგან, აგრეთვე სხვა ნაკერებზე გამოყენებული ძაფის ფერისაგან. ყველა ნაკერი ჩატარებული უნდა იყოს საკერავ მანქანაზე.

4. თუ ბრეზენტი შედგება პლასტმასით დაფარული ქსოვილის რამდენიმე ნაჭრისაგან, ეს ნაჭრები, აგრეთვე, შეიძლება შეერთებული იყოს დარჩილვის მეშვეობით, წინამდებარე წესებზე თანდართული N 3 ნახატის შესაბამისად. ყოველი ნაჭრის კიდე უნდა გადაეფაროს მეორე ნაჭრის კიდეს 15 მმ-ზე მაინც. ნაჭრები შეერთებული უნდა იყოს მთელ ამ სიგანეზე. შეერთების გარეთა კიდე უნდა იყოს დაფარული 7 მმ სიგანის პლასტმასის ზოლით, რომელიც დარჩილვის იგივე ხერხით ედება. ამ ზოლზე, აგრეთვე, მისი ყოველი მხრიდან 3 მმ სიგანეზე მკაფიო ერთგვაროვანი რელიეფი უნდა იყოს დაშტამპული. დარჩილვა ხდება ისეთნაირად, რომ ნაჭრების დაშლა და კვლავ შეერთება შეუძლებელი იქნეს შესამჩნევი კვალის გარეშე.

5. შეკეთება ხდება წინამდებარე წესებზე თანდართული N4 ნახატზე ნაჩვენები ხერხით; შესაერთებელი კიდეები უნდა იყოს შეკეცილი ერთი მეორეში და ორი მკაფიოდ გამოსახული ნაკერით უნდა იყოს შეეათებული, რომლებიც ერთი მეორისაგან 15 მმ-ით უნდა იყოს დაშორებული; ძაფის ფერი, რომელიც შიგნიდან ჩანს უნდა განსხვავდებოდეს ძაფის ფერისაგან, რომელიც გარედან ჩანს, და ორივე უნდა განსხვავდებოდეს ბრეზენტის ფერისაგან; ყველა ნაკერი გაკერილი უნდა იყოს საკერავ მანქანაზე. იმ შემთხვევაში, როცა ბრეზენტი დაზიანებულია კიდეებთან, მისი შეკეთება ხდება დაზიანებული ნაწილის ბებკით შეცვლის გზით. ნაკერი შეიძლება გაიკეთოს ამ მუხლის მე-3 პუნქტის დებულებათა და წინამდებარე წესებზე თანდართული N 1 ნახატის შესაბამისად.

პლასტმასით დაფარული ქსოვილის ბრეზენტის შეკეთება შეიძლება მოხდეს ამ მუხლის მე-4 პუნქტში აღწერილი მეთოდის შესაბამისად, მაგრამ ამ შემთხვევაში დარჩილვა უნდა გაკეთდეს ბრეზენტის ორივე მხრიდან, ბებკი კი ედება შიგნიდან.

6. a) ბრეზენტი კონტეინერზე უნდა დამაგრდეს წინამდებარე წესების 1 a) და b) მუხლში ჩამოყალიბებული პირობების ზუსტ შესაბამისობაში. გათვალისწინებულია დამაგრების შემდეგი სახეობების გამოყენება:

i) კონტეინერებზე მისამაგრებელი მეტალის რგოლები;

ii) ბრეზენტის კიდეებზე თოკსამაგრები;

iii) ბრეზენტის თაზე რგოლებში გამავალი და მთელ სიგრძეზე გარეთა მხრიდან დასანახი თოკი ან ტროსი. ბრეზენტი უნდა გადაეფაროს კონტეინერის მაგარ ნაწილს 250 მმ სიგანეზე მაინც, რომელიც გამოზომილია სამაგრი რგოლების ცენტრიდან, თუ კონტეინერის კონსტრუქციის სისტემა თავისთავად არ აბრკოლებს ტვირთთან მისვლას.

b) თუ საჭიროა კონტეინერთან ბრეზენტის კიდეების ყრუ დამაგრების უზრუნველყოფა, შეერთება უნდა იყოს უწყვეტი და უნდა განხორციელდეს გამძლე დეტალების მეშვეობით.

7. მანძილი რგოლებსა და თოკსამაგრებს შორის არ უნდა აღემატებოდეს 200 მმ. თოკსამაგრი უნდა იყოს ხისტი.

8. უნდა გამოიყენონ დამაგრების შემდეგი სახეები:

a) ფოლადის ტროსი არანაკლებ 3 მმ დიამეტრისა;

b) ქერელის ან სიზალის თოკი არანაკლებ 8 მმ დიამეტრისა, რომელსაც აკრაეს გამჭვირვალე გაუჭიმავი პლასტმასის გარსი;

ტროსებს შეიძლება აკრაედეს გამჭვირვალე გაუჭიმავი პლასტმასის გარსი.

9. ყოველი ტროსი და თოკი ერთი ნაჭრისაგან უნდა შედგებოდეს და ორივე ბოლოს მეტალის ბუნიკები უნდა ჰქონდეს. მეტალის ბუნიკის დასამაგრებელი მოწყობილობა უნდა შედგებოდეს ღრუ მოქლონისაგან, რომელიც გადის ტროსზე ან თოკზე და რომელშიც შეიძლება გაიყაროს ბაწარი ან ლენტი საბაჟო ბეჭდებისა და პლომბებისათვის. ტროსი და თოკი უნდა ჩანდნენ ღრუ მოქლონის ორივე მხრიდან, რათა შეიძლებოდეს დარწმუნება იმაში, რომ ისინი ნამდვილად ერთი ნაჭრისაგან არიან (იხ. ნახ N 5, რომელიც წინამდებარე წესებზეა თანდართული).

10. ადგილებში, სადაც ბრეზენტში ჩატვირთვისა და განტვირთვისთვის გამოსაყენებელი ფანჯრებია, ბრეზენტის ორივე კიდე სათანადოდ უნდა გადაეფაროს ერთი მეორეს. ისინი, აგრეთვე, უნდა მაგრდებოდნენ: ნაჭრისაგან არიან (იხ. ნახ. N 5, რომელიც წინამდებარე წესებზეა თანდართული).

10. ადგილებში, სადაც ბრეზენტში ჩატვირთვისა და განტვირთვისთვის გამოსაყენებელი ფანჯრებია, ბრეზენტის ორივე კიდე სათანადოდ უნდა გადაეფაროს ერთი მეორეს. ისინი, აგრეთვე, უნდა მაგრდებოდნენ

a) გადასაწევი კალთის მეშვეობით, რომელიც მიკერებული ან მიდუღებულია ამ მუხლის 3-4 პუნქტების დებულებების თანახმად;

b) რგოლებისა და თოკსამაგრების მეშვეობით, რომლებიც ამ მუხლის მე –7 პუნქტის პირობებს პასუხობენ; და

c) ღეედის მეშვეობით, რომელიც დამზადებულია შესაბამისი 20 მმ სიგანის და 3მმ სისქის გაუწელავი მატერიის ერთი ნაჭრისაგან, რომელიც გადის რგოლებში, აერთებს ბრეზენტის ორივე კიდეს და ასაწევ კალთას; ღეედი მაგრდება ბრეზენტის შიდა მხრიდან და მას უნდა ჰქონდეს თოკსამაგრი ამ მუხლის მე –8 პუნქტში ანიშნული ტროსისა და თოკის გასატარებლად.

ასაწევი კალთა არ არის საჭირო, თუ არსებობს სპეციალური მოწყობილობა (დაცვის ტიხარი და ა.შ), რომელიც ხელს უშლის ტვირთებთან მისვლას შესამჩნევი კვალის გარეშე.

11. გამოსაცნობი ნიშნები, რომლებიც კონტეინერზე უნდა დაისვას I დანართის შესაბამისად და ფირფიტა დაშვების შესახებ, რომელიც გათვალისწინებულია მე – 5 დანართში, არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაიხუროს ბრეზენტით.

მუხლი 5. გარდამავალი დებულებები

1977 წლის 1 იანვრამდე დაშვებული იქნება იმ ბუნიკების გამოყენება, რომლებიც შეესაბამება წინამდებარე წესებზე თანდართულ N 5 ნახატს, იმ შემთხვევაშიც, როცა ისინი შეიცავენ ადრე მიღებული ტიპის ღრუ მოქლონებს ხვრელებით, რომელთა ზომები ნაკლებია, ვიდრე ამ ნახატზეა მოყვანილი

დანართი 4
ნახ. N1

ბრეზენტი, რომელიც ნაკერების მეშვეობით შეკერილი ქსოვილის რამდენიმე ნაჭრისაგანაა დამზადებული

დანართი 4
ნახ. N2

ქსოვილის რამდენიმე ნაჭრისაგან დამზადებული ბრეზენტი

დანართი 4
ნახ. N3

ბრეზენტი, რომლის დარჩილვის მეშვეობით შეერთებული ქსოვილის რამდენიმე ნაჭრისაგანაა დამზადებელი

დანართი 4
ნახ. N4

ბრეზენტის შეკეთება

დანართი 4
ნახ. N5

ზენიკის ნიმუში

დანართი 5

იმ კონტეინერების დაშვების პროცედურა, რომლებიც მე-4 დანართში მოყვანილი წესების ტექნიკურ მოთხოვნებს პასუხობენ

ზოგადი დებულებანი

1. კონტეინერები შეძლება დაშვებულ იქნენ საბაჟო ბეჭდებითა და პლომბებით ტვირთის გადაზიდვებში:

a) ან წარმოების სტადიაზე კონსტრუქციის ტიპის მიხედვით (დაშვების პროცედურა წარმოების სტადიაზე);

b) ან რომელიმე შემდგომ ეტაპზე – ინდივიდუალური წესით ან ერთი და იგივე ტიპის კონტეინერებზე განსაზღვრული პარტიებით (დამზადების შემდეგ რომელიმე ეტაპზე დაშვების პროცედურა).

დაშვების ორივე პროცედურის საერთო დებულებები

2. კომპეტენტური ორგანო, რომელიც ახორციელებს დაშვების პროცედურას, გასცემს განაცხადის წარმდგენ საწარმოს დაშვების მოწმობას, რომელიც გამომდინარე გარემოებებიდან, ნამდვილია დაშვებული ტიპის კონტეინერების განუსაზღვრელი ან განსაზღვრული რაოდენობისათვის.

3. დაშვების მოწმობის მფლობელმა, სანამ შეუდგებოდეს საბაჟო ბეჭდებითა და პლომბებით ტვირთის გადაზიდვას, უნდა მიამაგროს დაშვებულ კონტეინერებზე (დაშვებული კონტეინერები) დაშვების ფირფიტა;

4. დაშვების ფირფიტა მყარად უნდა დამაგრდეს კარგად დასანახ ადგილას ნებისმიერ სხვა ფირფიტასთან ერთად, რომელიც გაიცემა ოფიციალური მიზნებით.

5. დაშვების ფირფიტა, რომელიც შეესაბამება N 1 ნიმუშს, რომელიც მოყვანილია წინამდებარე დანართის პირველ დამატებაში, წარმოადგენს არანაკლებ 20 სმ 10 სმ ზომის მეტალის ფირფიტას. მის ზედაპირზე საჭრეთელით რელიეფურად უნდა იყოს ამოკვეთილი და მყარად დატანილი ნებისმიერი სხვა ხერხით, ფრანგულ და ინგლისურ ენებზე მაინც,

ქვემოთ მოყვანილი წარწერები:

a) წარწერა "დაშებულა საბაჟო ბეჭდებითა და პლომბებით გადაზიდვისათვის";

b) იმ ქვეყნის სახელწოდება, სადაც დაიშვა კონტეინერი, ან მთლიანად, ან გამასხვაებელი ნიშნით, რომელიც გამოიყენება საერთაშორისო საავტომობილო მოძრაობაში ავტოსატრანსპორტო საშუალებების რეგისტრაციის ქვეყნის მისათითებლად, და დაშვების მოწმობის ნომერი (ციფრები, ასოები და ა.შ) აგრეთვე, დაშვების წელი (მაგ., "NI/26/73" ნიშნავს "ნიდერლანდი, დაშვების მოწმობა 26, რომელიც გაიცა 1973 წელს);

c) კონტეინერის რიგითი ნომერი, რომელიც მას მიანიჭა ქარხანა-დამამზადებელმა (ქარხნის ნომერი);

d) თუ კონტეინერი დაშვებულია კონსტრუქციის ტიპის მიხედვით, ფირფიტაზე დაიტანება, აგრეთვე, მოცემული ტიპის კონტეინერის ამოსაცნობი ციფრები ან ასოები.

6. თუ კონტეინერი აღარ პასუხობს დაშვების პროცედურაში მითითებული ტექნიკურ მოთხოვნებს, იგი საბაჟო ბეჭდებითა და პლომბებით გადაზიდვებში გამოყენებამდე, უნდა იყოს მოყვანილი მდგომარეობაში, რომელიც მისი დაშვების საფუძველს წარმოადგენდა, იმგვარად, რომ ისევ პასუხობდეს ამ ტექნიკურ მოთხოვნებს.

7. თუ კონტეინერის ძირითადი მახასიათებლები შეცვლილია, ამ კონტეინერის დაშვება ჰკარგავს ძალას და იგი საბაჟო ბეჭდებით და პლომბებით ტვირთის გადაზიდვებში გამოყენებამდე უნდა გახდეს კომპეტენტური ორგანოს მიერ ახალი დაშვების საგანი.

განსაკუთრებული დებულებანი, რომლებიც წარმოების სტადიაზე კონსტრუქციის ტიპის მიხედვით დაშვებას ეხება

8. როცა ერთი და იგივე ტიპის კონსტრუქციის კონტეინერები აიწყობა სერიულად, ქარხანა-დამამზადებელს შეუძლია მიმართოს იმ ქვეყნის კომპეტენტურ ორგანოს, სადაც მათ აწარმოებენ, თხოვნით კონსტრუქციის ტიპის მიხედვით მათი დაშვების შესახებ.

9. ქარხანა-დამამზადებელი თავის განაცხადში აღნიშნავს გამოსაცნობ ციფრებს და ასოებს, რომლებსაც იგი ანიჭებს კონტეინერების იმ ტიპს, რომელიც მისი განაცხადის საგანია.

10. ამ განაცხადს თან უნდა ერთვოდეს დაშვებას დაქვემდებარებული კონტეინერის კონსტრუქციის ტიპის ნახაზები და დაწვრილებითი აღწერილობა.

11. ქარხანა-დამამზადებელი წერილობით ვალდებულებას იღებს:

a) წარუდგინოს კომპეტენტურ ორგანოს მოცემული ტიპის კონტეინერებიდან ისეთი, რომლის დათვალიერებასაც ისურვებს ეს ორგანო;

b) ნება დართოს კომპეტენტურ ორგანოს დაათვალიეროს სერიული წარმოების ნებისმიერ მომენტში მოცემული ტიპის სხვა ეგზემპლარები;

c) კომპეტენტურ ორგანოს მიაწოდოს წინასწარი ინფორმაცია კონსტრუქციის ნახაზებში და აღწერილობებში ნებისმიერი ცვლილებების შესახებ, რამდენად მნიშვნელოვანნიც არ უნდა იყვნენ ისინი.

d) გამოსაჩენ ადგილზე დაიტანოს კონტეინერებზე, გარდა დაშვების ფირფიტისათვის გათვალისწინებული ნიშნებისა, კონტეინერის ტიპის გამოსაცნობი ციფრები და ასოები, აგრეთვე, სერიულად გამოსაშვები მოცემული ტიპის ყოველი კონტეინერის რიგითი ნომერი (ქარხნის ნომერი);

e) აწარმოოს დაშვებული ტიპის შესაბამისად აწყობილი კონტეინერების აღრიცხვა.

12. კომპეტენტური ორგანო საჭიროების შემთხვევაში მიუთითებს გადაზიდვებში დაშვებისათვის გათვალისწინებული კონსტრუქციის ტიპში შესატან ცვლილებებს.

13. კონსტრუქციის ტიპის მიხედვით დაშვების პროცედურის თანახმად არცერთი კონტეინერი არ დაიშვება, თუ ამ ტიპით აწყობილი ერთი ან რამდენიმე კონტეინერის დათვალიერების საფუძველზე კომპეტენტური ორგანო არ მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ამ ტიპის კონტეინერები პასუხობენ მე-4 დანართში გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებს.

14. რომელიმე ტიპის კონტეინერის დაშვების შემდეგ განმცხადებელ საწარმოზე გაიცემა წინამდებარე დანართის მე-2 დამატებაში მოცემული N II ნიმუშის შესაბამისი დაშვების მოწმობის ერთადერთი პირი და იგი ნამდვილია ყველა კონტეინერისათვის, რომელიც აიწყობა დაშვებული ტიპის სპეციფიკაციის შესაბამისად. ეს მოწმობა უფლებას აძლევს ქარხანა-დამამზადებელს მოცემული ტიპის ყოველ სერიულ კონტეინერზე დაამაგროს ფირფიტა დაშვების შესახებ, რომელიც წინამდებარე დანართის მე-5 პუნქტით არის გათვალისწინებული.

კონტეინერზე დაამაგროს ფირფიტა დაშვების შესახებ, რომელიც წინამდებარე დანართის მე-5 პუნქტით არის გათვალისწინებული.

<u>განსაკუთრებული დებულებები, რომლებიც ეხება დამზადების შემდეგ რომელიმე ეტაპზე დაშვებას.</u>

15. თუ განაცხადი დაშვების შესახებ არ იყო გაკეთებული წარმოების სტადიაზე, მფლობელს, კონტეინერის ექსპლუატაციის საწარმოს ან მათ წარმომადგენლებს შეუძლიათ ასეთი დაშვების თხოვნით მიმართონ კომპეტენტურ ორგანოს, რომელსაც წარუდგენენ კონტეინერს ან კონტეინერებს, რომელთა დაშვება ითხოვება.

16. წინამდებარე დანართის მე-15 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ნებისმიერი განაცხადი დაშვების შესახებ უნდა შეიცავდეს ქარხანა-დამამზადებლის მიერ ყოველ კონტეინერზე დასატან ნომერს (ქარხნის ნომერს).

17. როცა კომპეტენტური ორგანო იმ რაოდენობის კონტეინერების დათვალიერების გზით, რომელსაც აუცილებლად მიიჩნევს, დარწმუნდება, რომ ეს კონტეინერი ან კონტეინერები პასუხობენ მე-4 დანართში გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებს, იგი გასცემს წინამდებარე დანართის მე-3 დამატებაში მოცემულ N III ნიმუშის შესაბამის მოწმობას დაშვების შესახებ და იგი ნამდვილია მხოლოდ კონტეინერების იმ რაოდენობისათვის, რომელიც იქნა დაშვებული. ეს მოწმობა, რომელშიც მითითებულია ქარხანა-დამამზადებელი მიერ კონტეინერისათვის ან კონტეინერებისათვის მინიჭებული რიგითი ნომერი ან რიგითი ნომრები, უფლებას აძლევს განმცხადებელ საწარმოს, დაამაგროს ყოველ დაშვებულ კონტეინერზე წინამდებარე დანართის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ფირფიტა დაშვების შესახებ.

დანართი 5 დამატება 1
ნიმუში N1

ფირფიტა დაშვების შესახებ
/ინგლისური ვარიანტი/
200 MM

APPROVED FOR TRANSPORT
UNDER CUSTOMS SEAL
NL/26/73

_*/
TUPE..... MANUFACTURES N
OF THE CONTAINER .....

100 MM

მეტალის ფირფიტა კონტეინერის კედელი

_*/ მხოლოდ კონსტრუქციის ტიპის მიხედვით დაშვების შემთხვევაში

დანართი 5 დამატება 1
ნიმუში N 1

ფირფიტა დაშვების შესახებ
/ფრანგული ვარიანტი/

200 MM

AGREE POUR LE TRANSPORT
SOUS SCELLEMENT DOUANIER
NL/26/73

_*/

TUPE..... N DE FABRICATION
DO CONTENEUR .....

100 MM

მეტალის ფირფიტა კონტეინერის კედელი

_*/ მხოლოდ კონსტრუქციის ტიპის მიხედვით დაშვების შემთხვევაში

მე-5 დანართის დამატება 2
ნიმუში NII

საბაჟო კონვენცია კონტეინერების შესახებ 1972 წ.
დაშვების მოწმობა კონსტრუქციის ტიპის მიხედვით

1. მოწმობის ნომერი* .....
2. დასტურდება, რომ ქვემოთ მითითებული კონტეინერი (ები) დაშვებულია გადაზიდვისათვის და რომ ამ ტიპის მიხედვით დამზადებული კონტეინერები შეიძლება დაშვებულ იქნენ საბაჟო ბეჭდებითა და პლომბებით ტვირთების გადაზიდვებში
3. კონტეინერის სახეობა .....
4. კონსტრუქციის ტიპის გამოსაცნობი ციფრები და ასოები
5. ნახაზების გამოსაცნობი ნომერი .....
6. კონსტრუქციის აღწერილობის გამოსაცნობი ნომერი
7. ტარის წონა .....
8. გარეთა ზომები სმ-ში .....
9. კონსტრუქციის ძირითადი მახასიათებლები (მასალების სახეობა, კონსტრუქციის ტიპი და ა.შ.)

10. ეს მოწმობა ნამდვილია კონსტრუქციის ზემოთ აღნიშნული ნახაზებისა და აღწერილობების შესაბამისად დამზადებული ყველა კონტეინერისათვის

11. გაიცა

(ქარხანა-დამამზადებლის დასახელება და მისამართი)

რომელსაც უფლება აქვს ფირფიტა დაშვების შესახებ მიამაგროს მის მიერ დამზადებულ დაშვებულ ტიპის ყველა კონტეინერზე

19

(ადგილი) (თარიღი)

(მოწმობის გამცემი დაწესებულების ან ორგანიზაციის ხელმოწერა და ბეჭედი)

* მიეთითოს, კონტეინერების შესახებ საბაჟო კონვენციის (1972 წ.) მე-5 დანართის 5ბ პუნქტით გათვალისწინებული ასოები და ციფრები, რომლებიც აღინიშნება დაშვების ფირფიტაზე

ყურადღება
(კონტეინერების შესახებ საბაჟო კონვენციის მე-5 დანართის მე-6 და მე-7 პუნქტები, 1972 წ.)

6. თუ კონტეინერი აღარ პასუხობს დაშვების პროცედურაში მითითებულ ტექნიკურ მოთხოვნებს, იგი საბაჟო ბეჭდებითა და პლომბებით გადაზიდვებში გამოყენებამდე, უნდა იყოს მოყვანილი მდგომარეობაში, რომელიც მის დაშვების საფუძველს წარმოადგენდა, იმგვარად, რომ ისევ პასუხობდეს ამ ტექნიკურ მოთხოვნებს.

7. თუ კონტეინერის ძირითადი მახასიათებლები შეცვლილია, ამ კონტეინერის დაშვება ჰკარგავს ძალას და იგი საბაჟო ბეჭდებით და პლომბებით ტვირთის გადაზიდვებში გამოყენებამდე უნდა გახდეს კომპეტენტური ორგანოს მიერ ახალი დაშვების საგანი.

მე-5 დანართის დამატება 3
ნიმუში N III

საბაჟო კონვენცია კონტეინერების შესახებ 1972 წ.
<u>დაშვების მოწმობა გაცემული დამზადების შემდეგ რომელიმე ეტაპზე</u>

1. მოწმობის ნომერი* .....
2. დასტურდება, რომ ქვემოთ მითითებული კონტეინერი (ები) დაშვებულია საბაჟო ბეჭდებითა და პლომბებით ტვირთების გადაზიდვებში
3. კონტეინერის (ების) სახეობა .....
4. კონტეინერისათვის (ებისათვის) ქარხანა-დამამზადებლის მიერ მიკუთვნებული რიგითი ნომერი (ები)
5. ტარის წონა .....
6. გარეთა ზომები სმ-ში
7. კონსტრუქციის ძირითადი მახასიათებლები (მასალების სახეობა, კონსტრუქციის ტიპი და ა.შ.)

8. გაიცა .....
(განმცხადებელი საწარმოს დასახელება და მისამართი)

რომელსაც უფლება აქვს ფირფიტა დაშვების შესახებ მიამაგროს ზემოთ მითითებულ კონტეინერს (ებს)

19

(ადგილი) (თარიღი)

.....
(მოწმობის გამცემი დაწესებულების ან ორგანიზაციის ხელმოწერა და ბეჭედი)

* მიეთითოს, კონტეინერების შესახებ საბაჟო კონვენციის (1972 წ.) მე-5 დანართის 5ბ პუნქტით გათვალისწინებული ასოები და ციფრები, რომლებიც აღინიშნება დაშვების ფირფიტაზე

ჟურადღება
(კონტეინერების შესახებ საბაჟო კონვენციის მე-5 დანართის მე-6 და მე-7 პუნქტები, 1972 წ.)

6. თუ კონტეინერი აღარ პასუხობს დაშვების პროცედურაში მითითებულ ტექნიკურ მოთხოვნებს, იგი საბაჟო ბეჭდებითა და პლომბებით გადაზიდვებში გამოყენებამდე, უნდა იყოს მოყვანილი მდგომარეობაში, როლმელიც მის დაშვების საფუძველს წარმოადგენდა, იმგვარად, რომ ისევ პასუხობდეს ამ ტექნიკურ მოთხოვნებს.

7. თუ კონტეინერის ძირითადი მახასიათებლები შეცვლილია, ამ კონტეინერის დაშვება ჰკარგავს ძალას და იგი საბაჟო ბეჭდებით და პლომბებით ტვირთის გადაზიდვებში გამოყენებამდე უნდა გახდეს კომპეტენტური ორგანოს მიერ ახალი დაშვების საგანი.

დანართი 6

განმარტებითი ჩანაწერები

შესავალი

i) წინამდებარე კონვენციის მე-13 მუხლის დებულებების შესაბამისად განმარტებითი ჩანაწერები შეიცავს წინამდებარე კონვენციის და მისი დანართების ზოგიერთი დებულების განმარტებას.

ii) განმარტებითი ჩანაწერები არ ცვლიან წინამდებარე კონვენციის ან მისი დანართების დებულებებს. ისინი მხოლოდ ახუსტებენ მათ შინაარსს და გამოყენების სფეროს.

iii) კერძოდ, კონტეინერების საბაჟო ბეჭდებითა და პლომბებით გადაზიდვებში დაშვების მიმართ წინამდებარე კონვენციის მე-12 მუხლით და მისი მე-4 დანართით დადგენილ პრინციპებთან დაკავშირებით, განმარტებითი ჩანაწერები შესაბამის შემთხვევებში შეიცავს მითითებებს კონსტრუქციული თავისებურებების შესახებ, რომლებიც უნდა განიხილებოდნენ ხელშემკვრელი მხარეების მიერ, როგორც ამ დებულებების შესატყვისი. განმარტებით ჩანაწერებში აგრეთვე შესაძლებელია მიეთითოს, თუ რომელი კონსტრუქციული თავისებურება არ შეესაბამება ამ დებულებებს.

iv) განმარტებითი ჩანაწერები უზრუნველყოფს წინამდებარე კონვენციის და მისი დანართების დებულებების ტექნიკური განვითარების დონესთან და ეკონომიკურ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის შესაძლებლობას.

0. კონვენციის ძირითადი ტექსტი

0.1.მუხლი 1

ქვეპუნქტი c)i) – ნაწილობრივ დახურული კონტეინერები

0.1. c)I) –1 ტერმინი "ნაწილობრივ დახურული" გამოიყენება 1 მუხლის c)i) ქვეპუნქტში ხსენებულ მოწყობილობების მიმართ და მიეკუთვნება მოწყობილობას, რომელიც ჩვეულებრივ შედგება იატაკისა და ზედა კონსტრუქციისაგან, რომელიც ქმნის დახურული კონტეინერის ჩასატვირთი სივრცის ექვივალენტური ჩასატვირთ სივრცეს. ზედა კონსტრუქცია, ჩვეულებრივ, შედგება მეტალის ელემენტებისაგან, რომლებიც კარკასს ქმნიან. ასეთი ტიპის კონტეინერებს, აგრეთვე შესაძლებელია ჰქონდეთ ერთი ან რამდენიმე გვერდითი ან ტორსის კედელი. ზოგ შემთხვევაში, მას აქვს მხოლოდ სახურავი, რომელიც მიმაგრებულია იატაკთან ბიგებით. კერძოდ, კონტეინერის ეს ტიპი გამოიყენება ვეებერთელა ტვირთების გადატანისათვის (მაგალითად, მსუბუქი ავტომობილების).

ქვეპუნქტი d კონტეინერის კუთვნილება და მოწყობილობა

0.1.d)-1 ტერმინი "კონტეინერის კუთვნილება და მოწყობილობა" შეიცავს, კერძოდ შემდეგ მოწყობილობებს, იმ შემთხვევაშიც კი თუ მათი მოხსნა შეიძლება, :

a) კონტეინერის შიგნით ტემპერატურის გაკონტროლების, შეცვლის ან შენარჩუნებისათვის განკუთვნილი მოწყობილობები;

b) მცირე ზომის ხელსაწყოები, მაგალითად, ტემპერატურის ჩამწერი ხელსაწყოები ან დარტყმით ზეგავლენის ხელსაწყოები, რომელთა დანიშნულებაა გარემომცველი პირობების ცვლილებების ან დარტყმით ზეგავლენის მაჩვენებლების ჩაწერა ან რეგისტრირება;

c) შიდა ტიხრები, ქვესადგურები, თაროები, საყრდენები, კაუჭები და ტვირთის განთავსებისა და დამაგრებისათვის განკუთვნილი ანალოგიური მოწყობილობები.

4. დანართი 4

4.2. მუხლი 2

ქვეპუნქტი 1 a) შემადგენელი ელემენტების აწყობა

4.2.1.a) –1 a) (მოქლონები, სჭვალები) ჭანჭიკები, ქანჩები და ა.შ), ასეთი დეტალების საკმაო რაოდენობა უნდა ჩაისვას გარეთა მხრიდან, გაიაროს შესაერთებელი ელემენტები, გამოეშვიროს შიგნითა მხრიდან და იქ ხისტად დამაგრდეს (მაგალითად, მოქლონების, შედუღების, მილისების, ჭანჭიკების, მიმოქლონების ან ქანჩების მიდუღების მეშვეობით). მაგრამ, ჩვეულებრივი მოქლონები (ე.ი. მოქლონები, რომელთა დადგმა ხორციელდება ასაწყობი კვანძის ორივე მხრიდან) შეიძლება ჩაისვას აგრეთვე, შიგნიდანაც. მიუხედავად ზემოთქმულისა, კონტეინერის იატაკი შეიძლება დამაგრდეს თვითდამჭერი სჭვალების, ან თვითმბურღავი მოქლონების, ან ფეთქებადი ნივთიერების მუხტის საშუალებით ჩასვამი მოქლონების მეშვეობით, რომლებიც ჩაისმება შიგნით, ვერტიკალურად გაივლის იატაკში და მეტალის ქვედა განივებში, იმ პირობით, თვითდამჭდევი სჭვალების გარდა, რომ ზოგიერთი მათი ბოლო არ გამოეშვირება გარეთა ზედაპირის დონიდან ან მიედუღება მას.

b) კომპეტენტური ორგანო განსაზღვრავს, თუ რომელი და რა რაოდენობის სამაგრი დეტალები შეესაბამება წინამდებარე ჩანაწერის a) ქვეპუნქტის მოთხოვნებს; იგი დარწმუნებული უნდა იყოს იმაში, რომ შემადგენელი ელემენტები აწყობილია ისეთნაირად, რომ შეუძლებელია მათი გადაადგილება შესამჩნევი კვალის გარეშე. ნებისმიერი სხვა სამაგრი დეტალების არჩევა და განთავსება არ ექვემდებარება არავითარ შეზღუდვას.

d) აწყობის ზემოთჩამოთვლილი მეთოდები ვრცელდება სპეციალურ კონტეინერებზე, მაგალითად, იზოთერმულ კონტეინერებზე, რეფრიჟერატორულ- კონტეინერებზე, ცისტერნა-კონტეინერებზე იმდენად, რამდენადაც ისინი არ ეწინააღმდეგებიან იმ ტექნიკურ მოთხოვნებს, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდნენ ასეთი კონტეინერები თავისი დანიშნულების შესაბამისად. იმ შემთხვევებში, როცა ტექნიკური მიზეზების გამო, შეუძლებელია შემადგენელი ელემენტები დამაგრდეს წინამდებარე ჩანაწერის a) ქვეპუნქტში აღწერილი მეთოდებით, შესაძლოა შემადგენელი ელემენტები შეერთდეს წინამდებარე ჩანაწერის c) ქვეპუნქტში აღწერილი

დეტალების მეშვეობით, იმ პირობით, რომ კედლის შიდა მხრიდან გამოყენებულ სამაგრ დეტალებამდე მიღწევა შეუძლებელი იქნება გარეთა მხრიდან.

ქვეპუნქტი 1 b) – კარები და დახურვის სხვა სისტემები

4.2.1.b)-1 a) მოწყობილობა, რომელზეც შესაძლებელია დაისვას საბაჟო ბეჭდები და პლომბები უნდა:

i) დამაგრდეს შედუღების მეშვეობით ან ორი სამაგრი დეტალის მეშვეობით მაინც, რომლებიც აკმაყოფილებენ 4.2.1.a)-1 განმარტებითი ჩანაწერის a) ქვეპუნქტის მოთხოვნებს; ან

i) დამაგრდეს შეზღუდვების მეშვეობით ან ორი სამაგრი დეტალის მეშვეობით მაინც, რომლებიც აკმაყოფილებენ 4.2.1.a)-1 განმარტებითი ჩანაწერის a) ქვეპუნქტის მოთხოვნებს; ან

ii) ჰქონდეს ისეთი კონსტრუქცია, რომ კონტეინერის დახურვის და დალუქვის შემდეგ შეუძლებელი იყოს ამ მოწყობილობის მოხსნა შესამჩნევი კვალის გარეშე; ან

iii) ჰქონდეს არანაკლებ 11 მმ-იანი დიამეტრის ხვრელები ან არანაკლებ 11 მმ-ის სიგრძის და 3 მმ-ის სიგანის განაჭრები

b) ანჯამები, გადმონაშვერები, სახსრები და კარის დასაყიდი სხვა დეტალები და ა.შ. უნდა მაგრდებოდეს წინამდებარე ჩანაწერის a) ქვეპუნქტის მოთხოვნების შესაბამისად. გარდა ამისა, ასეთი მოწყობილობის სხვადასხვა შემადგენელი ნაწილები (მაგალითად, ანჯამები, ტანკები ან სახსრები) უნდა მაგრდებოდეს ისეთნაირად, რომ როცა კონტეინერი დახურული და დალუქულია, შეუძლებელი იყოს მათი მოხსნა ან გადაადგილება შესამჩნევი კვალის გარეშე. ხოლო იმ შემთხვევაში, როცა ასეთ მოწყობილობამდე მიღწევა შეუძლებელია გარეთა მხრიდან, საკმარისია მოცემული მოწყობილობიდან დახურული და დალუქული კარის დაცილების შეუძლებლობის უზრუნველყოფა შესამჩნევი კვალის გარეშე. იმ შემთხვევაში, თუ კარს ან დახურვის სისტემას აქვს ორზე მეტი ანჯამა, მხოლოდ კარის ბოლოდან ორი უახლესი ანჯამა უნდა მაგრდებოდეს ზემოთმოყვანილი

a) I) ქვეპუნქტის მოთხოვნების შესაბამისად.

c) კონტეინერები, რომელთაც გააჩნიათ დიდი რაოდენობით ისეთი დასახური მოწყობილობები, როგორიცაა სარქველები, საკეტიანი ონკანები, ლიუკების თავსახურავები, მილტუჩები და ა.შ.. ისეთი კონსტრუქციისა უნდა იყოს, რომ საბაჟო ბეჭდებისა და პლომბების რაოდენობა შეძლებისდაგვარად შეიზღუდოს. ამ მიზნით, მომიჯნავე დასახური მოწყობილობები უნდა შეიკრას საერთო სამარჯვის მეშვეობით, რომელიც მოითხოვს მხოლოდ ერთი საბაჟო ბეჭდისა ან პლომბის დასმას ანდა უნდა ჰქონდეს სახურავი, რომელიც ამაეე მოთხოვნებს პასუხობს.

d) ასახდელსახურავიანი კონტეინერები ისე უნდა იყოს აწყობილი, რომ შესაძლებელი იყოს მათი დალუქვა საბაჟო ბეჭდებისა და პლომბების მინიმალური რაოდენობით. ქვეპუნქტი 1 c) საევენტილიაციო ხვრელები

4.2.1.c)-1 a) მათი მაქსიმალური ზომა პრინციპში არ უნდა აღემატებოდეს 400 მმ-ს.

b) ხვრელებს, რომლებიც ტვირთამდე უშუალოდ მიღწევის საშუალებას იძლევა, უნდა აეფაროს მავთულის ბადე ან დაჭვრეტილი მეტალის ეკრანი (ნახვრეტების მაქსიმალური ზომა ორივე შემთხვევაში 3 მმ-ია) და ისინი დაცული უნდა იყოს მეტალის ცხაურით (ნახვრეტების მაქსიმალური ზომა 10 მმ-ია).

c) ხვრელები, რომლებიც ტვირთამდე პირდაპირ მიღწევის საშუალებას არ იძლევა (მაგალითად, მუხლების ან დეფლექტორების სისტემების არსებობის გამო), უნდა აღიჭურვოს ასეთივე მოწყობილობებით, მაგრამ შესაძლოა ნახვრეტების ზომებმა მიაღწიონ შესაბამისად 10 და 20 მმ-ს

d) იმ შემთხვევებში, როცა ხვრელები კეთდება ბრეზენტში, პრინციპში გათვალისწინებული უნდა იქნეს წინამდებარე ჩანაწერის b) ქვეპუნქტში ხსენებული მოწყობილობების არსებობა. მაგრამ, დასაშვებია დასახური მოწყობილობები ჩაისვას გარედან მოსათავსებელი დაჭვრეტილი მეტალის ეკრანის და შიგნით მოსათავსებელი მავთულის ან სხვა ბადის სახით.

ქვეპუნქტი 1 c) – სადრენაჟო ხვრელები

4.2.1.c)-2 a) პრინციპში, მათი მაქსიმალური ზომები არ უნდა აღემატებოდეს 35 მმ-ს.

b) ხვრელები, რომლებიც ტვირთამდე უშუალოდ მიღწევის საშუალებას იძლევა უნდა აღიჭურვოს სავენტილიაციო ხვრელებისათვის 4.2.1.c)-1 განმარტებითი ჩანაწერის ბ) ქვეპუნქტით დაწესებული მოწყობილობებით.

c) იმ შემთხვევებში, როცა სადრენაჟო ხვრელები ტვირთამდე უშუალოდ მიღწევის საშუალებას არ იძლევა, წინამდებარე ჩანაწერის b) ქვეპუნქტში მითითებული მოწყობილობები საჭირო არ არის, იმ პირობით, რომ ხვრელები აღჭურვილია დეფლექტორების საიმედო სისტემით, რომელიც ადვილი მისაღწევია კონტეინერის შიდა მხრიდან.

4.4. მუხლი 4

ქვეპუნქტი 3 – რამდენიმე ნაჭრისაგან შემდგარი ბრეზენტი

4.4.3-1 a) ცალკეული ნაჭრები, რომლებიც ერთ ბრეზენტს შეადგენენ, შეიძლება იყოს სხვადასხვა მასალისა, რომელიც მე-4 დანართის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის დებულებებს აკმაყოფილებს.

b) ბრეზენტის დამზადებისას დასაშვებია ნაჭრების ნებისმიერი განლაგება, რომელიც საკმარის უსაფრთხოებას უზრუნველყოფს, იმ პირობით, რომ ნაჭრები შეერთებულია მე-4 დანართის მე-4 მუხლის მოთხოვნების შესაბამისად.

ქვეპუნქტი 6 a)

4.4.6.a)-1 წინამდებარე დანართის N1, N2 და N3 სურათებზე ნაჩვენებია საბაჟო მოთხოვნების თვალსაზრისით კონტეინერზე და კონტეინერის კუთხოვან ელემენტებზე ბრეზენტის დასამაგრებელი მისადები კონსტრუქციების სისტემების მაგალითები.

ქვეპუნქტი 8 საფეიქრო გულარიანი სამაგრი ტროსები

4.4.8. –1 მოცემული პუნქტის დებულებით დასაშვებია ფოლადის მავთულით ექვსფად შემოხვეული (მავთული მთლიანად უნდა ფარავდეს გულარს) საფეიქრო გულარიანი ტროსების გამოყენება, იმ პირობით, რომ ტროსის დიამეტრი (გამჭვირვალე პლასტმასის საფარის გაუთვალისწინებლად, თუ ასეთი არსებობს) უნდა იყოს არანაკლებ 3 მმ-სა.

ქვეპუნქტი 10 c) – ღვედები

4.4.10.c)-1 ღვედების დასამზადებლად გამოიყენება შემდეგი მასალა:

a) ტყავი;

b) საფეიქრო მასალები, პლასტიკით გაჟღენთილი ან დარეზინებული ქსოვილების ჩათვლით, იმ პირობით, რომ დაზიანების შემდეგ ასეთი მასალების შედუღება ან აღდგენა შეუძლებელია შესამჩნევი კვალის დატოვების გარეშე.

4.4.10.c)-2 წინამდებარე დანართის N 3 სურათზე ნაჩვენები მოწყობილობა პასუხობს მე-4 დანართის მე-4 მუხლის მე-10 პუნქტის ბოლო აბზაცის მოთხოვნებს. ის, აგრეთვე პასუხობს მე-4 დანართის მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებს.

5. დანართი 5

5.1. – ბრეზენტით გადახურული შეწყვილებული კონტეინერების დაშვება

თუ საბაჟო ბეჭდითა და პლომბით გადაზიდვისათვის დაშვებული ორი, ბრეზენტით გადახურული, კონტეინერი შეწყვილებულია ისეთნაირად, რომ ისინი ქმნიან ერთი ბრეზენტით გადახურულ ერთ კონტეინერს და აკმაყოფილებენ საბაჟო ბეჭდით და პლომბით გადაზიდვებისადმი წაყენებულ მოთხოვნებს, მაშინ, კონტეინერების ასეთი კომბინაციისათვის

დანართი 6
ნახ. N 1

კონტეინერთა ბრეზენტის მისამაგრებელი კონსტრუქციული მოწყობილობა
ქვემოთ გამოსახული მოწყობილობა აგრეთვე პასუხობს მე-4 დანართის მე-4 მუხლის b a) პუნქტს

დანართი 6
ნახ. 2

კონტეინერის კუთხურ ელემენტებთან ბრეზენტის მისამაგრებელი მოწყობილობა ქვემოთ გამოსახული მოწყობილობა პასუხობს მე-4 დანართის მე-4 მუხლის b a) ქვეპუნქტის მოთხოვნებს

დანართი 6
ნახ. 3

კონტეინერთან ბრეზენტის დამაგრების მეთოდის სხვა მაგალითი
ზემოთ გამოსახული მოწყობილობა პასუხობს მე-4 დანართის მე-4 მუხლის 10 პუნქტის ბოლო აბზაცის მოთხოვნებს.
იგი აგრეთვე პასუხობს მე-4 დანართის მე-4 მუხლის b პუნქტის მოთხოვნებსაც

დანართი 7

ადმინისტრაციული კომიტეტის შემადგენლობა და პროცედურის წესები

მუხლი 1
1. ადმინისტრაციული კომიტეტის წევრებს წარმოადგენენ ხელშემკვრელი მხარეები.
2. კომიტეტს შეუძლია დაადგინოს, რომ წინამდებარე კონვენციის მე-18 მუხლში მოხს-ენებული სახელმწიფოების კომპეტენტურ ადმინისტრაციებს, რომლებიც არ წარმოადგენენ ხელშემკვრელ მხარეებს, ან საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეუძლიათ, როგორც მეთვალყურეებს, მათთვის საინტერესო საკითხების განხილვის დროს დაესწრონ კომიტეტის სესიებს.

მუხლი 2
საბაჟო თანამშრომლობის საბჭო უზრუნველყოფს კომიტეტს სამდივნოს მომსახურებით.

მუხლი 3
კომიტეტი, ყოველწლიურად, პირველივე სხდომაზე ირჩევს თავმჯდომარეს და თავმჯდომარის მოადგილეს.

მუხლი 4
ხელშემკვრელი მხარეების კომპეტენტური ადმინისტრაციები უგზავნიან საბაჟო თანამშრომლობის საბჭოს მოტივირებულ წინადადებებს წინამდებარე კონვენციაში შესწორებების შეტანის შესახებ, აგრეთვე, თხოვნას კომიტეტის სესიის დღის წესრიგში ამა თუ ის პუნქტის ჩართვის შესახებ. საბაჟო თანამშრომლობის საბჭო ამ წინადადებების შესახებ აცნობებს ხელშემკვრელი მხარეების სახელმწიფოების კომპეტენტურ ადმინისტრაციებს

და წინამდებარე კონვენციის მე-18 მუხლში მოხსენებულ სახელმწიფოებს, რომლებიც არ წარმოადგენენ ხელშემკვრელ მხარეებს.

მუხლი 5

1. საბაჟო თანამშრომლობის საბჭო მოიწვევს კომიტეტს არანაკლებ ხუთი ხელშემკვრელი მხარის კომპეტენტური ადმინისტრაციის თხოვნით. იგი კომიტეტის სესიის დაწყებამდე არა უგვიანეს 6 კვირისა დაუგზავნის წინასწარ დღის წესრიგს ხელშემკვრელი მხარეების კომპეტენტურ ადმინისტრაციებს და წინამდებარე კონვენციის მე-18 მუხლში მოხსენებულ სახელმწიფოებს, რომლებიც ხელშემკვრელ მხარეებს არ წარმოადგენენ.

2. კომიტეტის გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელიც მიღებულია წინამდებარე წესების 1 მუხლის მე-2 პუნქტის დებულებების შესაბამისად, საბაჟო თანამშრომლობის საბჭო სთავაზობს წინამდებარე კონვენციის მე-18 მუხლში მოხსენებულ იმ სახელმწიფოთა კომპეტენტურ ადმინისტრაციებს, რომლებიც არ წარმოადგენენ ხელშემკვრელ მხარეებს, და დაინტერესებულ საერთაშორისო ორგანიზაციებს გამოგზავნონ თავიანთი მეთვალყურეები კომიტეტის სესიაზე.

მუხლი 6

წინადადებებს კენჭი ეყრებათ. სესიაზე წარმოდგენილ ყოველ ხელშემკვრელ მხარეს აქვს ერთი ხმა. წინადადებები, რომლებიც არ ეხება წინამდებარე კონვენციაში შესწორებების შეტანას, მიიღება კომიტეტის მიერ დამსწრეთა და კენჭისმყრელთა უმრავლესობით. წინამდებარე კონვენციის შესწორებები და გადაწყვეტილებები, რომლებზეც ლაპარაკია წინამდებარე კონვენციის 21-ე მუხლის მე-5 პუნქტში და რომლებიც ეხება შესწორებების ძალაში შესვლას, მიიღება დამსწრეთა და კენჭისმყრელთა ორი მესამედის უმრავლესობით.

მუხლი 7

სესიის დახურვის წინ კომიტეტი ამტკიცებს მოხსენებას.

მუხლი 8

მოცემულ დანართში შესაბამისი დებულებების არარსებობის დროს გამოიყენება საბაჟო თანამშრომლობის საბჭოს პროცედურის წესები, თუ კომიტეტმა სხვა რამ არ გადაწყვიტა.

ხელმოწერის ოქმი

წინამდებარე კონვენციის ხელმოწერის მომენტში, ამა რიცხვში ქვემორე ხელისმომწერნი, საამისოდ სათანადოდ უფლებამოსილნი თავიანთი მთავრობების მიერ, აცხადებენ შემდეგს:

1. კონტეინერების დროებითი შემოზიდვის პრინციპი არ შეესაბამება იმას, რომ შემოზიდვის ბაჟის და მოსაკრებლების დათვლის დროს, იმ კონტეინერის წონა ან ღირებულება, რომელიც შემოვიდა დროებითი შემოზიდვის პროცედურის თანახმად, დაემატოს მასზე გადასატანი ტვირთის წონას ან ღირებულებას. კონტეინერებში გადასაზიდი ტვირთებისთვის ოფიციალურად დაწესებული ტარის განსაზღვრული კოეფიციენტის დამატება ტვირთის წონაზე ნებადართულია იმ პირობით, რომ ასეთი დანამატი ხდება საფუთავის არ არსებობასთან ან მის განსაკუთრებულ ხასიათთან დაკავშირებით და არა იმიტომ, რომ ტვირთი გადაიზიდება კონტეინერებით.

2. წინამდებარე კონვენციის დებულებები ხელს არ უშლის კონტეინერების გამოყენების მარეგლამენტირებელი არასაბაჟო ხასიათის ეროვნულ მითითებებს ან საერთაშორისო შეთანხმებებს.

3. წინამდებარე კონვენციის 1 მუხლში კონტეინერის შიდა მოცულობის დადგენა 1 კუბური მეტრის ოდენობით არ ნიშნავს მომცრო კონტეინერებისათვის უფრო შემზღუდავი

წესების გამოყენების აუცილებლობას, და ხელშემკვრელი მხარეები ისწრაფვიან ამ კონტეინერებისათვის გამოიყენონო დროებითი შემოზიდვის პროცედურა, რომელიც წინამდებარე კონვენციით განსაზღვრული კონტეინერებისათვის გამოსაყენებელი პროცედურის ანალოგიურია.

4. რაც შეეხება კონტეინერების დროებითი შემოზიდვის პროცედურას, რომელიც გათვალისწინებულია წინამდებარე კონვენციის მე-6, მე-7 და მე-8 მუხლების დებულებებში, ხელშემკვრელი მხარეები აღიარებენ, რომ ნებისმიერი საბაჟო დოკუმენტების და ნებისმიერი გარანტიების გაუქმება ხელს შეუწყობს მათ მიერ წინამდებარე კონვენციის ერთ-ერთი ძირითადი მიზნის მიღწევას და ისინი ისწრაფვიან ამ შედეგისაკენ.

საქართველოში ძალაშია საქართველოს პარლამენტის 1999 წლის 16 აპრილის N 1903 დადგენილებით

თავისუფალი ტრანზიტის კონვენცია და სტატუტი ბარსელონა, 20 აპრილი 1921 წელი

A. კონვენცია

მუხლი 1

ხელშემკვრელი მაღალი მხარეები აცხადებენ, რომ ისინი იღებენ თანდართულ სტატუტს თავისუფალი ტრანზიტის შესახებ, რომელიც მიღებულია ბარსელონაში, 1921 წლის 14 აპრილს.

სტატუტი ჩაითვლება წინამდებარე კონვენციის განუყოფელ ნაწილად. შემდგომში ისინი აცხადებენ, რომ იღებენ სტატუტით განსაზღვრულ ვალდებულებებს ქვემოთჩამოთვლილი მუხლების და პირობების შესაბამისად.

მუხლი 2

წინამდებარე კონვენცია არავითარ გავლენას არ ახდენს 1919 წლის 28 ივნისს ვერსალში ხელმოწერილი სამშვიდობო ხელშეკრულების დებულებებიდან გამომდინარე უფლებებზე და ვალდებულებებზე, ან სხვა შესაბამისი ხელშეკრულებების დებულებებზე, როლებიც ეხება ხელშეკრულების ხელმომწერ ქვეყნებს, ან იმ ქვეყნებს, რომლებიც სარგებელს იღებენ ამგვარი ხელშეკრულებებიდან.

მუხლი 3

წინამდებარე კონვენცია ფრანგულ და ინგლისურ ენებზე შესრულებულ ავთენტიკურ ასლებთან ერთად ატარებს დღევანდელი დღის თარიღს და ღიაა ხელმოსაწერად 1921 წლის 1 დეკემბრამდე.

მუხლი 4

წინამდებარე კონვენცია ექვემდებარება რატიფიკაციას, რატიფიცირებული დოკუმენტები გადაეცემა ერთი ლიგის გენერალურ მდივანს, რომელიც აღნიშნული დოკუმენტების მიღების შესახებ აცნობებს ერთა ლიგის სხვა წევრებს და კონვენციის ხელმოწერაზე დაშვებულ სახელმწიფოებს. ერთა ლიგის ხელშეკრულების 18 მუხლის დებულებათა შესასრულებლად გენერალური მდივანი რეგისტრაციაში გაატარებს კონვენციას პირველი რატიფიკაციის მიღების შემდეგ.

მუხლი 5

ერთი ლიგის წევრებს, რომლებსაც 1921 წლის 1 დეკემბრამდე ხელი არ მოუწერიათ წინამდებარე კონვენციაზე შეუძლიათ მიუერთდნენ მას.

იგივე ეხება სახელმწიფოებს, რომლებიც არ არიან ერთი ლიგის წევრები და რომლებსაც ლიგის სახლის ოფიციალური გადაწყვეტილებით შეიძლება გადაეცეს წინამდებარე კონვენცია.

შემოერთება უნდა ეცნობოს ერთა ლიგის გენერალურ მდივანს და იგი, ან ლიგა აცნობებენ დაინტერესებულ სახელმწიფოებს შემოერთებისა და შეტყობინების თარიღის შესახებ.

მუხლი 6

წინამდებარე კონვენცია არ შეეა ძალაში მანამ, სანამ მის რატიფიკაციას არ მოახდენს ხუთი სახელმწიფო. ძალაში შესვლის თარიღად ჩაითვლება 90-ე დღე ერთა ლიგის გენერალური მდივნის მიერ მეხუთე რატიფიკაციის სიგელის მიღების დღიდან. შემდგომში, ყოველ მხარესთან მიმართებაში, წინამდებარე კონვენცია ძალაში შეეა რატიფიკაციის ან მიერთების შესახებ შეტყობინების 90-ე დღიდან.

წინამდებარე კონვენციის ძალაში შესვლის შემდეგ გენერალური მდივანი დაუგზავნის ამ კონვენციის ოფიციალურ ასლებს სახელმწიფოებს, რომლებიც არ არიან ლიგის წევრები და რომლებიც შეუერთდნენ წინამდებარე კონვენციას.

მუხლი 7

ერთა ლიგის გენერალურ მდივანთან შეინახება სპეციალური პროტოკოლი, რომელშიც მითითებული იქნება მხარეთა შორის რომელმა მოაწერა ხელი, მოახდინა რატიფიკაცია, შეუერთდა ან გაუკეთა დენონსაცია, წინამდებარე კონვენციას. პროტოკოლი ხელმისაწვდომი უნდა იყოს ერთა ლიგის წევრებისათვის ნებისმიერ დროს; ის უნდა ქვეყნდებოდეს შეძლებისდაგვარად ხშირად, საბჭოს დირექტივების შესაბამისად.

მუხლი 8

წინამდებარე კონვენციის 2 მუხლის დებულებების შესაბამისად, ამ უკანასკნელის დენონსაცია შეუძლია ნებისმიერ მხარეს 5 წლიანი ვადის გასვლის შემდეგ ამ მხარესათვის კონვენციის ძალაში შესვლის დღიდან. დენონსაცია ძალაში შეეა მას შემდეგ, რაც წერილობით ეცნობება ერთა ლიგის გენერალურ მდივანს. შეტყობინების ასლები უნდა დაეგზავნოთ ყველა სხვა მხარეებს მათი მიღების თარიღის აღნიშვნით.

დენონსაცია ძალაში შეეა გენერალური მდივნის მიერ შეტყობინების მიღებიდან 1 წლის შემდეგ და მისი მოქმედება გავრცელდება მხოლოდ შემტყობინებელი სახელმწიფოს მიმართ.

B. თავისუფალი ტრანზიტის სტატუტი

მუხლი 1.

პირები, ბარგი და საქონელი, აგრეთვე გემები და სხვა სატრანსპორტო საშუალებები იმ ტერიტორიაზე ტრანზიტის დროს, რომელიც იმყოფება ერთ-ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს სუვერენიტეტის ქვეშ, როდესაც ასეთ ტერიტორიაზე გავლა დაცლა-დატვირთვით ან მის გარეშე, საწყობში შენახვით, განტვირთვის დაწყებით ან ტრანსპორტის სახის შეცვლით ითვლება შემადგენელ ნაწილად იმ სრული რეისისა, რომელიც იწყება და მთავრდება იმ სახელმწიფოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ, რომლის გავლითაც ხორციელდება ტრანზიტი.

ამგვარი გადაზიდვა სტატუტში აღინიშნება მოძრაობად.

მუხლი 2

სტატუტის სხვა დებულებების თანახმად, ხელშემკვრელი სახელმწიფოების მიერ თავისი სუვერენიტეტის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე გაელის რეგულირებისათვის და წარველინებისთვის მიღებული ზომები ხელს უნდა უწყობდეს თავისუფალი ტრანზიტის საერთაშორისო ტრანზიტისათვის შესაფერისი საზღვაო და სარკინიგზო გზებზე. არ უნდა არსებობდეს განსხვავება, რომელიც დაფუძნებული იქნება პირების ეროვნებაზე, გემების დროშებზე, წარმოშობის, შესვლის და გამოსვლის ადგილზე, მიმართულებაზე ან სხვა ტრანსპორტო საშუალებების ფლობასთან.

წინამდებარე მუხლის დებულებების გამოყენების უზრუნველსაყოფად, ხელშემკვრელი სახელმწიფოები დაუშვებენ ტრანზიტს თავიანთი ტერიტორიული წყლების გაელით თავისი ჩვეულებრივი პირობების და რეზერვების შესაბამისად.

მუხლი 3

ტრანზიტი (შესვლისა და გასვლის ჩათვლით) არ ექვემდებარება არავითარ სპეციალურ მოსაკრებლებს. მიუხედავად ამისა ტრანზიტი შეიძლება დაიბეგროს მოსაკრებლებით, ასეთ ტრანზიტთან დაკავშირებული ადმინისტრაციული ხარჯების დასაფარავად. ამგვარი ტარიფი რაც შეიძლება ახლოს უნდა შეესაბამებოდეს იმ ხარჯებს, რომლებიც იფარება მოსაკრებლებით. დაბეგვრა ხდება წინა მუხლში აღნიშნული თანასწორუფლებიანობის პრინციპის შესაბამისად. ზოგიერთ მარშრუტზე შეიძლება ამგვარი მოსაკრებლების შემცირება ან გაუქმებაც კი ადმინისტრაციულ ხარჯებში არსებული განსხვავების გათვალისწინებით.

მუხლი 4

ხელშემკვრელი სახელმწიფოები ვალდებულებას იღებენ თავის მიერ რეგულირებად სატრანზიტო გზებზე გამოიყენონ ტარიფები იმის გათვალისწინებით, რომ ტრანზიტის პირობები და კონკურენცია გზებს შორის მისაღებია როგორც ტარიფით, ისე გამოყენების მეთოდით. ეს ტარიფები უნდა შეიქმნას საერთაშორისო მოძრაობის გაუქმებით. არავითარი მოსაკრებლები, პრივილეგია ან შეზღუდვა არ უნდა იყოს პირდაპირ ან ირიბ დამოკიდებულებაში გემის ან სხვა სატრანსპორტო საშუალების ეროვნულ კუთვნილებასთან ან მფლობელობასთან, აგრეთვე დანიშნულების ადგილთან.

მუხლი 5

არც ერთმა ხელშემკვრელმა სახელმწიფომ არ უნდა დაუშვას იმ მგზავრთა ტრანზიტი, რომლებსაც აკრძალული აქვთ ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე შესვლა, აგრეთვე იმ საქონლისა, რომლის იმპორტი აკრძალულია საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ან უშიშროების ნიადაგზე, ან როგორც უსაფრთხოების ზომა მცენარეების და ცხოველების დაავადების თავიდან ასაცილებლად.

თითოეულმა ხელმომწერმა სახელმწიფომ უნდა მიიღოს უსაფრთხოების ზომები იმის გარანტირებისათვის, რომ პირები, ბარგი და საქონელი, განსაკუთრებით საქონელი, რომელიც წარმოადგენს მონოპოლიის საგანს, გემები და სხვა სატრანსპორტო საშუალებები ნამდვილად ახორციელებენ სატრანზიტო გასვლას, აგრეთვე იმის გარანტიებისათვის, რომ მგზავრები, რომლებიც ასრულებენ ტრანზიტულ გასვლას, იმყოფებიან თავიანთ მოგზაურობის დასრულების გზებზე, აგრეთვე იმ საკომუნიკაციო საშუალებების და ხაზების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, რომლებსაც საშიშროება ემუქრება.

ამ სტატუტიდან არაფერი არ მოქმედებს ხელშემკვრელი ქვეყნების უფლებებზე შეასრულონ იმ საერთაშორისო კონვენციების ამოცანები, რომლის წევრიც არის ეს სახელმწიფო, განსაკუთრებით ერთა ლიგის ეგიდით მიღებული კონვენციები, რომლებიც უკავშირდებიან ტრანზიტს, ექსპორტს და იმპორტს ისეთი საგნებისა, როგორებიცაა ოპიუმი და სხვა

სახიფათო ნარკოტიკები, იარაღი, თევზსაჭერი პროდუქცია, აგრეთვე იმ საყოველთაო კონვენციების ამოცანები, რომლებიც მიზნად ისახავენ საწარმოო, სააეტორო და შემოქმედებითი საკუთრების უფლებების დარღვევების, ყალბი ნიშნების, პროდუქციის წარმოების ყალბი მაჩვენებლების და არაპატიოსანი კონკურენციის სხვა მეთოდების თავიდან აცილებას.

გადატანის მომსახურების ღირებულება, რომელიც საზღვაო გზაზე მონოპოლიას წარმოადგენს, იმგვარად უნდა იყოს ორგანიზებული, რომ ხელი არ შეეშალოს გემების ტრანზიტს.

მუხლი 6

წინამდებარე სტატუტი არ ავალდებულებს ხელშემკვრელ სახელმწიფოებს მიანიჭონ თავისუფალი ტრანზიტის უფლება მოქალაქეებს და მათ ბარგს, აგრეთვე სახელმწიფო დროშას, რომელიც არ არის შეთანხმების მონაწილე, იმ სახელმწიფოს შემოსატან და გასატან საქონელს და სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალებებს, დანიშნულების პუნქტებს, რომლებიც არ არის შეთანხმების მონაწილე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ერთ-ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფო წარმოადგენს ამგვარი ტრანზიტის დასაბუთებულ მიზეზს. საქონელი, რომელიც იმყოფება ტრანზიტის პროცესში და ატარებს ერთ-ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს დროშას, სარგებლობს ამ დროშისათვის მიკუთვნებული უპირატესობით, გარდა დაცლა-დატვირთვის შემთხვევებისა.

მუხლი 7

კერძო და საზოგადო ხასიათის ზომები, რომელთა მიღებაც საჭიროა ხელშემკვრელი სახელმწიფოს მიერ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში, გამომდინარე უშიშროების ან სხვა სასიცოცხლო მნიშვნელოვანი ინტერესების შებღალვის შემთხვევაში, შეიძლება შეიცავდეს ზემოთაღნიშნული მუხლის დებულებებიდან გადახრას შეძლებისდაგვარად მცირე ხნით; თავისუფალი ტრანზიტის პრინციპების დაცვა სავალდებულოა მაქსიმალური შესაძლებლობის ფარგლებში.

მუხლი 8

სტატუტი არ აკისრებს უფლებებს და ვალდებულებებს მეომარ და ნეიტრალურ ქვეყნებს ომის დროს. მიუხედავად ამისა, ომის დროს სტატუტი ძალაში იქნება მანამ, სანამ ამის შესაძლებლობას იძლევიან უფლებები და მოვალეობები.

მუხლი 9

სტატუტი არ აკისრებს ხელშემკვრელ ქვეყნებს ვალდებულებებს, რომლებიც ეწინააღმდეგება ერთა ლიგის წევრის უფლებებს და მოვალეობებს.

მუხლი 10

ძალაში შესვლის შემდეგ წინამდებარე სტატუტი არ გააუქმებს 1921 წლის 1 მაისამდე ხელშემკვრელი სახელმწიფოს მიერ დადებულ ხელშეკრულებებს, შეთანხმებებს და კონვენციებს.

იმის გათვალისწინებით, რომ ასეთი შეთანხმებები ძალაშია, სახელმწიფოები ვალდებულებას იღებენ შეთანხმების დასრულების შემდეგ, ან როდესაც იქნება ამის საშუალება, შეიტანება შეთანხმებებში წინამდებარე სტატუტის დებულებებთან ჰარმონიული თანაარსებობისათვის საჭირო ცვლილებები, თუკი ამის საშუალებას იძლევა ქვეყნების ან სამოქმედო ტერიტორიების გეოგრაფიული, ეკონომიკური და ტექნიკური გარემოებები.

ხელშემკვრელი სახელმწიფოები აგრეთვე ვალდებულებებს იღებენ შემდგომში არ დადონ შეთანხმებები, ხელშეკრულებები და კონვენციები, რომლებიც არ ეთანხმება წინამდებარე სტატუტის დებულებებს გარდა შემთხვევებისა, როდესაც გეოგრაფიული, ეკონომიკური და ტექნიკური სიტუაცია ამართლებს განსაკუთრებულ გადახრებს.

მეტიც, ხელშემკვრელ სახელმწიფოებს შეუძლიათ დადონ რეგიონალური შეთანხმებები,

რომლებიც ეთანხმებიან წინამდებარე სტატუტის პრინციპებს ტრანზიტის საკითხებში.

მუხლი 11

სტატუტი არანაირად არ ითვალისწინებს იმ პრივილეგიების ჩამორთმევას რომლებიც აღმატება სტატუტით გათვალისწინებულს და მისი პრინციპების თანახმად საჩუქრად მიენიჭება ტრანზიტულ მოძრაობას ხელშემკვრელი სახელმწიფოს სუვერენიტეტის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე. სტატუტი აგრეთვე არ გულისხმობს სამომავლოთ დიდი პრივილიგიების მინიჭების აკრძალვას.

მუხლი 12

ერთა ლიგის პაქტის 23 (e) მუხლის თანახმად ნებისმიერი ხელშემკვრელი სახელმწიფო, რომელსაც გააჩნია 1914–1918 წლების გამანადგურებელი ომის შედეგად მის სახმელეთო ტერიტორიაზე შექმნილი ეკონომიკური სიტუაციისათვის წინამდებარე სტატუტის დებულებების გამოყენების საწინააღმდეგო სარწმუნო ფაქტები, შეიძლება დროებით გათავისუფლდეს ამ დებულების გამოყენებით წარმოშობილი ვალდებულებებისაგან; თავისუფალი ტრანზიტის პრინციპის დაცვა საჭიროა მაქსიმალური შეძლების ფარგლებში.

მუხლი 13

ნებისმიერი დავა, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას წინამდებარე სტატუტის ინტერპრეტაციის ან გამოყენების თაობაზე და რომლის მოგვარება ვერ ხერხდება მხარეების მიერ, უნდა გადაეცეს საერთაშორისო სამართლის მუდმივმოქმედ სასამართლოს იმ პირობით, თუ სპეციალური შეთანხმების ან საერთო საარბიტრაჟო დებულებების შესაბამისად გადადგმულია კონკრეტული ნაბიჯები ამ დავის მოსაგვარებლად არბიტრაჟული და სხვა გზებით. საქმის წარმოების პროცედურა მითითებულია საერთაშორისო სამართლის მუდმივმოქმედი სასამართლოს მე-40 მუხლში.

ასეთი დისტრიბუტების შეძლებისდაგვარად მეგობრული გზებით მოგვარებისათვის, ხელშემკვრელი სახელმწიფოები ვალდებულნი არიან სასამართლო ორგანოებში მიმართვამდე საბჭოსა და ასამბლეის სამართლებრივი საქმიანობისათვის ზიანის მიუყენებლად, გადასცენ დავა განსახილველად ერთა ლიგის მიერ დაარსებულ ნებისმიერ ორგანოს, როგორც ორგანოს, რომელიც არის ერთა ლიგის წევრთა კონსულტაციური და ტექნიკური ორგანიზაცია კომუნიკაციის და ტრანზიტის საკითხებში. აუცილებელ შემთხვევაში შეიძლება გაიცეს წინასწარი რეკომენდაცია დროებითი ღონისძიებების, განსაკუთრებით სადაო აქტებამდე ან შემთხვევამდე, რომელიც დავის საბაბი გახდა, არსებული თავისუფალი ტრანზიტის პრივილეგიების აღდგენის თაობაზე.

მუხლი 14

იმის გამო, რომ ზოგიერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს ტერიტორიის შიგნით ან მის უშუალო სიახლოვეს არსებობენ ანკლავები და სიერცეები შედარებით პატარა მოსახლეობით, რომლებიც ქმნიან მესამე სახელმწიფოების ცალკეულ ნაწილებს ან დასახლებებს, სადაც ადმინისტრაციული წესის მიზეზით არაპრაქტიკულია წინამდებარე სტატუტის დებულებების გამოყენება, შეთანხმებულია, რომ ეს დებულებები არ იმოქმედებენ აღნიშნული ტერიტორიების მიმართ.

ასეთივე პირობა გამოიყენება იმ ადგილებში, სადაც კოლონიის ან დამოკიდებული ქვეყნის საზღვარი ბევრად აღემატება ფართობს და შემდგომში ამის გამო საჭიროა და საპოლიციო ზედამხედველობა პრაქტიკულად შეუძლებელია.

მიუხედავად ამისა, დაინტერესებული სახელმწიფო იყენებს ზემოთაღნიშნულ შემთხვევებში რეჟიმს, რომელიც პატივს სცემს წინამდებარე სტატუტის პრინციპებს და შეძლებისდაგვარად აიოლებს ტრანზიტს და კომუნიკაციას.

მუხლი 5

წინამდებარე სტატუტი არ გულისხმობს ერთ ლიგის ინდივიდუალურ წევრად მყოფ ან არამყოფ იმ ტერიტორიათა უფლებებისა და მოვალეობების, რეგულირებას, რომლებიც ქმნიან ცალკეულ ნაწილებს ან იმყოფებიან იმ ერთი და იგივე სუვერენული სახელმწიფოს მფარველობაში.

საქართველოს მთავრობის 2006 წლის 20 დეკემბერი დადგენილება N240

საბაჟო საწყობის ტექნიკური და უსაფრთხოების მოთხოვნების განსაზღვრისა და შესაბამისი ნებართვების გაცემის წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

1. საქართველოს საბაჟო კოდექსის 104-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტის, "საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის, "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-131 მუხლისა და "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლის 33-ე და 34-ე პუნქტების შესაბამისად დამტკიცდეს "საბაჟო საწყობის ტექნიკური და უსაფრთხოების მოთხოვნების განსაზღვრისა და შესაბამისი ნებართვების გაცემის წესის შესახებ" ინსტრუქცია თანდართულ დანართებთან ერთად (დანართი N1, N2, N3, N4);

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს მთავრობის 2005 წლის 17 ოქტომბრის N187 დადგენილება "ღია ან დახურული საბაჟო საწყობის საქმიანობის და დროებითი შენახვის ღია ან დახურული საწყობის საქმიანობის ნებართვების გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" დებულების დამტკიცების თაობაზე".

2. დადგენილება ამოქმედდეს 2007 წლის 1 იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი

ინსტრუქცია
საბაჟო საწყობის ტექნიკური და უსაფრთხოების მოთხოვნების განსაზღვრისა და შესაბამისი ნებართვების გაცემის წესის შესახებ

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1.

1. "საბაჟო საწყობის ტექნიკური და უსაფრთხოების მოთხოვნების განსაზღვრისა და შესაბამისი ნებართვების გაცემის წესის შესახებ" ინსტრუქცია (შემდგომში _ ინსტრუქცია) შემუშავებულია "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონისა და საქართველოს საბაჟო კოდექსით დადგენილი მოთხოვნების თანახმად.

2. ინსტრუქცია არ ვრცელდება ინსტრუქციით განსაზღვრულ საქმიანობაზე, თუ მას ახორციელებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო ორგანო.

მუხლი 2.

ინსტრუქციაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) საქონელი – საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე გადაადგილებული ნებისმიერი

მატერიალური ქონება, კერძოდ, ფული, ფასიანი ქაღალდები, ელექტრო და თბოენერგია, გაზი და წყალი;

ბ) სატრანსპორტო საშუალება – საავტომობილო, საჰაერო, საზღვაო და სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალებები, აგრეთვე ელექტროგადამცემი ხაზები, მილსადენი, კონტეინერი, მისაბმელი, ნახევარმისაბმელი და ნებისმიერი სხვა საშუალება, რომლებიც გამოიყენება მგზავრთა გადაყვანისათვის ან/და საქონლის გადაზიდვისათვის;

გ) ნებართვა – ამ მუხლის "ი", "კ", "ლ", "მ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საქმიანობის თითოეულ სახეობაზე კანონით განსაზღვრული ვადით მოქმედების განხორციელების უფლება, რომელიც უკავშირდება ობიექტს და ადასტურებს ამ განზრახვის წინამდებარე ინსტრუქციით დადგენილ პირობებთან შესაბამისობას;

დ) სანებართვო მოწმობა – ნებართვის ფლობის დამადასტურებელი მკაცრი აღრიცხვის ფორმა;

ე) ნებართვის მაძიებელი – ნებართვის მიღების მსურველი პირი;

ვ) ნებართვის მფლობელი – პირი, რომელსაც ინდივიდუალურ ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის საფუძველზე მინიჭებული აქვს უფლება განახორციელოს ნებართვით განსაზღვრული მოქმედება;

ზ) პირი – საქართველოს საწარმო ან მეწარმე ფიზიკური პირი;

თ) სანებართვო პირობები – საქართველოს საბაჟო კოდექსით, "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე ინფორმაციის ამომწურავი ნუსხა, რომელთაც უნდა აკმაყოფილებდეს ნებართვის მაძიებელი ნებართვის მისაღებად ან/და ნებართვით განსაზღვრული მოქმედების განხორციელებისას;

ი) დახურული საბაჟო საწყობის საქმიანობა – საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მხოლოდ ნებართვის მფლობელის ან მხოლოდ ერთი პირის საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონლის შესანახად;

კ) ღია საბაჟო საწყობის საქმიანობა – საქმიანობა, რომელიც ხორციელდება ნებისმიერი პირის საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონლის შესანახად;

ლ) დროებითი შენახვის დახურული საწყობის საქმიანობა – საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მხოლოდ ნებართვის მფლობელის ან მხოლოდ ერთი პირის საბაჟო დამუშავების ოპერაციის სახის განსაზღვრამდე საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების დროებით დასაწყობებისათვის;

მ) დროებითი შენახვის ღია საწყობის საქმიანობა – საქმიანობა, რომელიც ხორციელდება ნებისმიერი პირის საბაჟო დამუშავების ოპერაციის სახის განსაზღვრამდე საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების დროებით დასაწყობებისათვის;

ნ) საწყობი – საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე არსებული, ინსტრუქციით დადგენილი სანებართვო პირობების შესაბამისად, ტერიტორიულად განცალკევებული შენობანაგებობის ან/და ღია მოედნისაგან შემდგარი ტერიტორია, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება ან ხორციელდება ნებართვით განსაზღვრული საქმიანობა. აღნიშნული ტერიტორია უნდა იყოს ერთიანი და იზოლირებული და უნდა ჰქონდეს განსაზღვრული ერთი ან რამდენიმე სახის (სარკინიგზო ან/და საავტომობილო, ან/და სხვა ტიპის) ერთი შესასვლელი ან/და ერთი გასასვლელი;

ო) სათავსი – შენობანაგებობა ან შენობანაგებობის ნაწილი, რომელიც განკუთვნილია შენახვის ჩვეულებრივი ან/და სპეციფიკური პირობების შესაბამისად საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების შესანახად;

პ) შენობანაგებობა – სათავსი, სასაწყობე მეურნეობის სამუშაო რეჟიმში ფუნქციონირებისათვის აუცილებელი, დაცვის დანიშნულების შენობანაგებობა, საწარმო ოპერაციებისათვის, საწარმოო ოპერაციების აღრიცხვისათვის აუცილებელი აღნიშნული მოთხოვნიდან დგინდება

შემდეგი სახის გამონაკლისი: დახურული საბაჟო საწყობის და დროებითი შენახვის დახურული საწყობის საქმიანობის მიზნებისათვის, შენობანაგებობას წარმოადგენს აგრეთვე შენობანაგებობის ერთიანი და იზოლირებული ნაწილი (სართული ან შენობანაგებობის ერთი, დამოუკიდებელი შესასვლელის მქონე ნაწილი), რომელსაც უნდა ჰქონდეს დამოუკიდებელი, განსაზღვრული ერთი ან რამდენიმე სახის (სარკინიგზო ან/და საავტომობილო, ან/და სხვა ტიპის) ერთი შესასვლელი ან/და ერთი გასასვლელი;

ჟ) ტექნიკური და უსაფრთხოების მოთხოვნები – წინამდებარე ინსტრუქციით გათვალისწინებული მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს ინსტრუქციით განსაზღვრული ნებართვის მფლობელი (მაძიებელი).

მუხლი 3.

1. ნებართვას გასცემს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – შემოსავლების სამსახური (შემდგომში – შემოსავლების სამსახური). (5.04.2007 N78)

2. ნებართვა გაიცემა ნებართვის მაძიებელ ნებისმიერ პირზე, რომელიც აკმაყოფილებს ამ დადგენილებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

3. საწყობის ტერიტორია წარმოადგენს საბაჟო კონტროლის ზონას.

მუხლი 4.

1. ნებართვა გაიცემა დებულების მე2 მუხლის "ი", "კ", "ლ", "მ" ქვეპუნქტებით განსაზღვრული თითოეული საქმიანობისათვის, ერთი საწყობისათვის:

ა) ერთსა და იმავე საწყობის ტერიტორიაზე ღია საბაჟო საწყობის საქმიანობის ნებართვის მფლობელ პირს აქვს უფლება განახორციელოს დროებითი შენახვის ღია საწყობის საქმიანობა (ან პირიქით), აგრეთვე დახურული საბაჟო საწყობის საქმიანობის ნებართვის მფლობელ პირს აქვს უფლება განახორციელოს დროებითი შენახვის დახურული საწყობის საქმიანობა (ან პირიქით), იმ შემთხვევაში თუ ნებართვის მფლობელი:

ა.ა) გამოაცალკევებს და შემოსაზღვრავს საწყობის ტერიტორიაზე არსებულ ღია მოედნის ან/და სათაესის ფარგლებში, საქონლის საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის საბაჟო რეჟიმში და საბაჟო კონტროლით დროებით დასაწყობებისათვის განკუთვნილ ტერიტორიას, ან/და გამოაცალკევებს სათავსს. ამასთან, ამ ქვეპუნქტის მიზნებისათვის გამოცალკევება და შემოსაზღვრა არ გულისხმობს კაპიტალური მასალით ტერიტორიის შემოღობვას. შემოსაზღვრა არ არის საჭიროებული, როცა გამოცალკევებული ფართობი წარმოადგენს ერთი ან რამდენიმე სახის (სარკინიგზო ან/და საავტომობილო, ან/და სხვა ტიპის) ერთი შესასვლელის ან/და ერთი გასასვლელის მქონე იზოლირებულ სათავსს;

ა.ბ) შემოსავლების სამსახურს წარუდგენს წერილობით განცხადებას, სანებართვო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს და შესაბამისი უფლების მქონე პირის მიერ შედგენილ სიტუაციურ გეგმანახაზს, სადაც აისახება აღნიშნული ტერიტორიის საზღვრები, სათავსი, რომელსაც ნებართვის მფლობელის მიერ მინიჭებული აქვს შესაბამისი საიდენტიფიკაციო ნომერი; (5.04.2007 N78)

ბ) შემოსავლების სამსახური ამ პუნქტის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ განცხადებას განიხილავს მისი რეგისტრაციდან 3 დღეში და ვალდებულია განცხადების (თანდართულ) მასალებში შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში წერილობით აცნობოს განმცხადებელს 2 დღეში, რომელიც აითვლება განცხადების განხილვის ვადის ამოწურვიდან. განცხადების კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენიდან 2 დღეში შემოსავლების სამსახური იღებს გადაწყვეტილებას ამ ინსტრუქციის მე-7 მუხლის მიხედვით და აცნობებს სათანადო ტერიტორიულ ორგანოსა და ნებართვის მფლობელს ნებართვის მფლობელის მიერ მითითებული ტერიტორიის ფარგლებში შესაბამისი საქმია-

ნობის განხორციელების შესახებ და უგზაუნის სიტუაციურ გეგმანახაზს; (5.04.2007 N78)

გ) შემოსაელების სამსახურის ტერიტორიულ ორგანოში ამ პუნქტის "ბ" ქვეპუნქტით განსაზღვრული ინფორმაციის რეგისტრაციის თარიღიდან მომდევნო დღეს (მიუხედავად იმისა, უქმეა თუ დასვენების დღე) ნებართვის მფლობელი უფლებამოსილია საწყობის პერიმეტრზე სიტუაციურ გეგმანახაზში მითითებული ტერიტორიის, სათავსის ფარგლებში განახორციელოს შესაბამისი საქმიანობა; (5.04.2007 N78)

დ) ნებართვის მოქმედების ვადაში ამ პუნქტის "ა" და "ბ" ქვეპუნქტებით დადგენილი მოთხოვნის დარღვევით საქმიანობის განხორციელება სანებართვო პირობების დარღვევაა და იწვევს სანებართვო პირობების დარღვევისათვის გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

2. ნებართვა გაიცემა ერთჯერადად განსაზღვრული ვადით. ნებართვის მოქმედების ვადა საქართველოს საბაჟო კოდექსის 104-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად შეადგენს 3 წელს.

3. დაუშვებელია ნებართვის გადაცემა სხვა პირისათვის.

4. საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის საბაჟო რეჟიმში მოქცეული ნავთობის მსუბუქი, საშუალო და მძიმე დისტილატების შესანახად განკუთვნილი საწყობისათვის დაშვებულია მხოლოდ დახურული საბაჟო საწყობის საქმიანობა.

თავი II. ნებართვის გაცემის წესი, სანებართვო პირობები, ტექნიკური და უსაფრთხოების მოთხოვნები

მუხლი 5.

1. ნებართვის მაძიებელი ნებართვის მისაღებად შემოსაელების სამსახურს წარუდგენს წერილობით განცხადებას. ნებართვის მიღების თაობაზე განცხადების წარდგენა, განხილვა და წარმოებაში მიღება ხორციელდება "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით. (5.04.2007 N78)

2. განცხადებას უნდა ერთვოდეს საქართველოს საწარმოს ან მეწარმე ფიზიკური პირისათვის სამეწარმეო რეესტრიდან ამონაწერები. იურიდიულმა პირმა განცხადებას უნდა დაურთოს სადამფუძნებლო დოკუმენტების დამოწმებული ასლები.

3. განცხადებას ასევე უნდა ერთვოდეს სანებართვო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთი. სანებართვო მოსაკრებლის ოდენობა, ბიუჯეტში მისი გადახდის, აგრეთვე ნებართვის მაძიებლის მიერ ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების წესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

4. საქართველოს საბაჟო კოდექსის შესაბამისად განცხადებას "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულ თანდართულ დოკუმენტებთან ერთად ასევე დამატებით უნდა ერთვოდეს სანებართვო პირობებისა და ტექნიკური და უსაფრთხოების მოთხოვნების დამადასტურებელი შემდეგი ინფორმაცია:

ა) საწყობის საქმიანობის გარანტიის უზრუნველსაყოფად – საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული ოდენობის შემოსავლების სამსახურისათვის მისაღები საბაჟო გარანტია; ნავთობის მსუბუქი, საშუალო და მძიმე დისტილატების შენახვის საწყობის ნებართვის მისაღებად, სასაწყობო სიმძლავრის შესაბამისი მთლიანი მოცულობის საქონლის იმპორტის რეჟიმის შემთხვევაში – გადასახდელი თანხის შემოსაელების სამსახურისათვის მისაღები საბაჟო გარანტია; (5.04.2007 N78)

ბ) შესაბამისი უფლების მქონე პირის მიერ შედგენილი სასაწყობოდ განკუთვნილი შენობანაგებობების, ღია მოედნის სიტუაციური გეგმა (ნახაზი) ან/და ასაშენებელი შენობანაგებობების პროექტი. სიტუაციურ გეგმაში (ნახაზში) ან ასაშენებელი შენობანაგებობების პროექტში აუცილებელი წესით უნდა იქნეს ნაჩვენები საწყობის ტერიტორიის მთელი პერიმეტრის შემომსაზღვრელი ღობე. შემომსაზღვრელი ღობე სავალდებულოა მხოლოდ

მაშინ, როცა საწყობის ტერიტორია შედგება მხოლოდ ღია მოედნისაგან, ან ღია მოედნისა და შენობანაგებობებისაგან, ან რამდენიმე შენობა-ნაგებობისაგან, რომლებიც დაშორებულია ერთმანეთისაგან. ღია საბაჟო საწყობის საქმიანობისა და დროებითი შენახვის ღია საწყობის საქმიანობის ნებართვის მაძიებლის (მფლობელის) საწყობის შემომსაზღვრელი ღობე უნდა იყოს სულ ცოტა 3 მეტრი სიმაღლისა და აგებული კაპიტალურად დამონტაჟებული მასალით, რომელსაც მთელ სიგრძეზე უნდა გასდევდეს მაეთულხლართი და გარე განათება. ღობეზე ან შენობანაგებობის კედელზე გარე მხრიდან ყოველი 50 მეტრის შუალედში უნდა იყოს მიმაგრებული ფირნიში წარწერით _ "საბაჟო კონტროლის ზონა" ქართულ და ინგლისურ ენებზე. ნახაზში (პროექტში) ასევე სავალდებულოა აისახოს შესაბამისი განმარტებები;

გ) ინფორმაცია საწყობისა და საწყობის ტერიტორიაზე არსებული სათავსის შესასვლელისა და გასასვლელის გამოსახულების ჩამწერი საშუალებებით აღჭურვის შესახებ. გამოსახულების ჩამწერი საშუალებებით უნდა ფიქსირდებოდეს ნებართვის მფლობელის (მაძიებლის) მიერ სათავსისათვის მინიჭებული ნომერი, სათავსის შესასვლელი ან/და გასასვლელი, სატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო ნომერი (სანომრე ნიშანი), რომლითაც გადაიზიდება საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონელი. ნავთობის მსუბუქი, საშუალო და მძიმე დისტილატების შენახვის სათავსების შემთხვევაში გამოსახულების ჩამწერი საშუალებებით უნდა ფიქსირდებოდეს საწყობის შესასვლელსა და გასასვლელში გადაადგილებული სატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო ნომერი, გამშვები და ჩამკეტი ხელსაწყოები;

დ) საწყობისათვის განკუთვნილი მიწის ნაკვეთის, შენობა-ნაგებობების:

დ.ა) საკუთრების დამადასტურებელი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;

დ.ბ) სულ ცოტა 3 წლის ვადით შესაბამისი მფლობელობის უფლების დამადასტურებელი სამართლებრივი საფუძვლის შესახებ დოკუმენტი და შესაბამისი პირის საკუთრების დამადასტურებელი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;

ე) ინფორმაცია საწყობის მთელი ტერიტორიის სადღეღამისო დაცვისა და, შესაბამისად, საწყობის ტერიტორიაზე არსებული სათავსების (შენობანაგებობების) დამცავი, აგრეთვე ხანძარსაწინააღმდეგო სიგნალიზაციით აღჭურვის შესახებ. დამცავი სიგნალიზაციით აღჭურვა არ არის სავალდებულო, თუ დაცვა ხორციელდება სხვა სახის სადღეღამისო დაცვის მომსახურებით;

ვ) ვალდებულება ნებართვის მოქმედების ვადის განმავლობაში სასაწყობო მეურნეობის სამუშაო რეჟიმში ფუნქციონირების უზრუნველყოფის შესახებ. ამ ქვეპუნქტის მიზნებისათვის სასაწყობო მეურნეობის სამუშაო რეჟიმი ნიშნავს:

ვ.ა) საწყობში განთავსებული საქონლის შენახვის სათანადო პირობებში, საჭიროების შემთხვევაში განცალკევებულ, ასეთი სახის საქონლის შენახვისათვის აუცილებელი მოთხოვნების შესაბამისად, სპეციალურად აღჭურვილ სათავსში შენახვის უზრუნველყოფას;

ვ.ბ) საბაჟო კოდექსით გათვალისწინებული დაუძლეველი ძალის პირობების ზემოქმედების შედეგად უვარგის მდგომარეობაში მოყვანილი, გაფუჭებული ან დაზიანებული საქონლის განცალკევებულად განთავსებას;

ვ.გ) კვების პროდუქტების ცალკე იზოლირებულ სათავსში განთავსებას;

ვ.დ) საქონლის ინვენტარიზაციის დაუბრკოლებლად განხორციელების შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად საწყობში განთავსებული საქონლის შესაბამის განლაგებას;

ვ.ე) საწყობში შესაბამისი სანიტარიული პირობებისა და რემონტის უზრუნველყოფასა და სასაწყობო მეურნეობის შეუფერხებელი მუშაობისათვის აუცილებელი სხვა პირობების შესრულებას;

ზ) ვალდებულება საწყობში შესული, საწყობში არსებული და საწყობიდან გასული საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების

შესახებ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიერ დადგენილი შინაარსის ინფორმაციის ელექტრონულად დაუყოვნებლივ წარდგენის უზრუნველყოფის თაობაზე. ამ მიზნით ღია საბაჟო საწყობის საქმიანობის, დროებითი შენახვის ღია საწყობის საქმიანობის ნებართვის მფლობელმა და ნებართვის მაძიებელმა უნდა უზრუნველყონ მათი კუთვნილი კომპიუტერული ტექნიკით შემოსავლების სამსახურის ცენტრალურ სერვერთან არანაკლებ 512 კბ/წამში სიჩქარით კავშირი, ხოლო დახურული საბაჟო საწყობის საქმიანობის, დროებითი შენახვის დახურული საწყობის საქმიანობის ნებართვის მფლობელმა და ნებართვის მაძიებელმა უზრუნველყონ არანაკლებ 128 კბ/წამში სიჩქარით კავშირი. (27.03.2007 N 56)

თ) ვალდებულება საბაჟო კონტროლის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით საბაჟო საწყობში საბაჟო კონტროლისა და საბაჟო პროცედურებისათვის აუცილებელი სათავსი, მოწყობილობები და კავშირგაბმულობის საშუალებები საბაჟო ორგანოსათვის უსასყიდლოდ გამოყოფის შესახებ;

ი) ცნობა საგადასახადო ან/და საბაჟო დავალიანების არქონის შესახებ;

კ) ინფორმაცია სათავსის რიგითი ნომრის მითითებით საქონლის სპეციფიკური შენახვის სათანადო პირობების უზრუნველყოფის შესახებ (მაცივარი, ელევატორი და სხვ.);

ლ) ინფორმაცია საბაჟო კონტროლის ზონაში დაშვებულ პირთა შესახებ, რომელშიც აისახება: პირის საიდენტიფიკაციო მონაცემები (ფიზიკური პირი – სახელი, გვარი, რეგისტრაციის მისამართი; იურიდიული პირი – სრული საფირმო სახელწოდება, იურიდიული მისამართი, იურიდიული პირის წარმომადგენლის (თანამშრომლის) სახელი, გვარი, მუდმივად საცხოვრებელი ადგილის მისამართი); იმ ფიზიკურ პირთა საიდენტიფიკაციო მონაცემები (სახელი, გვარი, რეგისტრაციის მისამართი, საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის სერია და ნომერი, აგრეთვე პირადი ნომერი, ხელმოწერის ნიმუში), რომლის მიერ დადასტურდება საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობის უკანა გვერდზე საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების საბაჟო საწყობში ან დროებით შენახვის საწყობში წარდგენა, აგრეთვე საწყობის ბეჭდის ნიმუში, ფიზიკურ პირთა ცელიანობის გრაფიკი;

მ) ცნობა საწყობის ტერიტორიაზე საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების რეჟიმში მოქცეული საქონლის გადამუშავებისათვის შესაბამისი საწარმო კომპლექსის არსებობის შესახებ;

ნ) ცნობა სათავსის დასალუქად გამოსაყენებელი უნიკალურნომრიანი ერთჯერადი ლუქის ნიმუშის საბაჟო ორგანოსთან შეთანხმების შესახებ.

ო) წერილობით დადასტურებული ვალდებულება ღია საბაჟო საწყობის საქმიანობისა და დროებითი შენახვის ღია საწყობის საქმიანობის ნებართვის მაძიებლისათვის (მფლობელისათვის) საწყობის სამუშაო დროდ კალენდარული კვირის (საქართველოს შრომის კოდექსით დადგენილი უქმე დღეების ჩათვლით) ყოველი დღის 0000 _ 2400 საათის განსაზღვრის შესახებ. (4.07.2007 N132)

5. ნავთობის მსუბუქი, საშუალო და მძიმე დისტილატების შენახვის სათავსების შემთხვევაში ნებართვის მაძიებლის განცხადებას უნდა დაერთოს სასაწყობოდ განკუთვნილი სათავსისა და მასთან დაკავშირებული მიწისზედა და მიწისქვეშა შესაბამისი საკომუნიკაციო და სხვა დანიშნულების სისტემების, ინფრასტრუქტურის დეტალური სიტუაციური გეგმა (ნახაზი) შესაბამისი განმარტებებით ან/და ასაშენებელი სათავსებისა და მათთან დაკავშირებული მიწისზედა და მიწისქვეშა შესაბამისი საკომუნიკაციო და სხვა დანიშნულების სისტემების, ინფრასტრუქტურის დეტალური პროექტი შესაბამისი განმარტებებით, აღნიშნული სიტუაციური გეგმის (ნახაზის) ან/და პროექტის საერთაშორისო, შესაბამისი აკრედიტაციის მქონე აუდიტორული ფირმის ტექნიკური აუდიტის დასკვნა.

6. ნავთობის მსუბუქი, საშუალო და მძიმე დისტილატების შენახვის სათავსების შემ-

თხევაში ნებართვის მაძიებლის განცხადებას დამატებით უნდა დაერთოს სათავსში კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობისა და გამზომი საშუალებების (მრიცხველი, არეომეტრი, მეტროჭიკი, ბაფთა (ლოტით) და სხვ.) გაზომვის სიზუსტის დამოწმების დამადასტურებელი საბუთები.

7. ღია საბაჟო საწყობის საქმიანობისა და დროებითი შენახვის ღია საწყობის საქმიანობის ნებართვის მაძიებელი (მფლობელი) ვალდებულია აღჭურვოს საწყობი სასაწყობო სასწორით, რომლითაც შესაძლებელია განხორციელდეს სულ ცოტა 60 ტონა საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების აწონვა. ნებართვის მაძიებლის განცხადებას უნდა დაერთოს ინფორმაცია საწყობის სასაწყობო სასწორით აღჭურვის შესახებ და კანონმდებლობით დადგენილი წესით გამზომი საშუალებების სიზუსტის დამოწმების დამადასტურებელი საბუთები. 60ტონიანი სასაწყობო სასწორით საწყობის აღჭურვა არ არის სავალდებულო, თუ ნებართვის მაძიებელი (მფლობელი):

ა) ვალდებულებას იყისრებს, რომ ნებართვის მოქმედების ვადის განმავლობაში მოემსახურება მხოლოდ საავიაციო გადაზიდვებს და საწყობში განათავსებს მხოლოდ აღნიშნული სახის სატრანსპორტო საშუალებით გადაზიდულ საქონელს. აღნიშნული არ ათავისუფლებს მას სასაწყობო სასწორით აღჭურვის ვალდებულებისაგან, რომლითაც შესაძლებელია სულ ცოტა 5 ტონა საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების აწონვა;

ბ) განათავსებს საწყობში მხოლოდ მილსადენი სატრანსპორტო საშუალებით გადაადგილებულ საქონელს;

გ) განათავსებს საწყობში მხოლოდ ისეთი სახის საქონელს, რომლის მიმართაც საბაჟო გადასახდელების გამოანგარიშება არ არის დაკავშირებული საქონლის წონასთან.

8. 60ტონიანი სასაწყობო სასწორით საწყობის აღჭურვა არ არის სავალდებულო დახურული საბაჟო საწყობის საქმიანობის და დროებითი შენახვის დახურული საწყობის საქმიანობის ნებართვის მაძიებლისათვის (მფლობელისათვის). აღნიშნული არ ათავისუფლებს მას სასაწყობო სასწორით აღჭურვის ვალდებულებისაგან, რომლითაც შესაძლებელია სულ ცოტა 5 ტონა საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების აწონვა. 5ტონიანი სასაწყობო სასწორით აღჭურვა არ არის სავალდებულო, თუ ნებართვის მაძიებელი (მფლობელი):

ა) განათავსებს საწყობში მხოლოდ მილსადენი სატრანსპორტო საშუალებით გადაადგილებულ საქონელს;

ბ) განათავსებს საწყობში მხოლოდ ისეთი სახის საქონელს, რომლის მიმართაც საბაჟო გადასახდელების გამოანგარიშება არ არის დაკავშირებული საქონლის წონასთან;

გ) განათავსებს მხოლოდ ნავთობის მსუბუქ, საშუალო და მძიმე დისტილატებს.

9. ამ მუხლის მე-7 პუნქტის "აგ" და მე-8 პუნქტის "აგ" ქვეპუნქტების შესაბამისად სასაწყობო სასწორით აღჭურვის ვალდებულებისაგან გათავისუფლებული ნებართვის მფლობელის მიერ ნებართვის მოქმედების ვადაში საწყობში ისეთი საქონლის განთავსება, რომლის განთავსებისათვის აუცილებელია სასაწყობო სასწორის არსებობა, წარმოადგენს სანებართვო პირობების დარღვევას და იწვევს სანებართვო პირობების დარღვევისათვის გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

10. დახურული საბაჟო საწყობის საქმიანობის და დროებითი შენახვის დახურული საწყობის საქმიანობის ნებართვის მოქმედების ვადაში სხვა პირის საქონლის განთავსება საწყობში წარმოადგენს სანებართვო პირობების დარღვევას და იწვევს სანებართვო პირობების დარღვევისათვის გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

11. ნებართვის მფლობელი (მაძიებელი), რომელიც საწყობში განათავსებს მხოლოდ ისეთი სახის საქონელს, რომლის მიმართაც საბაჟო გადასახდელების გამოანგარიშება არ არის დაკავშირებული საქონლის წონასთან, ვალდებულია აღჭურვოს საწყობი საქონლის ოდენობის განმსაზღვრელი გამზომი საშუალებებით. აღნიშნული საშუალების სიზუსტის

დამოწმება ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12. ისეთი სახის საქონლის – გეაროვნული ნივთის შენახვისათვის განკუთვნილი საწყობის შემთხვევაში, როცა მისი სათავსში განთავსება, შენახვა და შემდგომი ტრანსპორტირებისათვის მომზადება ხორციელდება სპეციფიკური ინფრასტრუქტურით აღჭურვილი საერთო ტექნოლოგიური ხაზის მეშვეობით, რომელიც წარმოადგენს სასაწყობო კომპლექსის არსებით შემადგენელ ნაწილს, ხოლო ამ საერთო ტექნოლოგიური ხაზით ხდება სხვადასხვა სათავსში (მ.შ. საწყობისათვის განკუთვნილ სათავსში) საქონლის განთავსება და ამოღება, ნებართვის მაძიებლისათვის (მფლობელისათვის) დგინდება განსხვავებული სანებართვო მოთხოვნები:

ა) საწყობის სასაწყობო სასწორით აღჭურვა ნიშნავს საწყობის უშუალოდ მოსაზღვრე ტერიტორიაზე, ნებართვის მაძიებლის (მფლობელის) საკუთრებაში, ან კანონმდებლობით დადგენილი წესით მფლობელობაში არსებულ ტერიტორიაზე მის საკუთრებაში, ან კანონმდებლობით დადგენილი წესით მფლობელობაში არსებული სასწორის არსებობას;

ბ) საბაჟო კონტროლის ზონად შესაძლებელია განისაზღვროს მხოლოდ გამოცალკევებული, სპეციფიკური საქონლის შესანახი სათავსი და დაიშვება საქონლის სათავსში მოსათავსებლად და საქონლის სათავსიდან ამოსაღებად აუცილებელი ინფრასტრუქტურის მდებარეობა საბაჟო კონტროლის ზონის ფარგლებს მიღმა;

გ) ამ პუნქტში მითითებული ნებართვის მაძიებელი ვალდებულია წარმოადგინოს ინფორმაცია საწყობის სტატუსის მქონე სათავსების შესასვლელისა და გასასვლელის გამოსახულების ჩამწერი საშუალებებით აღჭურვის შესახებ, რომლითაც უნდა ფიქსირდებოდეს გამშვები და ჩამკეტი ხელსაწყოები;

დ) საწყობის ტერიტორიის სადღეღამისო დაცვა ხორციელდება საწყობის ტერიტორიაზე არსებული სათავსების დამცავი სიგნალიზაციით აღჭურვით. დამცავი სიგნალიზაციით აღჭურვა არ არის სავალდებულო, თუ დაცვა ხორციელდება ამ პუნქტის "ა" და "გ" ქვეპუნქტებში მითითებულ ტერიტორიაზე სხვა სახის სადღეღამისო დაცვის მომსახურებით.

მუხლი 6.

ნებართვის მაძიებლის მიერ ამ ინსტრუქციის მე5 მუხლის შესაბამისად წარდგენილი განცხადებისა და თანდართული დოკუმენტაციის საფუძველზე ნებართვის გაცემაზე უარის თქმის გადაწყვეტილებას საბაჟო დეპარატმენტი იღებს "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

მუხლი 7.

1. გადაწყვეტილება ნებართვის გაცემის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია და ფორმდება შესაბამისი ბრძანებით სამ ეგზემპლარად. თითოეულ ეგზემპლარს უნდა ერთვოდეს სანებართვო მოწმობა და დანართი. თითო ეგზემპლარი გადაეცემათ ნებართვის მფლობელსა და საბაჟო ორგანოს, რომლის სამოქმედო ზონაშიც განლაგებულია საწყობი. ერთი ეგზემპლარი რჩება შემოსავლების სამსახურში. (5.04.2007 N78)

2. ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანების დანართი არის საწყობის სიტუაციური გეგმა (ნახაზი) ან/და საწყობის ტერიტორიაზე ასაშენებელი შენობანაგებობის პროექტი, საბაჟო კონტროლის ზონაში დაშვებულ პირთა სია, ხოლო ნავთობის დისტილატების შესანახად განკუთვნილი საწყობისათვის, აგრეთვე ტექნიკური აუდიტის დასკვნა.

მუხლი 8.

1. სანებართვო მოწმობის გაცემა, აგრეთვე სანებართვო მოწმობის დაკარგვის, დაზიანების შემთხვევაში სანებართვო მოწმობის დუბლიკატის გაცემა ხორციელდება "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

2. ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ შემოსავლების სამსახურის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად. (5.04.2007 N78)

თავი III. საწყობების საქმიანობის რეგულირება

მუხლი 9.

1. ნებართვის მფლობელი ნებართვის მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში ვალდებულია დაიცვას საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრული საწყობის საქმიანობის შემდეგი წესები და მოთხოვნები:

ა) დაიცვას საწყობის შექმნის პირობები და შეასრულოს საბაჟო ორგანოების მოთხოვნები;

ბ) ხელი არ შეუშალოს საბაჟო კონტროლის განხორციელებას, ამ მიზნით უზრუნველყოს საბაჟო ორგანოს წარმომადგენლის მიერ საქონლის, სატრანსპორტო საშუალების შენახვის ადგილის, რაოდენობის, წონისა (ასეთის საჭიროების შემთხვევაში) და სხვა მახასიათებლების კონტროლის განხორციელება; მოახდინოს საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების აწონვა;

გ) გამორიცხოს საწყობში არსებული საქონლის, სატრანსპორტო საშუალების ამოღების შესაძლებლობა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს საჭიროა საბაჟო კონტროლისათვის;

დ) აწარმოოს საწყობში საქონლის საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის საბაჟო რეჟიმში და საქონლის საბაჟო კონტროლით დროებით შენახული საქონლის, სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვა დადგენილი ფორმით (დანართი N1), მოსთხოვოს საქონლის მესაკუთრეს ან/და მფლობელს სატვირთოსაბაჟო დეკლარაციის ან/და საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების საბაჟო კონტროლით დროებითი შენახვის განაცხადის ასლები და უზრუნველყოს მათი შენახვა;

ე) განახორციელოს ყოველკვარტალური ანგარიშგება დადგენილი ფორმით (დანართი N2), რისთვისაც კვარტალის დამთავრებიდან არა უგვიანეს 15 დღისა წარუდგენს ანგარიშს შესაბამის საბაჟო ორგანოს საწყობში შენახული საქონლის, სატრანსპორტო საშუალებისა და მასზე წარმოებული ყველა ოპერაციის თაობაზე;

ვ) გამორიცხოს სხვა სახის ოპერაციების განხორციელება გარდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის შესაბამისი ბრძანებით გათვალისწინებული შენახვის, გაყიდვისა და ტრანსპორტირებისათვის დასაშვები ოპერაციებისა;

ზ) მოაწყოს საწყობი ისე, რომ გამოირიცხებოდეს საქონლის, სატრანსპორტო საშუალების შემოტანა ან/და გატანა საბაჟო კონტროლის გვერდის აცილით და დაიცვას საწყობში შენახვის სათანადო პირობები;

თ) საწყობის შესასვლელი და გასასვლელი, აგრეთვე საწყობის ტერიტორიაზე არსებული სათავსის შესასვლელი და გასასვლელი მუდმივად უნდა იყოს დალუქული საწყობის მფლობელის მიერ რეგიონალურ საბაჟოსთან შეთანხმებული ნიმუშის უნიკალურნომრიანი ერთჯერადი ლუქით, გარდა საქონლის შეტანისას ან/და გამოტანისას, აგრეთვე განსაზღვრული ოპერაციების განხორციელებისას. ამ ქვეპუნქტში მითითებული ვალდებულება არ ვრცელდება იმ ნებართვის მფლობელზე, რომლის მიმართ საბაჟო ორგანო მიიღებს სათანადო გადაწყვეტილებას საწყობის ტვირთბრუნვის ან ოპერაციების სპეციფიკურობიდან გამომდინარე საწყობის მფლობელის მოტივირებული მოთხოვნის საფუძველზე;

ი) უზრუნველყოს საწყობისა და საწყობის ტერიტორიაზე არსებული სათავსის შესასვლელისა და გასასვლელის გამოსახულების ჩამწერ საშუალებებზე სადღე-ღამისო ჩაწერა და ჩანაწერის 6 წლის განმავლობაში შენახვა, შემოსავლების სამსახურის, შემოსავლების სამსახურის შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს ან/და სამართალდაცვის ორგანოების შესაბამისი მოთხოვნის საფუძველზე ჩანაწერის დაუყოვნებლივ წარდგენა ან სათანადო

ტექნიკური საშუალებით ჩანაწერის ნახვა; (5.04.2007 N78)

კ) არ დაუშვას ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანების დანართში მითითებული სათავსების გარდა სხვა მუდმივი ან დროებითი შენობანაგებობების აშენება;

ლ) ვალდებულია საქონლის დაკარგვისას ან დანაკლისის აღმოჩენისას (რომელიც აღემატება საქონლის ბუნებრივი ცვეთით, ტრანსპორტირებით ან შენახვის ნორმალურ პირობებში დანაკარგებით დაშვებულ ნორმებს) დანაკლისის შესახებ საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირის მიერ დადასტურებული აქტის წარდგენისას ან საბაჟო ორგანოს ნებართვის გარეშე საწყობიდან საქონლის, სატრანსპორტო საშუალების გატანის შემთხვევაში გადაიხადოს საბაჟო გადასახდელები იმ ოდენობით, რა ოდენობითაც გადაიხდებოდა შესაბამისი საბაჟო გადასახდელი საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში (იმპორტის) გაშვების საბაჟო რეჟიმში ამ საქონლის მოქცევისას; (4.07.2007 N132)

მ) არ დაუშვას საქართველოში შემოსატანი და საქართველოდან გასატანი აკრძალული საქონლის საწყობში მოთავსება;

ნ) აწარმოოს საბაჟო კონტროლის ზონაში შემსვლელ და გამსვლელ პირთა (გარდა საბაჟო კონტროლის ზონაში დაშვებული პირებისა) აღრიცხვის ჟურნალი, რომელშიც უნდა აისახოს შესვლის/გამოსვლის თარიღი და დრო, პირის საიდენტიფიკაციო მონაცემები (ფიზიკური პირი – სახელი, გვარი, რეგისტრაციის მისამართი; იურიდიული პირი – სრული საფირმო სახელწოდება, იურიდიული მისამართი, იურიდიული პირის წარმომადგენლის (თანამშრომლის) სახელი, გვარი, რეგისტრაციის მისამართი; შემოსავლების სამსახურის ან/და სხვა შესაბამის მაკონტროლებელ უფლებამოსილების მქონე დაწესებულებათა თანამშრომელი – სამსახურებრივი მოწმობის საიდენტიფიკაციო ნომერი), შესვლის მიზანი. ნებართვის მფლობელს, რომელიც საწყობში განათავსებს საქონელს მხოლოდ გაყიდვის ან/და გამოფენის მიზნით, უფლება აქვს არ ასახოს ჟურნალში მხოლოდ იმ პირთა მონაცემები, რომელთა საბაჟო კონტროლის ზონაში შემოსვლის მიზანია საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების დათვალიერება ან/და ყიდვა. ნებართვის მფლობელი ვალდებულია ეს წინასწარ აცნობოს შესაბამის საბაჟო ორგანოს; (5.04.2007 N78)

ო) შემოსავლების სამსახურს აცნობოს საბაჟო კონტროლის ზონაში დაშვებულ პირთა სიაში ცვლილებების შეტანა და წარუდგინოს სათანადო დოკუმენტები შესაბამისი ცვლილებების განხორციელებიდან 7 დღის განმავლობაში; (5.04.2007 N78)

პ) საწყობის ტერიტორიაზე არ შეიძლება არსებობდეს სხვა დანიშნულების შენობანაგებობა, გარდა სათავსის, საწყობის დაცვის, საშვის რეჟიმის, სასაწყობო მეურნეობის სამუშაო რეჟიმში ფუნქციონირების უზრუნველყოფისათვის აუცილებელი ნაგებობისა და ამ პუნქტის "ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საბაჟო კონტროლის განხორციელების ხელშეწყობისთვის აუცილებელი იზოლირებული ფართობისა. (4.07.2007 N132)

ჟ) უზრუნველყოს ავარიის ან დაუძლეველი ძალის ზემოქმედების შედეგად უვარგის მდგომარეობაში მოყვანილი, გაფუჭებული ან დაზიანებული საქონლის, სატრანსპორტო საშუალების განცალკევებულად განთავსება;

რ) საქონელი, რომელმაც შესაძლებელია ზიანი მიაყენოს სხვა საქონელს ან რომელიც მოითხოვს შენახვის განსაკუთრებულ პირობებს, უნდა ინახებოდეს საწყობის განცალკევებულ, ასეთი სახის საქონლის შენახვისათვის აუცილებელი მოთხოვნების შესაბამისად სპეციალურად აღჭურვილ სათავსში. კვების პროდუქტები უნდა განთავსდეს ცალკე იზოლირებულ სათავსში;

ს) საწყობის ტერიტორიაზე საავტომობილო სატრანსპორტო საშუალებისათვის განკუთვნილი სავალი გზა და სადგომი ტერიტორია უნდა იყოს მოასფალტებული ან მოპრკეთებული ბეტონის ფილებით;

ტ) განალაგოს საწყობში განთავსებული საქონელი ისეთი სახით, რაც შესაძლებელს გახდის საქონლის ინვენტარიზაციის დაუბრკოლებლად განხორციელებას;

უ) დაცვას საწყობში შესაბამისი სანიტარიული პირობები და უზრუნველყოს სათაესის მიმდინარე რემონტი;

ფ) შეასრულოს საბაჟო კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები.

2. ნებართვის მფლობელი, რომელიც ახორციელებს ნავთობის მსუბუქი, საშუალო და მძიმე დისტილატების შენახვას, ვალდებულია საქონლის მესაკუთრის ან/და მფლობელის ან მათ მიერ უფლებამოსილი პირების მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე აწარმოოს საწყობში შენახული საქონლის აღრიცხვა დადგენილი ფორმით (დანართი N3) და განახორციელოს ყოველკვარტალური ანგარიშგება დადგენილი ფორმით (დანართი N4). მოსთხოვოს საქონლის მესაკუთრეს ან/და მფლობელს სატვირთოსაბაჟო დეკლარაციის ან/და საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების საბაჟო კონტროლით დროებითი შენახვის განაცხადის, საქონლის რაოდენობის, წარმოშობის, ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები და უზრუნველყოს მათი შენახვა. ნებართვის მფლობელი პასუხისმგებელია საქონელს ან/და სატრანსპორტო საშუალებაზე წარმოებული ყველა ოპერაციის შესახებ მონაცემის სიზუსტისათვის.

3. ნებართვის მფლობელსა და საწყობში საქონლის შემნახველ პირებს შორის ურთიერთობა რეგულირდება სახელშეკრულებო ურთიერთობის საფუძველზე. ხელშეკრულება იდება წერილობითი ფორმით. აღნიშნული წესიდან გამონაკლისი დაიშვება ნებართვის მფლობელის (მაძიებლის) მოტივირებული მოთხოვნის საფუძველზე მხოლოდ შემოსავლების სამსახურის მიერ. (5.04.2007 N78)

თავი IV. სანებართვო პირობების შესრულების კონტროლი, სანებართვო პირობების ტექნიკური და უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევისათვის პასუხისმგებლობა და ნებართვის გაუქმება

მუხლი 10. (5.04.2007 N78)

1. შემოსავლების სამსახური უფლებამოსილია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე განახორციელოს "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი სანებართვო პირობებისა და ამ ინსტრუქციით განსაზღვრული ტექნიკური და უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულების კონტროლი. შემოსავლების სამსახური კონტროლს ახორციელებს შერჩევითი შემოწმების მეთოდით.

2. შემოსავლების სამსახური ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ კონტროლს ახორციელებს შესაბამისი საბაჟო ორგანოს საშუალებით. შემოსავლების სამსახურს უფლება აქვს თვითონ შეამოწმოს სანებართვო პირობები, სადაც საჭიროდ ჩათვლის საბაჟო ორგანო.

3. შესაბამისი საბაჟო ორგანო სანებართვო პირობების დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ წარუდგენს შემოსავლების სამსახურს სათანადო ინფორმაციას სანებართვო პირობების დარღვევისათვის საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ.

4. ნებართვის გაუქმების შემთხვევაში სანებართვო მოწმობა შემოსავლების სამსახურს უნდა დაუბრუნდეს ნებართვის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან 3 დღის განმავლობაში.

მუხლი 11.

1. ნებართვის გაუქმების შედეგად შესაბამისი საბაჟო ორგანო, საწყობის მფლობელი ან/და სატრანსპორტო საშუალების მფლობელი ან/და მესაკუთრე ვალდებულია დაასრულოს მასსა და დამსაწყობებელს შორის წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობები საბაჟო კოდექსით დადგენილი წესით.

2. ნებართვის მოქმედების ვადამდე ნებართვის გაუქმების შემთხვევაში სათანადო საბაჟო ორგანო ვალდებულია გაუწიოს ორგანიზება შესაბამის საბაჟო დამუშავების ოპერაციის განხორციელებას ან საქონლის გადატანას სხვა შესაბამისი სახეობის საქმიანობის ნებართვის მფლობელის საწყობში. სხვა შესაბამისი სახეობის საქმიანობის ნებართვის მფლობელის საწყობში გადატანის შემთხვევაში დამსაწყობებელს (საქონლის მესაკუთრეს, მფლობელს ან მათ მიერ უფლებამოსილ პირს) უფლება აქვს საქონლის გადატანის ხარჯების ანაზღაურება მოსთხოვოს საწყობის მფლობელს.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი მოთხოვნის შესრულების მიზნით საბაჟო წერილობითი ფორმით (რომელიც იგზავნება დაზღვეული ფოსტით) ატყობინებს დამსაწყობებელს საქონლის სხვა შესაბამისი სახეობის საქმიანობის ნებართვის მფლობელის საწყობში ან შესაბამის საბაჟო დამუშავების ოპერაციის გამოყენების ვალდებულების შესახებ. რეგიონალური საბაჟოს მიერ დადგენილ ვადაში (რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 1 თვეს) დამსაწყობებლის მიერ საქონლის გაუტანლობისას დამსაწყობებელს ეკისრება პასუხისმგებლობა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. საწყობში არსებულ საბაჟო კონტროლზე აყვანილ ტვირთზე ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვამდე ამ ინსტრუქციის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის "ლ" ქვეპუნქტით დადგენილი ვალდებულება ეკისრება საწყობის მფლობელს, ვადის ამოწურვის შემდეგ _ დამსაწყობებელს.

თავი V. პასუხისმგებლობა საწყობების საქმიანობის მარეგულირებელი წესებისა და ნორმების დარღვევისათვის

მუხლი 12.

ამ ინსტრუქციის წესებისა და მოთხოვნების დარღვევა ნებართვის მფლობელის მიერ გამოიწვევს პასუხისმგებლობას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი VI. გარდამავალი დებულებები

მუხლი 13.

ღია ან დახურული საბაჟო საწყობის საქმიანობის და დროებითი შენახვის ღია ან დახურული საწყობის საქმიანობის ნებართვის მფლობელი, რომელსაც ნებართვა მოპოვებული აქვს ამ დადგენილების ამოქმედებამდე, ვალდებულია დააკმაყოფილოს ამ დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები დადგენილების ამოქმედებიდან 3 თვეში.

N	მოთავსების თარიღი, აღრიცხვის მოწმობის ნომერი და ნომერი	საწყობში განთავსების ადგილის (ღია მოედანი ან/და სათავსი), სათავსის №, ლუქის №	საქონლის დასახელება და საბაჟო კოდი	ადგილის რაოდენობა და წონა ან ოდენობა (ბრუტო), ზომის ერთეული	საქონლის თანმხლები დოკუმენტების ნომერი, კლასიფიკატორის მიხედვით/ინდივიდუალური ნომერი და თარიღი	განაცხადის № ან სსდს № და კონტროლზე აყვანის თარიღი	დანიშნულების ადგილზე გამოცხადების დამადასტურებელი დოკუმენტის საბაჟო ორგანოსათვის გადაცემის დამადასტურებელი მიღება-ჩაბარების აქტის ნომერი და თარიღი
1	2	3	4	5	6	7	8
1							
2							
3							
4							
5							
6							
7							
8							
9							
10							
11							
12							
13							
14							
15							

გაგრძელება

საწყობიდან გაშვების თარიღი სსდს № ან/და აღრიცხვის მოწმობის № საწყობიდან	ნაშთი	საქონლის კონტროლზე ყოფნის ვადა	საქონლის მესაკუთრე, მფლობელი ან მათ მიერ უფლებამოსილი პირი	საქონელსა ან/და სატრანსპორტო საშუალებაზე წარმოებული ყველა ოპერაციის დასახელება და თარიღი	შენიშვნა
9	10	11	12	13	14

ყოველკვარტალური ანგარიში საწყობში შენახული საქონლის შესახებ

---------წლის --------კვარტალი

N	მოთავსების თარიღი, აღრიცხვის მოწმობის ნომერი და ნომერი	საწყობში განთავსების ადგილი (ლია მოედანი ან/და სათავსი), სათავსის N, ლუქის N	განაცხადის N ან სსდ-ს N და კონტროლზე აყვანის თარიღი	დანიშნულების ადგილზე გამოცხადების დამადასტურებელი დოკუმენტის საბაჟო ორგანოსათვის გადაცემის დამადასტურებელი მიღება-ჩაბარების აქტის N და თარიღი	საქონლის დასახელება	სასაქონლო კოდი
1	2	3	4	5	6	7
1						
2						
3						
4						
5						
6						
7						
8						
9						
10						

გაგრძელება

რაოდენობა მოთავსებისას (ბრუტო), ზომის ერთეული	საწყობიდან გაშვებისას სსდ-ს N ან/და აღრიცხვის მოწმობის ნომერი და თარიღი	საქონლის რაოდენობა საწყობიდან გატანისას (ბრუტო), ზომის ერთეული	ნაშთი	საქონლის კონტროლზე ყოფნის ვადა	საქონლის მესაკუთრე, მფლობელი ან მათ მიერ უფლებაოთხილი პირი	საქონელსა ან/და სატრანსპორტო საშუალებაზე წარმოებული ყველა ოპერაციის დასახელება და თარიღი	შენიშვნა
8	9	10	11	12	13	14	15

საწყობის საქმიანობის ნებართვის მფლობელი პირის სახელწოდება

უფლებამოსილი პირის თანამდებობა

სახელი, გვარი ----------

ხელმოწერა

ბ.ა.

200--- წ.

საბაჟო ორგანოს პასუხისმგებელი პირის

ხელმოწერა

ბ.ა.

" " ---------- 200--- წ.

დანართი N3

საწყობში განთავსებული ნავთობის მსუბუქი, საშუალო, მძიმე დისტილატის აღწერის ფორმა

N	მოთავსების თარიღი, აღრიცხვის მოწმობის ნომერი და ნომერი	ნავთობის მსუბუქი, საშუალო, მძიმე დისტილატის დასახელება და სასაქონლო კოდი	რეზერვუარის N და პროდუქტის რაოდენობა	საქონლის თანმხლები დოკუმენტების ნომერი კლასიფიკატორის მიხედვით/ ინდივიდუალური ნომერი და თარიღი	განაცხადის N ან სსდ-ს N და კონტროლზე აყვანის თარიღი	დანიშნულების ადგილზე გამოცხადების დამადასტურებელი დოკუმენტის საბაჟო ორგანოსათვის გადაცემის დამადასტურებელი მიღება-ჩაბარების აქტის ნომერი და თარიღი
1	2	3	4	5	6	7
1						
2						
3						
4						
5						
6						
7						
8						
9						
10						
11						
12						
13						
14						
15						

გაგრძელება

საწყობიდან გაშვების თარიღი სსდ-ს N ან/და აღრიცხვის მოწმობის ნომერი	ნაშთი	საქონლის კონტროლზე ყოფნის ვადა	საქონელზე წარმოებული ყველა ოპერაციის დასახელება და თარიღი	შენიშვნა
8	9	10	11	12

დანართი N4

ყოველკვარტალური ანგარიში საწყობში შენახული ნავთობის მსუბუქი, საშუალო, მძიმე დისტილატის შესახებ

--------- წლის -------- კვარტალი

N	მოთავსების თარიღი, აღრიცხვის მოწმობის ნომერი და ნომერი	რეზერვუარის N, ლუქის N	განაცხადის N ან სსდ-ს N და კონტროლზე აყვანის თარიღი	დანიშნულების ადგილზე გამოცხადების დამადასტურებელი დოკუმენტის საბაჟო ორგანოსათვის გადაცემის დამადასტურებელი მიღება-ჩაბარების აქტის ნომერი და თარიღი	საქონლის დასახელება	საქონლის კოდი
1	2	3	4	5	6	7
1						
2						
3						
4						
5						
6						
7						
8						
9						
10						

გაგრძელება

რაოდენობა მოთავსების (ბრუტო), ზომის ერთეული	საწყობიდან გაშვებისას სსდ-ს № ან/და აღრიცხვის მოწმობის № და თარიღი	საქონლის რაოდენობა საწყობიდან გატანისას (ბრუტო), ზომის ერთეული	ნაშთი	საქონლის კონტროლზე ყოფნის ვადა	საქონლის მფლობელი, მესაკუთრე ან მათ მიერ უფლებამოსილი პირი	საქონელსა ან/და სატრანსპორტო საშუალებაზე წარმოებული ყველა ოპერაციის დასახელება და თარიღი	შენიშვნა
8	9	10	11	12	13	14	15

საწყობის საქმიანობის ნებართვის მფლობელი პირის სახელწოდება

უფლებამოსილი პირის თანამდებობა

სახელი, გვარი ----------

ხელმოწერა

ბ.ა.

“ “ ---------- 200--- წ.

საბაჟო ორგანოს პასუხისმგებელი პირის

ხელმოწერა

ბ.ა.

“ “ ---------- 200--- წ.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №1767

2006 წლის 20 დეკემბერი

გარანტიის წარდგენისა და გამოყენების, მისი წარდგენისაგან გათავისუფლების შემთხვევების და საგარანტიო თანხის განსაზღვრის წესების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბაჟო კოდექსის 175-ე მე-5 ნაწილისა და "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის N39 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის "ლ" ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს:

ა) ინსტრუქცია "გარანტიის წარდგენისა და გამოყენების, მისი წარდგე-ნისაგან გათავისუფლების შემთხვევების და საგარანტიო თანხის განსაზღვრის წესების შესახებ" (დანართი N1).

ბ) ,,საბანკო გარანტია" (დანართი N2).

გ) ,,ფინანსური რისკის დაზღვევის პოლისი" (დანართი N3).

2. ბრძანება ამოქმედდეს 2007 წლის 1 იანვრიდან.

ა. ალექსიშვილი

დანართი N1

ინსტრუქცია გარანტიის წარდგენისა და გამოყენების, მისი წარდგენისაგან გათავისუფლების შემთხვევების და საგარანტიო თანხის განსაზღვრის წესების შესახებ

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. პირმა, რომელსაც წარმოეშვა ან შეიძლება წარმოეშვას საბაჟო ვალდებულება, უნდა წარადგინოს საბაჟო ვალდებულების შესრულების გარანტია, თუ საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი.

2. გარანტიის გამცემი (გარანტორი) აუცილებლად უნდა იყოს საქართველოს რეზიდენტი. გარანტიის წარდგენა ხორციელდება წერილობითი ფორმით.

მუხლი 2. გარანტიის წარუდგენლობის შემთხვევები

1. გარანტია არ წარედგინება, თუ:

ა) საქონელი გადაადგილდება:

ა.ა) საჰაერო ან საზღვაო ტრანსპორტით;

ა.ბ) მილსადენით ან ელექტროგადამცემი ხაზებით;

ა.გ) სარკინიგზო ტრანსპორტით;

ბ) პირი, რომელსაც წარმოეშვა ან შეიძლება წარმოეშვას საბაჟო ვალდებულება, სახელმწიფო ხელისუფლების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოა;

გ) საქონელი გადაადგილდება TIR-ის წიგნაკით;

დ) საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქართველოს საბაჟო კოდექსის მე-7 მუხლის მე-19 ნაწილით განსაზღვრული სატრანსპორტო საშუალებები გადაადგილდება თავისი სლით ან გადაიზიდება სხვა სატრანსპორტო საშუალებით. (11.05.2007 N 474)

დ1) საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ნებისმიერი საბაჟო დამუშავების ოპერაციის ქვეშ მოქცეული ან მისთვის განკუთვნილი, აგრეთვე საბაჟო დამუშავების ოპერაციის განსაზღვრამდე 20 დღიანი ვადით შემოტანილი სესხნ-ის 8702, 8703, 8704, 8705 და 8711 კოდებით გათვალისწინებული საქონელი გადაადგილდება თავისი სვლით ან გადაიზიდება სხვა სატრანსპორტო საშუალებით. (11.05.2007 N 474)

ე) საქონელი გადაადგილდება ჰუმანიტარული, გრანტის ან დიპლომატიური საქონლის სტატუსით;

ვ) საქართველოს ტერიტორიაზე გადაადგილებული საქონლის მიმღები არის საბაჟო გადასახდელებისაგან (მათ შორის საბაჟო მოსაკრებლის გარეშე) საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად გათავისუფლებული პირი;

ზ) საქონელი გადაადგილდება ექსპორტის საბაჟო რეჟიმით;

თ) კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევაში საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანამდე განხორციელდა დეკლარირება (სპეციალური სატვირთო საბაჟო დეკლარაცია) და სრულად იქნა გადახდილი საბაჟო გადასახდელები;

ი) საქონელი გადაადგილდება საზღვაო პორტიდან 10 კილომეტრის რადიუსში განლაგებულ საბაჟო საწყობში, ასევე საწყობიდან პორტში და მასზე გამოიწერება მოწმობა N2;

კ) ფიზიკური პირის მიერ მსუბუქი ავტომანქანით პირადი ნივთების გადაადგილება.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარანტიის წარმოუდგენლობის შემთხვევებში შესაძლო საბაჟო ვალდებულების წარმოშობისას, საბაჟო ვალდებულების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირებია:

ა) ტრანზიტის რეჟიმის დროს საქონლის გადამაადგილებელი სატრანს-პორტო საშუალების მფლობელი;

ბ) სხვა შემთხვევაში - საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების მფლობელები სოლიდარულად.

მუხლი 9. გარანტის წარდგენის ადგილები

გარანტიის წარდგენის ადგილებია:

ა) გაგზავნის საბაჟო ორგანო - საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ორ სხვადასხვა საბაჟო კონტროლის ზონას შორის საქონლის გადაადგილებისას;

ბ) საბაჟო დამუშავების ოპერაციის განხორციელების საბაჟო ორგანო:

ბ.ა) საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოქცევის დროს;

ბ.ბ) საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმში მოქცევის დროს (გარდა საბაჟო კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევებისა);

ბ.გ) საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების რეჟიმში მოქცევის დროს შემცველი პროდუქტის წინასწარი შემოტანისას.

ბ.დ) დეკლარანტსა და საბაჟო ორგანოს შორის საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის უთანხმოების დროს.

გ) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური (11.05.2007 N 474)

გ.ა) საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისათვის საერთო გარანტიის წარდგენის შემთხვევაში;

გ.ბ) საბაჟო საწყობის ან/და დროებითი შენახვის საწყობის საქმიანობის ნებართვის მიღების შემთხვევაში;

გ.გ) უბაჟო ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვის მიღების შემთხვევაში;

გ.დ) სპეციალური სატვირთო საბაჟო დეკლარაციით საქონლის გადაადგილებისას (გარდა საბაჟო კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევებისა)".

მუხლი 4. გარანტიის ფორმები და სახეები:

1. გარანტია შეიძლება იყოს:

ა) ინდივიდუალური, რომელიც წარედგინება საბაჟო დამუშავების მხოლოდ ერთ ოპერაციაზე;

ბ) საერთო, რომელიც წარედგინება შემოსაველების სამსახურს ორი ან ორზე მეტი საბაჟო დამუშავების ოპერაციისათვის გაკუთვნილი საქონლის გადაადგილებისათვის. საერთო გარანტიის გამოყენების დროს შესაბამისმა უფლებამოსილმა პირმა უნდა წარმოადგინოს ერთჯერადი ან გენერალური მინდობილობა ან ხელშეკრულება ან სხვა დოკუმენტი საქართველოს საბაჟო კოდექსის მე-8 მუხლის მოთხოვნების მიხედვით, რომელშიც დაფიქსირებული იქნება საერთო გარანტიის ნომერი, გაცემის თარიღი და მოქმედების ვადა. (11.05.2007 N 474)

2. გარანტიის სახეებია:

ა) საბანკო გარანტია (დანართი N2):

ა.ა) საბანკო გარანტიის (შემდგომში – გარანტია) გამცემი ბანკების ჩამონათვალი, ერთი გარანტიის საგარანტიო თანხისა და ერთი ბანკის მიერ გასაცემი გარანტიის საგარანტიო თანხის მაქსიმალური ოდენობა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ყოველკვარტალურად წერილობით ეცნობება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, რომელიც, თავის მხრივ, აღნიშნულ ინფორმაციას ატყობინებს შემოსაველების სამსახურს. (11.05.2007 N474)

ა.ბ) გარანტია წარედგინება ამ ინსტრუქციის პირველი მუხლით დადგენილი წესით და საბაჟო ორგანოსათვის მისაღები საგარანტიო ვალდებულებებით, რომლითაც ბანკი (გარანტორი) საბაჟო გადასახდელების გადახდის ვალდებული პირის თხოვნით კისრულობს ვალდებულებას, გარანტიით უზრუნველყოფილი საბაჟო გადასახდელების გადაუხდელობის შემთხვევაში, საბაჟო ორგანოს წერი-ლო-ბითი მოთხოვნისთანავე, შესაბამისი თანხა ჩარიცხოს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში.

ა.გ) გარანტია ძალაში შედის მისი გაცემის დღიდან, თუ გარანტიით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ა.დ) გარანტია არ შეიძლება უკან იქნეს გამოთხოვილი გარანტორის მიერ, თუ შესრულებული არ არის საბაჟო ვალდებულება ან არ არსებობს სხვა გარანტია.

ა.ე) გარანტია მოწმდება საბაჟო ორგანოში, რათა დადგინდეს, ჰასუხობს თუ არა იგი განსაზღვრულ მოთხოვნებს. კერძოდ, საგარანტიო ვადა შეესაბამება თუ არა საქონლის გადაადგილების ან საბაჟო პროცედურების განხორციელებისათვის დადგენილ ვადას, საგარანტიო თანხა კი – ამ ინსტრუქციის მე-6 მუხლით დადგენილ ოდენობას.

ა.ვ) მიღების შემთხვევაში, საბაჟო ორგანო ახდენს გარანტიის რეგისტრაციას და იტოვებს მის დედანს, ხოლო დამოწმებულ ასლს გადასცემს ვალდებულ პირს.

ა.ზ) საბაჟო დამუშავების ოპერაციის დასრულების ან კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა პირობების შესრულების შემდეგ კონტროლიდან მოხსნილი საბაჟო კონტროლის ქვეშ მყოფი საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობის (შემდგომში – აღრიცხვის მოწმობა) საფუძველზე უქმდება გარანტია.

ა.თ) კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში, როდესაც გარანტია წარედგინება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსაველების სამსახურს, მისი გაუქმების თაობაზე შემოსაველების სამსახურს ეგზავნება საბაჟო პროცედურების ან/და საბაჟო დამუშავების ოპერაციის დასრულების დამადასტურებელი (კონტროლიდან მოხსნილი) აღრიცხვის მოწმობისა და საბაჟო დეკლარაციის ასლები. (11.05.2007 N 474)

ა.ი) გარანტიით გათვალისწინებული გარანტორის ვალდე-ბულება საბაჟო ორგანოს მიმართ შემოიფარგლება იმ თანხის გადახდით, რომელზეც გაიცა გარანტია.

ა.კ) საბაჟო ვალდებულებების შესრულების შემდეგ უქმდება საბაჟო ორგა-ნოს მიმართ

გარანტორის ვალდებულება.

ბ) ფინანსური რისკის დაზღვევის პოლისი (დანართი N3):

ბ.ა) ფინანსური რისკის დაზღვევის პოლისის (შემდგომში - პოლისი) გამცემი სადაზღვევო ორგანიზაციების ჩამონათვალი, ერთი პოლისისა და ერთი სადაზღვევო ორგანიზაციის მიერ გასაცემი პოლისის მაქსიმალური ოდენობა საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ ყოველკვარტალურად წერილობით ეცნობება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, რომელიც, თავის მხრივ, აღნიშნულ ინფორმაციას ატყობინებს შემოსავლების სამსახურს. (11.05.2007 N 474)

ბ.ბ) პოლისი წარედგინება ამ ინსტრუქციის პირველი მუხლით დადგენილი წესით და საბაჟო ორგანოსათვის მისაღები საგარანტიო ვალდებულებებით, რომლითაც სადაზღვევო ორგანიზაცია (გარანტორი) საბაჟო გადასახდელების გადახდის ვალდებული პირის თხოვნით კისრულობს ვალდებულებას, პოლისით უზრუნველყოფილი საბაჟო გადასახდელების გადაუხდელობის შემთხვევაში, საბაჟო ორგანოს წერილობითი მოთხოვნისთანავე შესაბამისი თანხა ჩარიცხოს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში.

ბ.გ) პოლისი ძალაში შედის მისი გაცემის დღიდან, თუ პოლისით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ბ.დ) პოლისი არ შეიძლება უკან იქნეს გამოთხოვილი გარანტორის მიერ, თუ შესრულებული არ არის საბაჟო ვალდებულება ან არ არსებობს სხვა პოლისი.

ბ.ე) პოლისი მოწმდება საბაჟო ორგანოში, რათა დად-გინდეს, პასუხობს თუ არა იგი დადგენილ მოთხოვნებს. კერძოდ, საგარანტიო ვადა შეესაბამება თუ არა საქონლის გადაადგილების ან საბაჟო პროცედურების განხორციელებისათვის დადგენილ ვადას, საგარანტიო თანხა კი – ამ ინსტრუქციის მე-6 მუხლით დადგენილ ოდენობას.

ბ.ვ) მიღების შემთხვევაში, საბაჟო ორგანო ახდენს პოლისის რეგისტრაციას და იტოვებს მის დედანს, ხოლო დამოწმებულ ასლს გადასცემს ვალდებულ პირს.

ბ.ზ) საბაჟო დამუშავების ოპერაციის დასრულების ან კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა პირობების შესრულების შემდეგ, აღრიცხვის მოწმობის საფუძველზე უქმდება პოლისი.

ბ.თ) კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში, როდესაც პოლისი წარედგინება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს, მისი გაუქმების თაობაზე შემოსავლების სამსახურს ეგზავნება საბაჟო დამუშავების ოპერაციის დასრულების დამადასტურებელი აღრიცხვის მოწმობისა და საბაჟო დეკლარაციის ასლები. (11.05.2007 N474)

ბ.ი) პოლისით გათვალისწინებული გარანტორის ვალდებულება საბაჟო ორგანოს მიმართ შემოიფარგლება იმ თანხის გადახდით, რომელზეც გაიცა პოლისი.

ბ.კ) თანხის გადახდის შემდეგ წყდება საბაჟო ორგანოს მიმართ გარანტორის ვალდებულება.

გ) დეპოზიტი სახელმწიფო ხაზინაში:

გ.ა) საბაჟო ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებად დეპოზიტის გამოყენების შემთხვევაში ვალდებული პირის მიერ სათანადო თანხა სახელმწიფო ხაზინაში კომერციული ბანკის მეშვეობით შეიტანება ბიუჯეტის შემოსულობების ერთიან ანგარიშზე - დეპოზიტების საბაჟო საბიუჯეტო შემოსულობების სახაზინო კოდზე, რის შესახებაც სახელმწიფო ხაზინა შემოსავლების სამსახურს მიაწვდის შესაბამის ინფორმაციას ელექტრონულად და ერთდროულად წერილობითი ფორმით. (11.05.2007 N 474)

გ.ბ) ვალდებული პირი საბაჟო ორგანოს წარუდგენს საგადასახადო დავა-ლე-ბას, რომელიც დამოწმებული უნდა იყოს საქართველოს ეროვნული ბანკის პრე-ზიდენტის 1999 წლის 2 სექტემბრის N220 ბრძანებით განსაზღვრული წესით.

გ.გ) საბაჟო ორგანო ახორციელებს სახელმწიფო ხაზინის მიერ გაცემული ინფორმაციისა და ვალდებული პირის მიერ წარდგენილი საგადასახადო დავალების ურთიერთშედარებას.

კერძოდ, ამოწმებს, თუ რამდენად შეესაბამება საგარანტიო თანხა ამ ინსტრუქციის მე-6 მუხლით დადგენილ ოდენობას. შეუსაბამობის შემთხვევაში საგადასახადო დავალება არ მიიღება.

გ.დ) სახელმწიფო ხაზინაში ბიუჯეტის შემოსულობის ერთიან ანგა-რიშზე დეპოზიტის სახით კომერციული ბანკის მეშვეობით თანხის შეტანა შეიძლება როგორც ნაღდი ფულით, ისე უნაღდო ანგარიშსწორების გზით.

გ.ე) დეპოზიტზე ყოფნის დროს თანხაზე პროცენტის დარიცხვა, აგრეთვე თანხის ინდექსაცია არ ხდება.

გ.ვ) შესაბამისი საბაჟო ორგანოს მიერ სახელმწიფო ხაზინისათვის წერილობითი თანხმობის გარეშე აკრძალულია დეპოზიტზე თანხის შემტანის მიერ მისი განკარგვა.

გ.ზ) ვალდებული პირის მიერ საბაჟო ორგანოს წინაშე დეპოზიტით უზრუნველყოფილი ვალდებულების შესრულების შემდეგ ხდება დეპოზიტის დაბრუნება. დაბრუნების საფუძველია თანხის დაბრუნებაზე ვალდებული პირის წერილობითი მოთხოვნა, რომელსაც თან უნდა ახლდეს აღრიცხვის მოწმობისა ან/და საბაჟო დეკლარაციის ასლები.

გ.თ) კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში, როდესაც გარანტია (სახელმწიფო ხაზინაში დეპოზიტის შეტანის თაობაზე ხაზინის მიერ გაცემული ცნობა) წარედგინება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს, დეპოზიტის დასაბრუნებლად შემოსავლების სამსახურს ეგზავნება საბაჟო დამუშავების ოპერაციის ან/და საბაჟო პროცედურების დასრულების დამადასტურებელი აღრიცხვის მოწმობისა ან/და საბაჟო დეკლარაციის ასლები. (11.05.2007 N 474)

გ.ი) ვალდებული პირის ანგარიშზე არსებული დეპოზიტის დაბრუნება სახელმწიფო ხაზინის მეშვეობით ზემოაღნიშნული დოკუმენტების წარდგენის შემდეგ ხორციელდება არაუგვიანეს 3 საბანკო დღისა.

გ.კ) ვალდებული პირის მიერ დეპოზიტით უზრუნველყოფილი ვალდებულების შესრულების შემთხვევაში, დეპოზიტი, ვალდებული პირის თანხმობით, შეიძლება გამოყენებულ იქნეს და ჩაითვალოს მომავალი საბაჟო გადასახდელების ანგარიშში. ამ საკითხზე, ვალდებული პირის წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, გადაწყვეტილებას ღებულობს შესაბამისი საბაჟო ორგანო.

გ.ლ) სახელმწიფო ხაზინაში დეპოზიტით უზრუნველყოფილი საბაჟო ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში საბაჟო ორგანოს მოთხოვნისთანავე დეპოზიტის თანხა ჩაირიცხება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში.

გ.მ) დეპოზიტის დაბრუნება ხორციელდება დეპოზიტით უზრუნველყოფილი საბაჟო ვალდებულების შესრულების შემთხვევაში, თუ მისი დაბრუნების შესახებ წერილობითი მოთხოვნა საბაჟო ორგანოს წარედგინა 3 წლის განმავლობაში ვალდებულებების შესრულების დღის მომდევნო დღიდან დაწყებული. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ მოუთხოვნელი ფულადი დეპოზიტის თანხა ირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში და დაბრუნებას აღარ ექვემდებარება.

გ.ნ) თუ საბაჟო ვალდებულების შესრულების პერიოდში პირს წარმოეშვა საბაჟო დავალიანება საბაჟო გადასახდელების, ჯარიმების ან საურავების სახით, ჯერ დაიფარება წარმოშობილი დავალიანება, ხოლ შემდგომ დეპოზიტის დაბრუნება მოხდება იმ ოდენობის თანხით, რომელიც დარჩება წარმოშობილი დავალიანების დაფარვის შემდეგ.

3. ვალდებული პირი უფლებამოსილია საბაჟო ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად გამოიყენოს ამ მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნული გარანტიის ნებისმიერი სახეობა.

მუხლი 5. გარანტიის შეთანხმება

1. გარანტიის წარმდგენი ვალდებული პირი უფლებამოსილია ამ ინსტრუქციის მე-4 მუხლში მითითებული გარანტიის სახეებიდან ამოირჩიოს წარსადგენი გარანტია, ხოლო

საბაჟო ორგანო უფლებამოსილია მოითხოვოს არჩეული გარანტიის შესრულება განსაზღვრულ ვადაში.

2. საბაჟო ორგანო უფლებამოსილია უარი თქვას წარდგენილ გარანტიაზე, თუ იგი:

ა) ეწინააღმდეგება საბაჟო რეჟიმის მარეგულირებელ საბაჟო კანონმდებლობას;

ბ) ვერ უზრუნველყოფს განსაზღვრულ ვადაში საბაჟო გადასახდელების გადახდას.

მუხლი 6. საგარანტიო თანხის ოდენობა

1. საგარანტიო თანხის ოდენობა დიფერენცირებულია და შეადგენს:

ა) საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ორ სხვადასხვა საბაჟო კონტროლის ზონას შორის საქონლის გადაადგილებისას - ერთ სატრანსპორტო საშუალებაზე 40 000 ევროს ეკვივალენტი ლარებში;

ბ) საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმში მოქცევის დროს (გარდა საბაჟო კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევებისა) - იმპორტის საბაჟო რეჟიმის დროს გადასახდელი გადასახდელების ოდენობის თანხა;

გ) საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების რეჟიმში მოქცევის დროს შემცვლელი პროდუქტის წინასწარი შემოტანისას იმპორტის საბაჟო რეჟიმის დროს გადასახდელი გადასახდელების ოდენობის თანხა;

დ) დეკლარანტსა და საბაჟო ორგანოს შორის საქონლის საბაჟო ღირებუ-ლე-ბის განსაზღვრის უთანხმოების დროს - საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრული საქონლის საბაჟო ღირებულების საფუძველზე გაანგარიშებულ საბაჟო გადასახდელებსა და დეკლარანტის მიერ განსაზღვრული საქონლის საბაჟო ღირებულების საფუძველზე გაანგარიშებულ საბაჟო გადასახდელებს შორის სხვაობა.

ე) საბაჟო საწყობის საქმიანობის სანებართვო მოწმობის მიღების შემ-თხვევაში:

ე.ა) ღია საბაჟო საწყობის საქმიანობის ნებართვის მფლობელისთვის (მაძიებლისთვის) - საბაჟო კონტროლს ქვემდებარე საქონლის შენახვისთვის განკუთვნილი ფართის - ღია მოედნის ყოველ 1 კვ.მ-ზე 50 ევროს, ხოლო შენობა-ნაგებობის ყოველ 1 კვ.მ-ზე 25 ევროს ექვივალენტური ოდენობით ეროვნულ ვალუტაში, მაგრამ არანაკლებ 200 000 ევროს ექვივალენტური ოდენობით ეროვნულ ვალუტაში;

ე.ბ) ღია დროებითი შენახვის საწყობის საქმიანობის ნებართვის მფლობელისთვის (მაძიებლისთვის) – ღია მოედნის ყოველ 1 კვ.მ-ზე 30 ევროს, ხოლო შენობა-ნაგებობის ყოველ 1 კვ.მ-ზე 15 ევროს ექვივალენტური ოდენობით ეროვნულ ვალუტაში, მაგრამ არანაკლებ 150 000 ევროს ექვივალენტური ოდენობით ეროვნულ ვალუტაში;

ე.გ) ღია საბაჟო საწყობის საქმიანობის ნებართვის მფლობელისთვის (მაძიებლისთვის) - იმ შემთხვევაში, როცა საბაჟო კონტროლს ქვემდებარე საქონლის შენახვა ხორციელდება (განხორციელდება), გვაროვნული ნივთის შენახვის თავისებურების გათვალისწინებით, საქონლის სპეციფიკური შენახვის პირობების შესაბამისად რეზერვუარში (ცისტერნა, სილოსი და ა.შ.), რეზერვუარის ყოველ 1 კუბ.მ-ზე 20 ევროს ექვივალენტური ოდენობით ეროვნულ ვალუტაში, მაგრამ არანაკლებ 200 000 ევროს ექვივალენტური ოდენობით ეროვნულ ვალუტაში;

ე.დ) ღია დროებითი შენახვის საწყობის საქმიანობის ნებართვის მფლობელისთვის (მაძიებლისთვის) – იმ შემთხვევაში, როცა საბაჟო კონტროლს ქვემდებარე საქონლის შენახვა ხორციელდება (განხორციელდება), გვაროვნული ნივთის შენახვის თავისებურების გათვალისწინებით, საქონლის სპეციფიკური შენახვის პირობების შესაბამისად რეზერვუარში (ცისტერნა, სილოსი და ა.შ.), რეზერვუარის ყოველ 1 კუბ.მ-ზე 10 ევროს ექვივალენტური ოდენობით ეროვნულ ვალუტაში, მაგრამ არანაკლებ 150 000 ევროს ექვივალენტური ოდენობით;

ე.ე) დახურული საბაჟო საწყობის და დახურული დროებითი შენახვის საქმიანობის

ნებართვის მფლობელისთვის (მაძიებლისთვის) – საბაჟო კონტროლს ქვემდებარე საქონლის შენახვისთვის განკუთვნილი ფართის – ღია მოედნის და შენობა-ნაგებობის ყოველ 1 კვ.მ-ზე 10 ევროს ექვივალენტური ოდენობით ეროვნულ ვალუტაში, მაგრამ არანაკლებ 100 000 ევროს ექვივალენტური ოდენობით ეროვნულ ვალუტაში. იმ შემთხვევაში, როცა საბაჟო კონტროლს ქვემდებარე საქონლის შენახვა ხორციელდება (განხორციელდება), გვაროვნული ნივთის შენახვის თავისებურების გათვალისწინებით, საქონლის სპეციფიკური შენახვის პირობების შესაბამისად რეზერვუარში (ცისტერნა, სილოსი და ა.შ.), რეზერვუარის ყოველ 1 კუბ.მ-ზე 10 ევროს ექვივალენტური ოდენობით ეროვნულ ვალუტაში, მაგრამ არანაკლებ 100 000 ევროს ექვივალენტური ოდენობით ეროვნულ ვალუტაში. (30.03.2007 N281)

ე.ვ) ნებართვის მფლობელისთვის (მაძიებლისთვის), რომლის საწყობში განთავსდება ნაუთობის მსუბუქი, საშუალო და მძიმე დისტილატები, საგარანტიო თანხა სასწყობო სიმძლავრის შესაბამისი მთლიანი მოცულობის საქონლის იმპორტის რეჟიმის შემთხვევაში – გადასახდელი თანხის ოდენობით.

ვ) უბაჟო ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის სანებართვო მოწმობის მიღების შემთხვევაში - 40 000 ევროს ეკვივალენტი ლარებში;

ზ) სპეციალური სატვირთო საბაჟო დეკლარაციით საქონლის გადადადგილებისას (გარდა საბაჟო კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევებისა) - იმპორტის საბაჟო რეჟიმის დროს გადასახდელი გადასახდელების ოდენობის თანხა;

თ) საქონლის საბაჟო ტერიტორიაზე გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოქცევის დროს – იმპორტის საბაჟო რეჟიმის დროს გადასახდელი გადასახდელების ოდენობის თანხა. (11.05.2007 N 474)

2. თუ ვალდებულმა პირმა რამდენიმე საბაჟო დამუშავების ოპერაციაზე წარმოშობილი/წარმოსაშობი საბაჟო ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად წარადგინა 800 000 ევროს ეკვივალენტი ლარებში ან მეტი ოდენობის გარანტია, საბაჟო ორგანოს შეუძლია აღნიშნული გარანტია ჩათვალოს წარდგენილი საგარანტიო თანხის ხუთმაგი ოდენობის საბაჟო ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიად.

მუხლი 7. გარანტიის მოქმედების ვადა

1. გარანტიის მოქმედების ვადა გარანტიის წარდგენიდან არ უნდა იყოს 30 კალენდარულ დღეზე ნაკლები, ხოლო საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების რეჟიმში მოქცევის დროს შემცვლელი პროდუქტის წინასწარ შემოტანისას, აგრეთვე დეკლარანტსა და საბაჟო ორგანოს შორის საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის უთანხმოების დროს საქონლის გატანისას - არანაკლებ 2 თვისა. (15.06.2007 N653)

2. თუ საბაჟო ორგანო დაადგენს, რომ წარდგენილი გარანტია არასაკმარისია ან ვერ უზრუნველყოფს წარმოშობილი საბაჟო ვალდებულებების შესრულებას, საბაჟო ორგანო ვალდებულია, ამ ინსტრუქციის პირველი მუხლის პირველ პუნქტში მითითებული პირისაგან წერილობით მოითხოვოს პირველად წარდგენილი გარანტიის ახლით შეცვლა ან დამატებითი გარანტიების წარდგენა. თუ პირი არ შეასრულებს საბაჟო ორგანოს მოთხოვნას ახალი ან დამატებითი გარანტიის წარდგენის შესახებ, საბაჟო ორგანოს უფლება აქვს შეაჩეროს საბაჟო პროცედურები, რა დროსაც საქონელი უნდა განთავსდეს დროებითი შენახვის საწყობში.

მუხლი 8. გარანტიის გაუქმება ან შესრულება

1. თუ არ წარმოიშვა საბაჟო ვალდებულება, შესრულდა საბაჟო ვალდებულება ან შეწყდა მისი წარმოშობის საფუძვლები, საბაჟო ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად წარდგენილი გარანტიები უქმდება.

2. თუ საბაჟო დავალიანება დაფარულია ნაწილობრივ ან საბაჟო დავალიანება შესაძლოა წარმოიშვას მხოლოდ გადასახდელების უზრუნველყოფილი თანხის ნაწილზე, ვალდებული პირის მიერ საბაჟო ორგანოში წარდგენილი განცხადების საფუძველზე საგარანტიო თანხის ნაწილი ექვემდებარება გაუქმებას.

3. დადგენილ ვადაში საბაჟო გადასახდელების თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში საბაჟო ორგანო უფლებამოსილია სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე მოითხოვოს წარდგენილი გარანტიის შესრულება საბაჟო გადასახდელების თანხისა და საბაჟო ვალდებულების წარმოშობის დღიდან დარიცხული, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 129-ე მუხლით გათვალისწინებული საურავის გადახდით.

მუხლი 9. გარანტიის გაუქმების საფუძვლები

გარანტიის გაუქმების საფუძვლებია:

ა) საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ორ სხვადასხვა საბაჟო კონტროლის ზონას შორის საქონლის გადაადგილებისას აღრიცხვის მოწმობის კონტროლიდან მოხსნა;

ბ) დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონლის დროს (გარდა საბაჟო კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევებისა) - საბაჟო რეჟიმის დასრულების თაობაზე ამ საქონლის რეექსპორტით გატანის საბაჟო დეკლარაციისა და აღრიცხვის მოწმობის კონტროლიდან მოხსნა;

გ) საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების რეჟიმში მოქცევის დროს შემცვლელი პროდუქტის წინასწარი შემოტანისას - საბაჟო ტერიტორიის გარეთ გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონლის გატანის საბაჟო დეკლარაციისა და აღრიცხვის მოწმობის კონტროლიდან მოხსნა;

დ) დეკლარანტსა და საბაჟო ორგანოს შორის საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის უთანხმოების დროს საქონლის გასატანად წარმოდგენილი გარანტიის ვადის მოქმედების პერიოდში დეკლარანტის მიერ გარანტიით უზრუნველყოფილი საბაჟო გადასახდელების თანხის გადახდის ან საბაჟო დავის განმხილველი ორგანოს მიერ დეკლარანტის საჩივრის დაკმაყოფილების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შემთხვევაში. (15.06.2007 N653)

ე) საბაჟო საწყობის საქმიანობის ნებართვო მოწმობის შემთხვევაში საბაჟო საწყობის საქმიანობის ნებართვის გაუქმება;

ვ) უბაჟო ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვო მოწმობის შემთხვევაში უბაჟო ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვის გაუქმება;

ზ) სპეციალური სატვირთო საბაჟო დეკლარაციით საქონლის გადადგი-ლებისას (გარდა საბაჟო კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევებისა) - სპეციალური სატვირთო საბაჟო დეკლარაციისა და აღრიცხვის მოწმობის კონტროლიდან მოხსნა.

მუხლი 10. გარანტიის თანხის ჩამოჭრა

1. გარანტიის თანხის ჩამოჭრის პირობებია:

ა) საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ორ სხვადასხვა საბაჟო კონტროლის ზონას შორის საქონლის გადაადგილებისას:

ა.ა) საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქართველოს საბაჟო კოდექსის 44-ე-47-ე მუხლებისა და 161-ე მუხლის მე-2 ნაწილის დებულებათა დარღვევით საქონლის უკანონოდ შემოტანისას, რომელიც თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისას ექვემდებარება იმპორტის გადასახდელების გადახდას;

ა.ბ) თავისუფალ ზონაში ან თავისუფალ საწყობში მოთავსებული საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიის სხვა ადგილზე უკანონოდ გადაადგილებისას;

ა.გ) საბაჟო ზედამხედველობიდან საქონლის უკანონოდ გასელისას;

ბ) დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონლის დროს (გარდა საბაჟო კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევებისა) - საქართველოს საბაჟო კოდექსის 125-ე-132-ე მუხლების დებულებათა დარღვევისას;

გ) საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების რეჟიმში მოქცევის დროს შემცველი პროდუქტის წინასწარი შემოტანისას - საქართველოს საბაჟო კოდექსის 133-ე-146-ე მუხლების დებულებათა დარღვევისას;

დ) დეკლარანტსა და საბაჟო ორგანოს შორის საქონლის საბაჟო ღირებუ-ლების განსაზღვრის უთანხმოების დროს - თუ საქონლის გასატანად წარმოდგენილი გარანტიის ვადის ამოწურვამდე დარჩენილია 3 დღე და გარანტიის მოქმედების პერიოდში ადგილი არ ჰქონია დეკლარანტის მიერ გარანტიით უზრუნველყოფილი საბაჟო გადასახდელების თანხის გადახდას ან საბაჟო დავის განმხილველი ორგანოს მიერ დეკლარანტის საჩივრის დაკმაყოფილების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების ძალაში შესვლას. (15.06.2007 N653)

ე) საბაჟო საწყობის საქმიანობის სანებართვო მოწმობის შემთხვევაში - საქართველოს საბაჟო კოდექსის 102-ე-113-ე მუხლების დებულებათა დარღვევისას;

ვ) უბაჟო ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის სანებართვო მოწმობის შემ-თხვევაში საქართველოს საბაჟო კოდექსის 114-ე მუხლის დებულებათა დარღვევისას.

ზ) სპეციალური სატვირთო საბაჟო დეკლარაციით საქონლის გადადადგილებისას (გარდა საბაჟო კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევებისა) - საქარ-თველოს საბაჟო კოდექსის 44-ე-47-ე მუხლებისა და 161-ე მუხლის მე-2 ნაწილის დებულებათა დარღვევისას; თავისუფალ ზონაში ან თავისუფალ საწყობში მოთავსებული საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიის სხვა ადგილზე უკანონოდ გადაადგილებისას; საბაჟო ზედამხედველობი-დან საქონლის უკანონოდ გასვლისას.

2. თუ საბაჟო ორგანოს ხელთ არსებული ინფორმაციით ირკვევა, რომ გარანტიის მოქმედების პერიოდში არ სრულდება გარანტიით უზრუნველყოფილი საბაჟო პროცედურები, საბაჟო ორგანოს უფლება აქვს, გარანტიის ვადის ამოწურვამდე გარანტორს მოსთხოვოს საგარანტიო თანხის მოთხოვნიდან არაუგვიანეს 3 დღეში საბაჟო ორგანოს სადეპოზიტო ანგარიშზე განთავსება. აღნიშნული თანხა გარანტორს დაუბრუნდება საბაჟო პროცედურების განხორციელებიდან არაუგვიანეს 3 დღეში. იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ არ შესრულდა გარანტიით უზრუნველყოფილი საბაჟო პროცედურები, თანხა გადაირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში.

საბაჟო ვალდებულების შესრულების გარანტია

GUARANTEE OF FULFILLMENT OF CUSTOMS LIABILITY

საბანკო გარანტია

BANK GUARANTEE

№ _____ "__" _____ 200- წ.

გარანტის სრული დასახელება
და იურიდიული მისამართი: _____

FULL NAME AND ADDRESS OF THE
GUARANTOR:

პრინციპალის სრული დასახელება
და იურიდიული მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი _____

FULL NAME AND ADDRESS OF THE
PRINCIPAL, THE IDENTIFICATION CODE

ბენეფიციარი: _____
BENEFICIARY:

გარანტიის ობიექტი: _____

OBJECT OF GUARANTEE:

გარანტორის ვალდებულება: საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, გარანტი
GUARANTOR`S OBLIGATION: იღებს გამოუწვევად ვალდებულებას ყოველგვარი უარყოფისა და
გასაჩივრების უფლების გარეშე გადაუხადოს ბენეფიციარს ნებისმიერი
თანხა ან თანხები, მაგრამ არაუმეტეს გარანტიით გათვალისწინებული
თანხისა მისი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.

გარანტიის თანხა: _____
GUARANTEE AMOUNT:

გარანტიის მოქმედების
ტერიტორია: _____
TERRITORY OF GUARANTEE
VALIDITY:

გარანტიის მოქმედების პერიოდი: _____
PERIOD OF GUARANTEE VALIDITY:

ხელმოწერა

გარანტი: signed

GUARANTOR: _____

ბ.ა.

საბაჟო ვალდებულების შესრულების გარანტია

GUARANTEE OF FULFILLMENT OF CUSTOMS LIABILITY

ფინანსური რისკის დაზღვევის პოლისი

CERTIFICATE OF FINANCIAL RISK INSURANCE

№ _____ "___" _____ 200- წ.

მზღვეველის სრული დასახელება
და იურიდიული მისამართი: _____
FULL NAME AND ADDRESS OF THE
INSURER:

დამზღვევის სრული დასახელება
და იურიდიული მისამართი: _____
FULL NAME AND ADDRESS OF THE
POLICYHOLDER:

დაზღვეული (მოსარგებლე): _____
INSURED (BENEFICIARY):

დაზღვევის ობიექტი: _____
OBJECT OF INSURANCE:

მზღვეველის ვალდებულება: საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, გარანტი
INSURER`S OBLIGATION: ილებს გამოუწვევად ვალდებულებას ყოველგვარი უარყოფისა და
მზღვეველის ვალდებულება: საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, გარანტი
INSURER`S OBLIGATION: ილებს გამოუწვევად ვალდებულებას ყოველგვარი უარყოფისა და
გასაჩივრების უფლების გარეშე გადაუხადოს დაზღვეულს
(მოსარგებლეს) ნებისმიერი თანხა ან თანხები, მაგრამ არა
უმეტეს გარანტიით გათვალისწინებული თანხისა მისი
წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.

სადაზღვევო თანხა: _____
INSURANCE AMOUNT:

დაზღვევის ტერიტორია: _____
TERRITORY OF INSURANCE:

გადახდილი სადაზღვევო პრემიის ოდენობა: _____
PREMIUM:

დაზღვევის პერიოდი: _____
PERIOD OF INSURANCE:

მზღვეველი/Insurer

ხელმოწერა/Signature ბ.ა/Seal

დამზღვევი/Policyholder

დაზღვევის პირობებს გავეცანი და ვეთანხმები
I have read and agreed to the insurance condition

ხელმოწერა/Signature ბ.ა/Seal

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №1768

2006 წლის 20 დეკემბერი ქ. თბილისი

საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის სისწორის კონტროლის წესების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბაჟო კოდექსის 31-ე მუხლის მე-7 ნაწილისა და "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის N39 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის "ლ" ქვეპუნქტის საფუძველზე, ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს:

ა) "საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის სისწორის კონტროლის წესების შესახებ" ინსტრუქცია (დანართი N1);

ბ) ,,საქონლის საბაჟო ღირებულების კორექტირების აქტი" (დანართი N2);

გ) ,,შეტყობინება საქონლის საბაჟო ღირებულების კორექტირების შესახებ" (დანართი N3).

2. ამ ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის წესების" დამტკიცების შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2004 წლის 9 ნოემბრის N736 ბრძანება.

3. ბრძანება ამოქმედდეს 2007 წლის 1 იანვრიდან.

ა. ალექსიშვილი

დანართი N1

ინსტრუქცია
საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის სისწორის კონტროლის წესების შესახებ

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. საქონლის საბაჟო ღირებულებას განსაზღვრავს დეკლარანტი და შეაქვს იგი საბაჟო დეკლარაციაში.

2. დეკლარანტის მიერ განსაზღვრული საბაჟო ღირებულების სისწორეს აკონტროლებს ის საბაჟო ორგანო, რომელიც კანონმდებლობით დადგენილი წესით განიხილავს და ამოწმებს წარდგენილ საბაჟო დეკლარაციას.

3. გარიგების ფასის განსაზღვრის საფუძვლად მიიღება ხელშეკრულებაში ან ანგარიშ-ფაქტურაში ან ნებისმიერ სხვა საანგარიშსწორებო დოკუმენტში დაფიქსირებული ფასი.

4. საქონლის საბაჟო ღირებულების არეზერვო მეთოდით განსაზღვრის სისწორის კონტროლის დროს გამოსაყენებელი ფასების მონაცემები წარმოადგენს საინფორმაციო სახის მონაცემებს და გამოიყენება მხოლოდ არეზერვო მეთოდით საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის სისწორის დადგენის მიზნით და არ შეიძლება უშუალოდ იქნეს გამოყენებული საბაჟო გადასახდელების დარიცხვის საფუძვლად. ფასების მონაცემთა სისტემაში საქონელი იდენტიფიცირებული უნდა იქნეს საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) მიხედვით საქონლის დასახელების, სეს ესნ-ის კოდის, ზომის ერთეულის, ერთეულის ფასის, საქონლის წარმოშობის ქვეყნის და ექსპორტიორი ქვეყნის მიხედვით. (15.06.2007 N654)

5. საქონლის საბაჟო ღირებულების არეზერვო მეთოდით განსაზღვრის სისწორის კონტროლის დროს გამოსაყენებელი ფასების მონაცემები მაქსიმალურად უნდა ეფუძნებოდეს

ადრე უკვე განსაზღვრულ საბაჟო ღირებულებებს და ჩამოყალიბდეს შემოსავლების სამსახურში არსებული მონაცემთა ბაზის სტატისტიკური დამუშავების მედიანას პრინციპის გამოყენებით, ამ მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნების დაცვით. (15.06.2007 N654)

მუხლი 2. საბაჟო ორგანოსათვის დამატებითი დოკუმენტის ან სხვა ინფორმაციის წარდგენა (15.06.2007 N654)

1. დეკლარირებული საბაჟო ღირებულების სისწორეში ეჭვის შეტანის შემთხვევაში საბაჟო ორგანო (საბაჟო მოხელე, რომელიც ახორციელებს საბაჟო ღირებულების შემოწმებას) უფლებამოსილია, დეკლარანტს გაუგზავნოს „შეტყობინება საქონლის საბაჟო ღირებულების კორექტირების შესახებ" დანართი N3-ის შესაბამისად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად მოსთხოვოს დამატებითი ინფორმაციის (მათ შორის მტკიცებულებების და დოკუმენტების) წარმოდგენა. ეს დოკუმენტები და მტკიცებულებები შეიძლება იყოს:

ა) ანგარიშ-ფაქტურის (ინვოისის) ორიგინალი;

ბ) სატრანსპორტო და სადაზღვეო დოკუმენტები მიწოდების პირობების შესაბამისად;

გ) საქონლის ნასყიდობის ხელშეკრულება და მისი დანართები;

დ) მყიდველის მიერ მესამე პირებთან დადებული ხელშეკრულება, რომელიც გავლენას ახდენს გარიგების ფასზე (შუამდგომლობა, საავტორო, ლიცენზიების, პატენტების, მომსახურების, ნედლეულის და სხვა გადასახდელები);

ე) საბანკო გადარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტები (თუ ანგარიში განაღდებულია);

ვ) დოკუმენტები გამყიდველის სასარგებლოდ მესამე პირებისათვის გადახდის შესახებ;

ზ) დოკუმენტები საქონლის დასაწყობებისა და შეფუთვის გადახდის შესახებ;

თ) სააღრიცხვო დოკუმენტები (სალაროს წიგნი, სალაროს შემოსავლისა და გასაელის ორდერები, ანგარიშგება მოგება-ზარალის შესახებ და სხვა);

ი) საქონლის შესყიდვის შეკვეთა და მისი დამადასტურებელი დოკუმენტი;

კ) საქონლის გამყიდველის პრეისკურანტი, სადაც მითითებულია ექსპორტის დროს საქონლის გასაყიდი ფასები და მიცემული ფასდაკლებები;

ლ) საქონლის კატალოგი;

მ) უცხო ქვეყნის ექსპორტის დეკლარაცია (თუ იმპორტიორს შეუძლია მისი წარმოდგენა);

ნ) ქონების შეფასების ანგარიში, რომელიც შედგენილია დამოუკიდებელი აუდიტორების მიერ (თუ იმპორტიორს შეუძლია წარმოადგინოს);

ო) სხვა ინფორმაცია და დოკუმენტები, რომლებიც წარმოადგენს დეკლარირებული საბაჟო ღირებულებისა და მისი ელემენტების დასაბუთების საფუძველს.

2. დეკლარანტმა საბაჟო ორგანოს უნდა წარუდგინოს მოთხოვნილი დოკუმენტები და ინფორმაცია შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა.

3. დეკლარანტს უფლება აქვს, საბაჟო ორგანოს ამ მუხლის მე–2 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების გარდა, დამატებით, წარადგინოს ინფორმაცია და დოკუმენტები, რომელსაც იგი ჩათვლის საჭიროდ მის მიერ დეკლარირებული საქონლის საბაჟო ღირებულების უტყუარობის დასამტკიცებლად.

მუხლი 3. საბაჟო ორგანოს გადაწყვეტილება (15.06.2007 N654)

1. საბაჟო ორგანოს (საბაჟო მოხელეს, რომელიც ახორციელებს საბაჟო ღირებულების შემოწმებას) უფლება აქვს ეჭვი შეიტანოს დეკლარანტის მიერ გაცხადებული საბაჟო ღირებულების სისწორეში და მოახდინოს მისი კორექტირება ან განსაზღვროს იგი სხვა მეთოდით.

2. საბაჟო ღირებულების კორექტირება ან სხვა მეთოდით განსაზღვრა ფორმდება საბაჟო ორგანოს გადაწყვეტილებით „საქონლის საბაჟო ღირებულების კორექტირების

აქტით" დანართი N2-ის შესაბამისად, რომელსაც აფორმებს საბაჟო მოხელე, რომელიც ახორციელებს საბაჟო ღირებულების შემოწმებას.

3. აქტი იცვება 2 ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზავნება დეკლარანტს, ხოლო მეორე რჩება საბაჟო ორგანოს და დაერთვის სატვირთო საბაჟო დეკლარაციას.

მუხლი 4. საბაჟო ღირებულების კორექტირება (15.06.2007 N654)

1. დეკლარანტს უფლება აქვს:

ა) თუ ეთანხმება საქონლის კორექტირებულ საბაჟო ღირებულებას, ,,საქონლის საბაჟო ღირებულების კორექტირების აქტი"-ს მიღებიდან (ჩაბარებიდან) 3 დღის ვადაში წარმოადგინოს კორექტირებული სატვირთო საბაჟო დეკლარაცია;

ბ) თუ არ ეთანხმება, გაასაჩივროს ,,საქონლის საბაჟო ღირებულების კორექტირების აქტი" საბაჟო კოდექსის 217-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საქართველოს საგადასახადო კოდექსის VIII კარით დადგენილი წესით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სის-ტემაში ან სასამართლოში, ამ აქტის მიღებიდან (ჩაბარებიდან) 20 კალენდარულ დღეში;

გ) საბაჟო ღირებულების განსაზღვრის თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე საბაჟო ორგანოდან გაიტანოს საქონელი, თუ იგი გადაიხდის თავის მიერ განსაზღვრული საქონლის საბაჟო ღირებულების საფუძველზე გაანგარიშებულ საბაჟო გადასახდელებს და დამატებით წარმოადგენს საბაჟო კოდექსით გათვალისწინებული ერთერთი სახის გარანტიას, რომლის მოქმედების ვადა 2 თვეა, ხოლო საგარანტიო თანხა ტოლია კორექტირების აქტით განსაზღვრული საბაჟო ღირებულების საფუძველზე გაანგარიშებულ საბაჟო გადასახდელებსა და დეკლარანტის მიერ დეკლარირებული საბაჟო ღირებულების საფუძველზე გაანგარიშებულ საბაჟო გადასახდელებს შორის სხვაობისა.

2. საბაჟო ორგანო ვალდებულია:

ა) დეკლარანტის წერილობითი მოთხოვნისა და ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი გარანტიის საფუძველზე მისცეს დეკლარანტს საქონლის გატანის საშუალება;

ბ) საქონლის გარანტიით გაშვებამდე უზრუნველყოს საქონლის იდენტიფიცირება;

გ) დეკლარანტის მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი გარანტიის ვადის გასვლამდე 3 დღით ადრე უზრუნველყოს გარანტიის თანხის ჩარიცხვა სახელმწიფო ბიუჯეტში, თუ აღნიშნული თარიღისათვის დეკლარანტის მიერ არ იქნება წარმოდგენილი გარანტიით უზრუნველყოფილი საბაჟო გადასახდელების თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები ან საბაჟო დავის განმხილველი ორგანოს მიერ დეკლარანტის საჩივრის დაკმაყოფილების თაობაზე მიღებული ძალაში შესული გადაწყვეტილება.

მუხლი 5. ,,საქონლის საბაჟო ღირებულების კორექტირების აქტი"-ს შევსების წესი (15.06.2007 N654)

1. პირველ გრაფაში აღინიშნება საბაჟო ორგანოს დასახელება, მისამართი, უფლებამოსილი მოხელის თანამდებობა, სახელი და გვარი.

2. მე-2 – 4 გრაფები ივსება სატვირთო საბაჟო დეკლარაციის მიხედვით.

3. მე-5–6 გრაფებში მიეთითება საქონლის დეკლარირებულ საბაჟო ღირებულებაზე დასამატებელი და დეკლარირებული საბაჟო ღირებულებიდან გამოსაკლები ხარჯები, რაც განისაზღვრება დეკლარირებული საბაჟო ღირებულების შემოწმებისას მისი კორექტირების მიზნით.

4. მე-7 გრაფაში მიეთითება დეკლარირებულ საბაჟო ღირებულების სისწორეში ეჭვის შეტანისა და მისი კორექტირების (ან სხვა მეთოდით განსაზღვრის) დასაბუთება.

5. მე-8 გრაფაში მიეთითება საბაჟო ორგანოს მიერ საქონლის დეკლარირებული საბაჟო ღირებულების კორექტირებით ან სხვა მეთოდით განსაზღვრული საბაჟო ღირებულება.

6. მე-9 გრაფაში აღინიშნება კორექტირების განმახორციელებელი საბაჟო მოხელის ხელმოწერა (არსებობისას ბეჭედიც).

7. მე-10 გრაფა საცნობარო შინაარსისაა და დამატებით შევსებას არ საჭიროებს.

დანართი N2
(15.06.2007 N654)

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს
შემოსავლების სამსახური

საქონლის საბაჟო ღირებულების კორექტირების აქტი N _____

"_____" _____ 200__ წ.
რიცხვი თვე

1. _____
(საბაჟო ორგანოს დასახელება, მისამართი, უფლებამოსილი მოხელის თანამდებობა, სახელი და გვარი)

_____

საქართველოს საბაჟო კოდექსის 31-ე და 41-ე მუხლებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში არ ეთანხმება:

2. დეკლარანტის _____ მიერ
(დასახელება, მისამართი, საიდენტიფიკაციო ნომერი)

3. _____ სატვირთო საბაჟო დეკლარაციაში
(სსდ–ს ნომერი და თარიღი)

4. დეკლარირებულ საბაჟო ღირებულებას _____

5. დეკლარირებულ საბაჟო ღირებულებაზე დასამატებელი ხარჯები საქართველოს საბაჟო კოდექსის 38-ე მუხლის შემდეგი ნაწილების ქვეპუნქტების შესაბამისად:	თანხა	6. დეკლარირებული საბაჟო ღირებულებიდან გამოსაკლები ხარჯები საქართველოს საბაჟო კოდექსის 38-ე მუხლის შემდეგი ნაწილების ქვეპუნქტების შესაბამისად:	თანხა
1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტი		მე-9 ნაწილის „ა" ქვეპუნქტი	
„ბ" ქვეპუნქტი		„ბ" ქვეპუნქტი	
„გ" ქვეპუნქტი		„გ" ქვეპუნქტი	
მე-2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტი		„დ" ქვეპუნქტი	
„ბ" ქვეპუნქტი		„ე" ქვეპუნქტი	
„გ" ქვეპუნქტი			
მე-4 ნაწილი			
მე-5 ნაწილი			
მე-6 ნაწილის „ა" ქვეპუნქტი			
„ბ" ქვეპუნქტი			
სულ		სულ	

7. დეკლარირებულ საბაჟო ღირებულების სისწორეში ეჭვის შეტანისა და მისი კორექტირების (ან სხვა მეთოდით განსაზღვრის) საფუძველია _____

_____

_____

8. საბაჟო ორგანოს მიერ კორექტირებით (ან სხვა მეთოდით) განსაზღვრული იქნა საქონლის საბაჟო ღირებულება _____

9. კორექტირების განმახორციელებელი საბაჟო მოხელე _____
ხელმოწერა (ბეჭედი,)

10. დეკლარანტს უფლება აქვს:

ა) თუ ეთანხმება საქონლის კორექტირებულ საბაჟო ღირებულებას, ამ აქტის მიღებიდან (ჩაბარებიდან) 3 დღის ვადაში წარმოადგინოს კორექტირებული სატვირთო საბაჟო დეკლარაცია;

ბ) თუ არ ეთანხმება, გაასაჩივროს ეს აქტი საბაჟო კოდექსის 217-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საქართველოს საგადასახადო კოდექსის VIII კარით დადგენილი წესით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში ან სასამართლოში, ამ აქტის მიღებიდან (ჩაბარებიდან) 20 კალენდარულ დღეში;

გ) საბაჟო ღირებულების განსაზღვრის თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე საბაჟო ორგანოდან გაიტანოს საქონელი, თუ იგი გადაიხდის თავის მიერ განსაზღვრული საქონლის საბაჟო ღირებულების საფუძველზე გაანგარიშებულ საბაჟო გადასახდელებს და დამატებით წარმოადგენს საბაჟო კოდექსით გათვალისწინებული ერთ-ერთი სახის გარანტიას, რომლის მოქმედების ვადა 2 თვეა, ხოლო საგარანტიო თანხა ტოლია კორექტირების აქტით განსაზღვრული საბაჟო ღირებულების საფუძველზე გაანგარიშებულ საბაჟო გადასახდელებსა და დეკლარანტის მიერ დეკლარირებული საბაჟო ღირებულების საფუძველზე გაანგარიშებულ საბაჟო გადასახდელებს შორის სხვაობისა.

დანართი N3
(15.06.2007 N654)

საქონლის საბაჟო ღირებულების კორექტირების შესახებ შეტყობინება

"_____" _____ 200__ წ.
რიცხვი თვე

_____ –ს
(დეკლარანტის დასახელება, მისამართი, საიდენტიფიკაციო ნომერი)

გაცნობებთ, რომ _____
(საბაჟო ორგანოს დასახელება, მისამართი, უფლებამოსილი მოხელის

_____
თანამდებობა, სახელი და გვარი)

საქართველოს საბაჟო კოდექსის 31-ე და 41–ე მუხლებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში აკონტროლებს რა თქვენს მიერ განსაზღვრული საქონლის საბაჟო ღირებულების სისწორეს, არ ეთანხმება_____
(სსდ–ს ნომერი და თარიღი)

საბაჟო დეკლარაციაში დეკლარირებულ საბაჟო ღირებულებას _____

საბაჟო ორგანოს მიერ საბაჟო ღირებულების განსაზღვრის მიზნით გეგალებათ, არა უგვიანეს 3 დღისა წარმოადგინოთ „X"-ით მონიშნული შემდეგი დამატებითი დოკუმენტები:

ა) ანგარიშ-ფაქტურის (ინვოისის) ან ნებისმიერი სხვა საანგარიშსწორებო დოკუმენტის ორიგინალი; %

ბ) სატრანსპორტო და სადაზღვევო დოკუმენტები მიწოდების პირობების შესაბამისად;

გ) საქონლის ნასყიდობის ხელშეკრულება და მისი დანართები;

დ) მყიდველის მიერ მესამე პირებთან დადებული ხელშეკრულება, რომელიც გავლენას ახდენს გარიგების ფასზე (შუამდგომლობა, საავტორო, ლიცენზიების, პატენტების, მომსახურების, ნედლეულის და სხვა გადასახდელები);

ე) საბანკო გადარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტები (თუ ანგარიში განაღდებულია);

ვ) დოკუმენტები გამყიდველის სასარგებლოდ მესამე პირებისათვის გადახდის შესახებ;

ზ) დოკუმენტები საქონლის დასაწყობებისა და შეფუთვის გადახდის შესახებ;

თ) სააღრიცხვო დოკუმენტები (სალაროს წიგნი, სალაროს შემოსავლისა და გასაელის ორდერები, ანგარიშგება მოგება-ზარალის შესახებ და სხვა);

ი) საქონლის შესყიდვის შეკვეთა და მისი დამადასტურებელი დოკუმენტი;

კ) საქონლის გამყიდველის პრეისკურანტი, სადაც მითითებულია ექსპორტის დროს საქონლის გასაყიდი ფასები და მიცემული ფასდაკლებები;

ლ) საქონლის კატალოგი;

მ) უცხო ქვეყნის ექსპორტის დეკლარაცია (თუ, იმპორტიორს შეუძლია მისი წარმოდგენა);

ნ) ქონების შეფასების ანგარიში, რომელიც შედგენილია დამოუკიდებელი აუდიტორების მიერ (თუ, იმპორტიორს შეუძლია წარმოადგინოს);

ო) სხვა ინფორმაცია და დოკუმენტები, რომლებიც წარმოადგენს თქვენს მიერ დეკლარირებული საბაჟო ღირებულებისა და მისი ელემენტების დასაბუთების საფუძველს.

საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი
მოხელე _____

(ხელმოწერა, ბეჭედი, თარიღი)

(შეტყობინების ფურცლის მეორე მხარე)

საქართველოს საბაჟო კოდექსი

მუხლი 38. საბაჟო ღირებულების ელემენტები

1. იმპორტირებული საქონლის საბაჟო ღირებულების ამ კოდექსის 32-ე მუხლის საფუძველზე განსაზღვრისას გარიგების ფასს უნდა დაემატოს შემდეგი ხარჯები, იმ პირობით, რომ ეს ხარჯები მყიდველმა რეალურად გასწია, მაგრამ ისინი არ არის ჩართული გარიგების ფასში:

ა) საკომისიო და საბროკერო ხარჯები, გარდა შესყიდვაზე გაწეული საკომისიო ხარჯებისა;

ბ) იმ კონტეინერების ღირებულება, რომლებიც საბაჟო მიზნებისათვის განიხილება იმპორტირებულ საქონელთან ერთობლიობაში;

გ) შეფუთვის ღირებულება, გაწეული შრომისა და შესაფუთი მასალების ჩათვლით.

2. თუ მყიდველის მიერ საქონელი ან მომსახურება გამყიდველს უფასოდ ან ფასდაკლებით, პირდაპირ ან არაპირდაპირ მიეწოდება და გამოიყენება იმპორტირებული საქონლის წარმოებასთან და საექსპორტოდ გაყიდვასთან დაკავშირებით, საქონლის საბაჟო ღირებულების ამ კოდექსის 32-ე მუხლის საფუძველზე განსაზღვრისას გარიგების ფასს უნდა

დაემატოს შემდეგი საქონლისა და მომსახურების პროპორციულად განაწილებული ღირებულება იმ ოდენობით, რომლითაც ეს ღირებულება ჩართული არ არის გადახდილ ან გადასახდელ ფასში:

ა) საქონლის შემადგენლობაში შემავალი მასალები, ნაწილები (დეტალები) და სხვა ანალოგიური კომპონენტები;

ბ) საქონლის წარმოების დროს გამოყენებული სამუშაო ინსტრუმენტები, შტამპები, ჩამოსასხმელი ფორმები და შრომის სხვა საშუალებები;

გ) საქართველოს ფარგლებს გარეთ წარმოებული ინჟინერია, დამუშავება, საკონსტრუქტორო და სამხატვრო-დიზაინერული საქმიანობა, მხაზველობითი სამუშაოები, პროექტები, სქემები, ესკიზები და სხვა სამუშაოები.

3. ამ მუხლის მე-2 ნაწილის მიზნებისათვის საქონლისა და მომსახურების ღირებულება, რომელიც უნდა შევიდეს საბაჟო ღირებულებაში, უნდა განისაზღვროს იმ ფასით, რომლითაც იგი შეიძინა მყიდველმა. თუ ეს საქონელი ნაწარმოებია თვით მყიდველის მიერ, მისი ფასი განისაზღვრება მყიდველის საბუღალტრო დოკუმენტაციაზე დაყრდნობით. იმ შემთხვევაში, როცა მოცემული საქონელი ამორტიზებულია, მისი ღირებულება განისაზღვრება ამორტიზაციის ნორმების გათვალისწინებით.

4. საქონლის საბაჟო ღირებულების ამ კოდექსის 32-ე მუხლის საფუძველზე განსაზღვრისას გარიგების ფასს უნდა დაემატოს იმპორტირებულ საქონელთან დაკავშირებული საავტორო ჰონორარი ან სალიცენზიო გადასახდელები იმ ოდენობით, რა ოდენობითაც ჩართული არ არის გადახდილ ან გადასახდელ ფასში და პირდაპირ ან არაპირდაპირ უნდა გადაიხადოს მყიდველმა, როგორც ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული იმპორტირებული საქონლის პირობა. მასში შედის გადასახდელები პატენტებზე, სასაონლო მარკებზე, საავტორო უფლებებზე, ,,ნოუ-ჰაუზე''. ამასთანავე, სალიცენზიო და ინტელექტუალური საკუთრების გადასახდელები ჩაირთვება საბაჟო ღირებულებაში, თუ ინტელექტუალური საკუთრების ნიმუშებს განუყრელი კავშირი აქვს იმპორტირებულ საქონელთან და ეს პირობები დაფიქსირებულია კონტრაქტში. თუ მყიდველი სალიცენზიო გადასახდელებს უხდის მესამე პირს, ეს შეთანხმებული უნდა იყოს გამყიდველთან.

5. საქონლის საბაჟო ღირებულების ამ კოდექსის 32-ე მუხლის საფუძველზე განსაზღვრისას გარიგების ფასს უნდა დაემატოს იმ მოგების ნაწილის ღირებულება, რომელიც საქონლის ყოველი შემდგომი გადაყიდვის, განკარგვის და გამოყენების შედეგად პირდაპირ ან არაპირდაპირ ეკუთვნის გამყიდველს.

6. საქონლის საბაჟო ღირებულებაში ჩაირთვება იმპორტირებული საქონლის მიერ საქართველოს საბაჟო საზღვრის გადმოკვეთამდე გაწეული შემდეგი ხარჯები:

ა) ტრანსპორტირების ღირებულება, დატვირთვა-გადმოტვირთვისა და დამუშავების (მათ შორის, საწყობში შენახვის) ხარჯები. თუ სხვადასხვა საქონლის პარტია ერთი და იმავე ტრანსპორტით არის იმპორტირებული, ტრანსპორტირების ხარჯები პროპორციულად გადანაწილდება;

ბ) დაზღვევასთან დაკავშირებული ხარჯები.

7. ამ მუხლის დებულებების შესაბამისად გარიგების ფასს ემატება საიმედო მონაცემების საფუძველზე განსაზღვრული ხარჯები, რომლებიც გაწეულ იქნა საქონლის მკაცრად განსაზღვრულ რაოდენობაზე.

8. საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრისას დაუშვებელია გარიგების ფასისათვის იმ ხარჯების მიკუთვნება, რომლებიც ამ მუხლით არ არის გათვალისწინებული.

9. საქონლის საბაჟო ღირებულებაში არ უნდა იყოს ჩართული შემდეგი გადასახდელები და ხარჯები, თუ ისინი გამოყოფილია საქონლის ფაქტობრივი ფასიდან:

ა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადები და მოსაკრებლები;

ბ) ექსპორტიორი ქვეყნის არაპირდაპირი გადასახადები, რომლებიც გამოყოფილია

გარიგების ფასიდან;

გ) საქართველოს საბაჟო საზღვრის გადმოკვეთის შემდგომი ტრანსპორტირების ხარჯები;

დ) სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების, საწყობის, მომსახურების ან გაწეული ტექნიკური დახმარების ხარჯები, რომლებიც გაწეულ იქნა საქონლის შემოტანის შემდეგ;

ე) საბაჟო პროცედურებთან დაკავშირებული ხარჯები და სხვა ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია საქართველოს ტერიტორიაზე იმპორტირებული საქონლის გადაადგილებასთან.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №1773

2006 წლის 20 დეკემბერი

სასაზღვრო საბაჟო ორგანომდე ან სხვა ადგილამდე საქონლის მიტანის წესის, ვადების, საბაჟო მარშრუტის, წარდგენის წესის და ზოგადი დეკლარირების ფორმების განსაზღვრის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბაჟო კოდექსის 45-ე მუხლის მე-5 ნაწილის, 47-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 50-ე მუხლის პირველი ნაწილის, 62-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის N39 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ლ" ქვეპუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს „სასაზღვრო საბაჟო ორგანომდე ან სხვა ადგილამდე საქონლის მიტანის წესის, ვადების, საბაჟო მარშრუტის, წარდგენის წესის და ზოგადი დეკლარირების ფორმების განსაზღვრის შესახებ" თანდართული ინსტრუქცია.

2. ეს ბრძანება ამოქმედდეს 2007 წლის 1 იანვრიდან.

ა. ალექსიშვილი

ინსტრუქცია
საქონლის სასაზღვრო საბაჟო ორგანომდე ან სხვა ადგილამდე მიტანის წესის, ვადების, საბაჟო მარშრუტის, წარდგენის წესის და ზოგადი დეკლარირების ფორმების განსაზღვრის შესახებ

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. საქონელი და/ან სატრანსპორტო საშუალებები საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას ან/და გატანისას ექვემდებარება საბაჟო ზედამხედველობას.

2. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი ან/და ამ ტერიტორიიდან გასატანი საქონელი და/ან სატრანსპორტო საშუალება იმყოფება საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მისთვის საბაჟო სტატუსის მინიჭებამდე, შეცვლამდე, თავისუფალ ზონაში ან თავისუფალ საწყობში გადატანამდე, საბაჟო ტერიტორიიდან რეექსპორტამდე ან საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ განადგურებამდე.

3. საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მყოფი საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალებების მიმართ შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ საბაჟო ორგანოსთან შეთანხმებული მოქმედებები და ოპერაციები.

4. თუ საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მყოფი საქონელი ან/და სატრანსპორტო სა-

შუალებები განადგურდა ან დაზიანდა, საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების მფლობელი ვალდებულია დაუყონებლივ შეატყობინოს საბაჟო ორგანოს და წარუდგინოს მას სახელმწიფო ორგანოების მიერ გაცემული განადგურების ან დაზიანების დამადასტურებელი დოკუმენტები. თუ საბაჟო ორგანოს არ დაუმაყოფილებს წარმოდგენილი დოკუმენტები, საქონელი ჩაითვლება საბაჟო ზედამხედველო-ბიდან უკანონოდ გასულად.

5. თუ საქონელი და/ან სატრანსპორტო საშუალებები უკანონოდ გადის საბაჟო ზედამხედველობიდან ან საბაჟო ორგანოს აქვს საფუძვლიანი ეჭვი საბაჟო ზედამხედველობიდან საქონლის და/ან სატრანსპორტო საშუალების უკანონოდ გასვლაზე და დეკლარანტს ან საქონლის მესაკუთრეს ან საქონლის მფლობელს არ შეუძლია საბაჟო ორგანოს დაუმტკიცოს ამ საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების საბაჟო ზედამხედველობიდან კანონიერად გასვლის ფაქტი, ვალდებულმა პირმა საბაჟო ზედამხედველობიდან საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების უკანონოდ გასვლის აღმოჩენიდან 5 კალენდარული დღის განმავლობაში უნდა შეასრულოს წარმოშობილი საბაჟო ვალდებულება.

6. პირზე, რომელიც იღებს საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი ან ამ ტერიტორიიდან გასატანი საქონლისა ან/და სატრანსპორტო საშუალების ტრანსპორტირების პასუხისმგებლობას, ვრცელდება ამ მუხლში აღნიშნული ვალდებულებები.

7. ერთი სასაზღვრო საბაჟო ორგანოდან მეორე სასაზღვრო საბაჟო ორგანომდე ან სხვა ადგილამდე ან კანონმდებლობით დადგენილი სხვა ადგილიდან სასაზღვრო საბაჟო ორგანომდე ან სხვა ადგილამდე საქონლისა ან/და სატრანსპორტო საშუალებების მიტანა ხორციელდება "საბაჟო კონტროლის ქვეშ მყოფი საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობით" (შემდგომში - მოწმობა).

8. ამ ინსტრუქციის მიზნებისათვის სასაზღვრო საბაჟო ორგანო ნიშნავს საბაჟო გამშვებ პუნქტებსა და საბაჟო საგუშაგოებს.

მუხლი 2. შემოტანილი ან/და გასატანი საქონლისა ან/და სატრანსპორტო საშუალებების საქართველოს საბაჟო ტერიტორიის შესაბამის პუნქტამდე მიტანის ადგილი

1. პირი, რომელსაც საქონელი ან/და სატრანსპორტო საშუალებები შემოაქვს საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე, ვალდებულია საბაჟო საზღვრის გადმოკვეთის შემდეგ საქონელი ან/და სატრანსპორტო საშუალებები მიიტანოს:

ა) სასაზღვრო საბაჟო ორგანოს მიერ შერჩეულ ადგილზე;

ბ) საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრულ ადგილზე;

გ) თავისუფალი საბაჟო ზონის ტერიტორიაზე მხოლოდ საზღვაო ან საჰაერო გზით, აგრეთვე სახმელეთო გზით და საბაჟო ტერიტორიის სხვა ნაწილის გადაკვეთის გარეშე, თუ თავისუფალი საბაჟო ზონა უშუალოდ ესაზღვრება საბაჟო საზღვარს.

2. პირი, რომელსაც საქონელი ან/და სატრანსპორტო საშუალებები გააქვს საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან ვალდებულია საქონელი ან/და სატრანსპორტო საშუალებები მიიტანოს:

ა) საბაჟო ორგანოს მიერ შერჩეულ ადგილზე;

ბ) საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრულ ადგილზე;

გ) თავისუფალი საბაჟო ზონის ტერიტორიაზე მხოლოდ საზღვაო ან საჰაერო გზით, აგრეთვე სახმელეთო გზით და საბაჟო ტერიტორიის სხვა ნაწილის გადაკვეთის გარეშე, თუ თავისუფალი საბაჟო ზონა უშუალოდ ესაზღვრება საბაჟო საზღვარს.

მუხლი 3. შემოტანილი ან/და გასატანი საქონლისა ან/და სატრანსპორტო საშუალებების საქართველოს საბაჟო ტერიტორიის შესაბამის ადგილამდე მიტანის ვადა ამოღებული (8.02.2007 N90)

ერთი სასაზღვრო საბაჟო ორგანოდან მეორე სასაზღვრო საბაჟო ორგანომდე ან სხვა ადგილამდე ან კანონმდებლობით დადგენილი სხვა ადგილიდან სასაზღვრო საბაჟო ორგანომდე ან სხვა ადგილამდე საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების მიტანის ვადა განისაზღვრება გამგზავნი საბაჟო ორგანოს მიერ, გადასაზიდი საქონლის, სატრანსპორტო საშუალების, საბაჟო მარშრუტის ხასიათის და ეკოლოგიურ-კლიმატური პირობების გათვალისწინებით, დღეში 100 კმ-ზე გათვლით, მაგრამ არაუმეტეს 10 კალენდარული დღისა (გარდა ტრანზიტისა). საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქართველოში არარეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების საბაჟო დამუშავების ოპერაციის განხორციელების ადგილამდე მიტანის ან საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანიდან მის გატანამდე ვადა განისაზღვრება 20 დღით, ხოლო სარკინიგზო ტრანსპორტით საქონლის გადაზიდვის შემთხვევაში, მიუხედავად გადაზიდვის მანძილისა – 10 კალენდარული დღით.

მუხლი 4. შემოტანილი ან/და გასატანი საქონლისა ან/და სატრანსპორტო საშუალებების საქართველოს საბაჟო ტერიტორიის შესაბამის ადგილამდე მიტანის საბაჟო მარშრუტი ამოღებული (8.02.2007 N90)

1. შემოტანილი ან/და გასატანი საქონლისა ან/და სატრანსპორტო საშუალებების საქართველოს საბაჟო ტერიტორიის შესაბამის ადგილამდე მიტანა ხორციელდება ნებისმიერი გზით, გარდა თამბაქოს ნაწარმისა და ჯართის გადაზიდვის შემთხვევებისა.

2. საბაჟო ზედამხედველობას დაქვემდებარებული თამბაქოს ნაწარმის გადაადგილება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ხორციელდება საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრული საბაჟო ორგანოების გავლით, ხოლო ჯართისა – მხოლოდ სარკინიგზო და საზღვაო ტრანსპორტით, შესაბამისი სასაზღვრო საბაჟო ორგანოების გაულით.

მუხლი 5. საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალებების მიტანასთან დაკავშირებული ავარიის ან დაუძლეველი ძალის დროს გასატარებელი ღონისძიებები

1. ავარიისა ან დაუძლეველი ძალის დროს, პირი, რომელიც ვერ ასრულებს ამ ინსტრუქციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ვალდებულია:

ა) დაუყოვნებლივ აცნობოს უახლოეს საბაჟო ორგანოს აღნიშნული გარემოებების, საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალებების ადგილმდებარეობისა და მდგომარეობის შესახებ და იმოქმედოს მისი მითითებების შესაბამისად;

ბ) მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალებების ხელშეუხებლობის უზრუნველსაყოფად;

გ) უზრუნველყოს საქონლისა ან/და სატრანსპორტო საშუალებების მიტანა უახლოესი საბაჟო ორგანოს ტერიტორიაზე ან საბაჟო ორგანოს მიერ მითითებულ ადგილზე;

2. აუცილებლობის შემთხვევაში შესაბამისი საბაჟო ორგანო ვალდებულია, განსაზღვროს ამ საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების დანიშნულების საბაჟო ორგანომდე ან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ადგილამდე მიტანის უზრუნველყოფის ღონისძიებები.

3. ავარიისა ან დაუძლეველი ძალის შედეგად განადგურებულ საქონელზე დგება ოქმი და განადგურების შედეგად წარმოშობილი ნარჩენები და ჯართი გადაადგილდება საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად.

4. ამ მუხლის მოთხოვნათა შესრულებისათვის გაწეულ ხარჯებს ანაზღაურებს საქონელსა და/ან სატრანსპორტო საშუალებაზე უფლებამოსილი შესაბამისი პირი.

მუხლი 6. საქონლის წარდგენის წესის ზოგადი დებულებანი

1. საბაჟო ორგანოში საქონლის წარდგენა არის საბაჟო ორგანოში ან საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრულ ადგილზე საქონლის მიტანის შესახებ ინფორმაციის საბაჟო ორგანოსათვის მიწოდება.

2. პირი, რომელსაც საქონელი შემოაქვს საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე, ვალდებულია, საქართველოს საბაჟო საზღვრის გადმოკვეთის შემდეგ საქონელი დადგენილი წესით მიიტანოს საბაჟო ორგანოს მიერ შერჩეულ ან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ადგილზე. ეს ადგილები შეიძლება იყოს საბაჟო ორგანო, საბაჟო საწყობი, დროებითი შენახვის საწყობი, საბაჟო კონტროლის სხვა ზონა ან საბაჟო ორგანოს მიერ მითითებული სხვა ნებისმიერი ადგილი.

3. საბაჟო ორგანოში ან საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრულ ადგილზე საქონლის მიტანის შესახებ ინფორმაცია დასტურდება დეკლარანტის მიერ მოწმობის ან ზოგადი დეკლარირებისათვის საჭირო დოკუმენტების(ზედნადები ან ინვოისი ან კონტრაქტი ან წარმოშობის სერტიფიკატი) ან სატვირთო მანიფესტის საბაჟო ორგანოსათვის მიწოდებით, რომელიც დამოწმდება საბაჟო ორგანოს პასუხისმგებელი პირის პირადნომრიანი ბეჭდით.

4. ამ ინსტრუქციის მიზნებისათვის საქონლის მიტანა ნიშნავს საბაჟო ორგანოში ან საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრულ ადგილზე საქონლის ფიზიკურ მიტანას.

მუხლი 7. საქონლის წარდგენა სასაზღვრო საბაჟო ორგანოში (8.02.2007 N90)

სასაზღვრო საბაჟო ორგანოში საქონლის წარდგენა ხდება:

ა) სახმელეთო სასაზღვრო გამტარ პუნქტებში - სასაზღვრო კონტროლის განხორციელების შემდეგ საქონლის საბაჟო კონტროლის ზონაში ფაქტობრივი განთავსებით;

ბ) საერთაშორისო ნაოსნობისათვის გახსნილ საზღვაო პორტებში და საერთაშორისო აეროპორტებში გახსნილ სასაზღვრო გამტარ პუნქტებში – გემის ან თვითმფრინავის კაპიტნის ან უფლებამოსილი პირის მიერ სატვირთო მანიფესტის საბაჟო ორგანოსთვის წარდგენით, რაც დამოწმდება საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირის მიერ პირადნომრიანი ბეჭდით და თარიღის მითითებით.

გ) საავტომობილო ტრანსპორტით საქართველოს საბაჟო საზღვრის საბაჟო ორგანოს მიერ შერჩეულ ადგილზე (სასაზღვრო გამტარი პუნქტის გარდა) გადმოკვეთის შემთხვევაში – სასაზღვრო კონტროლის განხორციელების შემდეგ საქონლის საბაჟო ორგანოს მიერ შერჩეულ საბაჟო კონტროლის ზონაში (საბაჟო ორგანო, საბაჟო საწყობი, დროებითი შენახვის საწყობი, სხვა საბაჟო კონტროლის ზონა ან საბაჟო ორგანოს მიერ მითი-თებული სხვა ნებისმიერი ადგილი) ფაქტობრივი განთავსებით.

მუხლი 8. საქონლის წარდგენა საბაჟო დამუშავების ოპერაციის ადგილზე

1. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანის დროს, მისი წარდგენა საბაჟო დამუშავების ოპერაციის ადგილზე (საბაჟო ორგანოში), რომელიც მდებარეობს არასასაზღვრო საბაჟო ორგანოს სამოქმედო ტერიტორიაზე, ხორციელდება მოწმობის წარდგენით, რომელიც დადასტურდება მოწმობაში საბაჟო ორგანოს პასუხისმგებელი პირის პირადნომრიანი ბეჭდით, სადაც მიეთითება აგრეთვე დამოწმების თარიღი და დრო.

2. საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საქონლის გატანის დროს მისი წარდგენა საბაჟო დამუშავების ოპერაციის ადგილზე (საბაჟო ორგანოში), რომელიც მდებარეობს:

ა) არასასაზღვრო საბაჟო ორგანოს სამოქმედო ტერიტორიაზე, ხორციელდება მოწმობის წარდგენით, რომელიც დადასტურდება მოწმობაში საბაჟო ორგანოს პასუხისმგებელი პირის პირადნომრიანი ბეჭდით, სადაც მიეთითება აგრეთვე დამოწმების თარიღი და დრო;

ბ) სასაზღვრო საბაჟო ორგანოს სამოქმედო ტერიტორიაზე, ხორციელდება ზოგადი დეკლარირებისათვის საჭირო დოკუმენტების (ზედნადები ან ინვოისი ან კონტრაქტი ან

წარმოშობის სერტიფიკატი) ან სატვირთო მანიფესტის საბაჟო ორგანოსათვის წარდგენით, რომელიც დადასტურდება საბაჟო ორგანოს პასუხისმგებელი პირის პირადნომრიანი ბეჭდით, სადაც მიეთითება აგრეთვე დამოწმების თარიღი და დრო.

მუხლი 9. საქონლის წარდგენა დანიშნულების ადგილზე არასაბაჟო ორგანოში

1. საქონლის დანიშნულების ადგილზე (არასაბაჟო ორგანო) წარდგენის დადასტურების მიზნით ხდება დამოწმება: ამოღებული (8.02.2007 N90)

ა) საბაჟო საწყობის (დროებითი შენახვის საწყობის) მიერ - აღრიცხვის მოწმობის უკანა გვერდზე გაკეთებული აღნიშვნით (ბეჭედი, ხელმოწერა, თარიღი და დრო). დამოწმებული მოწმობის საბაჟო ორგანოსთვის გადაცემის ვალდებულება ეკისრება საბაჟო საწყობს, იმავე ან მე-2 სამუშაო დღის 12 საათამდე;

ბ) სარკინიგზო გადაზიდვების შემთხვევაში – რკინიგზის მიერ სარკინიგზო ზედნადებზე და აღრიცხვის მოწმობის უკანა გვერდზე გაკეთებული აღნიშვნით (შტამპი, ხელმოწერა, თარიღი და დრო). დამოწმებული აღრიცხვის მოწმობისა და სარკინიგზო ზედნადების საბაჟო ორგანოსთვის გადაცემის ვალდებულება ეკისრება სარკინიგზო ზედნადებში მითითებულ ტვირთმიმღებს.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული საქონლისა ან/და სატრანსპორტო საშუალებების წარდგენის თარიღი და დრო ჩაითვლება საბაჟო ორგანოში საქონლისა ან/და სატრანსპორტო საშუალებების წარდგენის დღედ.

მუხლი 10. საქონლის ზოგადი დეკლარირების ზოგადი დებულებანი

1. ზოგადი დეკლარირება არის პირის მიერ, როგორც წესი, საბაჟო საზღვარზე საბაჟო ორგანოებისადმი იმ ზოგადი მონაცემების წარდგენა, რომელიც აუცილებელია შესაბამისი საბაჟო დამუშავების ოპერაციის შერჩევამდე მისი იდენტიფიკაციისათვის, საბაჟო ზედამხედველობისა და საბაჟო კონტროლის განხორციელებისათვის.

2. ზოგად დეკლარირებას ახორციელებს პირი, რომელმაც:

ა) საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოიტანა საქონელი;

ბ) რომელმაც საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანის შემდეგ აიღო პასუხისმგებლობა მის შემდგომ ტრანსპორტირებაზე;

გ) რომელიც მოქმედებს "ა" და "ბ" ქვეპუნქტებში აღნიშნული პირების სახელით.

მუხლი 11. ზოგადი დეკლარირების ცალკეული შემთხვევები

1. საზღვაო და საჰაერო ხომალდებზე ზოგადი დეკლარირება ხდება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე დანიშნულების ნავსადგურში ან აეროპორტში ჩასვლისას, ხოლო საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გასვლის შემთხვევაში იმ საბაჟო ტერიტორიის ნავსადგურში ან აეროპორტში, საიდანაც ისინი გადიან.

2. ცარიელ და მგზავრთა გადამყვან სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებებზე ზოგადი დეკლარირება ხდება საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას.

3. ზოგად დეკლარირებას არ ექვემდებარება საქართველოს საბაჟო საზღვარზე მილსადენითა და ელექტროგადამცემი ხაზებით გადაადგილებული საქონელი.

მუხლი 12. ზოგადი დეკლარირების ფორმები

ზოგადი დეკლარირება ხორციელდება შემდეგი დოკუმენტებიდან ერთ-ერთის წარმოდგენით მაინც:

ა) ზედდებული;

ბ) კონოსამენტი;

გ) ანგარიშფაქტურა;

დ) კონტრაქტი;
ე) საქონლის წარმოშობის სერტიფიკატი

მუხლი 13. საქონლის ზოგადი დეკლარირება სასაზღვრო საბაჟო ორგანოში
ამოღებული (8.02.2007 N90)

1. ზოგადი დეკლარირება უნდა განხორციელდეს ამ ინსტრუქციის მე-7 მუხლის პირობების შესაბამისად წარდგენილი საქონლის სასაზღვრო კონტროლის განხორციელების დასრულებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა.

2. ზოგადი დეკლარირება ხორციელდება (ზოგადი დეკლარირების ფორმა) საბაჟო ორგანოსადმი იმ ზოგადი მონაცემების ამსახველი დოკუმენტების წარდგენით, რომელიც აუცილებელია შესაბამისი საბაჟო დამუშავების ოპერაციის შერჩევამდე მისი იდენტიფიკაციისათვის, საბაჟო ზედამხედველობისა და საბაჟო კონტროლის განხორციელებისათვის (მათ შორის, საბაჟო კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული მოწმობის შევსებისათვის).

3. ზოგადი დეკლარირების მიზნით სასაზღვრო საბაჟო ორგანოში წარდგენილი უნდა იქნეს სატრანსპორტო დოკუმენტები:

ა) საავტომობილო ტრანსპორტით გადაზიდვის დროს – სატრანსპორტო ზედნადები;

ბ) საზღვაო ტრანსპორტით საქონლის შემოტანის დროს – კონოსამენტი;

გ) საჰაერო ტრანსპორტით საქონლის შემოტანის დროს – ავიაზედნადები.

4. ზოგადი დეკლარირების მიზნით ამ მუხლის მე-3 პუნქტში გათვალისწინებული დოკუმენტების გარდა შეიძლება გამოყენებულ იქნას საქონლის თანმხლები სხვა დოკუმენტები:

ა) ხელშეკრულება ან/და ინვოისი;

ბ) წარმოშობის სერტიფიკატი;

გ) საბაჟო გარანტია (ან TIR-კარნეტის დოკუმენტი) _ საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად.

დ) სპეციალური სატვირთო-საბაჟო დეკლარაცია საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად.

ე) აქციზური საქონლის ბარათი საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად.

ვ) ლიცენზია და ნებართვები ,,ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ'' საქართველოს კანონის შესაბამისად, რომელთა წარდგენა აუცილებელია სასაზღვრო საბაჟო ორგანოში:

ვ.ა) დაკვირვების ელექტრონული საშუალებების იმპორტის ლიცენზია.

ვ.ბ) ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტის ნებართვა.

ვ.გ) ფიტოსანიტარულ კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქციის იმპორტის ნებართვა.

ვ.დ) შეზღუდულად ბრუნვადი მასალების იმპორტის ნებართვა.

ვ.ე) ბირთვული, რადიაციული ობიექტების, ბირთვული მასალების, რადიაქტიური ნივთიერებების, რადიაქტიური ნარჩენების, მინერალების (წიაღისეულის), რომლებისგანაც პრაქტიკულად შესაძლებელია ბირთული მასალების მიღება, ყველაფრის, რაც დამზადებულია ბირთვული მასალისაგან ან რადიაქტიური ნივთიერებისაგან ან შეიცავს მათ, როგორც შემადგენელ ნაწილს, აგრეთვე ბირთული ტექნოლოგიების, ან ნოუ-ჰაუების იმპორტის ნებართვა.

ვ.ვ) ,,გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ'' კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი სახეობების, მათი ნაწილებისა და დერივატების იმპორტის ნებართვა.

ვ.ზ) იარაღისა და საბრძოლო მასალის იმპორტის ნებართვა.

ვ.თ) უცხო ქვეყნის და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენელთა, აგრეთვე სხვა მნიშვნელოვან პირთა ვიზიტის დროს მათ თანმხლებ პირთა მიერ იარაღისა და

საბრძოლო მასალის საქართველოში შემოტანის ნებართვა.

ვ.ი) ორმაგი დანიშნულების პროდუქციის იმპორტის ნებართვა.

ვ.კ) სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებების იმპორტის ნებართვა.

ვ.ლ) არაიოდიზებული მარილის იმპორტის ნებართვა.

ზ) ექსპორტიორი ქვეყნის მიერ გაცემული ფიტო ან/და ვეტ სერტიფიკატები.

თ) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტები.

5. ზოგადი დეკლარირების უფლება აქვს საქონლის მფლობელს ან მის წარმომადგენელს.

6. ზოგადი დეკლარირება არ ხორციელდება მილსადენი ტრანსპორტით და ელექტროგადამცემი ხაზებით გადაადგილებულ საქონელზე.

მუხლი 14. ზოგადი დეკლარირების დადასტურება საბაჟო ორგანოს მიერ (8.02.2007 N90)

ზოგადი დეკლარირების დადასტურების მიზნით დეკლარანტის მიერ ამ ინსტრუქციის მე-12 მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტების საბაჟო ორგანოსათვის მიწოდებისთანავე საბაჟო ორგანოს შესაბამისად უფლებამოსილი პირი ახორციელებს მათ დამოწმებას პირადნომრიანი ბეჭდით.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №1771

2006 წლის 20 დეკემბერი

საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქართველოს მთავრობის დადგენილებით განუსაზღვრელ სხვა ადგილებში ან სასაზღვრო საბაჟო ორგანოს არასამუშაო დროს საქონლის შემოტანის წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბაჟო კოდექსის 45-ე მუხლის მე-7 ნაწილისა და საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის N39 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ლ" ქვეპუნქტის საფუძველზე, ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქართველოს მთავრობის დადგენილებით განუსაზღვრელ სხვა ადგილებში ან სასაზღვრო საბაჟო ორგანოს არასამუშაო დროს საქონლის შემოტანის წესის შესახებ" ინსტრუქცია.

2. ბრძანება ამოქმედდეს 2007 წლის 1 იანვრიდან.

ა. ალექსიშვილი

ინსტრუქცია
საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქართველოს მთავრობის დადგენილებით განუსაზღვრელ სხვა ადგილებში ან სასაზღვრო საბაჟო ორგანოს არასამუშაო დროს საქონლის შემოტანის წესის შესახებ

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. საქართველოს საბაჟო საზღვრის გადმოკვეთა საქონლითა და სატრანსპორტო საშუალებებით ნებადართულია საბაჟო ორგანოების სამუშაო დროს და საქართველოს მთავრობის

დადგენილებით განსაზღვრულ ადგილებში.

2. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანა სხვა ადგილებში, რომლებიც განსაზღვრული არ არის საქართველოს მთავრობის დადგენილებით, ან სასაზღვრო საბაჟო ორგანოს არასამუშაო დროს, დაიშვება ამ ინსტრუქციით განსაზღვრული წესით.

მუხლი 2. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანა კანონმდებლობით განუსაზღვრელ ადგილებში

1. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანა და საბაჟო პროცედურების განხორციელება საქართველოს მთავრობის დადგენილებით განუსაზღვრელ ადგილებში (განსაკუთრებულ შემთხვევებში სამხედრო ტექნიკისა და შეიარაღების, ავარიების, დაუძლეველი ძალის მოქმედების შედეგების სალიკვიდაციო, აგრეთვე სამაშველო სამუშაოების შესასრულებლად ტექნიკის შემოტანის, პირუტყვის ჯოგის შემოყვანისა და სხვა ადგილები) დაიშვება საქონლის შემომტანი პირის განცხადების საფუძველზე, მისიეე ხარჯებით და საბაჟო ორგანოსთან შეთანხმებით. განცხადება შეტანილ უნდა იქნეს შესაბამის ტერიტორიულ საბაჟო ორგანოში და ასევე, სასაზღვრო პოლიციის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულში.

2. ტერიტორიულ საბაჟო ორგანოს ენიჭება უფლებამოსილება განიხილოს და გადაწყვიტოს განცხადებაში დასმული საკითხი. გადაწყვეტილება მიიღება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ _ სამართლებრივი აქტის გამოცემით.

3. განცხადება უნდა იყოს წერილობითი ფორმით და შეიცავდეს:

ა) ტერიტორიული საბაჟო ორგანოს დასახელებას;

ბ) განმცხადებლის (ფიზიკური პირი, იურიდიული პირი) ვინაობას (დასახელებას) და მისამართს;

გ) მოთხოვნას (საქონლის შემოტანის უფლება, შემოტანის ადგილის, ავტოსატრანსპორტო საშუალებების, ტექნიკის, საქონლის სახეობის, რაოდენობისა და ღირებულების მითითებით);

დ) განცხადების წარდგენის თარიღს და განმცხადებლის ხელმოწერას;

ე) განცხადებაზე დართული საბუთების ნუსხას, მათი არსებობის შემთხვევაში.

4. განმცხადებელს უფლება აქვს ტერიტორიულ საბაჟო ორგანოს განცხადებასთან ერთად წარუდგინოს ყველა საბუთი, რომელიც შეიძლება საფუძვლად დაედოს განცხადებაში დასმული საკითხის გადაწყვეტას და შესაბამისი ადმინისტრაციული აქტის გამოცემას.

5. ტერიტორიული საბაჟო ორგანო განცხადების მიღების დღესვე ახდენს მის რეგისტრაციას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. განცხადების რეგისტრაციის მომენტიდან ტერიტორიული საბაჟო იწყებს განცხადებაში დასმული საკითხის განხილვას.

7. თუ ტერიტორიული საბაჟოს ხელმძღვანელობა გადაწყვეტს, რომ განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება შესაძლებელია, შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით განსაზღვრავს საბაჟოს პასუხისმგებელ პირებს, რომლებსაც დაევალებათ საზღვრის გადმოკვეთის ადგილიდან მიზანშეწონილ საბაჟო ორგანომდე საქონლის გადაზიდვის ზედამხედველობა და გაცილება.

8. ამ მუხლის მე-7 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში საბაჟო ორგანოს პასუხისმგებელი პირი საბაჟო პროცედურებს დროის უმოკლეს პერიოდში ახორციელებს სასაზღვრო პოლიციის სასაზღვრო გამტარი პუნქტის (ასეთის არსებობის) წარმომადგენლებთან კოორდინაციით და კომპეტენციის ფარგლებში მათი მონაწილეობით.

9. ტერიტორიული საბაჟო ორგანოს ხელმძღვანელობა თავისი გადაწყვეტილების თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობებს განმცხადებელს, აგრეთვე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციას და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს და უგზავნის მათ მიღებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დადგენილი წესით დამოწმებულ ასლებს. (23.04.2007 N404)

10. საბაჟო ორგანოების ზედამხედველობისა და საბაჟო კონტროლის გარეშე ყველა სხვა ადგილებში საქონლითა და სატრანსპორტო საშუალებებით საზღვრის გადაკვეთა განიხილება, როგორც საბაჟო წესების დარღვევა და ისჯება კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 3. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანა სასაზღვრო საბაჟო ორგანოს არასამუშაო დროს

1. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანა სასაზღვრო საბაჟო ორგანოს არასამუშაო დროს დაიშვება საქონლის შემომტანი პირის წერილობითი განცხადების საფუძველზე, მისივე ხარჯებით, საბაჟო ორგანოსთან შეთანხმებით.

2. საბაჟო ორგანოს მიერ პირის განცხადების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება ხორციელდება ამ ინსტრუქციის მე-2 მუხლით განსაზღვრული წესით.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №1764

2006 წლის 20 დეკემბერი

საბაჟო კონტროლის ქვეშ მყოფი საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობის შევსების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბაჟო კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილისა და „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის N39 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის "ლ" ქვეპუნქტის საფუძველზე, ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს ინსტრუქცია "საბაჟო კონტროლის ქვეშ მყოფი საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობის შევსების წესის შესახებ" თანდართულ დანართებთან ერთად (დანართი N1, დანართი N2).

2. ამ ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საბაჟო კონტროლის ქვეშ საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობის შევსების წესის შესახებ" ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 17 მარტის N217 ბრძანება.

3. ბრძანება ამოქმედდეს 2007 წლის 1 იანვრიდან.

ა. ალექსიშვილი

ინსტრუქცია
საბაჟო კონტროლის ქვეშ მყოფი საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობის შევსების წესის შესახებ

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1.

საქონლის და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო საზღვარზე შემოტანის, ასევე საბაჟო ტერიტორიაზე საბაჟო კონტროლის ქვეშ გადაადგილების დროს საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო კონტროლი და აღრიცხვა ხორციელდება „საბაჟო კონტროლის ქვეშ საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობით" (შემდგომში - მოწმობა) და „საბაჟო კონტროლის ქვეშ საქონლისა და სატრანსპორტო

საშუალების აღრიცხვის მოწმობა N2-ით" (შემდგომში - მოწმობა N2) (დანართი N1 და დანართი N2).

მუხლი 2.

ინსტრუქციაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები:

ა) სასაქონლო პარტია _ ერთი ან რამდენიმე დასახელების საქონელი, გაგზავნილი ერთი სატრანსპორტო საშუალებით (სარკინიგზო ტრანსპორტის შემთხვევაში ერთი ან რამოდენიმე დასახელების საქონელი, გაგზავნილი ერთი გამგზავნის მიერ ერთი მიმღების მისამართით, წარდგენილი საბაჟო გაფორმებისათვის ერთდროულად, ერთი შემადგენლობით);

ბ) სატრანსპორტო დოკუმენტები _ სატარანსპორტო ზედდებული, კონოსამენტი ან საქონლის თანხმლები სხვა დოკუმენტები, რომელთა საფუძველზეც ხორციელდება საქონლის საერთაშორისო დასან საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საბაჟო კონტროლის ქვეშ მათი გადაზიდვა;

გ) საერთო წონა _ დატვირთული სატრანსპორტო საშუალების წონა საქონელთან ერთად;

დ) წონა _ საქონლის წონა თანდართული სატრანსპორტო დოკუმენტების მიხედვით, ან მისი ფიზიკური აწონვის შემდგომ;

ე) გამგზავნი საბაჟო ორგანო – საბაჟო ორგანო, რომელიც ახორციელებს მოწმობის შევსებას და საიდანაც იწყება საქონლის და სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილებაზე კონტროლი (მათ შორის საზღვაო ტრანსპორტიდან საქონლის და სატრანსპორტო საშუალებების გადმოტვირთვის ან სატრასპორტო საშუალების შეცვლის ან გადამისამართების დროს).

ვ) დანიშნულების საბაჟო _ საბაჟო ორგანო, სადაც უნდა დამთავრდეს საქონლის და სატრანსპორტო საშუალების გადაადგილება და/ან გადაადგილებაზე კონტროლი; (8.02.2007 N99)

ზ) დანიშნულების ადგილი _ არასაბაჟო ორგანო (დროებითი შენახვის საწყობი, საბაჟო საწყობი, რკინიგზის სადგური, პორტი, აგრეთვე კანონმდებლობით დადგენილი სხვა ადგილი), სადაც უნდა დამთავრდეს საქონლის და სატრანსპორტო საშუალების გადაადგილება. (8.02.2007 N99)

თ) გადამისამართება _ საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების დანიშნულების ადგილის ან/და დანიშნულების საბაჟოს ან/და იმპორტიორის (საქონლის მიმღების) შეცვლა. (8.02.2007 N99)

მუხლი 3.

აღნიშნული მოწმობით ხორციელდება:

ა) საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქართველოში არარეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების საბაჟო დამუშავების ოპერაციის განხორციელების ადგილამდე მიტანის ან საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანიდან მის გატანამდე (გარდა ტრანზიტის საბაჟო რეჟიმით გადაადგილებისა) 20-დღიანი ვადის კონტროლი და აღრიცხვა. (8.02.2007 N99)

ბ) საბაჟო ტერიტორიაზე ტრანზიტის საბაჟო რეჟიმით გადაადგილებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო კონტროლი და აღრიცხვა;

გ) საბაჟო დამუშავების ოპერაციის განსაზღვრის შემდეგ საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გასატანი საქონლის საბაჟო კონტროლი და აღრიცხვა;

დ) საბაჟო საზღვრის გადმომკვეთი საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო კონტროლი და აღრიცხვა, თუ მათზე საბაჟო დამუშავების ოპერაცია არ ხდება საბაჟო გამშვებ პუნქტში ან საბაჟო საგუშაგოზე;

ე) საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ორ სხვადასხვა საბაჟო კონტროლის ზონას შორის გადაადგილებული საბაჟო კონტროლის ქვეშ მყოფი საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო კონტროლი და აღრიცხვა;

ვ) საბაჟო კონტროლის ქვეშ გადაადგილებული ერთი სატრანსპორტო საშუალებიდან მეორე სატრანსპორტო საშუალებაზე გადატვირთული საქონლის საბაჟო კონტროლი და აღრიცხვა, გარდა საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტზე საქონლის გადატვირთვისას;

ზ) საბაჟო კონტროლის ქვეშ გადაადგილებული სატრანსპორტო საშუალებებიდან საქონლის ნაწილის გადმოტვირთვის ან საქონლის დამატებით დატვირთვის შემთხვევაში სატრანსპორტო საშუალებებში დარჩენილი ან დამატებული და გადაადგილებული საქონლის საბაჟო კონტროლი და აღრიცხვა;

თ) საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საბაჟო კონტროლის ქვეშ სხვა საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილების საბაჟო კონტროლი და აღრიცხვა;

ი) სასაზღვრო საბაჟო ორგანოში ფიზიკური პირის მიერ მსუბუქი ავტომანქანით შემოტანილი საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრულ დაუბეგრავ მინიმუმზე მეტი პირადი ნივთების კონტროლი და აღრიცხვა. თუ შეუძლებელია საქონლის იდენტიფიკაცია, მაშინ მასზე განხორციელდება შესაბამისი საიდენტიფიკაციო საშუალებების ნიშანდება.

კ) საქართველოს საბაჟო კოდექსის 171-ე მუხლის შესაბამისად იმპორტის გადასახდელებისაგან (გარდა საბაჟო მოსაკრებლისა) გათავისუფლებული დაბრუნებული საქონლის ან/და საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი სასაზღვრო საბაჟო ორგანოს მიერ უკან დაბრუნებული საქონლის საბაჟო კონტროლი და აღრიცხვა. (8.02.2007 N99)

მუხლი 4.

აღნიშნული მოწმობა არ გამოიწერება:

ა) მგზავრთა საერთაშორისო გადაყვანისათვის გამოყენებულ სატრანსპორტო საშუალებებზე, თუ ისინი საერთაშორისო შეთანხმებების საფუძველზე ასრულებენ რეგულარულ რეისებს;

ბ) ცარიელ სარკინიგზო შემადგენლობაზე და საქართველოში რეგისტრირებულ სატრანსპორტო საშუალებებზე;

გ) TIR წიგნაკით გადაადგილებულ საქონელსა და სატრანსპორტო საშუალებებზე, გარდა საზღვაო პორტიდან ათი კილომეტრის რადიუსში განლაგებულ საბაჟო საწყობში TIR-კარნეტით გადაადგილებული საქონლისა;

დ) მილსადენი ტრანსპორტით და ელექტროგადამცემი ხაზებით გადაადგილებულ საქონელზე.

ე) ორ მომიჯნავე საბაჟო კონტროლის ზონას (გარდა შესაბამისი ნებართვის მფლობელის რომელიმე სახეობის საბაჟო საწყობისა) შორის სარკინიგზო ტრანსპორტით გადაადგილებულ საქონელზე. (16.07.2007 N 890)

ვ) უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მიერ გადაადგილებულ, უცხოეთში რეგისტრირებულ მსუბუქ ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე. (23.07.2007 N927)

მუხლი 5.

1. მოწმობის გამოწერას ახორციელებს გამგზავნი საბაჟო ორგანო, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2. საზღვაო პორტიდან 10 კილომეტრის რადიუსში განლაგებულ საბაჟო საწყობში, ასევე საწყობიდან პორტში გადაადგილებულ საქონელზე გამოიწერება მოწმობა N2 (დანართი N2-ის შესაბამისად) გამგზავნი საბაჟო ორგანოს მიერ, თუ არ ხდება სხვა ქვეყნის შესაბამისი ორგანოს მიერ დადებული ლუქის ახსნა. საზღვაო გზით საბაჟო საწყობში გადაადგიელებულ საქონელზე დეკლარანტს შეუძლია წინასწარ გამოწეროს

მოწმობა და წარუდგენოს საბაჟო ორგანოს. იმ შემთხვევაში, თუ არ არის ცნობილი შესაბამისი კონტეინერების გადამაადგილებელი სატრანსპორტო საშუალებების რეკვიზიტები, საბაჟო მოხელეს ხელით შეაქვს ეს რეკვიზიტები საქონლის საზღვაო პორტიდან გასვლის დროს. საზღვაო პორტიდან საბაჟო საწყობში საქონლის შესვლის დროს საწყობის მფლობელი აკეთებს შესაბამის აღნიშვნას მოწმობის უკანა გვერდზე, ხოლო საბაჟო მოხელე მოხსნის მოწმობას კონტროლიდან და საქონლის საბაჟო საწყობიდან გასვლის შემთხვევაში გამოწერს ახალ მოწმობას. (9.03.2007 N188)

3. მილსადენი და ელექტროგადამცემი ხაზებით გადაადგილებული, ასევე საზღვაო ტრანსპორტით საქართველოდან ტრანზიტით გასატანი საქონლის (გარდა კონტეინერებში და სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებებში განთავსებულისა) საბაჟო კონტროლიდან მოხსნა ხდება შესაბამისი სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის საფუძველზე.

4. გამგზავნი საბაჟო ორგანო საქონლის საავტომობილო ტრანსპორტით (მ. შ. მისაბმელით) შემოტანისას (გარდა საზღვაო ტრანსპორტით შემოტანილი და ავტოსატრანსპორტო საშუალებით საზღვაო პორტიდან 10 კილომეტრის რადიუსში განლაგებულ საბაჟო საწყობში გადაადგილებულისა) ახორციელებს აღნიშნული სატრანსპორტო საშუალების დამატებით სავალდებულო დალუქვას ქვეყნის ტერიტორიაზე გადაადგილებული საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის კონტროლის გაძლიერების მიზნით.

5. საბაჟო ორგანოს მიერ დამატებითი ლუქის დადება სხვა ქვეყნის მიერ დალუქულ სატრანსპორტო საშუალებაზე არ იწვევს საბაჟო ორგანოს შესაბამისი მოხელის პასუხისმგებლობას დეკლარანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე შევსებული მოწმობის სათანადო მონაცემების ფაქტობრივ მონაცემებთან სიზუსტის მიმართ.

6. ფიზიკური პირის მიერ მსუბუქი ავტომანქანით საქართველოს საგადასახადო კოდექსის 2705-ე მუხლის "ლ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დაუბეგრავ მინიმუმზე მეტი საქონლის ტრანზიტის საბაჟო რეჟიმით გადაადგილების შემთხვევაში გამგზავნი საბაჟო ორგანოს მიერ მოწმობა გამოიწერება ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე და აღრიცხვის მოწმობის მე-19 გრაფაში მიეთითება "ფიზიკური პირის დეკლარაციის" კოდი. (8.02.2007 N99)

7. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქართველოში არარეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების საბაჟო დამუშავების ოპერაციის განხორციელების ადგილამდე მიტანის ან საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანიდან მის გატანამდე (გარდა ტრანზიტის საბაჟო რეჟიმით გადაადგილებისა) 20-დღიანი ვადით გადაადგილების დროს, თუ პირს თან აქვს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 2705-ე მუხლის "ლ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დაუბეგრავ მინიმუმზე მეტი საქონელი, გამოიწერება მოწმობა ცალ-ცალკე ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე და საქონელზე, ხოლო ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე გამოწერილი მოწმობის მე-19 გრაფაში მიეთითება საქონელზე გამოწერილი აღრიცხვის მოწმობის კოდი "საბაჟო დეკლარაციის სახეების, ფორმების, შევსების, წარდგენის, დაბრუნების, შეცვლის რეგისტრაციის და მონაცემთა ბაზის ელექტრონული დამუშავების სისტემის გამოყენებით, ზეპირი დეკლარირებით ან სხვა მოქმედებების განხორციელებით საბაჟო დეკლარაციის წარდგენის, ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაციის ფორმისა და შევსების წესების შესახებ ინსტრუქციების და საბაჟო დეკლარირების კლასიფიკატორის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 20 დეკემბრის N1776 ბრძანების N18 დანართის მე-11 ნაწილით განსაზღვრული "საქონლის მიმართ საბაჟო დამუშავების ოპერაციების განხორციელებისათვის საბაჟო ორგანოში წარსადგენი დოკუმენტების კლასიფიკატორის" მიხედვით და სტამბური ნომერი. (8.02.2007 N99)

8. ამ ინსტრუქციის მე-3 მუხლის "კ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სასაზღვრო საბაჟო ორგანო ერთდროულად ახორციელებს მოწმობის გამოწერას და მის კონტროლიდან მოხსნას. (8.02.2007 N99)

მუხლი 6. (8.02.2007 N99)

1. მოწმობის კონტროლიდან მოხსნა ხორციელდება დანიშნულების საბაჟო ორგანოს მიერ, სადაც მთავრდება საქონლის და სატრანსპორტო საშუალების გადაადგილება ან გადაადგილებაზე კონტროლი ან სადაც მოხდა საქონლის სხვა სატრანსპორტო საშუალებაში გადატვირთვა ან გადამისამართება. იმ შემთხვევაში, როდესაც მოწმობაში დაფიქსირებული დანიშნულების საბაჟო ორგანოს ნაცვლად საქონელი და/ან სატრანსპორტო საშუალება საბაჟო საზღვარს კვეთს სხვა საბაჟო ორგანოში ან სხვა საბაჟო ორგანოში ხორციელდება ნებისმიერ საბაჟო რეჟიმში საბაჟო დამუშავების ოპერაცია, მაშინ საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების გადამისამართება ხორციელდება დაინტერესებული პირის მოტივირებული თხოვნით (სიტყვიერი, სატელეფონო, წერილობითი), შემოსაელების სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული წესით. (23.04.2007 N408)

2. მოწმობით განსაზღვრული ვადის დარღვევის შემდეგ მოწმობის დუბლიკატის საფუძველზე კანონმდებლობით დადგენილი წესით მოწმობის კონტროლიდან მოხსნა დაიშვება, იმ შემთხვევაში, როცა:

ა) დანიშნულების საბაჟო ორგანოში (სასაზღვრო საბაჟო ორგანო) არ არის წარმოდგენილი მოწმობის კომპლექტის შესაბამისი ფურცლის ორიგინალი, ამასთან დანიშნულების საბაჟო ორგანოში (სასაზღვრო საბაჟო ორგანო) წარმოდგენილია მოწმობის მე-20 გრაფაში "პასუხისმგებელი" მითითებული პირის (ან მისი წარმომადგენლის) მიერ წარდგენილი მოწმობის დუბლიკატი. მოწმობა კონტროლიდან იხსნება შესაბამისი სამართალწარმოების განხორციელებისა და საბაჟო ვალდებულებების შესრულების შემდეგ.

ბ) დანიშნულების საბაჟო ორგანოში (სასაზღვრო საბაჟო ორგანო) არ არის წარმოდგენილი მოწმობის კომპლექტის შესაბამისი ფურცლის ორიგინალი, ამასთან დანიშნულების საბაჟო ორგანოში (სასაზღვრო საბაჟო ორგანო) წარმოდგენილია მოწმობის დუბლიკატი, საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთის დამადასტურებელი დოკუმენტები (წერილობითი დასტური საქართველოს სასაზღვრო პოლიციიდან, საბაჟო ორგანოს უფროსის მიერ დამოწმებული ჩანაწერი საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოსვლის/ტერიტორიიდან გასვლის აღრიცხვის ჟურნალში, ფიტოსანიტარიული და ვეტერინარულ სასაზღვრო სკარანტინო კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის შემთხვევაში საბაჟო ორგანოს უფროსის მიერ დამოწმებული ჩანაწერი სანიტარული აღრიცხვის ჟურნალში ან/და საერთაშორისო შეთანხმების ფარგლებში უცხო ქვეყნის საბაჟო ორგანოდან მიღებული ინფორმაცია ან/და საგამოძიებო და სხვა უფლებამოსილი ორგანოებიდან მიღებული ინფორმაცია). აღნიშნულის შესახებ საბაჟო ორგანო ადგენს აქტს.

მუხლი 7.

მოწმობის შევსებასთან დაკავშირებული ზოგადი დებულებები:

ა) მოწმობა ივსება დეკლარანტის მიერ წარმოდგენილი სატრასპორტო დოკუმენტების საფუძველზე.

ბ) საბაჟო შემოწმების განხორციელების შემთხვევაში, მოწმობა ივსება შემოწმების შედეგების მონაცემების საფუძველზე. საბაჟო-გამშვებ პუნქტზე საბაჟო შემოწმების ჩატარების შეუძლებლობის შემთხვევაში, მოწმობა ივსება წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე და ხორციელდება საქონლის გადაადგილება უახლოეს საბაჟო ორგანომდე ან კანონმდებლობით დადგენილ სხვა (არა საბაჟო ორგანო) ადგილამდე საბაჟო გაცილების თანხლებით შემდგომი საბაჟო შემოწმების განხორციელების მიზნით. აღნიშნულ მოწმობაზე დაისმება შტამპი ,,ექვემდებარება შემოწმებას".

გ) ერთი მოწმობა ივსება მხოლოდ ერთ სასაქონლო პარტიაზე.

დ) მოწმობა ივსება ქართულ ენაზე კომპიუტერის საბეჭდი მოწყობილობის გამოყენებით. დასაშვებია მე-9 გრაფაში მონაცემების ხელით ჩაწერა, რაც დადასტურებული უნდა იყოს საბაჟო მოხელის პირადნომრიანი ბეჭდით;

ე) დასაშვებია მოწმობის ხელით შევსებაც. ინფორმაცია ხელით შევსებული მოწმობის ბლანკების სტამბური ნომრების, ასევე გახსნილი და დახურული TIR-კარნეტების შესახებ ეგზაუნება შემოსავლების სამსახურს, ხოლო ხელით შევსებული ბლანკების და TIR-კარნეტების მონაცემები პირველივე შესაძლებლობისთანავე შეიტანება ერთიან სისტემაში ელექტრონული სახით, დადგენილი წესით. (23.04.2007 N408)

ვ) დასაშვებია მოწმობის უკანა გვერდის გამოყენება სხვადასხვა მაკონტროლებელი ორგანოების შენიშვნების, აღნიშვნებისა და დამღებისათვის, აგრეთვე საქონლის დაბრუნების დროს საბაჟო ორგანოს მიერ დამღის დასმისათვის: ,,დაბრუნებულია საქონელი".

ზ) მოწმობის კომპლექტი შედგება 3 სხვადასხვა ფერის (ყვითელი, ცისფერი და ვარდისფერი) ფურცლისაგან და ნაწილდება შემდეგნაირად:

ზ.ა) პირველი ფურცელი (ყვითელი) ეგზაუნება შემოსავლების სამსახურს დადგენილი წესით; (23.04.2007 N408)

ზ.ბ) მეორე ფურცელი (ცისფერი) თან მიყვება საქონელსა და სატრანსპორტო საშუალებას დანიშნულების საბაჟო ორგანომდე, რჩება საბაჟო ორგანოში და ეგზაუნება შემოსავლების სამსახურს დადგენილი წესით; (23.04.2007 N408)

ზ.გ) მესამე ფურცელი (ვარდისფერი) რჩება დეკლარანტს ან გადამზიდველს, თუ საბაჟო კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული; (8.02.2007 N99)

თ) კონტროლზე აყვანისას მოწმობის სამივე ეგზემპლარზე დასაშვებია 1, 6, 9, 11, 13, 19, 20 და 24 გრაფებში შეტანილი არასწორი მონაცემების შესწორება ძველი მონაცემების გადახაზვით და ახალი მონაცემების ხელით შეტანით, რაც დამოწმებული უნდა იყოს საბაჟო მოხელის პირადნომრიანი ბეჭდით.

ი) დეკლარანტს უფლება აქვს, წინასწარ ელექტრონული სახით შევსებული მოწმობა მიაწოდოს საბაჟო ორგანოს.

კ) უცხოეთში რეგისტრირებული სატვირთო ავტომანქანებით საქართველოში საქონლის შემოტანის შემთხვევაში მოწმობა კონტროლიდან იხსნება დანიშნულების საბაჟო ორგანოში, ხოლო სატრანსპორტო საშუალებამ საქართველოს საბაჟო ტერიტორია უნდა დატოვოს შემოსვლის დროს აღრიცხვის მოწმობის გამოწერის თარიღიდან არაუგვიანეს 20 დღის ვადაში. თუ ასეთი სატრანსპორტო საშუალება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე დაიტვირთება გასატანი საქონლით, ახალი აღრიცხვის მოწმობის გამომწერი საბაჟო ორგანო მოითხოვს შემოსვლის დროს გამოწერილი მოწმობის ვარდისფერ ფურცელს, რომლის უკანა გვერდზე აკეთებს აღნიშვნას ახალი მოწმობის გამოწერის შესახებ (ახალი მოწმობის ნომრის მითითებით), რაც დამოწმდება უფლებამოსილი მოხელის ხელმოწერით, თარიღითა და პირადნომრიანი ბეჭდის დასმით. ავტოსატრანსპორტო საშუალების (ცარიელის ან დატვირთულის) მფლობელი გამსვლელ (დანიშნულების) საბაჟო ორგანოს უტოვებს საქართველოში შემოტანისას გამოწერილი მოწმობის ვარდისფერ ფურცელს, რომლის უკანა გვერდზე საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირი აკეთებს აღნიშვნას სატრანსპორტო საშუალების გასვლის შესახებ ხელმოწერით, თარიღითა და პირადნომრიანი ბეჭდის დასმით. (8.02.2007 N99)

მუხლი 8.

მოწმობა N2-ის შევსებასთან დაკავშირებული ზოგადი დებულებები

1. მოწმობა ივსება გადამზიდველის მიერ, გარდა იმ გრაფებისა, რაც ივსება საბაჟო ორგანოს მიერ ამ ინსტრუქციის მე-11 მუხლით გათვალისწინებული წესით.

2. ერთი მოწმობა ივსება ერთ სატრანსპორტო საშუალებაზე.

3. მოწმობა ივსება ქართულ ენაზე ხელით ან კომპიუტერის საბეჭდი მოწყობილობის გამოყენებით.

4. დასაშვებია საბაჟო ორგანოს მიერ გრაფებში შეტანილი არასწორი მონაცემების შესწორება ძველი მონაცემების გადახაზვით და ახალი მონაცემების ხელით შეტანით, რაც დამოწმებულ უნდა იქნას საბაჟო მოხელის პირადნომრიანი ბეჭდით.

5. დასაშვებია მოწმობის უკანა გვერდის გამოყენება სხვადასხვა მაკონტროლებელი ორგანოების შენიშვნების, აღნიშვნებისა და დამღებისათვის.

6. შევსებული მოწმობის ყველა ეგზემპლარი წარედგინება საბაჟო მოხელეს, რომელიც დაარეგისტრირებს მათ, დაამოწმებს პირადნომრიანი ბეჭდით და ხელმოწერით.

7. მოწმობის კომპლექტი შედგება ექვსი სხვადასხვა ფერის (თეთრი, ყვითელი, ვარდისფერი, მწვანე და ორი ცისფერი) ფურცლისაგან და ნაწილდება შემდეგნაირად:

ა) პირველი ფურცელი (თეთრი) რჩება საბაჟო კონტროლზე აყვანისას და ეგზავნება შემოსავლების სამსახურს დადგენილი წესით; (23.04.2007 N408)

ბ) მეორე ფურცელი (ყვითელი) რჩება საზღვაო პორტს;

გ) მესამე ფურცელი (ვარდისფერი) რჩება საზღვაო პორტის დაცვას;

დ) მეოთხე ფურცელი (მწვანე) რჩება საბაჟო ორგანოს კონტროლიდან მოხსნისას და ეგზავნება შემოსავლების სამსახურს დადგენილი წესით; (23.04.2007 N408)

ე) მეხუთე ფურცელი (ცისფერი) რჩება საბაჟო საწყობს;

ვ) მეექვსე ფურცელი (ცისფერი) რჩება საბაჟო გადამზიდველს.

მუხლი 9. (23.04.2007 N408)

საბაჟო ორგანოს მიერ მოწმობის, მოწმობა N2-ის და TIR-ის რეგისტრაცია და კონტროლიდან მოხსნა რეგისტრირდება სპეციალურ რეგისტრაციის ჟურნალში. შემოსვლაზე იწარმოება ცალკე ჟურნალი, ხოლო გასვლაზე ცალკე. ამ ინსტრუქციის მე-7 და მე-8 მუხლებით გათვალისწინებული მოწმობა, მოწმობა N2 და TIR წიგნაკის ფურცლები (ყვითელი და მწვანე), შემოსავლების სამსახურის შესაბამის სამმართველოს ეგზავნება საბაჟო გამშვები პუნქტების (საბაჟო საგუშაგოების) მიერ, საბაჟო დამუშავების ადგილების მიხედვით სისტემატიზირებული. კონტროლზე აყვანისას და კონტროლიდან მოხსნისას, არაუგვიანეს მეორე დღისა, მოწმობები ეგზავნება რეგიონალურ საბაჟოებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მათი შემოსავლების სამსახურის შესაბამის სამმართველოში გადაგზავნას. მოწმობაში და ინფორმაციის პროგრამა "ASYCUDA"-ს მონაცემთა ბაზაში ნებისმიერ ცვლილების შეტანისას დგება აქტი რომელიც შესაბამის აღრიცხვის მოწმობასთან ერთად იგზავნება შესაბამის სამმართველოში.

მუხლი 10.

საბაჟო ორგანოს მიერ მოწმობის შევსებისას ან კონტროლიდან მოხსნისას, შეიძლება მოთხოვნილ იქნეს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებითი საბუთები და/ან ცნობები.

თავი II. მოწმობის და მოწმობა N2-ის შევსების წესი

მუხლი 11. მოწმობის შევსების წესი

ა) გამგზავნი საბაჟო ორგანოს მიერ ივსება შემდეგი გრაფები: 1, 2, 4, 5, 6, 7, 7ა, 8, 8ა, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, A, B, C.

ბ) გრაფა A გრაფაში აღინიშნება გამგზავნი საბაჟო ორგანოს ხუთნიშნა ციფრული კოდი და დასახელება.

გ) გრაფა 1 - „ექსპორტიორი" - აღინიშნება საქონლის გამომგზავნის (გამომგზავნების) რეკვიზიტები:

გ.ა) იურიდიული პირის ან მისი სტრუქტურული ქვედანაყოფის სახელწოდება და იურიდიული მისამართი. თუ გამომგზავნი ერთზე მეტია, გრაფაში შედის ყველა მიმღების რეკვიზიტები.

გ.ბ) ფიზიკური პირის შემთხვევაში სახელი და გვარი, მისამართი და პასპორტის ნომერი;

გ.გ) ერთზე მეტი ფიზიკური პირის შემთხვევაში აღნიშნულ გრაფაში მიეთითება "იხ. დანართი" და მოწმობას თან დაერთვის საბაჟო მოხელის მიერ პირადნომრიანი ბეჭდით დამოწმებული პირების სრული სია მათი კუთვნილი საქონლის რაოდენობა ადგილების მითითებით;

გ.დ) საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქართველოში არარეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების საბაჟო დამუშავების ოპერაციის განხორციელების ადგილამდე მიტანის ან საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანიდან მის გატანამდე (გარდა ტრანზიტის საბაჟო რეჟიმით გადაადგილებისა) 20-დღიანი ვადით შემოტანისას გრაფაში ჩაიწერება ამ სატრანსპორტო საშუალების გადაადგილებაზე პასუხისმგებელი პირის რეკვიზიტები; (8.02.2007 N99)

გ.ე) ტრანზიტულად გადაადგილებული ცარიელი ავტოსატრანსპორტო საშუალებების შემთხვევაში - მძღოლის სახელი და გვარი, მისამართი და პასპორტის ნომერი.

დ) გრაფა 2 „ფორმები" - გრაფაში აღინიშნება „1".

ე) გრაფა 3 გრაფაში აღინიშნება: საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საქართველოში გადაადგილებისას თავისუფალი მიმოქცევის (იმპორტის) საბაჟო რეჟიმში მოსაქცევად - ციფრი "40", ექსპორტის საბაჟო რეჟიმისათვის - "10", ტრანზიტის საბაჟო რეჟიმისათვის - "80" (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რეექსპორტისათვის – "11", დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმისათვის – ციფრი "31". იმ შემთხვევაში, როდესაც ერთი სატრანსპორტო საშუალებით ერთდროულად გადაადგილდება თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების (იმპორტის) საბაჟო რეჟიმში მოსაქცევად და ტრანზიტის საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონელი, გრაფაში აღინიშნება– ციფრი "48", ხოლო, როდესაც ერთი სატრანსპორტო საშუალებით გადაადგილდება ტრანზიტის რეჟიმში მოქცეული საქონელი, რომელსაც საქართველოს ტერიტორიაზე ემატება ექსპორტის რეჟიმში მოქცეული საქონელი, ახალი მოწმობის გრაფაში აღინიშნება– ციფრი "81". საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქართველოში არარეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების საბაჟო დამუშავების ოპერაციის განხორციელების ადგილამდე მიტანის ან საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანიდან მის გატანამდე (გარდა ტრანზიტის საბაჟო რეჟიმით გადაადგილებისა) 20-დღიანი ვადით შემოტანისას – ციფრი "20", საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი საქონლის სასაზღვრო საბაჟო ორგანოს მიერ უკან დაბრუნების შემთხვევაში – ციფრი "15", საქართველოს საბაჟო კოდექსის 171-ე მუხლის საფუძველზე საბაჟო გადასახდელებისაგან(გარდა საბაჟო მოსაკრებლისა) გათავისუფლებული დაბრუნებული საქონლის შემთხვევაში – ციფრი "27". (8.02.2007 N99)

ვ) გრაფა 4 - „საქონლის რაოდენობა" - აღინიშნება:

ვ.ა) საქონლის რაოდენობა;

ვ.ბ) 1 – რამოდენიმე ფიზიკური პირის მიერ საქონლის (რამოდენიმე დასახელების საქონლის) შემოტანის შემთხვევაში, როდესაც აუცილებელია მისი რაოდენობის, სახეობის და საბაჟო კონტროლისა და საბაჟო დამუშავებისათვის საჭირო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მონაცემების დაზუსტება.

ზ) გრაფა 5 „ადგილების რაოდენობა" გრაფაში აღინიშნება:

ზ.ა) სასაქონლო პარტიის ადგილების საერთო რაოდენობა, რაც მოცემულია სატრან-

სპორტო დოკუმენტებში. არარსებობის შემთხვევაში აღინიშნება „1";

ზ.ბ) საქონლისათვის, რომელიც გადაიზიდება კონტეინერებით, ყუთებით, ქვეშით და ა.შ. რაოდენობა იმ უმცირესი შეფუთვისა, რომელიც მოცემულია სატრანსპორტო დოკუმენტებში, როგორც სატვირთო ადგილი;

ზ.გ) იმ უმცირესი შეფუთვის რაოდენობა, რითაც შესაძლებელია მათი კუთვნილების იდენტიფიცირება, რამოდენიმე ფიზიკური პირის მიერ საქონლის (რამოდენიმე დასახელების საქონლის) შემოტანის შემთხვევაში, როდესაც აუცილებელია მისი რაოდენობის, სახეობის და საბაჟო კონტროლისა და გაფორმებისათვის საჭირო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მონაცემების დაზუსტება.

თ) გრაფა 6 - „იმპორტიორი" - აღინიშნება:

თ.ა) საქონლის მიმღების (მიმღებების) რეკვიზიტები:

თ.ა.ა.) თუ საქონლის მიმღები იურიდიული პირია, მისი სრული სახელწოდება და მისამართი;

თ.ა.ბ)თუ საქონლის მიმღები ფიზიკური პირია, გრაფაში აღინიშნება მისი სახელი, გვარი, მისამართი და პირადობის მოწმობაში აღნიშნული პირადი ნომერი (საიდენტიფიკაციო ნომერი); (8.02.2007 N99)

თ.ბ) ერთზე მეტი ფიზიკური პირის შემთხვევაში აღნიშნულ გრაფაში მიეთითება „იხ. დანართი" და მოწმობას თან დაერთვის საბაჟო მოხელის მიერ პირადნომრიანი ბეჭდით დამოწმებული პირების სრული სია მათი კუთვნილი საქონლის ადგილების მითითებით;

თ.გ) საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქართველოში არარეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების საბაჟო დამუშავების ოპერაციის განხორციელების ადგილამდე მიტანის ან საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანიდან მის გატანამდე (გარდა ტრანზიტის საბაჟო რეჟიმით გადაადგილებისა) 20-დღიანი ვადით შემოტანისას გრაფაში ჩაიწერება ამ სატრანსპორტო საშუალების გადაადგილებაზე პასუხისმგებელი პირის რეკვიზიტები; (8.02.2007 N99)

თ.დ) ტრანზიტულად გადაადგილებული ცარიელი ავტოსატრანსპორტო საშუალებების შემთხვევაში - მძღოლის სახელი და გვარი, მისამართი და პასპორტის ნომერი.

ი) გრაფა 7 - „გამომგზავნი ქვეყანა" აღინიშნება საქონლის გამომგზავნი ქვეყნის მოკლე დასახელება. გამომგზავნი ქვეყანა განისაზღვრება სატრანსპორტო დოკუმენტებში მოყვანილი ცნობების საფუძველზე, რომელთა თანახმად ხორციელდებოდა საქონლის საერთაშორისო გადაზიდვა, ხოლო თუ გამომგზავნი ქვეყანა რამოდენიმეა, მიეთითება პირველი.

კ) გრაფა 7ა - „გამომგზავნი ქვეყნის კოდი" - გრაფაში აღინიშნება საქონლის გამომგზავნი ქვეყნის ციფრული კოდი.

ლ) გრაფა 8 - „დანიშნულების ქვეყანა" - გრაფაში მიეთითება დანიშნულების ქვეყნის მოკლე დასახელება, ხოლო თუ დანიშნულების ქვეყანა რამოდენიმეა მიეთითება პირველი.

მ) გრაფა 8ა - „დანიშნულების ქვეყნის კოდი" - გრაფაში აღინიშნება დანიშნულების ქვეყნის ციფრული კოდი.

ნ) გრაფა 9 _ "სატრანსპორტო საშუალება ქვეყანაში" _ გრაფაში აღინიშნება სატრანსპორტო საშუალების მონაცემები, რომლითაც ხდება ქვეყნის შიგნით საქონლის მიწოდება დანიშნულების საბაჟო ორგანომდე (პირველ რიგში სატრანსპორტო საშუალების სასაქონლო კოდი ოთხნიშნა ქვესუბპოზიციის დონეზე - საგარეო ეკონომიური საქმიანობის სასაქონლო ეროვნული ნომენკლატურის შესაბამისად; საზღვაო სატრანსპორტო საშუალების დასახელება, საჰაერო ხომალდის რეისის და ბორტის ნომრები, ავტოტრანსპორტის სარეგისტრაციო ნომერი). სარკინიგზო გადაზიდვების შემთხვევაში გრაფაში იწერება "იხ. დანართი" და მოწმობის ორივე ეგზემპლიარს დაერთვის სარკინიგზო ვაგონის, კონტეინერის და საბაჟო ორგანოს მიერ დადებული ლუქის ნომრები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

(8.02.2007 N99)

ო) გრაფა 10 - „კონტეინერი" - აღინიშნება:

ო.ა) 1 - თუ საქონელი იგზავნება კონტეინერით, ხოლო კონტეინერის ნომრები მითითება მოწმობის 13-ე გრაფაში;

ო.ბ) 0 - თუ საქონელი არ იგზავნება კონტეინერით.

პ) გრაფა 11 „სატრანსპორტო საშუალება საზღვარზე" გრაფაში აღინიშნება სატარნსპორტო საშუალების მონაცემები, რომლითაც საქონელი მიწოდებულ იქნა საქართველოს საბაჟო საზღვრამდე (საზღვაო სატრანსპორტო საშუალების დასახელება, საჰაერო ხომალდის რეისისა და ბორტის ნომრები, რკინიგზის ვაგონის ნომერი, ავტოსატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო ნომერი და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ამგვარი მონაცემები).

ჟ) გრაფა 12 – "ტრანსპორტის სახეობა" – ჩაიწერება მე-9 გრაფაში მითითებული სატრანსპორტო საშუალების კოდი "საბაჟო დეკლარაციის სახეების, ფორმების, შევსების, წარდგენის, დაბრუნების, შეცვლის რეგისტრაციის და მონაცემთა ბაზის ელექტრონული დამუშავების სისტემის გამოყენებით, ზეპირი დეკლარირებით ან სხვა მოქმედებების განხორციელებით საბაჟო დეკლარაციის წარდგენის, ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაციის ფორმისა და შევსების წესების შესახებ ინსტრუქციების და საბაჟო დეკლარირების კლასიფიკატორის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 20 დეკემბრის N1776 ბრძანების N18 დანართის მე-10 ნაწილით განსაზღვრული "ტრანსპორტის სახეობების კლასიფიკატორის" მიხედვით. (8.02.2007 N99)

რ) გრაფა 13 "საქონლის აღწერა და რაოდენობა" გრაფაში აღინიშნება:

რ.ა) საქონლის დასახელება, რაც იძლევა საქონლის საბაჟო მიზნით იდენტიფიცირების შესაძლებლობას, თითოეული მონაცემი ჩაიწერება ახალი სტრიქონით. მსუბუქი ავტომანქანების შემთხვევაში ჩაიწერება VIN (სატრანსპორტო საშუალების საიდენტიფიკაციო ნომერი) ნომერიც (ასეთიას არსებობის შემთხვევაში);

რ.ბ) კონტეინერებით გადაზიდულ საქონელზე კონტეინერების რაოდენობა და წილადის ხაზის შემდეგ მათი ნომრები, თუ საქონელს არ უკავია მთელი კონტეინერი, მისი ნომრის შემდეგ ჩაიწერება - „ნაწილი". სარკინიგზო გადაზიდვების შემთხვევაში ჩაიწერება „იხ. დანართი";

რ.გ) მარკირებულ აქციზურ საქონელზე აქციზური მარკების სერია და რაოდენობა;

რ.დ) „სხვადასხვა დასახელების საქონელი" - თუ, რამოდენიმე ფიზიკური პირის მიერ საქონლის (რამოდენიმე დასახელების საქონლის) შემოტანის შემთხვევაში, როდესაც აუცილებელია მისი რაოდენობის, სახეობის და საბაჟო კონტროლისა და საბაჟო დამუშავებისათვის საჭირო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მონაცემების დაზუსტება;

რ.ე) ამოღებულია (8.02.2007 N99)

რ.ვ) ამოღებულია (8.02.2007 N99)

რ.ზ) „ჰუმანიტარული საქონელი" ჰუმანიტარული დანიშნულებით შემოტანილი ტვირთების შემთხვევაში;

რ.თ) „სხვადასხვა" თუ საქონლის დასახელება აღემატება ოთხს.

ს) გრაფა 14 „საქონელი N" გრაფაში აღინიშნება „1".

ტ) გრაფა 15 „საქონლის კოდი" - გრაფაში აღინიშნება:

ტ.ა) „1000";

ტ.ბ) აქციზური საქონლის დეკლარირებისას საქონლის კოდი საგარეო ეკონომიური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის მიხედვით რეანიშნამდე სიზუსტით, ხოლო მსუბუქი ავტომანქანების შემთხვევაში 8703);

ტ.გ) „7700" - რამოდენიმე ფიზიკური პირის მიერ საქონლის (რამოდენიმე დასახელების საქონლის) შემოტანის შემთხვევაში, როდესაც აუცილებელია მისი რაოდენობის, სახეობის

და საბაჟო კონტროლისა და საბაჟო დამუშავებისათვის საჭირო სხვა მონაცემების დაზუსტება, ასევე ამ მუხლის „რ.ზ" და „რ.თ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

ტ.დ)"8701" – ტრაქტორების (8709 სასაქონლო პოზიციის ტრაქტორების გარდა) შემოტანის შემთხვევაში; (8.02.2007 N99)

ტ.ე) "8702" – ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებების (განკუთვნილი 10 ან მეტი კაცის გადასაყვანად, მძღოლის ჩათვლით) შემოტანის შემთხვევაში; (8.02.2007 N99)

ტ.ვ)"8704" – ტვირთების გადასაზიდად განკუთვნილი ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებების შემოტანის შემთხვევაში; (8.02.2007 N99)

ტ.ზ)"8705" – სპეციალური დანიშნულების ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებების, მგზავრების ან ტვირთის გადასაზიდად გამოსაყენებლების გარდა (მაგალითად, სატვირთო ავტომობილები აკვარიუმი, ავტოამწეები, სახანძრო სატრანსპორტო საშუალებები, ავტობეტონსარევები, გზების დასუფთავების ავტომობილები, სარწყავ-სარეცხი ავტომობილები, ავტოსახელოსნოები და ავტომობილები რენტგენული დანადგარებით) შემოტანის შემთხვევაში; (8.02.2007 N99)

უ) გრაფა 16 - „საერთო წონა (კგ)" გრაფაში აღინიშნება:

უ.ა) მთელი რიცხვის სახით საერთო წონა კილოგრამებში;

უ.ბ) რკინიგზით გადაადგილებული საქონლის შემთხვევაში გრაფაში იწერება საქონლის წონა კილოგრამებში;

უ.გ) 1 - რამოდენიმე ფიზიკური პირის მიერ საქონლის (რამოდენიმე დასახელების საქონლის) შემოტანის შემთხვევაში, როდესაც აუცილებელია მისი რაოდენობის, სახეობის და საბაჟო კონტროლისა და საბაჟო დამუშავებისათვის საჭირო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მონაცემების დაზუსტება;

უ.დ) 1 საქართველოში თავისი სქელით გადაადგილებული მსუბუქი და ცარიელი სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშუალებების (მისაბმელების, ნახევრადმისაბმელებისა და კონტეინერების ჩათვლით) შემთხვევაში;

ფ) გრაფა 17 „წონა (კგ)" – გრაფაში ჩაიწერება:

ფ.ა) მთელი რიცხვის სახით საქონლის (რამოდენიმე საქონლის) წონა კილოგრამებში;

ფ.ბ) 1 - რამოდენიმე ფიზიკური პირის მიერ საქონლის (რამოდენიმე დასახელების საქონლის) შემოტანის შემთხვევაში, როდესაც აუცილებელია მისი რაოდენობის, სახეობის და საბაჟო კონტროლისა და საბაჟო დამუშავებისათვის საჭირო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მონაცემების დაზუსტება;

ფ.გ) 1 - საქართველოში თავისი სქელით გადაადგილებული მსუბუქი და ცარიელი სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშუალებების (მისაბმელების, ნახევრადისაბმელებისა და კონტეინერების ჩათვლით) შემთხვევაში;

ქ) გრაფა 18 – "გადაიტვირთა მოწმობა N" _ გრაფა ივსება ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც საქონელზე ან/და სატრანსპორტო საშუალებაზე გამოიწერება ახალი აღრიცხვის მოწ-მობა. გრაფაში აღინიშნება წინმსწრები მოწმობის ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში); (8.02.2007 N99)

ღ) გრაფა 19 – "სატრანსპორტო დოკუმენტები" _ გრაფაში აღინიშნება წარდგენილი დოკუმენტების კოდები "საბაჟო დეკლარაციის სახეების, ფორმების, შევსების, წარდგენის, დაბრუნების, შეცვლის რეგისტრაციის და მონაცემთა ბაზის ელექტრონული დამუშავების სისტემის გამოყენებით, ზეპირი დეკლარირებით ან სხვა მოქმედებების განხორციელებით საბაჟო დეკლარაციის წარდგენის, ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაციის ფორმისა და შევსების წესების შესახებ ინსტრუქციების და საბაჟო დეკლარირების კლასიფიკატორის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 20 დეკემბრის N1776 ბრძანების N18 დანართის მე-11 ნაწილით განსაზღვრული "საქონლის მიმართ საბაჟო დამუშავების ოპერაციების განხორციელებისათვის საბაჟო ორგანოში წარსადგენი

დოკუმენტების კლასიფიკატორის" მიხედვით და დოკუმენტების ნომრები (ასეთის არსებობის შემთხვევაში). (8.02.2007 N99)

ყ) გრაფა 20 - ,,პასუხისმგებელი" - გრაფაში აღინიშნება:

ყ.ა) დეკლარანტის რეკვიზიტები;

ყ.ბ) დატვირთული სატრანსპორტო საშუალებების შემთხვევაში – გადამზიდველის რეკვიზიტები;

ყ.გ) დეკლარანტის ან გადაზიდვაზე პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა, ხოლო არსებობის შემთხვევაში ბეჭედი;

ყ.დ) საქონლის რკინიგზით გადაადგილების დროს, მოცემულ გრაფაში მიეთითება, რომ მოწმობა და საქონელი მიიღო რკინიგზის წარმომადგენელმა.

შ) გრაფა 21 _ ,,დანიშნულების ადგილი" _ აღინიშნება იმ ადგილის (არასაბაჟო ორგანოს) სამნიშნა ციფრული კოდი და მისამართი (მისამართი მიეთითება არაუმეტეს 21 სიმბოლოს გამოყენებით), დახურული საწყობის შემთხვევაში მხოლოდ სამნიშნა ციფრული კოდი, სადაც უნდა დამთავრდეს საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების გადაადგილება, ხოლო ამ ინსტრუქციის მე-3 მუხლის ,,კ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში – სასაზღვრო საბაჟო ორგანოს ხუთნიშნა ციფრული კოდი და დასახელება. (14.03.2007 N208)

ჩ) გრაფა 22 „მოწმობა N" აღინიშნება მოწმობის სტამბური ნომერი.

ც) გრაფა 23 – "დანიშნულების საბაჟო" _ აღინიშნება, დანიშნულების საბაჟო ორგანოს ხუთნიშნა ციფრული კოდი და დასახელება, ხოლო ამ ინსტრუქციის მე-3 მუხლის ,,კ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში _ სასაზღვრო საბაჟო ორგანოს ხუთნიშნა ციფრული კოდი და დასახელება. იმ შემთხვევაში, თუ საქონელი განკუთვნილია დახურული ტიპის საბაჟო საწყობში შესანახად, გრაფაში აღინიშნება რეგიონალური საბაჟოს კოდი, ხოლო დეკლარანტს უფლება აქვს საბაჟო დამუშავების ოპერაციები განახორციელოს ამ რეგიონალური საბაჟო ორგანოს ნებისმიერი საბაჟო დამუშავების ოპერაციის განხორციელების ადგილზე. (14.03.2007 N208)

ძ) გრაფა 24 – გრაფაში აღინიშნება:

ძ.ა) ,,მებაჟე"-ს გასწვრივ გამგზავნი საბაჟო ორგანოს პასუხისმგებელი მოხელის პირადი ნომერი;

ძ.ბ) „ლუქის ნომრები"-ს გასწვრივ _ სატრანსპორტო საშუალებებზე დადებული ლუქის ნომრები. თუ ლუქი არ არის დადებული, ასევე სარკინიგზო გადაზიდვების შემთხვევაში აღინიშნება – 0.

ძ.გ) "გამოცხადების თარიღი"-ს გასწვრივ _ 23-ე გრაფაში მითითებულ დანიშნულების საბაჟო ორგანოში ან 21-ე გრაფაში მითითებულ დანიშნულების ადგილში (არასაბაჟო ორგანოში) გამოცხადების თარიღი, რომელიც მოწმობის გამომწერი საბაჟო ორგანოს მიერ განისაზღვრება გადასაზიდი საქონლის, სატრანსპორტო საშუალების, საბაჟო მარშრუტის ხასიათის და ეკოლოგიურ-კლიმატური პირობების გათვალისწინებით, დღეში 100 კმ-ზე გათვლით, მაგრამ არა უმეტეს 10 კალენდარული დღისა, გარდა ამ ინსტრუქციის მე-3 მუხლის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა; სარკინიგზო ტრანსპორტით საქონლის გადაზიდვის შემთხვევაში, მიუხედავად გადაზიდვის მანძილისა, გამოცხადების თარიღი განისაზღვრება 10 კალენდარული დღით, ხოლო ამ ინსტრუქციის მე-3 მუხლის "კ" პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში _ მოწმობის 25-ე გრაფაში მითითებული შევსების თარიღი. (8.02.2007 N99)

ძ.დ) ,,დრო"-ს გასწვრივ შევსების დრო.

წ) გრაფა 25 - ,,ადგილი და თარიღი" გრაფაში მიეთითება მოწმობის შევსების ადგილ-ი და თარიღი.

ჭ) გრაფა B აღინიშნება მოწმობის რეგისტრაციის ნომერი.

ბ) გრაფა C უნდა დაისვას გამგზავნი საბაჟო ორგანოს დამღა - „აყვანილია კონტროლზე". დამღაში მითითებულ ადგილზე პასუხისმგებელი მოხელე აწერს ხელს და მიუთითებს შევსების თარიღს. საბაჟო კონტროლის დამადასტურებელი დამღა მოწმდება ამავე მოხელის პირადნომრიანი ბეჭდით. ბეჭდის დასმა დამღის შიგნით დაუშვებელია. ხელმოწერა შესრულებული უნდა იყოს გარკვევით, სრულყოფილად უნდა იყოთხებოდეს ბეჭდისა და დამღის ნომრები და წარწერა.

ჯ) TIR წიგნაკით გადაადგილებულ საქონელზე და სატრანსპორტო საშუალებების შემთხვევაში:

ჯ.ა) გამგზავნმა საბაჟო ორგანომ უზრუნველყოს ამ ტიპის სატრანსპორტო საშუალებების და საქონლის შესახებ ინფორმაციის პროგრამა "ASYCUDA"-ს მონაცემთა ბაზაში შეტანა. ამასთან მოწმობის 22-ე ელექტრონულ გრაფაში მოწმობის სტამბური ნომრის ნაცვლად მიეთითება TIR წიგნაკის ნომერი, ხოლო წიგნაკის შესაბამის (ყვითელი) ეგზემპლარზე აღინიშნება პროგრამის მიერ მინიჭებული "D" ნომერი. პასუხისმგებელი მოხელე აწერს ხელს და მიუთითებს შევსების თარიღს, რაც მოწმდება ამავე მოხელის პირადნომრიანი ბეჭდით;

ჯ.ბ) დანიშნულების საბაჟო ორგანო კონტროლიდან მოხსნის ელექტრონული სახით და პროგრამა "ASYCUDA"-ს მიერ მინიჭებული "R" ნომერს მიუთითებს TIR წიგნაკის შესაბამის (მწვანე) ეგზემპლარზე. პასუხისმგებელი მოხელე აწერს ხელს და მიუთითებს კონტროლიდან მოხსნის თარიღს, რაც მოწმდება ამავე მოხელის პირადნომრიანი ბეჭდით.

მუხლი 12. დანიშნულების საბაჟო ორგანოს მიერ გრაფების შევსების წესი

ა) გრაფა D - აღინიშნება კონტროლიდან მოხსნის ნომერი (R . . .), რომელიც მოწმდება პასუხისმგებელი მოხელის პირადნომრიანი ბეჭდით. (8.02.2007 N99)

ბ) გრაფა E - უნდა დაისვას 23-ე გრაფაში მითითებულ დანიშნულების საბაჟო ორგანოს დამღა - „მოხსნილია კონტროლიდან". დამღაში მითითებულ ადგილზე პასუხისმგებელი მოხელე აწერს ხელს და მიუთითებს კონტროლიდან მოხსნის თარიღს. ხელმოწერა შესრულებული უნდა იყოს გარკვევით სრულყოფილად უნდა იყოთხებოდეს დამღის ნომერი და წარწერა.

გ) გრაფა 18 A – ხელით ჩაიწერება და მოწმდება პასუხისმგებელი მოხელის პირადნომრიანი ბეჭდით (გარდა საბაჟო (დროებითი შენახვის) საწყობში ან სასაზღვრო საბაჟო ორგანოში საქონლის წარდგენის შემთხვევისა): (8.02.2007 N99)

გ.ა) საქონელზე ან/და სატრანსპორტო საშუალებაზე ახალი აღრიცხვის მოწმობის გამოწერის შემთხვევაში – ახალი მოწმობის ნომერი და თარიღი;

გ.ბ) საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების შესაბამის საბაჟო რეჟიმში მოქცევისას – საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის (სტატისტიკური) ნომერი და თარიღი;

გ.გ) სხვა დოკუმენტის (ასეთის არსებობის შემთვევაში) ნომერი და თარიღი, რომლითაც გრძელდება საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების საბაჟო კონტროლი და აღრიცხვა.

გ.დ) საბაჟო სამართალდარღვევის არსებობისას ამავე გრაფაში ჩაიწერება საბაჟო სამართალდარღვევის ოქმის ნომერი და თარიღი.

მუხლი 13. (23.04.2007 N408)

1. საქონლის დანიშნულების ადგილზე (არასაბაჟო ორგანო) წარდგენის დადასტურების მიზნით ხდება დამოწმება:

ა) საბაჟო საწყობის (დროებითი შენახვის საწყობის) მიერ აღრიცხვის მოწმობის უკანა გვერდზე გაკეთებული აღვნიშვნით(ბეჭედი, ხელმოწერა, თარიღი და დრო). დამოწმებული მოწმობის საბაჟო ორგანოსათვის გადაცემის ვალდებულება ეკისრება საბაჟო საწყობს, იმავე ან მე-2 სამუშაო დღის 12 საათამდე;

ბ) სარკინიგზო გადაზიდვების შემთხვევაში - რკინიგზის მიერ სარკინიგზო ზედნადებზე და აღრიცხვის მოწმობის უკანა გვერდზე გაკეთებული აღნიშვნით (შტამპი, ხელმოწერა, თარიღი და დრო). დამოწმებული აღრიცხვის მოწმობისა და სარკინიგზო ზედნადების საბაჟო ორგანოსათვის გადაცემის ვალდებულება ეკისრება სარკინიგზო ზედნადებში მითითებულ ტვირთმიმღებს, ხოლო ექსპორტის და საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმების გამოყენებისას, საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის, საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების ან საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმებში მყოფი საქონლის საბაჟო ტერიტორიიდან რეექსპორტით გატანისას, აგრეთვე დროებითი დასაწყობების ადგილიდან საქონლის რეექსპორტისას, თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებული დეფექტური საქონლის ან საქართველოს საქონლის სტატუსის ჩამორთმევისას უკან დაბრუნების შემთხვევაში რეექსპორტისას – ტვირთგამგზავნს.

2. სხვა დანარჩენ შემთხვევაში საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალებების დანიშნულების ადგილზე წარდგენის დადასტურება ხდება 23-ე გრაფაში მითითებული დანიშნულების საბაჟო ორგანოს დამღით. დამღაში მითითებულ ადგილზე პასუხისმგებელი მოხელე აწერს ხელს და მიუთითებს გამოცხადების თარიღს და დროს. ხელმოწერა შესრულებული უნდა იყოს გარკვევით. სრულყოფილად უნდა იყოთხებოდეს დამღის ნომერი, წარწერა, თარიღი და დრო.

მუხლი 14. მოწმობა N2-ის შევსების წესი

1. მოწმობის N შედგება ორი რიცხვისაგან. პირველი რიცხვის ოთხნიშნა ციფრი წარმოადგენს მოწმობის დამმოწმებელი საბაჟო მოხელის პირადნომრიანი ბეჭდის ნომერს, ხოლო მეორე რიცხვის ხუთნიშნა ციფრი მოწმობის სარეგისტრაციო ჟურნალში ჩანაწერის რიგით ნომერს. ჟურნალში ნუმერაცია განახლდება ყოველი წლის დასაწყისიდან.

2. გრაფა "გადამზიდველი" - გრაფაში აღინიშნება საქონლის პასუხისმგებელი გადამზიდველის სრული დასახელება და რეკვიზიტები.

3. გრაფა "საბაჟო ორგანო" - მიეთითება იმ საბაჟო ორგანოს დასახელება და ხუთნიშნა კოდი, რომლის მიერაც ხდება მოწმობის დამოწმება.

4. გრაფა "განწესის ნომერი" - აღინიშნება იმ განწესის ან დაჟალების ნომერი, რომლის საფუძველზეც განხორციელდა საქონლის გადმოტვირთვა ან სატრანსპორტო საშუალებაზე დატვირთვა.

5. გრაფა "წინმსწრები აღრიცვის მოწმობის ნომერი" - მიეთითება წინმსწრები მოწმობის ნომერი ასეთის არსებობის შემთხვევაში.

6. გრაფა "შევსების თარიღი და დრო" - მიეთითება მოწმობის შევსების თარიღი და დრო.

7. გრაფა "კონტეინერების რაოდენობა" მიეთითება სატრანსპორტო საშუალებაზე მოთავსებული კონტეინერების რაოდენობა.

8. გრაფა "გაგზავნის ადგილი" მიეთითება საზღვაო პორტის ან საბაჟო საწყობის დასახელება საიდანაც იგზავნება საქონელი, ასევე საწყობის სანებართვო მოწმობის ნომერი.

9. გრაფა "დანიშნულების ადგილი" მიეთითება საზღვაო პორტის ან საბაჟო საწყობის დასახელება სადაც იგზავნება საქონელი, ასევე საბაჟო საწყობის სანებართვო მოწმობის ნომერი.

10. გრაფა "სატრანსპორტო საშუალება საზღვარზე, რეისი" - მიეთითება საზღვაო – სატრანსპორტო საშუალების დასახელება და რეისი.

11. გრაფა "მძღოლი" - ჩაიწერება ავტოსატრანსპორტო საშუალების მძღოლის გვარი გარკვევით.

12. გრაფა "ა/მ ტიპი" - ჩაიწერება ავტოსატრანსპორტო საშუალების ტიპი.

13. გრაფა "ა/მ N" - ჩაიწერება ავტოსატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო.
14. გრაფა "მისაბმელი" - ჩაიწერება ავტოსატრანსპორტო საშუალების მისაბმელის.
15. ცხრილის პირველ სვეტში - მიეთითება კონტეინერის.
16. ცხრილის მეორე სვეტში მიეთითება კონტეინერის ტიპი.
17. ცხრილის მესამე სვეტში - მიეთითება ფაქტობრივი ლუქის ნომრები.
18. ცხრილის მეოთხე სვეტში - მიეთითება საქონლის დასახელება სიტყვიერად.
19. ცხრილის მეხუთე სვეტში მიეთითება საქონლის ბრუტო წონა.
20. გრაფა "ოპერატორი" - აღინიშნება აგენტისა და/ან ექსპედიტორის უფლებამოსილი პირის ხელმოწერა და დაისმება ბეჭედი.
21. გრაფა "გადაზიდვაზე პასუხისმგებელი" - დაისმება გადაზიდვაზე პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა.
22. გრაფა "გამოცხადების თარიღი და დრო" მიეთითება დანიშნულების ადგილზე გამოცხადების ფაქტობრივი დრო. საბაჟო საწყობში საქონლის შეტანისას გრაფას ავსებს საწყობის საამისოდ უფლებამოსილი პირი. მოწმობის ყველა წარდგენილ ეგზემპლარზე დაისმება საწყობის შტამპი. მოწმობის ეგზემპლარები საბაჟო მოხელეს წარედგინება პირველი შესაძლებლობისთანავე. პორტში შეტანისას გრაფას ავსებს საბაჟო მოხელე და დაამოწმებს პირადნომრიანი ბეჭდით.
23. გრაფა "აყვანილია კონტროლზე" - დაესმება შტამპი "აყვანილია კონტროლზე" და საბაჟო ორგანოს პასუხისმგებელი პირის პირადნომრიანი ბეჭედი, ხელმოწერა და თარიღი.
24. გრაფა "მოხსნილია კონტროლიდან" - დაესმება შტამპი "მოხსნილია კონტროლიდან" და საბაჟო ორგანოს პასუხისმგებელი პირის პირადნომრიანი ბეჭედი, ხელმოწერა და თარიღი. საზღვაო ტრანსპორტზე საქონლის გადატვირთვისას მოწმობის კონტროლიდან მოხსნის საფუძველია დატვირთვის დამადასტურებელი დოკუმენტი (მანიფესტი, გენერალური აქტი, სურვეიერის აქტი და სხვა).
25. გრაფებში, რომელიც არ ივსება, იწერება "——" (ტირე).

თავი III. დასკვნითი დებულებანი

მუხლი 15.

მოწმობა, თანდართული სატრანსპორტო დოკუმენტები და ცნობები ინახება საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 16. (23.04.2007 N408)

მოწმობის 21-ე გრაფაში მითითებულ დანიშნულების ადგილში ან მოწმობის 23-ე გრაფაში მითითებულ დანიშნულების საბაჟოში მოწმობის გამომწერი საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრულ გამოცხადების თარიღში გამოუცხადებლობის შემთხვევაში, ინფორმაცია, არაუგვიანეს სამი სამუშაო დღისა (ავტოსატრანსპორტო საშუალებების თავისი სვლით გადაადგილების ან სხვა სატრანსპორტო საშუალებით გადაზიდვის შემთხვევაში – არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა), რეაგირებისათვის გადაეცემა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსაველების სამსახურის შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს სასაზღვრო პოლიციას და შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
შემოსავლების სამსახური
საბაჟო კონტროლის ქვემ საქონლისა და სატრანსპორტო
სამუალების აღრიცხვის
მოწმობა N 000000

UNCTAD/ ASYCUDA 1 ექსპორტიორი N:	მოწმობა A გამგზავნი საბაჟო ორგანო T1 საბაჟოს კოდი: 2 ფორ. 3 B სარეგისტრაციო ნომერი 4 საქ. 5 აღგ რაოდ. 2006/1
6 იმპორტიორი N :	7 გამომგზ. ქვეყანა 7ა კოდი 8ა კოდი 8 დანიშნ. ქვეყანა
9 სატრანსპორტო სამუალება 10კტ ქვეყანაში 11 სატრანსპორტო სამუალება საზღვარზე 12 ტრანსორტ. სახე	C აყვანილია კონტროლზე

13 საქონლის აღწერა და რაოდენობა საქ. 1 No რ-ბა, სახე: 0 საქონლის აღწერა : კონტეინერის ნომრები:	14 15 საქონლის კოდი 16 საერთ. წონა კგ 17 წონა, კგ 18 გადაიტვირთა მოწმობა N
19 სატრანსპორტო დოკუმენტები	18A D R -
20 პასუხისმგებელი No	E მოხსნილია კონტროლიდან
21 დანიშნულების ადგილი	
22 მოწმობა : :	23 დანიშნულების საბაჟო
24 მებაჟე: ლუქის ნომრები გამოცხადების თარიღი: დრო:	25 ადგილი და თარიღი

საბაჟო კონტროლის ქვეშ საქონლისა და სატრანსპორტო
საშუალების აღრიცხვის
მ ო წ მ ო ბ ა N2
0000/00000

გადამზიდველი -------- საბაჟო ორგანო ----------
---------- განწესის N ----------

---------- წინმსწ. აღრ. მოწ. N ----------

მევსების თარიღი და დრო --------- ---------- კონტ. რ-ბა ----------

გაგზავნის ადგილი ----------დანიშნულების ადგილი ----------

სს საზღვარზე ---------- რეისი ----------

მძღოლი ---------- ა/მ ტიპი ---------- ა/მ N ---------- მისაბმელი ----------

კონტეინერის N	ტიპი	ლუქის N	საქონელი	ბრუტო წონა

ოპერატორი ---------- ბ.ა.

გადამიდვამე პასუხიმგებელი ----------

გამოცხადების თარიღი და დრო ---------- -------- ბ.ა.

აყვანილია კონტროლზე	მოხსნილია კონტროლიდან

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №1772

2006 წლის 20 დეკემბერი

საბაჟო გადაწყვეტილების მიღების ვადების განსაზღვრის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბაჟო კოდექსის მე-9 მუხლის მე-4 ნაწილისა და "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის N39 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის "ლ" ქვეპუნქტის საფუძველზე, ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს ინსტრუქცია „საბაჟო გადაწყვეტილების მიღების ვადების განსაზღვრის შესახებ".

2. ბრძანება ამოქმედდეს 2007 წლის 1 იანვრიდან.

ა. ალექსიშვილი

ინსტრუქცია
საბაჟო გადაწყვეტილების მიღების ვადების განსაზღვრის შესახებ

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის გამოყენებისას საბაჟო ორგანო საკუთარი ინიციატივით ან პირის (დაინტერესებული მხარის) წერილობითი ან ზეპირი განცხადების (მოთხოვნის) საფუძველზე იღებს საბაჟო გადაწყვეტილებას.

2. თუ განცხადება (მოთხოვნა) წერილობითია, გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნეს ასევე წერილობითი ფორმით, საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადაში, საბაჟო კოდექსის მე-9 მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი მოთხოვნების დაცვით. საბაჟო ორგანოს წერილობითი საბაჟო გადაწყვეტილება წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

3. საბაჟო ორგანო ვალდებულია, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად რეგისტრაციაში გაატაროს წერილობითი განცხადება (მოთხოვნა). განცხადების რეგისტრაციის მომენტიდან იწყება მასში დასმულ საკითხთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება.

მუხლი 2. საბაჟო გადაწყვეტილების მიღების ვადები საბაჟო პროცედურების განხორციელების ცალკეულ შემთხვევებში

1. საბაჟო პროცედურების განხორციელების ცალკეული შემთხვევებისათვის დადგინდეს საბაჟო გადაწყვეტილების მიღების შემდეგი მაქსიმალური ვადები:

ა) საბაჟო კონტროლის ქვეშ მყოფი საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობის გამოწერა (ზოგადი დეკლარირების დასრულების შემდეგ) და აღრიცხვის მოწმობის კონტროლიდან მოხსნა (საქონლის საბაჟო ორგანოში წარდგენიდან) _ არაუმეტეს 1 საათისა. საქონლის საბაჟო დათვალიერების შემთხვევაში აღნიშნული ვადის ათვლა ჩერდება;

ბ) წერილობითი ფორმით წარდგენილი საბაჟო დეკლარაციის განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება _ არაუმეტეს 2 საათისა;

გ) საქონლის სინჯის ან/და ნიმუშის აღება და გამოკვლევისათვის გაგზავნა _ არაუმეტეს 2 საათისა;

დ) საქონლის გაშვება, როდესაც საბაჟო ორგანო ღებულობს გადაწყვეტილებას დეკლარანტის მიერ საქონლის განკარგვის შესაძლებლობის თაობაზე საბაჟო დამუშავების ოპერაციის

პირობების შესაბამისად – დეკლარაციის შემოწმების დასრულებისთანავე დაუყოვნებლივ;

ე) საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრულ საბაჟო ღირებულებაზე დეკლარანტსა და საბაჟო ორგანოს შორის წარმოქმნილი უთანხმოების შემთხვევაში დეკლარანტის მიერ საქონლის საბაჟო ორგანოდან გატანა საბაჟო კოდექსის 41-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად _ დეკლარანტის მიერ განსაზღვრული საქონლის საბაჟო ღირებულების საფუძველზე გაანგარიშებული საბაჟო გადასახდელების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტისა და დამატებით გარანტიის წარდგენის შემდეგ _ არაუმეტეს 1 საათისა.

ვ) საბაჟო დამუშავების ოპერაციის არასამუშაო დროს განხორციელების თაობაზე დაინტერესებული პირის წერილობითი მოთხოვნის განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება – წერილობითი მოთხოვნის საბაჟო ორგანოში რეგისტრაციიდან არაუმეტეს 2 საათისა. (16.07.2007 N 891)

2. თუ ავარიის ან დაუძლეველი ძალის მოქმედების შედეგად ფერხდება სასაზღვრო საბაჟო ორგანოდან დროებითი დასაწყობების ადგილზე ან დანიშნულების საბაჟო ორგანოში საბაჟო კონტროლის ქვეშ მყოფი საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობით გათვალისწინებულ ვადაში საქონლის წარდგენა, პირმა ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს საბაჟო ორგანოს და წარუდგინოს მას სათანადო მტკიცებულებები.

3. შექმნილ სიტუაციაში გარკვევის შემდეგ, საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირი ამ ფაქტს აფიქსირებს აღრიცხვის მოწმობის უკანა გვერდზე, სათანადო ჩანაწერით, ამასთან ღებულობს გადაწყვეტილებას, საქონლის მიმართ განსახორციელებლი შემდგომი ქმედებების თაობაზე.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნულ შემთხვევაში, საქონლის დანიშნულების ადგილზე მიტანის ვადის დარღვევისათვის, პირს პასუხისმგებლობა არ დაეკისრება.

მუხლი 3. ვადების ათვლა

ამ ინსტრუქციის მე-2 მუხლში მითითებული ვადების ათვლა ხორციელდება საქართველოს საბაჟო კოდექსის მე-18 მუხლით დადგენილი დებულებების შესაბამისად.

მუხლი 4. საბაჟო გადაწყვეტილების ძალაში შესვლა

წერილობითი საბაჟო გადაწყვეტილება ძალაში შედის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად, ხოლო სხვა საბაჟო გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი მიღებისთანავე და დაუყოვნებლივ უნდა აღსრულდეს, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №1766

2006 წლის 20 დეკემბერი

საბაჟო კონტროლის ზონის შექმნის წესისა და საბაჟო კონტროლის ზონის ადგილების განსაზღვრის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბაჟო კოდექსის მე-20 მუხლის მე-6 ნაწილისა და საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის N39 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ლ" ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს:

ა) "საბაჟო კონტროლის ზონის შექმნის წესისა და საბაჟო კონტროლის ზონის ადგილების განსაზღვრის შესახებ" ინსტრუქცია (დანართი N1).

ბ) საბაჟო გამშვები პუნქტის "ყაზბეგის" განთავსების ადგილზე საბაჟო კონტროლის ზონა. (დანართი N2)

გ) საბაჟო გამშვები პუნქტის "წითელი ხიდის" განთავსების ადგილზე საბაჟო კონტროლის ზონა (დანართი N3)

დ) საბაჟო კონტროლის ზონად: საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე განლაგებული რკინიგზის სადგურების სალიანდაგო ნაწილი, საიდანაც ან რომლის დანიშნულებითაც ხორციელდება საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის გადაზიდვა ამ სალიანდაგო ნაწილზე საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის განთავსების პერიოდში (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამ ტერიტორიაზე გადაადგილდება სამგზავრო მატარებელი ან საქონელი, რომელიც არ ექვემდებარება საბაჟო კონტროლს). (16.07.2007 N 888)

დ.ა) "გარდაბანი" – რკინიგზის სადგურის ტერიტორიის სალიანდაგო ნაწილი;

დ.ბ) "სადახლო"_ რკინიგზის სადგურის ტერიტორიის სალიანდაგო ნაწილი;

დ.გ) "თბილისი-დამხარისხებელი" _ მიმღები პარკის სალიანდაგო ტერიტორია;

დ.დ) "ზესტაფონი" _ მიმღები პარკის სალიანდაგო ტერიტორია;

დ.ე) "ახალციხე"- რკინიგზის სადგურის სატვირთო ეზო.

2. საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკას შორის სწრაფი სამგზავრო მატარებლის მიმოსვლასთან დაკავშირებული სარკინიგზო ტრანსპორტის, საქონლის, მგზავრთა, მათი ბარგისა და ხელბარგის გადაადგილებისას საბაჟო კონტროლის განხორციელების მიზნით, საბაჟო კონტროლის ზონად განისაზღვროს საბაჟო საზღვრიდან ქ. თბილისის რკინიგზის სამგზავრო სადგურის ტერიტორიის ჩათვლით და უკუმიმართულებით მოძრაობა ერევანი-ბათუმი-ერევანი, ბათუმი-ერევანი-ბათუმის საერთაშორისო სარკინიგზო მიმოსვლის ძირითადი მარშრუტის მსვლელობის სწრაფი სამგზავრო მატარებელი. სხვა ადგილებში აუცილებლობიდან გამომდინარე (უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვით, ასევე სარკინიგზო გადაზიდვების შეუფერხებლად) საბაჟო ორგანოს ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით, საბაჟო კონტროლისა და საბაჟო პროცედურების განხორციელების პერიოდში, დროებით საბაჟო კონტროლის ზონად შეიძლება გამოცხადდეს სარკინიგზო სადგურების შესაბამისი ტერიტორია, სადაც იმყოფება საბაჟო კონტრლოს დაქვემდებარებული საქონელი და სატრანსპორტო საშუალებები.

21. ფოთის რკინიგზის სადგურიდან ფოთის საზღვაო ნავსადურამდე და უკუმიმართულებით გადაადგილებულ საქონელზე საბაჟო ორგანოს, საქონლის წარდგენიდან არა უგვიანეს მეორე დღის 18 საათისა სადგურის წარმომადგენლის მიერ გადაეცემა „ცნობა საქონლის (ტვირთის) გადაადგილების შესახებ" (დანართი N 4).

3. სარკინიგზო სადგურებში საბაჟო კონტროლის ზონის საზღვარი აღინიშნოს სპეციალური მაჩვენებლებით.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

ა) "საბაჟო კონტროლის ზონების შექმნის წესის შესახებ" დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2003 წლის 5 ივნისის N300 ბრძანება;

ბ) "საბაჟო გამშვები პუნქტის "ყაზბეგის" განთავსების ადგილზე საბაჟო კონტროლის ზონის შექმნის შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 20 აპრილის N344 ბრძანება;

გ) "საბაჟო-გამშვები პუნქტის "წითელი ხიდის" განთავსების ადგილზე საბაჟო კონტროლის ზონის შექმნის თაობაზე" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 19 ივლისის N543 ბრძანება;

დ) „საქართველოს საბაჟო საზღვარზე სარკინიგზო ტრანპორტით გადაადგილებული საქონლის, მგზავრთა, მათი ბარგისა და ხელბარგის გადაადგილებისას საბაჟო კონტროლის

გაუმჯობესების შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 6 დეკემბრის N396 ბრძანება.

3. ბრძანება ამოქმედდეს 2007 წლის 1 იანვრიდან.

ა. ალექსიშვილი

დანართი N1

ინსტრუქცია
საბაჟო კონტროლის ზონის შექმნის წესისა და საბაჟო კონტროლის ზონის ადგილების განსაზღვრის შესახებ

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. საბაჟო კონტროლის ზონა არის საქართველოს საბაჟო ტერიტორიის სპეციალურად გამოყოფილი და მონიშნული ნაწილი, სადაც საქონლის, სატრანსპორტო საშუალებისა და პირის მიმართ შეიძლება განხორციელდეს საბაჟო კონტროლის ყველა ღონისძიება.

2. საბაჟო კონტროლის ზონა მოიცავს საერთაშორისო მიმოსვლისათვის ღია სასაზღვრო პუნქტებს, ტერიტორიულ წყლებს, საბაჟო ორგანოს განთავსების ადგილს და საბაჟო საწყობებს, აგრეთვე ხმელეთის, შიდა წყლებისა და შენობა-ნაგებობების ნებისმიერ ტერიტორიას, რომელიც საბაჟო პროცე-დუ-რების მუდმივი ან დროებითი განხორციელებისათვის გამოყო საბაჟო ორგანომ მესაკუთრესთან ან კანონიერ მფლობელთან შეთანხმებით, თუ მესაკუთრე არ არის მფლობელი.

3. საბაჟო კონტროლის ზონაში საბაჟო ორგანოს თანხმობის გარეშე აკრძალულია საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მყოფი სატრანსპორტო საშუალების დატვირთვა- გადმოტვირთვა და აუცილებელი საბაჟო პროცედურების განხორციელებამდე საბაჟო კონტროლის ზონის საზღვრებს გარეთ საქონლის გატანა.

4. საქართველოს საბაჟო კოდექსის 78-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ვალდებულებების განხორციელებისათვის საბაჟო კონტროლის ზონაში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალისტების დაშვება ხორციელდება საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ერთობლივი ბრძანებით.

5. საბაჟო კონტროლის ზონაში საბაჟო პროცედურების განხორციელების ზუსტ ადგილს განსაზღვრავს საბაჟო ორგანო.

მუხლი 2. საბაჟო კონტროლის ზონის ადგილების განსაზღვრა

1. საბაჟო კონტროლის ზონები შეიძლება შეიქმნას საქართველოს საბაჟო საზღვრის გასწვრივ, აგრეთვე საბაჟო ორგანოებისა და საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის, სატრანსპორტო საშუალებების განთავსებისა და საბაჟო კანონმდებლობით დადგენილი ვალდებულებების, შეზღუდვების, აკრძალვების, მოთხოვნების ან კანონმდებლობით დადგენილი სხვა პირობების დაცვით შესაბამის ადგილებში:

ა) საბაჟო ორგანოში წარდგენილი საქონლის მიმართ საბაჟო პროცედურების განხორციელების, საბაჟო დამუშავების ოპერაციების გამოყენების, საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების მიერ საბაჟო საზღვრის გადაკვეთის, საქართველოს საბაჟო საზღვარზე განლაგებული საბაჟო გამშვები პუნქტებისა და კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ადგილებში;

ბ) ელექტროსადგურების, ქვესადგურების, ბუნებრივი გაზისა და ნავთობის მაგისტრალური მილსადენების, სატუმბი, საკომპრესორო, საზომი სადგურების და სხვა მოწყობილობების

განლაგების ადგილებში, რომლებიც გამოიყენება ნავთობისა და ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირებისთავის.

გ) იმ სარკინიგზო სადგურების ტერიტორიებზე, საიდანაც ან რომლის დანიშულებითაც ხორციელდება საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის გადაზიდვა; (16.07.2007 N 888)

დ) საბაჟო საწყობების, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო საწყობის, დროებითი დასაწყობებისათვის საქონლის შენახვის სხვა ადგილების, უბაჟო ვაჭრობის პუნქტების, თავისუფალი ზონებისა და თავისუფალი საწყობების ტერიტორიებზე და ნაგებობებში;

ე) საერთაშორისო მიმოსვლისათვის გახსნილი აეროპორტებისა და საზღვაო პორტების შემოფარგლულ ტერიტორიებზე;

ვ) საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საერთაშორისო სარკინიგზო მიმოსვლის ძირითადი მარშრუტის მსვლელობის მატარებელში;

ზ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის სტრუქტურულ დანაყოფებთან (სამმართველოები, სახაზო განყოფილებები) განთავსებული საბაჟო ორგანოების მიერ საბაჟო პროცედურების განხორციელების ადგილები;

თ) საერთაშორისო საფოსტო მომსახურების ადგილები.

2. საბაჟო კონტროლის ზონების სტატუსს ღებულობს ის ტერიტორიები, ნაგებობები, სატრანსპორტო საშუალებები (მათ შორის საჰაერო და საზღვაო ხომალდები, სარკინიგზო შემადგენლობები), სადაც იმყოფება საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონელი და/ან სატრანს-პორტო საშუალებები და მათი მოქმედება ვრცელდება მხოლოდ საბაჟო კონტროლისა და საბაჟო პროცედურების განხორციელების პერიოდში.

მუხლი 9. საბაჟო კონტროლის ზონების შექმნა

1. საბაჟო კონტროლის განხორციელების მიზნით საბაჟო კონტროლის ზონის ადგილები იქმნება ამ ბრძანებით დამტკიცებული დანართებით, გარდა ამ ინსტრუქციის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „დ'''' ქვეპუნქტით და მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2. საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანების გამოცემის გარდა საბაჟო კონტროლის ზონის ადგილების შექმნა მოიცავს:

ა) საბაჟო კონტროლის ზონის საზღვრების განსაზღვრას, მოქალაქეთა და სატრანსპორტო საშუალებების მიერ ზონის გადაკვეთის ადგილების მითითებით;

ბ) საბაჟო კონტროლის ზონის ტერიტორიის აღმნიშნელი ნიშნების გამოკვრას და ზონის მონიშვნებს;

გ) შესაბამისი ორგანოების შეტყობინებას საბაჟო კონტროლის ზონის შექმნის თაობაზე.

3. საბაჟო კონტროლის ზონის შექმნის თაობაზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებაში მიეთითება:

ა) საბაჟო კონტროლის ზონის ფარგლები;

ბ) საბაჟო კონტროლის ზონის საზღვრის გადაკვეთის ადგილები;

გ) საბაჟო კონტროლის ზონის აღმნიშნელი საშუალებების განთავსების ადგილები;

დ) ზონის დაცვაზე პასუხისმგებელი პირები.

4. საბაჟო კონტროლის ზონის შექმნის თაობაზე ფინანსთა მინისტრის ბრძანებას თან ერთვის გრაფიკული ნახაზი (გეგმა ან რუკა) საბაჟო კონ-ტროლის ზონის ტერიტორიის ფარგლების, გასასვლელებისა და მონიშვნების შესახებ.

5. ამ ინსტრუქციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, საბაჟო კონტროლისა და საბაჟო პროცედურების ჩატარების ადგილები ავტომატურად ღებულობს საბაჟო კონტროლის ზონის სტატუსს, რომელიც უქმდება საბაჟო კონტროლისა და საბაჟო პროცედურების დამთავრებისთანავე.

6. საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე განლაგებულ საბაჟო გამშვებ პუნქტებში (საბაჟო საგუშაგოებში) საბაჟო კონტროლის ზონების შექმნა ხორციელდება საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით.

მუხლი 4. მოთხოვნები საბაჟო კონტროლის ზონის შექმნისას

1. საბაჟო კონტროლის ზონა აუცილებლობის შემთხვევაში უნდა იყოს შემოღობილი და დაცული, ისე, რომ ამ ზონაში საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების შესვლა და აქედან გასვლა შეუძლებელი იყოს საბაჟო ორგანოს გვერდის ავლით და გამორიცხული უნდა იყოს უცხო პირების მიერ მათი ხელყოფა.

2. საბაჟო კონტროლის ზონა უნდა იმყოფებოდეს ვიზუალური მეთვალყურეობის ქვეშ. ამიტომ იგი ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ საბაჟო ორგანოს საშუალება ჰქონდეს თვალყური ადევნოს საბაჟო კონტროლის ზონის მთელ ტერიტორიას, მიიღოს ინფორმაცია პირების ზონის ტერიტორიაზე გადაადგილების შესახებ, რათა გამოავლინოს საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით საქონლისა და პირადი ნივთების გადამალვა, სხვა პირებზე გადაცემა, ნავსადგურის, აეროპორტის, რკინიგზის თანამშრომელთა, მტვირთავების უსაფუძვლო დაინტერესება საქონლით, ბარგით, კონტეინერებით, სატრანსპორტო საშუალებებით და სხვა.

3. საბაჟო კონტროლის ზონის ხედი საზღვაო ნავსადგურებში, ტერიტორიულ და შიდა წყლებში უნდა იძლეოდეს ვიზუალური დაკვირვების შესაძლებლობას, რომელიც გამორიცხავს საბაჟო კონტროლის ქვეშ მყოფ გემებთან უცხო მცურავი საშუალებების მიდგომას, რაიმეს გემზე ატანას ან გემიდან ჩამოტანას.

4. საბაჟო კონტროლის ზონები აუცილებლად უნდა მოიცავდეს:

ა) საერთაშორისო აეროპორტებში - მოფრენისა და გაფრენის ზონებს და სექტორებს;

ბ) საზღვაო ნავსადგურებში - სამგზავრო დარბაზებს;

გ) რკინიგზისა და საავტომობილო ეგზლებში - მგზავრების კომპლექ-ტაციის ადგილებს და საბაჟო კონტროლის ქვეშ არსებული საქონლის სათავსებს.

მუხლი 5. საბაჟო კონტროლის ზონების მონიშვნა

1. საბაჟო კონტროლის ზონების მონიშვნა ხდება სწორკუთხა სამკუთხედის ფორმის ნიშნებით, რომელზეც მწვანე ფერის ფონზე თეთრი ფერით ქართულ და ინგლისურ ენებზე გაკეთებულია წარწერა "საბაჟო კონტროლის ზონა" ("Customs control zone"). აღნიშნული ნიშნები ითვლება საბაჟო კონტროლის ზონების მთავარ აღმნიშვნელად. საბაჟო კონტროლის ზონა შეიძლება აღინიშნოს უშუალოდ საბაჟო კონტროლის ზონის პერიმეტრზე მდებარე ღობეზე ან შენობაზე წარწერით "საბაჟო კონტროლის ზონა" ("Customs control zone"). დასაშვებია ქართულ და ინგლისურ ენებთან ერთად წარწერა გაკეთდეს სხვა ენაზეც.

2. საბაჟო კონტროლის ზონის აღმნიშვნელი ნიშნები, რომელიც იდგმება საავტომობილო გზებზე, უნდა დამზადდეს საგზაო მოძრაობის ნიშნების დამზადების ტექნოლოგიისა და სტანდარტების შესაბამისად.

3. საბაჟო კონტროლის ზონების მონიშვნა შეიძლება განხორციელდეს შესაბამისი ლენტებით, ფირნიშებით და სხვა საინფორმაციო მინიშნებებით.

4. საბაჟო გამშვებ პუნქტებში (საბაჟო საგუშაგოებში), აგრეთვე საბაჟო საწყობების, საქონლის დროებითი დასაწყობებისათვის განკუთვნილი შენახვის სხვა ადგილების საბაჟო კონტროლის ზონების აღნიშვნა ხდება მათი ტერიტორიების პერიმეტრებზე. აღნიშნული ნიშნები კეთდება ისე, რომ შესაძლებელი იყოს მათი დანახვა ორივე მხრიდან.

მუხლი 8. საბაჟო კონტროლის ზონის გაუქმება

1. საბაჟო კონტროლის ზონა უქმდება შესაბამისი საბაჟო ორგანოს განთავსების ადგილის, საქართველოს საზღვარზე არსებული საბაჟო გამშვები პუნქტის (საბაჟო საგუშაგოს) გაუქმების, საბაჟო პროცედურების ჩატარებისა და საბაჟო რეჟიმების გამოყენების ადგილის გაუქმების და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

2. საბაჟო საწყობების ტერიტორიებზე და დროებითი დასაწყობებისათვის საქონლის შენახვის სხვა ადგილებზე საბაჟო კონტროლის ზონები უქმდება, შესაბამისად, აღნიშნულ საქმიანობაზე ნებართვების გაუქმებასთან და დროებითი დასაწყობებისათვის საქონლის შენახვის სხვა ადგილებზე ოპერაციების დასრულებასთან ერთად.

3. საბაჟო კონტროლის ზონის გაუქმება ხორციელდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით, გარდა ამ ინსტრუქციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. საბაჟო კონტროლის ზონების გაუქმება დასაშვებია, თუ მის ტერიტორიაზე არ ხორციელდება საბაჟო კონტროლს და საბაჟო ზედამხედველობას დაქვემდებარებული საქონლის, სატრანსპორტო საშუალებებისა და მგზავრების გადაადგილება.

დანართი №2

საბაჟო კონტროლის ზონის მონაცემები

1. საკადასტრო №74
2. მისამართი: ზონა 74, სექტორი 001, კვარტალი 04, ნაკვეთი 003.
3. ფართობი 22000 მ²

დანართი №3

საკადასტრო რუკა მასშტაბი:

მიწის ნაკვეთი: სარეგისტრაციო №

საკადასტრო №
ზონა სექტორი კვარტალი ნაკვეთი

მისამართი

თარიღი ფართობი:

მოსარგებლე:
საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი

ბ.ა.

სახელმწიფო რეგისტრატორი

დანართი N4
(16.07.2007 N888)

ცნობა
საქონლის (ტვირთის) გადაადგილების შესახებ

გადამზიდველი: შპს „საქართველოს რკინიგზა“

N	საქონლის მესაკუთრე ზედდებულით ან გადაზიდვის დავალების შესაბამისად	ზედდებულის ან ტვირთის გადაზიდვის დავალების N *	ვაგონის N	კონტეინერის N	ტვირთის წონა**	საქონლის დასახელება	შენიშვნა
1							
2							
3							
4							
5							
6							
7							
8							
9							
10							
11							
12							
13							
14							
15							
16							
17							
18							
19							
20							
21							

სადგურის წარმომადგენელი _____ _____
(გვარი, სახელი) ხელმოწერა

თარიღი ____ _____ _____

სადგურის შტემპელი

საბაჟო ორგანოს წარმომადგენელი პ. ბ. _____
ხელმოწერა

შენიშვნა: * – სატრანსპორტო ზედდებულის არსებობის შემთხვევაში ეთითება ზედდებულის ნომერი, ხოლო სხვა შემთხვევაში გადაზიდვის დავალების ნომერი;
* * – კონტეინერისათვის არ ივსება.

საქართველოს მთავრობის დადგენილება N242

2006 წლის 22 დეკემბერი ქ. თბილისი

სასაზღვრო საბაჟო ორგანოს გახსნის, სამუშაო დროისა და მისი გავლით შემოსატანი საქონლის სახეობების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს საბაჟო კოდექსის 45-ე მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად:

1. სასაზღვრო საბაჟო ორგანოების – საბაჟო გამშვები პუნქტებისა (წილეთი ხიდი, სადახლო, გარდაბანი, ახკერპი, გუგუთი, მტკვარი, ლაგოდეხი, სამთაწყარო, ყაზბეგი, ვალე, ნინოწმინდა, სარფი, ბათუმის, ქუთაისისა და სენაკის აეროპორტები) და საბაჟო საგუშაგოების (თბილისის აეროპორტი, ბათუმის პორტი, ფოთის პორტი) სამუშაო დრო განისაზღვროს 00.00 საათიდან 24.00 საათამდე ჩათვლით. (13.03.2007 N49)

2. სასაზღვრო საბაჟო ორგანოების გავლით შეიძლება გადაადგილდეს ნებისმიერი სახის საქონელი, რომლის შემოტანა ან/და გატანა საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე აკრძალული არ არის.

3. თამბაქოს ნაწარმის, ნავთობის დისტილატებისა და ალკოჰოლიანი სასმელების გადაადგილება ნებისმიერი საბაჟო დამუშავების ოპერაციის სახით საბაჟო საზღვარზე განხორციელდეს მხოლოდ შემდეგ სასაზღვრო საბაჟო ორგანოებში – თბილისის აეროპორტი, ბათუმის პორტი, ფოთის პორტი, წითელი ხიდი, სადახლო, გარდაბანი, ყაზბეგი, ვალე, სარფი.

4. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ჯართის შემოტანა და ამ ტერიტორიიდან გატანა განხორციელდეს მხოლოდ სარკინიგზო და საზღვაო ტრანსპორტით, შესაბამისი სასაზღვრო საბაჟო ორგანოების განთავსების ადგილებში.

5. აუცილებლობის შემთხვევაში ახალი სასაზღვრო საბაჟო ორგანოები გაიხსნას საერთაშორისო ხელშეკრულებების მოთხოვნათა დაცვით და სასაზღვრო (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო) და საბაჟო (საქართველოს ფინანსთა სამინისტრო) ორგანოების ურთიერთშეთანხმებით.

6. დადგენილება ამოქმედდეს 2007 წლის 1 იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი **ზურაბ ნოღაიდელი**

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №1774

2006 წლის 20 დეკემბერი ქ. თბილისი

საავტომობილო მიმოსვლის სახმელეთო სასაზღვრო საბაჟო-გამშვებ პუნქტებზე საბაჟო პროცედურების განხორციელების წესების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბაჟო კოდექსის 62-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის N39 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის "ლ" ქვეპუნქტის საფუძველზე, ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს ინსტრუქცია "საავტომობილო მიმოსვლის სახმელეთო სასაზღვრო

საბაჟო-გამშვებ პუნქტებზე საბაჟო პროცედურების განხორციელების წესების შესახებ" თანდართულ დანართებთან ერთად (დანართი N1, N2, N3).

2. ბრძანება ამოქმედდეს 2007 წლის 1 იანვრიდან.

ა. ალექსიშვილი

ინსტრუქცია
საავტომობილო მიმოსვლის სახმელეთო სასაზღვრო საბაჟო-გამშვებ პუნქტებზე საბაჟო პროცედურების განხორციელების წესების შესახებ

თავი I

საბაჟო კონტროლის განხორციელების ზოგადი დებულებანი

მუხლი 1.

წინამდებარე ინსტრუქცია განსაზღვრავს საავტომობილო მიმოსვლის სახმელეთო სასაზღვრო საბაჟო-გამშვებ პუნქტებზე (შემდგომში-საბაჟო ორგანოები) საბაჟო პროცედურების ჩატარების წესს.

მუხლი 2.

საბაჟო კონტროლს ექვემდებარება საბაჟო საზღვარზე გადაადგილებელი საბაჟო ზედამხედველობას დაქვემდებარებული საქონელი ან/და სატრანსპორტო საშუალებები, ამ დებულების მე-5 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა.

მუხლი 3. (14.05.2007 N484)

საქართველოს სახმელეთო სახელმწიფო საზღვარზე განთავსებულ საბაჟო ორგანოებში საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანილი საქონლისა და/ან სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო კონტროლი ხორციელდება საბაჟო ორგანოების სამუშაო საათებში, საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების სასაზღვრო-საიმიგრაციო შემოწმების შემდეგ, საქართველოს საბაჟო საზღვრის გადმოკვეთისას, ხოლო საქართველოს ტერიტორიიდან საქონლისა და/ან სატრანსპორტო საშუალებების გატანისას ხორციელდება საბაჟო, ხოლო შემდეგ სასაზღვრო-საიმიგრაციო კონტროლი.

მუხლი 4.

1. საბაჟო კონტროლის ზონიდან სატრანსპორტო საშუალებების უნებართვოდ გასვლის შემთხვევაში საბაჟო მოხელე უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება მათი იძულების წესით გაჩერების თაობაზე.

2. აღნიშნული მოთხოვნით საბაჟო ორგანო მიმართავს შსს სასაზღვრო პოლიციის წარმომადგენლებს პირების საბაჟო ტერიტორიიდან გასვლისას, ხოლო პირების საბაჟო ტერიტორიაზე შემოსვლისას საპატრულო პოლიციას ან ფინანსურ პოლიციას.

მუხლი 5.

1. საბაჟო კონტროლს არ ექვემდებარება:

ა) საქართველოს პრეზიდენტი, პარლამენტის თავმჯდომარე, საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მთავრობის წევრები, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

ბ) საქართველოში სხვა სახელმწიფოს დიპლომატიურ და მასთან გათანაბ-რებულ წარმომადგენლობათა დიპლომატიური და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი (მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრთა ჩათვლით) და მათი პირადი ნივთები, გარდა კანონმდებლობით

გათვალისწინებული შემთხვევებისა;

გ) სხვა სახელმწიფოში საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობათა დიპლომატიური და დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი, მათი თანმხლები ოჯახის წევრები, პირადი ნივთები, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

დ) სხვა სახელმწიფოს წარმომადგენლებზე, საპარლამენტო და სამთავრობო დელეგაციის, აგრეთვე, ნაცვალგების პრინციპით უცხო ქვეყნის დელეგაციის იმ წევრები, რომლებიც საქართველოში ჩამოდიან სახელმწიფოთაშორის მოლაპარაკებაში, საერთაშორისო კონფერენციებსა და თათბირებში მონაწილეობის მისაღებად ან სხვა ოფიციალური დავალებით, აგრეთვე მათი თანმხლები ოჯახის წევრები;

ე) სხვა ქვეყნის დიპლომატიური და საკონსულო კურიერების პირადი სარგებლობისათვის გათვალისწინებული საქონლის საქართველოში შემოტანა და გატანა, ნაცვალგების პრინციპით, ორ ქვეყანას შორის არსებული საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმების საფუძველზე; საბაჟო ტარიფისა და მოსაკრებლებისაგან გათავისუფლებით.

ვ) საერთაშორისო სამთავრობათაშორისო ორგანიზაციების, მათთან არსებული უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლობები, აგრეთვე ამ ორგანიზაციებისა და წარმომადგენლობების პერსონალი, მათი თანმხლები ოჯახის წევრები, საქართველოს შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე.

ზ) სხვა სახელმწიფოს წარმომადგენლობის დიპლომატიური პერსონალი, საკონსულო თანამდებობის პირები და მათი ოჯახის წევრები, აგრეთვე ამ მუხლის "გ" და "დ" ქვეპუნქტებში აღნიშნულ პირები, რომლებიც ამაევ მიზნით ტრანზიტით გადაადგილდებიან საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გავლით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის "დ" და "ე" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეღავათების გავრცელების თაობაზე შემოსავლების სამსახური" ტერიტორიულ ორგანოებს უგზავნის წინასწარ ინფორმაციას; (23.04.2007 N399)

3. თუ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი იმის თაობაზე, რომ ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული დიპლომატიური და დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის პირადი ბარგი შეიცავს საგნებს, რომელთა შემოტანა-გატანა აკრძალულია, ან რეგულირდება საქართველოს საკარანტინო წესებით, საბაჟო შემოწმება ხორციელდება დიპლომატიური და დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ან მათი უფლებამოსილი წარმომადგენლის თანდასწრებით.

4. საბაჟო კონტროლისაგან განთავისუფლება არ ნიშნავს საბაჟო კანონ-მდებლობით, საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით გათვალის-წინებული მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებას.

მუხლი 6.

1. საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას აკრძალულია სხვა სახელმწიფოს დიპლომატიური ფოსტისა და საკონსულო ვალიზას გახსნა ან დაკავება.

2. დიპლომატიური ფოსტისა და საკონსულო ვალიზას შემადგენელ ყველა დასტას (შეკრას) უნდა ჰქონდეს თვალსაჩინო გარეგნული ნიშნები, რომლებიც მიუთითებს მათ ხასიათს, აგრეთვე შეკრას გარედან უნდა ეწეროს, რა არის შიგნით.

3. დიპლომატიური ფოსტა შეიძლება შეიცავდეს მხოლოდ დიპლომატიურ საბუთებსა და ოფიციალური სარგებლობისათვის გათვალისწინებულ საქონელს, ხოლო საკონსულო ვალიზა უნდა შეიცავდეს მხოლოდ ოფიციალურ კორესპოდენციას, საბუთებს ან ოფიციალური სარგებლობისათვის გათვალისწინებულ საქონელს.

4. დიპლომატიური კურიერის დაკავება დაუშვებელია. დიპლომატიურ კურიერს თან უნდა ჰქონდეს ოფიციალური დოკუმენტი მისი სტატუსისა და დიპლომატიური ფოსტის

დასტების რიცხვის მითითებით.

5. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს სერიოზული საფუძველი იმის საეარაუდოდ, რომ საკონსულო ვალიზა საკონსულოს ოფიციალური კორესპოდენციების, საბუთების ან ოფიციალური სარგებლობისათვის გათვალისწინებული საქონლის გარდა შეიცავს სხვა რამესაც, საბაჟო ორგანოს მოთხოვნით შეიძლება ვალიზას გახსნა სახელმწიფოს წარმომადგენელი უფლებამოსილი პირის მიერ საბაჟო ორგანოს თანამდებობის პირთა თანდასწრებით. საკონსულო ვალიზას გახსნაზე უარის შემთხვევაში იგი ბრუნდება გამოგზავნის ადგილზე.

6. საკონსულოს კურიერს, რომელსაც ჩაბარდება საკონსულო ვალიზა, - უნდა გააჩნდეს ოფიციალური დოკუმენტი, რომელშიც აღნიშნული იქნება მისი სტატუსი და ვალიზის შემადგენელი შეკვრების რაოდენობა.

მუხლი 7.

საბაჟო საზღვარზე საბაჟო ორგანოების მიერ საბაჟო პროცედურების განხორციელება ითვალისწინებს:

ა) საქონლისა და/ან სატრანსპორტო საშუალებების წარდგენას;

ბ) ზოგად დეკლარირებას;

გ) სათანადო დოკუმენტების არსებობის დადგენას;

დ) საბაჟო დეკლარაციის წარდგენას;

ე) საქონლის, სატრანსპორტო საშუალებებისა და მგზავრთა პირადი ნივთების შემოწმებას;

ვ) მგზავრის პირად დათვალიერებას;

ზ) აღრიცხვის მოწმობის გამოწერას;

თ) გადასახდელების გადახდას;

ი) კანონმდებლობით გათვალისწინებული კონტროლის სხვა სახეებს (სანიტარიულ-საკარანტინო, სახელმწიფო ფიტო-სანიტარიული და ვეტერინარული სასაზღვრო საკარანტინო კონტროლი, ტექნიკური სტანდარტებისადმი შესაბამისობისა და ხარისხის, აგრეთვე სავალუტო კონტროლი, რადიაციული უსაფრთხოების კონტროლი, ზენორმატიული დატვირთვის და გაბარიტების კონტროლი და სხვა – კომპეტენციის ფარგლებში).

მუხლი 8.

1. საბაჟო კონტროლის და გაფორმების დროს დაუშვებელია პირებისათვის, მათი ბარგისა და ხელბარგისათვის, საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებებისათვის არამართლზომიერი ზიანის მიყენება.

2. საბაჟო ორგანოებსა და მათ სახელმწიფო მოხელეებს კანონმდებლობით დადგენილი წესით ეკისრებათ პასუხისმგებლობა იმ ზიანისათვის, რომელიც ფიზიკურ და იურიდიულ პირებსა და მათ ქონებას მიაყენეს თავიანთი არამართლზომიერი გადაწყვეტილებით და ქმედებით სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას.

3. საბაჟო ორგანოები არ უნაზღაურებენ საქონლის მესაკუთრეს იმ დანაკლისს, რომლებიც დაკავშირებულია სინჯებისა და ნიმუშების აღებასთან.

მუხლი 9.

1. პირი ვალდებულია ხელი შეუწყოს საბაჟო კონტროლის განხორციელებას:

ა) ბარგისა და ხელბარგის შემოწმების მიზნით საბაჟო მოხელის მოთხოვნით შესამოწმებელი პირი ვალდებულია მოათავსოს ბარგი და ხელბარგი საბაჟო მოხელის მიერ მითითებულ ადგილზე, გახსნას ბარგი და ხელბარგი, წარუდგინოს მოხელეს მასში არსებული ნივთები, საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული ვალუტა და ფასიანი ქაღალდები;

ბ) სატრანსპორტო საშუალებების მძღოლები ვალდებულნი არიან წარუდგინონ საბაჟო მოხელეს სატრანსპორტო საშუალებები, გახსნან სათავსები, სადაც იმყოფება ან შეიძლება

მოთავსებული იყოს საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონელი.

2. წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში საბაჟო ორგანოს უფლებამოსილმა პირმა უნდა იმოქმედოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

მუხლი 10.

1. მგზავრის ბარგსა და ხელბარგში ნივთების საბაჟო დათვალიერება წარმოებს, როგორც წესი, იმ პირის თანდასწრებით, რომლის საკუთრებაში ან მფლობელობაშია ისინი, ან წარმომადგენლის თანდასწრებით;

2. თუ მესაკუთრის დადგენა შეუძლებელია, ან მესაკუთრე უარს აცხადებს დათვალიერებაზე დასასწრებად, საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირის გადაწყვეტილებით შეიძლება უფლებამოსილ პირთა და მათ წარმომადგენელთა დაუსწრებლად, დამსწრეთა მონაწილეობით, საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო დათვალიერება.

მუხლი 11.

1. მე-9 მუხლის მე-2 და მე-10 მუხლის მე-2 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, საბაჟო მოხელე იძულების წესით ახორციელებს საბაჟო დათვალიერებას ორი დამსწრის თანდასწრებით.

2. დამსწრე მოიწვევა საბაჟო შემოწმების ჩატარების ფაქტის, მისი მიმდინარეობისა და შედეგების დასადასტურებლად.

3. დამსწრედ შეიძლება მოწვეული იქნეს ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომელიც არ არის დაინტერესებული შემოწმების შედეგებით.

4. საბაჟო დათვალიერების შედეგები ფორმდება საქონლის საბაჟო დათვალიერების ოქმით (დანართი 1).

5. საბაჟო დათვალიერების ოქმს ადგენს საბაჟო ორგანოს ის მოხელე, რომელიც მონაწილეობს საბაჟო დათვალიერებაში. ოქმს შესაბამისი ხელმოწერით ადასტურებენ საბაჟო ორგანოს ის პირები, რომლებმაც მიიღეს მონაწილეობა საბაჟო დათვალიერების, აგრეთვე ის პირები, რომლებიც ამ პროცედურას ესწრებოდნენ.

6. საბაჟო დათვალიერების ოქმი დგება ორ ეგზემპლარად, შედგენილი ოქმის ერთი ეგზემპლარი ეგზავნება რჩება შემდგენელთან, ხოლო მეორე ეგზემპლარი გადაეცემა პირს.

7. საბაჟო დათვალიერების შედეგების მიხედვით საბაჟო სამართალდარღვევის გამოვლენის შემთხვევაში საბაჟო შემოწმების ოქმი დგება სამ ეგზემპლარად, რომლის პირველი ეგზემპლარი რჩება ოქმის შემდგენელთან, მეორე ეგზემპლარი - ოქმთან და საქმის გადასაწყვეტად საჭირო სხვა მასალებთან ერთად დაუყოვნებლივ გადაეგზავნება შესაბამის საბაჟო ორგანოს საბაჟო სართალდარღვევის საქმის განსახილველად. ხოლო მესამე ეგზემპლარი გადაეცემა პირს.

8. იმ შემთხვევაში, თუ საბაჟო შემოწმებას ესწრებიან სახელმწიფო საზღვარზე კონტროლის განმახორციელებელი სხვა სახელმწიფო ორგანოს თანამშრომლები, ოქმში შეიტანება მათი მონაცემებიც, რაც დასტურდება მათი ხელმოწერით და გადაეცემათ ოქმის ასლი.

9. ნივთები, ოქმში დაწვრილებით აღწერის შემდეგ, შესაძლებლობის შემთხვევაში, უნდა შეიფუთოს და დაილუქოს. შეფუთულ ნივთზე ლუქის გარდა აღინიშნება თარიღი და იმ პირთა ხელმოწერები, ვინც მონაწილეობა მიიღო საბაჟო შემოწმების ჩატარებაში.

10. საბაჟო დათვალიერების დასრულების შემდეგ საბაჟო ორგანოს მიერ უნებართვოდ მიტოვებული ნივთები ინახება საბაჟო ორგანოს უფროსის გადაწყვეტილების შესაბამისად, რათა გამორიცხული იქნეს მათი დაკარგვა ან არსებითი დაზიანება.

მუხლი 12.

1. საბაჟო დათვალიერების ოქმის შემდგენელი საბაჟო მოხელის მიერ ოქმი თანდართული მასალებით რეგისტრირებული უნდა იქნეს "საბაჟო დათვალიერების ოქმების რეგისტრაციის ჟურნალში."

2. "საბაჟო დათვალიერების ოქმების რეგისტრაციის ჟურნალი" უნდა იყოს სათანადო წესით დანომრილი, აკინძული, ზონარგაყრილი და ბეჭედდასმული; ჟურნალი უნდა შეიცავდეს შემდეგ რეკვიზიტებს (დანაყოფებს): 1. რიგითი N; 2. ოქმის N; 3. პირის გვარი, სახელი; 4. ოქმის შემდგენის თანამდებობა, სახელი, გვარი; 5. საბაჟო დათვალიერების ჩატარების თარიღი; 6. საბაჟო დათვალიერების შედეგი; 7. საბაჟო დათვალიერების შედეგად გამოვლენილი სამართალდარღვევის ოქმის N და თარიღი (ასეთის გამოვლენის შემთხვევაში);

თავი II.

მგზავრების საბაჟო კონტროლი

მუხლი 13.

ამ ინსტრუქციის მიზნებისათვის მგზავრი არის საბაჟო საზღვრის კანონიერად გადამკვეთი ნებისმიერი ფიზიკური პირი (მათ შორის სატრანსპორტო საშუალების მძღოლები სხვ.), მიუხედავად საბაჟო საზღვრის გადაკვეთის მიზნებისა.

მუხლი 14.

1. საქართველოში შემოსვლისას მგზავრის და მის მიერ გადაადგილებული ბარგისა და ხელბარგის საბაჟო კონტროლი იწყება საბაჟო საზღვრის გადმოკვეთის მომენტიდან და მთავრდება ბარგისა და ხელბარგის პირის სრულ განკარგულებაში გადაცემით.

2. საქართველოდან გასვლისას საბაჟო კონტროლი იწყება საბაჟო დეკლარირების მომენტიდან და მთავრდება საბაჟო რეჟიმების შესაბამისად.

მუხლი 15.

მგზავრი დეკლარირებას ახდენს საბაჟო მოხელისათვის ბარგისა და ხელბარგის წარდგენასთან ერთად.

მუხლი 16.

1. დეკლარირება შესაძლებელია მოხდეს პირის ქმედებით ("წითელ" ან "მწვანე კორიდორებში" გავლა), ზეპირი ან წერილობითი ფორმით.

2. მგზავრის მიერ "წითელი კორიდორით" გავლის არჩევანი წარმოადგენს მის მიერ ზეპირ განაცხადს (დეკლარირებას), რომ მას გააჩნია დეკლარირებას დაქვემდებარებული საქონელი; ხოლო პირის მიერ "მწვანე კორიდორით" გავლის არჩევანი წარმოადგენს პირის მიერ ზეპირ განაცხადს, რომ მას არ გააჩნია დეკლარირებას დაქვემდებარებული საქონელი;

3. თუ არსებობს წინასწარი ინფორმაცია ან გარეგნული ნიშნები იძლევა საფუძველს ვარაუდისთვის, რომ მგზავრის ზეპირსიტყვიერი ან ქმედებით დეკლარირება არაზუსტია, საბაჟო მოხელის მოთხოვნით მგზავრი ვალდებულია წარუდგინოს მას წერილობითი დეკლარაცია.

4. წერილობითი დეკლარირება ხორციელდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ განსაზღვრული ფორმითა და წესით.

მუხლი 17.

წერილობითი დეკლარირებისას მგზავრი საბაჟო მოხელეს წარუდგენს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთისათვის საჭირო პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს, ხოლო

საბაჟო მოხელის მოთხოვნისას - სხვა დოკუმენტებსაც, ასეთის არსებობის შემთხვევაში (სამგზავრო ბილეთი, ნივთის მფლობელობის დამადას-ტურებელი დოკუმენტი და საბაჟო კონტროლისათვის საჭირო სხვა დოკუმენტები).

მუხლი 18.

დეკლარირების განხორციელებამდე მგზავრს უფლება აქვს საბაჟო მოხელის სიტყვიერი თანხმობით საბაჟო კონტროლის ქვეშ დაათვალიეროს მისი კუთვნილი ბარგი და ხელბარგი.

მუხლი 19.

საბაჟო მოხელე უფლებამოსილია მოახდინოს მგზავრის ზეპირი გამოკითხვა და მოითხოვოს ინფორმაცია მხოლოდ საბაჟო კონტროლის განხორციელების მიზნით. მგზავრი ვალდებულია საბაჟო მოხელეს მიაწოდოს სრული და ამომწურავი ინფორმაცია.

მუხლი 20. (14.05.2007 N484)

მგზავრის დეკლარაციასა და ზეპირი დეკლარირებისას მიღებული მონაცემები შესაძლოა გამოყენებულ იქნეს მტკიცებულებად, თუ სამართალდარღვევის შემთხვევა დასტურდება საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებათა მეშვეობით (ნივთიერი მტკიცებულებები, ახსნა-განმარტება, სამართალდარღვევის ოქმი და სხვა).

მუხლი 21.

საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის შემდეგ მგზავრს უფლება აქვს წერილობითი განცხადების საფუძველზე მოითხოვოს და საბაჟო მოხელის თანხმობით მოახდინოს დეკლარაციაში შეტანილი მონაცემების შეცვლა, ან დეკლარაციის ბათილად ცნობა.

მუხლი 22.

1. საბაჟო მოხელე უფლებამოსილია მოახდინოს მგზავრის კუთვნილი ბარგისა და ხელბარგის საბაჟო დათვალიერება.

2. საბაჟო დათვალიერება ხდება მხოლოდ დეკლარირების განხორციელების შემდეგ.

მუხლი 23.

1. თუ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი იმის სავარაუდოდ, რომ საზღვრის გადამკვეთი, საბაჟო კონტროლის ზონაში მყოფი მგზავრი სხეულში ან სხეულზე - მალავს საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთს, საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირის გადაწყვეტილებით ხდება მგზავრის დათვალიერება.

2. საბაჟო ორგანოს უფლებამოსილ პირს უფლება აქვს:

ა) შეამოწმოს მგზავრი დათვალიერებით;

ბ) სხეულის შიდა ორგანოების დათვალიერების მიზნით გააგზავნოს მგზავრი სამედიცინო დაწესებულებაში საბაჟო ორგანოს უფლებამოსილ პირთან ერთად, თუ მას აქვს ეჭვი, რომ მგზავრი სხეულის შიდა ორგანოებში მალავს საქონელს.

მუხლი 24.

1. მგზავრის დათვალიერების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს საბაჟო ორგანოს შესაბამისი უფლებამოსილი პირი.

2. გადაწყვეტილება მგზავრის დათვალიერების თაობაზე გამოიცემა წერილობით ან ზეპირად.

3. დაინტერესებული მხარის მოთხოვნით, ზეპირი გადაწყვეტილება მიღებიდან 3 დღის ვადაში უნდა გამოიცეს წერილობით.

მუხლი 25.

მგზავრის დათვალიერების დაწყების წინ საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირი ვალდებულია პირს წარუდგინოს თანამდებობრივი მოწმობა, აცნობოს გადაწყვეტილება მგზავრის დათვალიერების თაობაზე, გააცნოს მისი უფლება-მოვალეობანი ასეთი დათვალიერების დროს და მისცეს წინადადება დამალული საქონლის ნებაყოფლობით გადაცემის თაობაზე.

მუხლი 26.

1. მგზავრის დათვალიერების დაწყებამდე ჩამოსართმევი საქონლის ნებაყოფლობით გადაცემის შემთხვევაში უნდა შედგეს ოქმი, ან/და სამართალდარღვევის ოქმში გაკეთდეს შესაბამისი ჩანაწერი.

2. ჩამოსართმევი საქონლის ნებაყოფობით გადაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში განხორციელდება მგზავრის დათვალიერება.

3. ამ მუხლის პირველ და მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, თუ მგზავრს აღმოაჩნდება არადეკლარირებული ნივთი, მისი მოქმედება ჩაითვლება საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის უკანონოდ გადადგილებად.

მუხლი 27.

მგზავრის დათვალიერება შეუძლია აწარმოოს საბაჟო ორგანოს საამისოდ უფლებამოსილმა პირმა, რომელიც დასათვალიერებელი პირის სქესისაა, ან მოწვეულმა სპეციალისტმა, ცალკე ამისათვის გამოყოფილ ადგილას, იმავე სქესის ორი პირის თანდასწრებით. მგზავრის მოთხოვნით, მის დათვალიერებას უნდა დაესწროს მოწმე, რომელსაც აირჩევს თვითონ, იქ მყოფთა შორის.

მუხლი 28.

მგზავრის დათვალიერების შესახებ დგება ოქმი (დანართი 2) ან/და სამართალდარღვევის ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.

მუხლი 29.

1. მგზავრის დათვალიერების ჩატარების შესახებ ოქმი დათვალიერების ჩამტარებელი თანამდებობის პირების მიერ დგება დათვალიერების დამთავრების შემდეგ, მგზავრის დათვალიერების ჩატარების ადგილზე;

2. ოქმში აღნიშნული უნდა იყოს: დათვალიერების ჩატარების თარიღი და ადგილი;

3. პირველ გრაფაში მიეთითება იმ პირის თანამდებობა, სახელი და გვარი, ვის მიერაც იქნა მიღებული გადაწყვეტილება მგზავრის დათვალიერებაზე;

4. მე-2 გრაფაში მიეთითება იმ პირის თანამდებობა, სახელი და გვარი, რომელმაც ჩაატარა მგზავრის დათვალიერება. მგზავრის დათვალიერების ჩატარების მიზნით სპეციალისტის მოწვევის შემთხვევაში, აღნიშნულ გრაფაში მიეთითება სპეციალისტის სახელი, გვარი, კვალიფიკაცია და სამუშაო ადგილი.

5. მე-3 გრაფაში მიეთითება იმ მგზავრის სახელი, გვარი, მისამართი და პირადობის დამადასტურებელი სხვა რეკვიზიტები, რომლის დათვალიერებაც უნდა ჩატარდეს;

6. მე-4 გრაფა ადგენს საბაჟო მოხელის მიერ მგზავრის დათვალიერების დაწყებამდე ჩასატარებელ პროცესუალურ მოქმედებათა თანმიმდევრობას.

7. მე-5 გრაფაში მიეთითება, თუ რომელ ენაზე მიმდინარეობდა საუბარი. ასევე მიეთითება იმ პირის სახელი, გვარი და მისამართი ვინც ეწეოდა თარჯიმნობას. აქვე აღინიშნება თუ პროცესში თარჯიმნის მინაწილეობა აუცილებლობა არ ყოფილა.

8. მე-6 გრაფაში მიეთითება იმ პირების სახელები, გვარები და მისამართები, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ მგზავრის დათვალიერების პროცესში.

9. მე-7 გრაფაში იწერება დათვალიერების დაწყებისა და დამთავრების დრო;

10. მე-8 გრაფაში აღიწერება მგზავრის დათვალიერებისას განხორციელებული ღონისძიებები.

11. მე-9 გრაფაში მითითებული უნდა იქნეს, რა ვითარებაშია აღმოჩენილი საგანი ან დოკუმენტი, ნებაყოფლობითაა ის გადაცემული, თუ იძულებით ჩამორთმეული; აგრეთვე უნდა აღინიშნოს, თუ დათვალიერებისას იყო მცდელობა, გაენადგურებინათ და გადაემალათ მოსაძებნი საგანი ან დოკუმენტი, ან/და თუ დასათვალიერებლმა პირმა გასწია წინააღმდეგობა.

12. მე-10 გრაფაში შეიტანება ყველა ჩამორთმეული საგნისა და დოკუმენტის ჩამონათვალი მათი სახეობის, რაოდენობის (წონის), ინდივიდუალური და გვარეობითი ნიშნების და სხვა შესაძლო მახასიათებლების მითითებით. თუ ჩამონათვალის შესატანად გრაფა არასაკმარისია, გრაფაში მიეთითება "სია თან ერთვის" და ოქმს თან დაერთვის ხელმოწერებით დადასტურებული ჩამორთმეული ნივთიერი მტკიცებულებების სრული ნუსხა. თუ პირადი მგზავრის დათვალიერების პროცესში ნივთიერი მტკიცებულებები არ აღმოჩნდა, გრაფაში კეთდება შესაბამისი აღნიშვნა.

13. მე-11 გრაფაში შეიტანება ინფორმაცია საიდენტიფიკაციო საშუალებების, მათი ნომრებისა და ნივთმტკიცებულებების განთავსების ან გაგზავნის ადგილის შესახებ.

14. მე-12 გრაფაში ხელს აწერენ მგზავრის დათვალიერების ჩამტარებელი და დამსწრე პირები. თუ მგზავრის დათვალიერების რომელიმე მონაწილე უარს ამბობს ოქმის ხელმოწერაზე, ამის შესახებ ოქმში კეთდება აღნიშვნა, ოქმის ხელმოწერაზე უარის მიზეზის განმარტებით, რასაც ხელმოწერით ადასტურებს საბაჟო მოხელე.

15. მე-13 გრაფაში ხელს აწერს პირი, ვისაც ჩაუტარდა მგზავრის დათვალიერების. ოქმზე ხელმოწერაზე უარის თქმის შემთხვევაში შენიშვნის გრაფაში კეთდება აღნიშვნა, ოქმის ხელმოწერაზე უარის მიზეზის განმარტებით.

16. მგზავრის დათვალიერების ჩატარების მონაწილე ნებისმიერი პირის მიერ ოქმში შეტანილი ყველა შენიშვნა, დამატება ან შესწორება დადასტურებული უნდა იყოს მათივე ხელმოწერით. თუ არსებობენ მოწმეები, რომლებსაც შესაძლებელია გააჩნდეთ ინფორმაცია საქმესთან დაკავშირებით დასადგენ გარემოებათა შესახებ, ოქმს შეიძლება ხელი მოაწერონ ამ პირებმაც;

17. მგზავრის დათვალიერების ოქმი დგება ორ ეგზემპლარად, შედგენილი ოქმის ერთი ეგზემპლარი რჩება შემდგენელთან, ხოლო მეორე ეგზემპლარი გადაეცემა ფიზიკურ პირს.

18. მგზავრის დათვალიერების შედეგების მიხედვით საბაჟო სამართალდარღვევის გამოვლენის შემთხვევაში მგზავრის დათვალიერების ოქმი დგება სამ ეგზემპლარად, რომლის პირველი ეგზემპლარი რჩება ოქმის შემდგენელთან, მეორე ეგზემპლარი - სამართალდარღვევის ოქმთან და საქმის გადასაწყვეტად საჭირო სხვა მასალებთან ერთად დაუყოვნებლივ გადაეგზავნება შესაბამის საბაჟო ორგანოს სამართალდარღვევის საქმის განსახილველად, ხოლო მესამე ეგზემპლარი გადაეცემა პირს.

19. იმ შემთხვევაში, თუ მგზავრის დათვალიერებას ესწრებიან სახელმწიფო საზღვარზე კონტროლის განმახორციელებელი სხვა სახელმწიფო ორგანოს თანამშრომლები, ოქმში შეიტანება მათი მონაცემებიც, რაც დასტურდება მათი ხელმოწერით და გადაეცემათ ოქმის ასლი.

20. მგზავრის დათვალიერების ოქმის შემდგენელი საბაჟო მოხელის მიერ ოქმი თანდართული მასალებით რეგისტრირებული უნდა იქნეს "მგზავრის დათვალიერების ოქმების რეგისტრაციის ჟურნალში."

21. "მგზავრის დათვალიერების ოქმების რეგისტრაციის ჟურნალი" უნდა იყოს სათანადო წესით დანომრილი, აკინძული, ზონარგაყრილი და ბეჭედდასმული; ჟურნალი უნდა უნდა შეიცავდეს შემდეგ რეკვიზიტებს: 1. რიგითი N; 2. ოქმის N; 3. პირის გვარი, სახელი; 4. ოქმის შემდგენის თანამდებობა, სახელი, გვარი; 5. მგზავრის დათვალიერების ჩატარების

თარიღი; 6. მგზავრის დათვალიერების ჩატარების შედეგი; 7. დათვალიერების შედეგად გამოვლენილი სამართალდარღვევის ოქმის N და თარიღი (ასეთის გამოვლენის შემთხვევაში);

მუხლი 30.

ნივთები, რომლებიც წარმოადგენენ სამართალდარღვევის იარაღს ან უშუალო ობიექტს, ოქმში დაწერილებით აღწერის შემდეგ შესაძლებლობის შემთხვევაში უნდა შეიფუთოს და დაილუქოს. შეფუთულ ნივთზე ლუქის გარდა აღინიშნება თარიღი და იმ პირთა ხელმოწერები, ვინც მონაწილეობა მიიღო დათვალიერებაში.

მუხლი 31.

საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირების მიერ მგზავრის დათვალიერების შედეგად ჩამორთმეული ნივთები ინახება როგორც სამართალდარღვევის მტკიცებულებები, სამართალდარღვევის საქმის მწარმოებელი პირის გადაწყვეტილების შესაბამისად.

მუხლი 32.

1. მგზავრს უფლება აქვს:

ა) გაეცნოს საბაჟო ორგანოს უფროსის ან მისი შემცვლელის გადაწყვეტილებას პირადი დათვალიერების თაობაზე;

ბ) მიიღოს განმარტება საბაჟო ორგანოს თანამდებობის პირისგან თავისი უფლება-მოვალეობების შესახებ;

გ) გამოვიდეს იმ ენაზე, რომელიც იცის და თუ არ იცის ადმინისტრაციული წარმოების ენა, - ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით. თარჯიმანს უზრუნველყოფს საბაჟო ორგანო.

დ) მოითხოვოს მისი პირადი დათვალიერების პროცესში მის მიერ იქ მყოფთაგან არჩეული მოწმის დასწრება (არა უმეტეს ორისა);

ე) მოითხოვოს ბოდიშის მოხდა, თუ პირადი დათვალიერებისას არ აღმოაჩნდა ჩამოსართმევი საგანი ან დოკუმენტი;

ვ) გაასაჩივროს საბაჟო ორგანოს თანამდებობის პირის მოქმედებები და გადაწყვეტილებები.

2. პირად დათვალიერებას დაქვემდებარებული მგზავრი მოვალეა:

ა) წარმოშობილ ეჭვთან დაკავშირებით ზუსტად უპასუხოს დასმულ კითხვებს;

ბ) ხელი არ შეუშალოს საბაჟო ორგანოს თანამდებობის პირის მიერ პირადი დათვალიერების ჩატარების შესახებ გადაწყვეტილების შესრულებას;

მუხლი 33.

ფიზიკური პირის მიერ 30 000 ლარზე (ან მისი ექვივალენტის სხვა ვალუტაში) მეტი ნაღდი ფულის დეკლარირების შემთხვევაში საბაჟო მოხელე ახდენს პირის იდენტიფიკაციას საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2004 წლის 16 ნოემბრის N152 ბრძანებით დამტკიცებული „საბაჟო ორგანოების მიერ ინფორმაციის მიღების, სისტემატიზაციის, დამუშავებისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის გადაცემის წესის შესახებ" დებულების შესაბამისად.

მუხლი 34.

ფიზიკური პირის მიერ ბარგითა და ხელბარგით ფიტოსანიტარიულ ან ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის გადაადგილების შემთხვევაში საბაჟო ორგანოების მიერ ხორციელდება ფიტოსანიტარიული ან ვეტერინარული სასაზღვრო საკარანტინო კონტროლი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 35.

ფიზიკური პირის მიერ საბაჟო გაფორმებას დაუქვემდებარებელი საქონლის გადაადგილების შემთხვევაში საბაჟო კონტროლის დასრულებისას საბაჟო მოხელე ახდენს მისი კუთვნილი ბარგისა და ხელბარგის პირის სრულ განკარგულებაში გადაცემას.

თავი III.

საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული ფიზიკური პირის კუთვნილი საქონლის საბაჟო დამუშავების ოპერაციის განხორციელება

მუხლი 36.

საბაჟო დამუშავების ოპერაციის განხორციელებას დაქვემდებარებული საქონლის გადაადგილების შემთხვევაში ფიზიკური პირი საბაჟო მოხელეს წარუდგენს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით შევსებული სსდ ფორმა _ N2 (მგზავრის საბაჟო დეკლარაცია) საბაჟო დამუშავების ოპერაციის განხორციელებისათვის საჭირო სხვა დოკუმენტაციასთან ერთად.

მუხლი 37.

ფიზიკური პირის კუთვნილი საქონლის საბაჟო დამუშავების ოპერაციის განხორციელების მიზნით საბაჟო ორგანოს საბაჟო დეკლარაციასთან ერთად წარედგინება შემდეგი დოკუმენტები:

ა) ფიზიკური პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ბ) საქონლის ყიდვა-გაყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

გ) ტრანსპორტირების ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

დ). საქონლის წარმოშობის სერთიფიკატი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ე) სხვა მაკონტროლებელი ორგანოების მიერ გაცემული ნებართვები, თუ ასეთი ნებართვის წარმოდგენა სავალდებულოა "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

ვ) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დამატებითი სავალდებულო დოკუმენტაცია.

მუხლი 38.

წარმოდგენილ დეკლარაციას საბაჟო მოხელე ანიჭებს რეგისტრაციის ნომერს, რის შემდეგაც ხორციელდება წარმოდგენილი საქონლის შესაბამისობის შემოწმება დეკლარაციაში არსებულ მონაცემებთან.

მუხლი 39.

საქონლის დათვალიერების და შემოწმების შედეგად სამართალდარღვევის არარსებობის შემთხვევაში საბაჟო მოხელე ახდენს საბაჟო ღირებულების განსაზღვრას და გადასახდელების გაანგარიშებას.

მუხლი 40.

ფიზიკური პირის მიერ გადასახდელების გადახდის შემდეგ საბაჟო მოხელე ამთავრებს საბაჟო დამუშავების ოპერაციის განხორციელებას და ახდენს საქონლის გაშვებას.

მუხლი 41.

1. თუ პირი კანონით განსაზღვრულ ვადებში ვერ უზრუნველყოფს საბაჟო დამუშავების ოპერაციის განხორციელების პროცესში მისი ვალდებულებების შესრულებას (საჭირო

დოკუმენტაციის წარმოდგენა, საბაჟო გადასახდელების გადახდა), იგი უფლებამოსილია:

ა) წერილობითი განცხადების საფუძველზე საქონელი განათავსოს საბაჟო ორგანოს მიმდებარე ტერიტორიაზე დროებითი შენახვის საწყობში (ასეთის არსებობის შემთხვევაში), 20 კალენდარული დღის განმავლობაში. დასაბუთებული წერილობითი განცხადების შესაბამისად საბაჟო ორგანო უფლებამოსილია, აღნიშნული ვადა გააგრძელოს 10 კალენდარულ დღემდე;

ბ) საბაჟო ორგანოს ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით, საბაჟო მოხელის მიერ წარმოდგენილი საქონლის პირის თანდასწრებით დალუქვის შემდეგ, საბაჟო კონტროლის ქვეშ გაცილების თანხლებით გააგზავნოს საქონელი საბაჟო დამუშავების ოპერაციის განხორციელების ადგილას.

2. პირის მიზეზით დადგენილ ვადაში საბაჟო პროცედურების განხორციელების (საბაჟო დამუშავების ოპერაციის სახის განსაზღვრის) შეუძლებლობის შემთხვევაში საბაჟო ორგანო პირს წერილობით აცნობებს საქონლის განკარგვის განზრახვის თაობაზე.

მუხლი 42. (14.05.2007 N484)

თუ საბაჟო ორგანოს არ გააჩნია დროებითი შენახვის საწყობი, საქონლის მიმართ ხორციელდება ამ ინსტრუქციის 43-ე მუხლით გათვალისწინებული ღონისძიებები.

მუხლი 43.

1. თუ ფიზიკური პირის მიერ საბაჟო გამშვებ პუნქტზე წარდგენილი საქონელი არ ექვემდებარება საბაჟო დამუშავების ოპერაციის განხორციელებას ადგილზე ან საბაჟო ორგანოს არ აქვს უფლება გაცხადებულ რეჟიმში მოაქციოს საქონელი, საბაჟო ორგანო ახდენს წარმოდგენილი საქონლის დალუქვას პირის თანდასწრებით და გაცილების თანხლებით, საბაჟო კონტროლის ქვეშ საქონლის გაგზავნას უახლოეს საბაჟო დამუშავების ოპერაციის განხორციელების ადგილას.

2. თუ პირი საკუთარი ხარჯით უზრუნველყოფს გადამზიდველის მიერ საქონლის გადაზიდვას, საბაჟო დამუშავების ოპერაციის განხორციელების ადგილის შერჩევა ხდება პირის მიერ.

მუხლი 44.

საბაჟო ორგანოების მიერ საბაჟო კონტროლისა და საბაჟო დამუშავების ოპერაციის განხორციელების პროცესში მიღებული გადაწყვეტილებების ნებაყოფლობით შეუსრულებლობის შემთხვევაში საბაჟო ორგანო ადგენს საბაჟო სამართალდარღვევის ოქმს.

მუხლი 45.

ფიზიკური პირის მიერ იმპორტირებული იმ საქონლის რაოდენობა, რომელიც გათავისუფლებულია საბაჟო გადასახდელებისაგან, განისაზღვრება საბაჟო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი IV.

ცარიელი და მგზავრთა გადამყვანი სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო კონტროლი

მუხლი 46.

ცარიელი და მგზავრთა გადამყვანი სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო კონტროლი საქართველოში შემოსვლისას იწყება სახელმწიფო საზღვრის გადმოკვეთის მომენტიდან და მთავრდება მათი პირის სრულ განკარგულებაში გადაცემით.

მუხლი 47.

ცარიელი და მგზავრთა გადამყვანი სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო კონტროლი საქართველოდან გასელისას იწყება ზოგადი დეკლარირების მომენტიდან და მთავრდება საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას.

მუხლი 48.

საბაჟო კონტროლის განხორციელების მიზნით ცარიელი და მგზავრთა გადამყვანი სატრანსპორტო საშუალებების გადამაადგილებელი პირები ვალდებულნი არიან განახორციელონ ზოგადი დეკლარირება საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 49.

საქართველოდან გასელისას აღრიცხვის მოწმობის წარმოუდგენლობის შემთხვევაში დგება საბაჟო სამართალდარღვევის ოქმი.

მუხლი 50.

ცარიელი და მგზავრთა გადამყვანი სატრანსპორტო საშუალებები ექვემდებარება სრულ ან შერჩევით საბაჟო დათვალიერებას.

მუხლი 51.

1. საქართველოში შემოსელისას ან საქართველოდან გასვლისას ცარიელ სატრანსპორტო საშუალებებზე საბაჟო ორგანოების მიერ ლუქი არ დაიდება.

2. საბაჟო ორგანო უფლებამოსილია საბაჟო შემოწმების მიზნით გახსნას დალუქული ცარიელი სატრანსპორტო საშუალებები.

მუხლი 52.

საბაჟო შემოწმების დასრულების შემდეგ, სამართალდარღვევის არარსებობის შემთხვევაში, საბაჟო მოხელე კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში ახდენს ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაჟო კონტროლზე აყვანას (აღრიცხვის მოწმობის გამოწერას) ან კონტროლიდან მოხსნას (აღრიცხვის მოწმობის დახურვას) და ავტოსატრანსპორტო საშუალების აღრიცხვას ამ ინსტრუქციის მე-VI თავით განსაზღვრული წესით.

თავი V.

დატვირთული სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო კონტროლი

მუხლი 53.

სატრანსპორტო საშუალებაში არსებულ იმ საქონელზე, რომელიც მითითებული არაა თანმხლებ დოკუმენტაციაში, პასუხისმგებლობა ეკისრება სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეს ან მფლობელს.

მუხლი 54.

დაუშვებელია მგზავრთა საერთაშორისო გადაყვანისათვის განკუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალებებით (ავტობუსები, მიკროავტობუსები და მსუბუქი ავტომანქანებით) საქონლის გადაზიდვა, გარდა მძღოლისა და მგზავრების პირადი ბარგისა და ხელბარგისა.

მუხლი 55.

1. აკრძალული საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანის დროს, იგი დაუყოვნებლივ უნდა იქნეს გატანილი და/ან დაუყოვნებლივ გატანის შეუძლებლობის

შემთხვევაში მოთავსდეს დროებითი შენახვის საწყობში.

2. აკრძალული საქონლის უკან დაბრუნების დროს წარმოდგენილ დოკუმენტებზე (სატრანსპორტო ზედდებული ან ინვოისი ან კანონ-მდე-ლობით დადგენილი სხვა საბაჟო დოკუმენტი) საბაჟო ორგანო აკეთებს აღნიშვნას - „დაბრუნებულია საქონელი", მიეთითება თარიღი და დასტურდება პირადნომრიანი ბეჭდით. აღნიშნულ საქონელზე გამოიწერება საბაჟო კონტროლის ქვეშ მყოფი საქონლისა ან/და სატრანს-პორტო საშუალებების აღრიცხვის მოწმობა საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად.

3. სასაზღვრო საბაჟო ორგანოს უფლება აქვს საქონლის წარდგე-ნიდან 2 დღის შემდეგ დაუყოვნებლივ დააბრუნოს საქონელი, თუ წარმოდგენილი დოკუმენტები არ მოიცავს ზოგადი დეკლარირებისათვის საჭირო მონაცემებს და არ არის წარმოდგენილი კანონმდებლობით გათვალისწინებული ლიცენზიები, ნებართვები და სერტიფიკატები. საქონლის დაბრუნების პროცედურები ხორციელდება ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად.

მუხლი 56.

დაუშვებელია ტვირთამწეობის დადგენილი ნორმების დარღვევით დატვირთული ავტოსატრანსპორტო საშუალებების საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე გატარება. დატვირთვის წესები განისაზღვრება საქართველოს კანონით "საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ".

მუხლი 57.

დაუშვებელია საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის გადაადგილება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ისეთი გადამზიდველის მიერ, რომელსაც არა აქვს წარდგენილი საბაჟო ორგანოში გარანტია, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 58.

სატრანსპორტო საშუალებით გადაზიდული, თავისი სვლით გადაადგილებადი სხვა სატრანსპორტო საშუალებები ამ ინსტრუქციის მიზნებისათვის განიხილება საქონლად.

მუხლი 59.

საბაჟო ორგანოები ამ ინსტრუქციის 54-ე მუხლით გასაზღვრულ შემთხვევაში იღებენ გადაწყვეტილებას საქონლის ამ ინსტრუქციის 57-ე მუხლით განსაზღვრული გადამზიდველის კუთვნილ სატრანსპორტო საშუალებაში გადატვირთვის შესახებ ამ ინსტრუქციის 61-ე მუხლის შესაბამისად.

მუხლი 60.

საბაჟო ორგანოები იღებენ გადაწყვეტილებას ამ ინსტრუქციის 55–ე მუხლში აღნიშნული დარღვევების არსებობის შემთხვევაში სათანადო კორექტირების (სატრანს-პორტო საშუალებათა საერთო წონის, ღერძული დატვირთვის, ტვირთამწეობის, საგაბარიტო პარამეტრების კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის) შესახებ. თუ ასეთი კორექტირება შეუძლებელია, ან/და ტვირთი არ ექვემდებარება დაშლა-დანაწილებას, მათ მიერ საბაჟო საზღვრის გადმოკვეთა დაიშვება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტთან და საპატრულო პოლიციასთან შეთანხმებით და შესაბამისი რეკომენდაციის მიღების შემდეგ.

მუხლი 61.

ამ ინსტრუქციის 55-ე მუხლის მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში, თუ საქონელი ექვემდებარება დაშლას ან დანაწევრებას, ზედმეტი ტვირთი ექვემდებარება ჩამოცლას

საბაჟო ორგანოს მიერ მითითებულ ადგილას. ამ ინსტრუქციის 64-ე მუხლით გათვალისწინებული გადატვირთვის ოპერაციები ხორციელდება ამ ინსტრუქციის 61-ე მუხლით განსაზღვრული წესით.

მუხლი 62.

1. კორექტირების და საბაჟო კონტროლის განხორციელებისათვის საჭირო სხვა ოპერაციების ადგილი წარმოადგენს საბაჟო გამშვებ პუნქტის ტერიტორიას ან მასთან არსებულ უახლოეს საბაჟო კონტროლის ზონას, სადაც აღნიშნული ოპერაციების განხორციელება ტექნიკურად შესაძლებელია.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული ოპერაციები ხორციელდება საქონლის გადამაადგილებელი პირის ხარჯებით.

3. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული ოპერაციების ჩატარების ადგილამდე საქონელი და სატრანსპორტო საშუალება გადაადგილდება საბაჟო კონტროლის ქვეშ გაცილების თანხლებით, სააღრიცხვო მოწმობის საფუძველზე.

მუხლი 63.

საქონლით დატვირთული სატრანსპორტო საშუალებების მძღოლები ვალდებულნი არიან ზოგადი დეკლარირება საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

მუხლი 64.

საქართველოდან გასული დატვირთული სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო კონტროლის მიზნით წარსადგენი დოკუმენტებია:

ა) მძღოლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ბ) სატრანსპორტო საშუალების ტექნიკური დოკუმენტაცია (მისაბმელის არსებობის შემთხვევაში მისაბმელის ტექნიკური დოკუმენტაცია);

გ) საქონლის გადაზიდვის სატრანსპორტო დოკუმენტი (CMR);

დ) სააღრიცხვო მოწმობა (თუ საქონელი არ ექვემდებარება ადგილზევე საბაჟო გაფორმებას);

ე) საქართველოში გაფორმებული სატვირთო საბაჟო დეკლარაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ვ) "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული ლიცენზია ან ნებართვა (კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში);

ზ) სერტიფიკატები (კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში);

თ) სამართალდარღვევის შემთხვევაში – ადმინისტრაციული ჯარიმის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

ი) აქციზური საქონლის ბარათი (კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში).

მუხლი 65.

ინსტრუქციის 63-ე მუხლებში აღნიშნული დოკუმენტაციის ორიგინალის არ არსებობის შემთხვევაში საბაჟო ორგანო უფლებამოსილია მიიღოს მისი ასლი. თუ წარმოდგენილი დოკუმენტაცია შედგენილია იმ ენაზე, რომელზეც საბაჟო ორგანო ვერ განახორციელებს კონტროლს, ის უფლებამოსილია მოითხოვოს დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

მუხლი 66.

პირადობის დამადასტურებელი, ასევე სატრანსპორტო საშუალების ტექნიკური დოკუმენტაციის, საქონლის გადაზიდვის სატრანსპორტო დოკუმენტის (CMR) წარმოუდგენლობის შემთხვევაში საბაჟო ორგანო ადგენს სამართალდარღვევის ოქმს;

მუხლი 67.
საქონელი და სატრანსპორტო საშუალებები ექვემდებარება სრულ ან შერჩევით საბაჟო დათვალიერებას.

მუხლი 68.
დალუქულ სატრანსპორტო საშუალებაში არსებული საქონელი საბაჟო შემოწმებას არ ექვემდებარება გარდა იმ შემთხვევისა, როცა არსებობს ინფორმაცია, დაკალება ან აშკარა გარეგნული ნიშნები, რომ აღნიშნული სატრანსპორტო საშუალებით გადაიზიდება ისეთი საქონელი, რომელიც მითითებული არ არის თანმხლებ დოკუმენტაციაში.

მუხლი 69.
საბაჟო ორგანოები ახორციელებენ საქართველოში შემოსულ სატრანსპორტო საშუალებებზე არსებული ლუქის აუხსნელად დამატებითი საბაჟო ლუქების დადებას.

მუხლი 70.
1. ამ ინსტრუქციის 61-ე მუხლში აღნიშნულ შემთხვევაში საბაჟო ორგანო უფლებამოსილია გახსნას ლუქები, მოახდინოს საქონლის საბაჟო შემოწმება, ხოლო სამართალდარღვევის არარსებობის შემთხვევაში დალუქოს სატრანსპორტო საშუალება თანმხლებ დოკუმენტებში შესაბამისი მონაცემების შეტანით.
2. თუ ზემოთ აღნიშნული მოქმედებების ჩატარება საბაჟო ორგანოში ტექნიკურად შეუძლებელია, მისი განხორციელება ხდება ამ ინსტრუქციის 61-ე მუხლით გათვალისწინებული წესით;

მუხლი 71.
დალუქული სატრანსპორტო საშუალება არ უნდა იძლეოდეს მასში საქონლის დამატების ან ამოღების საშუალებას ლუქის მთლიანობის დაურღვეველად. ისეთი სატრანსპორტო საშუალების საქართველოში შემოსვლის შემთხვევაში, რომელიც არ აკმაყოფილებს ზემოთ აღნიშნულ მოთხოვნებს, საბაჟო ორგანო გადაწყვეტილებას საქონლის სხვა სატრანსპორტო საშუალებაში გადატვირთვის თაობაზე ამ ინსტრუქციის 61-ე მუხლით გათვალისწინებული წესით.

მუხლი 72.
დალუქული სატრანსპორტო საშუალებით დაიშვება მხოლოდ ნაყარი (დაფასოების გარეშე სატრანსპორტო საშუალებაში მოთავსებული) ტვირთების, ჯართის, ცოცხალი ცხოველების, სატრანსპორტო საშუალებების და დიდგაბარიტიანი ტვირთების გადაადგილება, რომლის დანაწევრება არ შეიძლება.

მუხლი 73.
დალუქული სატრანსპორტო საშუალებებით შემოტანილი საქონლის დროს, რომელსაც არ ახლავს შესაბამისი დოკუმენტაცია, საჭიროებს მოწმობა გამოიწერება დეკლარანტის ზეპირი დეკლარირების მონაცემების საფუძველზე, ხოლო სატრანსპორტო საშუალებაზე დადება შესაბამისი პლომბი და გადაზიდვა განხორციელდება საბაჟო გაცილების თანხლებით.

მუხლი 74.
1. დალუქული სატრანსპორტო საშუალებებით საქონლის შემოტანის დროს, რომლის დალუქვაც ტექნიკურად შესაძლებელია, მოწმობა გამოიწერება სრული საბაჟო შემოწმების განხორციელების საფუძველზე.
2. თუ ზემოთ აღნიშნული მოქმედების ჩატარება საბაჟო ორგანოში ტექნიკურად შეუძ-

ლებელია, მისი განხორციელება ხდება ამ ინსტრუქციის 61-ე მუხლით გათვალისწინებული წესით, ხოლო სატრანსპორტო საშუალებაზე დაიდება საბაჟო ლუქი.

მუხლი 75.

1. დალუქვას ტექნიკურად დაუქვემდებარებელი სატრანსპორტო საშუალებით საქონლის შემოტანის დროს, საქონელი უნდა გადაიტვირთოს იმ სატრანსპორტო საშუალებაზე, რომელიც ექვემდებარება დალუქვას (გარდა ამ ინსტრუქციის 72-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა).

2. თუ ზემოთ აღნიშნული მოქმედების ჩატარება საბაჟო ორგანოში ტექნიკურად შეუძლებელია, მისი განხორციელება ხდება ამ ინსტრუქციის 61-ე მუხლით გათვალისწინებული წესით, ხოლო სატრანსპორტო საშუალებაზე დაიდება საბაჟო ლუქი.

3. დალუქულ სატრანსპორტო საშუალებას უზრუნველყოფს საქონლის გადაადგილებაზე პასუხისმგებელი პირი.

მუხლი 76.

საქონლის შემოწმების შედეგების შესახებ დგება საქონლის საბაჟო შემოწმების ოქმი (დანართი 1).

მუხლი 77.

საბაჟო შემოწმების შედეგად სამართალდარღვევის არარსებობის შემთხვევაში საბაჟო ორგანო კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში ახდენს საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო კონტროლზე აყვანას (აღრიცხვის მოწმობის გამოწერას) ან კონტროლიდან მოხსნას (აღრიცხვის მოწმობის დახურვას).

მუხლი 78.

კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში საბაჟო კონტროლთან ერთად საბაჟო ორგანოები ახორციელებენ სახელმწიფო სანიტარიულ, ფიტოსანიტარიულ ან ვეტერინარულ სასაზღვრო საკარანტინო კონტროლს.

მუხლი 79.

ამ ინსტრუქციის 63-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ასევე დაულუქავი სატრანსპორტო საშუალებით გადაადგილებული ისეთი საქონლის შემთხვევაში, რომლის იდენტიფიკაციაც შეუძლებელია, საქონელი და სატრანსპორტო საშუალება გადაადგილდება გაცილების თანხლებით.

მუხლი 80.

საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული საბაჟო კონტროლზე აყვანილი და კონტროლიდან მოხსნილი საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების აღრიცხვის წესი დგინდება ინსტრუქციის VI თავით.

თავი VI.

საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების აღრიცხვის წესი

მუხლი 81.

საბაჟო კონტროლზე აყვანილი და კონტროლიდან მოხსნილი საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული საქონელი და სატრანსპორტო საშუალებები ექვემდებარება საბაჟო ორგანოს მიერ აღრიცხვას საჯალდებულო წესით.

მუხლი 82.
საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების აღრიცხვა ხდება ელექტრონული ფორმით ან საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოსვლის/ტერიტორიიდან გასვლის აღრიცხვის ჟურნალში (შემდგომში - ჟურნალი) რეგისტრაციით (დანართი 3);

მუხლი 83.
ცვლის გადაბარებისას პასუხისმგებელი საბაჟო მოხელე ჟურნალში ბოლო ჩანაწერის შემდეგ აწერს ხელს და სვამს პირადნომრიან ბეჭედს. სრულად შევსების შემდეგ ჟურნალი ბარდება რეგიონალურ საბაჟოს.

მუხლი 84.
ელექტრონული ფორმით რეგისტრაციის შემთხვევაში ცვლის დასრულების შემდეგ პასუხისმგებელი საბაჟო მოხელე ამობეჭდავს მონაცემებს, თითოეულ გვერდს დაამოწმებს პირადნომრიანი ბეჭდით და ხელმოწერით. ერთი თვის მონაცემები არაუგვიანეს მომდევნო თვის 5 რიცხვისა ბარდება რეგიონალურ საბაჟოს.

მუხლი 85.
საქართველოში შემოსული და საქართველოდან გასული საქონელი და სატრანსპორტო საშუალებები აღირიცხება ცალ-ცალკე ჟურნალში. ხოლო ელექტრონული ფორმით რეგისტრაციისას ცალ-ცალკე ბაზებში.

მუხლი 86.
აღრიცხვის ჟურნალში მონაცემები შედის შემდეგი წესით:
ა) გრაფა 1 - "N-" ჩანაწერის რიგითი ნომერი. ჟურნალში ხელახალი ნუმერაცია იწყება ახალი ჟურნალის დაწყებიდან,ł ხოლო ელექტრონული ფორმით აღრიცხვისას-ჯოველი თვის 1 რიცხვიდან.
ბ) გრაფა 2 - "თარიღი და დრო"- საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების საბაჟო საზღვარზე გადაადგილების თარიღი და დრო.
გ) გრაფა 3 - "აღრიცხვის მოწმობის N-" გამოწერილი ან კონტროლიდან მოხსნილი საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების აღრიცხვის მოწმობის ნომერი.
დ) გრაფა 4 - "დანიშნულების საბაჟოს კოდი"- მიეთითება საბაჟო ორგანოს ექვსნიშნა კოდი. გრაფა ივსება მხოლოდ საქართველოში შემოსვლისას.
ე) გრაფა 5 - "სატრანსპორტო საშუალება"- მიეთითება ის სატრანსპორტო საშუალება, რითაც საქონელი გადაადგილდება ან გადაადგილდა საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე, აღრიცხვის მოწმობაში შეტანილი მონაცემების მიხედვით.
ვ) გრაფა 6 - "საქონლის დასახელება"- მიეთითება საქონლის დასახელება აღრიცხვის მოწმობაში შეტანილი მონაცემების მიხედვით.
ზ) გრაფა 7 - "საქონლის რაოდენობა"- მიეთითება საქონლის რაოდენობა აღრიცხვის მოწმობაში შეტანილი მონაცემების მიხედვით.
თ) გრაფა 8 - "საქონლის ექსპორტიორი" მიეთითება საქონლის ექსპორტიორი აღრიცხვის მოწმობაში შეტანილი მონაცემების მიხედვით.
ი) გრაფა 9 - "საქონლის იმპორტიორი"- მიეთითება საქონლის იმპორტიორი აღრიცხვის მოწმობაში შეტანილი მონაცემების მიხედვით.
კ) გრაფა 10 - "გადამზიდველი"- მიეთითება საქონლის გადაზიდვაზე პასუხისმგებელი პირის აღრიცხვის მოწმობაში შეტანილი მონაცემების მიხედვით.

ლ) გრაფა 11 - გამოგზავნის ქვეყანა- იესება აღრიცხვის მოწმობაში შეტანილი მონაცემების მიხედვით. საქართველოდან საქონლის გატანისას იწერება "საქართველო".

მ) გრაფა 12 "წარმოშობის ქვეყანა"- ივსება მხოლოდ ფიტო-ვეტ კონტროლს დაქვემდებარებულ საქონელზე და მიეთითება ქვეყნის დასახელება სადაც საქონელი იქნა წარმოშობილი საქონლის თანმხლების დოკუმენტების მიხედვით.

ნ) გრაფა 13 - ივსება მხოლოდ ფიტო-ვეტ კონტროლს დაქვემდებარებულ საქონელზე და მიეთითება ფიტო-ვეტერინარული სერთიფიკატის ნომერი და გაცემის თარიღი;

ო) გრაფა 14 – ივსება სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლის მონაცემები;

პ) გრაფა 15 - "შენიშვნა" - მიეთითება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული და საბაჟო ორგანოსათვის წარდგენილი ლიცენზიების ან ნებართვების სახეები, ნომრები და გაცემის თარიღები. გრაფა შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სხვა სახის ჩანაწერებისათვის ან ჩანაწერში გაკეთებული შესწორებების დამოწმებისათვის.

ჟ) გრაფა 16 - "პასუხისმგებელი მებაჟე"- მიეთითება ჩანაწერის გაკეთებაზე პასუხისმგებელი საბაჟო მოხელის გვარი გარკვევით.

მუხლი 87.

1. ამ ინსტრუქციით გათვალისწინებული სხვა სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანოების ქვემდებარე დარღვევების თაობაზე ინფორმირება საბაჟო ორგანოდან ხდება სატელეფონო შეტყობინებით ან სხვა ფორმით.

2. შეტყობინების გადაცემის შემდეგ საბაჟო მოხელე უშუალო ხელმძღვანელის სახელზე ადგენს სამსახურებრივ ბარათს, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) შეტყობინების გადამცემი პირის სახელი, გვარი და თანამდებობა;

ბ) შეტყობინების გადაცემის ფორმა, თარიღი და დრო;

გ) შეტყობინების შინაარსი;

დ) შეტყობინების მიმღები და ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში).

დანართი N1
(23.04.2007 N399)

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური
საქონლის საბაჟო შემოწმების
ოქმი N

თარიღი: "-----"----------" 20----- წელი _____
ოქმის შედგენის ადგილი

1. საქართველოს საბაჟო კოდექსის მე- და მე- მუხლების საფუძველზე, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის (საბაჟო ორგანოს სრული სახელწოდება) _____ მიერ, საბაჟო შემოწმება
(საბაჟო მოხელის თანამდებობა, სახელი და გვარი)

ჩაუტარდა 20----- წლის "-----"----------" N _____ დეკლარაციით დეკლარირებულ საქონელს (დეკლარანტი _____).

2. საბაჟო შემოწმების პროცედურას ესწრებოდნენ:

საქონლის მფლობელი _____

დეკლარანტი _____

მოწმეები (მათი არსებობის შემთხვევაში) _____

3. საბაჟო შემოწმების შედეგად გამოვლინდა:

წარმოდგენილი საქონელი და სატრანსპორტო საშუალებები შეესაბამება დეკლარირებულ მონაცემებს.

წარმოდგენილი საქონელი და სატრანსპორტო საშუალებები არ შეესაბამება დეკლარირებულ მონაცემებს.

არსებული შეუსაბამობა _____

_____

_____

_____

_____

4. წინამდებარე ოქმში დაფიქსირებულ მონაცემებს ხელმოწერით ვადასტურებთ საბაჟო დათვალიერების მონაწილე პირები:

საბაჟო დათვალიერების განმახორციელებელი საბაჟო მოხელე _____

საქონლის მფლობელი _____

(დეკლარანტი) _____

მოწმეები (მათი არსებობის შემთხვევაში) _____

შენიშვნა_____

_____

_____

დანართი N2

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური
მგზავრის პირადი დათვალიერების
ოქმი N (23.04.2007 N399)

თარიღი: "-----"---------- 20----- წელი _____

ოქმის შედგენის ადგილი

1. პირად დათვალიერებაზე გადაწყვეტილების მიმღები პირი

_____

(თანამდებობა, სახელი და გვარი)

2. პირადი დათვალიერების ჩამტარებელი პირი

_____

(თანამდებობა, სახელი და გვარი)

3. საქართველოს საბაჟო კოდექსის მე-80 მუხლის თანახმად პირადი დათვალიერება ჩაუტარდა _____

_____

სახელი, გვარი და მისამართი

4. ფიზიკურ პირს ეცნობა მისი პირადი დათვალიერების ჩატარების შესახებ გადაწყვეტი-ლება, განემარტა მისი უფლებები და მოვალეობები და მიეცა წინადადება დამალული საქონლის ნებაყოფლობით გადაცემის თაობაზე.

5. საუბარი მიმდინარეობდა _____ ენაზე. თარჯიმნობას ეწეოდა

_____,

სახელი, გვარი და მისამართი

რომელიც სრულყოფილად ფლობს ორივე ენას.

6. პირადი დათვალიერების პროცედურას ესწრებოდნენ:

_____

_____

_____

სახელი, გვარი და მისამართი

7. პირადი დათვალიერების პროცედურა მიმდინარეობდა ___სთ ____წთ-დან, ____სთ ____წთ-მდე.

8. პირადი დათვალიერების მიზნით ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები: _____

_____

_____

9. პირადი დათვალიერების ჩატარების პირობები: _____

_____

10. აღმოჩენილი ნივთმტკიცებულებები: _____

_____

_____

_____

(საგნების სახეობა, რაოდენობა, ინდივიდუალური და გვარეობითი ნიშნები და სხვა მახასიათებლები)

11. პირადი დათვალიერების შემდეგ აღმოჩენილი ნივთმტკიცებულებები დალუქულ იქნა N_____ ლუქით და განთავსდა/გაიგზავნა _____

12. წინამდებარე ოქმის სისწორეს ვადასტურებთ ხელის მოწერით:

პირადი დათვალიერების ჩამტარებელი პირი _____

პირად დათვალიერებაზე დამსწრე პირები _____

_____

მოწვეული სპეციალისტი (თუ ის არის) _____

მოწმეები (თუ ისინი არიან) _____

_____

13. საბაჟო კოდექსის შესაბამისად ჩამიტარდა პირადი დათვალიერების პროცედურა, რის შემდეგაც გავეცანი წინამდებარე ოქმს, მივიღე ოქმის მეორე ეგზემპლარი და მთლიანად ვეთანხმები მასში დაფიქსირებულ მონაცემებს, რასაც ვადასტურებ ხელმოწერით _____

შენიშვნა: _____

_____

_____

საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოსელის/ტერიტორიიდან გასელის აღრიცხვის ჟურნალი

№	თარიღი და დრო	აღრიცხვის ოპერაციის №	დასაშვებულების საბაჟოს კოდი	სატრანსპორტო საშუალება	საქონლის დასახელება	საქონლის რაოდენობა	საქონლის ექსპორტიორი	საქონლის იმპორტიორი	გადამზიდველი	გამომგზავნის ქვეყანა	ფიტო/ვეტერინარული კონტროლი		შენიშვნა	პასუხისმგებელი მებაჟე
											წარმოშობის ქვეყანა	ფიტო/ვეტერინარული სერტიფიკატის № და გაცემის თარიღი		
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №1770

2006 წლის 20 დეკემბერი ქ. თბილისი

საქონლის ექსპორტის საბაჟო რეჟიმის გამოყენების წესების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბაჟო კოდექსის 147-ე მუხლის მე-5 ნაწილისა და ,,საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის N39 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის "ლ" ქვეპუნქტის საფუძველზე, ბრძანებ:

1. დამტკიცდეს "საქონლის ექსპორტის საბაჟო რეჟიმის გამოყენების წესების შესახებ" ინსტრუქცია (დანართი N1).

2. ბრძანება ამოქმედდეს 2007 წლის 1 იანვრიდან.

ა. ალესიშვილი

ინსტრუქცია
საქონლის ექსპორტის საბაჟო რეჟიმის გამოყენების წესების შესახებ

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. საქონლის ექსპორტის საბაჟო რეჟიმი საშუალებას იძლევა საქართველოს საქონელი გატანილ იქნეს საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ, თუ გატარდება საჯარო პოლიტიკის ღონისძიებები და განსაზღვრულ შემთხვევებში გადაიხდება ექსპორტის გადასახდელები.

2. საქონლის ექსპორტის საბაჟო რეჟიმში საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთა ნებადართულია მხოლოდ იმ საქონლისათვის, რომლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანა აკრძალული არ არის.

3. საქონლის ექსპორტის საბაჟო რეჟიმი შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს საქონლის მიმართ, რომელიც:

ა) მთლიანად წარმოებული ან მიღებულია საქართველოში;

ბ) შემოტანილია უცხო ქვეყნიდან და გაშვებულია თავისუფალ მიმოქცევაში;

4. საქონლის ექსპორტის საბაჟო რეჟიმი გამოიყენება, თუ საქონელი საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანისას იყო ისეთივე მდგომარეობაში, როგორშიც ექსპორტის საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღეს.

მუხლი 2. საბაჟო ტერიტორიიდან საქონლის ექსპორტის საბაჟო რეჟიმის დროს გათვალისწინებული საბაჟო პროცედურები

1. ექსპორტის საბაჟო რეჟიმისათვის განკუთვნილი საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანის დროს საბაჟო დამუშავების ოპერაციის განხორციელების ადგილზე (საბაჟო ორგანოში) დადგენილი წესის შესაბამისად ხორციელდება შემდეგი საბაჟო პროცედურები:

ა) საქონლის წარდგენა;

ბ) სატვირთო საბაჟო დეკლარაციის წარდგენა;

გ) „საბაჟო კონტროლის ქვეშ მყოფი საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობის" (შემდგომში – მოწმობა) გამოწერა.

2. საბაჟო ორგანოს გადაწყვეტილებით, საქონლისა ან/და სატვირთო საბაჟო დეკლარაციის წარდგენის შემდეგ სასაზღვრო საბაჟო ორგანოში შეიძლება განხორციელდეს საქონლის დათვალიერება, სინჯების და ნიმუშების აღება და საიდენტიფიკაციო ნიშნების დადება საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 3. საქონლის წარდგენა საბაჟო დამუშავების ოპერაციის განხორციელების ადგილზე

საბაჟო დამუშავების ოპერაციის განხორციელების ადგილზე საბაჟო ორგანოში საქონლის წარდგენა ხდება საბაჟო კონტროლის ზონაში საქონლის ფაქტობრივი განთავსებით.

მუხლი 4. სატვირთო საბაჟო დეკლარაციის წარდგენა

1. დეკლარაციის წარდგენა ხდება საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრულ იმ საბაჟო ორგანოში, სადაც ხორციელდებაჩ საქონლის საბაჟო დამუშავების ოპერაცია.

2. დეკლარაცია წარდგენილ უნდა იქნეს საქონლის წარდგენიდან 2 სამუშაო დღის განმავლობაში.

3. დეკლარაციას ავსებს დეკლარანტი.

4. სატვირთო საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაცია ხორციელდება დამუშავების საბაჟო

ორგანოში საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად.

5. დეკლარანტის მიერ სატვირთო საბაჟო დეკლარაციის შევსება ხორციელდება საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად.

6. სატვირთო საბაჟო დეკლარაციასთან ერთად საბაჟო დამუშავების ოპერაციის ადგილზე დეკლარანტის მიერ ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტებიდან წარდგენილი უნდა იქნეს საქონლისა და მისი გადაადგილების, სატრანსპორტო საშუალების სახეობის და კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა პირობებიდან გამომდინარე საჭირო დოკუმენტები:

ა) კონტრაქტი;

ბ) შესყიდვის დოკუმენტი (ინვოისი ან სხვა საანგარიშსწორებო დოკუმენტი);

გ) სატრანსპორტო ზედდებული;

დ) კონოსამენტი;

ე) მანიფესტი;

ვ) TIR-კარნეტის დოკუმენტი;

ზ) ერთჯერადი ან გენერალური მინდობილობა ან ხელშეკრულება;

თ) დაკვირვების ელექტრონული საშუალებების ექსპორტის ლიცენზია;

ი) ნებართვები:

ი.ა) შეზღუდულად ბრუნვადი მასალების ექსპორტის ნებართვა;

ი.ბ) ბირთვული, რადიაციული ობიექტების, ბირთვული მასალების, რადიაქტიული ნივთიერებების, რადიაქტიული ნარჩენების, მინერალების (წიაღისეულის), რომლებისგანაც პრაქტიკულად შესაძლებელია ბირთვული მასალების მიღება, ყველაფრის, რაც დამზადებულია ბირთვული მასალისაგან ან რადიაქტიული ნივთიერებისაგან ან შეიცავს მათ, როგორც შემადგენელ ნაწილს, აგრეთვე ბირთვული ტექნოლოგიების ან ნოუ-ჰაუების ექსპორტის ნებართვა;

ი.გ) ,,გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორის და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ'' კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი სახეობების, მათი ნაწილებისა და დერივატების ექსპორტის ნებართვა;

ი.დ) იარაღისა და საბრძოლო მასალის ექსპორტის ნებართვა;

ი.ე) უცხო ქვეყნის და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენელთა, აგრეთვე სხვა მნიშვნელოვან პირთა ვიზიტის დროს მათ თანმხლებ პირთა მიერ იარაღისა და საბრძოლო მასალის საქართველოდან გატანის ნებართვა;

ი.ვ) ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ექსპორტის ნებართვა;

ი.ზ) სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებების ექსპორტის ნებართვა;

ი.თ) საქართველოს კულტურულ ფასეულობათა საქართველოდან გატანის ნებართვა;

კ) ხე-ტყის ექსპორტისას – ხე-ტყის კანონიერების ან/და წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

ლ) სერტიფიკატები:

ლ.ა) საქონლის წარმოშობის სერტიფიკატი;

ლ.ბ) საქონლის უსაფრთხოების სერტიფიკატი;

ლ.გ) ფიტო-სანიტარული სერტიფიკატი;

ლ.დ) ვეტერინარული სერტიფიკატი;

ლ.ე) სანიტარული-ჰიგიენური სერთიფიკატი;

ლ.ვ) ფუმიგაციისა და დეზინფექციის სერტიფიკატი;

მ) სპეციალური სატვირთო საბაჟო დეკლარაცია;

ნ) აქციზური საქონლის ბარათი;

ო) საქონლის სპეციფიკაცია;

პ) სამკურნალო საშუალებების საბაჟო აღნუსხვის ფორმა;

ტ) საბაჟო გადასახდელების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
რ) გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი (კოდი);
ს) ექსპერტიზის აქტი;
ტ) საქონლის დათვალიერების აქტი;
უ) საქონლის სინჯის (ნიმუშის) აღების აქტი (ოქმი);
ფ) ჯარიმის გადახდის დოკუმენტი;
ქ) საბაჟო სამართალდარღვევის ოქმი;
ღ) ავტოსატრანსპორტო საშუალების ტექნიკური პასპორტი;
ყ) საქონლისა და/ან სატრანსპორტო საშუალების საბაჟო კონტროლის ქვეშ დროებითი შენახვის განაცხადი.
შ) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტები.

7. თუ დეკლარანტის მიზეზით შეუძლებელია დადგენილ ვადაში (საქონ-ლის წარდგენიდან 2 სამუშაო დღე) ექსპორტის სატვირთო საბაჟო დეკლარაციის წარდგენა ან არ იქნება გადახდილი ექსპორტის გადასახდელები, ან ექსპორტის საბაჟო რეჟიმში გაშვებული საქო-ნელი 3 სამუშაო დღის ვადაში არ იქნება გატანილი საბაჟო კონტროლის ზონიდან, მაშინ, საბაჟო ორგანო წერილობით აცნობებს დეკლარანტს საქონლის განკარგვის შესახებ თავისი განზრახვის თაობაზე და ადგენს ამ პუნქტში აღნიშნული ნაკლოვანებების აღმოფ-ხვრის ვადას, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 30 კალენდარულ დღეს. დადგენილ ვადაში დეკლარანტის მიერ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ან საქართველოს საბაჟო კოდექსის 72-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, დეკლა-რაციის ბათილად ცნობის შემთხვევაში საბაჟო ორგანო არ ახორციელებს საქონლის განკარგვას.

8. საბაჟო დამუშავების ოპერაციის ადგილზე, არასამუშაო დროს, საბაჟო დეკლარაცია წარედგინება დეკლარანტის წერილობითი განცხადების საფუძველზე მისივე ხარჯებით, საბაჟო ორგანოსთან შეთანხმებით.

მუხლი 5. საქონლის საბაჟო დათვალიერება, სინჯის ან/და ნი-მუშის აღება საბაჟო დამუშავების ოპერაციის ადგილებში

საბაჟო ორგანოს გადაწყვეტილებით საბაჟო დამუშავების ოპერაციის ადგილას შეიძლება განხორციელდეს საქონლის დათვალიერება, სინჯების და ნიმუშების აღება საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 6. ექსპორტის საბაჟო რეჟიმის შეცვლა საქონლის სხვა საბაჟო დამუშავების ოპერაციით

1. დეკლარანტს შეუძლია ექსპორტის საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონელი მოტივირებული განცხადების საფუძველზე შეცვალოს დამუშავების შემდეგი ოპერაციებით:
ა) საქონლის საბაჟო ტერიტორიაზე გადამუშავება;
ბ) საქონლის საბაჟო ტერიტორიის გარეთ გადამუშავება;
გ) საქონლის განთავსება თავისუფალ ზონასა და თავისუფალ საწყობში.

2. აკრძალულია ექსპორტის საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონლის თავისუფალ მიმოქ-ცევაში გაშვების (იმპორტის) საბაჟო რეჟიმში მოქცევა.

მუხლი 7. საბაჟო კონტროლის ქვეშ მყოფი საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობის გამოწერა

1. ამ ინსტრუქციის მე-4 მუხლში მითითებული დოკუმენტების საფუძველზე საბაჟო ორგანოს მიერ ხდება მოწმობის გამოწერა საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შე-საბამისად.

2. აღნიშნული მოწმობა არ გამოიწერება:

ა) ცარიელ სარკინიგზო შემადგენლობაზე, საქართველოში რეგისტრირებულ სატრანსპორტო საშუალებებზე;

ბ) TIR წიგნაკით გადაადგილებულ საქონელსა და სატრანსპორტო საშუალებებზე, გარდა საზღვაო პორტიდან ათი კილომეტრის რადიუსში განლაგებულ დროებითი შენახვის საბაჟო საწყობში TIR-კარნეტით გადაადგილებული საქონლისა;

გ) მილსადენი ტრანსპორტით და ელექტროგადამცემი ხაზებით გადაადგილებულ საქონელზე.

მუხლი 8. ექსპორტის საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონლის საქარ-თველოს საბაჟო ტერიტორიის შესაბამის ადგილამდე მიტანის ვადა და მარშრუტი

1. საბაჟო დამუშავების ოპერაციის განხორციელების საბაჟო ორგანოდან სასაზღვრო საბაჟო ორგანომდე ან სხვა ადგილამდე ან კანონმდებლობით დადგენილი სხვა ადგილიდან სასაზღვრო საბაჟო ორგანომდე ან სხვა ადგილამდე საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების მიტანის ვადა განისაზღვრება გამგზავნი საბაჟო ორგანოს მიერ, გადასაზიდი საქონლის, სატრანსპორტო საშუალების, საბაჟო მარშრუტის ხასიათის და ეკოლოგიურ-კლიმატური პირობების გათვალისწინებით, დღეში 100 კმ-ზე გათვლით, მაგრამ არაუმეტეს 10 კალენდარული დღისა.

2. საქონლის ექსპორტის საბაჟო რეჟიმში დეკლარირებული საქონელი გატანილი უნდა იქნეს საქონლის ექსპორტის საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღიდან 30 კალენდარულ დღეში, თუ საბაჟო კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ამ ვადის დარღვევის შემთხვევაში დეკლარანტი ვალდებულია 5 კალენდარული დღის განმავლობაში საბაჟო ორგანოს წარუდგინოს შუამდგომლობა საბაჟო დეკლარაციის გაუქმების შესახებ ან შუამდგომლობა საქონლის გასატანად დადგენილი ვადის 10 კალენდარული დღით გაზრდის თაობაზე. საქონლის გატანასა და საბაჟო პროცედურების შესრულებაზე პასუხისმგებელია დეკლარანტი.

3. საქონლის ექსპორტის საბაჟო რეჟიმში დეკლარირებული საქონელი საბაჟო ზედამხედველობას ექვემდებარება ექსპორტის საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღიდან საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საქონლის გატანამდე.

4. გასატანი საქონლისა ან/და სატრანსპორტო საშუალებების საქართველოს საბაჟო ტერიტორიის შესაბამის ადგილამდე მიტანა ხორციელდება ნებისმიერი გზით, გარდა თამბაქოს ნაწარმის გადაზიდვის შემთხვევისა.

5. საბაჟო ზედამხედველობას დაქვემდებარებული თამბაქოს ნაწარმის გადაად-გილება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ხორციელდება იმ საბაჟო ორგანოების გავლით, რომელიც განსაზღვრულია "სასაზღვრო საბაჟო ორგანოს გახსნის, მუშაობის დროის და მისი გავლით შემოსატანი საქონლის სახეობების განსაზღვრის შესახებ" საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

6. საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მყოფი საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალებების მიმართ შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ საბაჟო ორგანოსთან შეთანხმებული მოქმედებები და ოპერაციები.

7. თუ საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მყოფი საქონელი ან/და სატრანსპორტო საშუალებები განადგურდა ან დაზიანდა, საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების მფლობელი ვალდებულია, დაუყოვნებლივ შეატყობინოს საბაჟო ორგანოს და წარუდგინოს მას განადგურების ან დაზიანების უტყუარი მტკიცებულებები, რომელიც დამოწმებულია შესაბამისი უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ. თუ საბაჟო ორგანოს არ დააკმაყოფილებს წარმოდგენილი მტკიცებულებები, საქონელი ჩაითვლება საბაჟო ზედამხედველობიდან უკანონოდ გასულად.

8. თუ საქონელი და/ან სატრანსპორტო საშუალებები უკანონოდ გადის საბაჟო ზე-

დამხედველობიდან ან საბაჟო ორგანოს აქვს საფუძვლიანი ეჭვი საბაჟო ზედამხედველობიდან საქონლის და/ან სატრანსპორტო საშუალების უკანონოდ გასვლაზე და დეკლარანტს ან საქონლის მესაკუთრეს ან საქონლის მფლობელს არ შეუძლია საბაჟო ორგანოს დაუმტკიცოს ამ საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების საბაჟო ზედამხედველობიდან კანონიერად გასვლის ფაქტი, ვალდებულმა პირმა საბაჟო ზედამხედველობიდან საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების უკანონოდ გასვლის აღმოჩენიდან 5 კალენდარული დღის განმავლობაში უნდა შეასრულოს წარმოშობილი საბაჟო ვალდებულება.

9. პირზე, რომელიც იღებს საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გასატანი საქონლისა ან/და სატრანსპორტო საშუალების ტრანსპორტირების პასუხისმგებლობას, ვრცელდება ამ მუხლში აღნიშნული ვალდებულებები. (9.03.2007 N191)

10. საბაჟო დამუშავების ოპერაციის განხორციელების საბაჟო ორგანოდან სასაზღვრო საბაჟო ორგანომდე ან სხვა ადგილამდე ან კანონმდებლობით დადგენილი სხვა ადგილიდან სასაზღვრო საბაჟო ორგანომდე ან სხვა ადგილამდე საქონლისა ან/და სატრანსპორტო საშუალებების მიტანა ხორციელდება მოწმობით, გარდა კანონ-მდებობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 9. საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალებების მიტანასთან დაკავშირებული ავარიის ან დაუძლეველი ძალის დროს გასატარებელი ღონისძიებები

1. ავარიისა ან დაუძლეველი ძალის დროს, პირი, რომელიც ვერ ასრულებს ამ ინსტრუქციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ვალდებულია:

ა) დაუყონებლივ აცნობოს უახლოეს საბაჟო ორგანოს აღნიშნული გარემოებების, საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალებების ადგილ-მდებარეობისა და მდგომარეობის შესახებ და იმოქმედოს მისი მითითებების შესაბამისად;

ბ) მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალებების ხელშეუხებლობის უზრუნველსაყოფად;

გ) უზრუნველყოს საქონლისა ან/და სატრანსპორტო საშუალებების მიტანა უახლოესი საბაჟო ორგანოს ტერიტორიაზე ან საბაჟო ორგანოს მიერ მითითებულ ადგილზე;

2. აუცილებლობის შემთხვევაში საბაჟო ორგანო ვალდებულია, განსაზღვროს ამ საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების დანიშნულების საბაჟო ორგანომდე ან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ადგილამდე მიტანის უზრუნველყოფის ღონისძიებები.

3. ავარიისა ან დაუძლეველი ძალის შედეგად განადგურებულ საქონელზე დგება ოქმი და განადგურების შედეგად წარმოშობილი ნარჩენები და ჯართი გადაადგილდება საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით შესაბამისად.

4. ამ მუხლის მოთხოვნათა შესრულებისათვის გაწეულ ხარჯებს ანაზღაურებს საქონელსა და/ან სატრანსპორტო საშუალებაზე უფლებამოსილი შესაბამისი პირი.

მუხლი 10. ექსპორტის საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონლის წარდგენა დანიშნულების ადგილზე არასაბაჟო ორგანოში

1. საქონლის დანიშნულების ადგილზე (არასაბაჟო ორგანო) წარდგენის დადასტურების მიზნით ხდება დამოწმება: (9.03.2007 N191)

ა) დროებითი შენახვის საწყობის მიერ - აღრიცხვის მოწმობის უკანა გვერდზე გაკეთებული აღნიშვნით (ბეჭედი, ხელმოწერა, თარიღი და დრო). დამოწმებული მოწმობის საბაჟო ორგანოსთვის გადაცემის ვალდებულება ეკისრება დროებითი შენახვის საწყობს, იმავე ან მეორე სამუშაო დღის 12 საათამდე;

ბ) სარკინიგზო გადაზიდვების შემთხვევაში – რკინიგზის მიერ სარკინიგზო ზედნადებზე და აღრიცხვის მოწმობის უკანა გვერდზე გაკეთებული აღნიშვნით (შტამპი, ხელმოწერა,

თარიღი და დრო). დამოწმებული აღრიცხვის მოწმობისა და სარკინიგზო ზედნადების საბაჟო ორგანოსთვის გადაცემის ვალდებულება ეკისრება სარკინიგზო ზედნადებში მითითებულ ტვირთის გამგზავნს.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში განხორციელებული ქმედება ითვლება საბაჟო ორგანოში საქონლის წარდგენად.

3. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული საქონლისა ან/და სატრანს-პორტო საშუალების წარდგენის თარიღი და დრო ჩაითვლება საბაჟო ორგანოში საქონლისა ან/და სატრანსპორტო საშუალების წარდგენის დღედ.

4. ექსპორტისათვის განკუთვნილი საქონლის დროებითი დასაწყობებისას დეკლარანტმა უნდა წარადგინოს, ხოლო დროებითი შენახვის საწყობის მფლობელმა მიღება-ჩაბარების აქტით გადასცეს საბაჟო ორგანოს უფლებამოსილ პირს „საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო კონტროლის ქვეშ დროებითი შენახვის განაცხადი". დროებითი დასაწყობების ვადის გაგრძელების შემთხვევაში დეკლარანტმა (საქონლის მფლობელმა ან საქონლის მესაკუთრემ) უნდა წარადგინოს, ხოლო საბაჟო საწყობის მფლობელმა მიღება-ჩაბარების აქტით გადასცეს საბაჟო ორგანოს უფლებამოსილ პირს შესაბამისი განაცხადი. საბაჟო ორგანოს უფლებამოსილ პირთან განაცხადის წარდგენამდე აკრძალულია სატრანსპორტო საშუალების გახსნა ან/და საქონლის გადმოტვირთვა. საბაჟო ორგანოს უფლებამოსილ პირთან წარდგენილი განაცხადის მიმართ საბაჟო გადაწყვეტილება მიიღება შესაბამისი ინსტრუქციით დადგენილი წესით. (9.03.2007 N191)

5. ექსპორტის საბაჟო რეჟიმში დეკლარირებული საქონელი დეკლარანტის მოთხოვნით შეიძლება ინახებოდეს დროებითი შენახვის საწყობში არა უმეტეს 3 თვისა. (9.03.2007 N191)

მუხლი 11. საქონლის წარდგენა დანიშნულების სასაზღვრო საბაჟო ორგანოში

იმ შემთხვევაში, თუ ექსპორტის საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონელი პირდაპირ წარედგინება დანიშნულების სასაზღვრო საბაჟო ორგანოს, მაშინ საქონლის წარდგენად ჩაითვლება მოწმობის წარდგენა საბაჟო ორგანოში, რომელიც დასტურდება საბაჟო მოხელის პირადნომრიანი ბეჭდით, თარიღითა და დროით.

მუხლი 12. საქონლის ექსპორტის საბაჟო რეჟიმის დასრულება

1. საქონლის ექსპორტის საბაჟო რეჟიმის დასრულება დასტურდება დანიშნულების სასაზღვრო საბაჟო ორგანოს მიერ აღრიცხვის მოწმობაზე და სატვირთო საბაჟო დეკლარაციაზე სპეციალური აღნიშვნით "მოხსნილია კონტროლიდან". (9.03.2007 N191)

2. ექსპორტის საბაჟო რეჟიმის დასრულებისა და საქონლის საქართვე-ლოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანის მომენტიდან საქონელი გამოდის საბაჟო ზედამხედველობიდან და გადადის პირის სრულ განკარგულებაში.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №1756

2006 წლის 20 დეკემბერი

საქართველოს საბაჟო საზღვარზე მილსადენითა და ელექტროგადამცემი ხაზებით გადაადგილებული საქონლის საბაჟო პროცედურების განხორციელების წესების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბაჟო კოდექსის 254-ე მუხლის მე-7 ნაწილისა და "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის N39 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის "ლ" ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს ინსტრუქცია "საქართველოს საბაჟო საზღვარზე მილსადენითა და ელექტროგადამცემი ხაზებით გადაადგილებული საქონლის საბაჟო პროცედურების განხორციელების წესების შესახებ" (დანართი N1) თანდართულ ,,საქონლის ტრანსპორტირების საშუალებაში შემავალ ობიექტზე საიდენტიფიკაციო საშუალებების (ნიშნები) დადების/მოხსნის და მონაცემების აღების შესახებ" აქტის ფორმასთან ერთად.

2. ამ ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

ა) საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის 1998 წლის 6 იანვრის N01 ბრძანება "ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ";

ბ) საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის 1998 წლის 6 იანვრის N02 ბრძანება "ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ";

გ) საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის 1998 წლის 6 იანვრის N03 ბრძანება "ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ";

3. ბრძანება ამოქმედდეს 2007 წლის 1 იანვარიდან.

ა. ალექსიშვილი

დანართი N1

ინსტრუქცია
საქართველოს საბაჟო საზღვარზე მილსადენითა და ელექტროგადამცემი ხაზებით გადაადგილებული საქონლის საბაჟო პროცედურების განხორციელების წესების შესახებ

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ინსტრუქცია "საქართველოს საბაჟო საზღვარზე მილსადენითა და ელექტროგადამცემი ხაზებით გადაადგილებული საქონლის საბაჟო პროცედურების განხორციელების წესების შესახებ" ადგენს საქართველოს საბაჟო საზღვარზე მილსადენითა და ელექტროგადამცემი ხაზებით გადაადგილებული ნავთობის, ბუნებრივი გაზისა და ელექტროენერგიის (შემდგომში საქონელი) მიმართ საბაჟო პროცედურების განხორციელების წესებს.

2. საქართველოს საბაჟო საზღვარზე მილსადენით და ელექტროგადამცემი ხაზებით გადაადგილებული საქონლის მიმართ საბაჟო პროცედურები ხორციელდება საქართველოს საბაჟო კოდექსის, "ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ" საქართველოს კანონის, საქართველოს კანონმდებლობისა და ამ ინსტრუქციის შესაბამისად.

3. ინსტრუქციის მოთხოვნების შესრულება სავალდებულოა საბაჟო ორგანოების, აგრეთვე რეზიდენტი და არარეზიდენტი პირებისათვის, რომლებიც ახორციელებენ საქართველოს საბაჟო საზღვარზე მილსადენით და ელექტროგადამცემი ხაზებით საქონლის გადაადგილებას.

მუხლი 2. ინსტრუქციაში გამოყენებული ტერმინებისა და ცნებების განსაზღვრებანი

ამ ინსტრუქციის მიზნებისათვის გამოყენებულ ტერმინებსა და ცნებებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობები:

ა) საბაჟო პროცედურები საბაჟო ორგანოში საქონლის საბაჟო დეკლარირების მიზნით დეკლარაციისა და სხვა სათანადო დოკუმენტების წარდგენა და მათი შემოწმება, საბაჟო გადასახდელების გადახდა, საბაჟო ორგანოების ან მათი უფლებამოსილი პირების ოფიციალური მოთხოვნა ან/და ქმედება (მათ შორის საბაჟო კონტროლის განხორციელება), რომლის მიზანია საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესრულება;

ბ) მიღების პუნქტი - პუნქტი, სადაც ხდება ელექტროენერგიის მიღება სხვა ქვეყნის ენერგოსისტემისაგან ან პუნქტი, რომელშიც ნავთობის ან ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების უფლების მქონე იურიდიული პირი ტრანსპორტირების სისტემაში მიიღებს ნავთობს ან ბუნებრივ გაზს;

გ) მიწოდების პუნქტი - პუნქტი, რომელშიც გადამცემი ქსელიდან მიეწოდება ელექტროენერგია პირდაპირ მომხმარებელს, განაწილების ლიცენზიატს, ან სხვა ქვეყნის ენერგოსისტემას, ან პუნქტი, რომელშიც ნავთობის ან ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების სისტემით მიეწოდება ნავთობი ან ბუნებრივი გაზი პირდაპირ მომხმარებელს ან სხვა ქვეყნის ტრანსპორტირების სისტემას;

დ) ელექტროენერგეტიკული სისტემის პარალელურ რეჟიმში მუშაობა - საქართველოსა და სხვა ქვეყნის (ქვეყნების) ელექტროენერგეტიკული სისტემების სინქრონული მუშაობის რეჟიმი, რომლის დროსაც ხორციელდება ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ურთიერთგადადინება;

ე) ელექტროენერგიის სალდოგადადინება - ელექტროენერგეტიკული სისტემის პარალელურ რეჟიმში მუშაობის დროს ხელშეკრულების ვადის დამთავრებისას ურთიერთგადადინებული ელექტროენერგიის რაოდენობებს შორის წარმოქმნილი სხვაობა;

ვ) ტრანსპორტირების სისტემა - ნავთობისა და ბუნებრივი გაზის ყველა მილსადენი, სატუმბი, საკომპრესორო, საზომი სადგურები და სხვა მოწყობილობა, რომელიც გამოიყენება ნავთობისა და ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირებისათვის და აკავშირებს მიღების პუნქტს მიწოდების პუნქტთან;

ზ) გადამცემი ქსელი - ელექტროენერგიის გადამცემი, კანონმდებლობით განსაზღვრული საშუალება, რომელიც აკავშირებს მიღებისა და მიწოდების პუნქტებს;

თ) გამანაწილებელი ქსელი - ელექტროენერგიის (ბუნებრივი გაზის) გამანაწილებელი საშუალება, რომელიც აკავშირებს მიწოდების პუნქტსა და მომხმარებელს;

ი) ტრანსოპორტირების საშუალება - ტრანსპორტირების სისტემა, გადამცემი და გამანაწილებელი ქსელები;

კ) ობიექტი ტრანსპორტირების საშუალებაში შემავალი დანადგარები და საზომი მოწყობილობები.

მუხლი 3. საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული საქონლის საბაჟო კონტროლი

1. საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთის მომენტიდან საქონელი ექვემდებარება საბაჟო კონტროლს.

2. საქონლისა და მისი ტრანსპორტირების სპეციფიკურობიდან გამომდინარე იგი არ საჭიროებს საბაჟო ორგანოში წარდგენასა და დათვალიერებას.

3. საბაჟო კონტროლი ხორციელდება საქონლის საბაჟო დამუშავების ოპერაციის განხორციელების ადგილებში, საბაჟო მიზნებისათვის განკუთვნილი დოკუმენტებისა და ცნობების შემოწმებით, აგრეთვე კონტროლი შესაძლებელია განხორციელდეს საქონლის ტრანსპორტირების საშუალებებში არსებულ ობიექტებზე საბაჟო საიდენტიფიკაციო

საშუალებების გამოყენებით.

4. საბაჟო კონტროლს ახორციელებენ იმ საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირები, სადაც დეკლარანტი, მიღების პუნქტის ტერიტორიალური განთავსების შესაბამისად, აცხადებს საქონლის მიმართ შესაბამისი საბაჟო რეჟიმის გამოყენებას.

5. ობიექტებზე საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალებების გამოყენება ხორციელდება საბაჟო ორგანოს ხელმძღვანელის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული უფლებამოსილი საბაჟო მოხელის მიერ ობიექტზე უფლებამოსილი პირების თანდასწრებით.

6. საბაჟო კონტროლის განხორციელებისას საბაჟო საიდენტიფიკაციო საშუალებების გამოყენების შემთხვევაში საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი მოხელე პერიოდულად ამოწმებს (შემოწმების პერიოდულობა განისაზღვრება საბაჟო ორგანოს ხელმძღვანელის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით) ობიექტებზე საბაჟოს მიერ დადებული საიდენტიფიკაციო საშუალებების დაურღვეველობას.

7. საიდენტიფიკაციო საშუალებების დაყენების, მოხსნის, აგრეთვე მრიცხველებიდან მონაცემების აღების ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დგება აქტი 2 ეგზემპლარად, რომელთაგან ერთს იტოვებს საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი მოხელე, ხოლო მეორე გადაეცემა ობიექტის უფლებამოსილ პირს. აქტში აუცილებლად უნდა დაფიქსირდეს საიდენტიფიკაციო საშუალებების რეკვიზიტები და მრიცხველების მონაცემები (დანართი 2).

8. პირები, რომლებიც ახორციელებენ საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის გადაადგილებას (გადადინებას), ვალდებულნი არიან, წინასწარ მიღებული შეტყობინების შემდგომ, საბაჟო ორგანოებს გაუწიონ აუცილებელი დახმარება მათ მიერ საბაჟო კონტროლის განხორციელებისას.

მუხლი 4. საბაჟო საიდენტიფიკაციო საშუალებები (ნიშნები)

1. საბაჟო საიდენტიფიკაციო საშუალებებს წარმოადგენს ლუქები, შტამპები, ბეჭდები და ნიშანდების სხვა საშუალებები, რომლებსაც საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი მოხელე, საჭიროების შემთხვევაში, ადებს ობიექტებს მათი ხელშეუხებლობის უზრუნველყოფის მიზნით. თითოეულ ობიექტზე შეიძლება რამდენიმე საბაჟო საიდენტიფიკაციო საშუალების (ნიშნის) დადება.

2. ობიექტები, რომლებზეც გამოიყენება საიდენტიფიკაციო საშუალებები, განისაზღვრება საბაჟო ორგანოს მიერ.

3. საბაჟო ორგანოს მიერ საბაჟო საიდენტიფიკაციო საშუალებებით ნიშანდებული ობიექტის ხელშეუხებლობასა და საბაჟო საიდენტიფიკაციო საშუალებების (ნიშნების) დაუზიანებლობაზე პასუხისმგებელია ობიექტის მფლობელი გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც დაზიანება გამოწვეულია ავარიისა ან დაუძლეველი ძალის მოქმედების შედეგად, ხოლო სუბიექტმა დაუყოვნებლივ აცნობა ამის თაობაზე საბაჟო ორგანოს და წარუდგინა სათანადო მტკიცებულებები. დაუძლეველი ძალის პირობებად განიხილება ისეთი საგანგებო და განსაკუთრებული გარემოებები, რომლებიც შეუძლებელს ხდიან ამ ინსტრუქციით დადგენილი ვალდებულებების შესრულებას, რომელთა დადგომა არ არის დამოკიდებული სუბიექტის ნებაზე, ხოლო მათი გათვალისწინება ან/და თავიდან აცილება შეუძლებელია ცოდნისა და ტექნიკური განვითარების არსებული დონიდან გამომდინარე.

4. საბაჟო ორგანოების მიერ გამოყენებული საიდენტიფიკაციო საშუალებების თვითნებური შეცვლა, მოსპობა, დაზიანება ან მოცილება იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საბაჟო კოდექსის 239-ე მუხლის შესაბამისად.

5. საიდენტიფიკაციო საშუალებების შეცვლა, მოცილება ან განადგურება შეიძლება მხოლოდ საბაჟო ორგანოების მიერ ან მათი ნებართვით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს საქონლისა და ტრანსპორტირების საშუალებების განადგურების, დაკარგვის

ან არსებითი დაზიანების რეალური საფრთხე. ასეთ შემთხვევაში, ობიექტის მფლობელი ვალდებულია, დაუყოვნებლივ აცნობოს საბაჟო ორგანოს საიდენტიფიკაციო საშუალებათა შეცვლის, მოცილების ან განადგურების შესახებ. შეტყობინების მიღების შემდეგ საბაჟო მოხელე და ობიექტის პასუხისმგებელი პირი ადგენენ აქტს დადგენილი ფორმით. ამ შემთხვევაში საბაჟო მოხელე უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, განაახლოს საიდენტიფიკაციო საშუალება.

6. ობიექტის, რომელზეც დადებულია საბაჟო საიდენტიფიკაციო საშუალებები, კაპიტალური ან მიმდინარე შეკეთების, აგრეთვე, მისი დემონტაჟის განხორციელებამდე, ობიექტის პასუხისმგებელი პირი წერილობით წინასწარ ატყობინებს საბაჟო ორგანოს სამუშაოთა დაწყების თარიღისა და ხანგრძლივობის შესახებ. სამუშაოს დაწყებამდე საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი წარმომადგენელი ხსნის ობიექტზე არსებულ საიდენტიფიკაციო საშუალებებს, ხოლო სამუშაოს დამთავრების შემდეგ საბაჟო მოხელე, საჭიროების შემთხვევაში, ახდენს ხელახალ იდენტიფიცირებას.

7. საბაჟო საიდენტიფიკაციო საშუალება (ნიშანი) ისე უნდა იქნეს დადებული, რომ გამოირიცხოს დაუზიანებლად მისი მოხსნა/მოცილება.

8. საბაჟო ორგანო უფლებამოსილია აღიაროს ნიშანდების სხვა საშუალებები, რომლებიც დადგენილია უცხო ქვეყნის საბაჟო ორგანოს ან სხვა უფლებამოსილი ორგანოს მიერ. ასეთ შემთხვევაში საბაჟო ორგანოს მიერ აღიარებული ნიშანდების საშუალებები ცვლის საქართველოში დადგენილ საბაჟო საიდენტიფიკაციო საშუალებებს (ნიშნებს).

მუხლი 5. საქონლის დეკლარირება

1. საქართველოს საბაჟო კოდექსით დადგენილი ნორმის შესაბამისად, საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული საქონელი ექვემდებარება საბაჟო დეკლარირებას. სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის (შემდგომში - დეკლარაცია) წარდგენა ხდება იმ საბაჟო ორგანოში, სადაც ხორციელდება საქონლის საბაჟო დამუშავების ოპერაცია.

2. დეკლარაციას უნდა დაერთოს საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა დოკუმენტი, რომელიც აუცილებელია შესაბამისი საბაჟო რეჟიმის პირობების შესრულებისა და დეკლარირებული მონაცემების დადასტურებისათვის.

3. დეკლარანტი პასუხისმგებელია დეკლარირებული მონაცემების სისწორეზე, წარმოდგენილი მონაცემების უტყუარობასა და დეკლარაციასთან საქონლის შესაბამისობაზე.

4. საქონლის დეკლარირება ხორციელდება საქონლის მიმართ გამოყენებული საბაჟო რეჟიმის შესაბამისი დეკლარაციის მიხედვით, მათი შევსებისა და წარდგენის წესის შესახებ კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით, თუ ამ ინსტრუქციით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

5. მიწოდების მოცულობის მიუხედავად, დასაშვებია ერთი ხელშეკრულების საფუძველზე საანგარიშო თვის განმავლობაში გადაადგილებული საქონლის რაოდენობის, როგორც ერთი პარტიის დეკლარაციაში გაცხადება, რა დროსაც დეკლარანტი დეკლარაციის 31-ე გრაფის მარცხენა ქვედა კუთხეში, საქონლის, წელიწადისა და შესაბამისი თვის მითითებით, დამატებით აკეთებს ჩანაწერს "ელექტროენერგია (ბუნებრივი გაზი, ნავთობი), 200... წლის ..... თვის".

6. დეკლარაცია და კანონმდებლობით გათვალისწინებული აუცილებელი თანმხლები დოკუმენტები, მათ შორის მიღება-ჩაბარების (მიღება-გადაცემის) აქტი და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული ოფიციალური მონაცემები საბაჟო ორგანოს წარედგინება მიწოდების საანგარიშო თვის შემდგომი თვის არაუგვიანეს ბოლო რიცხვისა (გარდა ამ ინსტრუქციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული განსხვავებული შემთხვევებისა).

7. თუ დეკლარაციის წარდგენის დრო დაემთხვა კანონმდებლობით დადგენილ დასვენების

ან უქმე დღეს, დეკლარაციის წარდგენა ხდება დასვენების ან უქმე დღის მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს.

მუხლი 6. საქონლის დეკლარირების თავისებურებანი

1. საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული (გადადინებული) ელექტროენერგიის კონტროლი ან/და განსაზღვრა, გარდა ამ ინსტრუქციით გათვალისწინებული ფორმებისა, წარმოებს კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული ოფიციალური მონაცემების საფუძველზე, ამასთან:

ა) თუ საქართველოს ენერგეტიკული სისტემა ხელშეკრულების საფუძველზე მუშაობს სხვა ქვეყნის ენერგეტიკულ სისტემასთან პარალელურ რეჟიმში, მხარეების ელექტროენერგეტიკულ სისტემებს შორის გადაადგილებული (გადადინებული) ელექტროენერგიის ფაქტობრივი რაოდენობა განისაზღვრება, როგორც საანგარიშო პერიოდში (პარალელურ რეჟიმში მუშაობის ხელშეკრულების მოქმედების ვადაში) სალდოგადადინება, ტექნოლოგიურად განპირობებულ ადგილებში დაყენებული აღრიცხვის ხელსაწყოების ჩვენების საფუძველზე;

ბ) პარალელურ რეჟიმში მუშაობის ხელშეკრულების ვადის ამოწურვისას, ელექტროენერგიის სალდო-გადადინება, გარდა ნულოვანისა, განიხილება, როგორც ელექტროენერგიის ექსპორტი ან იმპორტი;

გ) პარალერულ რეჟიმში მუშაობის დროს ელექტროენერგია, რომელიც საანგარიშო პერიოდში (პარალელურ რეჟიმში მუშაობის ხელშეკრულების მოქმედების ვადაში) მიეწოდება ერთი ხელშეკრულებით (კონტრაქტით), დეკლარირდება, როგორც საქონლის ერთი პარტია ხელშეკრულების დამთავრებიდან არაუგვიანეს 30 დღისა. თუ მოხდა ხელშეკრულების ვადის გაგრძელება, ინფორმაცია ამის შესახებ ხელშეკრულების დამთავრებიდან 30 დღის ვადაში უნდა მიეწოდოს შესაბამის საბაჟო ორგანოს შუალედურ სალდო ბალანსთან ერთად;

დ) პარალერულ რეჟიმში მუშაობის დროს ელექტროენერგიის დეკლარირება ხორციელდება ელექტროენერგიის დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ, რომელიც "ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად წარმოადგენს სალდირებული ელექტროენერგიის ნაწილში იმპორტიორს, ან ექსპორტიორს;

ე) ინფორმაციას ელექტროენერგიის დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის შესახებ შემოსაელების სამსახური ღებულობს წლის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით შესაბამისი სალიცენზიო რეესტრის მწარმოებელი დაწესებულებიდან კანონმდებლობით დადგენილი წესით; (23.04.2007 N392)

ვ) ელექტროენერგიის დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ვალდებულია ელექტროენერგეტიკული სისტემების პარალელურ რეჟიმში მუშაობის ხელშეკრულება წარუდგინოს საბაჟო ორგანოს ამ რეჟიმით მუშაობის ფაქტობრივად დაწყებამდე, გარდა გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევებისა (ენერგოსისტემების პარალელურ რეჟიმში ავარიული ჩართვა, პარალელურ რეჟიმში ჩართვა განსაკუთრებით დიდი ოდენობით მატერიალური ზიანის, ადამიანთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, ან ეროვნული უსაფრთხოების საფრთხის თავიდან აცილების შემთხვევები), როდესაც პარალელურ რეჟიმში მუშაობის ხელშეკრულება ფორმდება ენერგოსისტემის პარალელურ რეჟიმში ჩართვის შემდგომ და საბაჟო ორგანოებს წარედგინებათ არაუგვიანეს ერთი კვირისა ენერგოსისტემების პარალელურ რეჟიმში ჩართვის დღიდან;

ზ) პარალელურ რეჟიმში მუშაობისაგან განსხვავებული პირობებით საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული (გადადინებული) ელექტროენერგიის დეკლარირება ხორციელდება ამ ინსტრუქციის მე-5 მუხლის შესაბამისად;

თ) იმ შემთხვევაში, როდესაც საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული (გადადინებული) ელექტროენერგიის რაოდენობა აღემატება ხელშეკრულებით გათვალისწინე-

ბულ რაოდენობას, ან გადადინებულ მოცულობაზე არ არსებობს იმპორტიორის ან ექსპორტიორის სათანადო განაცხადი დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიმართ, მაშინ ამ გადადინებული ელექტროენერგიის დეკლარირებაზე პასუხისმგებელია დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ვალდებულია, აღნიშნულ ელექტროენერგიის გადადინებასთან დაკავშირებით განახორციელოს შესაბამისი საბაჟო პროცედურები არაუგვიანეს საანგარიშო თვის შემდგომი 45 დღის განმავლობაში, ან საბაჟო ორგანოების მიერ სათანადო შეტყობინებიდან 15 დღის განმავლობაში.

2. თუ საქართველოს ტერიტორიაზე ბუნებრივი გაზის ტრანზიტის მომსახურების საფასურის ანაზღაურება ხდება გადაადგილებული ბუნებრივი გაზის ნაწილით და იგი რჩება საქართველოს ტერიტორიაზე, ამ შემთხვევაში აღნიშნული ნაწილის დეკლარირება უნდა განხორციელდეს ამ ინსტრუქციის მე-5 მუხლის შესაბამისად.

3. თუ საქართველოში შემოტანისას მთავარი მილსადენიდან გამოიყოფა მცირე დინების ნავთობის ნაკადი, რომლითაც იწარმოება დიზელის საწვავი მილსადენის ტურბინებისა და სხვა ფიქსირებული ძრავიანი მოწყობილობების მუშაობის უზრუნველსაყოფად, ნავთობის აღნიშნულ ნაწილი ექვემდებარება იმპორტის საბაჟო რეჟიმში მოქცევას, ხოლო ნავთობის ნაწილი, რომელიც ბრუნდება მთავარ მილსადენში, უნდა მოექცეს ექსპორტის საბაჟო რეჟიმში.

მუხლი 7. საბაჟო გადასახდელების გადახდა

1. საანგარიშო პერიოდის (მიწოდების კალენდარული თვის, ან ამ ინსტრუქციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების მოქმედების ვადის) დამთავრების შემდეგ საქონლის დაზუსტებული მონაცემების გათვალისწინებით წარმოდგენილი სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის საფუძველზე ხდება საბოლოო ანგარიშსწორება. ელექტროენერგეტიკული სისტემების პარალელურ რეჟიმში მუშაობის შემთხვევაში საბაჟო გადასახდელების გადახდა ხორციელდება სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის წარდგენისას სალდო-გადადინების შესაბამისად.

2. საბაჟო გადასახდელების თანხის განსაზღვრისას უცხოური ვალუტა გადაიანგარიშდება საქართველოს ეროვნულ ვალუტაზე სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის კურსის შესაბამისად.

დანართი N2

აქტი
საქონლის ტრანსპორტირების საშუალებაში შემავალ ობიექტზე საიდენტიფიკაციო საშუალებების (ნიშნები) დადების/მოხსნის და მონაცემების აღების შესახებ

------ ---------- 200 წ
(რიცხვი, თვე, წელი)

(საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი, თანამდებობა)

(ობიექტის უფლებამოსლი პირის სახელი, გვარი, თანამდებობა)

(საქონლის მიმღები/გამგზავნი უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი, თანამდებობა)

მონაწილეობით შეეადგინეთ ეს აქტი მასზე, რომ ----------

(ობიექტის დასახელება, განხორციელებული ქმედება)

№	ობიექტის დასახელება	მრიცხველის ტიპი	მრიცხველის ნომერი	საბაჟო პლომბის ანაბეჭდის ნომერი	საბაჟო პლომბების რაოდენობა

მრიცხველის ჩვენება

№	მრიცხველის №	მრიცხველის ჩვენება, შესაბამის ზომის ერთეულში	შენიშვნა

ზემოაღნიშნული საიდენტიფიკაციო საშუალებები იმყოფებიან საბაჟო კონტროლის ქვეშ

(საბაჟო ორგანოს დასახელება)

(საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი, თანამდებობა, ხელმოწერა, პ/ნ ბეჭედი)

(ობიექტის უფლებამოსლი პირის სახელი, გვარი, თანამდებობა, ხელმოწერა)

(საქონლის მიმღების წარმომადგენლის სახელი, გვარი, ხელმოწერა)

საქართველოს მთავრობის დადგენილება N134

2005 წლის 11 აგვისტო ქ. თბილისი

საბაჟო სფეროში ლიცენზიისა და ნებართვის გამცემი ორგანოს განსაზღვრის შესახებ

"ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-40 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად:

1. განისაზღვროს ლიცენზიისა და ნებართვის გამცემ ორგანოდ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლე-ბის სამსახური "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" სა-

საქართველოს კანონით გათვალისწინებული ლიცენზიისა და ნებართვის შემდეგი სახეების მიხედვით: (5.04.2007 N79)

ა) უბაჟო ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვა;

ბ) საბაჟო საწყობის (ღია ან/და დახურული) საქმიანობის ნებართვა;

გ) დროებითი შენახვის საწყობის (ღია ან/და დახურული) საქმიანობის ნებართვა.

2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №1755

2006 წლის 20 დეკემბერი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში საბაჟო სამართალდარღვევის საქმის წარმოების წესის თაობაზე ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ (23.04.2007 N407)

საქართველოს საბაჟო კოდექსის 235-ე მუხლის მე-14 ნაწილისა და "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის N39 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის "ლ" ქვეპუნქტის საფუძველზე, ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს:

ა) ინსტრუქცია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში საბაჟო სამართალდარღვევის საქმის წარმოების წესის თაობაზე (დანართი N1); (23.04.2007 N407)

ბ) საბაჟო სამართალდარღვევის ოქმის ფორმა – დანართი N 2 და დანართი N 2ა; (27.12.2006 N1876)

გ) „საბაჟო სამართალდარღვევის ოქმის ფორმების აღრიცხვის ჟურნალის შიდა ფურცლის" ფორმა (დანართი N3);

დ) „საბაჟო შეტყობინების" ფორმა (დანართი N4);

ე) „საბაჟო სამართალდარღვევათა საქმეების აღრიცხვის ჟურნალის შიდა ფურცლის" ფორმა (დანართი N5);

ვ) „საბაჟო სამართალდარღვევათა საქმეების აღრიცხვის ჟურნალის გარეკანის ფორმა" (დანართი N6);

ზ) „საბაჟო სამართალდარღვევათა საქმეების აღრიცხვის ჟურნალის ბოლო გვერდზე მის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირის წარწერის" ფორმა (დანართი N7);

2. ბრძანება ამოქმედდეს 2007 წლის 1 იანვრიდან.

ა. ალექსიშვილი

ინსტრუქცია
საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში საბაჟო სამართალდარღვევის საქმის წარმოების წესის თაობაზე (23.04.2007 N407)

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. ინსტრუქციის რეგულირების საგანი (23.04.2007 N407)

ეს ინსტრუქცია განსაზღვრავს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის (შემდგომში _ შემოსავლების სამსახური) სისტემის ორგანოების და საჯარო მოსამსახურეების მიერ საბაჟო სამართალდარღვევათა გამოვლენის, საბაჟო სამართალდარღვევათა საქმეების წარმოების, საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების, საბაჟო სანქციის შეფარდების, გამოვლენილი საბაჟო სამართალდარღვევების და მათზე მიღებული გადაწყვეტილებების აღრიცხვის წესს".

თავი II. საბაჟო სამართალდარღვევათა საქმეების წარმოებასა და განხილვაზე უფლებამოსილი ორგანოები და საჯარო მოხელეები

მუხლი 2. საბაჟო სამართალდარღვევის საქმის წარმოებაზე უფლებამოსილი ორგანოები

თუ საბაჟო კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი, საბაჟო სამართალდარღვევის საქმეს აწარმოებს, განიხილავს და შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს საბაჟო ორგანო თავისი კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს საბაჟო კოდექსითა და ამ ინსტრუქციით განსაზღვრული წესით.

მუხლი 3. საბაჟო სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე უფლებამო-სილი ორგანოები/თანამდებობის პირები (23.04.2007 N407)

საბაჟო სამართალდარღვევის ოქმს ადგენენ:

ა) შემოსავლების სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული თანამდებობის პირები;

ბ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციისა და საპატრულო პილიციის უფლებამოსილი პირები _ საბაჟო კოდექსის 239-ე, 241-ე_243-ე, 246-ე, 248-ე მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე.

მუხლი 4. საბაჟო სამართალდარღვევის საქმეების განხილვაზე უფლებამოსილი ორგანოები

1. საბაჟო სამართალდარღვეევათა საქმეებს კომპეტენციის ფარგლებში განიხილავენ შემოსავლების სამსახური, მისი სტრუქტურული ერთეული, რეგიონალური საბაჟო, რეგიონალური საბაჟოს სტრუქტურული ერთეული, რომელთა კომპეტენციაც განისაზღვრება შემოსავლების სამსახურის დებულებით, რეგიონალური საბაჟოს დებულებით ან შემოსავლების სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. (23.04.2007 N407)

2. თუ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საბაჟო ორგანოების სპეციალური კომპეტენცია სხვა აქტით არ არის განსაზღვრული, საბაჟო სამართალდარღვევის საქმეს განიხილავს საბაჟო ორგანო:

ა) რომელიც გამოავლენს ასეთ სამართალდარღვევას _ ამ ინსტრუქციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში. ამასთან, თუ სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვა აფერხებს საბაჟო პროცედურების განხორციელებას, საბაჟო ორგანოს უფროსს/მის მოადგილეს შეუძლია კანონმდებლობით დადგენილი წესით დაუშვას საქონლის გადაადგილება დანიშნულების საბაჟო ორგანომდე და საქმე განსახილ-

ველად გადაუგზავნოს ამ ორგანოს;

ბ) მე-6 მუხლის მე-2_მე-4 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში საბაჟო ორგანო:

ბ.ა) რომლის სამოქმედო ტერიტორიასაც განეკუთვნება სამართალდამრღვევის ადგილსამყოფელი (რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

ბ.ბ) რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც იმყოფება სამართალდარღვევის საქონელი ან/და სატრანსპორტო საშუალება, თუ ვერ ხერხდება სამართალდამრღვევის ან მისი ადგილსამყოფელის იდენტიფიკაცია;

ბ.გ) რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც, საკარაუდოდ, ჩადენილია საბაჟო სამართალდარღვევა, თუ ვერ ხერხდება ვერც სამართალდამრღვევის და ვერც მისი ადგილსამყოფელის იდენტიფიკაცია, ხოლო სამართალდარღვევის საქონელი ან/და სატრანსპორტო საშუალება დაუდგენელია (ან არ არსებობს).

გ) საქონლის და/ან სატრანსპორტო საშუალების დანიშნულების საბაჟო ორგანო _ საქონლის დაკარგვის ან უნებართვოდ განკარგვის შემთხვევაში.

მუხლი 5. საბაჟო სამართალდარღვევის საქმეზე გადაწყვეტილების მიმღები თანამდებობის პირები (23.04.2007 N407)

საბაჟო სამართალდარღვევის საქმეზე გადაწყვეტილებას (ამ ინსტრუქციის მე7 მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევის გარდა) იღებენ: შემოსავლების სამსახურის უფროსი/მისი მოადგილე, რეგიონალური საბაჟოსა და მისი უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის უფროსი/მისი მოადგილე (შემდგომში «უფლებამოსილი მოხელეები»).

თავი III. საბაჟო სამართალდარღვევის გამოვლენა და მისი პროცესუალური დაფიქსირება, საბაჟო სამართალდარღვევის ოქმი

მუხლი 6. ცნობები საბაჟო სამართალდარღვევის ჩადენის შესახებ

1. საბაჟო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების საფუძველია ცნობები (ინფორმაცია) საბაჟო სამართალდარღვევის ჩადენის შესახებ, რომელიც:

ა) გამოვლენილია საბაჟო ორგანოს (საბაჟო ორგანოს მოხელის) მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას;

ბ) საბაჟო ორგანოს მიაწოდა მოქალაქემ, იურიდიულმა პირმა, სახელმწიფო მმართველობის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანომ, სამართალდამცავმა ორგანომ, საბაჟო სამართალდარღვევის ჩამდენმა ან სამართალდარღვევის ჩადენაში მონაწილე პირმა;

გ) გამოვლენილია შემოწმების შედეგებით ან მოძიებულია ინფორმაციის სხვა საშუალებებში.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის "ბ" და "გ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში საბაჟო ორგანოების მიერ მიღებული შესაბამისი ცნობები (ინფორმაცია) დაუყოვნებლივ გადაეცემა ამ ინსტრუქციის მე-5 მუხლით განსაზღვრულ იმ ორგანოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიასაც განეკუთვნება სამართალდამრღვევის ადგილსამყოფელი (რეგისტრაციის ადგილის მიხედვით).

3. თუ სამართალდამრღვევის და/ან მისი ადგილსამყოფელის იდენტიფიკაცია შეუძლებელია, ამ მუხლით გათვალისწინებული ინფორმაცია გადაეცემა იმ საბაჟო ორგანოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც იმყოფება სამართალდარღვევის საქონელი ან/და სატრანსპორტო საშუალება.

4. თუ ვერ ხერხდება სამართალდამრღვევის და/ან მისი ადგილსამყოფელის იდენტიფიკაცია, ხოლო სამართალდარღვევის საქონელი ან/და სატრანსპორტო საშუალება დაუდგენელია (ან არ არსებობს), ინფორმაცია გადაეცემა იმ საბაჟო ორგანოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც, საკარაუდოდ, ჩადენილია საბაჟო სამართალდარღვევა.

5. ინფორმაციის მიმღები საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომელი ვალდებულია, გაატაროს ყველა აუცილებელი ღონისძიება საქმის გარემოებათა შესასწავლად და საბაჟო სამართალდარღვევის ოქმის შესადგენად.

6. დავას საქმის წარმოებისა და განხილვის ქვემდებარეობის თაობაზე წყვეტს შემოსავლების სამსახური. (23.04.2007 N407)

მუხლი 7. საბაჟო სამართალდარღვევის ოქმის გაფორმება და სანქციის ადგილზე შეფარდება

1. საბაჟო სამართალდარღვევის საქმის დაწყების საფუძველია საბაჟო სამართალდარღვევის ოქმი, რომელიც შედგება ამ წესის დანართი N2 ან დანართი N 2ა –ით განსაზღვრული ფორმით. (27.12.2006 N1876)

2. ოქმში საბაჟო სამართალდარღვევის სუბიექტის შესახებ მონაცემები ივსება მისი არსებობის შემთხვევაში, ხოლო ოქმის მე-9 გრაფით გათვალისწინებული, საქმესთან დაკავშირებული ახსნა-განმარტებების მიცემა წარმოადგენს საბაჟო სამართალდარღვევის სუბიექტის უფლებას, რისი განუხორციელებლობაც არ იწვევს ოქმის იურიდიული ძალის დაკარგვას. (27.12.2006 N1876)

3. ოქმი დგება 3 (სამ) პირად, რომელთაგან: (27.12.2006 N1876)

ა) ერთი – საქმის გადასაწყვეტად საჭირო სხვა ცნობებთან ერთად დაუყოვნებლივ ეგზავნება საბაჟო სამართალდარღვევის განხილვაზე უფლებამოსილ პირს (თუ ამ მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად არ ხორციელდება სანქციის ადგილზე შეფარდება) და დაერთვის საბაჟო სამართალდარღვევის საქმეს;

ბ) მეორე – ბარდება სამართალდამრღვევს შესაბამისი ხელისმოწერით ოქმის ეგზემპლარის ჩაბარების შესახებ, ხოლო როცა სამართალდამრღვევი არ ესწრება ოქმის შედგენას – ოქმი გაიგზავნება ოქმის შემდგენისათვის ცნობილ უკანასკნელ მისამართზე და ჩაბარებულად ითვლება, თუნდაც ადრესატი ამ მისამართზე აღარ ცხოვრობდეს.

გ) მესამე – რჩება ოქმის შემდგენელთან, ხოლო მისი დამოწმებული ასლი ეგზავნება რეგიონალური საბაჟოს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს.

4. თუ სამართალდარღვევის ჩამდენი უარს იტყვის ოქმის ხელმოწერაზე ან მის მიღებაზე (ჩაბარებაზე), მასში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი. სამართალდარღვევის ჩამდენს უფლება აქვს წარმოადგინოს ოქმისათვის დასართავი ახსნა-განმარტებები და შენიშვნები ოქმის შინაარსთან დაკავშირებით, აგრეთვე ჩამოაყალიბოს საკუთარ ხელმოწერაზე უარის თქმის მიზეზები.

5. სამართალდარღვევის ჩამდენის უარი ოქმის ხელმოწერაზე ან მის მიღებაზე (ჩაბარებაზე), აგრეთვე სამართალდარღვევის სუბიექტის დადგენის ან მისი იდენტიფიცირების შეუძლებლობა არ იწვევს ოქმის იურიდიული ძალის დაკარგვას.

6. ოქმი ივსება მუქი ფერის კალმით. ოქმში ყველა ჩანაწერი კეთდება გარკვევით. დაუშვებელია გადახაზვა, გადაფხეკა, გადაშლა და ა.შ. ოქმის დაზიანების ან მასში არასწორი მონაცემების შეტანის შემთხვევაში ივსება ახალი ოქმი. ძველი გადაიხაზება ჯვარედინად, რომელსაც ოქმის შემსვები მოხსენებითი ბარათით, გაუქმების მიზეზების მითითებით აბარებს ოქმის ფორმის გამცემს. (27.12.2006 N1876)

7. ოქმი მისი შედგენიდან არა უგვიანეს მეორე სამუშაო დღისა რეგისტრირებული უნდა იქნეს სპეციალურად ზონარგაყრილ და დანომრილ ჟურნალში და, იმ შემთხვევაში, თუ არ ხდება სანქციის ადგილზე შეფარდება, შემდგომი რეაგირებისათვის დაუყოვნებლივ უნდა გადაეგზავნოს (გადაეცეს) იმ ორგანოს (თანამდებობის პირს), რომელიც უფლებამოსილია განიხილოს საბაჟო სამართალდარღვევის საქმე.

8. იმ შემთხვევაში, როდესაც გამოვლენილი სამართალდარღვევისათვის შესაძლებელია მხოლოდ ჯარიმის შეფარდება, ხოლო სამართალდარღვევის სუბიექტი სადავოდ არ

ხდის მის მიერ ჩადენილი საბაჟო სამართალდარღვევის ფაქტს, რასაც ადასტურებს ოქმზე ხელმოწერით, მაშინ ოქმის შემდგენი თანამდებობის პირის მიერ ხორციელდება სანქციის შეფარდებაც და გამოიყენება საბაჟო სანქციის უზრუნველყოფის ღონისძიება მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული წესით.

9. ოქმის საფუძველზე შეფარდებული ჯარიმის თანხა ექვემდებარება გადახდას ვალდებული პირის ან მისი წარმომადგენლის მიერ საქართველოს საბაჟო კოდექსის 206-ე მუხლის მე-2 ნაწილის დადგენილ ვადაში. (27.12.2006 N1876)

10. შეფარდებული ჯარიმის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში საბაჟო ორგანოები ვალდებული პირის მიმართ ახორციელებენ საბაჟო ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებებს საქართველოს საგადასახადო კოდექსის XI თავით საგადასახადო ორგანოებისათვის დადგენილი წესით. (27.12.2006 N1876).

მუხლი 8. შემთხვევები, როდესაც საბაჟო სამართალდარღვევის ოქმი არ შედგება

1. საბაჟო სამართალდარღვევის ოქმი არ შედგება, თუ საბაჟო სამართალდარღვევა გამოწვეულია ავარიის ან დაუძლეველი ძალის პირობების მოქმედების შედეგად, ხოლო სამართალდარღვევის სუბიექტმა დაუყოვნებლივ აცნობა ამის თაობაზე საბაჟო ორგანოს და წარუდგინა მას სათანადო მტკიცებულებები. დაუძლეველი ძალის პირობები განისაზღვრება საქართველოს საბაჟო კოდექსის 233-ე მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად.

2. საქართველოს საბაჟო კოდექსის 237-ე მუხლით გათვალისწინებული საბაჟო სამართალდარღვევის – საბაჟო გადასახდელების გადაუხდელობის გამოელენისას საბაჟო სამართალდარღვევის ოქმი არ შედგება და ვალდებულებების გადახდევინება ხორციელდება გადაუხდელი საბაჟო გადასახდელების გადახდევინების წესის შესაბამისად, საბაჟო შეტყობინების წარდგენის გზით.

მუხლი 9. საბაჟო სამართალდარღვევის ოქმის ფორმების აღრიცხვა (23.04.2007 N407)

საბაჟო სამართალდარღვევის ოქმს აქვს ინდივიდუალური ნომერი და წარმოადგენს მკაცრი აღრიცხვის ფორმას. მათი გაცემა, დაბრუნება, გაუქმება აღირიცხება «საბაჟო სამართალდარღვევის ოქმის ფორმების აღრიცხვის ჟურნალში» (დანართი N3), რომელიც უნდა იყოს დანომრილი, აკინძული, ბეჭედდასმული და რეგისტრირებული შემოსავლების სამსახურის კანცელარიაში. ოქმის ფორმებს ჟურნალში აღრიცხავს და გასცემს შემოსავლების სამსახურის შესაბამისი დეპარტამენტი რეგიონალური საბაჟოების უფლებამოსილ სტრუქტურულ ერთეულებზე. სტრუქტურული ერთეულები ასევე ჟურნალში აღრიცხავენ მიღებულ, გამოყენებულ და დაბრუნებულ (გაუქმებულ ან დაზიანებულ) ოქმებს, რის შესახებაც ამზადებენ ყოველკვირეულ ანგარიშს. რეგიონალურ საბაჟო «აღმოსავლეთზე» გაიცემა ოქმები სერიით «რსა», ხოლო რეგიონალურ საბაჟო «დასავლეთზე» _ სერიით «რსდ".

თავი IV. საბაჟო სამართალდარღვევის საქმის წარმოების უზრუნველყოფა

მუხლი 10. საბაჟო სამართალდარღვევის საქმის წარმოების უზრუნველყოფის ზომები

1. საბაჟო სამართალდარღვევის საქმის წარმოების უზრუნველსაყოფად, როცა ამოწურულია ზემოქმედების სხვა ზომები, დასაშვებია სამართალდამრღვევის ადმინისტრაციული დაკავება, პირადი გასინჯვა, ნივთების გასინჯვა და ნივთებისა და დოკუმენტების ჩამორთმევა.

2. გადაწყვეტილებას საბაჟო სამართალდარღვევის საქმის წარმოების უზრუნველსაყოფად ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების გამოყენების თაობაზე იღებს და აფორმებს (ცალკე აქტით ან/და ოქმში მონაცემების დაფიქსირებით) საბაჟო სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე უფლებამოსილი პირი.

მუხლი 11. სამართალდამრღვევის ადმინისტრაციული დაკავება

1. ადმინისტრაციული დაკავების შესახებ დგება ოქმი, რომელშიც აღინიშნება: მისი შედგენის თარიღი და ადგილი; შემდგენის თანამდებობა, სახელი, მამის სახელი, გვარი; ცნობები დაკავებულის პიროვნების შესახებ; დაკავების დრო და მოტივი. ოქმს ხელს აწერენ ოქმის შემდგენი და დაკავებული. თუ დაკავებული უარს აცხადებს ოქმის ხელმოწერაზე, ამის შესახებ ოქმში კეთდება ჩანაწერი.

2. საბაჟო სამართალდარღვევისათვის დაკავებული პირის თხოვნით მის ადგილსამყოფელს აცნობებენ ნათესავებს, ადმინისტრაციას სამუშაო თუ სწავლის ადგილის მიხედვით. არასრულწლოვანის დაკავების შესახებ აუცილებლად აცნობებენ მის მშობლებს ან სხვა კანონიერ წარმომადგენლებს.

3. საბაჟო სამართალდარღვევის ჩამდენის ადმინისტრაციულმა დაკავებამ არ უნდა გასტანოს 3 საათზე მეტ ხანს.

მუხლი 12. პირადი გასინჯვა და ნივთების გასინჯვა

1. პირადი გასინჯვა და ნივთების გასინჯვა შეიძლება აწარმოონ ამ ინსტრუქციის მე-3 მუხლით გათვალისწინებული ორგანოების საამისოდ უფლებამოსილმა პირებმა.

2. პირადი გასინჯვა შეუძლია აწარმოოს საამისოდ უფლებამოსილმა პირმა, რომელიც გასასინჯი პირის სქესისაა, იმავე სქესის ორი პირის თანდასწრებით.

3. ნივთების გასინჯვა წარმოებს, როგორც წესი, იმ პირის თანდასწრებით, რომლის საკუთრებაში ან მფლობელობაშია ისინი. გადაუდებელ შემთხვევებში აღნიშნული ნივთების შეიძლება გაისინჯოს მესაკუთრის (მფლობელის) გარეშე, ორი დამსწრის მონაწილეობით.

4. პირადი გასინჯვისა და ნივთების გასინჯვის შესახებ შედგება ოქმი ან/და საბაჟო სამართალდარღვევის ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.

მუხლი 13. ნივთებისა და დოკუმენტების ჩამორთმევა

1. საბაჟო სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე უფლებამოსილ პირებს შეუძლიათ სამართალდამრღვევის დაკავების, პირადი გასინჯვის ან ნივთების გასინჯვის დროს აღმოჩენილი ნივთების, საქონლისა და დოკუმენტების ჩამორთმევა, რომლებიც წარმოადგენენ სამართალდარღვევის იარაღს ან უშუალო ობიექტს.

2. ნივთების, საქონლისა და დოკუმენტების ჩამორთმევა შესაძლებელია:

ა) როდესაც აღნიშნული საქონლის (ნივთების) შემოტანა (გატანა) საქართველოს ტერიტორიაზე აკრძალულია;

ბ) როდესაც ეს ნივთები, საქონელი და/ან დოკუმენტები საქმეზე მტკიცებულებებს წარმოადგენს;

გ) როდესაც არის საფუძვლიანი ვარაუდი, რომ საბაჟო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფა სხვა საშუალებით შეუძლებელი იქნება.

3. ჩამორთმეული ნივთები, საქონელი და დოკუმენტები ინახება საბაჟო ორგანოების მიერ განსაზღვრულ ადგილას, ხოლო საქმის განხილვის შედეგების მიხედვით უბრუნებენ მათ მესაკუთრეს (მფლობელს) ან დადგენილი წესით ახორციელებენ მათ უსასყიდლოდ ჩამორთმევას, საბაჟო შეტყობინებით განსაზღვრულ ვადაში დადგენილი სანქციის გადაუხდელობის შემთხვევაში კი მათ მიმართ ახორციელებენ საბაჟო ვალდებულების შესრულების ღონისძიებას საქართველოს საგადასახდო კოდექსის XI თავით დადგენილი წესით.

4. ნივთების, საქონლისა და დოკუმენტების ჩამორთმევის თაობაზე შედგება ოქმი ან/და საბაჟო სამართალდარღვევის ოქმში კეთდება სათანადო ჩანაწერი.

თავი V. საბაჟო სამართალდარღვევის საქმის განხილვა და სანქციის შეფარდება

მუხლი 14. საქმის განხილვა

1. საბაჟო სამართალდარღვევის ოქმის შედგენიდან 30 დღის ვადაში, საქმის განხილვის მასალებზე დაყრდნობით, უფლებამოსილი მოხელე საქმეზე იღებს გადაწყვეტილებას (გარდა ამ ინსტრუქციის მე-7 მუხლის მე-8 პუნქტით და ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა), რომელიც ფორმდება საბაჟო შეტყობინებით. აღნიშნული ვადის დარღვევით გამოცემული საბაჟო შეტყობინება ჩაითვლება იურიდიული ძალის არმქონედ.

2. თუ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში შეუძლებელია საბაჟო სამართალდარღვევის სუბიექტის დადგენა ან მისი იდენტიფიკაცია, უფლებამოსილი მოხელე გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს სამართალდარღვევის საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების უსასყიდლოდ ჩამორთმევის შესახებ.

3. შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული ერთეულები, საბაჟო ორგანოები და მათი საჯარო მოსამსახურეები ვალდებულნი არიან, ხელი შეუწყონ საბაჟო სამართალდარღვევის საქმეთა განმხილველ სტრუქტურულ ქვედანაყოფებს საბაჟო სამართალდარღვევათა საქმეების წარმოებაში, მოთხოვნისამებრ წარუდგინონ მათ ხელთარსებული ინფორმაცია და დოკუმენტები, წარმოადგინონ დასკვნები და ახსნა-განმარტებები. (23.04.2007 N407)

4. უფლებამოსილი მოხელე საბაჟო სამართალდარღვევის საქმის განხილვისას ვალდებულია დაადგინოს:

ა) განეკუთვნება თუ არა მის კომპეტენციას აღნიშნული საქმის განხილვა;

ბ) სწორად არის თუ არა შედგენილი ოქმი და საბაჟო სამართალდარღვევის საქმის სხვა მასალები;

გ) გამოთხოვილია თუ არა საჭირო დამატებითი მასალები;

დ) ჩადენილი იყო თუ არა საბაჟო სამართალდარღვევა;

ე) ექვემდებარება თუ არა პირი საბაჟო კოდექსით განსაზღვრულ პასუხისმგებლობას.

5. უფლებამოსილი მოხელე ვალდებულია შეაგროვოს, გამოიკელიოს და შეაფასოს საქმეზე არსებული მტკიცებულებები.

6. საბაჟო სამართალდარღვევის საქმეზე მტკიცებულებას წარმოადგენს ყველა ფაქტობრივი მონაცემი და გარემოება, რომელთა საფუძველზე დადგინდება საბაჟო სამართალდარღვევის არსებობა ან არარსებობა და რომელთაც მნიშვნელობა აქვს საქმის სწორად გადაწყვეტისათვის.

7. ეს მონაცემები დადგინდება შემდეგი საშუალებებით: საბაჟო სამართალდარღვევის ოქმით, სამართალდამრღვევის ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებებით, ექსპერტის დასკვნით, ნივთიერი მტიცებულებით, პირადი გასინჯვისა და ნივთების გასინჯვის ოქმებით, ნივთებისა და დოკუმენტების ჩამორთმევის ოქმებით, საქონლის სინჯებისა და ნიმუშების აღებით, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად რევიზია-შემოწმების ჩატარებით და სხვა დოკუმენტებით.

8. უფლებამოსილი მოხელე, ხელმძღვანელობს რა კანონით და მართლშეგნებით, ახდენს მტკიცებულებების შეფასებას და საქმის ყველა გარემოების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოკვლევაზე დაყრდნობით იღებს გადაწყვეტილებას.

მუხლი 15. საბაჟო სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის განსაზღვრა და საბაჟო სანქციის გამოყენება

1. უფლებამოსილი მოხელე საქმის განხილვის მასალებზე დაყრდნობით განსაზღვრავს სამართალდამრღვევი პირის პასუხისმგებლობას საქართველოს საბაჟო კოდექსით გათვალისწინებული საბაჟო სამართალდარღვევისათვის და შესაბამისი სანქციის გამოყენების მი-

ზანშეწონილობას, თუ ეს სამართალდარღვევა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად არ იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.

2. საბაჟო სანქცია გამოიყენება საურავის, ფულადი ჯარიმისა და საბაჟო სამართალდარღვევის საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების უსასყიდლოდ ჩამორთმევის სახით საბაჟო კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

3. საბაჟო სამართალდარღვევათა ერთობლიობისას საბაჟო სანქცია გამოიყენება თითოეული სამართალდარღვევისათვის ცალ-ცალკე.

4. თუ საბაჟო სამართალდარღვევის სუბიექტი არის ერთზე მეტი პირი, მათ პასუხისმგებლობა დაეკისრებათ სოლიდარულად.

5. საბაჟო სამართალდარღვევის გამო პირის მიმართ საბაჟო სანქციის გამოყენება არ ათავისუფლებს მას კუთვნილი გადასახადების, მოსაკრებლისა და საურავის გადახდის ვალდებულებისაგან.

6. საბაჟო სამართალდარღვევის გამო საწარმოს/ორგანიზაციის მიმართ საბაჟო სანქციის გამოყენება არ ათავისუფლებს მის თანამდებობის პირს, შესაბამისი საფუძვლების არსებობისას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ადმინისტრაციული, სისხლის-სამართლებრივი ან სხვა პასუხისმგებლობისაგან.

მუხლი 16. საბაჟო სანქციის აღსრულების უზრუნველყოფა

საბაჟო სანქციის აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით, სანქციის შეფარდებაზე უფლებამოსილი პირის მიერ გამოიყენება სანქციის აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიებები, რომელთა სახეები და მათი გამოყენების წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

თავი VI. საბაჟო შეტყობინება და მისი შესრულება

მუხლი 17. საბაჟო შეტყობინება

1. საბაჟო შეტყობინება არის საბაჟო ორგანოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც უნდა პასუხობდეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს, გამოიცეს საბაჟო უფლებამოსილი მოხელის მიერ ამ წესის N4 დანართით განსაზღვრული ფორმით და წარედგინოს საბაჟო სამმართალდარღვევის ჩამდენ პირს (შემდგომში "ვალდებულ პირს").

2. შეტყობინებაში უნდა აღინიშნოს:

ა) შეტყობინების გამგზავნი საბაჟო ორგანოს დასახელება და მისამართი;

ბ) შეტყობინების გაფორმების თარიღი;

გ) ვალდებული პირის რეკვიზიტები (სახელი და გვარი, დასახელება, მისამართი);

დ) ვალდებული პირის საიდენტიფიკაციო ნომერი (მისი არსებობის შემთხვევაში);

ე) შეტყობინების წარდგენის საფუძველი საქართველოს საბაჟო კოდექსის იმ ნორმაზე მითითებით, რომლითაც განსაზღვრულია შესაბამისი სამართალდარღვევა;

ვ) საქმეზე არებული საბაჟო სამართალდარღვევის ოქმის ნომერი და მისი შედგენის თარიღი;

ზ) საქმის განხილვისას დადგენილი გარემოებები;

თ) გამოყენებული სანქციის სახე და დარიცხული ჯარიმის ოდენობა;

ი) მისი შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებები, რომლებიც გამოიყენება ვალდებული პირის მიმართ ამ შეტყობინებით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში;

კ) ვალდებული პირის უფლებები და მოვალეობები (მათ შორის: ვალდებულების შესრულების ვადა, მისი გასაჩივრების წესი);

ლ) მითითება იმ ვალდებულებებზე, რომელთა შესრულებაც პირს ევალება საბაჟო სანქციის გამოყენებისაგან დამოუკიდებლად.

3. საბაჟო შეტყობინებას თან ერთვის მისი, როგორც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის წერილობითი დასაბუთება, რომელშიც მიეთითება ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა შეტყობინების გამოცემისას.

მუხლი 18. საბაჟო ვალდებულების აღსრულება

1. საბაჟო შეტყობინებით გათვალისწინებული თანხა ექვემდებარება გადახდას ვალდებული პირის მიერ საბაჟო შეტყობინების მიღებიდან 15 კალენდარულ დღეში.

2. დადგენილ ვადაში საბაჟო შეტყობინებით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში საბაჟო ორგანოები ამ ვალდებული პირის მიმართ ახორციელებენ საბაჟო ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებებს საქართველოს საგადასახადო კოდექსის XI თავით საგადასახადო ორგანოებისათვის დადგენილი წესით.

მუხლი 19. საბაჟო შეტყობინების გასაჩივრება

თუ ვალდებული პირი არ ეთანხმება საბაჟო შეყობინებას, მას შეუძლია შეტყობინების მიღებიდან 15 კალენდარულ დღეში საბაჟო ორგანოს გაუგზავნოს წერილობითი შესაგებელი და ამავე ვადაში წარუდგინოს გარანტიები საბაჟო ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად, საქართველოს საბაჟო კოდექსის IX კარით დადგენილი წესით.

თავი VII. საბაჟო სამართალდარღვევათა საქმეების აღრიცხვა

მუხლი 20. საბაჟო სამართალდარღვევათა საქმეების აღრიცხვა

1. საბაჟო სამართალდარღვევის ყველა საქმე რეგიონალური საბაჟოების მიერ აღირიცხება "საბაჟო სამართალდარღვევათა საქმეების აღრიცხვის ჟურნალში" (შემდგომში - ,,აღრიცხვის ჟურნალი") N5 დანართით განსაზღვრული ფორმის შესაბამისად.

2. საბაჟო სამართალდარღვევის ოქმები და საბაჟო შეტყობინებები ექვემდებარება საველდებულო რეგისტრაციას აღრიცხვის ჟურნალის შესაბამის გრაფებში.

3. საბაჟო სამართალდარღვევათა საქმეებისა და მათზე მიღებული გადაწყვეტილებების აღრიცხვისა და რეგისტრაციის ორგანიზებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება რეგიონალური საბაჟოების უფროსებს, ხოლო აღრიცხვის ჟურნალის წარმოებაზე, შენახვასა და მასში შეტანილი მონაცემების უტყუარობაზე _ რეგიონალური საბაჟოს დებულებით ან საბაჟოს ორგანოების უფროსების ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს.

მუხლი 21. მოთხოვნები აღრიცხვის ჟურნალის გაფორმების, წარმოებისა და შენახვისადმი

1. აღრიცხვის ჟურნალები დამტკიცებული ფორმის (დანართი N5) შესაბამისად იხსნება ყოველი კალენდარული წლის დასაწყისში, რეგიონალური საბაჟოების მიხედვით.

2. აღრიცხვის ჟურნალს უნდა ჰქონდეს დამტკიცებული ფორმის შესაბამისად გაფორმებული გარეკანი (დანართი N6). აღრიცხვის ჟურნალის ფურცლები ინომრება რიგითობის მიხედვით. აღრიცხვის ჟურნალის გარეკანი და ფურცლები უნდა იქნეს ზონარგაყრილი, ამასთან, ზონარის კვანძზე ეკვრება ეტიკეტი, რომელიც მოწმდება საბაჟო ორგანოს ბეჭდით. ჟურნალის ბოლო გვერდი დამტკიცებული ფორმით მოწმდება მის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირის წარწერით (დანართი N7).

3. აღრიცხვის ჟურნალში ყველა ჩანაწერი კეთდება ლურჯი ან შავი კალმით.

4. აღრიცხვის ჟურნალში არ დაიშვება ჩანაწერის გადაფხეკა, ჩასწორება ან ადრე გა-

კეთებული ჩანაწერების ჩასწორება და მოშორება კორექტორის დახმარებით. აუცილებლობის შემთხვევაში, უზუსტო ჩანაწერი გადაიხაზება

ერთი ხაზით ისე, რომ ნათლად ჩანდეს ადრე დაწერილი ტექსტი, ახალი ჩანაწერი კეთდება აღრიცხვის ჟურნალის იმავე გრაფაში, ხოლო 32-ე გრაფაში "შენიშვნები" აღრიცხვის ჟურნალის მწარმოებელი პასუხისმგებელი პირი აკეთებს შესაბამის ჩანაწერს, (მაგალითად - შესწორებულია მე-8 და მე-15 გრაფები. 08.09.04 (ხელმოწერა) (გვარი და სახელი).

5. იმ შემთხვევაში, თუ კალენდარული წლის განმავლობაში წარმოებული საქმეების რეგისტრაციისათვის ერთი ჟურნალი აღმოჩნდება არასაკმარისი, იხსნება ახალი ჟურნალი, რომელიც წარმოადგენს პირველის გაგრძელებას.

6. კალენდარული წლის ბოლოს აღრიცხვის ჟურნალში საბაჟო სამართალდარღვევის ყველა ოქმის და საბაჟო შეტყობინების რეგისტრაციის შემდეგ რეგიონალური საბაჟოს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის უფროსი აკეთებს ჩანაწერს რეგისტრირებული საქმეების საერთო რაოდენობის შესახებ.

7. აღრიცხვის ჟურნალი ინახება წარმოებაზე პასუხისმგებელ სტრუქტურულ ქვედანაყოფში მომდევნო ერთი წლის განმავლობაში. მითითებული ვადის გასვლის შემდეგ იგი აღწერით ბარდება არქივს. აღრიცხვის ჟურნალი არქივში ინახება 6 წლის განმავლობაში, რომლის შემდეგაც ნადგურდება სათანადო აქტის საფუძველზე.

8. აღრიცხვის ჟურნალის შენახვის პირობებმა უნდა უზრუნველყოს მისი დაცულობა.

9. აღრიცხვის ჟურნალი წარმოადგენს შიდა გამოყენების დოკუმენტს და იგი (ან მასში არსებული მონაცემები) არ შეიძლება გაიცეს მესამე პირებზე, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 22. საბაჟო სამართალდარღვევების საქმეთა რეგისტრაციის წესი

1. საბაჟო სამართალდარღვევის საქმის რეგისტრაციის საფუძველს წარმოადგენს საბაჟო სამართალდარღვევის ოქმი და/ან საბაჟო შეტყობინება, რომელთა მონაცემებიც აღრიცხვის ჟურნალში შეიტანება ამ ინსტრუქციით დადგენილი წესით მიხედვით.

2. აღრიცხვის ჟურნალში საბაჟო სამართალდარღვევების საქმეთა რეგისტრაციას და მონაცემების შეტანას ახორციელებს რეგიონალური საბაჟოს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის პასუხისმგებელი მუშაკი, რომელსაც უშუალოდ აქვს დაკისრებული აღრიცხვის ჟურნალში ჩანაწერების წარმოება.

3. საბაჟო სამართალდარღვევის ოქმები და საბაჟო შეტყობინებები აღრიცხვის ჟურნალში რეგისტრირდება არაუგვიანეს 24 საათისა მათი მიღების მომენტიდან.

4. საბაჟო სამართალდარღვევის ოქმი მისი შემდგენელი პირის მიერ, მარეგისტრირებელ სტრუქტურულ ერთეულს უნდა წარედგინოს ოქმის შედგენის დღიდან არაუგვიანეს 48 საათისა. რეგიონალური საბაჟოს სტრუქტურული ქვედანაყოფების თანამდებობის პირთა მიერ შედგენილი ოქმები და გამოცემული საბაჟო შეტყობინებები ექვემდებარება ჟურნალში აუცილებელ რეგისტრაციას სამი დღის ვადაში.

5. რეგიონალური საბაჟოს ადმინისტრაციული შენობის ადგილსამყოფელი ადმინისტრაციული პუნქტის ფარგლებს გარეთ მდებარე სტრუქტურული ერთეულების საჯარო მოხელეების მიერ შედგენილი ოქმების ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში მოწოდების შეუძლებლობისას, გამონაკლის შემთხვევაში, საქმეების რეგისტრაცია დასაშვებია ფაქსით, ტელეფონით ან სხვა საშუალებებით მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. ასეთ შემთხვევაში აღრიცხვის ჟურნალში იუსება, სულ ცოტა, 1_4, 7, 8, 9, 11, გრაფები. მონაცემები სხვა გრაფებში შეიტანება საქმის წარმოებისათვის აუცილებელი დოკუმენტების წარმოდგენის შემდეგ.

6. საბაჟო სამართალდარღვევათა ოქმები და საბაჟო შეტყობინებები აღრიცხვის ჟურ-

ნალში რეგისტრირდება მათში არსებული მონაცემების ჟურნალის შესაბამის გრაფებში შეტანისა და მათზე საქმის სარეგისტრაციო ნომრის დაფიქსირების გზით.

7. საქმის სარეგისტრაციო ნომერი შედგება ერთმანეთისაგან დეფისებით გამოყოფილი სამი ციფრობრივი მაჩვენებლისაგან, რომელთაგან:

ა) პირველი აღნიშნავს იმ რეგიონალური საბაჟოს ან მისი სტრუქტურული ერთეულის კოდს (საბაჟო დეკლარირების კლასიფიკატორის მიხედვით), სადაც დარეგისტრირდა ოქმი (დადგენილება);

ბ) მეორე _ რიგით ნომერს, აღრიცხვის ჟურნალის მიხედვით;

გ) მესამე _ მიმდინარე კალენდარულ წელს. (მაგალითი - 069000-361-2004.)

მუხლი 23. აღრიცხვის ჟურნალის შევსების წესი

1. აღრიცხვის ჟურნალის პირველ გრაფაში შეიტანება საქმის რიგითი ნომერი და რეგისტრაციის თარიღი.

2. მე-2 გრაფაში მიეთითება სამართალდარღვევის კვალიფიკაცია საქართველოს საბაჟო კოდექსის მიხედვით, შესაბამისი ნორმის (მუხლის, ნაწილის) მითითებით.

3. მე-3-6 გრაფებში მიეთითება მონაცემები სამართალდარღვევის ჩამდენი პირის შესახებ: ფიზიკური პირის შემთხვევაში – გვარი, სახელი, მისამართი, მოქალაქეობა, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის სახეობა და ნომერი, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში _ იურიდიული პირის დასახელება, მისამართი, უფლებამოსილი წარმომადგენლის სახელი, გვარი, თანამდებობა, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის სახეობა და ნომერი. აქვე მიეთითება საიდენტიფიკაციო ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

4. მე-7-12 გრაფებში მიეთითება მონაცემები საბაჟო სამართალდარღვევის ოქმის თაობაზე.

5. მე-13-20 გრაფებში მიეთითება მონაცემები საბაჟო სამართალდარღვევის საქმეზე გამოცემული საბაჟო შეტყობინების, შეფარდებული სანქციისა და სანქციის აღსრულების უზრუნველსაყოფად გამოყენებული ღონისძიების თაობაზე.

6. 21-ე გრაფაში მიეთითება მონაცემები საქმესთან დაკავშირებული საჩივრების თაობაზე (საჩივრის საგანი, საჩივრის შეტანის თარიღი და მისი განხილვის შედეგი).

7. 22-29-ე გრაფებში მიეთითება მონაცემები საბაჟო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების თაობაზე, კონკრეტული ღონისძიებისათვის გამოყოფილ გრაფაში მისი გამოყენების თარიღის დაფიქსირებით.

8. 30-ე გრაფაში ფიქსირდება მონაცემები სანქციის აღსრულების თაობაზე: ჯარიმის გადახდის ან/და საბაჟო სამართალდარღვევის საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების უსასყიდლოდ ჩამორთმევის შესახებ. ხოლო საბაჟო კოდექსის 235-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში (როცა დადგენილ ვადაში ვერ მოხერხდა სამართალდარღვევის სუბიექტის დადგენა ან მისი იდენტიფიკაცია)_ მონაცემები გამოცემული აქტის და საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების უსასყიდლოდ ჩამორთმევის შესახებ.

9. 31-ე გრაფა იესება იმ შემთხვევაში, თუ საქმის განხილვისას გამოიკვეთა დანაშაულის ნიშნები და მასში შეიტანება მონაცემები საქმის მასალების სათანადო ორგანოსათვის გადაცემის თაობაზე, შესაბამისი ორგანოს დასახელება და გადაცემის თარიღი.

10. 32-ე გრაფაში შეიტანება დამატებითი მონაცემები (თუ ასეთი არსებობს), რომლებიც არ არის შეტანილი 1-31 გრაფებში, მაგრამ აქვს გარკვეული მნიშვნელობა საბაჟო სამართალდარღვევების საქმეების აღრიცხვისა და რეგისტრაციისათვის.

თავი VIII. ზედამხედველობა საბაჟო სამართალდარღვევათა საქმეების წარმოებაზე

მუხლი 24. ზედამხედველობა საბაჟო სამართალდარღვევათა საქმეების წარმოებაზე

1. შემოსავლების სამსახურის სისტემაში საბაჟო სამართალდარღვევათა საქმეების წარმოებას ზედამხედველობს შესაბამისი სტრუქტურული ერთეული, რომლის კომპეტენციაც განისაზღვრება შემოსავლების სამსახურის დებულებით. (23.04.2007 N407)

2. საბაჟო სამართალდარღვევათა საქმეების წარმოებაზე ზედამხედველობა ..... ხორციელდება შემდეგი ფორმით: (23.04.2007 N407)

ა) საბაჟო სამართალდარღვევათა საქმეების შერჩევითი შესწავლა, საქმეების მწარმოებელი სტრუქტურულიერთეულების ან/და სახელმწიფო მოხელეების ქმედების (მოქმედების ან უმოქმედობის) კანონიერების შემოწმების მიზნით და შემოსავლების სამსახურის ხელმძღვანელობისათვის შესაბამისი რეკომენდაციების წარდგენა;

ბ) საბაჟო სამართალდარღვევის საქმის მწარმოებელ სტრუქტურულ ერთეულზე ან/და სახელმწიფო მოხელეზე შემოსული საჩივრების განხილვა;

გ) საბაჟო სამართალდარღვევათა საქმეების რეგისტრაციისა და აღრიცხვის ჟურნალის წარმოების მდგომარეობის პერიოდული შემოწმება.

3. აუცილებელ შემთხვევაში, საბაჟო ორგანოს შესაბამისი სამსახური უფლებამოსილია, დამოუკიდებლად აწარმოოს საბაჟო სამართალდარღვევის საქმე, აგრეთვე გამოითხოვოს ის რეგიონალური საბაჟოდან და დამოუკიდებლად აწარმოოს იგი.

დანართი N 2
(23.04.2007 N407)

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური

საბაჟო სამართალდარღვევის
ოქმი N 000000 სერია ---რსა

1. _____
2. _____

შედგენის თარიღი(რიცხვი, თვე,წელი) შედგენის ადგილი, საბაჟო ორგანოს დასახელება და კოდი (არსებობის შემთხვევაში)

3. _____
4. _____

ოქმის შემდგენის თანამდებობა, სახელი იმ პირის თანამდებობა, სახელი და გვარი, რომელმაც
და გვარი გამოაელინა სამართალდარღვევა

5. მონაცემები სამარათალდმრღვევის შესახებ:_____

ფიზიკური პირის შემთხვევაში: მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის (პასპორტის)

_____

რეკვიზიტები (მათ შორის პირადი ნომერი), სახელი და გვარი, მისამართი (რეგისტრაციის და სხვა),

_____

დაბადების თარიღი; იურიდიული პირის შემთხვევაში: დასახელება, მისამართი, საიდენტიფიკაციო

_____

ნომერი, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი და თანამდებობა.

6. სამართალდარღვევის ადგილი, დრო და შინაარსი (მათ შორის არსებითი ფაქტები და გარემოებები):

_____

_____

_____

7. საბაჟო კოდექსი მუხლი (მუხლის ნაწილი), რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ამ სამართალდარღვევისათვის:

_____

8. _____

მოწმის ან საქმისწარმოების სხვა მონაწილის მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი

_____

მოწმობის (პასპორტის) რეკვიზიტები (მათ შორის პირადი ნომერი), მისამართი (რეგისტრაციის და სხვა),

_____

სახელი და გვარი

9. სამართალდამრღვევის ახსნა-განმარტებები: _____

ახსნა-განმარტების არსებობის შემთხვევაში მიეთითება

_____

მისი რეკვიზიტები, ფურცლების რაოდენობა და იმ პირის თანამდებობა, სახელი და გვარი, რომელმაც

_____

ჩამოართვა ახსნა-განმარტება

10. საქმის წარმოების ან/და სანქციის აღსრულების უზრუნველსაყოფად გამოყენებული ღონისძიებები:

_____

ასეთის გამოყენების შემთხვევაში მიეთითება ღონისძიების დასახელება და ოქმის რეკვიზიტები

11. შეფარდებულია სანქცია ჯარიმის სახით: _____

ჯარიმის თანხა ციფრებით და სიტყვიერად

12. ჯარიმის გადახდის ვადა, ადგილი და წესი _____

_____

ოქმის შემდგენი _____ მოწმე ან სხვა მონაწილე _____

ხელმოწერა ხელმოწერა და სტატუსი

დამრღვევის ხელმოწერა (თუ იგი ესწრება ოქმის შედგენას და სადავოდ არ ხდის მის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტს) _____

დამრღვევის ხელმოწერა ოქმის ჩაბარებაზე (თუ იგი ესწრება ოქმის შედგენას) ან/და ოქმის ერთი პირის გადაცემაზე _____

ოქმის ჩაბარებაზე უარის აღნიშვნა _____

13. შენიშვნა _____

ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში თქვენ მიმართ გამოყენებული იქნება საგადასახადო კოდექსის XI თავით გათვალისწინებული ღონისძიებები.

ამ ოქმის გასაჩივრება შესაძლებელია საბაჟო კოდექსის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, IX კარით დადგენილი წესით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში ან სასამართლოში.

დანართი N 2ა
(23.04.2007 N407)

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური

საბაჟო სამართალდარღვევის ოქმი N 000000 სერია ---რსდ

1. _____
2. _____

შედგენის თარიღი(რიცხვი, თვე,წელი) შედგენის ადგილი, საბაჟო ორგანოს დასახელება და კოდი (არსებობის შემთხვევაში)

3. _____
4. _____

ოქმის შემდგენის თანამდებობა, სახელი იმ პირის თანამდებობა, სახელი და გვარი, რომელმაც გამოავლინა სამართალდარღვევა

5. მონაცემები სამარათალდამრღვევის შესახებ:_____
ფიზიკური პირის შემთხვევაში:მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის (პასპორტის)

_____

რეკვიზიტები (მათ შორის პირადი ნომერი), სახელი და გვარი, მისამართი (რეგისტრაციის და სხვა),

_____

დაბადების თარიღი; იურიდიული პირის შემთხვევაში: დასახელება, მისამართი, საიდენტიფიკაციო

_____

ნომერი, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი და თანამდებობა.

6. სამართალდარღვევის ადგილი, დრო და შინაარსი (მათ შორის არსებითი ფაქტები და გარემოებები):

_____
_____
_____

7. საბაჟო კოდექსი მუხლი (მუხლის ნაწილი), რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ამ სამართალდარღვევისათვის:

_____

8. _____

მოწმის ან საქმისწარმოების სხვა მონაწილის მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი

მოწმობის (პასპორტის) რეკვიზიტები (მათ შორის პირადი ნომერი), მისამართი (რეგისტრაციის და სხვა),

სახელი და გვარი

9. სამართალდამრღვევის ახასნა-განმარტებები: _____
ახსნა-განმარტების არსებობის შემთხვევაში მიეთითება

მისი რეკვიზიტები, ფურცლების რაოდენობა და იმ პირის თანამდებობა, სახელი და გვარი,

რომელმაც ჩამოართვა ახსნა-განმარტება

10. საქმის წარმოების ან/და სანქციის აღსრულების უზრუნველსაყოფად გამოყენებული ღონისძიებები:

ასეთის გამოყენების შემთხვევაში მიეთითება ღონისძიების დასახელება და ოქმის რეკვიზიტები

11. შეფარდებულია სანქცია ჯარიმის სახით: _____
ჯარიმის თანხა ციფრებით და სიტყვიერად

12. ჯარიმის გადახდის ვადა, ადგილი და წესი _____

ოქმის შემდგენი _____ მოწმე ან სხვა მონაწილე _____
ხელმოწერა ხელმოწერა და სტატუსი

დამრღვევის ხელმოწერა (თუ იგი ესწრება ოქმის შედგენას და სადავოდ არ ხდის მის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტს) _____

დამრღვევის ხელმოწერა ოქმის ჩაბარებაზე (თუ იგი ესწრება ოქმის შედგენას) ან/და ოქმის ერთი პირის გადაცემაზე _____

ოქმის ჩაბარებაზე უარის აღნიშვნა _____

13. შენიშვნა _____

ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში თქვენ მიმართ გამოყენებული იქნება საგადასახადო კოდექსის XI თავით გათვალისწინებული ღონისძიებები.
ამ ოქმის გასაჩივრება შესაძლებელია საბაჟო კოდექსის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, IX კარით დადგენილი წესით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში ან სასამართლოში.

საბაჟო სამართალდარღვევათა ოქმის ფორმების აღრიცხვის ჟურნალის შიდა ფურცელი

N	გაცემის თარიღი	ოქმის ნომერი	ოქმის გამცემი				ოქმის მიმღები				გამოყენებული ოქმები				
			გვარი	სახელი	თანამდებობა	ხელმოწერა	გვარი	სახელი	თანამდებობა	ხელმოწერა	ოქმის ნომერი	გვარი	სახელი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16

დაბრუნებული (გაუქმებული ან უვარგისი) ოქმები						შენიშვნა
დაბრუნების თარიღი	ჩამოწერის აქტის ნომერი	ოქმის ნომერი	გვარი	სახელი	თანამდებობა	
17	18	19	20	21	22	23

დანართი N 4
(16.07.2007 N 887)

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს
შემოსავლების სამსახური

საბაჟო შეტყობინება N _____

"_____" _____ 200__ წ.
რიცხვი თვე

1. _____
(საბაჟო ორგანოს დასახელება, მისამართი, უფლებამოსილი მოხელის თანამდებობა, სახელი და გვარი)

_____

2. საქართველოს საბაჟო კოდექსის _____ მუხლით გათვალისწინებული
დარღვევისათვის, რაც გამოიხატა _____

_____
(დარღვევის დრო, ადგილი და არსი)

_____

_____

_____

3. ჩადენილია სამართალდარღვევის _____
ფიზიკური პირის შემთხვევაში:მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის (პასპორტის)

_____
რეკვიზიტები (მათ შორის პირადი ნომერი), სახელი და გვარი, მისამართი (რეგისტრაციის და სხვა),

_____
დაბადების თარიღი; იურიდიული პირის შემთხვევაში: დასახელება, მისამართი, საიდენტიფიკაციო

_____
ნომერი, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის სახელი და გვარი, თანამდებობა.

4. საბაჟო სამართალდარღვევის ოქმის N, მისი შედგენის თარიღი და ადგილი_____

_____

5. საქმის განხილვისას დადგინდა შემდეგი გარემოებები: _____

_____

_____

6. შეფარდებულია სანქცია:
ა) ჯარიმა _____
ჯარიმის თანხა ციფრებით და სიტყვებით
ბ) უსასყიდლოდ ჩამორთმევა _____
საბაჟო სამართალდარღვევის საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების დასახელება

_____

დანართი №5

საბაჟო სამართალდარღვევათა საქმეების აღრიცხვის ჟურნალის შიდა ფურცლის ფორმა

საქმის №	სამართალდარღვევის კვალიფიკაცია საქართველოს საბაჟო კოდექსის მიხედვით	მონაცემები სამართალდამრღვევი პირის შესახებ				მონაცემები საბაჟო სამართალდარღვევის ობიექტის შესახებ					
		გვარი, სახელი, დასახელება	მისამართი	საიდენტიფიკაციო №	მოქალაქეობა, პასპორტის სახეობა, № პირადი №	№	შედგენის თარიღი	შედგენის ადგილისა და შემდგენის დასახელება	საქმის წარმოების უზრუნველსაყოფად გამოყენებული ღონისძიების სახე	შეფარდებული სანქცია	სანქციის აღსრულების უზრუნველყოფა
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12

მონაცემები საბაჟო შეტყობინების შესახებ								გასაჩივრების საბ და თარიღი, მისი განხილვის შედეგი	საბაჟო ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების თარიღი						
№	გამოცემის თარიღი	გამომტანი პირის თანამდებობა, გვარი, სახელი	შეფარდებული სანქცია	დარიცხული ჯარიმის თანხა	სანქციის აღსრულების უზრუნველყოფა	გაგზავნის (გაგზავნის) თარიღი	შეტყობინების შესრულების ვადა		იპოთეკა/გირაუნობა	მესამე პირის მფლობელობაში არსებულ ქონებაზე	ყადაღა	ყადაღადადებული ქონების რეალიზაცია ინკასო გადამხდელის ხელმოდან ნაღდი ფულის ამოღება		
13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27

		საბოლოო შედეგი (მონაცემები თანხის გადახდის შესახებ ან შეტყობინებაზე მიღებული სხვა გადაწყვეტილება)	თუ გამოიკვეთა დანაშაულის ნიშნები	შენიშვნა
საბანკო გარანტია	დეპოზიტი			
28	29	30	31	32

_____

საბაჟო ორგანოს დასახელება

საბაჟო სამართალდარღვევათა საქმეების აღრიცხვის ჟურნალი

200___ წლისათვის

საქმეები N _____-დან N_____-მდე

დაწყებულია "_____"_____200__წ.

დასრულებულია "_____"_____200__წ.

დანართი N7

წინამდებარე აღრიცხვის ჟურნალში დადგენილი წესით აკინძული, გადანომრილი და ბეჭდით დამოწმებულია _____ ფურცელი

_____

უფლებამოსილი პირის ვინაობა

_____

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

"____" _____ 200__ წ.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №1762

2006 წლის 20 დეკემბერი ქ. თბილისი

საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმის გამოყენების წესების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბაჟო კოდექსის 133-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის N39 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის "ლ" ქვეპუნქტის საფუძველზე, ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს ინსტრუქცია "საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმის გამოყენების წესების შესახებ".

2. ბრძანება ამოქმედდეს 2007 წლის 1 იანვრიდან.

ა. ალექსიშვილი

ინსტრუქცია
საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმის გამოყენების წესების შესახებ

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმი ნიშნავს, საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ დროებით გატანილი საქართველოს საქონლის მიმართ გამოყენებულ იქნეს საქონლის გადამუშავების ერთი ან ერთზე მეტი ოპერაცია და გადამუშავების პროდუქტის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას გაშვებულ იქნეს თავისუფალ მიმოქცევაში იმპორტის გადასახდელების (გარდა საბაჟო მოსაკრებლისა) გადახდისაგან სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლებით.

2. საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქართველოს საქონლის დროებითი გატანისას გადაიხდევინება ექსპორტის გადასახდელები და ტარდება სავაჭრო პოლიტიკის ღონისძიებები, ასევე ხორციელდება ის საბაჟო პროცედურები, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საქართველოს საქონლის ექსპორტისას.

3. საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში შეიძლება მოექცეს აგრეთვე უცხოური საქონელი საქართველოს საბაჟო კოდექსის 123-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

4. საბაჟო ტერიტორიის გარეთ გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოსაქცევი საქონლის საბაჟო პროცედურები განისაზღვრება ექსპორტის საბაჟო რეჟიმის შესაბამისად.

მუხლი 2. საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმის დროს გათვალის-წინებული საბაჟო პროცედურები

1. საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმისათვის განკუთვნილი საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანის დროს საბაჟო დამუშავების ოპერაციის განხორციელების ადგილზე (საბაჟო ორგანოში) დადგენილი წესის შესაბამისად ხორციელდება შემდეგი საბაჟო პროცედურები:

ა) საქონლის წარდგენა;

ბ) სატვირთო საბაჟო დეკლარაციის წარდგენა;

გ) „საბაჟო კონტროლის ქვეშ მყოფი საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობის" (შემდგომში – მოწმობა) გამოწერა.

2. საბაჟო ორგანოს გადაწყვეტილებით, საქონლისა ან/და სატვირთო საბაჟო დეკლარაციის წარდგენის შემდეგ სასაზღვრო საბაჟო ორგანოში შეიძლება განხორციელდეს საქონლის დათვალიერება, სინჯების და ნიმუშების აღება და საიდენტიფიკაციო ნიშნების დადება საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 3. საქონლის წარდგენა საბაჟო დამუშავების ოპერაციის განხორციელების ადგილზე

საბაჟო ორგანოში საქონლის წარდგენა ხდება საბაჟო კონტროლის ზონაში საქონლის ფაქტობრივი განთავსებით.

მუხლი 4. სატვირთო საბაჟო დეკლარაციის წარდგენა

1. დეკლარაციის წარდგენა ხდება საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრულ იმ საბაჟო ორგანოში, სადაც წარმოებს საქონლის საბაჟო დამუშავების ოპერაცია.

2. დეკლარაცია წარდგენილ უნდა იქნეს საქონლის წარდგენიდან 2 სამუშაო დღის განმავლობაში.

3. დეკლარაციას აცხებს დეკლარანტი.

4. სატვირთო საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაცია ხორციელდება დამუშავების საბაჟო ორგანოში საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად.

5. დეკლარანტის მიერ სატვირთო საბაჟო დეკლარაციის შეცვლა ხორციელდება საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად.

6. სატვირთო საბაჟო დეკლარაციასთან ერთად საბაჟო დამუშავების ოპერაციის ადგილზე დეკლარანტის მიერ ქვემოთჩამოთვლილი დოკუმენტებიდან წარდგენილი უნდა იქნეს საქონლისა და მისი გადაადგილების, სატრანსპორტო საშუალების სახეობის და კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა პირობებიდან გამომდინარე საჭირო დოკუმენტები:

ა) კონტრაქტი;
ბ) ინვოისი;
გ) სატრანსპორტო ზედდებული;
დ) კონოსამენტი;
ე) მანიფესტი;
ვ) TIR-კარნეტის დოკუმენტი;
ზ) ერთჯერადი ან გენერალური მინდობილობა ან ხელშეკ-რუ-ლება;
თ) გამოსავლიანობის ნორმის დამადასტურებელი დოკუმენტი;
ი) სერტიფიკატები:
ი.ა) საქონლის წარმოშობის სერტიფიკატი;
ი.ბ) საქონლის უსაფრთხოების სერტიფიკატი;
ი.გ) ფიტო-სანიტარული სერტიფიკატი;
ი.დ) ვეტერინარული სერტიფიკატი;
ი.ე) სანიტარული-ჰიგიენური სერთიფიკატი;
ი.ე) ფუმიგაციისა და დეზინფექციის სერტიფიკატი;
კ) საქონლის სპეციფიკაცია;
ლ) საბაჟო გადასახდელების გადახდის დამადასტურებელი დო-კუ-მენტი;
მ) გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი (კოდი);
ნ) ექსპერტიზის აქტი;
ო) საქონლის დათვალიერების აქტი;
პ) საქონლის სინჯის (ნიმუშის) აღების აქტი (ოქმი);

ჟ) ჯარიმის გადახდის დოკუმენტი;

რ) საბაჟო სამართალდარღვევის ოქმი;

ს) ავტოსატრანსპორტო საშუალების ტექნიკური პასპორტი;

ტ) საქონლისა და/ან სატრანსპორტო საშუალების საბაჟო კონ-ტროლის ქვეშ დროებითი შენახვის განაცხადი.

უ) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტები.

7. თუ დეკლარანტის მიზეზით შეუძლებელია დადგენილ ვადაში (საქონლ-ის წარდგენიდან 2 სამუშაო დღე) საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების სატვირთო საბაჟო დეკლარაციის წარდგენა ან არ იქნება გადახდილი შესაბამისი გადასახდელები, ან საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში გაშვებული საქონელი 3 სამუშაო დღის ვადაში არ იქნება გატანილი საბაჟო კონტროლის ზონიდან, მაშინ, საბაჟო ორგანო წერილობით აცნობებს დეკლარანტს საქონლის განკარგვის შესახებ თავისი განზრახვის თაობაზე და ადგენს ამ პუნქტში აღნიშნული ნაკლოვანებების აღმოფხვრის ვადას, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 30 კალენდარულ დღეს. დადგენილ ვადაში დეკლარანტის მიერ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ან საქართველოს საბაჟო კოდექსის 72-ე მუხლის მე-2 ნაწილის ,,ა'' ქვეპუნქტის შესაბამისად, დეკლარაციის ბათილად ცნობის შემთხვევაში საბაჟო ორგანო არ ახორციელებს საქონლის განკარგვას.

8. საბაჟო დამუშავების ოპერაციის ადგილზე, არასამუშაო დროს, საბაჟო დეკლარაცია წარედგინება დეკლარანტის წერილობითი განცხადების საფუძველზე მისივე ხარჯებით, საბაჟო ორგანოსთან შეთანხმებით.

მუხლი 5. საქონლის საბაჟო დათვალიერება, სინჯის ან/და ნი-მუშის აღება საბაჟო დამუშავების ოპერაციის ადგილებში

საბაჟო ორგანოს გადაწყვეტილებით საბაჟო დამუშავების ოპერაციის ადგი-ლას შეიძლება განხორციელდეს საქონლის დათვალიერება, სინჯების და ნიმუშების აღება საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 6. საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმის გამოყენების შეზღუდვის პირობები

1. საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმი არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს საქართველოს საქონლის მიმართ, თუ:

ა) მისი გატანა გამოიწვევს მასზე გადახდილი საბაჟო ტარიფის დაბრუნებას ან ჩათვლას;

ბ) იგი გატანამდე მიზნობრივი დანიშნულებით და იმპორტის გადასახდელებზე შეღავათების გამოყენებით თავისუფალ მიმოქცევაში იყო გაშვებული და ასეთი შეღავათების გამოყენების პირობა ძალაშია.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის "ბ" ქვეპუნქტში აღნიშნული შემთხვევისაგან გამონაკლისს განსაზღვრავს საქართველოს ფინანსთა მინისტრი შესაბამისი ბრძანებით.

მუხლი 7. საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმის გამოყენების პირობები

საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმის გამოყენების პირობებია:

ა) გადამუშავების პროდუქტში საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოსაქცევი საქონლის იდენტიფიკაციის შესაძლებლობა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხდება გადამუშავების პროდუქტის შეცვლა უცხოური საქონლით;

ბ) დეკლარანტის მიერ დასაბუთებული მონაცემების წარდგენა:

ბ.ა) იმ პირის შესახებ, რომელიც უშუალოდ ახორციელებს საქონლის გადამუშავების ოპერაციებს;

ბ.ბ) საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოსაქცევი საქონლის, მისი გადამუშავების პროდუქტის, ნაშთებისა და ნარჩენების აღწერილობის, ხარისხისა და რაოდენობის შესახებ;

ბ.გ) საქონლის გადამუშავების ოპერაციების, მათი განხორციელების ვადებისა და საშუალებების შესახებ;

ბ.დ) გადამუშავების პროდუქტში საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოსაქცევი საქონლის იდენტიფიკაციის საშუალებების შესახებ;

ბ.ე) საქონლის გადამუშავების ვადების შესახებ;

ბ.ვ) გადამუშავების პროდუქტის გამოსავლიანობის ნორმის შესახებ;

ბ.ზ) გადამუშავების პროდუქტის უცხოური საქონლით შეცვლის შესახებ;

გ) დეკლარანტის მიერ საგადასახადო ან/და საბაჟო დავალიანების არქონა.

მუხლი 8. საქონლის იდენტიფიკაცია გადამუშავების პროდუქტებში

1. საქონლისა და განხორციელებული გადამუშავების ოპერაციების გათვალისწინებით გადამუშავების პროდუქტებისა და გატანილი საქონლის იდენტიფიკაციისათვის დეკლარანტმა შესაძლებელია გამოიყენოს შემდეგი საშუალებები:

ა) საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოსაქცევი საქონლის მონიშვნა შტამპით, ციფრული ან სხვაგვარი მარკირებით;

ბ) საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოსაქცევი საქონლის დაწვრილებითი აღწერა, მისი ფოტოგადაღება, მასშტაბურად გამოსახვა;

გ) საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოსაქცევი საქონლისა და მისი გადამუშავების პროდუქტის სინჯის ან/და ნიმუშის გამოკვლევის ან ანალიზის შედეგების შედარება;

დ) საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოსაქცევ საქონელზე მწარმოებლის მიერ დატანილი სერიული ნომრები ან სხვა მარკირება;

ე) დოკუმენტები, რომლებითაც დასტურდება საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმით გატანილ საქონელზე განხორციელებული გადამუშავების ოპერაციები;

ვ) იდენტიფიკაციის სხვა საშუალებები, რომლებიც ითვალისწინებს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას.

2. გადამუშავების პროდუქტებში საქონლის იდენტიფიკაციისათვის საბაჟო ორგანო უფლებამოსილია, აირჩიოს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული და მისთვის მისაღები საშუალებები.

3. დეკლარანტის მოთხოვნითა და საბაჟო ორგანოს თანხმობით, საქონლის იდენტიფიკაცია შესაძლებელია უზრუნველყოფილ იქნეს საქონლის გადამუშავების ოპერაციაში გამოყენებული ნედლეულის, მასალებისა და მაკომპლექტებლების, აგრეთვე გადამუშავების პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიის შესახებ წარდგენილი დეტალური მონაცემების გამოკვლევით ან საქონლის გადამუშავების ოპერაციაზე საბაჟო კონტროლის განხორციელებით.

მუხლი 9. საქონლის გადამუშავების ვადები

1. საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმის გამოყენებისას დეკლარანტი საქონლის გადამუშავების ვადას განსაზღვრავს საბაჟო ორგანოსთან შეთანხმებით და იგი არ უნდა აღემატებოდეს 2 წელს.

2. საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების ვადა განისაზღვრება გადამუშავების პროცესის ხანგრძლივობისა და იმ დროის გათვალისწინებით, რომელიც საჭიროა გადამუშავების პროდუქტის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოსატანად.

3. დეკლარანტის მოტივირებული განცხადების საფუძველზე წინასწარ განსაზღვრული ვადა შესაძლებელია გაგრძელდეს ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ვადის ფარგლებში.

4. საქონლის გადამუშავების ვადა აითვლება საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში საქონლის მოქცევის დღიდან, ხოლო საქონლის ცალკეულ სასაქონლო პარტიებად გატანისას – ამ საბაჟო რეჟიმში საქონლის პირველი პარტიის მოქცევის დღიდან.

5. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო უფლებამოსილია, საქონლის გადამუშავებასთან დაკავშირებული განსაზღვრული მოქმედებისათვის ან ცალკეული საქონლის გადამუშავებისათვის დაადგინოს კონკრეტული ვადები.

მუხლი 10. გამოსაყალიანობის ნორმა და მისი გაანგარიშების მეთოდის განსაზღვრა

1. საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმის გამოყენებისათვის დეკლარანტი საბაჟო ორგანოსთან შეთანხმებით განსაზღვრავს გამოსაყალიანობის ნორმას და საჭიროებისამებრ მისი გაანგარიშების მეთოდს იმ ფაქტობრივი პირობებიდან გამომდინარე, რომლებშიც ხორციელდება საქონლის გადამუშავება, გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

2. დეკლარანტთან გადამუშავების პროდუქტის გამოსაყალიანობის ნორმის შეთანხმებისას საბაჟო ორგანო ითვალისწინებს საექსპერტო ორგანიზაციების (მათ შორის, საბაჟო ლაბორატორიების) დასკვნებს, რომლებიც ეფუძნება საქონლის გადამუშავების კონკრეტულ ტექნოლოგიურ პროცესს.

3. თუ საქონლის გადამუშავების ოპერაციას აქვს მუდმივი მახასიათებლები და იგი ხორციელდება განსაზღვრული ტექნიკური პირობების დაცვით, რომლის შედეგადაც იწარმოება იმავე ხარისხის გადამუშავების პროდუქტი, საქართველოს მთავრობის უფლებამოსილი, კომპეტენტური ორგანოები საბაჟო მიზნებიდან გამომდინარე ადგენენ გადამუშავების პროდუქტის გამოსაყალიანობის სტანდარტულ ნორმებს.

მუხლი 11. იმპორტის გადასახდელების გადახდისაგან სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლების პირობები

1. იმპორტის გადასახდელების (გარდა საბაჟო მოსაკრებლისა) გადახდისაგან სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმის გამოყენებისას შემოტანილი გადამუშავების პროდუქტი დეკლარირებულია თავისუფალ მიმოქცევაში გასაშვებად:

ა) საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მომქცევე დეკლარანტის მიერ;

ბ) ნებისმიერი რეზიდენტის მიერ, თუ მას თანხმობა მისცა საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მომქცევემა დეკლარანტმა, და საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმის გამოყენების პირობები შესრულებულია.

2. საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმის გამოყენებისას შემოტანილი გადამუშავების პროდუქტი იმპორტის გადასახდელების გადახდისაგან სრულად ან ნაწილობრივ არ თავისუფლდება, თუ არ შესრულდა საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმთან დაკავშირებული ყველა პირობა ან ვალდებულება.

მუხლი 12. გადამუშავების პროდუქტის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზეშემოტანისას საბაჟო ვალდებულების განსაზღვრა

1. თუ საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოქ-

ცეული საქონლის გადამუშავების შედეგად მიღებული გადამუშავების პროდუქტის იმპორტის გადასახდელების გადახდისაგან სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლებით საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას წარმოიშვა საბაჟო ვალდებულება (გარდა საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონლის უსასყიდლოდ გადამუშავებისა), გადასახდელი თანხა განისაზღვრება საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონლის საბაჟო ღირებულებისა და გადამუშავების პროდუქტების საბაჟო ღირებულების სხვაობის საფუძველზე გადასახდელი იმპორტის გადასახდელების თანხის ოდენობით.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული გადასახდელი თანხის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნეს საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონლის და მისგან მიღებული გადამუშავების პროდუქტის სახეობა და რაოდენობა, აგრეთვე გადამუშავების პროდუქტის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების საბაჟო დეკლარაციის დღეს მოქმედი იმპორტის გადასახდელების განაკვეთები.

მუხლი 13. საბაჟო ტერიტორიის გარეთ გადამუშავების შედეგად მიღებული გადამუშავების პროდუქტების საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანის დროს გათვალისწინებული პროცედურები

საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე (გამშვებ პუნქტზე) გადამუშავების პროდუქტების შემოტანის დროს კანონმდებლობისა და დადგენილი წესის შესაბამისად ხორციელდება შემდეგი საბაჟო პროცედურები:

ა) საქონლის წარდგენა;

ბ) ზოგადი დეკლარირება;

გ) ფიტო და ვეტერინალურ სანიტარული კონტროლი;

დ) გარანტიის წარდგენა;

ე) "საბაჟო კონტროლის ქვეშ მყოფი საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობის" გამოწერა;

ვ) ცალკეულ შემთხვევებში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა ღონისძიებები.

მუხლი 14. საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონლის უსასყიდლოდ გადამუშავება

1. თუ დეკლარანტი დაადასტურებს, რომ საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონლის გადამუშავება განხორციელდა უსასყიდლოდ (კონტრაქტის ან საგარანტიო ვალდებულებების საფუძველზე, ასევე საწარმოო დეფექტის გამო), მაშინ გადამუშავების პროდუქტის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას იგი თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებული უნდა იქნეს იმპორტის გადასახდელების გადახდისაგან სრულად გათავისუფლებით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული შეღავათი არ ვრცელდება გადამუშავების პროდუქტის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას, თუ საქონლის საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოქცევამდე საწარმოო დეფექტი გათვალისწინებული იყო მისი თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისას.

მუხლი 15. საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონლის გადამუშავება კომპენსაციის გადახდით

თუ საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონლის გადამუშავება ხორციელდება შესაბამისი კომპენსაციის გადახდით, გადამუშავების პროდუქტის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას იგი თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებული უნდა იქნეს იმპორტის გადასახდელების გადახდისაგან ნაწილობრივ გათავისუფ-

ლებით. ასეთ შემთხვევაში საბაჟო ვალდებულება განისაზღვრება ამ ინსტრუქციის მე-8 მუხლის შესაბამისად.

მუხლი 16. სტანდარტული გაცვლის სისტემა

1. ამ ინსტრუქციის 12-14 მუხლების გამოყენებისას სტანდარტული გაცვლის სისტემა საშუალებას იძლევა, საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონლის გადამუშავების შედეგად მისაღები გადამუშავების პროდუქტი შეიცვალოს უცხოური საქონლით (შემდგომში – შემცვლელი პროდუქტი).

2. საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმის გამოყენებისას დეკლარანტის მოტივირებული განცხადების საფუძველზე საბაჟო ორგანო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება სტანდარტული გაცვლის სისტემის გამოყენების შესახებ.

3. საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმის გამოყენებისას დეკლარანტის მოტივირებული განცხადების საფუძველზე საბაჟო ორგანო უფლებამოსილია საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონლის გადასამუშავებლად გატანამდე მიიღოს გადაწყვეტილება შემცვლელი პროდუქტის შემოტანაზე (შემდგომში – წინასწარ შემოტანა).

4. საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონლის გადამუშავების შედეგად მისაღებ გადამუშავების პროდუქტთან დაკავშირებული, ამ ინსტრუქციით გათვალისწინებული დებულე-ბები ვრცელდება აგრეთვე შემცვლელ პროდუქტზე.

მუხლი 17. შემცვლელი პროდუქტის სტანდარტული გაცვლის სისტემის გამოყენების პირობები

1. შემცვლელ პროდუქტს უნდა ჰქონდეს ისეთივე საქონლის კოდი, ხარისხი და ტექნიკური მაჩვენებლები, როგორიც ექნებოდა საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონლის გადამუშავების შედეგად მიღებულ გადამუშავების პროდუქტს.

2. შემცვლელი პროდუქტის სტანდარტული გაცვლის სისტემის გამოყენება ნებადართულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დეკლარანტი საბაჟო ორგანოს დაუდასტურებს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებას.

მუხლი 18. შემცვლელი პროდუქტის წინასწარ შემოტანისას გარანტიის წარდგენა და საქონლის გატანის ვადები

1. შემცვლელი პროდუქტის წინასწარ შემოტანიდან (თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებიდან) საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანამდე დეკლარანტმა უნდა განახორციელოს საგარანტიო უზრუნველყოფა იმპორტის გადასახდელების თანხის იმ ოდენობით, რომელიც გადაიხდეინებოდა საქონლის (შემცვლელი პროდუქტის) თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების დღეს. ამ შემთხვევაში საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანის ვადა, რომელიც აითვლება საბაჟო ორგანოს მიერ შემცვლელი პროდუქტის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღიდან, არ უნდა აღემატებოდეს 2 თვეს.

2. დეკლარანტის დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე საბაჟო ორგანო უფლებამოსილია საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმის ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული ვადა გააგრძელოს 1 თვით.

მუხლი 19. შემცველი ბროდუქტის წინასწარ შემოტანისას იმპორტის გადასახდელების გაანგარიშება

თუ ამ ინსტრუქციის მე-10 მუხლით სხვა რამ არ არის დადგენილი შემცველი პროდუქტის წინასწარ შემოტანისას საბაჟო ვალდებულება წარმოიშობა:

ა) საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან დადგენილ ვადებში გატანისას და გადასახდელი იმპორტის გადასახდელები გაიანგარიშება ამ ინსტრუქციის მე-8 მუხლის შესაბამისად;

ბ) საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმის დარღვევისას და გადასახდელი იმპორტის გადასახდელები გაიანგარიშება შემცველი პროდუქტის სახეობის, რაოდენობისა და საბაჟო ღირებულების გათვალისწინებით, მისი თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღეს მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის დებულებათა შესაბამისად.

მუხლი 20. საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმის შეცვლა საქონლის სხვა საბაჟო დამუშავების ოპერაციით

დეკლარანტს შეუძლია საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონელი მოტივირებული განცხადების საფუძველზე შეცვალოს დამუშავების შემდეგი ოპერაციებით:

ა) საქონლის საბაჟო ტერიტორიაზე გადამუშავება;

ბ) საქონლის განთავსება თავისუფალ ზონასა და თავისუფალ საწყობში.

მუხლი 21. საბაჟო კონტროლის ქვეშ მყოფი საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობის გამოწერა (8.02.2007 N100)

ამ ინსტრუქციის მე-4 მუხლში მითითებული დოკუმენტების საფუძველზე საბაჟო დამუშავების ოპერაციის განმახორციელებელი საბაჟო ორგანოს მიერ ხდება მოწმობის გამოწერა "საბაჟო კონტროლის ქვეშ მყოფი საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობის შევსების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 20 დეკემბრის N1764 ბრძანების შესაბამისად.

მუხლი 22. საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიის შესაბამის ადგილამდე მიტანის ვადა და მარშრუტი

1. საბაჟო დამუშავების ოპერაციის განმახორციელებელი საბაჟო ორგანოდან სასაზღვრო საბაჟო ორგანომდე ან სხვა ადგილამდე ან კანონმდებლობით დადგენილი სხვა ადგილიდან სასაზღვრო საბაჟო ორგანომდე ან სხვა ადგილამდე საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების მიტანის ვადა განისაზღვრება გამგზავნი საბაჟო ორგანოს მიერ, გადასაზიდი საქონლის, სატრანსპორტო საშუალების, საბაჟო მარშრუტის ხასიათის და ეკოლოგიურ-კლიმატური პირობების გათვალისწინებით, დღეში 100 კმ-ზე გათვლით, მაგრამ არა-უმეტეს 10 კალენდარული დღისა.

2. საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში დეკლარირებული საქონელი საბაჟო ზედამხედველობას ექვემდებარება საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღიდან საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საქონლის გატანამდე.

3. გასატანი საქონლისა ან/და სატრანსპორტო საშუალებების საქართველოს საბაჟო ტერიტორიის შესაბამის ადგილამდე მიტანა ხორციელდება ნებისმიერი გზით, გარდა თამბაქოს ნაწარმის გადაზიდვის შემთხვევისა.

4. საბაჟო ზედამხედველობას დაქვემდებარებული თამბაქოს ნაწარმის გადაადგილება

საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ხორციელდება იმ საბაჟო ორგანოების გავლით, რომელიც განსაზღვრულია "სასაზღვრო საბაჟო ორგანოს გახსნის, მუშაობის დროის და მისი გავლით შემოსატანი საქონლის სახეობების განსაზღვრის შესახებ" საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

5. საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მყოფი საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალებების მიმართ შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ საბაჟო ორგანოსთან შეთანხმებული მოქმედებები და ოპერაციები.

6. თუ საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მყოფი საქონელი ან/და სატრანსპორტო საშუალებები განადგურდა ან დაზიანდა, საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების მფლობელი ვალდებულია დაუყონებლივ შეატყობინოს საბაჟო ორგანოს და წარუდგინოს მას განადგურების ან დაზიანების უტყუარი მტკიცებულებები, რომელიც დამოწმებულია შესაბამისი უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ. თუ საბაჟო ორგანოს არ დააკმაყოფილებს წარმოდგენილი მტკიცებულებები, საქონელი ჩაითვლება საბაჟო ზედამხედველობიდან უკანონოდ გასულად.

7. თუ საქონელი და/ან სატრანსპორტო საშუალებები უკანონოდ გადის საბაჟო ზედამხედველობიდან ან საბაჟო ორგანოს აქვს საფუძვლიანი ეჭვი საბაჟო ზედამხედველობიდან საქონლის და/ან სატრანსპორტო საშუალების უკანონოდ გასვლაზე და დეკლარანტს ან საქონლის მესაკუთრეს ან საქონლის მფლობელს არ შეუძლია საბაჟო ორგანოს დაუმტკიცოს ამ საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების საბაჟო ზედამხედველობიდან კანონიერად გასვლის ფაქტი, ვალდებულმა პირმა საბაჟო ზედამხედველობიდან საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების უკანონოდ გასელის აღმოჩენიდან 5 კალენდარული დღის განმავლობაში უნდა შეასრულოს წარმოშობილი საბაჟო ვალდებულება.

8. პირზე, რომელიც იღებს საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი საქონლისა ან/და სატრანსპორტო საშუალების ტრანსპორტირების პასუხისმგებლობას, ვრცელდება ამ მუხლში აღნიშნული ვალდებულებები.

9. საბაჟო დამუშავების ოპერაციის განმახორციელებელი საბაჟო ორგანოდან სასაზღვრო საბაჟო ორგანომდე ან სხვა ადგილამდე ან კანონმდებლობით დადგენილი სხვა ადგილიდან სასაზღვრო საბაჟო ორგანომდე ან სხვა ადგილამდე საქონლისა ან/და სატრანსპორტო საშუალებების მიტანა ხორციელდება მოწმობით, გარდა კანონმდებობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 23. საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალებების მიტანასთან დაკავშირებული ავარიის ან დაუძლეველი ძალის დროს გასატარებელი ღონისძიებები

1. ავარიისა ან დაუძლეველი ძალის დროს, პირი, რომელიც ვერ ასრულებს ამ ინსტრუქციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ვალდებულია:

ა) დაუყონებლივ აცნობოს უახლოეს საბაჟო ორგანოს აღნიშნული გარემოებების, საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალებების ადგილმდებარეობისა და მდგომარეობის შესახებ და იმოქმედოს მისი მითითებების შესაბამისად;

ბ) მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალებების ხელშეუხებლობის უზრუნველსაყოფად;

გ) უზრუნველყოს საქონლისა ან/და სატრანსპორტო საშუალებების მიტანა უახლოესი საბაჟო ორგანოს ტერიტორიაზე ან საბაჟო ორგანოს მიერ მითითებულ ადგილზე;

2. აუცილებლობის შემთხვევაში შესაბამისი საბაჟო ორგანო ვალდებულია, განსაზღვროს ამ საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების დანიშნულების საბაჟო ორგანომდე ან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ადგილამდე მიტანის უზრუნველყოფის ღონისძიებები.

3. ავარიისა ან დაუძლეველი ძალის შედეგად განადგურებულ საქონელზე დგება ოქმი და განადგურების შედეგად წარმოშობილ ნარჩენები და ჯართი გადაადგილდება საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად.

4. ამ მუხლის მოთხოვნათა შესრულებისათვის გაწეულ ხარჯებს ანაზღაურებს საქონელსა და/ან სატრანსპორტო საშუალებაზე უფლებამოსილი შესაბამისი პირი.

მუხლი 24. საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონლის წარდგენა დანიშნულების ადგილზე არასაბაჟო ორგანოში

1. საქონლის დანიშნულების ადგილზე(არასაბაჟო ორგანო) წარდგენის დადასტურების მიზნით ხდება დამოწმება: (8.02.2007 N100)

ა) საბაჟო საწყობის(დროებითი შენახვის საწყობის) მიერ აღრიცხვის მოწმობის უკანა გვერდზე გაკეთებული აღნიშვნით(ბეჭედი, ხელმოწერა, თარიღი და დრო). დამოწმებული მოწმობის საბაჟო ორგანოსათვის გადაცემის ვალდებულება ეკისრება საბაჟო საწყობს, იმავე ან მე-2 სამუშაო დღის 12 საათამდე;

ბ) სარკინიგზო გადაზიდვების შემთხვევაში რკინიგზის მიერ სარკინიგზო ზედნადებზე და აღრიცხვის მოწმობის უკანა გვერდზე გაკეთებული აღნიშვნით (შტამპი, ხელმოწერა, თარიღი და დრო). დამოწმებული აღრიცხვის მოწმობისა და სარკინიგზო ზედნადების საბაჟო ორგანოსათვის გადაცემის ვალდებულება ეკისრება სარკინიგზო ზედნადებში მითითებულ ტვირთგამგზავნს. (23.04.2007 N398)

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში განხორციელებული ქმედება ითვლება საბაჟო ორგანოში საქონლის წარდგენად.

3. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული საქონლისა ან/და სატრანსპორტო საშუალების წარდგენის თარიღი და დრო ჩაითვლება საბაჟო ორგანოში საქონლისა ან/და სატრანსპორტო საშუალების წარდგენის დღედ.

4. ამოღებულია (8.02.2007 N100)

5. საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში გაცხადებული (დეკლარაციის წარდგენა) ან საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოქცეული (გაშვება ნებადართულია) საქონელი დეკლარანტის მოთხოვნით შეიძლება ინახებოდეს დროებითი შენახვის საწყობში არაუმეტეს 3 თვისა.

მუხლი 25. საქონლის წარდგენა დანიშნულების სასაზღვრო საბაჟო ორგანოში

იმ შემთხვევაში, თუ საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონელი პირდაპირ წარედგინება დანიშნულების სასაზღვრო საბაჟო ორგანოს, მაშინ საქონლის წარდგენად ჩაითვლება მოწმობის წარდგენა საბაჟო ორგანოში, რომელიც დასტურდება საბაჟო მოხელის პირადნომრიანი ბეჭდით, თარიღითა და დროით.

მუხლი 26. საქონლის საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმის დასრულება

1. საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმის დასრულება დასტურდება გამშვები საბაჟო ორგანოს მიერ აღრიცხვის მოწმობაზე სპეციალური აღნიშვნით "მოხსნილია კონტროლიდან".

2. საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმის დასრულებისა და საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანის მომენტიდან საქონელი გამოდის საბაჟო ზედამხედველობიდან და გადადის პირის სრულ განკარგულებაში.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №1763

2006 წლის 20 დეკემბერი

საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმის გამოყენების წესების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბაჟო კოდექსის 115-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის N39 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის "ლ" ქვეპუნქტის საფუძველზე, ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს ინსტრუქცია "საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმის გამოყენების წესების შესახებ".

2. ამ ბრძანების გამოქვეყნებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმის შესახებ" დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 21 მარტის N153 ბრძანება.

3. ბრძანება ამოქმედდეს 2007 წლის 1 იანვრიდან.

ა. ალექსიშვილი

ინსტრუქცია
საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმის გამოყენების წესების შესახებ

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმი ნიშნავს, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების ერთი ან ერთზე მეტი ოპერაციის გამოყენებას:

ა) უცხოური საქონლის მიმართ, რომლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას არ გადაიხდევინება იმპორტის გადასახდელები (გარდა საბაჟო მოსაკრებლისა) და არ ტარდება საეჭრო პოლიტიკის ღონისძიებები, ხოლო მისგან მიღებული გადამუშავების პროდუქტის საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანისას არ გადაიხდევინება ექსპორტის გადასახდელები და არ ტარდება საეჭრო პოლიტიკის ღონისძიებები;

ბ) თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებული საქონლის მიმართ, რომელზედაც გადახდილი იმპორტის გადასახდელები (გარდა საბაჟო მოსაკრებლისა) უნდა დაექვემდებაროს დაბრუნებას ან ჩათვლას, თუ გადახდილი იმპორტის გადასახდელები (გარდა საბაჟო მოსაკრებლისა) დაბრუნებული ან ჩათვლილი არ არის და მისგან მიღებული გადამუშავების პროდუქტი გაიტანება საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან;

გ) უცხოური საქონლის მიმართ, რომლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას არ გადაიხდევინება იმპორტის გადასახდელები (გარდა საბაჟო მოსაკრებლისა) და არ ტარდება საეჭრო პოლიტიკის ღონისძიებები, ხოლო მისგან მიღებული გადამუშავების პროდუქტის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისას გადაიხდევინება იმპორტის გადასახდელები და ტარდება საეჭრო პოლიტიკის ღონისძიებები.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის "ა" და "ბ" ქვეპუნქტებში მითითებული საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანის დროს საბაჟო ორგანოს წარედგინება ექსპორტის სატვირთო-საბაჟო დეკლარაცია.

3. აკრძალულია საბაჟო ტერიტორიაზე გადამუშავების საბაჟო რეჟიმში იმ საქონლის მოქცევა, რომლის შემოტანა საქართველოს ტერიტორიაზე აკრძალულია.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნული აკრძალული საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანის დროს, იგი დაუყონებლივ უნდა იქნეს გატანილი და/ან დაუყონებლივ გატანის შეუძლებლობის შემთხვევაში მოთავსდეს დროებითი შენახვის საწყობში.

5. ამ მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნული საქონლის უკან დაბრუნების დროს წარმოდგენილ დოკუმენტებზე (სატრანსპორტო ზედდებული ან ინვოისი ან კანონმდებლობით დადგენილი სხვა საბაჟო დოკუმენტი) საბაჟო ორგანო აკეთებს აღნიშვნას - ,,დაბრუნებულია საქონელი'', მიეთითება თარიღი და დასტურდება პირადნომრიანი ბეჭდით. აღნიშნულ საქონელზე გამოიწერება ,,საბაჟო კონტროლის ქვეშ მყოფი საქონლისა ან/და სატრანსპორტო საშუალებების აღრიცხვის მოწმობა'' (შემდგომში – მოწმობა) საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად.

6. სასაზღვრო საბაჟო ორგანოს უფლება აქვს საქონლის წარდგენიდან 2 დღის შემდეგ დაუყოვნებლივ დააბრუნოს საქონელი, თუ წარმოდგენილი დოკუმენტები არ მოიცავს ზოგადი დეკლარირებისათვის საჭირო მონაცემებს და არ არის წარმოდგენილი კანონმდებლობით გათვალისწინებული ლიცენზიები, ნებართვები და სერტიფიკატები.

7. მე-6 პუნქტში აღნიშნული საქონლის დაბრუნება ხორციელდება ამ მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად.

მუხლი 2. ინსტრუქციაში გამოყენებული ტერმინები

1. საქონლის გადამუშავების ოპერაციები:

ა) საქონლის დამუშავება, მათ შორის, მონტაჟი, აწყობა ან სხვა საქონელზე მორგება;

ბ) საქონლის წარმოება;

გ) საქონლის შეკეთება, მათ შორის, აღდგენა და მუშა მდგომარეობაში მოყვანა;

დ) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ განსაზღვრული საქონლის გამოყენება, რომელიც ხელს უწყობს ან აადვილებს გადამუშავების პროდუქტის წარმოებას, მიუხედავად იმისა, რომ ეს საქონელი მთლიანად ან ნაწილობრივ იხარჯება გადამუშავების პროცესში;

2. გადაუმუშავებელი საქონელი საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონელი, რომელიც არ არის გადამუშავებული ამ რეჟიმში.

3. გადამუშავების პროდუქტი - საქონლის გადამუშავების შედეგად მიღებული ან წარმოებული პროდუქტი.

4. გამოსაელიანობის ნორმა გადამუშავების პროდუქტის რაოდენობა, რომელიც მიღებულია განსაზღვრული რაოდენობის საქონლის გადამუშავების შედეგად.

5. ეკვივალენტური საქონელი - საქართველოს საქონელი, რომელიც საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში დეკლარირებული შემოსატანი საქონლის ნაცვლად გამოიყენება გადამუშავების პროდუქტის მისაღებად.

6. ნარჩენები - საქონელი, რომელიც წარმოიშობა სასაქონლო პროდუქციის წარმოების პროცესში, როგორც ძირითადი სასაქონლო პროდუქციის თანმდევი პროდუქტი.

7. ნაშთი - გადასამუშავებელი საქონლის ნაწილი, რომელიც არ იქნა გამოყენებული გადამუშავების (საწარმოო) პროცესში და სასაქონლო ნომენკლატურაში კლასიფიცირდება იგივე თერთმეტნიშნა კოდით, რომელიც მიენიჭა მას საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას, აგრეთვე გადასამუშავებელი საქონლის ნაწილი, რომლის მიმართ გადამუშავების ოპერაციები ნაწილობრივ განხორციელებულია.

მუხლი 3. საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმისათვის განკუთვნილი საქონლის შემოტანის დროს გათვალისწინებული საბაჟო პროცედურები

1. საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმისათვის განკუთვნილი საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე (გამშვებ პუნქტზე) შემოტანის დროს

დადგენილი წესის შესაბამისად ხორციელდება შემდეგი საბაჟო პროცედურები:

ა) საქონლის წარდგენა;

ბ) ზოგადი დეკლარირება;

გ) მოწმობის გამოწერა.

2. საბაჟო ორგანოს გადაწყვეტილებით, ზოგადი დეკლარირების შემდეგ, სასაზღვრო საბაჟო ორგანოში შეიძლება განხორციელდეს საქონლის დათვალიერება, სინჯების და ნიმუშების აღება და საიდენტიფიკაციო ნიშნების დადება საქართველოს საბაჟო კოდექსის შესაბამისად.

მუხლი 4. საქონლის წარდგენა სასაზღვრო საბაჟო ორგანოში საბაჟო ორგანოში საქონლის წარდგენა ხდება:

ა) სახმელეთო სასაზღვრო გამტარ პუნქტებში - სასაზღვრო კონ-ტროლის განხორციელების შემდეგ საქონლის საბაჟო კონტროლის ზონაში ფაქტობრივი განთავსებით;

ბ) საერთაშორისო ნაოსნობისათვის გახსნილ საზღვაო პორტებში და საერთაშორისო აეროპორტებში გახსნილ სასაზღვრო გამტარ პუნქტებში – გემის ან თვითმფრინავის კაპიტნის ან უფლებამოსილი პირის მიერ სატვირთო მანიფესტის საბაჟო ორგანოსთვის წარდგენით, რაც დამოწმდება საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირის მიერ პირადნომრიანი ბეჭდით და თარიღის მითითებით.

გ) საავტომობილო ტრანსპორტით საქართველოს საბაჟო საზღვრის საბაჟო ორგანოს მიერ შერჩეულ ადგილზე (სასაზღვრო გამტარი პუნქტის გარდა) გადმოკვეთის შემთხვევაში – სასაზღვრო კონტროლის განხორციელების შემდეგ საქონლის საბაჟო ორგანოს მიერ შერჩეულ საბაჟო კონტროლის ზონაში (საბაჟო ორგანო, საბაჟო საწყობი, დროებითი შენახვის საწ-ყობი, საბაჟო კონტროლის სხვა ზონა ან საბაჟო ორგანოს მიერ მითითებული სხვა ნებისმიერი ადგილი) ფაქტობრივი განთავსებით.

მუხლი 5. საქონლის ზოგადი დეკლარირება სასაზღვრო საბაჟო ორგა-ნოში

1. ზოგადი დეკლარირება უნდა განხორციელდეს ამ ინსტრუქციის მე-4 მუხლით განსაზღვრული საქონლის სასაზღვრო კონტროლის განხორციელების დასრულებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა.

2. ზოგადი დეკლარირება ხორციელდება (ზოგადი დეკლარირების ფორმა) საბაჟო ორგანოსადმი იმ ზოგადი მონაცემების ამსახველი დოკუმენტების წარდგენით, რომელიც აუცილებელია შესაბამისი საბაჟო დამუშავების ოპერაციის შერჩევამდე მისი იდენტიფიკაციისათვის, საბაჟო ზედამხედველობისა და საბაჟო კონტროლის განხორციელებისათვის (მათ შორის, საბაჟო კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული მოწმობის შევსებისათვის).

3. ზოგადი დეკლარირების მიზნით სასაზღვრო საბაჟო ორგანოში წარდგენილი უნდა იქნეს სატრანსპორტო დოკუმენტები:

ა) საავტომობილო ტრანსპორტით გადაზიდვის დროს – სატრანს-პორტო ზედდებული;

ბ) საზღვაო ტრანსპორტით საქონლის შემოტანის დროს – კონოსამენტი;

გ) საჰაერო ტრანსპორტით საქონლის შემოტანის დროს – ავიაზედდებული.

4. ზოგადი დეკლარირების მიზნით ამ მუხლის მე-3 პუნქტში გათვალისწინებული დოკუმენტების გარდა შეიძლება გამოყენებულ იქნას საქონლის თანმხლები სხვა დოკუმენტები:

ა) ხელშეკრულება ან/და ინვოისი;

ბ) წარმოშობის სერტიფიკატი;

გ) საბაჟო გარანტია (ან TIR-კარნეტის დოკუმენტი) - საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად.

დ) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტები.

5. ზოგადი დეკლარირების უფლება აქვს საქონლის მფლობელს ან მის წარმომადგენელს.

6. ზოგადი დეკლარირება არ ხორციელდება მილსადენი ტრანსპორტით გადაადგილებულ საქონელზე.

7. ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებული დოკუმენტები დამოწმდება საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირის მიერ პირადნომრიანი ბეჭდით. (8.02.2007 N 103)

მუხლი 6. საბაჟო კონტროლის ქვეშ მყოფი საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობის გამოწერა (8.02.2007 N 103)

ამ ინსტრუქციის მე-4 მუხლში მითითებული დოკუმენტების საფუძველზე სასაზღვრო საბაჟო ორგანოს მიერ ხდება მოწმობის გამოწერა "საბაჟო კონტროლის ქვეშ მყოფი საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობის შევსების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 20 დეკემბრის N1764 ბრძანების შესაბამისად.

მუხლი 7. შემოტანილი საქონლისა ან/და სატრანსპორტო საშუალებების საქართველოს საბაჟო ტერიტორიის შესაბამის ადგილამდე მიტანის ვადა და მარშრუტი

1. ერთი სასაზღვრო საბაჟო ორგანოდან მეორე სასაზღვრო საბაჟო ორგანომდე ან სხვა ადგილამდე ან კანონმდებლობით დადგენილი სხვა ადგილიდან სასაზღვრო საბაჟო ორგანომდე ან სხვა ადგილამდე საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების მიტანის ვადა განისაზღვრება განისაზღვრება დადგენილი წესით, გამგზავნი საბაჟო ორგანოს მიერ, გადასაზიდი საქონლის, სატრანსპორტო საშუალების, საბაჟო მარშრუტის ხასიათის და ეკოლოგიურ-კლიმატური პირობების გათვალისწინებით.

2. შემოტანილი საქონლისა ან/და სატრანსპორტო საშუალებების საქართველოს საბაჟო ტერიტორიის შესაბამის ადგილამდე მიტანა ხორციელდება ნებისმიერი გზით, გარდა თამბაქოს ნაწარმის გადაზიდვის შემთხვევისა.

3. საბაჟო ზედამხედველობას დაქვემდებარებული თამბაქოს ნაწარმის გადაად-გილება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ხორციელდება იმ საბაჟო ორგანოების გავლით, რომელიც განსაზღვრულია "სასაზღვრო საბაჟო ორგანოს გახსნის, მუშაობის დროის და მისი გავლით შემოსატანი საქონლის სახეობების განსაზღვრის შესახებ" საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

4. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი საქონელი და/ან სატრანსპორტო საშუალება იმყოფება საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მისთვის საბაჟო სტატუსის მინიჭებამდე, შეცვლამდე, თავისუფალ ზონაში ან თავისუფალ საწყობში გადატანამდე, საბაჟო ტერიტორიიდან რეექსპორტამდე ან საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ განადგურებამდე, გარდა კანონ-მდებობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

5. საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მყოფი საქონლის ან/და სატრანს-პორტო საშუალებების მიმართ შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ საბაჟო ორგანოსთან შეთანხმებული მოქმედებები და ოპერაციები.

6. თუ საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მყოფი საქონელი ან/და სატ-რანს-პორტო საშუალებები განადგურდა ან დაზიანდა, საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების მფლობელი ვალდებულია დაუყონებლივ შეატყობინოს საბაჟო ორგანოს და წარუდგინოს მას განადგურების ან დაზიანების უტყუარი მტკიცებულებები, რომელიც დამოწმებულია შესაბამისი უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ. თუ საბაჟო ორგანოს არ დააკმაყოფილებს წარმოდგენილი მტკიცებულებები, საქონელი ჩაითვლება საბაჟო ზედამხედველობიდან უკანონოდ გასულად.

7. თუ საქონელი და/ან სატრანსპორტო საშუალებები უკანონოდ გადის საბაჟო ზე-

დამხედველობიდან ან საბაჟო ორგანოს აქვს საფუძვლიანი ეჭვი საბაჟო ზედამხედველობიდან საქონლის და/ან სატრანსპორტო საშუალების უკანონოდ გასვლაზე და დეკლარანტს ან საქონლის მესაკუთრეს ან საქონლის მფლობელს არ შეუძლია საბაჟო ორგანოს დაუმტკიცოს ამ საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების საბაჟო ზედამხედველობიდან კანონიერად გასვლის ფაქტი, ვალდებულმა პირმა საბაჟო ზედამხედველობიდან საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების უკანონოდ გასვლის აღმოჩენიდან 5 კალენდარული დღის განმავლობაში უნდა შეასრულოს წარმოშობილი საბაჟო ვალდებულება.

8. პირზე, რომელიც იღებს საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი საქონლისა ან/და სატრანსპორტო საშუალების ტრანსპორტირების პასუხისმგებლობას, ვრცელდება ამ მუხლში აღნიშნული ვალდე-ბულებები.

9. ერთი სასაზღვრო საბაჟო ორგანოდან მეორე სასაზღვრო საბაჟო ორგანომდე ან სხვა ადგილამდე ან კანონმდებლობით დადგენილი სხვა ადგილიდან სასაზღვრო საბაჟო ორგანომდე ან სხვა ადგილამდე საქონლისა ან/და სატრანსპორტო საშუალებების მიტანა ხორციელდება მოწმობით, გარდა კანონმდებობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 8. საქონლის წარდგენა დანიშნულების ადგილზე არასაბაჟო ორგანოში

1. საქონლის დანიშნულების ადგილზე(არასაბაჟო ორგანო) წარდგენის დადასტურების მიზნით ხდება დამოწმება: (8.02.2007 N 103)

ა) საბაჟო საწყობის(დროებითი შენახვის საწყობის) მიერ აღრიცხვის მოწმობის უკანა გვერდზე გაკეთებული აღნიშვნით(ბეჭედი, ხელმოწერა, თარიღი და დრო). დამოწმებული მოწმობის საბაჟო ორგანოსათვის გადაცემის ვალდებულება ეკისრება საბაჟო საწყობს, იმავე ან მე-2 სამუშაო დღის 12 საათამდე;

ბ) სარკინიგზო გადაზიდვების შემთხვევაში-რკინიგზის მიერ სარკინიგზო ზედნადებზე და აღრიცხვის მოწმობის უკანა გვერდზე გაკეთებული აღნიშვნით (შტამპი, ხელმოწერა, თარიღი და დრო). დამოწმებული აღრიცხვის მოწმობისა და სარკინიგზო ზედნადების საბაჟო ორგანოსათვის გადაცემის ვალდებულება ეკისრება სარკინიგზო ზედნადებში მითითებულ ტვირთმიმღებს.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული საქონლისა ან/და სატრანსპორტო საშუალებების წარდგენის თარიღი და დრო ჩაითვლება საბაჟო ორგანოში საქონლისა ან/და სატრანსპორტო საშუალებების წარდგენის დღედ.

3. ამოღებულია (8.02.2007 N 103)

მუხლი 9. საქონლის წარდგენა საბაჟო დამუშავების ოპერაციის ადგილზე

1. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანის დროს, მისი წარდგენა საბაჟო დამუშავების ოპერაციის ადგილზე (საბაჟო ორგანოში), რომელიც მდებარეობს არასასაზღვრო საბაჟო ორგანოს სამოქმედო ტერიტორიაზე, ხორციელდება მოწმობის წარდგენით, რომელიც დადასტურდება მოწმობაში საბაჟო ორგანოს პასუხისმგებელი პირის პირადნომრიანი ბეჭდით, სადაც მიეთითება აგრეთვე დამოწმების თარიღი და დრო.

2. იმ შემთხვევაში, თუ საბაჟო ტერიტორიაზე გადამუშავებისათვის განკუთვნილი საქონელი, რომელიც გადაადგილდება საბაჟო გამშვები პუნქტიდან ან კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ადგილიდან და პირდაპირ წარედგინება საბაჟო ორგანოს (დროებითი შენახვის საბაჟო საწყობში წარდგენის გარეშე), მაშინ საქონლის წარდგენად ჩაითვლება მოწმობის წარდგენა საბაჟო ორგანოში, რომელიც დასტურდება საბაჟო მოხელის პირადნომრიანი ბეჭდით, თარიღისა და დროის მითითებით.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მოწმობა იხსნება კონტროლიდან სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის წარდგენის საფუძველზე სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციიდან არაუგვიანეს ერთი საათისა.

მუხლი 10. სატვირთო საბაჟო დეკლარაციის წარდგენა

1. დეკლარაციის წარდგენა ხდება საქართველოს საბაჟო კანონ-მდებლობით განსაზღვრულ იმ საბაჟო ორგანოში, სადაც წარმოებს საქონლის საბაჟო დამუშავების ოპერაცია.

2. დეკლარაციის წარდგენა ხდება:

ა) ზოგადი დეკლარირებიდან 45 კალენდარულ დღეში, თუ საქონელი შემოტანილია საზღვაო გზით;

ბ) ზოგადი დეკლარირებიდან 20 კალენდარულ დღეში, თუ საქონელი შემოტანილია სხვა გზით.

3. საბაჟო ორგანოს შესაბამისი დასაბუთებით შეუძლია შეამციროს ამ მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნული ვადები ან დეკლარანტის წერი-ლობითი განცხადების საფუძველზე გააგრძელოს ისინი 45 კალენდარული დღით.

4. დეკლარაციას ავსებს დეკლარანტი.

5. სატვირთო საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაცია ხორციელდება დამუშავების საბაჟო ორგანოში საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად.

6. დეკლარანტის მიერ სატვირთო საბაჟო დეკლარაციის შეესება ხორციელდება საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად.

7. სატვირთო საბაჟო დეკლარაციასთან ერთად საბაჟო დამუშავების ოპერაციის ადგილზე დეკლარანტის მიერ ქვემოთჩამოთვლილი დოკუმენტებიდან წარდგენილი უნდა იქნეს საქონლისა და მისი გადაადგილების, სატრანსპორტო საშუალების სახეობის და კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა პირობებიდან გამომდინარე საჭირო დოკუმენტები:

ა) ხელშეკრულება;

ბ) შესყიდვის დოკუმენტი (ინვოისი ან სხვა საანგარიშსწორებო დოკუმენტი);

გ) სატრანსპორტო ზედდებული;

დ) კონოსამენტი;

ე) მანიფესტი;

ვ) TIR-კარნეტის დოკუმენტი;

ზ) ერთჯერადი ან გენერალური მინდობილობა ან ხელშეკრულება;

თ) სერტიფიკატები:

თ.ა) საქონლის წარმოშობის სერტიფიკატი;

თ.ბ) საქონლის უსაფრთხოების სერტიფიკატი;

თ.გ) ფიტო-სანიტარული სერტიფიკატი;

თ.დ) ვეტერინარული სერტიფიკატი;

თ.ე) სანიტარული-ჰიგიენური სერთიფიკატი;

თ.ვ) ფუმიგაციისა და დეზინფექციის სერტიფიკატი;

ი) საქონლის სპეციფიკაცია;

კ) საბაჟო გადასახდელების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი და საბაჟო გარანტია საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად. (8.02.2007 N 103)

ლ) გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი (კოდი);

მ) ექსპერტიზის აქტი;

ნ) საქონლის დათვალიერების აქტი;

ო) საქონლის სინჯის (ნიმუშის) აღების აქტი (ოქმი);

პ) ჯარიმის გადახდის დოკუმენტი;

ჟ) საბაჟო სამართალდარღვევის ოქმი;

რ) საქონლისა და/ან სატრანსპორტო საშუალების საბაჟო კონტროლის ქვეშ დროებითი შენახვის განაცხადი.

ს) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტები.

მუხლი 11. საქონლის საბაჟო დათვალიერება, სინჯის ან/და ნიმუშის აღება საბაჟო დამუშაგების ოპერაციის ადგილებში

საბაჟო ორგანოს გადაწყვეტილებით საბაჟო დამუშავების ოპერაციის ადგილას შეიძლება განხორციელდეს საქონლის დათვალიერება, სინჯების და ნიმუშების აღება საქართველოს საბაჟო კოდექსის შესაბამისად.

მუხლი 12. საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალებების მიტანასთან დაკავშირებული ავარიის ან დაუძლეველი ძალის დროს გასატარებელი ღონისძიებები

1. ავარიისა ან დაუძლეველი ძალის დროს, პირი, რომელიც ვერ ასრულებს ამ ინსტრუქციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ვალდებულია:

ა) დაუყონებლივ აცნობოს უახლოეს საბაჟო ორგანოს აღნიშნული გარემოებების, საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალებების ადგილ-მდებარეობისა და მდგომარეობის შესახებ და იმოქმედოს მისი მითითებების შესაბამისად;

ბ) მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალებების ხელშეუხებლობის უზრუნველსაყოფად;

გ) უზრუნველყოს საქონლისა ან/და სატრანსპორტო საშუალებების მიტანა უახლოესი საბაჟო ორგანოს ტერიტორიაზე ან საბაჟო ორგანოს მიერ მითითებულ ადგილზე;

2. აუცილებლობის შემთხვევაში შესაბამისი საბაჟო ორგანო ვალდებულია, განსაზღვროს ამ საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების დანიშნულების საბაჟო ორგანომდე ან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ადგილამდე მიტანის უზრუნველყოფის ღონისძიებები.

3. ავარიისა ან დაუძლეველი ძალის შედეგად განადგურებულ საქონელზე დგება ოქმი და განადგურების შედეგად წარმოშობილი ნარჩენები და ჯართი გადაადგილდება საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით შესაბამისად.

4. ამ მუხლის მოთხოვნათა შესრულებისათვის გაწეულ ხარჯებს ანაზ-ღაურებს საქონელსა და/ან სატრანსპორტო საშუალებაზე უფლებამოსილი შესაბამისი პირი.

მუხლი 13. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანა კანონმდებლობით განუსაზღვრელ ადგილებში

1. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანა და საბაჟო პროცედურების განხორციელება საქართველოს მთავრობის დადგენილებით განუსაზღვრელ ადგილებში დაიშვება საქონლის შემომტანი პირის განცხადების საფუძველზე, მისივე ხარჯებით და საბაჟო ორგანოსთან შეთანხმებით. განცხადება შეტანილ უნდა იქნეს შესაბამის ტერიტორიულ საბაჟო ორგანოში და ასევე, სასაზღვრო პოლიციის შესაბამის სტრუქტურაში.

2. ტერიტორიულ საბაჟო ორგანოს ენიჭება უფლებამოსილება განიხილოს და გადაწყვეტოს განცხადებაში დასმული საკითხი. გადაწყვეტილება მიიღება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ _ სამართლებრივი აქტის გამოცემით.

3. განცხადება უნდა იყოს წერილობითი ფორმით და შეიცავდეს:

ა) ტერიტორიული საბაჟო ორგანოს დასახელებას;

ბ) განმცხადებლის (ფიზიკური პირი, იურიდიული პირი) ვინაობას (დასახელებას) და მისამართს;

გ) მოთხოვნას (საქონლის შემოტანის უფლება, შემოტანის ადგილის, ავტოსატრანსპორტო საშუალებების, ტექნიკის, საქონლის სახეობის, რაოდენობისა და ღირებულების მითითებით);

დ) განცხადების წარდგენის თარიღს და განმცხადებლის ხელმოწერას;

ე) განცხადებაზე დართული საბუთების ნუსხას, მათი არსებობის შემთხვევაში.

4. განმცხადებელს უფლება აქვს ტერიტორიულ საბაჟო ორგანოს განცხადებასთან

ერთად წარუდგინოს ყველა საბუთი, რომელიც შეიძლება საფუძვლად დაედოს განცხადებაში დასმული საკითხის გადაწყვეტას და შესაბამისი ადმინისტრაციული აქტის გამოცემას.

5. ტერიტორიული საბაჟო ორგანო განცხადების მიღების დღესვე ახდენს მის რეგისტრაციას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. განცხადების რეგისტრაციის მომენტიდან ტერიტორიული საბაჟო იწყებს განცხადებაში დასმული საკითხის განხილვას.

7. თუ ტერიტორიული საბაჟოს ხელმძღვანელობა გადაწყვეტს, რომ განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება შესაძლებელია, შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით განსაზღვრავს საბაჟოს პასუხისმგებელ პირებს, რომლებსაც დაევალებათ საზღვრის გადმოკვეთის ადგილიდან მიზანშეწონილ საბაჟო ორგანომდე საქონლის გადაზიდვის ზედამხედველობა და გაცილება.

8. ამ მუხლის მე-7 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში საბაჟო ორგანოს პასუხისმგებელი პირი საბაჟო პროცედურებს დროის უმოკლეს პერიოდში ახორციელებს სასაზღვრო პოლიციის სასაზღვრო გამტარი პუნქტის (ასეთის არსებობის) წარმომადგენლებთან კოორდინაციით და კომპეტენციის ფარგლებში მათი მონაწილეობით.

9. ტერიტორიული საბაჟო ორგანოს ხელმძღვანელობა თავისი გადაწყვეტილების თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობებს განმცხადებელს, აგრეთვე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციას და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს და უგზავნის მათ მიღებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დადგენილი წესით დამოწმებულ ასლებს. (23.04.2007 N401)

10. საბაჟო ორგანოების ზედამხედველობისა და საბაჟო კონტროლის გარეშე ყველა სხვა ადგილებში საქონლითა და სატრანსპორტო საშუალებებით საზღვრის გადაკვეთა განიხილება, როგორც საბაჟო წესების დარღვევა და ისჯება კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 14. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანა სასაზღვრო საბაჟო ორგანოს არასამუშაო დროს

1. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანა სასაზღვრო საბაჟო ორგანოს არასამუშაო დროს დაიშვება საქონლის შემომტანი პირის წერილობითი განცხადების საფუძველზე, მისივე ხარჯებით, საბაჟო ორგანოსთან შეთანხმებით.

2. საბაჟო ორგანოს მიერ პირის განცხადების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება ხორციელდება ამ ინსტრუქციის მე-13 მუხლით განსაზღვრული წესით.

მუხლი 15. ეკვივალენტური საქონლის გამოყენება

1. საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში დეკლარირებული შემოსატანი საქონელი საბაჟო ორგანოს თანხმობით შესაძლებელია შეიცვალოს საქართველოს საქონლით, თუ მისი აღწერილობა, ხარისხი, ტექნიკური მახასიათებლები და საბაჟო ღირებულება შეესაბამება საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში დეკლარირებული შემოსატანი საქონლის შესაბამის მონაცემებს.

2. ეკვივალენტური საქონლის გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქტი, ნაშთები ან/და ნარჩენები განიხილება, როგორც ამ ინსტრუქციის დებულებათა შესაბამისად საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში დეკლარირებული შემოტანილი საქონლის გადამუშავების პროდუქტი, ნაშთები ან/და ნარჩენები.

3. ამ ინსტრუქციის მიზნებისათვის ეკვივალენტურ საქონელს აქვს უცხოური საქონლის საბაჟო სტატუსი, ხოლო შემოტანილ საქონელს – საქართველოს საქონლის საბაჟო სტატუსი.

4. ეკვივალენტური საქონლისაგან მიღებული გადამუშავების პროდუქტის, ნაშთების ან/და ნარჩენების საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანა ან თავისუფალ მიმოქცევაში

გაშვება შესაძლებელია მხოლოდ საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში დეკლარირებული შემოსატანი საქონლის საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანამდე. ასეთი საქონელი შემოტანილ უნდა იქნეს ნაშთების ან/და ნარჩენების გატანიდან ან თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებიდან არაუგვიანეს 10 დღისა.

მუხლი 16. საქონლის იდენტიფიკაცია გადამუშავების პროდუქტებში

1. საქონლისა და განხორციელებული გადამუშავების ოპერაციების გათვალისწინებით გადამუშავების პროდუქტებში საქონლის იდენტიფიკაციისათვის დეკლარანტმა შესაძლებელია გამოიყენოს შემდეგი საშუალებები:

ა) საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოსაქცევი საქონლის მონიშვნა შტამპით, ციფრული ან სხვაგვარი მარკირებით;

ბ) საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოსაქცევი საქონლის დაწვრილებითი აღწერა, მისი ფოტოგადაღება, მასშტაბურად გამოსახვა;

გ) საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოსაქცევი საქონლისა და მისი გადამუშავების პროდუქტის სინჯის ან/და ნიმუშის გამოკვლევის ან ანალიზის შედეგების შედარება;

დ) საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოსაქცევ საქონელზე მწარმოებლის მიერ დატანილი სერიული ნომრები ან სხვა მარკირება.

2. გადამუშავების პროდუქტებში საქონლის იდენტიფიკაციისათვის საბაჟო ორგანო უფლებამოსილია, აირჩიოს ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული და მისთვის მისაღები საშუალებები.

3. დეკლარანტის მოთხოვნითა და საბაჟო ორგანოს თანხმობით, საქონლის იდენტიფიკაცია შესაძლებელია უზრუნველყოფილ იქნეს საქონლის გადამუშავების ოპერაციაში გამოყენებული ნედლეულის, მასალებისა და მაკომპლექტებლების, აგრეთვე გადამუშავების პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიის შესახებ წარდგენილი დეტალური მონაცემების გამოკვლევით ან საქონლის გადამუშავების ოპერაციაზე საბაჟო კონტროლის განხორციელებით.

მუხლი 17. საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმის გამოყენების პირობები

1. საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმის გამოყენების პირობებია:

ა) გადამუშავების პროდუქტში საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოსაქცევი საქონლის იდენტიფიკაციის შესაძლებლობა;

ბ) ეკონომიკურად მომგებიანი საშუალებით გადამუშავების პროდუქტების პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენის შეუძლებლობა;

გ) დეკლარანტის მიერ დასაბუთებული მონაცემების წარდგენა:

გ.ა) იმ პირის შესახებ, რომელიც უშუალოდ ახორციელებს საქონლის გადამუშავების ოპერაციებს;

გ.ბ) საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოსაქცევი საქონლის, მისი გადამუშავების პროდუქტის, ნაშთებისა და ნარჩენების აღწერილობის, ხარისხისა და რაოდენობის შესახებ;

გ.გ) საქონლის გადამუშავების ოპერაციების, მათი განხორციელების ვადებისა და საშუალებების შესახებ;

გ.დ) გადამუშავების პროდუქტის გამოსაელიანობის ნორმის შესახებ;

გ.ე) გადამუშავების პროდუქტში საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოსაქცევი საქონლის იდენტიფიკაციის საშუალებების შესახებ;

დ) დეკლარანტის მიერ საგადასახადო ან/და საბაჟო დავალიანების არქონა;

ე) დეკლარანტის მიერ საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოსაცევ საქონელზე იმპორტის გადასახდელების შესაბამისი გარანტიის წარდგენა, რომლის ფარგლებშიც იგი უფლებამოსილია განახორციელოს საქმიანობა.

2. პირმა, რომელმაც მიიღო საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმის გამოყენების უფლება, საბაჟო ორგანოს უნდა წარუდგინოს ანგარიში ამ ინსტრუქციით დადგენილი მოთხოვნებისა და პირობების შესრულების შესახებ იმ პერიოდისათვის, როდესაც საქონელი გამოიყენებოდა საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმის შესაბამისად, და უნდა გადაიხადოს საბაჟო დავალიანება, თუ აღნიშნულ პერიოდში წარმოიშვა საბაჟო ვალდებულება.

მუხლი 18. საქონლის გადამუშავების ვადები

1. საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმის გამოყენებისას დეკლარანტი საქონლის გადამუშავების ვადას განსაზღვრავს საბაჟო ორგანოსთან შეთანხმებით და იგი არ უნდა აღემატებოდეს 2 წელს.

2. საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების ვადა განისაზღვრება გადამუშავების პროცესის ხანგრძლივობისა და იმ დროის გათვალისწინებით, რომელიც საჭიროა გადამუშავების პროდუქტის, ნაშთების ან/და ნარჩენების საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გასატანად ან სხვა საბაჟო დამუშავების ოპერაციის სახის განსაზღვრისათვის.

3. დეკლარანტის მოტივირებული განცხადების საფუძველზე წინასწარ განსაზღვრული ვადა შესაძლებელია გაგრძელდეს ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ვადის ფარგლებში.

4. საქონლის გადამუშავების ვადა აითვლება საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში საქონლის მოქცევის დღიდან, ხოლო საქონლის ცალკეულ სასაქონლო პარტიებად შემოტანისას – ამ საბაჟო რეჟიმში საქონლის პირველი პარტიის მოქცევის დღიდან.

5. გადამუშავების ვადის გასვლის შემდეგ გადამუშავების პროდუქტი, ნაშთი, ნარჩენები უნდა მოექცეს საბაჟო დამუშავების შესაბამისი ოპერაციის ქვეშ არაუგვიანეს გადამუშავების ვადის გასვლამდე, ხოლო გადაუმუშავებელ საქონელს გაუგრძელდეს ვადა ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ან მოექცეს საბაჟო დამუშავების შესაბამისი ოპერაციის ქვეშ არაუგვიანეს გადამუშავების ვადის გასვლამდე.

6. გადაუმუშავებელ საქონელზე საბაჟო რეჟიმის ვადის გაგრძელების დროს წარედგინება ახალი სატვირთო-საბაჟო დეკლარაცია.

7. გადაუმუშავებელი საქონლის რეექსპორტის დროს საბაჟო ორგანოს წარედგინება სატვირთო-საბაჟო დეკლარაცია.

8. გადამუშავების პროდუქტის ან ნარჩენების საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანის დროს მასზე წარედგინება სატვირთო-საბაჟო დეკლარაცია და იგი გადაადგილდება საქართველოს საბაჟო საზღვრამდე "საბაჟო კონტროლის ქვეშ მყოფი საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობით".

9. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო უფლებამოსილია, საქონლის გადამუშავებასთან დაკავშირებული განსაზღვრული მოქმედებისათვის ან ცალკეული საქონლის გადამუშავებისათვის დაადგინოს კონკრეტული ვადები.

მუხლი 19. გამოსაგლიანობის ნორმა და მისი გაანგარიშების მეთოდის განსაზღვრა

1. საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმის გამოყენებისათვის დეკლარანტი საბაჟო ორგანოსთან შეთანხმებით განსაზღვრავს გამოსაელიანობის ნორმას და საჭიროებისამებრ მისი გაანგარიშების მეთოდს იმ ფაქტობრივი პირობებიდან გამომდინარე, რომლებშიც ხორციელდება საქონლის გადამუშავება, გარდა ამ მუხლის მე-3

პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

2. დეკლარანტთან გადამუშავების პროდუქტის გამოსავლიანობის ნორმის შეთანხმებისას საბაჟო ორგანო ითვალისწინებს საექსპერტო ორგანიზაციების (მათ შორის, საბაჟო ლაბორატორიების) დასკვნებს, რომლებიც ეფუძნება საქონლის გადამუშავების კონკრეტულ ტექნოლოგიურ პროცესს.

3. თუ საქონლის გადამუშავების ოპერაციას აქვს მუდმივი მახასიათებლები და იგი ხორციელდება განსაზღვრული ტექნიკური პირობების დაცვით, რის შედეგადაც იწარმოება იმავე ხარისხის გადამუშავების პროდუქტი, საქართველოს მთავრობის უფლებამოსილი, კომპეტენტური ორგანოები საბაჟო მიზნებიდან გამომდინარე ადგენენ გადამუშავების პროდუქტის გამოსაელიანობის სტანდარტულ ნორმებს.

მუხლი 20. საბაჟო დავალიანების ოდენობის განსაზღვრა საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშაგების საბაჟო რეჟიმის გამოყენებისას

1. თუ გადაუმუშავებელი საქონლის ან/და გადამუშავების პროდუქტის მიმართ, გარდა ამ ინსტრუქციის 21-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმის დარღვევისათვის ან თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისათვის წარმოიშვა საბაჟო ვალდებულება, გადასახდელი თანხა განისაზღვრება ამ საქონლის ან/და პროდუქტის სახეობის, საბაჟო ღირებულებისა და რაოდენობის საფუძველზე და საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღეს იდენტური საქონლის ან/და პროდუქტის იმპორტისას მოქმედი კანონმდებლობის.

2. თუ საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში საქონლის დეკლარირების დღისათვის ამ მუხლის პირველ პუნქტში განსაზღვრულ საქონლის იმპორტზე ვრცელდება შეღავათიანი საბაჟო გადასახდელების განაკვეთები, საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების საბაჟო რეჟიმში საქონლის მოქცევის მიზნით მასზე ვრცელდება საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღეს იდენტური საქონლისათვის დადგენილი შეღავათიანი საბაჟო გადასახდელების განაკვეთები.

3. თუ გადაუმუშავებელი უცხოური საქონლის ან/და გადამუშავების პროდუქტის მიმართ წარმოიშვა საბაჟო ვალდებულება საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმის დარღვევისათვის, საბაჟო ვალდებულების წარმოშობის დღიდან, ხოლო მისი დაუდგენლობის შემთხვევაში – საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღიდან იმპორტის გადასახდელებზე გადახდილი უნდა იქნეს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 129-ე მუხლით განსაზღვრული საურავი.

მუხლი 21. გადამუშავების შედეგად წარმოქმნილ ნარჩენებზე ან/და გადაუმუშავებელი საქონლის ნაშთებზე საბაჟო ვალდებულების წარმოშობა

1. საქონლის გადამუშავების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების ან/და გადაუმუშავებელი საქონლის ნაშთების თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება ექვემდებარება იმპორტის გადასახდელების გადახდას ისევე, როგორც საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ასეთ მდგომარეობაში იმპორტირებული საქონელი.

2. თუ საქონლის გადამუშავების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენებისათვის ან/და გადაუმუშავებელი საქონლის ნაშთებისათვის განისაზღვრა საბაჟო დამუშავების ოპერაციის სახე (გარდა თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისა), ასეთ საქონელზე საბაჟო ვალდებულება წარმოიშობა განსაზღვრული საბაჟო ოპერაციის სახის მარეგულირებელი დებულებების შესაბამისად.

მუხლი 22. გადაუმუშავებელი საქონლის, გადამუშავების პროდუქტის ან/და მათი მაკომპლექტებელი ნაწილების საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ გადამუშავება

1. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმის გამოყენებისას გადაუმუშავებელი საქონელი, გადამუშავების პროდუქტი ან/და მათი მაკომპლექტებელი ნაწილები საბაჟო ორგანოსთან შეთანხმებით და ამ ინსტრუქციის მე-18 მუხლის საფუძველზე განსაზღვრული ვადის ამოწურვამდე დაბრუნების პირობით გადამუშავებისათვის შეიძლება დროებით გატანილ იქნეს საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ.

2. თუ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დროებით გატანილი გადაუმუშავებელი საქონელი, გადამუშავების პროდუქტი ან/და მათი მაკომპლექტებელი ნაწილები ამ ინსტრუქციის მე-18 მუხლის საფუძველზე განსაზღვრული ვადის ამოწურვამდე დაბრუნდა გადამუშავების პროდუქტის სახით და მოექცა იმავე საბაჟო რეჟიმში, მაშინ მის მიმართ საბაჟო ვალდებულება არ წარმოიშობა. ამასთანავე, გადამუშავების პროდუქტის დაბრუნებისას დეკლარანტმა უნდა უზრუნველყოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმის გამოყენებისათვის წარდგენილი გარანტიის გაზრდა საქართველოს საბაჟო კოდექსის 43-ე მუხლის პირველი ნაწილით გაანგარიშებული საბაჟო ღირებულების საქონელზე გადასახდელი იმპორტის გადასახდელების თანხის ოდენობით.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გადამუშავების პროდუქტის დაბრუნებასთან დაკავშირებით (გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა) წარმოიშობა საბაჟო ვალდებულება ამ ინსტრუქციის მე-20 და 21-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში და შესაბამისად გაანგარიშებული იმპორტის გადასახდელების თანხის ოდენობით.

მუხლი 23. იმპორტის გადასახდელების დაბრუნება ან/და ჩათვლა

1. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმის გამოყენების პირობების შესრულების შემთხვევაში დეკლარანტს შეუძლია მოითხოვოს იმპორტის გადასახდელების (გარდა საბაჟო მოსაკრებლისა) დაბრუნება ან/და ჩათვლა, თუ იგი საბაჟო ორგანოს წარუდგენს სათანადო მტკიცებულებებს, რომ ამ ინსტრუქციის პირველი მუხლის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებული საქონლისგან მიღებული გადამუშავების პროდუქტი ან გადაუმუშავებელი საქონელი:

ა) გატანილია საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან, გარდა ამ ინსტრუქციის 22-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა, როდესაც საქონელი დაბრუნებულ იქნა 3 წლის განმავლობაში;

ბ) საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანის პირობით მოქცეულია საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის, საქონლის დროებითი შემოტანის ან საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში ან/და საქონელი მიტანილია თავისუფალ ზონაში ან თავისუფალ საწყობში.

2. გადამუშავების პროდუქტი ან გადაუმუშავებელი საქონელი ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტში აღნიშნული საბაჟო დამუშავების ოპერაციის სახის განსაზღვრისათვის განიხილება, როგორც უცხოური საქონელი.

3. თუ გადამუშავების პროდუქტი ან გადაუმუშავებელი საქონელი, რომე-ლიც მოქცეულია ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტში აღნიშნულ რომელიმე საბაჟო რეჟიმში ან მიტანილია თავისუფალ ზონაში ან თავისუფალ საწყობში და გაიშვება თავისუფალ მიმოქცევაში, საბაჟო დაკალიანება წარმოიშობა იმპორტის გადასახდელების დაბრუნებული ან ჩათვლილი თანხის ოდენობით.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №1757

2006 წლის 20 დეკემბერი

საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმის გამოყენების წესების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბაჟო კოდექსის 125-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 126-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის N39 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ლ" ქვეპუნქტის საფუძველზე, ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს ინსტრუქცია "საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმის გამოყენების წესების შესახებ".

2. ამ ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,საქონლის დროებითი შემოტანისა და/ან გატანის საბაჟო რეჟიმში მოსაქცევად აკრძალული საქონლის ნუსხის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 6 თებერვლის N84 ბრძანება.

3. ბრძანება ამოქმედდეს 2007 წლის 1 იანვრიდან.

ა. ალექსიშვილი

ინსტრუქცია
საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმის გამოყენების წესების შესახებ

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმი ნიშნავს საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე უცხოური საქონლის შეტანას დაბრუნების ვალდებულებით, იმპორტის გადასახდელების (გარდა საბაჟო მოსაკრებლისა) გადახდისაგან სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლების პირობითა და სავაჭრო პოლიტიკის ღონისძიებების გაუტარებლად. დროებით შემოტანილი საქონელი საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე გამოიყენება უცვლელად, გარდა მისი ექსპლუატაციით, ტრანსპორტირებით ან შენახვის ნორმალური პირობებისათვის ბუნებრივი დანაკარგებით გამოწვეული ცვლილებებისა. 2. საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმის გამოყენების ძირითადი დანიშნულება არის საქართველოს უცხო ქვეყნებთან ეკონომიკური და სხვა მიმართულებით ურთიერთობების ხელშეწყობა.

3. აკრძალულია დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმში იმ საქონლის მოქცევა, რომლის შემოტანა საქართველოს ტერიტორიაზე აკრძალულია.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნული აკრძალული საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანის დროს, იგი დაუყოვნებლივ უნდა იქნეს გატანილი და/ან დაუყოვნებლივ გატანის შეუძლებლობის შემთხვევაში მოთავსდეს დროებითი შენახვის საწყობში.

5. ამ მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნული საქონლის უკან დაბრუნების დროს წარმოდგენილ დოკუმენტებზე (სატრანსპორტო ზედდებული ან ინვოისი ან კანონმდებლობით დადგენილი სხვა საბაჟო დოკუმენტი) საბაჟო ორგანო აკეთებს აღნიშვნას - ,,დაბრუნებულია საქონელი", მიეთითება თარიღი და დასტურდება პირადნომრიანი ბეჭდით. აღნიშნულ საქონელზე გამოიწერება ,,საბაჟო კონტროლის ქვეშ მყოფი საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობა" (შემდგომში – მოწმობა) საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად.

6. სასაზღვრო საბაჟო ორგანოს უფლება აქვს საქონლის წარდგენიდან 2 დღის შემდეგ დაუყოვნებლივ დააბრუნოს საქონელი, თუ წარმოდგენილი დოკუმენტები არ მოიცავს ზოგადი დეკლარირებისათვის საჭირო მონაცემებს და არ არის წარმოდგენილი კანონმდებლობით გათვალისწინებული ლიცენზიები, ნებართვები და სერტიფიკატები.

7. მე-6 პუნქტში აღნიშნული საქონლის დაბრუნება ხორციელდება ამ მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად.

მუხლი 2. საქონლის საბაჟო ტერიტორიაზე დროებითი შემოტანის დროს გათვალისწინებული საბაჟო პროცედურები

1. დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმისათვის განკუთვნილი საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე (გამშვებ პუნქტზე) შემოტანის დროს დადგენილი წესის შესაბამისად ხორციელდება შემდეგი საბაჟო პროცედურები:

ა) საქონლის წარდგენა;

ბ) ზოგადი დეკლარირება;

გ) მოწმობის გამოწერა (უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მიერ გადაადგილებული უცხოეთში რეგისტრირებული მსუბუქი ავტოსატრანსპორტო საშუალებების გარდა). (23.07.2007 N926)

2. საბაჟო ორგანოს გადაწყვეტილებით, ზოგადი დეკლარირების შემდეგ, სასაზღვრო საბაჟო ორგანოში შეიძლება განხორციელდეს საქონლის დათვალიერება, სინჯების და ნიმუშების აღება და საიდენტიფიკაციო ნიშნების დადება საქართველოს საბაჟო კოდექსის შესაბამისად.

მუხლი 3. საქონლის წარდგენა სასაზღვრო საბაჟო ორგანოში

სასაზღვრო საბაჟო ორგანოში საქონლის წარდგენა ხდება:

ა) სახმელეთო სასაზღვრო გამტარ პუნქტებში - სასაზღვრო კონ-ტროლის განხორციელების შემდეგ საქონლის საბაჟო კონტროლის ზონაში ფაქტობრივი განთავსებით;

ბ) საერთაშორისო ნაოსნობისათვის გახსნილ საზღვაო პორტებში და საერთაშორისო აეროპორტებში გახსნილ სასაზღვრო გამტარ პუნქტებში – გემის ან თვითმფრინავის კაპიტნის ან უფლებამოსილი პირის მიერ სატვირთო მანიფესტის საბაჟო ორგანოსთვის წარდგენით, რაც დამოწმდება საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირის მიერ პირადნომრიანი ბეჭდით და თარიღის მითითებით.

გ) საავტომობილო ტრანსპორტით საქართველოს საბაჟო საზღვრის საბაჟო ორგანოს მიერ შერჩეულ ადგილზე (სასაზღვრო გამტარი პუნქტის გარდა) გადმოკვეთის შემთხვევაში – სასაზღვრო კონტროლის განხორციელების შემდეგ საქონლის საბაჟო ორგანოს მიერ შერჩეულ საბაჟო კონტროლის ზონაში (საბაჟო ორგანო, საბაჟო საწყობი, დროებითი შენახვის საწყობი, სხვა საბაჟო კონტროლის ზონა ან საბაჟო ორგანოს მიერ მითითებული სხვა ნებისმიერი ადგილი) ფაქტობრივი განთავსებით.

მუხლი 4. საქონლის ზოგადი დეკლარირება სასაზღვრო საბაჟო ორგა-ნოში

1. ზოგადი დეკლარირება უნდა განხორციელდეს ამ ინსტრუქციის მე-3 მუხლით განსაზღვრული საქონლის სასაზღვრო კონტროლის განხორციელების დასრულებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა.

2. ზოგადი დეკლარირება ხორციელდება (ზოგადი დეკლარირების ფორმა) საბაჟო ორგანოსადმი იმ ზოგადი მონაცემების ამსახველი დოკუმენტების წარდგენით, რომელიც აუცილებელია შესაბამისი საბაჟო დამუშავების ოპერაციის შერჩევამდე მისი იდენტიფიკაციისათვის, საბაჟო ზედამხედველობისა და საბაჟო კონტროლის განხორციელებისათვის (მათ შორის, საბაჟო კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული აღრიცხვის

მოწმობის შევსებისათვის).

3. ზოგადი დეკლარირების მიზნით სასაზღვრო საბაჟო ორგანოში წარდგენილი უნდა იქნეს სატრანსპორტო დოკუმენტები:

ა) სახმელეთო ტრანსპორტით საქონლის დროებითი შემოტანის დროს – სატრანსპორტო ზედდებული;

ბ) საზღვაო ტრანსპორტით საქონლის დროებითი შემოტანის დროს – კონოსამენტი;

გ) საჰაერო ტრანსპორტით საქონლის დროებითი შემოტანის დროს – ავიაზედდებული;

დ) ავტოსატრანსპორტო საშუალების თავისი სელით დროებითი შემოტანის დროს – ავტოსატრანსპორტო საშუალების ტექნიკური პასპორტი.

4. ზოგადი დეკლარირების მიზნით ამ მუხლის მე-3 პუნქტში გათვალისწინებული დოკუმენტების გარდა შეიძლება გამოყენებულ იქნას საქონლის თანმხლები სხვა დოკუმენტები:

ა) კონტრაქტი ან/და ინვოისი;

ბ) წარმოშობის სერტიფიკატი;

გ) საბაჟო გარანტია (ან TIR-კარნეტის დოკუმენტი) - საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად.

დ) ნებართვები ,,ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ'' საქართველოს კანონის შესაბამისად:

დ.ა) უცხო ქვეყნის და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენელთა, აგრეთვე სხვა მნიშვნელოვან პირთა ვიზიტის დროს მათ თანმხლებ პირთა მიერ იარაღისა და საბრძოლო მასალის საქართველოში შემოტანის ნებართვა.

დ.ბ) იარაღის ერთი სახეობის ცალკეული ეგზემპლარების საქართველოში შემოტანის ნებართვა;

ე) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტები.

5. ზოგადი დეკლარირების უფლება აქვს საქონლის მფლობელს ან მის წარმომადგენელს.

6. ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებული დოკუმენტები დამოწმდება საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირის მიერ პირადნომრიანი ბეჭდით. (8.02.2007 N102)

მუხლი 5. საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმში მოსაქცევად აკრძალული საქონლის ნუსხა

1. აქციზური საქონელი, საგადასახადო კოდექსის 258-ე მუხლის შესაბამისად (გარდა მსუბუქი ავტომობილებისა (სეს ესნ-ის კოდი _ 8703) და ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ღონისძიებებისათვის განკუთვნილი თამბაქოსა და ალკოჰოლური ნაწარმისა).

2. მასალები, ნედლეული, ნახევარფაბრიკატები და მაკომპლექტებელი ნაწილები (გარდა გამოფენების, საჩვენებლად და გამოსაცდელად, სარეკლამო, სასწავლო, სამეცნიერო, სხვადასხვა სახის შეხვედრების და მსგავსი ღონისძიებებისათვის განკუთვნილი საქონლისა).

3. კვების პროდუქტები (გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული მიზნებით შემოტანილისა).

4. აკრძალული ან მკაცრად შეზღუდული საშიში ქიმიური ნივთიერებები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

5. საქონლის ადგილწარმოშობის დასახლებაზე ან გეოგრაფიულ აღნიშ-ნულზე უფლების დარღვევით წარმოებული ან/და კონტრაფაქციული საქონელი.

6. სახიფათო (მათ შორის ტოქსიკური) და რადიაქტიური, სამრეწველო, საყოფაცხოვრებო და სხვაგვარი ნარჩენები (ბაზელის კონვენციის მე-4 დანართით დადგენილი ნარჩენების განთავსების ოპერაციების ჩათვლით).

7. არასახიფათო (მათ შორის არატოქსიკური) და არარადიაქტიური სამრეწველო, საყოფაცხოვრებო და სხვაგვარი ნარჩენები (ბაზელის კონვენციის მე-4 დანართით განსაზღვრული ,,ნარჩენებთან დაკავშირებული განთავსების ოპერაციათა ,,ა'' ჯგუფი).

8. საქართველოში რეგისტრირებული სამკურნალო საშუალებების უკანონო ასლი, ფალსიფიცირებული სამკურნალო საშუალებები.

9. პესტიციდები და აგროქიმიკატები (გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული მიზნებით შემოტანილისა).

10. სასაქონლო ნიშნის მფლობელის ნებართვის გარეშე მესამე პირის მიერ ამ სასაქონლო ნიშნის იდენტური ან მსგავსი ნიშნით ნიშანდებული შესაფუთი მასალა ან შეფუთვა.

11. ფუტკრის ოჯახი, დედა ფუტკარი, ფუტკრის ამონაყარი, ფუტკრის სპერმა, ფუტკრის ჭია და კვერცხი.

12. ასაფეთქებელი ნივთიერებები, სამრეწველო დანიშნულების დენთი და პიროტექნიკური ნაკეთობები (გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული მიზნებით შემოტანილისა) უტილიზებული საბრძოლო მასალები, მათი წარმოების ნარჩენები;

13. „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრე-კურ-სორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული ნარკოტიკული საშუალებები, ფსიქოტროპული ნივთიერებები და პრეკურსორები.

14. ნავთობის მსუბუქი, საშუალო და მძიმე დისტილატები.

15. შეზღუდულად ბრუნვადი მასალები „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად.

მუხლი 6. საბაჟო კონტროლის ქვეშ მყოფი საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობის გამოწერა (8.02.2007 N102)

ამ ინსტრუქციის მე-4 მუხლში მითითებული დოკუმენტების საფუძველზე სასაზღვრო საბაჟო ორგანოს მიერ ხდება მოწმობის გამოწერა "საბაჟო კონტროლის ქვეშ მყოფი საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობის შევსების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 20 დეკემბრის N1764 ბრძანების შესაბამისად.

მუხლი 7. დროებით შემოტანილი საქონლისა ან/და სატრანსპორტო საშუალებების საქართველოს საბაჟო ტერიტორიის შესაბამის ადგილამდე მიტანის ვადა და მარშრუტი

1. სასაზღვრო საბაჟო ორგანოდან საბაჟო დამუშავების ოპერაციის განხორციელების საბაჟო ორგანომდე ან სხვა ადგილამდე ან კანონმდებლობით დადგენილი სხვა ადგილიდან საბაჟო დამუშავების ოპერაციის განხორციელების საბაჟო ორგანომდე ან სხვა ადგილამდე დროებით შემოტანილი საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების მიტანის ვადა განისაზღვრება განისაზღვრება დადგენილი წესით, გამგზავნი საბაჟო ორგანოს მიერ, გადასაზიდი საქონლის, სატრანსპორტო საშუალების, საბაჟო მარშრუტის ხასიათის და ეკოლოგიურ-კლიმატური პირობების გათვალის-წინებით.

2. დროებით შემოტანილი საქონლისა ან/და სატრანსპორტო საშუალებების საქართველოს საბაჟო ტერიტორიის შესაბამის ადგილამდე მიტანა ხორციელდება ნებისმიერი გზით, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა.

3. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე დროებით შემოტანილი საქონელი და/ან სატრანსპორტო საშუალება იმყოფება საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მისთვის საბაჟო სტატუსის მინიჭებამდე, შეცვლამდე, თავისუფალ ზონაში ან თავისუფალ საწყობში გადატანამდე, საბაჟო ტერიტორიიდან რეექსპორტამდე ან საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ განადგურებამდე, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მყოფი დროებით შემოტანილი საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალებების მიმართ შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ საბაჟო ორგანოსთან შეთანხმებული მოქმედებები და ოპერაციები.

5. თუ საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მყოფი დროებით შემოტანილი საქონელი ან/და სატრანსპორტო საშუალებები განადგურდა ან დაზიანდა, საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების მფლობელი ვალდებულია, დაუყოვნებლივ შეატყობინოს საბაჟო ორგანოს და წარუდგინოს მას განადგურების ან დაზიანების უტყუარი მტკიცებულებები, რომელიც დამოწმებულია შესაბამისი უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ. თუ საბაჟო ორგანოს არ დააკმაყოფილებს წარმოდგენილი მტკიცებულებები, საქონელი ჩაითვლება საბაჟო ზედამხედველობიდან უკანონოდ გასულად.

6. თუ დროებით შემოტანილი საქონელი და/ან სატრანსპორტო საშუალებები უკანონოდ გადის საბაჟო ზედამხედველობიდან ან საბაჟო ორგანოს აქვს საფუძვლიანი ეჭვი საბაჟო ზედამხედველობიდან საქონლის და/ან სატრანსპორტო საშუალების უკანონოდ გასვლაზე და დეკლარანტს ან საქონლის მესაკუთრეს ან საქონლის მფლობელს არ შეუძლია საბაჟო ორგანოს დაუმტკიცოს ამ საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების საბაჟო ზედამხედველობიდან კანონიერად გასვლის ფაქტი, ვალდებულმა პირმა საბაჟო ზედამხედველობიდან საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების უკანონოდ გასვლის აღმოჩენიდან 5 კალენდარული დღის განმავლობაში უნდა შეასრულოს წარმოშობილი საბაჟო ვალდებულება.

7. პირზე, რომელიც იღებს საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე დროებით შემოტანილი შემოტანილი საქონლისა ან/და სატრანსპორტო საშუალების ტრანსპორტირების პასუხისმგებლობას, ვრცელდება ამ მუხლში აღნიშნული ვალდებულებები.

8. სასაზღვრო საბაჟო ორგანოდან საბაჟო დამუშავების ოპერაციის განხორციელების საბაჟო ორგანომდე ან სხვა ადგილამდე ან კანონმდებლობით დადგენილი სხვა ადგილიდან საბაჟო დამუშავების ოპერაციის განხორციელების საბაჟო ორგანომდე ან სხვა ადგილამდე დროებით შემოტანილი საქონლისა ან/და სატრანსპორტო საშუალებების მიტანა ხორციელდება მოწმობით, გარდა კანონმდებობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 8. საქონლის წარდგენა დანიშნულების ადგილზე არასაბაჟო ორგანოში

1. საქონლის დანიშნულების ადგილზე(არასაბაჟო ორგანო) წარდგენის დადასტურების მიზნით ხდება დამოწმება: (8.02.2007 N102)

ა) საბაჟო საწყობის(დროებითი შენახვის საწყობის) მიერ აღრიცხვის მოწმობის უკანა გვერდზე გაკეთებული აღნიშვნით(ბეჭედი, ხელმოწერა, თარიღი და დრო). დამოწმებული მოწმობის საბაჟო ორგანოსათვის გადაცემის ვალდებულება ეკისრება საბაჟო საწყობს, იმავე ან მე-2 სამუშაო დღის 12 საათამდე;

ბ) სარკინიგზო გადაზიდვების შემთხვევაში რკინიგზის მიერ სარკინიგზო ზედნადებზე და აღრიცხვის მოწმობის უკანა გვერდზე გაკეთებული აღნიშვნით(შტამპი, ხელმოწერა, თარიღი და დრო). დამოწმებული აღრიცხვის მოწმობისა და სარკინიგზო ზედნადების საბაჟო ორგანოსათვის გადაცემის ვალდებულება ეკისრება სარკინიგზო ზედნადებში მითითებულ ტვირთმიმღებს.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული საქონლისა ან/და სატრანსპორტო საშუალებების წარდგენის თარიღი და დრო ჩაითვლება საბაჟო ორგანოში საქონლისა ან/და სატრანსპორტო საშუალებების წარდგენის დღედ.

3. ამოღებულია (8.02.2007 N102)

მუხლი 9. საქონლის წარდგენა საბაჟო დამუშავების ოპერაციის ადგილზე

1. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის დროებითი შემოტანის დროს (უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მიერ გადაადგილებული უცხოეთში რეგისტრირებული მსუბუქი ავტოსატრანსპორტო საშუალებების გარდა), მისი წარდგენა საბაჟო დამუშავების ოპერაციის ადგილზე (საბაჟო ორგანოში), რომელიც მდებარეობს არასასაზღვრო საბაჟო ორგანოს სამოქმედო ტერიტორიაზე, ხორციელდება მოწმობის წარდგენით, რომელიც დადასტურდება

მოწმობაში საბაჟო ორგანოს პასუხისმგებელი პირის პირადნომრიანი ბეჭდის დასმით, აგრეთვე დამოწმების თარიღისა და დროის მითითებით. (23.07.2007 N926)

2. იმ შემთხვევაში, თუ დროებითი შემოტანისათვის განკუთვნილი საქონელი, რომელიც გადაადგილდება საბაჟო გამშვები პუნქტიდან ან კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ადგილიდან და პირდაპირ წარედგინება საბაჟო ორგანოს (დროებითი შენახვის საბაჟო საწყობში წარდგენის გარეშე), მაშინ საქონლის წარდგენად ჩაითვლება მოწმობის წარდგენა საბაჟო ორგანოში, რომელიც დასტურდება მოწმობაში საბაჟო მოხელის პირადნომრიანი ბეჭდის დასმით, აგრეთვე დამოწმების თარიღისა და დროის მითითებით.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მოწმობა იხსნება კონტროლიდან სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის წარდგენის საფუძველზე სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციიდან არაუგვიანეს ერთი საათისა.

მუხლი 10. საქონლის დროებითი შემოტანის ვადები

1. საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმში საქონლის მოქცევის ზღვრული ვადა არ აღემატება 2 წელს.

2. საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმში ყოფნის კონკრეტული ვადა განისაზღვრება დეკლარანტის მიერ ზღვრული ვადის (2 წელი) ფარგლებში.

3. დროებითი შემოტანის ვადის გასვლამდე (თუ გაგრძელებული არ იქნება დროებითი შემოტანის წინასწარ განსაზღვრული ვადა) საქონელი გატანილ უნდა იქნეს საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან ან მის მიმართ უნდა განისაზღვროს სხვა საბაჟო დამუშავების ოპერაციის სახე.

4. საქონლის დროებითი შემოტანის ვადა აითვლება საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმში უცხოური საქონლის მოქცევის დღიდან.

5. საქონლის დროებითი შემოტანის წინასწარ განსაზღვრული ვადის გაგრძე-ლების შემთხვევაში უნდა განხორციელდეს საქონლის ხელახალი დეკლარირება.

6. საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონელი რეჟიმში ყოფნის მთელ პერიოდში რჩება შემომტანის განკარგულებაში.

7. საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმში ყოფნის წინასწარ განსაზღვრული ვადა (მ.შ. იმპორტის გადასახდელების (გარდა საბაჟო მოსაკრებლისა) გადახდისაგან სრულიად გათავისუფლებით დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმში მოქცეული უცხოური საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე დროებითი ყოფნის ვადა), დეკლარანტის წერილობითი განცხადების საფუძველზე, საბაჟო ორგანოს მიერ შეიძლება გაგრძელდეს რამდენჯერმე, იმ პირობით, რომ საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმში ყოფნის საერთო ვადა (გაგრძელებული ვადის ჩათვლით) არ უნდა აღემატებოდეს ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებულ ზღვრულ ვადას (2 წელს). (27.06.2007 N732)

8. თუ საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმში მყოფი საქონელი დაყადაღებულ იქნა სახელმწიფო ორგანოების მიერ, მაშინ დაყადაღების პერიოდის ვადით წყდება მოცემული საქონლის გატანის ვალდებულება.

9. დეკლარანტი ვალდებულია, საბაჟო ორგანოს დაუყოვნებლივ აცნობოს საქონლის დაყადაღების შესახებ და წარუდგინოს აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტი.

მუხლი 11. სატვირთო საბაჟო დეკლარაციის წარდგენა

1. დეკლარაციის წარდგენა ხდება საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრულ იმ საბაჟო ორგანოში, სადაც წარმოებს საქონლის საბაჟო დამუშავების ოპერაცია.

2. დეკლარაციის წარდგენა ხდება:

ა) ზოგადი დეკლარირებიდან 45 კალენდარულ დღეში, თუ საქონელი შემოტანილია საზღვაო გზით;

ბ) ზოგადი დეკლარირებიდან 20 კალენდარულ დღეში, თუ საქონელი შემოტანილია სხვა გზით.

3. საბაჟო ორგანოს, შესაბამისი დასაბუთებით, შეუძლია შეამციროს ამ მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნული ვადები ან დეკლარანტის წერილობითი განცხადების საფუძველზე გააგრძელოს ისინი 45 კალენდარული დღით.

4. დეკლარაციას ავსებს დეკლარანტი.

5. სატვირთო საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაცია ხორციელდება დამუ-შავების საბაჟო ორგანოში საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად

6. დეკლარანტის მიერ სატვირთო საბაჟო დეკლარაციის შევსება ხორციელდება საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად.

7. სატვირთო საბაჟო დეკლარაციასთან ერთად საბაჟო დამუშავების ოპერაციის ად-გილზე დეკლარანტის მიერ ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტებიდან წარდგენილი უნდა იქნეს საქონლისა და მისი გადაადგილების, სატრანსპორტო საშუალების სახეობის და კანონმდებლობით განსაზღვრუ-ლი სხვა პირობებიდან გამომდინარე საჭირო დოკუმენტები:

ა) ხელშეკრულება;

ბ) ინვოისი;

გ) სატრანსპორტო ზედდებული;

დ) კონოსამენტი;

ე) მანიფესტი;

ვ) TIR-კარნეტის დოკუმენტი;

ზ) ერთჯერადი ან გენერალური მინდობილობა ან ხელშეკრულება;

თ) ნებართვები ,,ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად:

თ.ა) უცხო ქვეყნის და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენელთა, აგრეთვე სხვა მნიშვნელოვან პირთა ვიზიტის დროს მათ თანმხლებ პირთა მიერ იარაღისა და საბრძოლო მასალის საქართველოში შემოტანის ნებართვა.

თ.ბ) იარაღის ერთი სახეობის ცალკეული ეგზემპლარების საქართველოში შემოტანის ნებართვა;

ი) სერტიფიკატები:

ი.ა) საქონლის წარმოშობის სერტიფიკატი;

ი.ბ) საქონლის უსაფრთხოების სერტიფიკატი;

ი.გ) ფიტო-სანიტარული სერტიფიკატი;

ი.დ) ვეტერინარული სერტიფიკატი;

ი.ე) სანიტარულ-ჰიგიენური სერტიფიკატი;

ი.ვ) ფუმიგაციისა და დეზინფექციის სერტიფიკატი;

კ) საქონლის სპეციფიკაცია;

ლ) საბაჟო გადასახდელების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

მ) გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი (კოდი);

ნ) ექსპერტიზის აქტი;

ო) საქონლის დათვალიერების აქტი;

პ) საქონლის სინჯის (ნიმუშის) აღების აქტი (ოქმი);

ჟ) ჯარიმის გადახდის დოკუმენტი;

რ) საბაჟო სამართალდარღვევის ოქმი;

ს) ავტოსატრანსპორტო საშუალების ტექნიკური პასპორტი;

ტ) საქონლისა და/ან სატრანსპორტო საშუალების საბაჟო კონტროლის ქვეშ დროებითი შენახვის განაცხადი.

უ) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტები.

8. საბაჟო ორგანოს და საქონლის მესაკუთრის თანხმობით დასაშვებია საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონლის გადაცემა სხვა პირის სარგებლობაში. გადაცემა ხორციელდება საქონლის მესაკუთრის წერილობითი თანხმობით, რომლის საფუძველზეც საქონლის ახალი მფლობელი საბაჟო ორგანოში წარადგენს სატვირთო საბაჟო დეკლარაციას. ასეთ შემთხვევაში დროებითი შემოტანის ვადა განისაზღვრება წინმსწრებ დეკლარაციაში მითითებული ვადით, რომელსაც აკლდება ამ საქონლის დროებით შემოტანის საბაჟო რეჟიმში ყოფნის ფაქტობრივი დრო.

მუხლი 12. საქონლის საბაჟო დათვალიერება, სინჯის ან/და ნიმუშის აღება საბაჟო დამუშავების ოპერაციის ადგილებში

საბაჟო ორგანოს გადაწყვეტილებით საბაჟო დამუშავების ოპერაციის ადგილას შეიძლება განხორციელდეს საქონლის დათვალიერება, სინჯების და ნიმუშების აღება საქართველოს საბაჟო კოდექსის შესაბამისად.

მუხლი 13. საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმის გამოყენების დროს მოქმედი შეღავათები

1. საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონლის მიმართ, დეკლარანტის მოთხოვნით, გამოიყენება ის შეღავათები, რაც მოქმედებს საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღისათვის.

2. თუ საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის შემდეგ ამ საქონლის გაშვებამდე პერიოდში საქართველოს კანონმდებლობით შემცირდა საბაჟო გადასახდელების განაკვეთები, დეკლარანტის მოთხოვნით, გამოყენებულ უნდა იქნეს შემცირებული განაკვეთები.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნული პროცედურა ხორციელდება საბაჟო დეკლარაციის შეცვლით და ახალი საბაჟო დეკლარაციის წარდგენით.

4. თუ, საქონლის გაშვება არ განხორციელდა ან გაჭიანურდა დეკლარანტის მიზეზით ან მისი უმოქმედობის გამო, ხოლო ამ პერიოდში შეიცვალა საბაჟო კანონმდებლობა რომელმაც გამოიწვია შესაბამისი შეღავათების შემოღება, მაშინ მასზე არ გავრცელდება ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული შეღავათები.

5. საქართველოს საბაჟო კოდექსის 128-ე მუხლით გათვალისწინებული დროებითი შემოტანის რეჟიმში მოქცეული საქონელი სრულად თავისუფლდება იმპორტის გადასახდელების (გარდა საბაჟო მოსაკრებლისა) გადახდისაგან, თუ დაცული იქნება აღნიშნული მუხლით დადგენილი პირობები.

მუხლი 13[1]. საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმში მოქცეული, იმპორტის გადასახდელების გადახდისაგან ნაწილობრივ გათავისუფლებული საქონლის მიმართ გადასახდელი თანხის გადახდის განრიგი (8.02.2007 N102)

1. საქართველოს საბაჟო კოდექსის 130-ე მუხლით გათვალისწინებული საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმში მოქცეულ, იმპორტის გადასახდელების გადახდისაგან ნაწილობრივ გათავისუფლებულ საქონელზე დეკლარანტი განსაზღვრავს იმპორტისას გადასახდელი თანხის ოდენობას და საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმში ყოფნის ვადის გათვალისწინებით ყოველთვიურად გადასახდელი იმპორტის გადასახდელების იმ თანხის 3 პროცენტს, რომელიც გადაიხდევინებოდა საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღეს ამ საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისას, მისი გადახდის ვადებს და ავსებს შესაბამის განრიგს თანახმად დანართისა (დანართი N1).

2. განრიგი ივსება ორ ეგზემპლარად, რომლებიც თან ერთვის სატვირთო საბაჟო დეკლარაციას თანმხლებ დოკუმენტებთან ერთად.

3. სატვირთო საბაჟო დეკლარაციის შემოწმებისა და საქონლის გაშვების შემდეგ განრიგის ერთი ეგზემპლარი საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირის ხელმოწერისა და ბეჭდის დასმით უბრუნდება დეკლარანტს, ხოლო მეორე ეგზემპლარი რჩება საბაჟო ორგანოს თანმხლებ დოკუმენტაციასთან ერთად.

მუხლი 14. საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმის შეცვლა სხვა საბაჟო რეჟიმით

დეკლარანტს შეუძლია საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმი შეცვალოს ნებისმიერი საბაჟო დამუშავების ოპერაციით (გარდა ტრანზიტისა და ექსპორტის საბაჟო რეჟიმებისა), თუ წარმოდგენილია კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი დოკუმენტები.

მუხლი 15. საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალებების მიტანასთან დაკავშირებული ავარიის ან დაუძლეველი ძალის დროს გასატარებელი ღონისძიებები

1. ავარიის ან დაუძლეველი ძალის დროს, პირი, რომელიც ვერ ასრულებს ამ ინსტრუქციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ვალდებულია:

ა) დაუყოვნებლივ აცნობოს უახლოეს საბაჟო ორგანოს აღნიშნული გარემოებების, საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალებების ადგილმდებარეობისა და მდგომარეობის შესახებ და იმოქმედოს მისი მითითებების შესაბამისად;

ბ) მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების ხელშეუხებლობის უზრუნველსაყოფად;

გ) უზრუნველყოს საქონლისა ან/და სატრანსპორტო საშუალების მიტანა უახლოესი საბაჟო ორგანოს ტერიტორიაზე ან საბაჟო ორგანოს მიერ მითითებულ ადგილზე;

2. აუცილებლობის შემთხვევაში შესაბამისი საბაჟო ორგანო ვალდებულია, განსაზღვროს ამ საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების დანიშნულების საბაჟო ორგანომდე ან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ადგილამდე მიტანის უზრუნველყოფის ღონისძიებები.

3. ავარიისა ან დაუძლეველი ძალის შედეგად განადგურებულ საქონელზე დგება ოქმი და განადგურების შედეგად წარმოშობილი ნარჩენები და ჯართი გადაადგილდება საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით შესაბამისად.

4. ამ მუხლის მოთხოვნათა შესრულებისათვის გაწეულ ხარჯებს ანაზღაურებს საქონელსა და/ან სატრანსპორტო საშუალებაზე უფლებამოსილი შესაბამისი პირი.

მუხლი 16. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის დროებითი შემოტანა კანონმდებლობით განუსაზღვრელ ადგილებში

1. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის დროებითი შემოტანა და საბაჟო პროცედურების განხორციელება საქართველოს მთავრობის დადგენილებით განუსაზღვრელ ადგილებში (განსაკუთრებულ შემთხვევებში სამხედრო ტექნიკისა და შეიარაღების, ავარიების, დაუძლეველი ძალის მოქმედების შედეგების ლიკვიდაციო, აგრეთვე სამაშველო სამუშაოების შესასრულებლად ტექნიკის შემოტანის, პირუტყვის ჯოგის შემოყვანისა და სხვა ადგილები) დაიშვება საქონლის შემომტანი პირის განცხადების საფუძველზე, მისივე ხარჯებით და საბაჟო ორგანოსთან შეთანხმებით. განცხადება შეტანილ უნდა იქნეს შესაბამის ტერიტორიულ საბაჟო ორგანოში და ასევე, სასაზღვრო პოლიციის შესაბამის სტრუქტურაში.

2. ტერიტორიულ საბაჟო ორგანოს ენიჭება უფლებამოსილება განიხილოს და გადაწყვიტოს განცხადებაში დასმული საკითხი. გადაწყვეტილება მიიღება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ _ სამართლებრივი აქტის გამოცემით.

3. განცხადება უნდა იყოს წერილობითი ფორმით და შეიცავდეს:

ა) ტერიტორიული საბაჟო ორგანოს დასახელებას;

ბ) განმცხადებლის (ფიზიკური პირი, იურიდიული პირი) ვინაობას (დასახელებას) და მისამართს;

გ) მოთხოვნას (საქონლის შემოტანის უფლების, შემოტანის ადგილის, ავტოსატრანსპორტო საშუალებების, ტექნიკის, საქონლის სახეობის, რაოდე-ნობისა და ღირებულების მითითებით);

დ) განცხადების წარდგენის თარიღს და განმცხადებლის ხელმოწერას;

ე) განცხადებაზე დართული საბუთების ნუსხას, მათი არსებობის შემთხვევაში.

4. განმცხადებელს უფლება აქვს ტერიტორიულ საბაჟო ორგანოს განცხა-დებასთან ერთად წარუდგინოს ყველა საბუთი, რომელიც შეიძლება საფუძვლად დაედოს განცხადებაში დასმული საკითხის გადაწყვეტას და შესაბამისი ადმინისტრაციული აქტის გამოცემას.

5. ტერიტორიული საბაჟო ორგანო განცხადების მიღების დღესვე ახდენს მის რეგისტრა-ციას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. განცხადების რეგისტრაციის მომენტიდან ტერიტორიული საბაჟო იწყებს განცხადებაში დასმული საკითხის განხილვას.

7. თუ ტერიტორიული საბაჟოს ხელმძღვანელობა გადაწყვეტს, რომ განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება შესაძლებელია, შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით განსაზღვრავს საბაჟოს პასუხისმგებელ პირებს, რომლებ-საც დაევალებათ საზღვრის გადმოკვეთის ადგილიდან მიზანშეწონილ საბაჟო ორგანომდე საქონლის გადაზიდვის ზედამხედველობა და გაცილება.

8. ამ მუხლის მე-7 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში საბაჟო ორგანოს პასუხისმგებელი პირი საბაჟო პროცედურებს დროის უმოკლეს პერიოდში ახორციელებს სასაზღვრო პოლიციის სასაზღვრო გამტარი პუნქტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარმომადგენლებ-თან კოორდინაციით და კომპეტენციის ფარგლებში მათი მონაწილეობით.

9. ტერიტორიული საბაჟო ორგანოს ხელმძღვანელობა თავისი გადაწყვეტილების თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობებს განმცხადებელს, აგრეთვე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციას და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს და უგზავნის მათ მიღებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დადგენილი წესით დამოწმებულ ასლებს. (23.04.2007 N391)

10. საბაჟო ორგანოების ზედამხედველობისა და საბაჟო კონტროლის გარეშე ყველა სხვა ადგილებში საქონლითა და სატრანსპორტო საშუალებებით საზღვრის გადაკვეთა განიხილება, როგორც საბაჟო წესების დარღვევა და ისჯება კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 17. საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმის დასრულება

1. საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმი დასრულებულად ითვლება თუ:

ა) საქონელი გატანილია შესაბამისი პროცედურების დაცვით. ამასთან საქონელი შეიძ-ლება გატანილ იქნეს ნაწილ-ნაწილ, პარტიების სახით. დასაშვებია საქონელი გატანილ იქნეს შემოტანის სასაზღვრო საბაჟო გამშვები პუნქტიდან განსხვავებულ სხვა სასაზღვრო საბაჟო გამშვები პუნქტის გავლით;

ბ) საქონელი მოექცა სხვა საბაჟო რეჟიმში ან გამოყენებული იქნა საბაჟო კოდექსით გათვალისწინებული ნებისმიერი საბაჟო დამუშავების ოპერაცია;

გ) საქონელი განადგურდა ავარიის ან დაუძლეველი ძალის მოქმედების შედეგად, ხოლო დეკლარანტი საბაჟო ორგანოს წარუდგენს სათანადო მტკიცებულებას.

2. დროებით შემოტანილი საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანის დამადასტურებელი დოკუმენტია საქონელზე დადგენილი წესით სასაზღვრო საბაჟო გამშვები ორგანოს მიერ გამოწერილი კონტროლიდან მოხსნილი საბაჟო კონტროლის ქვეშ მყოფი საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობა.

საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმში მოქცეული, იმპორტის გადასახდელების გადახდისაგან ნაწილობრივ გათავისუფლებული საქონლის მიმართ გადასახდელი თანხის გადახდის

გ ა ნ რ ი გ ი

1. საბაჟო ორგანო ----------
(დასახელება)
2. დეკლარანტი (გადასახადის გადამხდელი) ----------
(დასახელება)
3. დეკლარანტის საიდენტიფიკაციო ნომერი ----------
4. საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმში მოქცევის დღე (თარიღი) ----------
5. საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმში მოქცევის ვადა ----------
6. საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების შემთხვევაში გადასახდელი გადასახადები:

	საბაჟო გადასახადი	აქციზი	დღგ	სულ
თანხა, ლარი				

6. გადასახდელი თანხის გადახდის განრიგი:

გადახდის თარიღი	გადასახადის სახეობა და სახაზინო კოდი			სულ
	საბაჟო გადასახადი ---------- (სახაზინო კოდი)	აქციზი ---------- (სახაზინო კოდი)	დღგ ---------- (სახაზინო კოდი)	

დეკლარანტი ----------
(სახელი, გვარი, ხელმოწერა, ბეჭედი (არსებობის შემთხვევაში)
საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირი ----------
(სახელი, გვარი, ხელმოწერა, ბეჭედი

შენიშვნა: გადახდის თარიღის გრაფაში იწერება საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის მომდევნო თვის (თვეების) არაუგვიანეს 15 რიცხვი

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №1753

2006 წლის 20 დეკემბერი

სახელმწიფო საკუთრებაში საქონლის გადაცემის წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბაჟო კოდექსის 168-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის N39 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის "ლ" ქვეპუნქტის საფუძველზე, ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს ინსტრუქცია "სახელმწიფო საკუთრებაში საქონლის გადაცემის წესის შესახებ".

2. ბრძანება ამოქმედდეს 2007 წლის 1 იანვრიდან.

ა. ალექსიშვილი

ინსტრუქცია
სახელმწიფო საკუთრებაში საქონლის გადაცემის წესის შესახებ

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. სახელმწიფო საკუთრებაში შეიძლება გადაცემულ იქნეს უცხოური საქონელი, რისთვისაც საქონლის მფლობელი საბაჟო ორგანოს წარუდგენს საქონლის მესაკუთრესთან შეთანხმებულ წერილობით შუამდგომლობას.

2. საბაჟო ორგანო საქონლის გადაცემის თაობაზე თანხმობას გამოხატავს საქონლის მფლობელის შესაბამისი წერილობითი შუამდგომლობის ფურცელზე საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირის შესაბამისი ხელმოწერითა და პირად-ნომრიანი ბეჭდის დასმით.

3. სახელმწიფო საკუთრებაში შეიძლება გადაეცეს ის საქონელიც, რომელზეც არ არის წარმოდგენილი კანონმდებლობით გათვალისწინებული ნებართვები, ლიცენზიები, სერტიფიკატები.

4. აკრძალულია იმ საქონლის სახელმწიფოს საკუთრებაში გადაცემა, რომლის შემოტანა საქართველოს ტერიტორიაზე აკრძა-ლულია.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტში აღნიშნული აკრძალული საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანის დროს, იგი დაუყონებლივ უნდა იქნეს გატანილი და/ან დაუყონებლივ გატანის შეუძლებლობის შემთხვევაში მოთავსდეს დროებითი შენახვის საწყობში.

6. ამ მუხლის მე-4 პუნქტში აღნიშნული საქონლის უკან დაბრუნების დროს წარმოდგენილ დოკუმენტებზე (სატრანსპორტო ზედდებული ან ინვოისი ან კანონმდებლობით დადგენილი სხვა საბაჟო დოკუმენტი) საბაჟო ორგანო აკეთებს აღნიშვნას - „დაბრუნებულია საქონელი", მიეთითება თარიღი და დასტურდება პირადნომრიანი ბეჭდით. აღნიშნულ საქონელზე გამოიწერება „საბაჟო კონტროლის ქვეშ მყოფი საქონლისა ან/და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობა" (შემდგომში – მოწმობა) საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად.

7. სახელმწიფოს საკუთრებაში საქონლის გადაცემის დროს საბაჟო გადასახდელები არ გადაიხდევინება.

8. სასაზღვრო საბაჟო ორგანოს უფლება აქვს საქონლის წარდგენიდან 2 დღის შემდეგ დაუყოვნებლივ დააბრუნოს საქონელი, თუ წარმოდგენილი დოკუმენტები არ მოიცავს ზოგადი დეკლარირებისათვის საჭირო მონაცემებს და არ არის წარმოდგენილი კანონმდებლობით გათვალისწინებული ლიცენზიები, ნებართვები და სერტიფიკატები.

9. მე-8 პუნქტში აღნიშნული საქონლის დაბრუნება ხორციელდება ამ მუხლის მე-6

პუნქტების მოთხოვნათა შესაბამისად.

მუხლი 2. სახელმწიფოს საკუთრებაში გადასაცემად განკუთვნილი საქონლის საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანის დროს გათვალისწინებული საბაჟო პროცედურები

1. სახელმწიფოს საკუთრებაში გადასაცემად განკუთვნილი საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე (გამშვებ პუნქტზე) შემოტანის დროს დადგენილი წესის შესაბამისად ხორციელდება შემდეგი საბაჟო პროცედურები:

ა) საქონლის წარდგენა;

ბ) ზოგადი დეკლარირება;

გ) მოწმობის გამოწერა.

2. საბაჟო ორგანოს გადაწყვეტილებით, ზოგადი დეკლარირების შემდეგ, სასაზღვრო საბაჟო ორგანოში შეიძლება განხორციელდეს საქონლის დათვალიერება, სინჯების და ნიმუშების აღება და საიდენტიფიკაციო ნიშნების დადება საქართველოს საბაჟო კოდექსის შესაბამისად.

მუხლი 3. სახელმწიფოს საკუთრებაში გადასაცემად განკუთვნილი საქონლის წარდგენა სასაზღვრო საბაჟო ორგანოში

საბაჟო ორგანოში საქონლის წარდგენა ხდება:

ა) სახმელეთო სასაზღვრო გამტარ პუნქტებში - სასაზღვრო კონტროლის განხორციელების შემდეგ საქონლის საბაჟო კონტროლის ზონაში ფაქტობრივი განთავსებით;

ბ) საერთაშორისო ნაოსნობისათვის გახსნილ საზღვაო პორტებში და საერთაშორისო აეროპორტებში გახსნილ სასაზღვრო გამტარ პუნქტებში – გემის ან თვითმფრინავის კაპიტნის ან უფლებამოსილი პირის მიერ სატვირთო მანიფესტის საბაჟო ორგანოსთვის წარდგენით, რაც დამოწმდება საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირის მიერ პირადნომრიანი ბეჭდით და თარიღის მითითებით.

გ) საავტომობილო ტრანსპორტით საქართველოს საბაჟო საზღვრის საბაჟო ორგანოს მიერ შერჩეულ ადგილზე (სასაზღვრო გამტარი პუნქტის გარდა) გადმოკვეთის შემთხვევაში – სასაზღვრო კონტროლის განხორციელების შემდეგ საქონლის საბაჟო ორგანოს მიერ შერჩეულ საბაჟო კონტროლის ზონაში (საბაჟო ორგანო, საბაჟო საწყობი, დროებითი შენახვის საწყობი, საბაჟო კონტროლის სხვა ზონა ან საბაჟო ორგანოს მიერ მითითებული სხვა ნებისმიერი ადგილი) ფაქტობრივი განთავსებით.

მუხლი 4. სახელმწიფოს საკუთრებაში გადასაცემად განკუთვნილი საქონლის ზოგადი დეკლარირება სასაზღვრო საბაჟო ორგანოში

1. ზოგადი დეკლარირება უნდა განხორციელდეს ამ ინსტრუქციის მე-3 მუხლით განსაზღვრული საქონლის სასაზღვრო კონტროლის განხორციელების დასრულებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა.

2. ზოგადი დეკლარირება ხორციელდება (ზოგადი დეკლარირების ფორმა) საბაჟო ორგანოსადმი იმ ზოგადი მონაცემების ამსახველი დოკუმენტების წარდგენით, რომელიც აუცილებელია შესაბამისი საბაჟო დამუშავების ოპერაციის შერჩევამდე მისი იდენტიფიკაციისათვის, საბაჟო ზედამხედველობისა და საბაჟო კონტროლის განხორციელებისათვის (მათ შორის, საბაჟო კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული მოწმობის შევსებისათვის).

3. ზოგადი დეკლარირების მიზნით სასაზღვრო საბაჟო ორგანოში წარდგენილი უნდა იქნეს სატრანსპორტო დოკუმენტები:

ა) საავტომობილო ტრანსპორტით გადაზიდვის დროს – სატრანსპორტო ზედდებული;

ბ) საზღვაო ტრანსპორტით საქონლის შემოტანის დროს – კონოსამენტი;

გ) საჰაერო ტრანსპორტით საქონლის შემოტანის დროს – ავიაზედდებული.

4. ზოგადი დეკლარირების მიზნით ამ მუხლის მე-3 პუნქტში გათვალისწინებული დოკუმენტების გარდა შეიძლება გამოყენებულ იქნას საქონლის თანმხლები სხვა დოკუმენტები:

ა) ხელშეკრულება ან/და ინვოისი;

ბ) წარმოშობის სერტიფიკატი;

გ) საბაჟო გარანტია (ან TIR-კარნეტის დოკუმენტი) საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად.

დ) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტები.

5. ზოგადი დეკლარირების უფლება აქვს საქონლის მფლობელს ან მის წარმომადგენელს.

6. ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებული დოკუმენტები დამოწმდება საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირის მიერ პირადნომრიანი ბეჭდით. (8.02.2007 N97)

მუხლი 5. საბაჟო კონტროლის ქვეშ მყოფი საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობის გამოწერა (8.02.2007 N97)

ამ ინსტრუქციის მე-4 მუხლში მითითებული დოკუმენტების საფუძველზე სასაზღვრო საბაჟო ორგანოს მიერ ხდება მოწმობის გამოწერა "საბაჟო კონტროლის ქვეშ მყოფი საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობის შევსების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 20 დეკემბრის N1764 ბრძანების შესაბამისად.

მუხლი 6. სახელმწიფოს საკუთრებაში გადასაცემად განკუთვნილი საქონლისა ან/და სატრანსპორ-ტო საშუალების საქართველოს საბაჟო ტერიტორიის შესაბამის ადგილამდე მიტანის გადა და მარშრუტი

1. სასაზღვრო საბაჟო ორგანოდან საბაჟო დამუშავების ოპერაციის განხორციელების საბაჟო ორგანომდე ან სხვა ადგილამდე ან კანონმდებლობით დადგენილი სხვა ადგილიდან საბაჟო დამუშავების ოპერაციის განხორციელების საბაჟო ორგანომდე ან სხვა ადგილამდე საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების მიტანის ვადა განისაზღვრება დადგენილი წესით, გამგზავნი საბაჟო ორგანოს მიერ, გადასაზიდი საქონლის, სატრანსპორტო საშუალების, საბაჟო მარშრუტის ხასიათის და ეკოლოგიურ-კლიმატური პირობების გათვალისწინებით.

2. შემოტანილი საქონლისა ან/და სატრანსპორტო საშუალებების საქართველოს საბაჟო ტერიტორიის შესაბამის ადგილამდე მიტანა ხორციელდება ნებისმიერი გზით, გარდა თამბაქოს ნაწარმის გადაზიდვის შემთხვევისა.

3. საბაჟო ზედამხედველობას დაქვემდებარებული თამბაქოს ნაწარმის გადაადგილება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ხორციელდება იმ საბაჟო ორგანოების გაელით, რომელიც განსაზღვრულია "სასაზღვრო საბაჟო ორგანოს გახსნის, მუშაობის დროის და მისი გაელით შემოსატანი საქონლის სახეობების განსაზღვრის შესახებ" საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

4. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი საქონელი და/ან სატრანსპორტო საშუალება იმყოფება საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მისთვის საბაჟო სტატუსის მინიჭებამდე, შეცვლამდე, თავისუფალ ზონაში ან თავისუფალ საწყობში გადატანამდე, საბაჟო ტერიტორიიდან რეექსპორტამდე ან საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ განადგურებამდე, გარდა კანონმდებობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

5. საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მყოფი საქონლის ან/და სატრანს-პორტო საშუალების მიმართ შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ საბაჟო ორგანოსთან შეთანხმებული მოქმედებები და ოპერაციები.

6. თუ საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მყოფი საქონელი ან/და სატრანსპორტო საშუალებები განადგურდა ან დაზიანდა, საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების მფლობელი ვალდებულია დაუყონებლიე შეატყობინოს საბაჟო ორგანოს და წარუდგინოს მას განადგურე-

ბის ან დაზიანების უტყუარი მტკიცებულებები, რომელიც დამოწმებულია შესაბამისი უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ. თუ საბაჟო ორგანოს არ დაკმაყოფილებს წარმოდგენილი მტკიცებულებები, საქონელი ჩაითვლება საბაჟო ზედამხედველობიდან უკანონოდ გასულად.

7. თუ საქონელი და/ან სატრანსპორტო საშუალებები უკანონოდ გადის საბაჟო ზედამხედველობიდან ან საბაჟო ორგანოს აქვს საფუძვლიანი ეჭვი საბაჟო ზედამხედველობიდან საქონლის და/ან სატრანსპორტო საშუალების უკანონოდ გასვლაზე და დეკლარანტს ან საქონლის მესაკუთრეს ან საქონლის მფლობელს არ შეუძლია საბაჟო ორგანოს დაუმტკიცოს ამ საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების საბაჟო ზედამხედველობიდან კანონიერად გასვლის ფაქტი, ვალდებულმა პირმა საბაჟო ზედამხედველობიდან საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების უკანონოდ გასვლის აღმოჩენიდან 5 კალენდარული დღის განმავლობაში უნდა შეასრულოს წარმოშობილი საბაჟო ვალდებულება.

8. პირზე, რომელიც იღებს საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი საქონლისა ან/და სატრანსპორტო საშუალების ტრანსპორტირების პასუხისმგებლობას, ვრცელდება ამ მუხლში აღნიშნული ვალდებულებები.

9. სასაზღვრო საბაჟო ორგანოდან საბაჟო დამუშავების ოპერაციის განხორციელების საბაჟო ორგანომდე ან სხვა ადგილამდე ან კანონმდებლობით დადგენილი სხვა ადგილიდან საბაჟო დამუშავების ოპერაციის განხორციელების საბაჟო ორგანომდე ან სხვა ადგილამდე საქონლისა ან/და სატრანსპორტო საშუალებების მიტანა ხორციელდება მოწმობით, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 7. სახელმწიფოს საკუთრებაში გადასაცემად განკუთვნილი საქონლის წარდგენა დანიშნულების ადგილზე არასაბაჟო ორგანოში

1. საქონლის დანიშნულების ადგილზე(არასაბაჟო ორგანო) წარდგენის დადასტურების მიზნით ხდება დამოწმება: (8.02.2007 N97)

ა) საბაჟო საწყობის(დროებითი შენახვის საწყობის) მიერ აღრიცხვის მოწმობის უკანა გვერდზე გაკეთებული აღნიშვნით(ბეჭედი, ხელმოწერა, თარიღი და დრო). დამოწმებული მოწმობის საბაჟო ორგანოსათვის გადაცემის ვალდებულება ეკისრება საბაჟო საწყობს, იმავე ან მე-2 სამუშაო დღის 12 საათამდე;

ბ) სარკინიგზო გადაზიდვების შემთხვევაში რკინიგზის მიერ სარკინიგზო ზედნადებზე და აღრიცხვის მოწმობის უკანა გვერდზე გაკეთებული აღნიშვნით(შტამპი, ხელმოწერა, თარიღი და დრო). დამოწმებული აღრიცხვის მოწმობისა და სარკინიგზო ზედნადების საბაჟო ორგანოსათვის გადაცემის ვალდებულება ეკისრება სარკინიგზო ზედნადებში მითითებულ ტვირთმიმღებს.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული საქონლისა ან/და სატრანს-პორტო საშუალებების წარდგენის თარიღი და დრო ჩაითვლება საბაჟო ორგანოში საქონლისა ან/და სატრანსპორტო საშუალებების წარდგენის დღედ.

3. ამოღებულია (8.02.2007 N97)

მუხლი 8. სახელმწიფოს საკუთრებაში გადასაცემად განკუთვნილი განკუთვნილი საქონლის წარდგენა საბაჟო დამუშავების ოპერაციის ადგილზე

1. სახელმწიფოს საკუთრებაში გადასაცემად განკუთვნილი საქონლის შემოტანის დროს, მისი წარდგენა საბაჟო დამუშავების ოპერაციის ადგილზე (საბაჟო ორგანოში), რომელიც მდებარეობს არასასაზღვრო საბაჟო ორგანოს სამოქმედო ტერიტორიაზე, ხორციელდება მოწმობის წარდგენით, რომელიც დადასტურდება მოწმობაში საბაჟო ორგანოს პასუხისმგებელი პირის პირადნომრიანი ბეჭდით, სადაც მიეთითება აგრეთვე დამოწმების თარიღი და დრო.

2. იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოს საკუთრებაში გადასაცემად განკუთვნილი საქონელი, რომელიც გადაადგილდება საბაჟო გამშვები პუნქტიდან ან კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ადგილიდან და პირდაპირ წარედგინება საბაჟო ორგანოს (დროებითი შენახვის საბაჟო საწყობში წარდგენის გარეშე), მაშინ საქონლის წარდგენად ჩაითვლება მოწმობის წარდგენა საბაჟო ორგანოში, რომელიც დასტურდება საბაჟო მოხელის პირადნომრიანი ბეჭდით, თარიღითა და დროით.

მუხლი 9. სახელმწიფოს საკუთრებაში გადასაცემად განკუთვნილი საქონლის საბაჟო დათვალიერება, სინჯის ან/და ნიმუშის აღება საბაჟო დამუშავების ოპერაციის ადგილებში

საბაჟო ორგანოს გადაწყვეტილებით საბაჟო დამუშავების ოპერაციის ადგილას შეიძლება განხორციელდეს საქონლის დათვალიერება, სინჯების და ნიმუშების აღება საქართველოს საბაჟო კოდექსის შესაბამისად.

მუხლი 10. საქონლის სხვა საბაჟო დამუშავების ოპერაციის შეცვლა სახელმწიფოს საკუთრებაში საქონლის გადაცემით

საბაჟო ორგანოსთან შეთანხმებით, დეკლარანტს შეუძლია ნებისმიერი საბაჟო დამუშავების ოპერაციის ქვეშ მოქცეული საქონელი, ნებისმიერ დროს შეცვალოს სახელმწიფოს საკუთრებაში საქონლის გადაცემით, თუ წარმოდგენილია შესაბამისი დოკუმენტები.

მუხლი 11. სახელმწიფოს საკუთრებაში გადასაცემად განკუთვნილი საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების მიტანას-თან დაკავშირებული

ავარიის ან დაუძლეველი ძალის დროს გასატარებელი ღონისძიებები

1. ავარიისა ან დაუძლეველი ძალის დროს, პირი, რომელიც ვერ ასრულებს ამ ინსტრუქციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ვალდებულია:

ა) დაუყონებლივ აცნობოს უახლოეს საბაჟო ორგანოს აღნიშნული გარემოებების, საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალებების ადგილმდებარეობისა და მდგომარეობის შესახებ და იმოქმედოს მისი მითითებების შესაბამისად;

ბ) მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალებების ხელშეუხებლობის უზრუნველსაყოფად;

გ) უზრუნველყოს საქონლისა ან/და სატრანსპორტო საშუალებების მიტანა უახლოესი საბაჟო ორგანოს ტერიტორიაზე ან საბაჟო ორგანოს მიერ მითითებულ ადგილზე;

2. აუცილებლობის შემთხვევაში შესაბამისი საბაჟო ორგანო ვალდებულია, განსაზღვროს ამ საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების დანიშნულების საბაჟო ორგანომდე ან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ადგილამდე მიტანის უზრუნველყოფის ღონისძიებები.

3. ავარიისა ან დაუძლეველი ძალის შედეგად განადგურებულ საქონელზე დგება ოქმი და განადგურების შედეგად წარმოშობილ ნარჩენები და ჯართი გადაადგილდება საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით შესაბამისად.

4. ამ მუხლის მოთხოვნათა შესრულებისათვის გაწეულ ხარჯებს ანაზღაურებს საქონელსა და/ან სატრანსპორტო საშუალებაზე უფლებამოსილი შესაბამისი პირი.

მუხლი 12. სახელმწიფოს საკუთრებაში გადასაცემად განკუთვნილი საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანა კანონმდებლობით განუსაზღვრელ ადგილებში

1. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანა და საბაჟო პროცედურების განხორციელება საქართველოს მთავრობის დადგენილებით განუსაზღვრელ ადგილებში (განსაკუთრებულ შემთხვევებში სამხედრო ტექნიკისა და შეიარაღების, ავარიების, დაუძლე-

ველი ძალის მოქმედების შედეგების სალიკვიდაციო, აგრეთვე სამაშველო სამუშაოების შესასრულებლად ტექნიკის შემოტანის, პირუტყვის ჯოგის შემოყვანისა და სხვა ადგილები) დაიშვება საქონლის შემომტანი პირის განცხადების საფუძველზე, მისიევე ხარჯებით და საბაჟო ორგანოსთან შეთანხმებით. განცხადება შეტანილ უნდა იქნეს შესაბამის ტერიტორიულ საბაჟო ორგანოში და ასევე, სასაზღვრო პოლიციის შესაბამის სტრუქტურაში.

2. ტერიტორიულ საბაჟო ორგანოს ენიჭება უფლებამოსილება განიხილოს და გადაწყვიტოს განცხადებაში დასმული საკითხი. გადაწყვეტილება მიიღება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ _ სამართლებრივი აქტის გამოცემით.

3. განცხადება უნდა იყოს წერილობითი ფორმით და შეიცავდეს:

ა) ტერიტორიული საბაჟო ორგანოს დასახელებას;

ბ) განმცხადებლის (ფიზიკური პირი, იურიდიული პირი) ვინაობას (დასახელებას) და მისამართს;

გ) მოთხოვნას (საქონლის შემოტანის უფლება, შემოტანის ადგილის, ავტოსატრანსპორტო საშუალებების, ტექნიკის, საქონლის სახეობის, რაოდენობისა და ღირებულების მითითებით);

დ) განცხადების წარდგენის თარიღს და განმცხადებლის ხელმოწერას;

ე) განცხადებაზე დართული საბუთების ნუსხას, მათი არსებობის შემთხვევაში.

4. განმცხადებელს უფლება აქვს ტერიტორიულ საბაჟო ორგანოს განცხადებასთან ერთად წარუდგინოს ყველა საბუთი, რომელიც შეიძლება საფუძვლად დაედოს განცხადებაში დასმული საკითხის გადაწყვეტას და შესაბამისი ადმინისტრაციული აქტის გამოცემას.

5. ტერიტორიული საბაჟო ორგანო განცხადების მიღების დღესვე ახდენს მის რეგისტრაციას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. განცხადების რეგისტრაციის მომენტიდან ტერიტორიული საბაჟო იწყებს განცხადებაში დასმული საკითხის განხილვას.

7. თუ ტერიტორიული საბაჟოს ხელმძღვანელობა გადაწყვეტს, რომ განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება შესაძლებელია, შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით განსაზღვრავს საბაჟოს პასუხისმგებელ პირებს, რომლებსაც დაევალებათ საზღვრის გადმოკვეთის ადგილიდან მიზანშეწონილ საბაჟო ორგანომდე საქონლის გადაზიდვის ზედამხედველობა და გაცილება.

8. ამ მუხლის მე-7 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში საბაჟო ორგანოს პასუხისმგებელი პირი საბაჟო პროცედურებს დროის უმოკლეს პერიოდში ახორციელებს სასაზღვრო პოლიციის სასაზღვრო გამტარი პუნქტის (ასეთის არსებობის) წარმომადგენლებთან კოორდინაციით და კომპეტენციის ფარგლებში მათი მონაწილეობით.

9. ტერიტორიული საბაჟო ორგანოს ხელმძღვანელობა თავისი გადაწყვეტილების თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობებს განმცხადებელს, აგრეთვე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციას და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსაელების სამსახურს და უგზავნის მათ მიღებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დადგენილი წესით დამოწმებულ ასლებს. (23.04.2007 N405)

10. საბაჟო ორგანოების ზედამხედველობისა და საბაჟო კონტროლის გარეშე ყველა სხვა ადგილებში საქონლითა და სატრანსპორტო საშუალებებით საზღვრის გადაკვეთა განიხილება, როგორც საბაჟო წესების დარღვევა და ისჯება კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 13. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საფინანსო სააგენტოსათვის საქონლის გადაცემა

1. სასაზღვრო საბაჟო ორგანოში საქონლის მფლობელს უფლება აქვს საქონე-ლი გადასცეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - საფინანსო სააგენტოს (შემდგომში - საფინანსო სააგენტო).

2. საფინანსო სააგენტოსათვის საქონლის გადაცემა ხორციელდება ,,სახელწიფო

საკუთრებაში მიჩცეული ქონების აღრიცხვის, შენახვის, შეფასების, განადგურების, განაწილებისა და/ან რეალიზაციის წესის შესახებ" დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 9 ივნისის N209 ბრძანებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული აქტის (შემდგომში აქტი) საფუძველზე.

3. აქტს ხელს აწერს საქონლის მფლობელი, საბაჟო ორგანოს უფლებამო-სილი პირი და საფინანსო სააგენტოს უფლებამოსილი პირი.

4. საფინანსო სააგენტოსათვის შესაბამისი აქტით საქონლის გადაცემამდე საქონლის მფლობელის განცხადებით, მისივე ხარჯებით და დადგენილი წესით საქონელი შეიძლება მოთავსდეს დროებითი შენახვის საწყობში ან საბაჟო საწყობში.

5. იმ შემთხვევაში, როდესაც საქონელი საბაჟო საზღვარზე შემოტანისთანავე გაცხადებულ იქნა საფინანსო სააგენტოსათვის გადასაცემად, ხოლო საბაჟო საზღვარზე არ არსებობს საბაჟო საწყობი ან დროებითი შენახვის საწყობი ან შეუძლებელია არსებულ საწყობში საქონლის შენახვა, მაშინ საქონელი გადაადგილდება მოწმობით, საბაჟო გარანტიის წარმოდგენით და საქონლის მფლობელის ხარჯებით სხვა საბაჟო ან დროებით შენახვის საწყობში.

6. საფინანსო სააგენტოსათვის გადაცემული საქონელი შეიძლება ინახებოდეს დროებითი შენახვის საწყობში დადგენილი წესით, საქონელი დროებითი შენახვის საწყობში შეიძლება ინახებოდეს არაუმეტეს 3 თვის ვადით.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული საქონლის საწყობიდან შესაბამის ვადაში (სამ თვეში) გაუტანლობის შემთხვევაში საბაჟო ორგანო ახორციელებს ამ საქონლის განადგურებას საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ.

მუხლი 14. სახელმწიფოს საკუთრებაში გადაცემული საქონლის განკარგვის ღონისძიებები.

სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემული საქონლის განკარგვის ღონისძიებები (აღრიცხვა, შენახვა, შეფასება, განადგურება, განაწილება და/ან რეალიზაცია) ხორციელდება ,,სახელწიფო საკუთრებაში მიქცეული ქონების აღრიცხვის, შენახვის, შეფასების, განადგურების, განაწილებისა და/ან რეალიზაციის წესის შესახებ" დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 9 ივნისის N209 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების საფუძველზე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №1758

2006 წლის 20 დეკემბერი

საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მყოფი საქონლის განადგურების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბაჟო კოდექსის 167-ე მუხლის მე-4 ნაწილის და "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის N39 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის "ლ" ქვეპუნქტის საფუძველზე, ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს:

ა) ინსტრუქცია "საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მყოფი საქონლის განადგურების წესის შესახებ" (დანართი N1);

ბ) ,,საქონლის განადგურების ოქმი" (დანართი N2).

2. ბრძანება ამოქმედდეს 2007 წლის 1 იანვრიდან.

ა. ალექსიშვილი

დანართი N1

ინსტრუქცია
საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მყოფი საქონლის განადგურების წესის შესახებ

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. საქონლის განადგურება არის საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მყოფი უცხოური საქონლის მოყვანა იმ მდგომარეობაში, როდესაც შეუძლებელია ამ საქონლის ეკონომიურად მომგებიანი გზით აღდგენა.

2. განადგურება შეიძლება განხორციელდეს საქონლის დაწვით, დამარხვით, ჩაძირვით, დანგრევით, დაშლით, მექანიკური დაზიანებით და ყველა სხვა შესაძლო ხერხით.

3. ამ ინსტრუქციის მიზნებისათვის საქონლის განადგურების შედეგად მიღებული ნარჩენები (შემდგომში-ნარჩენები) არის ისეთი საქონელი, რომელსაც მოცემული საქონლის განადგურების შედეგად შენარჩუნებული აქვს თავდაპირველი სასაქონლო სახე სესესნ-ის 11-ნიშნა კოდის დონეზე.

4. ამ ინსტრუქციის მიზნებისათვის საქონლის განადგურების შედეგად მიღებული ჯართი (შემდგომში - ჯართი) არის ისეთი საქონელი, რომელსაც მოცემული საქონლის განადგურების შედეგად შენარჩუნებული არ აქვს თავდაპირველი სასაქონლო სახე სეს ესნ-ის 11-ნიშნა კოდის დონეზე.

5. აკრძალულია იმ საქონლის განადგურება საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ, რომლის შემოტანა საქართველოს ტერიტორიაზე აკრძალულია.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტში აღნიშნული აკრძალული საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანის დროს, იგი დაუყონებლივ უნდა იქნეს გატანილი და/ან დაუყონებლივ გატანის შეუძლებლობის შემთხვევაში მოთავსდეს დროებითი შენახვის საწყობში.

7. ამ მუხლის მე-5 პუნქტში აღნიშნული საქონლის უკან დაბრუნების დროს წარმოდგენილ დოკუმენტებზე (სატრანსპორტო ზედდებული ან ინვოისი ან კანონმდებლობით დადგენილი სხვა საბაჟო დოკუმენტი) საბაჟო ორგანო აკეთებს აღნიშვნას - ,,დაბრუნებულია საქონელი", მიეთითება თარიღი და დასტურდება პირადნომრიანი ბეჭდით. აღნიშნულ საქონელზე გამოიწერება ,,საბაჟო კონტროლის ქვეშ მყოფი საქონლისა ან/და სატრანსპორტო საშუალე-

ბების აღრიცხვის მოწმობა" (შემდგომში – მოწმობა) საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად.

8. საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მყოფი საქონლის განადგურების დროს საბაჟო გადასახდელები არ გადაიხდევინება.

9. სასაზღვრო საბაჟო ორგანოს უფლება აქვს საქონლის წარდგენიდან 2 დღის შემდეგ დაუყოვნებლივ დააბრუნოს საქონელი, თუ წარმოდგენილი დოკუმენტები არ მოიცავს ზოგადი დეკლარირებისათვის საჭირო მონაცემებს და არ არის წარმოდგენილი კანონმდებლობით გათვალისწინებული ლიცენზიები, ნებართვები და სერტიფიკატები.

10. მე-9 პუნქტში აღნიშნული საქონლის დაბრუნება ხორციელდება ამ მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად.

მუხლი 2. განადგურებისათვის განკუთვნილი საქონლის საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანის დროს გათვალისწინებული საბაჟო პროცედურები

1. განადგურებისათვის განკუთვნილი საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე (გამშვებ პუნქტზე) შემოტანის დროს დადგენილი წესის შესაბამისად ხორციელდება შემდეგი საბაჟო პროცედურები:

ა) საქონლის წარდგენა;

ბ) ზოგადი დეკლარირება;

გ) მოწმობის გამოწერა.

2. საბაჟო ორგანოს გადაწყვეტილებით, ზოგადი დეკლარირების შემდეგ, სასაზღვრო საბაჟო ორგანოში შეიძლება განხორციელდეს საქონლის დათვალიერება, სინჯების და ნიმუშების აღება და საიდენტიფიკაციო ნიშნების დადება საქართველოს საბაჟო კოდექსის შესაბამისად.

მუხლი 3. განადგურებისათვის განკუთვნილი საქონლის წარდგენა სასაზღვრო საბაჟო ორგანოში

საბაჟო ორგანოში საქონლის წარდგენა ხდება:

ა) სახმელეთო სასაზღვრო გამტარ პუნქტებში - სასაზღვრო კონტროლის განხორციელების შემდეგ საქონლის საბაჟო კონტროლის ზონაში ფაქტობრივი განთავსებით;

ბ) საერთაშორისო ნაოსნობისათვის გახსნილ საზღვაო პორტებში და საერთაშორისო აეროპორტებში გახსნილ სასაზღვრო გამტარ პუნქტებში – გემის ან თვითმფრინავის კაპიტნის ან უფლებამოსილი პირის მიერ სატვირთო მანიფესტის საბაჟო ორგანოსთვის წარდგენით, რაც დამოწმდება საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირის მიერ პირადნომრიანი ბეჭდით და თარიღის მითითებით.

გ) საავტომობილო ტრანსპორტით საქართველოს საბაჟო საზღვრის საბაჟო ორგანოს მიერ შერჩეულ ადგილზე (სასაზღვრო გამტარი პუნქტის გარდა) გადმოკვეთის შემთხვევაში –სასაზღვრო კონტროლის განხორციელების შემდეგ საქონლის საბაჟო ორგანოს მიერ შერჩეულ საბაჟო კონტროლის ზონაში (საბაჟო ორგანო, საბაჟო საწყობი, დროებითი შენახვის საწყობი, საბაჟო კონტროლის სხვა ზონა ან საბაჟო ორგანოს მიერ მითითებული სხვა ნებისმიერი ადგილი) ფაქტობრივი განთავსებით.

მუხლი 4. განადგურებისათვის განკუთვნილი საქონლის ზოგადი დეკლარირება სასაზღვრო საბაჟო ორგანოში

1. ზოგადი დეკლარირება უნდა განხორციელდეს ამ ინსტრუქციის მე-3 მუხლით განსაზღვრული საქონლის სასაზღვრო კონტროლის განხორციელების დასრულებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა.

2. ზოგადი დეკლარირება ხორციელდება (ზოგადი დეკლარირების ფორმა) საბაჟო ორგანოსადმი იმ ზოგადი მონაცემების ამსახველი დოკუმენტების წარდგენით, რომელიც

აუცილებელია შესაბამისი საბაჟო დამუშავების ოპერაციის შერჩევამდე მისი იდენტიფიკაციისათვის, საბაჟო ზედამხედველობისა და საბაჟო კონტროლის განხორციელებისათვის (მათ შორის, საბაჟო კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული მოწმობის შევსებისათვის).

3. ზოგადი დეკლარირების მიზნით სასაზღვრო საბაჟო ორგანოში წარდგენილი უნდა იქნეს სატრანსპორტო დოკუმენტები:

ა) საავტომობილო ტრანსპორტით გადაზიდვის დროს – სატრანს-პორტო ზედდებული;

ბ) საზღვაო ტრანსპორტით საქონლის შემოტანის დროს – კონოსამენტი;

გ) საჰაერო ტრანსპორტით საქონლის შემოტანის დროს – აეიაზედდებული.

4. ზოგადი დეკლარირების მიზნით ამ მუხლის მე-3 პუნქტში გათვალისწინებული დოკუმენტების გარდა შეიძლება გამოყენებულ იქნას საქონლის თანმხლები სხვა დოკუმენტები:

ა) ხელშეკრულება ან/და ინვოისი;

ბ) წარმოშობის სერტიფიკატი;

გ) საბაჟო გარანტია (ან TIR-კარნეტის დოკუმენტი) - საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად.

დ) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტები.

5. ზოგადი დეკლარირების უფლება აქვს საქონლის მფლობელს ან მის წარმომადგენელს.

6. ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებული დოკუმენტები დამოწმდება საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირის მიერ პირადნომრიანი ბეჭდით. (8.02.2007 N90)

მუხლი 5. საბაჟო კონტროლის ქვეშ მყოფი საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობის გამოწერა (8.02.2007 N90)

ამ ინსტრუქციის მე-4 მუხლში მითითებული დოკუმენტების საფუძველზე სასაზღვრო საბაჟო ორგანოს მიერ ხდება მოწმობის გამოწერა "საბაჟო კონტროლის ქვეშ მყოფი საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობის შევსების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 20 დეკემბრის N1764 ბრძანების შესაბამისად.

მუხლი 6. განადგურებისათვის შემოტანილი საქონლისა ან/და სატრანსპორტო საშუალებების საქართველოს საბაჟო ტერიტორიის შესაბამის ადგილამდე მიტანის ვადა და მარშრუტი

1. სასაზღვრო საბაჟო ორგანოდან საბაჟო დამუშავების ოპერაციის განხორციელების საბაჟო ორგანომდე ან სხვა ადგილამდე ან კანონმდებლობით დადგენილი სხვა ადგილიდან საბაჟო დამუშავების ოპერაციის განხორციელების საბაჟო ორგანომდე ან სხვა ადგილამდე საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების მიტანის ვადა განისაზღვრება განისაზღვრება დადგენილი წესით, გამგზავნი საბაჟო ორგანოს მიერ, გადასაზიდი საქონლის, სატრანსპორტო საშუალების, საბაჟო მარშრუტის ხასიათის და ეკოლოგიურ-კლიმატური პირობების გათვალისწინებით.

2. შემოტანილი საქონლისა ან/და სატრანსპორტო საშუალებების საქართველოს საბაჟო ტერიტორიის შესაბამის ადგილამდე მიტანა ხორციელდება ნებისმიერი გზით, გარდა თამბაქოს ნაწარმის გადაზიდვის შემთხვევისა.

3. საბაჟო ზედამხედველობას დაქვემდებარებული თამბაქოს ნაწარმის გადაად-გილება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ხორციელდება იმ საბაჟო ორგანოების გავლით, რომელიც განსაზღვრულია "სასაზღვრო საბაჟო ორგანოს გახსნის, მუშაობის დროის და მისი გავლით შემოსატანი საქონლის სახეობების განსაზღვრის შესახებ" საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

4. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი საქონელი და/ან სატრანსპორტო საშუალება იმყოფება საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მისთვის საბაჟო სტატუსის მინი-

ჭებამდე, შეცელამდე, თავისუფალ ზონაში ან თავისუფალ საწყობში გადატანამდე, საბაჟო ტერიტორიიდან რეექსპორტამდე ან საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ განადგურებამდე, გარდა კანონმდებობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

5. საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მყოფი საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების მიმართ შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ საბაჟო ორგანოსთან შეთანხმებული მოქმედებები და ოპერაციები.

6. თუ საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მყოფი საქონელი ან/და სატრანსპორტო საშუალებები განადგურდა ან დაზიანდა, საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების მფლობელი ვალდებულია დაუყონებლივ შეატყობინოს საბაჟო ორგანოს და წარუდგინოს მას განადგურების ან დაზიანების უტყუარი მტკიცებულებები, რომელიც დამოწმებულია შესაბამისი უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ. თუ საბაჟო ორგანოს არ დააკმაყოფილებს წარმოდგენილი მტკიცებულებები, საქონელი ჩაითვლება საბაჟო ზედამხედველობიდან უკანონოდ გასულად.

7. თუ საქონელი და/ან სატრანსპორტო საშუალებები უკანონოდ გადის საბაჟო ზედამხედველობიდან ან საბაჟო ორგანოს აქვს საფუძვლიანი ეჭვი საბაჟო ზედამხედველობიდან საქონლის და/ან სატრანსპორტო საშუალების უკანონოდ გასვლაზე და დეკლარანტს ან საქონლის მესაკუთრეს ან საქონლის მფლობელს არ შეუძლია საბაჟო ორგანოს დაუმტკიცოს ამ საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების საბაჟო ზედამხედველობიდან კანონიერად გასვლის ფაქტი, ვალდებულმა პირმა საბაჟო ზედამხედველობიდან საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების უკანონოდ გასვლის აღმოჩენიდან 5 კალენდარული დღის განმავლობაში უნდა შეასრულოს წარმოშობილი საბაჟო ვალდებულება.

8. პირზე, რომელიც იღებს საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი საქონლისა ან/და სატრანსპორტო საშუალების ტრანსპორტირების პასუხისმგებლობას, ვრცელდება ამ მუხლში აღნიშნული ვალდებულებები.

9. სასაზღვრო საბაჟო ორგანოდან საბაჟო დამუშავების ოპერაციის განხორციელების საბაჟო ორგანომდე ან სხვა ადგილამდე ან კანონმდებლობით დადგენილი სხვა ადგილიდან საბაჟო დამუშავების ოპერაციის განხორციელების საბაჟო ორგანომდე ან სხვა ადგილამდე საქონლისა ან/და სატრანსპორტო საშუალებების მიტანა ხორციელდება მოწმობით, გარდა კანონმდებობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 7. განადგურებისათვის განკუთვნილი საქონლის წარდგენა დანიშნულების ადგილზე არასაბაჟო ორგანოში

1. საქონლის დანიშნულების ადგილზე(არასაბაჟო ორგანო) წარდგენის დადასტურების მიზნით ხდება დამოწმება: (8.02.2007 N90)

ა) საბაჟო საწყობის(დროებითი შენახვის საწყობის) მიერ აღრიცხვის მოწმობის უკანა გვერდზე გაკეთებული აღნიშვნით(ბეჭედი, ხელმოწერა, თარიღი და დრო). დამოწმებული მოწმობის საბაჟო ორგანოსათვის გადაცემის ვალდებულება ეკისრება საბაჟო საწყობს, იმავე ან მე-2 სამუშაო დღის 12 საათამდე;

ბ) სარკინიგზო გადაზიდვების შემთხვევაში რკინიგზის მიერ სარკინიგზო ზედნადებზე და აღრიცხვის მოწმობის უკანა გვერდზე გაკეთებული აღნიშვნით(შტამპი, ხელმოწერა, თარიღი და დრო). დამოწმებული აღრიცხვის მოწმობისა და სარკინიგზო ზედნადების საბაჟო ორგანოსათვის გადაცემის ვალდებულება ეკისრება სარკინიგზო ზედნადებში მითითებულ ტვირთმიმღებს.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული საქონლისა ან/და სატრანსპორტო საშუალებების წარდგენის თარიღი და დრო ჩაითვლება საბაჟო ორგანოში საქონლისა ან/და სატრანსპორტო საშუალებების წარდგენის დღედ.

3. ამოღებულია (8.02.2007 N90)

მუხლი 8. განადგურებისათვის განკუთვნილი საქონლის წარდგენა საბაჟო დამუშავების ოპერაციის ადგილზე

1. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე განადგურებისათვის განკუთვნილი საქონლის შემოტანის დროს, მისი წარდგენა საბაჟო დამუშავების ოპერაციის ადგილზე (საბაჟო ორგანოში), რომელიც მდებარეობს არასასაზღვრო საბაჟო ორგანოს სამოქმედო ტერიტორიაზე, ხორციელდება მოწმობის წარდგენით, რომელიც დადასტურდება მოწმობაში საბაჟო ორგანოს პასუხისმგებელი პირის პირადნომრიანი ბეჭდით, სადაც მიეთითება აგრეთვე დამოწმების თარიღი და დრო.

2. იმ შემთხვევაში, თუ განადგურებისათვის განკუთვნილი საქონელი, რომელიც გადაადგილდება საბაჟო გამშვები პუნქტიდან ან კანონ-მდებლობით გათვალისწინებული სხვა ადგილიდან და პირდაპირ წარედგინება საბაჟო ორგანოს (დროებითი შენახვის საბაჟო საწყობში წარდგენის გარეშე), მაშინ საქონლის წარდგენად ჩაითვლება მოწმობის წარდგენა საბაჟო ორგანოში, რომელიც დასტურდება საბაჟო მოხელის პირადნომრიანი ბეჭდით, თარიღითა და დროით.

მუხლი 9. განადგურებისათვის განკუთვნილი საქონლის საბაჟო დათვალი-ერება, სინჯის ან/და ნი-მუშის აღება საბაჟო დამუშავების ოპერაციის ადგილებში

საბაჟო ორგანოს გადაწყვეტილებით საბაჟო დამუშავების ოპერაციის ადგილას შეიძლება განხორციელდეს საქონლის დათვალიერება, სინჯების და ნიმუშების საქართველოს საბაჟო კოდექსის შესაბამისად.

მუხლი 10. საქონლის სხვა საბაჟო დამუშავების ოპერაციის შეცვლა საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ საქონლის განადგურებით

საბაჟო ორგანოსთან შეთანხმებით, დეკლარანტს შეუძლია ნებისმიერი საბაჟო დამუშავების ოპერაციის ქვეშ მოქცეული საქონელი, ნებისმიერ დროს შეცვალოს საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ საქონლის განადგურებით (გარდა თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების (იმპორტის) საბაჟო რეჟიმში მოქცეული და გაშვებული საქონლისა), თუ წარმოდგენილია შესაბამისი დოკუმენტები.

მუხლი 11. განადგურებისათვის განკუთვნილი საქონლის ან/და სატრანს-პორტო საშუალების მიტანას-თან დაკავშირებული ავარიის ან დაუძლეველი ძალის დროს გასატარებელი ღონისძიებები

1. ავარიისა ან დაუძლეველი ძალის დროს, პირი, რომელიც ვერ ასრულებს ამ ინსტრუქციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ვალდებულია:

ა) დაუყონებლივ აცნობოს უახლოეს საბაჟო ორგანოს აღნიშნული გარემოებების, საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალებების ადგილმდებარეობისა და მდგომარეობის შესახებ და იმოქმედოს მისი მითითებების შესაბამისად;

ბ) მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალებების ხელშეუხებლობის უზრუნველსაყოფად;

გ) უზრუნველყოს საქონლისა ან/და სატრანსპორტო საშუალებების მიტანა უახლოესი საბაჟო ორგანოს ტერიტორიაზე ან საბაჟო ორგანოს მიერ მითითებულ ადგილზე;

2. აუცილებლობის შემთხვევაში შესაბამისი საბაჟო ორგანო ვალდებულია, განსაზღვროს ამ საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების დანიშნულების საბაჟო ორგანომდე ან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ადგილამდე მიტანის უზრუნველყოფის ღონისძიებები.

3. ავარიისა ან დაუძლეველი ძალის შედეგად განადგურებულ საქონელზე დგება ოქმი და განადგურების შედეგად წარმოშობილ ნარჩენები და ჯართი გადაადგილდება "საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მყოფი საქონლის განადგურების წესის შესახებ" ინსტრუქციის

დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანების შესაბამისად.

4. ამ მუხლის მოთხოვნათა შესრულებისათვის გაწეულ ხარჯებს ანაზღაურებს საქონელსა და/ან სატრანსპორტო საშუალებაზე უფლებამოსილი შესაბამისი პირი.

მუხლი 12. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე განადგურებისათვის განკუთვნილი საქონლის შემოტანა კანონმდებლობით განუსაზღვრელ ადგილებში

1. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანა და საბაჟო პროცედურების განხორციელება საქართველოს მთავრობის დადგენილებით განუსაზღვრელ ადგილებში (განსაკუთრებულ შემთხვევებში სამხედრო ტექნიკისა და შეიარაღების, ავარიების, დაუძლეველი ძალის მოქმედების შედეგების სალიკვიდაციო, აგრეთვე სამაშველო სამუშაოების შესასრულებლად ტექნიკის შემოტანის, პირუტყვის ჯოგის შემოყვანისა და სხვა ადგილები) დაიშვება საქონლის შემომტანი პირის განცხადების საფუძველზე, მისივე ხარჯებით და საბაჟო ორგანოსთან შეთანხმებით. განცხადება შეტანილ უნდა იქნეს შესაბამის ტერიტორიულ საბაჟო ორგანოში და ასევე, სასაზღვრო პოლიციის შესაბამის სტრუქტურაში.

2. ტერიტორიულ საბაჟო ორგანოს ენიჭება უფლებამოსილება განიხილოს და გადაწყვიტოს განცხადებაში დასმული საკითხი. გადაწყვეტილება მიიღება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ _ სამართლებრივი აქტის გამოცემით.

3. განცხადება უნდა იყოს წერილობითი ფორმით და შეიცავდეს:

ა) ტერიტორიული საბაჟო ორგანოს დასახელებას;

ბ) განმცხადებლის (ფიზიკური პირი, იურიდიული პირი) ვინაობას (დასახელებას) და მისამართს;

გ) მოთხოვნას (საქონლის შემოტანის უფლება, შემოტანის ადგილის, ავტოსატრანსპორტო საშუალებების, ტექნიკის, საქონლის სახეობის, რაოდენობისა და ღირებულების მითითებით);

დ) განცხადების წარდგენის თარიღს და განმცხადებლის ხელმოწერას;

ე) განცხადებაზე დართული საბუთების ნუსხას, მათი არსებობის შემთხვევაში.

4. განმცხადებელს უფლება აქვს ტერიტორიულ საბაჟო ორგანოს განცხადებასთან ერთად წარუდგინოს ყველა საბუთი, რომელიც შეიძლება საფუძვლად დაედოს განცხადებაში დასმული საკითხის გადაწყვეტას და შესაბამისი ადმინისტრაციული აქტის გამოცემას.

5. ტერიტორიული საბაჟო ორგანო განცხადების მიღების დღესვე ახდენს მის რეგისტრაციას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. განცხადების რეგისტრაციის მომენტიდან ტერიტორიული საბაჟო იწყებს განცხადებაში დასმული საკითხის განხილვას.

7. თუ ტერიტორიული საბაჟოს ხელმძღვანელობა გადაწყვეტს, რომ განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება შესაძლებელია, შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით განსაზღვრავს საბაჟოს პასუხისმგებელ პირებს, რომლებსაც დაევალებათ საზღვრის გადმოკვეთის ადგილიდან მიზანშეწონილ საბაჟო ორგანომდე საქონლის გადაზიდვის ზედამხედველობა და გაცილება.

8. ამ მუხლის მე-7 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში საბაჟო ორგანოს პასუხისმგებელი პირი საბაჟო პროცედურებს დროის უმოკლეს პერიოდში ახორციელებს სასაზღვრო პოლიციის სასაზღვრო გამტარი პუნქტის (ასეთის არსებობის) წარმომადგენლებთან კოორდინაციით და კომპეტენციის ფარგლებში მათი მონაწილეობით.

9. ტერიტორიული საბაჟო ორგანოს ხელმძღვანელობა თავისი გადაწყვეტილების თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობებს განმცხადებელს, აგრეთვე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციას და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს და უგზავნის მათ მიღებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დადგენილი წესით დამოწმებულ ასლებს. (23.04.2007 N400)

10. საბაჟო ორგანოების ზედამხედველობისა და საბაჟო კონტროლის გარეშე ყველა

სხვა ადგილებში საქონლითა და სატრანსპორტო საშუალებებით საზღვრის გადაკვეთა განიხილება, როგორც საბაჟო წესების დარღვევა და ისჯება კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 13. განადგურების საბაჟო დამუშავების ოპერაციის სახის დასრულებისათვის საჭირო საბაჟო პროცედურები

1. საქონლის განადგურების საბაჟო დამუშავების ოპერაცია ვრცელდება მხოლოდ საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მყოფ უცხოურ საქონელზე.

2. საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მყოფი საქონლის განადგურების შესახებ დეკლარანტი განცხადებით მიმართავს იმ უფლებამოსილ საბაჟო ორგანოს, რომელსაც უფლება აქვს განახორციელოს საბაჟო დამუშავების ოპერაციის სახის განსაზღვრის პროცედურები.

3. საბაჟო ორგანო ერთ საათში იხილავს დეკლარანტის განცხადებას და წარმოდგენილ ზოგადი დეკლარირების დოკუმენტებს და თანხმობის შემთხვევაში იმავე სამუშაო დღეს ახორციელებს საქონლის განადგურების ორგანიზებას. თანხმობის დაფიქსირება ხდება დეკლარანტის განცხადებაზე შესაბამისი აღნიშვნით და პირადნომრიანი ბეჭდის დასმით.

4. საქონლის განადგურება ხორციელდება საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ წინასწარ განსაზღვრულ, შესაბამისი საქონლის გასანადგურებლად დაშვებულ ადგილებში, რომელიც ერთჯერადად, წერილობით ეცნობება საბაჟო ორგანოს. შესაბამისად საქონლის განადგურება ხორციელდება საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ წინასწარ დადგენილი იმ საქონლის სახეობების მიხედვით, რომლის განადგურება არ მიაყენებს მნიშვნელოვან ზიანს გარემოს ან/და პირდაპირ ან პოტენციურ საფრთხეს არ შეუქმნის ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

5. საბაჟო ორგანოს თანხმობის შემდეგ, არაუგვიანეს მეორე დღისა, გასანადგურებელი საქონელი საბაჟო გაცილების თანხლებით და ზოგადი დეკლარირების დოკუმენტების საფუძველზე გადაადგილებულ უნდა იქნეს განადგურების ადგილზე და განხორციელდეს ამ საქონლის ფაქტობრივი განადგურება, რის თაობაზეც დგება განადგურების ოქმი.

6. განადგურების ოქმი დგება 2 ეგზემპლარად ერთი რჩება რეგიონალურ საბაჟო ორგანოს და შემდეგ დადგენილი წესით ეგზავნება ზემდგომ საბაჟო ორგანოს, ხოლო მეორე რჩება დეკლარანტს.

7. განადგურების ოპერაციასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი ანაზღაურდება დეკლარანტის მიერ.

მუხლი 14. საქონლის განადგურება დაუძლეველი ძალის დროს

იმ შემთხვევაში, თუ საქონელი უკვე განადგურდა დაუძლეველი ძალის შედეგად, რაც დადასტურებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით, საბაჟო ორგანო ადგენს ,,საქონლის განადგურების ოქმს'' დანართი N2-ის შესაბამისად და მე-6 გრაფაში მიუთითებს სათანადო სახელმწიფო ორგანოს მიერ გაცემულ დაუძლეველი ძალის შედეგად საქონლის განადგურების ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტის რეკვიზიტებს.

მუხლი 15. საქონლის განადგურების შედეგად წარმოშობილი ნარჩენები და ჯართი

1. საქონლის განადგურების შედეგად წარმოშობილი ნარჩენებისა და ჯართის მიმართ უნდა განხორციელდეს კანონმდებლობით დადგენილი საბაჟო დამუშავების შესაბამისი ოპერაციები საქონლის განადგურების დღიდან (განადგურების ოქმის სათანადო პირების მიერ ხელმოწერის დღეს).

2. საქონლის განადგურების შედეგად წარმოშობილი ნარჩენები და ჯართი საბაჟო გაცილების თანხლებით უნდა გადაადგილდეს უახლოეს საბაჟო ორგანომდე, სადაც განხორციელდება მის მიმართ ''საბაჟო კონტროლის ქვეშ მყოფი საქონლის ან/და სატრანსპორტო

საშუალების აღრიცხვის მოწმობის" გამოწერა ან/და შესაბამისი საბაჟო დამუშავების ოპერაციის საბის განსაზღვრა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 16. საქონელი, რომლის განადგურება აკრძალულია აკრძალულია შემდეგი საქონლის განადგურება:

ა) კულტურული ფასეულობები;

ბ) გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ცხოველთა და მცენარეთა სახეობები, ასევე მათი ნაწილები და წარმოშობის წყაროები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მათი განადგურება ნებადართულია ეპიდემიისა და ეპიზოტიის შეჩერების მიზნით;

გ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ჩამორთმეული საქონელი ან საქონელი, რომელსაც ყადაღა აქვს დადებული, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი განადგურება ნებადართულია ეპიდემიისა და ეპიზოოტიის შეჩერების მიზნით, ან როდესაც იგი პირდაპირ ან პოტენციურ საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

მუხლი 17. განადგურების ოქმის რეკვიზიტები და შევსების წესი.

1. განადგურების ოქმში უნდა შევიდეს შემდეგი მონაცემები:

ა) განადგურებული საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალებების დასახელება სესენ-ის ოთხნიშნა კოდის დონეზე და რაოდენობა;

ბ) ნარჩენებისა და ჯართის დასახელება სესენ-ის ოთხნიშნა კოდის დონეზე და რაოდენობა;

გ) განადგურების ხერხი;

დ) განადგურების ადგილი და თარიღი;

ე) ზოგადი დეკლარირების ან სხვა დოკუმენტების რეკვიზიტები;

ვ) საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირისა და დეკლარანტის რეკვიზიტები.

2. ოქმი ივსება საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირის მიერ ხელით ან კომპიუტერულად. მასში შეტანილი მონაცემების შეცვლა შესაძლებელია ამ მუხლის პირველი პუნქტის "ვ" ქვეპუნქტში მითითებული პირების მიერ სათანადო წარწერით, ხელმოწერით და არსებობის შემთხვევაში ბეჭდის დამოწმებით.

3. იმ შემთხვევაში, როდესაც საქონლის ან/და ნარჩენებისა და ჯართის დასახელებები აღემატება ოქმის პირველ გვერდზე აღნიშნული შესაბამისი გრაფების რაოდენობას, მაშინ იგი მიეთითება უკანა გვერდზე და შესაბამისად დამოწმდება ოქმის 5-7 გრაფების დამოწმების ანალოგიურად.

საქონლის განადგურების ოქმი N

საქონლის განადგურების ოქმი №	
ა) საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალებების დასახელება და რაოდენობა	ბ) ნარჩენებისა და ჯართის დასახელება და რაოდენობა
გ) განადგურების ხერხი	დ) განადგურების ადგილი და თარიღი
ე) ზოგადი დეკლარირების ან სხვა დოკუმენტების რეკვიზიტები	
ვ) საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირი	ზ) დეკლარანტი

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №1754

2006 წლის 20 დეკემბერი

საქონლის რეექსპორტის გამოყენების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბაჟო კოდექსის 166-ე მუხლის მე-6 ნაწილისა და „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის N39 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის "ლ" ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს ინსტრუქცია "საქონლის რეექსპორტის გამოყენების წესის შესახებ".
2. ამ ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „რეექსპორტის საბაჟო რეჟიმის შესახებ" დებულების დამტკიცების თაობაზე"საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 7 აპრილის N229 ბრძანება.
3. ბრძანება ამოქმედდეს 2007 წლის 1 იანვრიდან.

ა. ალექსიშვილი

ინსტრუქცია
საქონლის რეექსპორტის გამოყენების წესის შესახებ

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. საქონლის რეექსპორტი საბაჟო დამუშავების ოპერაციის სახეა, რომლის დროსაც საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი საქონელი საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ გაიტანება საბაჟო გადასახდელების გადახდისაგან გათავისუფლებით ან გადახდილი ოანხის დაბრუნებით ან ჩათვლით, თუ ასეთი გათავისუფლება, დაბრუნება ან ჩათვლა გათვალისწინებულია იმ საბაჟო რეჟიმის მოქმედების დასრულებისას, რომელშიც მოქცეული იყო საქონელი საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე რეექსპორტის განხორციელებამდე. (8.02.2007 N98)

2. საქონლის რეექსპორტის საბაჟო დამუშავების ოპერაციას შესაძებელია დაექვემდებაროს უცხოური საქონელი და ნებისმიერ საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონელი, რომლის მიმართაც დასრულებულია საბაჟო რეჟიმის მოქმედება.

3. რეექსპორტის საბაჟო დამუშავების ოპერაციის განხორციელების დროს საბაჟო ორგანოს საბაჟო დეკლარაცია არ წარედგინება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხორციელდება საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის, საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების ან საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონლის რეექსპორტი.

4. პირი, რომელსაც განზრახული აქვს საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი საქონლის რეექსპორტი, ვალდებულია, სასაზღვრო საბაჟო ორგანოსათვის საქონლის წარდგენის შემდეგ, დადგენილ ვადაში, მოახდინოს მისი ზოგადი დეკლარირება და განახორციელოს საბაჟო დამუშავების ოპერაციის სახის განსაზღვრის დასრულებისათვის აუცილებელი საბაჟო პროცედურები.

5. აკრძალულია იმ საქონლის რეექსპორტი, რომლის შემოტანა საქართველოს ტერიტორიაზე აკრძალულია.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტში აღნიშნული აკრძალული საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანის დროს, იგი დაუყოვნებლივ უნდა იქნეს გატანილი და/ან დაუყოვნებლივ გატანის შეუძლებლობის შემთხვევაში მოთავსდეს დროებითი შენახვის საწყობში.

7. ამ მუხლის მე-5 პუნქტში აღნიშნული საქონლის უკან დაბრუნების დროს წარმოდგენილ დოკუმენტებზე (სატრანსპორტო ზედდებული ან ინვოისი ან კანონმდებლობით დადგენილი სხვა საბაჟო დოკუმენტი) საბაჟო ორგანო აკეთებს აღნიშვნას - ,,დაბრუნებულია საქონელი'', მიეთითება თარიღი და დასტურდება პირადნომრიანი ბეჭდით. აღნიშნულ საქონელზე გამოიწერება ,,საბაჟო კონტროლის ქვეშ მყოფი საქონლისა ან/და სატრანსპორტო საშუალებების აღრიცხვის მოწმობა'' (შემდგომში – მოწმობა) საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად.

8. სასაზღვრო საბაჟო ორგანოს უფლება აქვს საქონლის წარდგე-ნიდან 2 დღის შემდეგ დაუყოვნებლივ დააბრუნოს საქონელი, თუ წარმოდგენილი დოკუმენტები არ მოიცავს ზოგადი დეკლარირებისათვის საჭირო მონაცემებს და არ არის წარმოდგენილი კანონმდებლობით გათვალისწინებული ლიცენზიები, ნებართვები და სერტიფიკატები.

9. მე-8 პუნქტში აღნიშნული საქონლის დაბრუნება ხორციელდება ამ მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად.

მუხლი 2. რეექსპორტისათვის განკუთვნილი საქონლის საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანის დროს გათვალისწინებული საბაჟო პროცედურები

1. რეექსპორტისათვის განკუთვნილი საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე (გამშვებ პუნქტზე) შემოტანის დროს დადგენილი წესის შესაბამისად ხორციელდება შემდეგი საბაჟო პროცედურები:

ა) საქონლის წარდგენა;

ბ) ზოგადი დეკლარირება;

გ) მოწმობის გამოწერა.

2. საბაჟო ორგანოს გადაწყვეტილებით, ზოგადი დეკლარირების შემდეგ, სასაზღვრო საბაჟო ორგანოში შეიძლება განხორციელდეს საქონლის დათვალიერება, სინჯების და ნიმუშების აღება და საიდენტიფიკაციო ნიშნების დადება საქართველოს საბაჟო კოდექსის შესაბამისად.

მუხლი 3. საქონლის წარდგენა სასაზღვრო საბაჟო ორგანოში საბაჟო ორგანოში საქონლის წარდგენა ხდება:

ა) სახმელეთო სასაზღვრო გამტარ პუნქტებში _ სასაზღვრო კონტროლის განხორციელების შემდეგ საქონლის საბაჟო კონტროლის ზონაში ფაქტობრივი განთავსებით;

ბ) საერთაშორისო ნაოსნობისათვის გახსნილ საზღვაო პორტებში და საერთაშორისო აეროპორტებში გახსნილ სასაზღვრო გამტარ პუნქტებში – გემის ან თვითმფრინავის კაპიტნის ან უფლებამოსილი პირის მიერ სატვირთო მანიფესტის საბაჟო ორგანოსთვის წარდგენით, რაც დამოწმდება საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირის მიერ პირადნომრიანი ბეჭდით და თარიღის მითითებით.

გ) საავტომობილო ტრანსპორტით საქართველოს საბაჟო საზღვრის საბაჟო ორგანოს მიერ შერჩეულ ადგილზე (სასაზღვრო გამტარი პუნქტის გარდა) გადმოკვეთის შემთხვევაში – სასაზღვრო კონტროლის განხორციელების შემდეგ საქონლის საბაჟო ორგანოს მიერ შერჩეულ საბაჟო კონტროლის ზონაში (საბაჟო ორგანო, საბაჟო საწყობი, დროებითი შენახვის საწყობი, სხვა საბაჟო კონტროლის ზონა ან საბაჟო ორგანოს მიერ მითითებული სხვა ნებისმიერი ადგილი) ფაქტობრივი განთავსებით.

მუხლი 4. საქონლის ზოგადი დეკლარირება სასაზღვრო საბაჟო ორგანოში

1. ზოგადი დეკლარირება უნდა განხორციელდეს ამ ინსტრუქციის მე-3 მუხლით განსაზღვრული საქონლის სასაზღვრო კონტროლის განხორციელების დასრულებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა.

2. ზოგადი დეკლარირება ხორციელდება (ზოგადი დეკლარირების ფორმა) საბაჟო

ორგანოსადმი იმ ზოგადი მონაცემების ამსახველი დოკუმენტების წარდგენით, რომელიც აუცილებელია შესაბამისი საბაჟო დამუშავების ოპერაციის შერჩევამდე მისი იდენტიფიკაციისათვის, საბაჟო ზედამხედველობისა და საბაჟო კონტროლის განხორციელებისათვის (მათ შორის, საბაჟო კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული მოწმობის შევსებისათვის).

3. ზოგადი დეკლარირების მიზნით სასაზღვრო საბაჟო ორგანოში წარდგენილი უნდა იქნეს შემდეგი დოკუმენტები: (5.02.2007 N81)

ა) საავტომობილო ტრანსპორტით გადაზიდვის დროს – სატრანსპორტო ზედნადები;

ბ) საზღვაო ტრანსპორტით საქონლის შემოტანის დროს – კონოსამენტი;

გ) საჰაერო ტრანსპორტით საქონლის შემოტანის დროს – ავიაზედნადები.

4. ზოგადი დეკლარირების მიზნით ამ მუხლის მე-3 პუნქტში გათვალისწინებული დოკუმენტების გარდა შეიძლება გამოყენებულ იქნეს საქონლის თანმხლები სხვა დოკუმენტები: (5.02.2007 N81)

ა) ხელშეკრულება ან/და ინვოისი;

ბ) წარმოშობის სერტიფიკატი;

გ) საბაჟო გარანტია (ან TIR-ის წიგნაკი) საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად;

დ) სპეციალური სატვირთო-საბაჟო დეკლარაცია საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად;

ე) აქციზური საქონლის ბარათი საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად;

ვ) ნებართვები „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, რომელთა წარდგენა აუცილებელია სასაზღვრო საბაჟო ორგანოში:

ვ.ა) შეზღუდულად ბრუნვადი მასალების რეექსპორტის ნებართვა;

ვ.ბ) „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ" კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი სახეობების, მათი ნაწილებისა და დერივატების რეექსპორტის ნებართვა.

ვ.გ) იარაღისა და საბრძოლო მასალის რეექსპორტის ნებართვა;

ვ.დ) უცხო ქვეყნის და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენელთა, აგრეთვე სხვა მნიშვნელოვან პირთა ვიზიტის დროს მათ თანმხლებ პირთა მიერ იარაღისა და საბრძოლო მასალის საქართველოში შემოტანისა და საქართველოდან გატანის ნებართვა;

ვ.ე) ორმაგი დანიშნულების პროდუქციის რეექსპორტის ნებართვა;

ზ) დსთ-ს ქვეყნებში წარმოშობილი შესაბამისი შეთანხმებით განსაზღვრული საქონლის რეექსპორტის ნებართვა (შესაბამისი ქვეყნის უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ გაცემული);

თ) ექსპორტიორი ქვეყნის მიერ გაცემული ფიტო ან/და ვეტ სერტიფიკატები;

ი) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტები.

5. ზოგადი დეკლარირების უფლება აქვს საქონლის მფლობელს ან მის წარმომადგენელს.

6. ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებული დოკუმენტები დამოწმდება საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირის მიერ პირადნომრიანი ბეჭდით. (8.02.2007 N98)

მუხლი 5. საბაჟო კონტროლის ქვეშ მყოფი საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობის გამოწერა (8.02.2007 N98)

ამ ინსტრუქციის მე-4 მუხლში მითითებული დოკუმენტების საფუძველზე სასაზღვრო საბაჟო ორგანოს მიერ ხდება მოწმობის გამოწერა "საბაჟო კონტროლის ქვეშ მყოფი საქონლის ან/და სატრანსპორტო სასუალების აღრიცხვის მოწმობის შევსების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 20 დეკემბრის N1764 ბრძანების შესაბამისად.

მუხლი 6. რეექსპორტისათვის შემოტანილი საქონლისა ან/და სატრანსპორტო საშუალებების საქართველოს საბაჟო ტერიტორიის შესაბამის ადგილამდე მიტანის ვადა და მარშრუტი

1. სასაზღვრო საბაჟო ორგანოდან საბაჟო დამუშავების ოპერაციის განხორციელების საბაჟო ორგანომდე ან სხვა ადგილამდე ან კანონმდებლობით დადგენილი სხვა ადგილიდან საბაჟო დამუშავების ოპერაციის განხორციელების საბაჟო ორგანომდე ან სხვა ადგილამდე საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების მიტანის ვადა განისაზღვრება დადგენილი წესით, გამგზავნი საბაჟო ორგანოს მიერ, გადასაზიდი საქონლის, სატრანსპორტო საშუალების, საბაჟო მარშრუტის ხასიათის და ეკოლოგიურ-კლიმატური პირობების გათვალისწინებით. (8.02.2007 N98)

2. შემოტანილი საქონლისა ან/და სატრანსპორტო საშუალებების სა-ქარ-თველოს საბაჟო ტერიტორიის შესაბამის ადგილამდე მიტანა ხორციელდება ნებისმიერი გზით, გარდა თამბაქოს ნაწარმისა და ჟურთის გადაზიდვის შემთხვევებისა. (8.02.2007 N98)

3. საბაჟო ზედამხედველობას დაქვემდებარებული თამბაქოს ნაწარმის გადაადგილება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ხორციელდება საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრული საბაჟო ორგანოების გაელით, ხოლო ჟურთისა – მხოლოდ სარკინიგზო და საზღვაო ტრანსპორ-ტით, შესაბამისი სასაზღვრო საბაჟო ორგანოების განთავსების ადგილებში. (8.02.2007 N98)

4. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი საქონელი და/ან სატრანსპორტო საშუალება იმყოფება საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მისთვის საბაჟო სტატუსის მინიჭებამდე, შეცვლამდე, თავისუფალ ზონაში ან თავისუფალ საწყობში გადატანამდე, საბაჟო ტერიტორიიდან რეექსპორტამდე ან საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ განადგურებამდე, გარდა კანონმდებობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

5. საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მყოფი საქონლის ან/და სატრანს-პორტო საშუალებების მიმართ შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ საბაჟო ორგანოსთან შეთანხმებული მოქმედებები და ოპერაციები.

6. თუ საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მყოფი საქონელი ან/და სატ-რანს-პორტო საშუალებები განადგურდა ან დაზიანდა, საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების მფლობელი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს საბაჟო ორგანოს და წარუდგინოს მას განადგურების ან დაზიანების უტყუარი მტკიცებულებები, რომელიც დამოწმებულია შესაბამისი უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ. თუ საბაჟო ორგანოს არ დააკმაყოფილებს წარმოდგენილი მტკიცებულებები, საქონელი ჩაითვლება საბაჟო ზედამხედველობიდან უკანონოდ გასულად.

7. თუ საქონელი და/ან სატრანსპორტო საშუალებები უკანონოდ გადის საბაჟო ზედამხედველობიდან ან საბაჟო ორგანოს აქვს საფუძვლიანი ეჭვი საბაჟო ზედამხედველობიდან საქონლის და/ან სატრანსპორტო საშუალების უკანონოდ გასვლაზე და დეკლარანტს ან საქონლის მესაკუთრეს ან საქონლის მფლობელს არ შეუძლია საბაჟო ორგანოს დაუმტკიცოს ამ საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების საბაჟო ზედამხედველობიდან კანონიერად გასვლის ფაქტი, ვალდებულმა პირმა საბაჟო ზედამხედველობიდან საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების უკანონოდ გასვლის აღმოჩენიდან 5 კალენდარული დღის განმავლობაში უნდა შეას-რულოს წარმოშობილი საბაჟო ვალდებულება.

8. პირზე, რომელიც იღებს საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი საქონლისა ან/და სატრანსპორტო საშუალების ტრანსპორტირების პასუხისმგებლობას, ვრცელდება ამ მუხლში აღნიშნული ვალდებულებები.

9. სასაზღვრო საბაჟო ორგანოდან საბაჟო დამუშავების ოპერაციის განხორციელების საბაჟო ორგანომდე ან სხვა ადგილამდე ან კანონმდებლობით დადგენილი სხვა ადგილიდან საბაჟო დამუშავების ოპერაციის განხორციელების საბაჟო ორგანომდე ან სხვა ადგილამდე

საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების მიტანა ხორციელდება მოწმობით, გარდა კანონ-მდებობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 7. საქონლის წარდგენა დანიშნულების ადგილზე არასაბაჟო ორგანოში

1. საქონლის დანიშნულების ადგილზე (არასაბაჟო ორგანო) წარდგენის დადასტურების მიზნით ხდება დამოწმება: (8.02.2007 N98)

ა) საბაჟო საწყობის (დროებითი შენახვის საწყობის) მიერ აღრიცხვის მოწმობის უკანა გვერდზე გაკეთებული აღნიშვნით (ბეჭედი, ხელმოწერა, თარიღი და დრო). დამოწმებული მოწმობის საბაჟო ორგანოსთვის გადაცემის ვალდე-ბულება ეკისრება საბაჟო საწყობს, იმავე ან მე-2 სამუშაო დღის 12 საათამდე;

ბ) სარკინიგზო გადაზიდვების შემთხვევაში – რკინიგზის მიერ სარკინიგზო ზედნადებზე და აღრიცხვის მოწმობის უკანა გვერდზე გაკეთებული აღნიშვნით (შტამპი, ხელმოწერა, თარიღი და დრო). დამოწმებული აღრიცხვის მოწმობისა და სარკინიგზო ზედნადების საბაჟო ორგანოსთვის გადაცემის ვალდებულება ეკისრება სარკინიგზო ზედნადებში მითითე-ბულ ტვირთმიმღებს, ხოლო საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის, საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების ან საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმებში მყოფი საქონლის საბაჟო ტერიტორიიდან რეექსპორტით გატანისას, აგრეთვე დროებითი დასაწ-ყობების ადგილიდან საქონლის რეექსპორტისას, თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებული დეფექტური საქონლის ან საქართველოს საქონლის სტატუსის ჩამორთმევისას უკან დაბ-რუნების შემთხვევაში რეექსპორტისას – ტვირთგამგზავნს. (23.04.2007 N388)

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული საქონლისა ან/და სატრანსპორტო საშუა-ლებების წარდგენის თარიღი და დრო ჩაითვლება საბაჟო ორგანოში საქონლისა ან/და სატრანსპორტო საშუალებების წარდგენის დღედ.

3. ამოღებულია (8.02.2007 N98)

მუხლი 8. საქონლის წარდგენა საბაჟო დამუშავების ოპერაციის ადგილზე (8.02.2007 N98)

1. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანის დროს (უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მიერ გადაადგილებული უცხოეთში რეგისტრირებული მსუბუქი ავტოსატრან-სპორტო საშუალებების გარდა), მისი წარდგენა საბაჟო დამუშავების ოპერაციის ადგილზე (არასასაზღვრო საბაჟო ორგანოში, რომელიც განთავსებულია საბაჟო საწყობის, დროებითი შენახვის საბაჟო საწყობის ტერიტორიაზე) ხორციელდება მოწმობის წარდგენით (მოწმობის უკანა გვერდზე საბაჟო საწყობის, დროებითი შენახვის საბაჟო საწყობის უფლებამოსილი პირის მიერ სათანადო აღნიშვნით), რომელიც დადასტურდება, მოწმობაში საბაჟო ორგანოს პასუხისმგებელი პირის პირადნომრიანი ბეჭდით, თარიღისა და დროის მითითებით. (23.07.2007 N925)

2. იმ შემთხვევაში, თუ საქონელი, რომელიც გადაადგილდება საბაჟო გამშვები პუნქტი-დან ან კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ადგილიდან და პირდაპირ წარედგინება საბაჟო ორგანოს (რომელიც განთავსებული არ არის საბაჟო საწყობის, დროებითი შენახვის საბაჟო საწყობის ტერიტორიაზე), მაშინ საქონლის წარდგენად ჩაითვლება მოწმობის წარდგენა საბაჟო ორგანოში, რომელიც დასტურდება საბაჟო მოხელის პირადნომ-რიანი ბეჭდით, თარიღითა და დროით.

3. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საქონელი რეექსპორტის საბაჟო დამუშავების ოპერაციით ტოვებს საქართველოს საბაჟო ტერიტორიას ახალი აღრიცხვის მოწმობის საფუძველზე.

მუხლი 9. სატვირთო საბაჟო დეკლარაციის წარდგენა

1. დეკლარაციის წარდგენა ხდება საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრულ იმ საბაჟო ორგანოში, სადაც წარმოებს საქონლის საბაჟო დამუშავების ოპერაცია.

2. დეკლარაციის წარდგენა ხდება იმ შემთხვევაში, თუ განზრახულია შემდეგ საბაჟო რეჟიმებში მოქცეული საქონლის რეექსპორტი:

ა) საბაჟო საწყობში საქონლის შენახვა;

ბ) საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავება;

გ) საქონლის დროებითი შემოტანა.

3. ამოღებულია (8.02.2007 N98)

4. ამოღებულია (8.02.2007 N98)

5. ამოღებულია (8.02.2007 N98)

6. დეკლარაციას აკისებს დეკლარანტი.

7. სატვირთო საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაცია ხორციელდება დამუშავების საბაჟო ორგანოში საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად.

8. დეკლარანტის მიერ სატვირთო საბაჟო დეკლარაციის შევსება ხორციელდება საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად.

9. სატვირთო საბაჟო დეკლარაციასთან ერთად საბაჟო დამუშავების ოპერაციის ადგილზე დეკლარანტის მიერ ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტებიდან წარდგენილი უნდა იქნეს საქონლისა და მისი გადაადგილების, სატრანსპორტო საშუალების სახეობის და კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა პირობებიდან გამომდინარე საჭირო დოკუმენტები: (5.02.2007 N81)

ა) ხელშეკრულება;

ბ) შესყიდვის დოკუმენტი (ინვოისი ან სხვა საანგარიშ-სწო-რებო დოკუმენტი);

გ) სატრანსპორტო ზედნადები;

დ) კონოსამენტი;

ე) მანიფესტი;

ვ) TIR-კარნეტის დოკუმენტი;

ზ) ერთჯერადი ან გენერალური მინდობილობა ან ხელშეკრულება;

თ) ნებართვები „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, რომელთა წარდგენა აუცილებელია სასაზღვრო საბაჟო ორგანოში:

თ.ა) შეზღუდულად ბრუნვადი მასალების რეექსპორტის ნებართვა;

თ.ბ) „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ" კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი სახეობების, მათი ნაწილებისა და დერივატების რეექსპორტის ნებართვა;

თ.გ) იარაღისა და საბრძოლო მასალის რეექსპორტის ნებართვა;

თ.დ) უცხო ქვეყნის და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენელთა, აგრეთვე სხვა მნიშვნელოვან პირთა ვიზიტის დროს მათ თანმხლებ პირთა მიერ იარაღისა და საბრძოლო მასალის საქართველოში შემოტანისა და საქართველოდან გატანის ნებართვა;

თ.ე) ორმაგი დანიშნულების პროდუქციის რეექსპორტის ნებართვა;

ი) დსთ-ს ქვეყნებში წარმოშობილი შესაბამისი შეთანხმებით განსაზღვრული საქონლის რეექსპორტის ნებართვა (შესაბამისი ქვეყნის უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ გაცემული);

კ) სერტიფიკატები:

კ.ა) საქონლის წარმოშობის სერტიფიკატი;

კ.ბ) საქონლის უსაფრთხოების სერტიფიკატი;

კ.გ) ფიტო-სანიტარული სერტიფიკატი;

კ.დ) ვეტერინარული სერტიფიკატი;

კ.ე) სანიტარული-ჰიგიენური სერთიფიკატი;
კ.ვ) ფუმიგაციისა და დეზინფექციის სერტიფიკატი;
ლ) სპეციალური სატვირთო საბაჟო დეკლარაცია;
მ) საქონლის სპეციფიკაცია;
ნ) აქციზური საქონლის ბარათი;
ო) საბაჟო გადასახდელების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
პ) გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი (კოდი);
ჟ) ექსპერტიზის აქტი;
რ) საქონლის დათვალიერების აქტი;
ს) საქონლის სინჯის (ნიმუშის) აღების აქტი (ოქმი);
ტ) ჯარიმის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
უ) საბაჟო სამართალდარღვევის ოქმი;
ფ) ავტოსატრანსპორტო საშუალების ტექნიკური პასპორტი;
ქ) საქონლისა და/ან სატრანსპორტო საშუალების საბაჟო კონტროლის ქვეშ დროებითი შენახვის განაცხადი;
ღ) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტები.

მუხლი 10. საქონლის საბაჟო დათვალიერება, სინჯის ან/და ნი-მუშის აღება საბაჟო დამუშავების ოპერაციის ადგილებში

საბაჟო ორგანოს გადაწყვეტილებით საბაჟო დამუშავების ოპერაციის ადგილას შეიძლება განხორციელდეს საქონლის დათვალიერება, სინჯების და ნიმუშების აღება საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 11. რეექსპორტისათვის განკუთვნილი საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალებების მიტანასთან დაკავშირებული ავარიის ან დაუძლეველი ძალის დროს გასატარებელი ღონისძიებები

1. ავარიისა ან დაუძლეველი ძალის დროს, პირი, რომელიც ვერ ასრულებს ამ ინსტრუქციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ვალდებულია:

ა) დაუყოვნებლივ აცნობოს უახლოეს საბაჟო ორგანოს აღნიშნული გარემოებების, საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალებების ადგილმდებარეობისა და მდგომარეობის შესახებ და იმოქმედოს მისი მითითებების შესაბამისად;

ბ) მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალებების ხელშეუხებლობის უზრუნველსაყოფად;

გ) უზრუნველყოს საქონლისა ან/და სატრანსპორტო საშუალებების მიტანა უახლოესი საბაჟო ორგანოს ტერიტორიაზე ან საბაჟო ორგანოს მიერ მითითებულ ადგილზე;

2. აუცილებლობის შემთხვევაში შესაბამისი საბაჟო ორგანო ვალდებულია, განსაზღვროს ამ საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების დანიშნულების საბაჟო ორგანომდე ან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ადგილამდე მიტანის უზრუნველყოფის ღონისძიებები.

3. ავარიისა ან დაუძლეველი ძალის შედეგად განადგურებულ საქონელზე დგება ოქმი და განადგურების შედეგად წარმოშობილ ნარჩენები და ჯართი გადაადგილდება საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად.

4. ამ მუხლის მოთხოვნათა შესრულებისათვის გაწეულ ხარჯებს ანაზღაურებს საქონელსა და/ან სატრანსპორტო საშუალებაზე უფლებამოსილი შესაბამისი პირი.

მუხლი 12. საქონლის რეექსპორტის საბაჟო დამუშავების ოპერაციის განხორციელების შემთხვევები

1. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი საქონლის რეექსპორტი შესაძ-

ლებელია განხორციელდეს შემდეგ შემთხვევებში:

ა) როდესაც საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანის დროს პირი სასაზღვრო-საბაჟო ორგანოში მაშინვე აცხადებს საქონლის მიმართ რეექსპორტის საბაჟო დამუშავების ოპერაციის გამოყენების განზრახვას და ამ ოპერაციის განხორციელებისა და დასრულების მიზნით საქონელს ათავსებს დროებითი დასაწყობების ადგილზე;

ბ) როცა განზრახულია საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის, საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების ან საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონლის რეექსპორტი; (8.02.2007 N98)

ბ1) იმ შემთხვევაში, როდესაც პირს საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი საქართველოში არარეგისტრირებული აეტოსატრანსპორტო საშუალება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანიდან (გარდა ტრანზიტის საბაჟო რეჟიმით გადაადგილებისა) 20 დღის ვადაში გააქვს საქართველოს ტერიტორიიდან. (23.07.2007 N925)

გ) სხვა შემთხვევებში - როდესაც:

გ.ა) დადგინდა, რომ თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების (იმპორტის) საბაჟო რეჟიმში მოქცეულ საქონელს გააჩნია დეფექტი ან მისი რაოდენობა, ხარისხი, შეფუთვა ან აღწერილობა არ შეესაბამება საგარეო-ეკონომიური გარიგების პირობებს და ამ მიზეზით უბრუნდება მომწოდებელს ან მის მიერ მითითებულ სხვა პირს;

გ.ბ) თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებულ საქონელს ჩამოერთმევა საქართველოს საქონლის სტატუსი, თუ მისი გაშვების შემდეგ საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების საბაჟო დეკლარაცია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში ცნობილია ბათილად, აღიარებულია არარად ან გამოცხადებულია ძალადაკარგულად;

გ.გ) ამოღებულია (8.02.2007 N98)

დ) საქართველოს საბაჟო კოდექსის 87-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში. (8.02.2007 N98)

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის ,,გ.ა" ქვეპუნქტში მითითებულ შემთხვევაში საქონლის რეექსპორტის საბაჟო დამუშავების ოპერაციის გამოყენებისათვის დაკმაყოფილებული უნდა იყოს შემდეგი პირობები:

ა) საქონელი არ უნდა იყოს გამოყენებული და გადამუშავებული საქართველოს ტერიტორიაზე;

ბ) შესაძლებელი უნდა იყოს საბაჟო ორგანოს მიერ საქონლის იდენტიფიცირება;

გ) საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საქონელი გატანილი უნდა იყოს თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების დღიდან 6 თვეში.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, რეექსპორტის საბაჟო დამუშავების ოპერაციის განხორციელების საფუძველს წარმოადგენს პირის წერილობითი განცხადება, საქონლის დეფექტის არსებობის, რაოდენობის, ხარისხის, შეფუთვისა და აღწერილობის საგარეო-ეკონომიური გარიგების პირობებთან შეუსაბამობის შესახებ, აგრეთვე მომწოდებლისათვის ან მის მიერ მითითებული სხვა პირისათვის საქონლის დაბრუნების თანხმობის დამადასტურებელი, მომწოდებლის წერილობითი დოკუმენტი (შესაძლებელია ასლი, შემდგომში მისი ორიგინალის წარდგენით).

4. ამ მუხლის პირველი პუნქტის "გ.ბ" ქვეპუნქტში მითითებულ შემთხვევაში საქონლის მიმართ რეექსპორტის საბაჟო დამუშავების ოპერაციის გამოყენების შესახებ საბაჟო ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, "საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო კონტროლის ქვეშ დროებითი შენახვის განაცხადის" წარდგენით უნდა მოხდეს საქონლის დროებითი დასაწყობება დადგენილი წესით, საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან მის გატანამდე დროებით შესანახად. (9.03.2007 N187)

5. თუ შენახვის ვადის გასვლამდე საქონელი არ იქნება გატანილი დროებითი დასაწ-

ყობების ადგილიდან, შენახვის ვადის გასვლის შემდეგ მისი განკარგვა განხორციელდება საქართველოს საბაჟო კოდექსის 167-ე და 168-ე მუხლების შესაბამისად.

მუხლი 13. საქონლის რეექსპორტის საბაჟო დამუშავების ოპერაციის დასრულება

1. საქონლის რეექსპორტის საბაჟო დამუშავების ოპერაციის დასრულება დასტურდება სასაზღვრო გამშვები საბაჟო ორგანოს მიერ საბაჟო კონტროლის ქვეშ მყოფი საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობაზე სპეციალური აღნიშვნით „მოხსნილია კონტროლიდან" და საქონლის მიერ ფაქტობრივად დატოვებულია საბაჟო ტერიტორია.

2. იმ შემთხვევაში, როდესაც ხორციელდება საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის, საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების ან საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმებში მყოფი საქონლის რეექსპორტი, საბაჟო დამუშავების ოპერაციის დასრულების დამადასტურებელ დოკუმენტს, ერთდროულად წარმოადგენს როგორც კონტროლიდან მოხსნილი საბაჟო კონტროლის ქვეშ მყოფი საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობა, ასევე სათანადოდ გაფორმებული საბაჟო დეკლარაცია.

3. რეექსპორტის საბაჟო დამუშავების ოპერაციის სხვა საბაჟო დამუშავების ოპერაციით შეცვლის შემთხვევაში, რეექსპორტის დასრულება დასტურდება ახალი საბაჟო დამუშავების ოპერაციის გამოყენების თაობაზე შესაბამისი დოკუმენტის გაფორმებით. (8.02.2007 N98)

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №1760

2006 წლის 20 დეკემბერი

საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების (იმპორტის) საბაჟო რეჟიმის გამოყენების წესების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბაჟო კოდექსის 93-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის N39 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის "ლ" ქვეპუნქტის საფუძველზე, ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს ინსტრუქცია "საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების (იმპორტის) საბაჟო რეჟიმის გამოყენების წესების შესახებ".

2. ეს ინსტრუქცია არ ვრცელდება საფოსტო გზავნილებსა და მგზავრის მიერ გადაადგილებულ ბარგსა და ხელბარგზე.

3. ბრძანება ამოქმედდეს 2007 წლის 1 იანვრიდან.

ა. ალექსიშვილი

ინსტრუქცია
საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების (იმპორტის) საბაჟო რეჟიმის გამოყენების წესების შესახებ

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებულ საქონელს ენიჭება საქართველოს საქონლის სტატუსი.

2. თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების (იმპორტის) საბაჟო რეჟიმში საქონლის მოქცევისას მის მიმართ გამოიყენება შემდეგი ღონისძიებები:

ა) სავაჭრო პოლიტიკის ღონისძიებები;

ბ) საქონლის საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას გათვალისწინებული საბაჟო პროცედურები;

გ) საბაჟო გადასახდელების გადახდა.

3. აკრძალულია იმ საქონლის მოქცევა თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების (იმპორტის) საბაჟო რეჟიმში, რომლის შემოტანა საქართველოს ტერიტორიაზე აკრძალულია.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნული აკრძალული საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანის დროს, იგი დაუყოვნებლივ უნდა იქნეს გატანილი და/ან დაუყოვნებლივ გატანის შეუძლებლობის შემთხვევაში მოთავსდეს დროებითი შენახვის საწყობში.

5. ამ მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნული საქონლის უკან დაბრუნების დროს წარმოდგენილ დოკუმენტებზე (სატრანსპორტო ზედდებული ან ინვოისი ან კანონმდებლობით დადგენილი სხვა საბაჟო დოკუმენტი) საბაჟო ორგანო აკეთებს აღნიშვნას - „დაბრუნებულია საქონელი", მიეთითება თარიღი და დასტურდება პირადნომრიანი ბეჭდით. აღნიშნულ საქონელზე გამოიწერება საბაჟო კონტროლის ქვეშ მყოფი საქონლისა ან/და სატრანსპორტო საშუალებების აღრიცხვის მოწმობა (შემდგომში – მოწმობა) საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად.

6. სასაზღვრო საბაჟო ორგანოს უფლება აქვს საქონლის წარდგენიდან 2 დღის შემდეგ დაუყოვნებლივ დააბრუნოს საქონელი, თუ წარმოდგენილი დოკუმენტები არ მოიცავს ზოგადი დეკლარირებისათვის საჭირო მონაცემებს და არ არის წარმოდგენილი კანონმდებლობით გათვალისწინებული ლიცენზიები, ნებართვები და სერტიფიკატები.

7. მე-6 პუნქტში აღნიშნული საქონლის დაბრუნება ხორციელდება ამ მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად.

მუხლი 2. საქონლის საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანის დროს გათვალისწინებული საბაჟო პროცედურები

1. თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების (იმპორტის) საბაჟო რეჟიმისათვის განკუთვნილი საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე (გამშვებ პუნქტზე) შემოტანის დროს დადგენილი წესის შესაბამისად ხორციელდება შემდეგი საბაჟო პროცედურები:

ა) საქონლის წარდგენა;

ბ) ზოგადი დეკლარირება;

გ) მოწმობის გამოწერა.

2. საბაჟო ორგანოს გადაწყვეტილებით, ზოგადი დეკლარირების შემდეგ, სასაზღვრო საბაჟო ორგანოში შეიძლება განხორციელდეს საქონლის დათვალიერება, სინჯების და ნიმუშების აღება და საიდენტიფიკაციო ნიშნების დადება საქართველოს საბაჟო კოდექსის შესაბამისად.

მუხლი 3. საქონლის წარდგენა სასაზღვრო საბაჟო ორგანოში საბაჟო ორგანოში საქონლის წარდგენა ხდება:

ა) სახმელეთო სასაზღვრო გამტარ პუნქტებში - სასაზღვრო კონტროლის განხორციელე-

ბის შემდეგ საქონლის საბაჟო კონტროლის ზონაში ფაქტობრივი განთავსებით;

ბ) საერთაშორისო ნაოსნობისათვის გახსნილ საზღვაო პორტებში და საერთაშორისო აეროპორტებში გახსნილ სასაზღვრო გამტარ პუნქტებში – გემის ან თვითმფრინავის კაპიტნის ან უფლებამოსილი პირის მიერ სატვირთო მანიფესტის საბაჟო ორგანოსთვის წარდგენით, რაც დამოწმდება საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირის მიერ პირადნომრიანი ბეჭდით და თარიღის მითითებით.

გ) საავტომობილო ტრანსპორტით საქართველოს საბაჟო საზღვრის საბაჟო ორგანოს მიერ შერჩეულ ადგილზე (სასაზღვრო გამტარი პუნქტის გარდა) გადმოკვეთის შემთხვევაში –სასაზღვრო კონტროლის განხორციელების შემდეგ საქონლის საბაჟო ორგანოს მიერ შერჩეულ საბაჟო კონტროლის ზონაში (საბაჟო ორგანო, საბაჟო საწყობი, დროებითი შენახვის საწყობი, საბაჟო კონტროლის სხვა ზონა ან საბაჟო ორგანოს მიერ მითითებული სხვა ნებისმიერი ადგილი) ფაქტობრივი განთავსებით.

მუხლი 4. საქონლის ზოგადი დეკლარირება სასაზღვრო საბაჟო ორგანოში

1. ზოგადი დეკლარირება უნდა განხორციელდეს ამ ინსტრუქციის მე-3 მუხლის პირობების შესაბამისად წარდგენილი საქონლის სასაზღვრო კონტროლის განხორციელების დასრულებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა.

2. ზოგადი დეკლარირება ხორციელდება (ზოგადი დეკლარირების ფორმა) საბაჟო ორგანოსადმი იმ ზოგადი მონაცემების ამსახველი დოკუმენტების წარდგენით, რომელიც აუცილებელია შესაბამისი საბაჟო დამუშავების ოპერაციის შერჩევამდე მისი იდენტიფიკაციისათვის, საბაჟო ზედამხედველობისა და საბაჟო კონტროლის განხორციელებისათვის (მათ შორის, საბაჟო კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული მოწმობის შევსებისათვის).

3. ზოგადი დეკლარირების მიზნით სასაზღვრო საბაჟო ორგანოში წარდგენილი უნდა იქნეს სატრანსპორტო დოკუმენტები:

ა) საავტომობილო ტრანსპორტით გადაზიდვის დროს – სატრანსპორტო ზედდებული;

ბ) საზღვაო ტრანსპორტით საქონლის შემოტანის დროს – კონოსამენტი;

გ) საჰაერო ტრანსპორტით საქონლის შემოტანის დროს – ავიაზედდებული.

4. ზოგადი დეკლარირების მიზნით ამ მუხლის მე-3 პუნქტში გათვალისწინებული დოკუმენტების გარდა შეიძლება გამოყენებულ იქნას საქონლის თანმხლები სხვა დოკუმენტები:

ა) კონტრაქტი ან/და ინვოისი;

ბ) წარმოშობის სერტიფიკატი;

გ) საბაჟო გარანტია (ან TIR-კარნეტის დოკუმენტი) საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად.

დ) სპეციალური სატვირთოსაბაჟო დეკლარაცია საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად.

ე) აქციზური საქონლის ბარათი საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად.

ვ) ლიცენზია და ნებართვები ,,ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ'' საქართველოს კანონის შესაბამისად, რომელთა წარდგენა აუცილებელია სასაზღვრო საბაჟო ორგანოში:

ვ.ა) დაკვირვების ელექტრონული საშუალებების იმპორტის ლიცენზია.

ვ.ბ) ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტის ნებართვა. წარმოშობის პროდუქციის იმპორტის ნებართვა:

ვ.დ) შეზღუდულად ბრუნვადი მასალების იმპორტის ნებართვა.

ვ.ე) ბირთვული, რადიაციული ობიექტების, ბირთვული მასალების, რადიაქტიური ნივთიერებების, რადიაქტიური ნარჩენების, მინერალების (წიაღისეულის), რომლებისაგანაც პრაქტიკულად შესაძლებელია ბირთვული მასალების მიღება, ყველაფრის, რაც დამზადებულია ბირთვული მასალისაგან ან რადიაქტიური ნივთიერებისაგან ან შეიცავს მათ, რო-

გორც შემადგენელ ნაწილს, აგრეთვე ბირთვული ტექნოლოგიების, ან ნოუ-ჰაუების იმპორტის ნებართვა.

ვ.ვ) ,,გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ" კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი სახეობების, მათი ნაწილებისა და დერივატების იმპორტის ნებართვა.

ვ.ზ) იარაღისა და საბრძოლო მასალის იმპორტის ნებართვა.

ვ.თ) უცხო ქვეყნის და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენელთა, აგრეთვე სხვა მნიშვნელოვან პირთა ვიზიტის დროს მათ თანმხლებ პირთა მიერ იარაღისა და საბრძოლო მასალის საქართველოში შემოტანის ნებართვა.

ვ.ი) ორმაგი დანიშნულების პროდუქციის იმპორტის ნებართვა.

ვ.კ) სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებების იმპორტის ნებართვა.

ვ.ლ) არაიოდიზებული მარილის იმპორტის ნებართვა.

ზ) ექსპორტიორი ქვეყნის მიერ გაცემული ფიტო ან/და ვეტ სერტიფიკატები.

თ) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტები.

5. ზოგადი დეკლარირების უფლება აქვს საქონლის მფლობელს ან მის წარმომადგენელს.

6. ზოგადი დეკლარირება არ ხორციელდება მილსადენი ტრანსპორტით და ელექტროგადამცემი ხაზებით გადაადგილებულ საქონელზე.

7. ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებული დოკუმენტები დამოწმდება საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირის მიერ პირადნომრიანი ბეჭდით. (8.02.2007 N105)

მუხლი 5. საბაჟო კონტროლის ქვეშ მყოფი საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობის გამოწერა (8.02.2007 N105)

ამ ინსტრუქციის მე-4 მუხლში მითითებული დოკუმენტების საფუძველზე სასაზღვრო საბაჟო ორგანოს მიერ ხდება მოწმობის გამოწერა "საბაჟო კონტროლის ქვეშ მყოფო საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობის შევსების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 20 დეკემბრის N1764 ბრძანების შესაბამისად.

მუხლი 6. შემოტანილი საქონლისა ან/და სატრანსპორტო საშუალებების საქართველოს საბაჟო ტერიტორიის შესაბამის ადგილამდე მიტანის ვადა და მარშრუტი

1. სასაზღვრო საბაჟო ორგანოდან საბაჟო დამუშავების ოპერაციის განხორციელების საბაჟო ორგანომდე ან სხვა ადგილამდე ან კანონმდებლობით დადგენილი სხვა ადგილიდან საბაჟო დამუშავების ოპერაციის განხორციელების საბაჟო ორგანომდე ან სხვა ადგილამდე საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების მიტანის ვადა განისაზღვრება დადგენილი წესით, გამგზავნი საბაჟო ორგანოს მიერ, გადასაზიდი საქონლის, სატრანსპორტო საშუალების, საბაჟო მარშრუტის ხასიათის და ეკოლოგიურკლიმატური პირობების გათვალისწინებით.

2. შემოტანილი საქონლისა ან/და სატრანსპორტო საშუალებების საქართველოს საბაჟო ტერიტორიის შესაბამის ადგილამდე მიტანა ხორციელდება ნებისმიერი გზით, გარდა თამბაქოს ნაწარმის გადაზიდვის შემთხვევისა.

3. საბაჟო ზედამხედველობას დაქვემდებარებული თამბაქოს ნაწარმის გადაადგილება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ხორციელდება იმ საბაჟო ორგანოების გავლით, რომელიც განსაზღვრულია "სასაზღვრო საბაჟო ორგანოს გახსნის, მუშაობის დროის და მისი გავლით შემოსატანი საქონლის სახეობების განსაზღვრის შესახებ" საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

4. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი საქონელი და/ან სატრანსპორტო

საშუალება იმყოფება საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მისთვის საბაჟო სტატუსის მინიჭებამდე, შეცვლამდე, თავისუფალ ზონაში ან თავისუფალ საწყობში გადატანამდე, საბაჟო ტერიტორიიდან რეექსპორტამდე ან საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ განადგურებამდე, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

5. საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მყოფი საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალებების მიმართ შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ საბაჟო ორგანოსთან შეთანხმებული მოქმედებები და ოპერაციები.

6. თუ საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მყოფი საქონელი ან/და სატრანსპორტო საშუალებები განადგურდა ან დაზიანდა, საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების მფლობელი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს საბაჟო ორგანოს და წარუდგინოს მას განადგურების ან დაზიანების უტყუარი მტკიცებულებები, რომელიც დამოწმებულია შესაბამისი უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ. თუ საბაჟო ორგანოს არ დააკმაყოფილებს წარმოდგენილი მტკიცებულებები, საქონელი ჩაითვლება საბაჟო ზედამხედველობიდან უკანონოდ გასულად.

7. თუ საქონელი და/ან სატრანსპორტო საშუალებები უკანონოდ გადის საბაჟო ზედამხედველობიდან ან საბაჟო ორგანოს აქვს საფუძვლიანი ეჭვი საბაჟო ზედამხედველობიდან საქონლის და/ან სატრანსპორტო საშუალების უკანონოდ გასვლაზე და დეკლარანტს ან საქონლის მესაკუთრეს ან საქონლის მფლობელს არ შეუძლია საბაჟო ორგანოს დაუმტკიცოს ამ საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების საბაჟო ზედამხედველობიდან კანონიერად გასვლის ფაქტი, ვალდებულმა პირმა საბაჟო ზედამხედველობიდან საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების უკანონოდ გასვლის აღმოჩენიდან 5 კალენდარული დღის განმავლობაში უნდა შეასრულოს წარმოშობილი საბაჟო ვალდებულება.

8. პირზე, რომელიც იღებს საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი საქონლისა ან/და სატრანსპორტო საშუალების ტრანსპორტირების პასუხისმგებლობას, ერცელდება ამ მუხლში აღნიშნული ვალდებულებები.

9. სასაზღვრო საბაჟო ორგანოდან საბაჟო დამუშავების ოპერაციის განხორციელების საბაჟო ორგანომდე ან სხვა ადგილამდე ან კანონმდებლობით დადგენილი სხვა ადგილიდან საბაჟო დამუშავების ოპერაციის განხორციელების საბაჟო ორგანომდე ან სხვა ადგილამდე საქონლისა ან/და სატრანსპორტო საშუალებების მიტანა ხორციელდება მოწმობით, გარდა კანონმდებობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 7. საქონლის წარდგენა დანიშნულების ადგილზე არასაბაჟო ორგანოში

1. საქონლის დანიშნულების ადგილზე(არასაბაჟო ორგანო) წარდგენის დადასტურების მიზნით ხდება დამოწმება: (8.02.2007 N105)

ა) საბაჟო საწყობის(დროებითი შენახვის საწყობის) მიერაღრიცხვის მოწმობის უკანა გვერდზე გაკეთებული აღნიშვნით(ბეჭედი, ხელმოწერა, თარიღი და დრო). დამოწმებული მოწმობის საბაჟო ორგანოსათვის გადაცემის ვალდებულება ეკისრება საბაჟო საწყობს, იმავე ან მე-2 სამუშაო დღის 12 საათამდე;

ბ) სარკინიგზო გადაზიდვების შემთხვევაში რკინიგზის მიერ სარკინიგზო ზედნადებზე და აღრიცხვის მოწმობის უკანა გვერდზე გაკეთებული აღნიშნვით(შტამპი, ხელმოწერა, თარიღი და დრო). დამოწმებული აღრიცხვის მოწმობისა და სარკინიგზო ზედნადების საბაჟო ორგანოსათვის გადაცემის ვალდებულება ეკისრება სარკინიგზო ზედნადებში მითითებულ ტვირთმიმღებს.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული საქონლისა ან/და სატრანსპორტო საშუალებების წარდგენის თარიღი და დრო ჩაითვლება საბაჟო ორგანოში საქონლისა ან/და სატრანსპორტო საშუალებების წარდგენის დღედ.

3. ამოღებულია (8.02.2007 N105)

მუხლი 8. საქონლის წარდგენა საბაჟო დამუშავების ოპერაციის ადგილზე

1. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანის დროს (უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მიერ გადაადგილებული უცხოეთში რეგისტრირებული მსუბუქი ავტოსატრანსპორტო საშუალებების გარდა), მისი წარდგენა საბაჟო დამუშავების ოპერაციის ადგილზე (საბაჟო ორგანოში), რომელიც მდებარეობს არასასაზღვრო საბაჟო ორგანოს სამოქმედო ტერიტორიაზე, ხორციელდება მოწმობის წარდგენით, რომელიც დადასტურდება მოწმობაში საბაჟო ორგანოს პასუხისმგებელი პირის პირადნომრიანი ბეჭდით, სადაც მიეთითება აგრეთვე დამოწმების თარიღი და დრო. (23.07.2007 N923)

2. იმ შემთხვევაში, თუ თავისუფალი მიმოქცევისათვის განკუთვნილი საქონელი, რომელიც გადაადგილდება საბაჟო გამშვები პუნქტიდან ან კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ადგილიდან და პირდაპირ წარედგინება საბაჟო ორგანოს (დროებითი შენახვის საბაჟო საწყობში წარდგენის გარეშე), მაშინ საქონლის წარდგენად ჩაითვლება მოწმობის წარდგენა საბაჟო ორგანოში, რომელიც დასტურდება საბაჟო მოხელის პირადნომრიანი ბეჭდით, თარიღითა და დროით.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მოწმობა იხსნება კონტროლიდან სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის წარდგენის საფუძველზე სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციიდან არაუგვიანეს ერთი საათისა.

მუხლი 9. სატვირთო საბაჟო დეკლარაციის წარდგენა

1. დეკლარაციის წარდგენა ხდება საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრულ იმ საბაჟო ორგანოში, სადაც წარმოებს საქონლის საბაჟო დამუშავების ოპერაცია.

2. დეკლარაციის წარდგენა ხდება:

ა) ზოგადი დეკლარირებიდან 45 კალენდარულ დღეში, თუ საქონელი შემოტანილია საზღვაო გზით;

ბ) ზოგადი დეკლარირებიდან 20 კალენდარულ დღეში, თუ საქონელი შემოტანილია სხვა გზით.

3. საბაჟო ორგანოს შესაბამისი დასაბუთებით შეუძლია შეამციროს ამ მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნული ვადები ან დეკლარანტის წერილობითი განცხადების საფუძველზე გააგრძელოს ისინი 45 კალენდარული დღით.

4. დეკლარაციას ავსებს დეკლარანტი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დეკლარანტი მიმართავს საბაჟო ორგანოს დეკლარაციის შევსების თაობაზე მსუბუქი ავტომანქანების იმპორტის დროს.

5. სატვირთო საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაცია ხორციელდება დამუშავების საბაჟო ორგანოში საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად.

6. დეკლარანტის მიერ სატვირთო საბაჟო დეკლარაციის შევსება ხორციელდება საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად.

7. სატვირთო საბაჟო დეკლარაციასთან ერთად საბაჟო დამუშავების ოპერაციის ადგილზე დეკლარანტის მიერ ქვემოთჩამოთვლილი დოკუმენტებიდან წარდგენილი უნდა იქნეს საქონლისა და მისი გადაადგილების, სატრანსპორტო საშუალების სახეობის და კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა პირობებიდან გამომდინარე საჭირო დოკუმენტები:

ა) ხელშეკრულება;

ბ) შესყიდვის დოკუმენტი (ინვოისი ან სხვა საანგარიშსწორებო დოკუმენტი);

გ) სატრანსპორტო ზედდებული;

დ) კონოსამენტი;

ე) მანიფესტი;

ვ) TIR-კარნეტის დოკუმენტი;

ზ) ერთჯერადი ან გენერალური მინდობილობა ან ხელშეკრულება;

თ) ლიცენზია და ნებართვები ,,ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ'' საქართველოს კანონოს შესაბამისად:

თ.ა) დაკვირვების ელექტრონული საშუალებების იმპორტის ლიცენზია;

თ.ბ) ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტის ნებართვა;

თ.გ) ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქციის იმპორტის ნებართვა;

თ.დ) შეზღუდულად ბრუნვადი მასალების იმპორტის ნებართვა;

თ.ე) ბირთვული, რადიაციული ობიექტების, ბირთვული მასალების, რადიაქტიული ნივთიერებების, რადიაქტიული ნარჩენების, მინერალების (წიაღისეულის), რომლებისგანაც პრაქტიკულად შესაძლებელია ბირთვული მასალების მიღება, ყველაფრის, რაც დამზადებულია ბირთვული მასალისაგან ან რადიაქტიული ნივთიერებისაგან ან შეიცავს მათ, როგორც შემადგენელ ნაწილს, აგრეთვე ბირთვული ტექნოლოგიების ან ნოუ-ჰაუების იმპორტის ნებართვა;

თ.ვ) ,,გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორის და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ''' კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი სახეობების, მათი ნაწილებისა და დერივატების იმპორტის ნებართვა;

თ.ზ) იარაღისა და საბრძოლო მასალის იმპორტის ნებართვა;

თ.თ) უცხო ქვეყნის და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენელთა, აგრეთვე სხვა მნიშვნელოვან პირთა ვიზიტის დროს მათ თანმხლებ პირთა შიერ იარაღისა და საბრძოლო მასალის საქართველოში შემოტანის ნებართვა;

თ.ი) ორმაგი დანიშნულების პროდუქციის იმპორტის ნებართვა;

თ.კ) სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებების იმპორტის ნებართვა;

თ.ლ) არაიოდიზებული მარილის იმპორტის ნებართვა;

ი) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წერილობითი დასკვნა საქონლისათვის პუმანიტარული სტატუსის მინიჭების შესახებ;

კ) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წერილობითი დასკვნა საქონლისათვის გრანტის სტატუსის მინიჭების შესახებ;

ლ) სერტიფიკატები:

ლ.ა) საქონლის წარმოშობის სერტიფიკატი;

ლ.ბ) საქონლის უსაფრთხოების სერტიფიკატი;

ლ.გ) ფიტო-სანიტარული სერტიფიკატი;

ლ.დ) ვეტერინარული სერტიფიკატი;

ლ.ე) სანიტარული-ჰიგიენური სერთიფიკატი;

ლ.ვ) ფუმიგაციისა და დეზინფექციის სერტიფიკატი;

მ) სპეციალური სატვირთო საბაჟო დეკლარაცია;

ნ) სპეციალური საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა (სსაფ) – ნავთობ-პროდუქტების იმპორტის დროს;

ო) საქონლის სპეციფიკაცია;

პ) აქციზური საქონლის ბარათი;

ჟ) სამკურნალო საშუალებების საბაჟო აღნუსხვის ფორმა;

რ) საბაჟო გადასახდელების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ს) გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი (კოდი) ;

ტ) ექსპერტიზის აქტი;

უ) საქონლის დათვალიერების აქტი;

ფ) საქონლის სინჯის (ნიმუშის) აღების აქტი (ოქმი);

ქ) ჯარიმის გადახდის დოკუმენტი;

ე) საბაჟო სამართალდარღვევის ოქმი;

ვ) ავტოსატრანსპორტო საშუალების ტექნიკური პასპორტი;

ზ) საქონლისა და/ან სატრანსპორტო საშუალების საბაჟო კონტროლის ქვეშ დროებითი შენახვის განაცხადი.

ჩ) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტები.

მუხლი 10. საქონლის საბაჟო დათვალიერება, სინჯის ან/და ნიმუშის აღება საბაჟო დამუშავების ოპერაციის ადგილებში

საბაჟო ორგანოს გადაწყვეტილებით საბაჟო დამუშავების ოპერაციის ადგილას შეიძლება განხორციელდეს საქონლის დათვალიერება, სინჯების და ნიმუშების აღება საქართველოს საბაჟო კოდექსის შესაბამისად.

მუხლი 11. საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების (იმპორტის) საბაჟო რეჟიმის გამოყენების დროს მოქმედი შეღავათები

1. თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების (იმპორტის) საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონლის მიმართ, დეკლარანტის მოთხოვნით, გამოიყენება ის შეღავათები, რაც მოქმედებს საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღისათვის.

2. თუ, საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის შემდეგ ამ საქონლის გაშვებამდე პერიოდში საქართველოს კანონმდებლობით შემცირდა საბაჟო გადასახდელების განაკვეთები, დეკლარანტის მოთხოვნით, გამოყენებულ უნდა იქნეს შემცირებული განაკვეთები.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნული პროცედურა ხორციელდება საბაჟო დეკლარაციის შეცვლით და ახალი საბაჟო დეკლარაციის წარდგენით.

4. თუ დეკლარანტი საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებიდან 3 წლის ვადაში წარადგენს საქონლის წარმოშობის სერტიფიკატს, რომელიც ითვალისწინებს შესაბამის საბაჟო შეღავათებს, მაშინ მასზე გავრცელდება კანონმდებლობით გათვალისწინებული შეღავათები.

5. თუ, საქონლის გაშვება არ განხორციელდა ან გაჭიანურდა დეკლარანტის მიზეზით ან მისი უმოქმედობის გამო, ხოლო ამ პერიოდში შეიცვალა საბაჟო კანონმდებლობა რომელმაც გამოიწვია შესაბამისი შეღავათების შემოღება, მაშინ მასზე არ გავრცელდება ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული შეღავათები.

მუხლი 12. საქონლის სხვა საბაჟო დამუშავების ოპერაციის შეცვლა თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების (იმპორტის) საბაჟო რეჟიმით

1. დეკლარანტს შეუძლია ნებისმიერი საბაჟო დამუშავების ოპერაციის ქვეშ მოქცეული საქონელი, ნებისმიერ დროს შეცვალოს თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების (იმპორტის) საბაჟო რეჟიმით (გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა), თუ წარმოდგენილია თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისათვის საჭირო შესაბამისი დოკუმენტები.

2. აკრძალულია ექსპორტის საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების (იმპორტის) საბაჟო რეჟიმში მოქცევა.

მუხლი 13. საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალებების მიტანასთან დაკავშირებული ავარიის ან დაუძლეველი ძალის დროს გასატარებელი ღონისძიებები

1. ავარიისა ან დაუძლეველი ძალის დროს, პირი, რომელიც ვერ ასრულებს ამ ინსტრუქციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ვალდებულია:

ა) დაუყოვნებლივ აცნობოს უახლოეს საბაჟო ორგანოს აღნიშნული გარემოებების, საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალებების ადგილმდებარეობისა და მდგომარეობის

შესახებ და იმოქმედოს მისი მითითებების შესაბამისად;

ბ) მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალებების ხელშეუხებლობის უზრუნველსაყოფად;

გ) უზრუნველყოს საქონლისა ან/და სატრანსპორტო საშუალებების მიტანა უახლოესი საბაჟო ორგანოს ტერიტორიაზე ან საბაჟო ორგანოს მიერ მითითებულ ადგილზე;

2. აუცილებლობის შემთხვევაში შესაბამისი საბაჟო ორგანო ვალდებულია, განსაზღვროს ამ საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების დანიშნულების საბაჟო ორგანომდე ან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ადგილამდე მიტანის უზრუნველყოფის ღონისძიებები.

3. ავარიისა ან დაუძლეველი ძალის შედეგად განადგურებულ საქონელზე დგება ოქმი და განადგურების შედეგად წარმოშობილ ნარჩენები და ჯართი გადაადგილდება საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად.

4. ამ მუხლის მოთხოვნათა შესრულებისათვის გაწეულ ხარჯებს ანაზღაურებს საქონელსა და/ან სატრანსპორტო საშუალებაზე უფლებამოსილი შესაბამისი პირი.

მუხლი 14. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანა კანონმდებლობით განუსაზღვრელ ადგილებში

1. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანა და საბაჟო პროცედურების განხორციელება საქართველოს მთავრობის დადგენილებით განუსაზღვრელ ადგილებში (განსაკუთრებულ შემთხვევებში სამხედრო ტექნიკისა და შეიარაღების, ავარიების, დაუძლეველი ძალის მოქმედების შედეგების სალიკვიდაციო, აგრეთვე სამაშველო სამუშაოების შესასრულებლად ტექნიკის შემოტანის, პირუტყვის ჯოგის შემოყვანისა და სხვა ადგილები) დაიშვება საქონლის შემომტანი პირის განცხადების საფუძველზე, მისივე ხარჯებით და საბაჟო ორგანოსთან შეთანხმებით. განცხადება შეტანილ უნდა იქნეს შესაბამის ტერიტორიულ საბაჟო ორგანოში და ასევე, სასაზღვრო პოლიციის შესაბამის სტრუქტურაში.

2. ტერიტორიულ საბაჟო ორგანოს ენიჭება უფლებამოსილება განიხილოს და გადაწყვიტოს განცხადებაში დასმული საკითხი. გადაწყვეტილება მიიღება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის გამოცემით.

3. განცხადება უნდა იყოს წერილობითი ფორმით და შეიცავდეს:

ა) ტერიტორიული საბაჟო ორგანოს დასახელებას;

ბ) განმცხადებლის (ფიზიკური პირი, იურიდიული პირი) ვინაობას (დასახელებას) და მისამართს;

გ) მოთხოვნას (საქონლის შემოტანის უფლება, შემოტანის ადგილის, ავტოსატრანსპორტო საშუალებების, ტექნიკის, საქონლის სახეობის, რაოდენობისა და ღირებულების მითითებით);

დ) განცხადების წარდგენის თარიღს და განმცხადებლის ხელმოწერას;

ე) განცხადებაზე დართული საბუთების ნუსხას, მათი არსებობის შემთხვევაში.

4. განმცხადებელს უფლება აქვს ტერიტორიულ საბაჟო ორგანოს განცხადებასთან ერთად წარუდგინოს ყველა საბუთი, რომელიც შეიძლება საფუძვლად დაედოს განცხადებაში დასმული საკითხის გადაწყვეტას და შესაბამისი ადმინისტრაციული აქტის გამოცემას.

5. ტერიტორიული საბაჟო ორგანო განცხადების მიღების დღესვე ახდენს მის რეგისტრაციას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. განცხადების რეგისტრაციის მომენტიდან ტერიტორიული საბაჟო იწყებს განცხადებაში დასმული საკითხის განხილვას.

7. თუ ტერიტორიული საბაჟოს ხელმძღვანელობა გადაწყვეტს, რომ განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება შესაძლებელია, შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით განსაზღვრავს საბაჟოს პასუხისმგებელ პირებს, რომლებსაც დაევალებათ საზღვრის გადმოკვეთის ადგილიდან მიზანშეწონილ საბაჟო ორგანომდე

საქონლის გადაზიდვის ზედამხედველობა და გაცილება.

8. ამ მუხლის მე-7 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში საბაჟო ორგანოს პასუხისმგებელი პირი საბაჟო პროცედურებს დროის უმოკლეს პერიოდში ახორციელებს სასაზღვრო პოლიციის სასაზღვრო გამტარი პუნქტის (ასეთის არსებობის) წარმომადგენლებთან კოორდინაციით და კომპეტენციის ფარგლებში მათი მონაწილეობით.

9. ტერიტორიული საბაჟო ორგანოს ხელმძღვანელობა თავისი გადაწყვეტილების თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობებს განმცხადებელს, აგრეთვე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციას და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს და უგზავნის მათ მიღებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დადგენილი წესით დამოწმებულ ასლებს. (23.04.2007 N389)

10. საბაჟო ორგანოების ზედამხედველობისა და საბაჟო კონტროლის გარეშე ყველა სხვა ადგილებში საქონლითა და სატრანსპორტო საშუალებებით საზღვრის გადაკვეთა განიხილება, როგორც საბაჟო წესების დარღვევა და ისჯება კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №1761

2006 წლის 20 დეკემბერი

საქონლის ტრანზიტის საბაჟო რეჟიმის გამოყენების წესების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბაჟო კოდექსის 97-ე მუხლის მე-7 ნაწილის და "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის N39 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის "ლ" ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს ინსტრუქცია "საქონლის ტრანზიტის საბაჟო რეჟიმის გამოყენების წესების შესახებ".

2. ამ ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,საქართველოს საბაჟო საზღვარზე ტრანზიტის საბაჟო რეჟიმში გადაადგილებული აქციზური საქონლის საბაჟო კონტროლის შემდგომი სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 4 თებერვლის N58 ბრძანება.

3. ბრძანება ამოქმედდეს 2007 წლის 1 იანვრიდან.

ა. ალექსიშვილი

ინსტრუქცია საქონლის ტრანზიტის საბაჟო რეჟიმის გამოყენების წესების შესახებ

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ტრანზიტის საბაჟო რეჟიმი ნიშნავს უცხოური საქონლის გადაადგილებას სხვა ქვეყნებს შორის ან ერთი ქვეყნის ტერიტორიულ ერთეულებს შორის საქართველოს სა-

ბაჟო ტერიტორიის გავლით მის მიმართ საბაჟო გადასახდელების გადახდისა და არასატარიფო ღონისძიებების გატარების გარეშე.

2. აკრძალულია ტრანზიტის საბაჟო რეჟიმში იმ საქონლის მოქცევა, რომლის შემოტანა საქართველოს ტერიტორიაზე აკრძალულია.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნული აკრძალული საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანის დროს, იგი დაუყონებლივ უნდა იქნეს გატანილი ან/და დაუყონებლივ გატანის შეუძლებლობის შემთხვევაში მოთავსდეს დროებითი შენახვის საწყობში.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნული საქონლის უკან დაბრუნების დროს წარმოდგენილ დოკუმენტებზე (სატრანსპორტო ზედდებული ან ინვოისი ან კანონმდებლობით დადგენილი სხვა საბაჟო დოკუმენტი) საბაჟო ორგანო აკეთებს აღნიშვნას - ,,დაბრუნებულია საქონელი'', მიეთითება თარიღი და დასტურდება პირადნომრიანი ბეჭდით. აღნიშნულ საქონელზე გამოიწერება ,,საბაჟო კონტროლის ქვეშ მყოფი საქონლისა ან/და სატრანსპორტო საშუალებების აღრიცხვის მოწმობა'' (შემდგომში – მოწმობა) საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად.

5. ტრანზიტის საბაჟო რეჟიმში შეიძლება მოექცეს ნებისმიერი საბაჟო დამუშავების ოპერაციის ქვეშ მყოფი უცხოური საქონელი (გარდა დროებითი შემოტანის, ექსპორტის, საბა-ჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების, საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმებისა), თუ წარმოდგენილია კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საბაჟო დოკუმენტები.

6. სასაზღვრო საბაჟო ორგანოს უფლება აქვს საქონლის წარდგენიდან 2 დღის შემდეგ დაუყოვნებლივ დააბრუნოს საქონელი, თუ წარმოდგენილი დოკუმენტები არ მოიცავს ზოგადი დეკლარირებისათვის საჭირო მონაცემებს და არ არის წარმოდგენილი კანონმდებლობით გათვალისწინებული ლიცენზიები, ნებართვები და სერტიფიკატები.

7. მე-6 პუნქტში აღნიშნული საქონლის დაბრუნება ხორციელდება ამ მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად.

მუხლი 2. საქონლის საბაჟო ტერიტორიაზე ტრანზიტის რეჟიმით შემოტანის დროს გათვალისწინებული საბაჟო პროცედურები

1. ტრანზიტის საბაჟო რეჟიმისათვის განკუთვნილი საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე (გამშვებ პუნქტზე) შემოტანის დროს დადგენილი წესის შესაბამისად ხორციელდება შემდეგი საბაჟო პროცედურები:

ა) საქონლის წარდგენა;

ბ) ზოგადი დეკლარირება;

გ) მოწმობის გამოწერა (უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მიერ გადაადგილებული უცხოეთში რეგისტრირებული მსუბუქი ავტოსატრანსპორტო საშუალებების გარდა). (23.07.2007 N922)

2. საბაჟო ორგანოს გადაწყვეტილებით, ზოგადი დეკლარირების შემდეგ, სასაზღვრო საბაჟო ორგანოში შეიძლება განხორციელდეს საქონლის დათვალიერება, სინჯების და ნიმუშების აღება და საიდენტიფიკაციო ნიშნების დადება საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 3. საქონლის წარდგენა სასაზღვრო საბაჟო ორგანოში

საბაჟო ორგანოში საქონლის წარდგენა ხდება:

ა) სახმელეთო სასაზღვრო გამტარ პუნქტებში - სასაზღვრო კონტროლის განხორციელე-

ბის შემდეგ საქონლის საბაჟო კონტროლის ზონაში ფაქტობრივი განთავსებით;

ბ) საერთაშორისო ნაოსნობისათვის გახსნილ საზღვაო პორტებში და საერთაშორისო აეროპორტებში გახსნილ სასაზღვრო გამტარ პუნქტებში – გემის ან თვითმფრინავის კაპიტნის ან უფლებამოსილი პირის მიერ სატვირთო მანიფესტის საბაჟო ორგანოსთვის წარდგენით, რაც დამოწმდება საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირის მიერ პირადნომრიანი ბეჭდით და თარიღის მითითებით.

გ) საავტომობილო ტრანსპორტით საქართველოს საბაჟო საზღვრის საბაჟო ორგანოს მიერ შერჩეულ ადგილზე (სასაზღვრო გამტარი პუნქტის გარდა) გადმოკვეთის შემთხვევაში – სასაზღვრო კონტროლის განხორციელების შემდეგ საქონლის საბაჟო ორგანოს მიერ შერჩეულ საბაჟო კონტროლის ზონაში (საბაჟო ორგანო, საბაჟო საწყობი, დროებითი შენახვის საწყობი, საბაჟო კონტროლის სხვა ზონა ან საბაჟო ორგანოს მიერ მითითებული სხვა ნებისმიერი ადგილი) ფაქტობრივი განთავსებით.

მუხლი 4. საქონლის ზოგადი დეკლარირება სასაზღვრო საბაჟო ორგანოში

1. ზოგადი დეკლარირება უნდა განხორციელდეს ამ ინსტრუქციის მე-3 მუხლით განსაზღვრული საქონლის სასაზღვრო კონტროლის განხორციელების დასრულებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა.

2. ზოგადი დეკლარირება ხორციელდება (ზოგადი დეკლარირების ფორმა) საბაჟო ორგანოსადმი იმ ზოგადი მონაცემების ამსახველი დოკუმენტების წარდგენით, რომელიც აუცილებელია შესაბამისი საბაჟო დამუშავების ოპერაციის შერჩევამდე მისი იდენტიფიკაციისათვის, საბაჟო ზედამხედველობისა და საბაჟო კონტროლის განხორციელებისათვის (მათ შორის, საბაჟო კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული მოწმობის შეუსებისათვის).

3. ზოგადი დეკლარირების მიზნით სასაზღვრო საბაჟო ორგანოში წარდგენილი უნდა იქნეს სატრანსპორტო დოკუმენტები:

ა) სახმელეთო ტრანსპორტით გადაზიდვის დროს – სატრანსპორტო ზედდებული;

ბ) საზღვაო ტრანსპორტით საქონლის შემოტანის დროს – კონოსამენტი;

გ) საჰაერო ტრანსპორტით საქონლის შემოტანის დროს – ავიაზედდებული.

4. ზოგადი დეკლარირების მიზნით ამ მუხლის მე-3 პუნქტში გათვალისწინებული დოკუმენტების გარდა შეიძლება გამოყენებულ იქნას საქონლის თანმხლები სხვა დოკუმენტები:

ა) კონტრაქტი ან/და ინვოისი;

ბ) წარმოშობის სერტიფიკატი;

გ) საბაჟო გარანტია (ან TIR-ის წიგნაკი) _ საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად.

დ) სპეციალური სატვირთო-საბაჟო დეკლარაცია საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად.

ე) აქციზური საქონლის ბარათი საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად.

ვ) ნებართვები „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, რომელთა წარდგენა აუცილებელია სასაზღვრო საბაჟო ორგანოში:

ვ.ა) ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის ტრანზიტის ნებართვა.

ვ.ბ) შეზღუდულად ბრუნვადი მასალების წარმოების, ტრანსპორტირების ტრანზიტის ნებართვა.

ვ.გ) ბირთვული, რადიაციული ობიექტების, ბირთვული მასალების, რადიაქტიური ნივთიერებების, რადიაქტიური ნარჩენების, მინერალების (წიაღისეულის), რომლებისაგანაც პრაქტიკულად შესაძლებელია ბირთული მასალების მიღება, ყველაფრის, რაც დამზადებულია ბირთვული მასალისაგან ან რადიაქტიური ნივთიერებისაგან ან შეიცავს მათ, როგორც შემადგენელ ნაწილს, აგრეთვე ბირთვული ტექნოლოგიების, ან ნოუ-ჰაუების

ტრანზიტის ნებართვა.

ვ.დ) იარაღისა და საბრძოლო მასალის ტრანზიტის ნებართვა.

ვ.ე) უცხო ქვეყნის და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენელთა, აგრეთვე სხვა მნიშვნელოვან პირთა ვიზიტის დროს მათ თანმხლებ პირთა მიერ იარაღისა და საბრძოლო მასალის საქართველოში შემოტანის ნებართვა.

ვ.ვ) ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ტრანზიტის ნებართვა.

ზ) ექსპორტიორი ქვეყნის მიერ გაცემული ფიტო ან/და ვეტ სერტიფიკატები.

თ) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტები.

5. ზოგადი დეკლარირების უფლება აქვს საქონლის მფლობელს ან მის წარმომადგენელს.

6. ზოგადი დეკლარირება არ ხორციელდება მილსადენი ტრანსპორტით და ელექტროგადამცემი ხაზებით გადაადგილებულ საქონელზე.

7. ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებული დოკუმენტები დამოწმდება საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირის მიერ პირადნომრიანი ბეჭდით. (8.02.2007 N88)

მუხლი 5. საბაჟო კონტროლის ქვეშ მყოფი საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობის გამოწერა (8.02.2007 N88)

ამ ინსტრუქციის მე-4 მუხლში მითითებული დოკუმენტების საფუძველზე სასაზღვრო საბაჟო ორგანოს მიერ ხდება მოწმობის გამოწერა "საბაჟო კონტროლის ქვეშ მყოფი საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობის შევსების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 20 დეკემბრის N1764 ბრძანების შესაბამისად.

მუხლი 6. გაგზავნის საბაჟო ორგანოდან დანიშნულების საბაჟო ორგანომდე ტრანზიტისათვის განკუთვნილი საქონლის გადაადგილება

1. გაგზავნის საბაჟო ორგანო არის საქართველოს საბაჟო ტერიტორიის ის ადგილი, საიდანაც იწყება სატრანზიტო გადაზიდვა, ხოლო დანიშნულების საბაჟო ორგანო - საქართველოს საბაჟო ტერიტორიის ადგილი, სადაც მთავრდება სატრანზიტო გადაზიდვა.

2. გაგზავნის საბაჟო ორგანოდან დანიშნულების საბაჟო ორგანოში საქონელი და ყველა აუცილებელი დოკუმენტი უნდა წარედგინოს სატრანსპორტო საშუალების ტექნიკური მახასიათებლების, განსაზღვრული საბაჟო მარშრუტისა და გადაზიდვის პირობების გათვალისწინებით, მაგრამ არაუმეტეს 10 დღისა.

3. ტრანზიტისათვის განკუთვნილი საქონლის სასაზღვრო საბაჟო ორგანოში შემოსვლის დროს სატვირთო-საბაჟო დეკლარაცია არ წარედგინება და გამოიწერება მოწმობა (გარდა უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მიერ უცხოეთში რეგისტრირებული მსუბუქი ავტოსატრანსპორტო საშუალებების გადაადგილების შემთხვევისა) ან წარედგინება TIR-კარნეტი. (23.07.2007 N922)

4. ტრანზიტის სატვირთო-საბაჟო დეკლარაციით ხდება მხოლოდ:

ა) მილსადენი და ელექტროგადამცემი ხაზებით ტრანზიტით გადაადგილებული საქონლის დეკლარირება;

ბ) საზღვაო ტრანსპორტით საქართველოდან ტრანზიტით გასატანი საქონლის დეკლარირება (გარდა კონტეინერებში და სატრანსპორტო საშუალებებში განთავსებული საქონლისა);

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევის დროს სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის წარდგენა ხდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული "საქართველოს საბაჟო საზღვარზე მილსადენითა და ელექტროგადამცემი ხაზებით გადაადგილებული საქონლის საბაჟო პროცედურების განხორციელების წესების შესახებ" ინსტრუქციის შესაბამისად, ხოლო ამ მუხლის მე-4 პუნქტის და "ბ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში გაგზავნის საბაჟო ორგანოში გამოიწერება

მოწმობა, ხოლო სატვირთო-საბაჟო დეკლარაცია წარედგინება სასაზღვრო საბაჟო ორგანოში (დანიშნულების ორგანო).

6. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი და ტრანზიტისათვის განკუთვნილი საქონელი, რომელიც გადაადგილდება საქართველოს ტერიტორიაზე მოწმობით, დეკლარანტის ან/და გადამზიდველის მოთხოვნით შეიძლება განთავსებულ იქნას საბაჟო საწყობში (დროებითი შენახვის საწყობში) საბაჟო საწყობის საბაჟო რეჟიმში ან დროებითი შენახვის პირობით კანონმდებლობით დადგენილი ვადით.

7. ტრანზიტისათვის განკუთვნილი საქონლის დროებითი დასაწყობებისას საბაჟო დამუშავების ოპერაციის განსაზღვრამდე (დეკლარირებამდე ან აღრიცხვის მოწმობის გამოწერამდე) სატრანსპორტო საშუალების გახსნის, საქონლის გადმოტვირთვის მიზნით დეკლარანტი (საქონლის მფლობელი ან საქონლის მესაკუთრე) ან საბაჟო საწყობის მფლობელი ვალდებულია წარუდგინოს და მიღება-ჩაბარების აქტით გადასცეს საბაჟო ორგანოს უფლებამოსილ პირს „საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო კონტროლის ქვეშ დროებითი შენახვის განაცხადი" (შემდგომში _ განაცხადი) და, შესაბამისად, მის ხელთ არსებული, საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული, საბაჟო კონტროლისა ან/და საბაჟო ზედამხედველობის განხორციელებისათვის საჭირო დოკუმენტები. დროებითი დასაწყობების ვადის გაგრძელების შემთხვევაში დეკლარანტმა (საქონლის მფლობელი ან საქონლის მესაკუთრე) ან საბაჟო საწყობის მფლობელმა უნდა წარადგინოს და მიღება-ჩაბარების აქტით გადასცეს საბაჟო ორგანოს უფლებამოსილ პირს შესაბამისი განაცხადი, რომელიც უნდა შეიცავდეს შესაბამისი კანონქვემდებარე აქტით დადგენილი ზოგადი დეკლარირების ფორმით ან საბაჟო კონტროლის ქვეშ მყოფი საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობით გათვალისწინებულ მონაცემებს. საბაჟო ორგანოს უფლებამოსილ პირთან განაცხადის წარდგენამდე აკრძალულია სატრანსპორტო საშუალების გახსნა ან/და საქონლის გადმოტვირთვა. საბაჟო ორგანოს უფლებამოსილ პირთან წარდგენილი განაცხადის მიმართ საბაჟო გადაწყვეტილება მიიღება შესაბამისი ინსტრუქციით დადგენილი წესით. ტრანზიტისათვის განკუთვნილი საქონლის დროებითი დასაწყობების ადგილიდან დანიშნულების საბაჟოს მიმართულებით გადადგილება განახლდება დროებითი დასაწყობების შესაბამისი ვადის ფარგლებში ახალი აღრიცხვის მოწმობის გამოწერით. (9.03.2007 N186)

მუხლი 7. საბაჟო პროცედურები დანიშნულების საბაჟო ორგანოში საქონლის წარდგენის შემდეგ

1. ტრანზიტისათვის განკუთვნილი საქონლის მიმართ, რომელიც წარედგინება დანიშნულების საბაჟო ორგანოს, ხორციელდება შემდეგი საბაჟო პროცედურები:

ა) სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის წარდგენა (თუ ეს გათვალისწინებულია კანონმდებლობით) და საქონლის ფაქტობრივი გატანა საქართველოს საბაჟო ტერიტორიის ფარგლებს გარეთ;

ბ) საქონლის ფაქტობრივი გატანა საქართველოს საბაჟო ტერიტორიის ფარგლებს გარეთ შესაბამისი მოწმობის საბაჟო კონტროლიდან მოხსნით (თუ საბაჟო დეკლარაციის წარდგენა სავალდებულო არ არის);

გ) საქონლის მოთავსება დროებითი შენახვის საწყობში და დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ მისი ფაქტობრივი გატანა ამ მუხლის პირველი პუნქტის "ა" და "ბ" ქვეპუნქტების შესაბამისად;

დ) საქონლისათვის სხვა საბაჟო დამუშავების ოპერაციის შერჩევა;

ე) საერთაშორისო კონვენციებით გათვალისწინებული დოკუმენტის წარდგენა საბაჟო დეკლარაციის ნაცვლად (TIR-კარნეტი).

ვ) უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მიერ უცხოეთში რეგისტრირებული მსუბუქი ავტოსატრან-

სპორტო საშუალებების გადაადგილების შემთხვევაში – მოქალაქის სამგზავრო დოკუმენტში (პასპორტში) ჩაკრული სტიკერისა და დასმული თარიღდამღის წარდგენა. (23.07.2007 N922)

2. დანიშნულების საბაჟოში დროებითი შენახვის საწყობში საქონლის წარდგენისთანავე საბაჟო საწყობის მფლობელი აკეთებს სათანადო აღნიშნას მოწმობის უკანა გვერდზე, თარიღის, დროისა და ხელმოწერის მითითებით (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში - ბეჭდის დასმით). აღნიშნული ქმედება ითვლება საბაჟო ორგანოში საქონლის წარდგენად;

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პროცედურის შემდეგ უფლებამოსილი საბაჟო მოხელის მიერ ხორციელდება მოწმობის კონტროლიდან მოხსნა საქონლის წარდგენიდან არაუგვიანეს 2 დღისა.

მუხლი 8. საქონლის წარდგენა დანიშნულების ადგილზე არასაბაჟო ორგანოში

1. საქონლის დანიშნულების ადგილზე(არასაბაჟო ორგანო) წარდგენის დადასტურების მიზნით ხდება დამოწმება: (8.02.2007 N88)

ა) საბაჟო საწყობის(დროებითი შენახვის საწყობის) მიერ აღრიცხვის მოწმობის უკანა გვერდზე გაკეთებული აღნიშვნით(ბეჭედი, ხელმოწერა, თარიღი და დრო). დამოწმებული მოწმობის საბაჟო ორგანოსათვის გადაცემის ვალდებულება ეკისრება საბაჟო საწყობს, იმავე ან მე-2 სამუშაო დღის 12 საათამდე;

ბ) სარკინიგზო გადაზიდვების შემთხვევაში-რკინიგზის მიერ სარკინიგზო ზედნადებზე და აღრიცხვის მოწმობის უკანა გვერდზე გაკეთებული აღნიშვნით (შტამპი, ხელმოწერა, თარიღი და დრო). დამოწმებული აღრიცხვის მოწმობისა და სარკინიგზო ზედნადების საბაჟო ორგანოსათვის გადაცემის ვალდებულება ეკისრება სარკინიგზო ზედნადებში მითითებულ ტვირთმიმღებს.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული საქონლისა ან/და სატრანსპორტო საშუალებების წარდგენის თარიღი და დრო ჩაითვლება საბაჟო ორგანოში საქონლისა ან/და სატრანსპორტო საშუალებების წარდგენის დღედ.

3. ამოღებულია (8.02.2007 N88)

მუხლი 9. საქონლის წარდგენა საბაჟო დამუშავების ოპერაციის ადგილზე

1. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანის დროს, მისი წარდგენა საბაჟო დამუშავების ოპერაციის ადგილზე (საბაჟო ორგანოში), რომელიც მდებარეობს არასასაზღვრო საბაჟო ორგანოს სამოქმედო ტერიტორიაზე, ხორციელდება მოწმობის წარდგენით, რომელიც დადასტურდება მოწმობაში საბაჟო ორგანოს პასუხისმგებელი პირის პირადნომრიანი ბეჭდით, სადაც მიეთითება აგრეთვე დამოწმების თარიღი და დრო.

2. იმ შემთხვევაში, თუ ტრანზიტისათვის განკუთვნილი საქონელი, რომელიც გადაადგილდება საბაჟო გამშვები პუნქტიდან ან კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ადგილიდან და პირდაპირ წარედგინება საბაჟო ორგანოს (დროებითი შენახვის საბაჟო საწყობში წარდგენის გარეშე), მაშინ საქონლის წარდგენად ჩაითვლება მოწმობის წარდგენა საბაჟო ორგანოში, რომელიც დასტურდება საბაჟო მოხელის პირადნომრიანი ბეჭდით, თარიღითა და დროით.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მოწმობა იხსნება კონტროლიდან სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის წარდგენის საფუძველზე სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციიდან არაუგვიანეს ერთი საათისა.

მუხლი 10. სატვირთო საბაჟო დეკლარაციის წარდგენა

1. დეკლარაციის წარდგენა ხდება საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრულ იმ საბაჟო ორგანოში, სადაც წარმოებს საქონლის საბაჟო დამუშავების ოპერაცია.

2. დეკლარაციის წარდგენა ხდება ამ ინსტრუქციის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

3. დეკლარაციას ავსებს დეკლარანტი.

4. სატვირთო საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაცია ხორციელდება დამუშავების საბაჟო ორგანოში საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად.

5. დეკლარანტის მიერ სატვირთო საბაჟო დეკლარაციის შევსება ხორციელდება საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად.

6. სატვირთო საბაჟო დეკლარაციასთან ერთად საბაჟო დამუშავების ოპერაციის ადგილზე დეკლარანტის მიერ ქვემოთჩამოთვლილი დოკუმენტებიდან წარდგენილი უნდა იქნეს საქონლისა და მისი გადაადგილების, სატრანსპორტო საშუალების სახეობის და კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა პირობებიდან გამომდინარე საჭირო დოკუმენტები:

ა) კონტრაქტი ან/და ინვოისი;

ბ) წარმოშობის სერტიფიკატი;

გ) საბაჟო გარანტია (ან TIR-ის წიგნაკი) _ საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად.

დ) სპეციალური სატვირთო-საბაჟო დეკლარაცია საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად.

ე) აქციზური საქონლის ბარათი საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად.

ვ) სატრანსპორტო ზედდებული;

ზ) კონოსამენტი;

თ) მანიფესტი;

ი) TIR-კარნეტის დოკუმენტი;

კ) ერთჯერადი ან გენერალური მინდობილობა ან ხელშეკრულება;

ლ) ნებართვები „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, რომელთა წარდგენა აუცილებელია სასაზღვრო საბაჟო ორგანოში:

ლ.ა) ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის ტრანზიტის ნებართვა.

ლ.ბ) შეზღუდულად ბრუნვადი მასალების წარმოების, ტრანსპორტირების ტრანზიტის ნებართვა.

ლ.გ) ბირთვული, რადიაციული ობიექტების, ბირთვული მასალების, რადიაქტიური ნივთიერებების, რადიაქტიური ნარჩენების, მინერალების (წიაღისეულის), რომლებისაგანაც პრაქტიკულად შესაძლებელია ბირთული მასალების მიღება, ყველაფრის, რაც დამზადებულია ბირთვული მასალისაგან ან რადიაქტიური ნივთიერებისაგან ან შეიცავს მათ, როგორც შემადგენელ ნაწილს, აგრეთვე ბირთვული ტექნოლოგიების, ან ნოუჰაუების ტრანზიტის ნებართვა.

ლ.დ) იარაღისა და საბრძოლო მასალის ტრანზიტის ნებართვა.

ლ.ე) უცხო ქვეყნის და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენელთა, აგრეთვე სხვა მნიშვნელოვან პირთა ვიზიტის დროს მათ თანმხლებ პირთა მიერ იარაღისა და საბრძოლო მასალის საქართველოში შემოტანის ნებართვა.

ლ.ვ) ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ტრანზიტის ნებართვა.

მ) ექსპორტიორი ქვეყნის მიერ გაცემული ფიტო ან/და ვეტ სერტიფიკატები.

ნ) სერტიფიკატები:

ნ.ა) საქონლის უსაფრთხოების სერტიფიკატი;

ნ.ბ) ფიტო-სანიტარული სერტიფიკატი;

ნ.გ) ვეტერინარული სერტიფიკატი;

ნ.დ) სანიტარული-ჰიგიენური სერთიფიკატი;

ნ.ე) ფუმიგაციისა და დეზინფექციის სერტიფიკატი;

ო) საქონლის სპეციფიკაცია;

პ) ექსპერტიზის აქტი;

ჟ) საქონლის დათვალიერების აქტი;

რ) საქონლის სინჯის (ნიმუშის) აღების აქტი (ოქმი);

ს) ჯარიმის გადახდის დოკუმენტი;

ტ) საბაჟო სამართალდარღვევის ოქმი;

უ) ავტოსატრანსპორტო საშუალების ტექნიკური პასპორტი;

ფ) საქონლისა და/ან სატრანსპორტო საშუალების საბაჟო კონტროლის ქვეშ დროებითი შენახვის განაცხადი.

ქ) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტები.

მუხლი 11. საბაჟო პროცედურები საბაჟო ორგანოში სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის წარდგენის დროს

1. იმ შემთხვევაში, როდესაც ტრანზიტისათვის განკუთვნილი საქონელი (გარდა მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა), რომელიც გადაადგილდება გაგზავნის საბაჟოდან, პირდაპირ წარედგინება დანიშნულების საბაჟო ორგანოს სატვირთო-საბაჟო დეკლარაციასთან ერთად, საქონლის წარდგენად ჩაითვლება მოწმობის წარდგენა საბაჟო ორგანოში, რომელიც დასტურდება საბაჟო მოხელის პირადნომრიანი ბეჭდით, თარიღითა და დროით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მოიხსნება კონტროლიდან სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის წარდგენის საფუძველზე.

3. სატვირთო-საბაჟო დეკლარაციისა და თანმხლები დოკუმენტების წარდგენის დანიშნულების საბაჟო ორგანოში წარდგენის შემდეგ კანონმდებლობით დადგენილი წესით ხორციელება შემდეგი საბაჟო პროცედურები:

ა) სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაცია;

ბ) სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის მონაცემების შეცვლა საბაჟო ორგანოს მიერ შესაბამისი მონაცემების უზუსტობის დადგენამდე;

გ) სატვირთო-საბაჟო დეკლარაციისა და თანმხლები დოკუმენტაციის შემოწმება.

დ) სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის ბათილად ცნობა ან მიღება;

ე) საიდენტიფიკაციო საშუალებების (მათ შორის საბაჟო საზღვარზე დადებული საიდენტიფიკაციო საშუალებების) შემოწმება;

ვ) საქონლის საბაჟო დათვალიერება (საქონელი საბაჟო მოხელის გადაწყვეტილებით დათვალიერდება სრულად და/ან შერჩევით და/ან საერთოდ არ დათვალიერდება);

ზ) ფიტო და/ან ვეტერინალური კონტროლი;

თ) საჭიროების შემთხვევაში სინჯებისა და/ან ნიმუშების აღება დეკლარანტის ან საბაჟო ორგანოს მოთხოვნით;

ი) გადაწყვეტილების მიღება უფლებამოსილი საბაჟო მოხელის მიერ საქონლის გაშვების ან არგაშვების შესახებ.

4. საქონლის არგაშვებაზე გადაწყვეტილების მიღების დროს დეკლარანტი ვალდებულია საქონელი განათავსოს დროებითი შენახვის საბაჟო საწყობში, ხოლო გაშვების შემთხვევაში საქონელი გადაეცემა დეკლარანტს საბაჟო ტერიტორიიდან განკარგვისათვის, რაც დასტურდება სატვირთო-საბაჟო დეკლარაციაში შესაბამისი შტამპის დასმით: "გაშვება ნებადართულია", სადაც მიეთითება აგრეთვე საბაჟო მოხელის ხელმოწერა, თარიღი და დრო.

მუხლი 12. საქონლის საბაჟო დათვალიერება, სინჯის ან/და ნიმუშის აღება საბაჟო დამუშავების ოპერაციის ადგილებში

საბაჟო ორგანოს გადაწყვეტილებით საბაჟო დამუშავების ოპერაციის ადგილას შეიძლება განხორციელდეს საქონლის დათვალიერება, სინჯების და ნიმუშების აღება საქართველოს

საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 13. საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალებების მიტანასთან დაკავშირებული ავარიის ან დაუძლეველი ძალის დროს გასატარებელი ღონისძიებები

1. ავარიისა ან დაუძლეველი ძალის დროს, პირი, რომელიც ვერ ასრულებს ამ ინსტრუქციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ვალდებულია:

ა) დაუყონებლივ აცნობოს უახლოეს საბაჟო ორგანოს აღნიშნული გარემოებების, საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალებების ადგილმდებარეობისა და მდგომარეობის შესახებ და იმოქმედოს მისი მითითებების შესაბამისად;

ბ) მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალებების ხელშეუხებლობის უზრუნველსაყოფად;

გ) უზრუნველყოს საქონლისა ან/და სატრანსპორტო საშუალებების მიტანა უახლოესი საბაჟო ორგანოს ტერიტორიაზე ან საბაჟო ორგანოს მიერ მითითებულ ადგილზე;

2. აუცილებლობის შემთხვევაში შესაბამისი საბაჟო ორგანო ვალდებულია, განსაზღვროს ამ საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების დანიშნულების საბაჟო ორგანომდე ან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ადგილამდე მიტანის უზრუნველყოფის ღონისძიებები.

3. ავარიისა ან დაუძლეველი ძალის შედეგად განადგურებულ საქონელზე დგება ოქმი და განადგურების შედეგად წარმოშობილ ნარჩენები და ჯართი გადაადგილდება საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად..

4. ამ მუხლის მოთხოვნათა შესრულებისათვის გაწეულ ხარჯებს ანაზღაურებს საქონელსა და/ან სატრანსპორტო საშუალებაზე უფლებამოსილი შესაბამისი პირი.

მუხლი 14. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანა სასაზღვრო საბაჟო ორგანოს არასამუშაო დროს

1. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანა სასაზღვრო საბაჟო ორგანოს არასამუშაო დროს დაიშვება საქონლის შემომტანი პირის წერილობითი განცხადების საფუძველზე, მისივე ხარჯებით, საბაჟო ორგანოსთან შეთანხმებით.

2. საბაჟო ორგანოს მიერ პირის განცხადების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება ხორციელდება ამ ინსტრუქციის 14-ე მუხლით განსაზღვრული წესით.

მუხლი 15. ტრანზიტის საბაჟო რეჟიმით გადაადგილებული აქციზური საქონლის მარშრუტი

საქართველოს საბაჟო საზღვარზე აქციზური საქონლის გადაადგილება ხორციელდება შემდეგი საბაჟო გამშვები პუნქტების მიმართულებით:

ა) "ყაზბეგი";
ბ) "წითელი ხიდი";
გ) "სადახლო";
დ) "გარდაბანი";
ე) "სარფი";
ვ) "ვალე";
ზ) "ფოთის პორტი";
თ) "ბათუმის პორტი";
ი) "თბილისის აეროპორტი".

საქართველოს ფინანსთა მინისტრისა ბრძანება №1759

2006 წლის 20 დეკემბერი

საქონლის დროებითი დასაწყობებისა და საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის საბაჟო რეჟიმის გამოყენების წესების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბაჟო კოდექსის 56-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 102-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 107-ე და 108-ე მუხლების, 110-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 111-ე მუხლის პირველი ნაწილის, 112-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის N39 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ლ" ქვეპუნქტის საფუძველზე, ვბრძანებ:

მუხლი 1.

დამტკიცდეს "საქონლის დროებითი დასაწყობებისა და საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის საბაჟო რეჟიმის გამოყენების წესების შესახებ ინსტრუქცია" თანდართული დანართებით (N1-1-ა, N2-2-ა, N3, N4, N5).

მუხლი 2.

ბრძანება ამოქმედდეს 2007 წლის 1 იანვრიდან.

ა. ალექსიშვილი

ინსტრუქცია
საქონლის დროებითი დასაწყობებისა და საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის საბაჟო რეჟიმის გამოყენების წესების შესახებ

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1.

1. ინსტრუქცია განსაზღვრავს პირთა უფლება-მოვალეობებს, რომელთაც წარმოეშობათ კანონიერი ინტერესი საქონლის დროებითი დასაწყობების, საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის საბაჟო რეჟიმის გამოყენებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობაში; დროებითი დასაწყობებული და საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონლის აღრიცხვისა, აგრეთვე საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონლის შენახვის ვადის შეზღუდვის შემთხვევებს; საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონლის მიმართ დასაშვები ქმედებების ნუსხასა და განხორციელების წესს; საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონლის საბაჟო საწყობიდან დროებითი გატანისა და სხვა საბაჟო საწყობში გადატანის პირობებს.

2. თუ სხვა რამ არის გათვალისწინებული ინსტრუქციაში გამოყენებულ ტერმინებს გააჩნია საქართველოს საბაჟო კოდექსით განსაზღვრული მნიშვნელობა.

თავი II

დროებითი დასაწყობება

მუხლი 2. დროებით დასაწყობებულ საქონელზე განსახორციელებელი საბაჟო პროცედურები (9.03.2007 N189)

დროებით დასაწყობებულ საქონელზე ხორციელდება ამ ინსტრუქციის მე-3-მე-10 მუხლებით და 29-ე მუხლით განსაზღვრული საბაჟო პროცედურები.

მუხლი 3. საქონლის დროებითი დასაწყობება და აღრიცხვა

1. საბაჟო ორგანოსათვის წარდგენილი საქონელი მისი წარდგენიდან საბაჟო ორგანოს მიერ საქონლის მიმართ საბაჟო დამუშავების ოპერაციის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე ან შესაბამისი საბაჟო დამუშავების ოპერაციის გამოყენების შემთხვევაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში ამ ოპერაციის დასრულებამდე ითვლება დროებით დასაწყობებულად.

2. საბაჟო საწყობში საქონლის შენახვისთვის მიღება ნიშნავს დროებითი დასაწყობების ვადის განმავლობაში საქონლის შენახვის შესაბამისი პირობების უზრუნველყოფის ვალდებულებას.

3. დროებით დასაწყობებული საქონელი უნდა ინახებოდეს საბაჟო ორგანოსთან შეთანხმებულ საბაჟო საწყობში ან შენახვის სხვა ადგილზე, რომელიც აკმაყოფილებს საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით დადგენილ პირობებს. ამ მუხლის მიზნებისთვის შეთანხმება ნიშნავს საბაჟო ორგანოს მიერ საბაჟო კონტროლის ქვეშ მყოფი საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობის გამოწერას (გარდა უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მიერ უცხოეთში რეგისტრირებული მსუბუქი ავტოსატრანსპორტო საშუალებების გადაადგილების შემთხვევისა) საბაჟო საწყობის ან შენახვის სხვა ადგილის მითითებით ან კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა საბაჟო საწყობში ან შენახვის სხვა ადგილას საბაჟო კონტროლის ქვეშ მყოფი საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების წარდგენას. საბაჟო ორგანო ვალდებულია უზრუნველყოს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული საბაჟო საწყობების შესახებ ინფორმაციის საჯაროობა და დაუბრკოლებელი ხელმისაწვდომობა. ინფორმაცია უნდა მოიცავდეს საბაჟო საწყობის სახეობას (ღია საბაჟო საწყობი, დროებითი შენახვის ღია, დახურული საბაჟო საწყობი, დროებითი შენახვის დახურული); საწყობის (შესაბამისი ნებართვის) მფლობელის დასახელებას; საწყობის მისამართს; საკონტაქტო პირის ვინაობასა და ტელეფონის ნომერს; საბაჟო საწყობში დასაწყობებისთვის განკუთვნილი საქონლის შენახვის სპეციფიკური პირობების აღმნიშვნელ მონაცემებს (მაცივარი, ელევატორი, სპირტსაცავი, ნავთობის მსუბუქი, საშუალო მძიმე დისტილატების შესანახი. და სხვა). (23.07.2007 N924)

4. შენახვის სხვა ადგილზე დროებით დასაწყობებისთვის განკუთვნილი საქონლის შენახვა დაიშვება: (9.03.2007 N189)

ა) საქონლის მიმღების (იმპორტიორის) ან იმპორტიორის საწყობში, როცა საქონლის მიმღებს ან იმპორტიორს წარმოადგენს:

ა.ა) „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული სამინისტრო ან მის გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება;

ა.ბ) საქართველოს ეროვნული ბანკი;

ა.გ) უცხოეთის დიპლომატიური და მასთან გათანაბრებული დაწესებულება;

ა.დ) როცა არ არსებობს (ადამიანის ორგანო, ადამიანის ორგანოთა ნაწილები, ქსოვილები, ღეროვანი უჯრედი; რადიაციული, საშიში, არაგაბარიტული ტვირთი; საგარეოეკონომიური საქმიანობის ეროვნულ სასაქონლო ნომენკლატურის 0407 00 (ფრინველის

კვერცხი ინკუბირებისთვის), 0511 91 901 00 (თევზის განაყოფიერებული ქვირითი), 0301 კოდებში (ცოცხალი თევზები), 01 ჯგუფში (ცოცხალი ცხოველები) აღნიშნული საქონლის შენახვისთვის აუცილებელი, განსაკუთრებული პირობების შესატყვისი საბაჟო საწყობი და საქონლის მიმღების (იმპორტიორის) მიერ საბაჟო ორგანოში წარდგენილია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 20 დეკემბრის N1767 ბრძანებით დამტკიცებული "გარანტიის წარდგენისა და გამოყენების, მისი წარდგენისაგან გათავისუფლების შემთხვევების და საგარანტიო თანხის განსაზღვრის წესების შესახებ ინსტრუქციის" მე-6 მუხლის პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტით განსაზღვრული საბაჟო გარანტია;

ბ) საერთაშორისო მიმოსვლისათვის გახსნილი საზღვაო ნავსადგურების შემოფარგლულ ტერიტორიაზე, იმ შემთხვევაში თუ ამ ტერიტორიაზე არსებული საქონლის განთავსებისთვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობის, ან/და ღია მოედნის მფლობელი აკმაყოფილებს ამ ინსტრუქციის 29-ე მუხლით განსაზღვრულ პირობებს;

გ) საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე განლაგებუოლი რკინიგზის სადგურების სალიანდაგო ნაწილში, საიდანაც ან რომლის დანიშნულებითაც ხორციელდება საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის გადაზიდვა. (16.07.2007 N 889)

41. შენახვის სხვა ადგილზე დროებით დასაწყობებისთვის განკუთვნილი ნავთობის მსუბუქი, საშუალო და მძიმე დისტილატების შენახვა დასაშვებია მხოლოდ ამ მუხლის მე-4 პუნქტის "ბ" ქვეპუნტით გათვალისწინებულ ადგილზე, აგრეთვე საერთაშორისო მიმოსვლისთვის გახსნილი საზღვაო ნავსადგურის შემოფარგლული ტერიტორიიდან 1 კმ-ის რადიუსში მდებარე ნავთობის მსუბუქი, საშუალო და მძიმე დისტილატების შენახვისთვის განკუთვნილ სათავსებში, იმ შემთხვევაში თუ ამ ტერიტორიაზე არსებული სათავსის მფლობელი აკმაყოფილებს ამ ინსტრუქციის 29-ე მუხლით განსაზღვრულ პირობებს. დროებით დასაწყობებული საქონლის აღრიცხვა-ანგარიშგებას ახორციელებს დროებითი შენახვის სხვა ადგილის მფლობელი „საბაჟო საწყობის ტექნიკური და უსაფრთხოების მოთხოვნების განსაზღვრისა და შესაბამისი ნებართვების გაცემის წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2006 წლის 20 დეკემბრის N240 დადგენილებით დამტკიცებული ინსტრუქციის N3-N4 დანართებით. (9.03.2007 N189)

5. დაუძლეველი ძალის პირობების მოქმედების შედეგების, მილსადენებსა და ელექტრო-გადამცემი ხაზებებზე ავარიის სალიკვიდაციოდ, პრევენციის ან სხვა მოულოდნელად წარმოქმნილი გარემოებების აღმოფხვრის მიზნით, რომელიც მოითხოვს გადაუდებელი სამუშაოების წარმართვას, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს უფლება აქვს დაინტერესებული პირის მოტივირებული განცხადების საფუძველზე დეკლარანტს დართოს ნება დროებით დასაწყობებისთვის განკუთვნილი საქონელი განათავსოს საქონლის მიმღების ან იმპორტიორის შენახვის სხვა ადგილზე ამ მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილი შეზღუდვების მიუხედავად. (23.04.2007 N409)

6. დაუძლეველი ძალის პირობებად ითვლება ისეთი საგანგებო და განსაკუთრებული გარემოებები (გარდა ქურდობისა და ძარცვა-ყაჩაღობისა), რომლებიც შეუძლებელს ხდის ამ კოდექსით დადგენილი ვალდებულებების შესრულებას, რომელთა დადგომა არ არის დამოკიდებული სუბიექტის ნებაზე, ხოლო მათი გათვალისწინება ან/და თავიდან აცილება შეუძლებელია ცოდნისა და ტექნიკური განვითარების არსებული დონიდან გამომდინარე, კერძოდ:

ა) სტიქიური უბედურებები (მიწისძვრა, წყალდიდობა, მეწყერი, ზვავი, ხანძარი და სხვა);

ბ) საგარეო ვაჭრობის შეზღუდვა, საგანგებო/საომარი მდგომარეობის გამოცხადება, აგრეთვე სახელმწიფო ორგანოების სხვა გადაწყვეტილებები;

გ) მასობრივი არეულობა, გაფიცვა.

7. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში დროებითი შენახვის სხვა ადგილებში დროებით დასაწყობებული საქონლის აღრიცხვა-ანგარიშგებას ახორციელებს დროებითი შენახვის სხვა ადგილის მფლობელი (გარდა ამ მუხლის მე-4 პუნქტის "გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა) „საბაჟო საწყობის ტექნიკური და უსაფრთხოების მოთხოვნების განსაზღვრისა და შესაბამისი ნებართვების გაცემის წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2006 წლის 20 დეკემბრის N240 დადგენილებით დამტკიცებული ინსტრუქციის N1-N2 დანართებით. (9.03.2007 N189)

8. საბაჟო დამუშავების ოპერაციის განსაზღვრამდე (მათ შორის დეკლარირებამდე) საქონლის დროებითი დასაწყობებისას სატრანსპორტო საშუალების გახსნის, საქონლის გადმოტვირთვის მიზნით, აგრეთვე საქონელზე საბაჟო დამუშავების ოპერაციის განსაზღვრის შემდეგ ან თავისუფალ მიმოქცეებაში გაშვებული საქონლისათვის საქართველოს საქონლის სტატუსის ჩამორთმევისას საქონლის მიმართ რეექსპორტის საბაჟო დამუშავების ოპერაციის გამოყენების შესახებ საბაჟო ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, დეკლარანტმა (საქონლის მფლობელმა ან საქონლის მესაკუთრემ) უნდა წარადგინოს, ხოლო საბაჟო საწყობის მფლობელმა მიღება-ჩაბარების აქტით გადასცეს საბაჟო ორგანოს უფლებამოსილ პირს „საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო კონტროლის ქვეშ დროებითი შენახვის განაცხადი3 ამ ინსტრუქციის N1 და N1ა დანართებით დადგენილი ფორმით. დროებითი დასაწყობების ვადის გაგრძელების შემთხვევაში დეკლარანტმა (საქონლის მფლობელმა ან საქონლის მესაკუთრემ) უნდა წარადგინოს, ხოლო საბაჟო საწყობის მფლობელმა მიღება-ჩაბარების აქტით გადასცეს საბაჟო ორგანოს უფლებამოსილ პირს შესაბამისი განაცხადი. საბაჟო ორგანოს უფლებამოსილ პირთან განაცხადის წარდგენამდე აუცილებელია სატრანსპორტო საშუალების გახსნა ან/და საქონლის გადმოტვირთვა. საბაჟო ორგანოს უფლებამოსილ პირთან წარდგენილი განაცხადის მიმართ საბაჟო გადაწყვეტილება მიიღება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 20 დეკემბრის N1772 ბრძანებით დამტკიცებული "საბაჟო გადაწყვეტილების მიღების ვადების განსაზღვრის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე" დადგენილი წესით. (9.03.2007 N189)

9. ამ მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტების არ არსებობისას საქონელი ექვემდებარება სრულ დათვალიერებას. განაცხადი იცვლება საბაჟო დათვალიერების აქტის საფუძველზე.

10. ნავთობის დისტილატების დროებით დასაწყობებამდე (გარდა იმ შემთხვევისა, როცა ხდება ნავთობის დისტილატების გადამზიდავ დალუქულ სატრანსპორტო საშუალებასთან ერთად დასაწყობება) საბაჟო ორგანოს წარმომადგენლის, შესაბამისი საბაჟო საწყობის მფლობელის, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე გადამზიდველის წარმომადგენლის, საქონლის მიმღების, აგრეთვე სათავსის მფლობელის ან/და საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე გადამზიდველის მოთხოვნით - სურვეირული კომპანიის წარმომადგენლის მონაწილეობით ხორციელდება ერთი სახეობის ტრანსპორტით გადაზიდული სასაქონლო პარტიიდან ერთ-ერთი სატრანსპორტო საშუალების გახსნა, საწვავის სინჯების აღება, შესაბამისი ჭურჭლის საბაჟო ლუქით დალუქვა და ლაბორატორიაში გადაგზავნა, რის შესახებაც ფორმდება შესაბამისი აქტი.

11. აქტში აღინიშნება საქონლის მიმღები ან/და იმპორტიორის დასახელება, სატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო ნომერი, ლაბორატორიის დასახელება (აკრედიტაციის მოწმობის ნომერი), საწვავისა და საპოხი მასალების დასახელება, სასაქონლო კოდი, სინჯისთვის აღებული, ექსპერტიზისთვის გამოყენებული საქონლის რაოდენობა, საბაჟო ლუქის ნომერი და დალუქვის თარიღი. აქტს ხელს აწერენ საბაჟო ორგანოს წარმომადგენელი, საქონლის მიმღები ან/და იმპორტიორი, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე გადამზიდველის წარმომადგენელი, სურვეირული კომპანიის წარმომადგენელი (ასეთის არსებობის

შემთხვევაში). აქტი მოწმდება საბაჟო ორგანოს წარმომადგენლის პირადნომრიანი ბეჭდითა და ხელმოწერით.

12. ნავთობის დისტილატების დროებით დასაწყობებამდე ამ მუხლის მე-10 პუნქტით განსაზღვრულ პროცედურასთან ერთად იმავდროულად უნდა განხორციელდეს სატრანსპორტო საშუალებაში გახსნისას არსებული საქონლის რაოდენობის განსაზღვრა კანონმდებლობით დადგენილი წესით მეტროლოგიურად დამოწმებული მზომი ხელსაწყოთი. დანაკლისის ალმოჩენისას ხორციელდება კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

13. ნავთობის დისტილატების დროებით დასაწყობებისას (გარდა იმ შემთხვევისა, როცა ხდება ნავთობის დისტილატების გადამზიდავ დალუქულ სატრანსპორტო საშუალებასთან ერთად დასაწყობება) საწყობის მფლობელი ვალდებულია გაითვალისწინოს გვაროვნული ნიშნის შენახვის თავისებურებანი. ამ მიზნით ერთ სათავსში განათავსოს და შესაბამისად შეურიოს მხოლოდ იდენტური თვისობრივ-ხარისხობრივი მაჩვენებლების მქონე ნავთობის დისტილატი.

14.ამოღებულია (9.03.2007 N189)

15. დროებით დასაწყობებული საქონლის მიმართ დასაშვებია მხოლოდ ისეთი ღონისძიებების გამოყენება, რომლებიც უზრუნველყოფს მის დაცულობას და არ ცვლის მის გარეგნულ სახეს ან ტექნიკურ მახასიათებლებს, გარდა ამ მუხლის მე-16 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

16. საბაჟო ორგანოს თანხმობით შეიძლება განხორციელდეს საქონლის დათვალიერება, სინჯის ან/და ნიმუშის აღება და მისი ანალიზი ან გამოკვლევა. წერილობითი შუამდგომლობის საფუძველზე საბაჟო ორგანოს თანხმობა გაიცემა პირზე, რომელიც უფლებამოსილია განსაზღვროს საქონლის საბაჟო დამუშავების ოპერაციის სახე. ნიმუშის ან/და სინჯის დეკლარირება ხდება ცალკე ან საქონელთან ერთად.

17. ამ მუხლის მიზნებისთვის საქონლის დაცულობის უზრუნველმყოფელ ღონისძიებას მიეკუთვნება საქონლის შენახვისთვის, სათავში განთავსების, ამოღების და სატრანსპორტო საშუალებაში ჩატვირთვისთვის აუცილებელი ყველა საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

18. დროებით დასაწყობებული საქონლის დროებით შენახვის საბაჟო საწყობში ან სხვა ადგილზე შენახვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 45 კალენდარულ დღეს, თუ საქონელი შემოტანილია საზღვაო გზით, 20 კალენდარულ დღეს, თუ საქონელი შემოტანილია სხვა გზით. აღნიშნული ვადა აითვლება საქონლის ზოგადი დეკლარირების საფუძველზე გამოწერილი აღრიცხვის მოწმობის 25-ე გრაფაში მითითებული შევსების თარიღიდან, ხოლო უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მიერ შემოყვანილი უცხოეთში რეგისტრირებული მსუბუქი ავტოსატრანსპორტო საშუალებების შემთხვევაში – მოქალაქის სამგზავრო დოკუმენტში (პასპორტში) ჩაკრულ სტიკერთან დასმული თარიღიდან. (23.07.2007 N924)

19. საბაჟო ორგანოს შესაბამისი დასაბუთებით შეუძლია შეამციროს მე-18 პუნქტში აღნიშნული ვადები ან მე-18 პუნქტში დადგენილი ვადის ამოწურვამდე არანაკლებ 3 დღით ადრე პირის მიერ წარდგენილი მოტივირებული წერილობითი განცხადების საფუძველზე გააგრძელოს არაუმეტეს 45 კალენდარული დღით, ხოლო მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების შემთხვევაში – არაუმეტეს 10 კალენდარული დღით. საბაჟო ორგანო ვალდებულია მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა მიიღოს გადაწყვეტილება ვადის გაგრძელების ან ვადის გაგრძელებაზე უარის თქმის შესახებ. ამ პუნქტით გათვალისწინებული ვადის შემცირების და ვადის გაგრძელებაზე უარის თქმის საფუძველია დროებით დასაწყობებული საქონლის ვარგისიანობის შეზღუდული ვადა, გარეგნული ნიშნების მიხედვით სანიტარიულ, ვეტერინალურ, ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის შენახვის პირობების დარღვევის შედეგად საქონლის უსაფრთხოების, თვისობრივ-ხარისხობრივი მაჩვენებლების მნიშვნელოვანი გაუარესება. (23.07.2007 N924)

20. საქონელი, რომელზედაც უკვე განსაზღვრულია საბაჟო დამუშავების ოპერაცია, შეიძლება ინახებოდეს დეკლარანტის წერილობითი მოტივირებული განცხადების საფუძველზე დროებითი შენახვის საწყობში არა უმეტეს 3 თვისა (გარდა მექანიკური სატრანსპორტო საშუალებებისა). საბაჟო ორგანო უფლებამოსილია შეამციროს აღნიშნული ვადა ან უარი განუცხადოს განმცხადებელს ამ მუხლის მე-19 პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობისას. საბაჟო ორგანო ვალდებულია მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა მიიღოს გადაწყვეტილება ვადის გაგრძელების ან ვადის გაგრძელებაზე უარის თქმის შესახებ. (23.07.2007 N924)

21. ამ მუხლის მე-18-20 პუნქტებით განსაზღვრულ ვადებში არ განხორციელდა დროებით დასაწყობებულ საქონელზე საბაჟო დამუშავების ოპერაციის სახის განსაზღვრის დასრულებისათვის, ან უკვე განსაზღვრული საბაჟო დამუშავების ოპერაციის დასრულებისათვის აუცილებელი საბაჟო პროცედურები, ან საქართველოს საბაჟო კოდექსის 87-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული შემთხვევისას საბაჟო ორგანო დაზღვეული ფოსტით წერილობით აცნობებს დეკლარანტს (იმ შემთხვევაში, როცა საბაჟო ორგანოს მიერ იდენტიფიცირებულია დეკლარანტი) საქონლის განკარგვის შესახებ თავისი განზრახვის თაობაზე და ადგენს აღნიშნული ნაკლოვანებების აღმოფხვრის ვადას, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 30 კალენდარულ დღეს. საბაჟო უფლებამოსილია შეამციროს აღნიშნული ვადა მე-19 პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას. საბაჟო ორგანოს მიერ დადგენილ ვადაში დეკლარანტის მიერ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ან საქონლის რეექსპორტის შემთხვევაში საბაჟო ორგანო არ ახორციელებს საქონლის განკარგვას, წინააღმდეგ შემთხვევაში საბაჟო ორგანო დაზღვეული ფოსტით წერილობით აცნობებს დეკლარანტს (იმ შემთხვევაში, როცა საბაჟო ორგანოს მიერ იდენტიფიცირებულია დეკლარანტი) საქონლის განკარგვის შესახებ, რომლის ერთი ეგზემპლიარი ეგზავნება საბაჟო საწყობის მფლობელს.

22. საქონლის მფლობელი ვალდებულია, საბაჟო ორგანოს მოთხოვნით შეინახოს საქონელი საკუთარი ხარჯებით ან საბაჟო კონტროლის განხორციელების აუცილებლობიდან გამომდინარე საბაჟო ორგანოს მოთხოვნით უზრუნველყოს საქონლის მიტანა მის მიერ განსაზღვრულ ადგილზე.

23. ამოღებულია(9.03.2007 N189)

24. ამოღებულია(9.03.2007 N189)

25. ამოღებულია(9.03.2007 N189)

საბაჟო ორგანოში წარდგენილი განაცხადის საბაჟო კონტროლზე აყვანის დამადასტურებელ აღნიშნულამდე აკრძალულია სატრანსპორტო საშუალების გახსნა ან/და საქონლის გადმოტვირთვა. საბაჟო ორგანოში წარდგენილი განაცხადის მიმართ საბაჟო გადაწყვეტილება მიიღება შესაბამისი ინსტრუქციით დადგენილი წესით.

26. იმ შემთხვევაში, თუ საქონლის დროებითი დასაწყობებისას დროებითი შენახვის საწყობში ან ამ ინსტრუქციით განსაზღვრულ სხვა ადგილზე შენახვისთვის მიღებისას გარეგნული მახასიათებლების მიხედვით სახეზეა საქონლის დაზიანების ან გაფუჭების ფაქტი, აგრეთვე განაცხადში ასახული მონაცემების ზოგადი დეკლარირების ფორმაში ან მოწმობაში ასახულ მონაცემებთან შეუსაბამობა, დარღვეულია საბაჟო საიდენტიფიკაციო საშუალების მთლიანობა შესაბამისი ნებართვის მფლობელი ან/და საქონლის მიმღები ვალდებულია ამის შესახებ წერილობით დაუყონებლივ შეატყობინოს (არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა) საბაჟო ორგანოს და დააფიქსიროს აღნიშნული წერილობით. ამ პუნქტით დადგენილი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას საბაჟო კოდექსით დადგენილი წესით.

27. საბაჟო ორგანო უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს განახორციელოს დროებით დასაწყობებული საქონლის კონტროლი ან/და შეამოწმოს მასთან დაკავშირებული დოკუმენტები.

28. ამოღებულია(9.03.2007 N189)

29. ურთიერთობა საბაჟო საწყობის მფლობელსა და მომთავსებელს შორის რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით. საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრული საწყობის მფლობელისა და მომთავსებელის უფლება-მოვალეობანი და პასუხისმგებლობა არ შეიძლება შეიზღუდოს ხელშეკრულებით.

თავი III

საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის საბაჟო რეჟიმის გამოყენება

მუხლი 4.

1. საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის საბაჟო რეჟიმი საშუალებას იძლევა, საბაჟო საწყობში შენახვის მიზნით მოთავსდეს:

ა) უცხოური საქონელი იმპორტის გადასახდელების (გარდა საბაჟო მოსაკრებლების) გადახდისა და არასატარიფო ღონისძიებების გატარების გარეშე;

ბ) საქართველოს საქონელი, თუ საბაჟო საწყობში მისი შენახვის მიზანია მისი საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ გატანა.

2. აკრძალულია საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის საბაჟო რეჟიმში იმ საქონლის მოქცევა, რომლის შემოტანა საქართველოს ტერიტორიაზე აკრძალულია.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნული აკრძალული საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანის დროს, იგი დაუყონებლივ უნდა იქნეს გატანილი და/ან დაუყონებლივ გატანის შეუძლებლობის შემთხვევაში მოთავსდეს დროებითი შენახვის საწყობში.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნული საქონლის უკან დაბრუნების დროს წარმოდგენილ დოკუმენტებზე (სატრანსპორტო ზედდებული ან ინვოისი ან კანონმდებლობით დადგენილი სხვა საბაჟო დოკუმენტი) საბაჟო ორგანო აკეთებს აღნიშვნას - ,,დაბრუნებულია საქონელი'', მიეთითება თარიღი და დასტურდება პირადნომრიანი ბეჭდით. აღნიშნულ საქონელზე გამოიწერება ,,საბაჟო კონტროლის ქვეშ მყოფი საქონლისა ან/და სატრანსპორტო საშუალებების აღრიცხვის მოწმობა'' (შემდგომში – მოწმობა) საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად.

5. სასაზღვრო საბაჟო ორგანოს უფლება აქვს საქონლის წარდგენიდან 2 დღის შემდეგ დაუყოვნებლივ დააბრუნოს საქონელი, თუ წარმოდგენილი დოკუმენტები არ მოიცავს ზოგადი დეკლარირებისათვის საჭირო მონაცემებს და არ არის წარმოდგენილი კანონმდებლობით გათვალისწინებული ლიცენზიები, ნებართვები და სერტიფიკატები.

6. მე-5 პუნქტში აღნიშნული საქონლის დაბრუნება ხორციელდება ამ მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად.

მუხლი 5. საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის საბაჟო რეჟიმისათვის განკუთვნილი საქონლის საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანის დროს გათვალისწინებული საბაჟო პროცედურები

1. საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის საბაჟო რეჟიმისათვის განკუთვნილი საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე (გამშვებ პუნქტზე) შემოტანის დროს დადგენილი წესის შესაბამისად ხორციელდება შემდეგი საბაჟო პროცედურები:

ა) საქონლის წარდგენა;

ბ) ზოგადი დეკლარირება;

გ) მოწმობის გამოწერა.

2. საბაჟო ორგანოს გადაწყვეტილებით, ზოგადი დეკლარირების შემდეგ, სასაზღვრო საბაჟო ორგანოში შეიძლება განხორციელდეს საქონლის დათვალიერება, სინჯების და ნიმუშების აღება და საიდენტიფიკაციო ნიშნების დადება საქართველოს საბაჟო კოდექსის შესაბამისად.

მუხლი 6. საქონლის წარდგენა სასაზღვრო საბაჟო ორგანოში
საქონლის წარდგენა ხდება:

ა) სახმელეთო სასაზღვრო გამტარ პუნქტებში - სასაზღვრო კონტროლის განხორციელების შემდეგ საქონლის საბაჟო კონტროლის ზონაში ფაქტობრივი განთავსებით;

ბ) საერთაშორისო ნაოსნობისათვის გახსნილ საზღვაო პორტებში და საერთაშორისო აეროპორტებში გახსნილ სასაზღვრო გამტარ პუნქტებში – გემის ან თვითმფრინავის კაპიტნის ან უფლებამოსილი პირის მიერ სატვირთო მანიფესტის საბაჟო ორგანოსთვის წარდგენით;

გ) საავტომობილო ტრანსპორტით საქართველოს საბაჟო საზღვრის საბაჟო ორგანოს მიერ შერჩეულ ადგილზე (სასაზღვრო გამტარი პუნქტის გარდა) გადმოკვეთის შემთხვევაში – სასაზღვრო კონტროლის განხორციელების შემდეგ საქონლის საბაჟო ორგანოს მიერ შერჩეულ საბაჟო კონტროლის ზონაში (საბაჟო ორგანო, საბაჟო საწყობი, დროებითი შენახვის საწყობი, საბაჟო კონტროლის სხვა ზონა ან საბაჟო ორგანოს მიერ მითითებული სხვა ნებისმიერი ადგილი) ფაქტობრივი განთავსებით.

მუხლი 7. საქონლის ზოგადი დეკლარირება სასაზღვრო საბაჟო ორგანოში

1. ზოგადი დეკლარირება უნდა განხორციელდეს ამ ინსტრუქციის მე-4 მუხლით განსაზღვრული საქონლის სასაზღვრო კონტროლის განხორციელების დასრულებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა.

2. ზოგადი დეკლარირება ხორციელდება (ზოგადი დეკლარირების ფორმა) საბაჟო ორგანოსადმი იმ ზოგადი მონაცემების ამსახველი დოკუმენტების წარდგენით, რომელიც აუცილებელია შესაბამისი საბაჟო დამუშავების ოპერაციის შერჩევამდე მისი იდენტიფიცირებისათვის, საბაჟო ზედამხედველობისა და საბაჟო კონტროლის განხორციელებისათვის (მათ შორის, საბაჟო კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული მოწმობის შევსებისათვის).

3. ზოგადი დეკლარირების მიზნით სასაზღვრო საბაჟო ორგანოში წარდგენილი უნდა იქნეს სატრანსპორტო დოკუმენტები:

ა) საავტომობილო ტრანსპორტით გადაზიდვის დროს – სატრანსპორტო ზედდებული;

ბ) საზღვაო ტრანსპორტით საქონლის შემოტანის დროს – კონოსამენტი;

გ) საჰაერო ტრანსპორტით საქონლის შემოტანის დროს – ავიაზედდებული.

4. ზოგადი დეკლარირების მიზნით ამ მუხლის მე-3 პუნქტში გათვალისწინებული დოკუმენტების გარდა შეიძლება გამოყენებულ იქნას საქონლის თანმხლები სხვა დოკუმენტები:

ა) კონტრაქტი ან/და ინვოისი;

ბ) წარმოშობის სერტიფიკატი;

გ) საბაჟო გარანტია (ან TIR-ის წიგნაკი) საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად.

დ) სპეციალური სატვირთო-საბაჟო დეკლარაცია საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად.

ე) აქციზური საქონლის ბარათი საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად.

ვ) ექსპორტიორი ქვეყნის მიერ გაცემული ფიტო ან/და ვეტ სერტიფიკატები.

ზ) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტები.

5. ზოგადი დეკლარირების უფლება აქვს საქონლის მფლობელს ან მის წარმომადგენელს.

6. ზოგადი დეკლარირება არ ხორციელდება მილსადენი ტრანსპორტით გადაადგილებულ საქონელზე.

7. ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებული დოკუმენტები დამოწმდება საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირის მიერ პირადნომრიანი ბეჭდით. (8.02.2007 N104)

მუხლი 8. საბაჟო კონტროლის ქვეშ მყოფი საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობის გამოწერა (8.02.2007 N104)

ამ ინსტრუქციის მე-7 მუხლში მითითებული დოკუმენტების საფუძველზე სასაზღვრო საბაჟო ორგანოს მიერ ხდება მოწმობის გამოწერა "საბაჟო კონტროლის ქვეშ მყოფი საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობის შეცვლის წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 20 დეკემბრის N1764 ბრძანების შესაბამისად.

მუხლი 9. შემოტანილი საქონლისა ან/და სატრანსპორტო საშუალებების საქართველოს საბაჟო ტერიტორიის შესაბამის ადგილამდე მიტანის ვადა და მარშრუტი

1. ერთი სასაზღვრო საბაჟო ორგანოდან მეორე სასაზღვრო საბაჟო ორგანომდე ან სხვა ადგილამდე ან კანონმდებლობით დადგენილი სხვა ადგილიდან სასაზღვრო საბაჟო ორგანომდე ან სხვა ადგილამდე საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების მიტანის ვადა განისაზღვრება განისაზღვრება დადგენილი წესით, გამგზავნი საბაჟო ორგანოს მიერ, გადასაზიდი საქონლის, სატრანსპორტო საშუალების, საბაჟო მარშრუტის ხასიათის და ეკოლოგიურ-კლიმატური პირობების გათვალისწინებით.

2. შემოტანილი საქონლისა ან/და სატრანსპორტო საშუალებების საქართველოს საბაჟო ტერიტორიის შესაბამის ადგილამდე მიტანა ხორციელდება ნებისმიერი გზით, გარდა თამბაქოს ნაწარმის გადაზიდვის შემთხვევისა.

3. საბაჟო ზედამხედველობას დაქვემდებარებული თამბაქოს ნაწარმის გადაადგილება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ხორციელდება იმ საბაჟო ორგანოების გაცილით, რომელიც განსაზღვრულია "სასაზღვრო საბაჟო ორგანოს გახსნის, მუშაობის დროის და მისი გაცილით შემოსატანი საქონლის სახეობების განსაზღვრის შესახებ" საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

4. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი საქონელი და/ან სატრანსპორტო საშუალება იმყოფება საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მისთვის საბაჟო სტატუსის მინიჭებამდე, შეცვლამდე, თავისუფალ ზონაში ან თავისუფალ საწყობში გადატანამდე, საბაჟო ტერიტორიიდან რეექსპორტამდე ან საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ განადგურებამდე, გარდა კანონმდებობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

5. საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მყოფი საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალებების მიმართ შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ საბაჟო ორგანოსთან შეთანხმებული მოქმედებები და ოპერაციები.

6. თუ საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მყოფი საქონელი ან/და სატრანსპორტო საშუალებები განადგურდა ან დაზიანდა, საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების მფლობელი ვალდებულია დაუყონებლივ შეატყობინოს საბაჟო ორგანოს და წარუდგინოს მას განადგურების ან დაზიანების უტყუარი მტკიცებულებები, რომელიც დამოწმებულია შესაბამისი უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ. თუ საბაჟო ორგანოს არ დააკმაყოფილებს წარმოდგენილი მტკიცებულებები, საქონელი ჩაითვლება საბაჟო ზედამხედველობიდან უკანონოდ გასულად.

7. თუ საქონელი და/ან სატრანსპორტო საშუალებები უკანონოდ გადის საბაჟო ზედამხედველობიდან ან საბაჟო ორგანოს აქვს საფუძვლიანი ეჭვი საბაჟო ზედამხედველობიდან საქონლის და/ან სატრანსპორტო საშუალების უკანონოდ გასვლაზე და დეკლარანტს ან საქონლის მესაკუთრეს ან საქონლის მფლობელს არ შეუძლია საბაჟო ორგანოს დაუმტკიცოს ამ საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების საბაჟო ზედამხედველობიდან კანონიერად გასვლის ფაქტი, ვალდებულმა პირმა საბაჟო ზედამხედველობიდან საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების უკანონოდ გასვლის აღმოჩენიდან 5 კალენდარული დღის გან-

მაელობაში უნდა შეასრულოს წარმოშობილი საბაჟო ვალდებულება.

8. პირზე, რომელიც იღებს საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი საქონლისა ან/და სატრანსპორტო საშუალების ტრანსპორტირების პასუხისმგებლობას, ერცელდება ამ მუხლში აღნიშნული ვალდებულებები.

9. ერთი სასაზღვრო საბაჟო ორგანოდან მეორე სასაზღვრო საბაჟო ორგანომდე ან სხვა ადგილამდე ან კანონმდებლობით დადგენილი სხვა ადგილიდან სასაზღვრო საბაჟო ორგანომდე ან სხვა ადგილამდე საქონლისა ან/და სატრანსპორტო საშუალებების მიტანა ხორციელდება მოწმობით, გარდა კანონმდებობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 10. საქონლის წარდგენა დანიშნულების ადგილზე არასაბაჟო ორგანოში

1. საქონლის დანიშნულების ადგილზე (არასაბაჟო ორგანო) წარდგენის დადასტურების მიზნით ხდება დამოწმება: (23.04.2007 N409)

ა) საბაჟო საწყობის (დროებითი შენახვის საწყობის) მიერ _ აღრიცხვის მოწმობის უკანა გვერდზე გაკეთებული აღნიშვნით (ბეჭედი, ხელმოწერა, თარიღი და დრო). დამოწმებული მოწმობის საბაჟო ორგანოსათვის გადაცემის ვალდებულება ეკისრება საბაჟო საწყობს, იმავე ან მეორე სამუშაო დღის 12 საათამდე;

ბ) სარკინიგზო გადაზიდვების შემთხვევაში რკინიგზის მიერ სარკინიგზო ზედნადებზე და აღრიცხვის მოწმობის უკანა გვერდზე გაკეთებული აღნიშვნით (შტამპი, ხელმოწერა, თარიღი და დრო). დამოწმებული აღრიცხვის მოწმობისა და სარკინიგზო ზედნადების საბაჟო ორგანოსათვის გადაცემის ვალდებულება ეკისრება სარკინიგზო ზედნადებში მითითებულ ტვირთმიმღებს.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული საქონლისა ან/და სატრანსპორტო საშუალებების წარდგენის თარიღი და დრო ჩაითვლება საბაჟო ორგანოში საქონლისა ან/და სატრანსპორტო საშუალებების წარდგენის დღედ.

მუხლი 11. საქონლის წარდგენა საბაჟო დამუშავების ოპერაციის ადგილზე

1. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანის დროს, მისი წარდგენა საბაჟო დამუშავების ოპერაციის ადგილზე (საბაჟო ორგანოში), რომელიც მდებარეობს არასასაზღვრო საბაჟო ორგანოს სამოქმედო ტერიტორიაზე, ხორციელდება მოწმობის წარდგენით, რომელიც დადასტურდება მოწმობაში საბაჟო ორგანოს პასუხისმგებელი პირის პირადნომრიანი ბეჭდით, სადაც მიეთითება აგრეთვე დამოწმების თარიღი და დრო.

2. იმ შემთხვევაში, თუ საბაჟო საწყობის რეჟიმისათვის განკუთვნილი საქონელი, რომელიც გადაადგილდება საბაჟო გამშვები პუნქტიდან ან კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ადგილიდან და პირდაპირ წარედგინება საბაჟო ორგანოს (საბაჟო საწყობში წარდგენის გარეშე), მაშინ საქონლის წარდგენად ჩაითვლება მოწმობის წარდგენა საბაჟო ორგანოში, რომელიც დასტურდება საბაჟო მოხელის პირადნომრიანი ბეჭდით, თარიღითა და დროით.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მოწმობა იხსნება კონტროლიდან სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის წარდგენის საფუძველზე სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციიდან არაუგვიანეს ერთი საათისა.

მუხლი 12. სატვირთო საბაჟო დეკლარაციის წარდგენა

1. დეკლარაციის წარდგენა ხდება საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრულ იმ საბაჟო ორგანოში, სადაც წარმოებს საქონლის საბაჟო დამუშავების ოპერაცია.

2. დეკლარაციის წარდგენა ხდება:

ა) ზოგადი დეკლარირებიდან 45 კალენდარულ დღეში, თუ საქონელი შემოტანილია საზღვაო გზით;

ბ) ზოგადი დეკლარირებიდან 20 კალენდარულ დღეში, თუ საქონელი შემოტანილია სხვა გზით.

3. საბაჟო ორგანოს შესაბამისი დასაბუთებით შეუძლია შეამციროს ამ მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნული ვადები ან დეკლარანტის წერილობითი განცხადების საფუძველზე გააგრძელოს ისინი 45 კალენდარული დღით.

4. დეკლარაციას ავსებს დეკლარანტი.

5. სატვირთო საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაცია ხორციელდება დამუშავების საბაჟო ორგანოში საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად.

6. დეკლარანტის მიერ სატვირთო საბაჟო დეკლარაციის შევსება ხორციელდება საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად.

7. სატვირთო საბაჟო დეკლარაციასთან ერთად საბაჟო დამუშავების ოპერაციის ადგილზე დეკლარანტის მიერ ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტებიდან წარდგენილი უნდა იქნეს საქონლისა და მისი გადაადგილების, სატრანსპორტო საშუალების სახეობის და კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა პირობებიდან გამომდინარე საჭირო დოკუმენტები:

ა) კონტრაქტი;

ბ) შესყიდვის დოკუმენტი (ინვოისი ან სხვა საანგარიშსწორებო დოკუმენტი);

გ) სატრანსპორტო ზედდებული;

დ) კონოსამენტი;

ე) მანიფესტი;

ვ) TIR-კარნეტის დოკუმენტი;

ზ) ერთჯერადი ან გენერალური მინდობილობა ან ხელშეკრულება;

თ) სერტიფიკატები:

თ.ა) საქონლის წარმოშობის სერტიფიკატი;

თ.ბ) საქონლის უსაფრთხოების სერტიფიკატი;

თ.გ) ფიტო-სანიტარული სერტიფიკატი;

თ.დ) ვეტერინარული სერტიფიკატი;

თ.ე) სანიტარული-ჰიგიენური სერთიფიკატი;

თ.ვ) ფუმიგაციისა და დეზინფექციის სერტიფიკატი;

ი) სპეციალური სატვირთო საბაჟო დეკლარაცია;

კ) აქციზური საქონლის ბარათი;

ლ) საქონლის სპეციფიკაცია;

მ) საბაჟო გადასახდელების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ნ) გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი (კოდი);

ო) ექსპერტიზის აქტი;

პ) საქონლის დათვალიერების აქტი;

ჟ) საქონლის სინჯის (ნიმუშის) აღების აქტი (ოქმი);

რ) ჯარიმის გადახდის დოკუმენტი;

ს) საბაჟო სამართალდარღვევის ოქმი;

ტ) საქონლისა და/ან სატრანსპორტო საშუალების დროებითი დასაწყობების განაცხადი.

უ) ავტოსატრანსპორტო საშუალების ტექნიკური პასპორტი;

ფ) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტები.

მუხლი 13. საქონლის საბაჟო დათვალიერება, სინჯის ან/და ნიმუშის აღება საბაჟო დამუშავების ოპერაციის ადგილებში

საბაჟო ორგანოს გადაწყვეტილებით საბაჟო დამუშავების ოპერაციის ადგილას შეიძლება განხორციელდეს საქონლის დათვალიერება, სინჯების და ნიმუშების აღება საქართველოს საბაჟო კოდექსის შესაბამისად.

მუხლი 14. საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალებების მიტანასთან დაკავშირებული ავარიის ან დაუძლეველი ძალის დროს გასატარებელი ღონისძიებები

1. ავარიისა ან დაუძლეველი ძალის დროს, პირი, რომელიც ვერ ასრულებს ამ ინსტრუქციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ვალდებულია:

ა) დაუყონებლივ აცნობოს უახლოეს საბაჟო ორგანოს აღნიშნული გარემოებების, საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალებების ადგილმდებარეობისა და მდგომარეობის შესახებ და იმოქმედოს მისი მითითებების შესაბამისად;

ბ) მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალებების ხელშეუხებლობის უზრუნველსაყოფად;

გ) უზრუნველყოს საქონლისა ან/და სატრანსპორტო საშუალებების მიტანა უახლოესი საბაჟო ორგანოს ტერიტორიაზე ან საბაჟო ორგანოს მიერ მითითებულ ადგილზე;

2. აუცილებლობის შემთხვევაში შესაბამისი საბაჟო ორგანო ვალდებულია, განსაზღვროს ამ საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების დანიშნულების საბაჟო ორგანომდე ან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ადგილამდე მიტანის უზრუნველყოფის ღონისძიებები.

3. ავარიისა ან დაუძლეველი ძალის შედეგად განადგურებულ საქონელზე დგება ოქმი და განადგურების შედეგად წარმოშობილ ნარჩენები და ჯართი გადაადგილდება საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად.

4. ამ მუხლის მოთხოვნათა შესრულებისათვის გაწეულ ხარჯებს ანაზღაურებს საქონელსა და/ან სატრანსპორტო საშუალებაზე უფლებამოსილი შესაბამისი პირი.

მუხლი 15. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანა კანონმდებლობით განუსაზღვრელ ადგილებში

1. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანა და საბაჟო პროცედურების განხორციელება საქართველოს მთავრობის დადგენილებით განუსაზღვრელ ადგილებში დაიშვება საქონლის შემომტანი პირის განცხადების საფუძველზე, მისივე ხარჯებით და საბაჟო ორგანოსთან შეთანხმებით. განცხადება შეტანილ უნდა იქნეს შესაბამის ტერიტორიულ საბაჟო ორგანოში და ასევე, სასაზღვრო პოლიციის შესაბამის სტრუქტურაში.

2. ტერიტორიულ საბაჟო ორგანოს ენიჭება უფლებამოსილება განიხილოს და გადაწყვიტოს განცხადებაში დასმული საკითხი. გადაწყვეტილება მიიღება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემით.

3. განცხადება უნდა იყოს წერილობითი ფორმით და შეიცავდეს:

ა) ტერიტორიული საბაჟო ორგანოს დასახელებას;

ბ) განმცხადებლის (ფიზიკური პირი, იურიდიული პირი) ვინაობას (დასახელებას) და მისამართს;

გ) მოთხოვნას (საქონლის შემოტანის უფლება, შემოტანის ადგილის, ავტოსატრანსპორტო საშუალებების, ტექნიკის, საქონლის სახეობის, რაოდენობისა და ღირებულების მითითებით);

დ) განცხადების წარდგენის თარიღს და განმცხადებლის ხელმოწერას;

ე) განცხადებაზე დართული საბუთების ნუსხას, მათი არსებობის შემთხვევაში.

4. განმცხადებელს უფლება აქვს ტერიტორიულ საბაჟო ორგანოს განცხადებასთან ერთად წარუდგინოს ყველა საბუთი, რომელიც შეიძლება საფუძვლად დაედოს განცხადებაში დასმული საკითხის გადაწყვეტას და შესაბამისი ადმინისტრაციული აქტის გამოცემას.

5. ტერიტორიული საბაჟო ორგანო განცხადების მიღების დღესვე ახდენს მის რეგისტრაციას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. განცხადების რეგისტრაციის მომენტიდან ტერიტორიული საბაჟო იწყებს განცხადებაში დასმული საკითხის განხილვას.

7. თუ ტერიტორიული საბაჟოს ხელმძღვანელობა გადაწყვეტს, რომ განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება შესაძლებელია, შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით განსაზღვრავს საბაჟოს პასუხისმგებელ პირებს, რომლებსაც დაევალებათ საზღვრის გადმოკვეთის ადგილიდან მიზანშეწონილ საბაჟო ორგანომდე საქონლის გადაზიდვის ზედამხედველობა და გაცილება.

8. ამ მუხლის მე-7 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში საბაჟო ორგანოს პასუხისმგებელი პირი საბაჟო პროცედურებს დროის უმოკლეს პერიოდში ახორციელებს სასაზღვრო პოლიციის სასაზღვრო გამტარი პუნქტის (ასეთის არსებობის) წარმომადგენლებთან კოორდინაციით და კომპეტენციის ფარგლებში მათი მონაწილეობით.

9. ტერიტორიული საბაჟო ორგანოს ხელმძღვანელობა თავისი გადაწყვეტილების თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობებს განმცხადებელს, აგრეთვე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციას და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს და უგზავნის მათ მიღებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დადგენილი წესით დამოწმებულ ასლებს. (23.04.2007 N409)

10. საბაჟო ორგანოების ზედამხედველობისა და საბაჟო კონტროლის გარეშე ყველა სხვა ადგილებში საქონლითა და სატრანსპორტო საშუალებებით საზღვრის გადაკვეთა განიხილება, როგორც საბაჟო წესების დარღვევა და ისჯება კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 16. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანა სასაზღვრო საბაჟო ორგანოს არასამუშაო დროს

1. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანა სასაზღვრო საბაჟო ორგანოს არასამუშაო დროს დაიშვება საქონლის შემომტანი პირის წერილობითი განცხადების საფუძველზე, მისივე ხარჯებით, საბაჟო ორგანოსთან შეთანხმებით.

2. საბაჟო ორგანოს მიერ პირის განცხადების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება ხორციელდება ამ ინსტრუქციის მე-15 მუხლით განსაზღვრული წესით.

მუხლი 17. საკუთრების უფლების გადაცემა საბაჟო საწყობში მოთავსებულ საქონელზე და მომთავსებლისა და საბაჟო საწყობის მფლობელის ვალდებულებები

1. საბაჟო საწყობში შენახულ საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის საბაჟო რეჟიმი მოქცეულ საქონელზე გასხვისების უფლებამოსილების მქონე საქონლის მფლობელს (რაც დასტურდება შესაბამისი ორიგინალი ხელშეკრულებით ან/და ნოტარიულად დამოწმებული თარგმანით) უფლება აქვს განახორციელოს საკუთრების უფლების ერთჯერადად გადაცემა ნებისმიერ სხვა პირზე წერილობითი ფორმით დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, რომლის შესახებ ინფორმაცია წერილობით მიეწოდება საბაჟო ორგანოს. მყიდველის მიერ დადგენილი წესით ამ საქონლის მიმართ შესაძლებელია განხორციელდეს საბაჟო კოდექსით გათვალისწინებული საბაჟო დამუშავების ნებისმიერი ოპერაცია, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2. საბაჟო დამუშავების ნებისმიერი ოპერაციის გამოყენებამდე შემძენის მიერ გასხვისების ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში საქონლის გამსხვისებელს უნარჩუნდება ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული უფლება. აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია წერილობით მიეწოდება საბაჟო ორგანოს.

3. პირს, რომელმაც არარეზიდენტი პირისაგან მიიღო საკუთრების უფლება (დადასტურებული ორიგინალი ინვოისით ან/და შესაბამისი ორიგინალი ხელშეკრულებით ან/და ნოტარიალურად დამოწმებული თარგმანით) საწყობში განთავსებულ იმ საქონელზე, რომელიც არარეზიდენტი პირის დავალებით განთავსებულია საწყობში საქართველოს რეზიდენტი პირის მიერ, უფლება აქვს საქონლის მიმართ განახორციელოს საქართველოს საბაჟო კოდექსით განსაზღვრული საბაჟო დამუშავების ოპერაციები (საბაჟო საწყობში საქონლის

შენახვის საბაჟო რეჟიმში მოქცევის შემთხვევაში საქონლის შენახვის ვადა განისაზღვრება ასეთი საქონლის აღნიშნულ რეჟიმში შენახვის დარჩენილი ვადის ფარგლებში), თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

4. ამ მუხლში მითითებული შემძენი ან დეკლარანტი საბაჟო დამუშავების ოპერაციის განხორციელებამდე ვალდებულია წარმოადგინოს საბაჟო ორგანოში საგადასახადო ორგანოების მიერ გაცემული ცნობა, რომლითაც დასტურდება გასხვისების ოპერაციის შესახებ საგადასახადო ორგანოებისთვის ინფორმაციის წარდგენის ფაქტი.

5. საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონელი შესაძლებელია შენახულ იქნეს საბაჟო საწყობის გარეთ სხვა ადგილას:

ა) როცა არ არსებობს საქონლის შენახვისთვის აუცილებელი, განსაკუთრებული პირობების (რადიაციული, საშიში ტვირთი, არაგაბარიტული) შესატყვისი საბაჟო საწყობი და საქონლის მიმღების მიერ საბაჟო ორგანოში წარდგენილია საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების (იმპორტის) რეჟიმის შესაბამისად გადასახდელი საბაჟო გადასახდელების ექვივალენტური თანხის ოდენობის საბაჟო გარანტია.

ბ) საქონლის მიმღებს წარმოადგენს „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული სამინისტრო ან მის გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება ან ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანო.

გ) საერთაშორისო მიმოსვლისათვის გახსნილი საზღვაო ნავსადგურის შემოფარგლულ ტერიტორიაზე, იმ შემთხვევაში თუ ამ ტერიტორიაზე არსებულია საქონლის განთავსებისთვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობის, ან/და ღია მოედნის მფლობელი აკმაყოფილებს 29-ე მუხლით განსაზღვრულ პირობებს, ხოლო მომთავსებელის მიერ საბაჟო ორგანოში წარდგენილია საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების (იმპორტის) რეჟიმის შესაბამისად გადასახდელი საბაჟო გადასახდელების ექვივალენტური თანხის ოდენობის საბაჟო გარანტია. (9.03.2007 N189)

51. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში საბაჟო საწყობის გარეთ სხვა ადგილას შენახული საქონლის აღრიცხვა-ანგარიშგებას ახორციელებს შენახვის სხვა ადგილის მფლობელი „საბაჟო საწყობის ტექნიკური და უსაფრთხოების მოთხოვნების განსაზღვრისა და შესაბამისი ნებართვების გაცემის წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე3 საქართველოს მთავრობის 2006 წლის 20 დეკემბრის N240 დადგენილებით დამტკიცებული ინსტრუქციის N1-N2 შესაბამისი დანართებით. (9.03.2007 N189)

6. მომთავსებელი ვალდებულია შეასრულოს საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის საბაჟო რეჟიმში საქონლის მოქცევასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

7. ურთიერთობა საბაჟო საწყობის მფლობელსა და მომთავსებელს შორის რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით. საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრული საწყობის მფლობელისა და მომთავსებელის უფლება-მოვალეობანი და პასუხისმგებლობა არ შეიძლება შეიზღუდოს ხელშეკრულებით.

8. საბაჟო საწყობის მფლობელმა საბაჟო საწყობში საქონლის მიტანის მომენტიდან უნდა აწარმოოს საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონლის აღრიცხვა საქართველოს მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებული ფორმით.

9. საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის საბაჟო რეჟიმში მოქცევის გარეშე საქართველოს საბაჟო ორგანომ შესაძლებელია გასცეს თანხმობა:

ა) საქართველოს საქონლის საბაჟო საწყობში 3 თვემდე ვადით შენახვაზე პირის მოტივირებული განცხადების საფუძველზე, თანხმობა არ არის საჭირო, როცა საქართველოს საქონლის საბაჟო საწყობში შენახვის მიზანია მისი საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ გატანა და უზრუნველყოფილია, საქართველოს საქონლის იზოლირებულად შენახვა;

ბ) საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში

მოქცეული უცხოური საქონლის საბაჟო საწყობში გადამუშავებაზე ამ რეჟიმით განსაზღვრული პირობებისა და იმ სპეციალური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ასეთი შემთხვევებისათვის გათვალისწინებულია საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით.

10. ამ მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევებში საქონელი არ ჩაითვლება საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის საბაჟო რეჟიმში მოქცეულად.

11. ამ მუხლის მე-9 პუნქტში აღნიშნული საქონლის აღრიცხვა ხორციელდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებული ფორმით.

12. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავებისთვის ამ მუხლით გათვალისწინებული განსაზღვრული პირობები და სპეციალური ნორმები წესდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული საბაჟო საწყობის ტექნიკური და უსაფრთხოების მოთხოვნებით, ხოლო ამ მოთხოვნებთან შესაბამისობა დგინდება საბაჟო საწყობის საქმიანობის ნებართვის გაცემისას.

მუხლი 18. საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონლის შენახვის ვადის შეზღუდვის შემთხვევები

1. საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონლის შენახვის ვადა არ არის შეზღუდული, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევი-სა.

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ განსაზღვრულ შემთხვევებში საბაჟო ორგანო უფლებამოსილია, მომთავსებელელს განუსაზღვროს ვადა, რომლის განმავლობაშიც მან უნდა შეარჩიოს საქონლის საბაჟო დამუშავების ახალი ოპერაცია. ეს ვადა აითვლება საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის საბაჟო რეჟიმში საქონლის მოქცევის დღიდან.

3. საქონლის შენახვის ფაქტობრივ ვადას ამ მუხლით გათვალისწინებული ვადის ფარგლებში განსაზღვრავს მომთავსებელელი და მიუთითებს საბაჟო დეკლარაციაში. საბაჟო ორგანოს მიერ შენახვის ფაქტობრივი ვადის გაგრძელება დაიშვება მომთავსებელის მოტივირებული განცხადების საფუძველზე, ამ მუხლის მოთხოვნების გათვალისწინებით.

4. საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის საბაჟო რეჟიმში მოქცევამდე დეკლარანტი ვალდებულია წარუდგინოს საბაჟო ორგანოს შეზღუდული ვარგისიანობის ვადის მქონე საქონელზე ვარგისიანობის ვადის დამადასტურებელი დოკუმენტი, ვადის განსაზღვრის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილება საბაჟო ორგანოს მიერ მიიღება მე-9 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი გარემოებების გათვალისწინებით.

5. შენახვის ნორმალური პირობების დაუცველობის შედეგად საქონლის დაზიანების, გაფუჭების, თვისობრივ-ხარისხობრივი მაჩვენებლების მნიშვნელოვანი გაურესების შემთხვევაში საწყობის მფლობელს ეკისრება კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

6. თუ საწყობში საქონლის მიღებისას გარეგნული მახასიათებლების მიხედვით სახეზეა საქონლის დაზიანების ან გაფუჭების ფაქტი, დარღვეულია საბაჟო საიდენტიფიკაციო საშუალების მთლიანობა შესაბამისი ნებართვის მფლობელი ან/და საქონლის მიმღები ვალდებულია ამის შესახებ წერილობით დაუყონებლივ შეატყობინოს (არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა) საბაჟო ორგანოს. ამ პუნქტით დადგენილი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას საბაჟო კოდექსით დადგენილი წესით.

მუხლი 19. საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონლის მიმართ დასაშვები ქმედებების ნუსხასა და განხორციელების წესი

1. საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონლის მიმართ დასაშვებია საქონლის შენახვის, ტრანსპორტირებისა და გაყიდვის მიზნით ოპერაციების განხორციელება.

ა) საწყობში განთავსებული საქონლის მიმართ დაიშვება შენახვის უზრუნველყოფისთვის

დასაშვები შემდეგი ოპერაციები:

ა.ა) გასუფთავება;

ა.ბ) განიავება;

ა.გ) გაშრობა (კერძოდ, სითბოს მიწოდებით);

ა.დ) შენახვის ოპტიმალური ტემპერატურული რეჟიმის შექმნა (გაცივება, გაყინვა, გახურება);

ა.ე) დამცავ შესაფუთში მოთავსება;

ა.ვ) დამცავი საფენისა და კონსერვანტის ჩატანება;

ა.ზ) ჟანგსაწინააღმდეგო შეღებვა;

ა.თ) დამცავი მოწყობილობის შეყვანა;

ა.ი) ანტიყოროზიული საფენის ჩატანება ტრანსპორტირების წინ;

ა.კ) შენახვის უზრუნველყოფისათვის საჭირო სხვა ოპერაციები.

ბ) გაყიდვისა და ტრანსპორტირების მიზნით შეიძლება განხორციელდეს შემდეგი ოპერაციები:

ბ.ა) ანტიყოროზიული საფენის ჩატანება ტრანსპორტირების წინ;

პარტიის დანაწილება;

ბ.ბ) გზავნილების ფორმირება;

ბ.გ) დახარისხება;

ბ.დ) შეფუთვა;

ბ.ე) მარკირება (მ.შ. აქციზური მარკების დაკერა);

ბ.ვ) საქონლის მოთავსება სადემონსტრაციო სტენდებზე;

ბ.ზ) დატვირთვა;

ბ.თ) გადმოტვირთვა;

ბ.ი) გადატვირთვა;

ბ.კ) დაკომპლექტებასთან ან სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან დაკავშირებული მარტივი ოპერაციები;

ბ.ლ) რაციონალურად განლაგების მიზნით საქონლის გადაადგილება საწყობში;

ბ.მ) ტესტირება (გამოცდა);

ბ.ნ) საქონლის დემონსტრირება საბაჟო კონტროლის ზონაში;

ბ.ო) გაყიდვისა და ტრანსპორტირებისათვის საჭირო სხვა ოპერაციები;

ბ.პ) ზემოთ მითითებული ოპერაციების საბაჟო ორგანოს მიერ მოთხოვნის შემთხვევაში საბაჟო ორგანოს წარმომადგენლის უშუალო მეთვალყურეობა;

2. განხორციელებულმა ოპერაციებმა არ უნდა შეცვალონ მისი მახასიათებლები (ხარისხი), რომლებიც დაკავშირებულია სასაქონლო კლასიფიკაციის შეცვლასთან, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის სასაქონლო ნომენკლატურის მიხედვით, ციფრული კოდის შეთერთმეტე ნიშნის დონემდე;

მუხლი 20. საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონლის საბაჟო საწყობიდან დროებითი გატანისა და სხვა საბაჟო საწყობში გადატანის პირობები

1. განსაკუთრებულ შემთხვევებში და საბაჟო ორგანოსთან შეთანხმებით შესაძლებელია, საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონელი დროებით გატანილ იქნეს საბაჟო საწყობიდან ან/და გადატანილ იქნეს სხვა საბაჟო საწყობში.

2. საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონლის საბაჟო საწყობიდან დროებითი გატანისა და სხვა საბაჟო საწყობში გადატანის პირობები განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

თავი IV

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის (შემდგომში - შემოსავლების სამსახური) მფლობელობაში არსებული საბაჟო ან/და დროებითი შენახვის საბაჟო საწყობში დროებითი დასაწყობება და საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის საბაჟო რეჟიმის გამოყენების წესი (23.04.2007 N409)

მუხლი 21.

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის (შემდგომში შემოსავლების სამსახური) მფლობელობაში არსებული საბაჟო ან/და დროებითი შენახვის საბაჟო საწყობში (შემდგომში საწყობი) შესაძლებელია განთავსდეს: (23.04.2007 N409)

ა) სასაზღვრო საბაჟო ორგანოს სტრუქტურული ქვედანაყოფის სამოქმედო ტერიტორიაზე აღმოჩენილი უპატრონო (მიტოვებული) საქონელი ან/და სატრანსპორტო საშუალება;

ბ) ჩამორთმეული საქონელი ან/და სატრანსპორტო საშუალება საბაჟო სამართალდარღვევის საქმის განხილვამდე, კანონმდებლობით დადგენილი ზოგიერთი კატეგორიის საქონლის მიმართ დაწესებული შენახვის განსაკუთრებული რეჟიმის გათვალისწინებით;

გ) მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად დაგირავებული საქონელი ან/და სატრანსპორტო საშუალება;

დ) კანონმდებლობით დადგენილი წესით უსასყიდლოდ ჩამორთმეული ან სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემული საქონელი ან/და სატრანსპორტო საშუალება უფლებამოსილ ორგანოსთვის გადაცემამდე, კანონმდებლობით დადგენილი ზოგიერთი კატეგორიის საქონლის მიმართ დაწესებული შენახვის განსაკუთრებული რეჟიმის გათვალისწინებით;

ე) სასაზღვრო საბაჟო ორგანოს სამოქმედო ტერიტორიაზე შემოსული საქონელი, რომელზეც საბაჟო ორგანოში არ არის წარმოდგენილი საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემდგომი გადაადგილებისთვის კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტი (ნებართვა, სერთიფიკატი, სპეციალური სატვირთო-საბაჟო დეკლარაცია და სხვა);

ვ) საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანას ან განადგურებას დაქვემდებარებული, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე უკვე შემოტანილი საქონელი, რომლის შემოტანა იკრძალება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე;

ზ) სასაზღვრო საბაჟო ორგანოში საბაჟო დამუშავების ოპერაციის განსაზღვრას დაქვემდებარებული საქონელი, რომელიც მოქცეულია საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის რეჟიმში ან დროებით ინახება საბაჟო კონტროლის ქვეშ;

თ) უქმე ან დასვენების დღეების განმავლობაში სასაზღვრო საბაჟო საბაჟო ორგანოს სამოქმედო ტერიტორიაზე შემოსული საქონელი ან/და სატრანსპორტო საშუალება ამ ტერიტორიაზე განსახორციელებელი კანონმდებლობით გათვალისწინებული საბაჟო კონტროლის ფორმების დასრულებიდან საბაჟო დამუშავების ოპერაციის ადგილის მიმართულებით გადაადგილებამდე;

ი) საქონელი, რომლის მიმღებს ან იმპორტიორს წარმოადგენს „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული სამინისტრო ან მის გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება, ან ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანო.

კ) დროებითი დასაწყობების მიზნით საქონლის მფლობელის შუამდგომლობის საფუძველზე საბაჟო ორგანო უფლებამოსილია, საბაჟო ორგანოში წარდგენილი საქონელი შეინახოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო საწყობში მის მიმართ საბაჟო დამუშავების ოპერაციის სახის განსაზღვრის დასრულებამდე.

ლ) მგზავრის წერილობითი განცხადების საფუძველზე საბაჟო ორგანო უფლებამოსილია,

საქონელი შეინახოს 20 კალენდარული დღის განმავლობაში. მგზავრის დასაბუთებული წერილობითი განცხადების შესაბამისად, საბაჟო ორგანო უფლებამოსილია აღნიშნული ვადა გააგრძელოს 10 კალენდარულ დღემდე.

2. საბაჟო საწყობში შენახვისთვის აუცილებელი ხარჯი (გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტის "კ" და "ლ" ქვეპუნქტისა) ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან ან/და ქონების რეალიზაციის შედეგად მიღებული ამონაგები თანხიდან, რომლის განაწილების წესს ადგენს საქართველოს ფინანსთა მინისტრი.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის "კ" და "ლ" ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში საბაჟო ორგანოსა და მომთავსებელს შორის წარმოშობილი ურთიერთობები, მათი უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობა რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსითა და საბაჟო კოდექსით.

მუხლი 22.

1. საწყობში საქონლის საბაჟო კონტროლზე დროებით შენახვაზე განთავსება ხორციელდება ამ დებულების 21-ე მუხლის პირველი პუნქტის "ზ", "ი", "კ" და "ლ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში დეკლარანტის მიერ ან საბაჟო ორგანოს შესაბამისი უფლებამოსილი პირის გადაწყვეტილებით საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების დროებით დასაწყობების ან განთავსების აქტის (შემდგომში – აქტი) საფუძველზე (დანართი N2), რომელშიც სრულად აისახება აქტის შესაბამის გრაფაში შესატანი ინფორმაცია.

2. აქტი ივსება და რეგისტრირდება (ენიჭება რეგისტრაციის ნომერი) საწყობში განთავსებული საქონლის აღწერის ჟურნალში საბაჟო საწყობის უფლებამოსილი პირის მიერ. საქონლის მფლობელი ან/და დეკლარანტი ხელმოწერით ადასტურებს, რომ მას განემარტა საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის ვადის გასვლის შემდეგ საქონლის გაუტანლობა წარმოადგენს საბაჟო სამართალდარღვევის შემცველ ქმედებას, რომელიც იწვევს კანონით დადგენილ პასუხისმგებლობას.

3. აქტი ივსება 2 ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი განკუთვნილია საქონლის მფლობელისთვის, ხოლო მეორე რჩება საწყობში.

4. იმ შემთხვევაში, როცა საქონლის მფლობელის მიერ შევსებული აქტის მიხედვით გაცხადებული აქვს დროებით შენახვის საწყობში სატრანსპორტო საშუალების (მ.შ. კონტეინერის) განთავსების განზრახვა, რომლითაც გადაიზიდება საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონელი. პასუხისმგებელი მოხელე ამოწმებს სატრანსპორტო საშუალებაზე დადებული საბაჟო საიდენტიფიკაციო საშუალებების მთლიანობას. აქტში შეტანილი მონაცემებსა და საქონლის მფლობელის ან/და დეკლარანტის მიერ წარმოდგენილ საბაჟო კონტროლის ქვეშ საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობაში ან სატრანსპორტო დოკუმენტებში ასახულ მონაცემებს შორის შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში აღნიშნულის შესახებ მიეთითება აქტში.

5. საწყობში სატრანსპორტო საშუალების განთავსებისას სატრანსპორტო საშუალება ექვემდებარება დამატებით სავალდებულო დალუქვას. დამატებითი ლუქის დადება დალუქულ სატრანსპორტო საშუალებაზე არ იწვევს საბაჟო ორგანოს შესაბამისი მოხელის პასუხისმგებლობას დეკლარანტის მიერ წარმოდგენილი სატრანსპორტო დოკუმენტების ან მოწმობის საფუძველზე შევსებული აქტში ასახული მონაცემების ფაქტობრივ სიზუსტის მიმართ.

6. საწყობში საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების განთავსების აღრიცხვის ჟურნალის ყველა გვერდი ინომრება, იკინძება და გვერდების რაოდენობა მოწმდება საბაჟო ორგანოს უფროსის ხელმოწერით.

7. დებულებით გათვალისწინებულ აქტს ენიჭება 3 ნაწილისაგან შემდგარი, ერთმანეთისგან ტირეებით გამოყოფილი ნომერი, პირველი – ასახავს საბაჟო ორგანოების კლასიფიკატორის მიხედვით საბაჟოს უნიკალურ კოდს, მეორე – აქტის რიგით ნომერს, მე-

სამე – აქტის შედგენის თარიღს (ორციფრა რიცხვების კომბინაცია, რომლითაც აისახება რიცხვი, თვე და წელი). ყოველი კალენდარული წლის 1 იანვრის მდგომარეობით აქტის რიგითი ნომრების ათვლა წარმოებს თავიდან. იმ შემთხვევაში, როცა ერთი უნიკალური კოდის მქონე საბაჟოს სტრუქტურული ერთეულის სამოქმედო ტერიტორიაზე იქმნება ერთზე მეტი საწყობი აქტის ნომერი შედგება

8. საბაჟო ორგანოს შესაბამისი პირი უფლებამოსილია:

ა) შეზღუდოს საწყობში შენახვის ვადა საქონლის შეზღუდული ვარგისიანობის ვადის გათვალისწინებით;

ბ) უარი განაცხადოს საქონლის შენახვაზე საწყობში შენახვის აუცილებელი პირობების არ არსებობის, თავისუფალი სასაწყობე ფართის უქონლობის საფუძველზე, არაგაბარიტული საქონლის შენახვის მოთხოვნისას.

9. საქონლის შენახვაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული.

10. ამ დებულების მე-3 მუხლის 18 - 20 პუნქტებით განსაზღვრულ ვადებში არ განხორციელდა დროებით დასაწყობებულ საქონელზე საბაჟო დამუშავების ოპერაციის სახის განსაზღვრის დასრულებისათვის, ან უკვე განსაზღვრული საბაჟო დამუშავების ოპერაციის დასრულებისათვის აუცილებელი საბაჟო პროცედურები, ან საქართველოს საბაჟო კოდექსის 87-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული შემთხვევისას საბაჟო ორგანო დაზღვეული ფოსტით წერილობით აცნობებს დეკლარანტს (იმ შემთხვევაში, როცა საბაჟო ორგანოს მიერ იდენტიფიცირებულია დეკლარანტი) საქონლის განკარგვის შესახებ თავისი განზრახვის თაობაზე და ადგენს აღნიშნული ნაკლოვანებების აღმოფხვრის ვადას, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 30 კალენდარულ დღეს. საბაჟო უფლებამოსილია შეამციროს აღნიშნული ვადა მე-19 პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას. საბაჟო ორგანოს მიერ დადგენილ ვადაში დეკლარანტის მიერ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ან საქონლის რეექსპორტის შემთხვევაში საბაჟო ორგანო არ ახორციელებს საქონლის განკარგვას, წინააღმდეგ შემთხვევაში საბაჟო ორგანო დაზღვეული ფოსტით წერილობით აცნობებს დეკლარანტს (იმ შემთხვევაში, როცა საბაჟო ორგანოს მიერ იდენტიფიცირებულია დეკლარანტი) საქონლის განკარგვის შესახებ, რომლის ერთი ეგზემპლიარი ეგზავნება საბაჟო საწყობის მფლობელს.

მუხლი 23.

1. საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონლის განთავსება საბაჟო საწყობში ხორციელდება საქონლის საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის საფუძველზე.

2. საბაჟო საწყობში საქონლის შეტანა რეგისტრირდება ჟურნალში.

3. საბაჟო საწყობში საქონლის განთავსება ხორციელდება მე-8 მუხლით დადგენილი საერთო წესით. ასეთ შემთხვევაში საბაჟო ორგანოს პასუხისმგებელი მოხელის მიერ ივსება საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების დროებით დასაწყობების ან განთავსების აქტი (შემდგომში აქტი).

მუხლი 24

1. სასაზღვრო საბაჟო ორგანოს სამოქმედო ტერიტორიაზე საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე გადაადგილებისთვის სავალდებულო დოკუმენტაციის გარეშე საქონლის შემოტანის მცდელობისას, როცა გადაზიდულ საქონელზე უფლებამოსილი პირი უარს აცხადებს საქონლის უკან გატანაზე, პირს უფლება აქვს აქტის საფუძველზე დებულების მე-8 მუხლით დადგენილი წესით განათავსოს საქონელი საბაჟო საწყობში, აქტში საბაჟო ორგანოს მიერ მიეთითება აღნიშნული გარემოების შესახებ.

2. იმ შემთხვევაში, როცა პირველ პუნქტში მითითებულ საქონელზე უფლებამოსილი

პირი უარს აცხადებს აქტის ხელმოწერაზე საბაჟოს ორგანოს უფლებამოსილი პირის მიერ აღნიშნული გარემოების შესახებ მიეთითება აქტში.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საქონლის შენახვა ხორციელდება ამ დებულების გათვალისწინებული საერთო წესით. აქტი ივსება საბაჟო ორგანოს შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ.

მუხლი 25.

1. საბაჟო სამართალდარღვევის საქმის განხილვამდე ჩამორთმეული საქონელი, საქონლის ტრანსპორტირებისა და მიწოდების საშუალებები, აგრეთვე განხილვის შედეგების მიხედვით დადგენილი წესით კონფისკაციაქმნილი საქონელი, საქონლის ტრანსპორტირებისა და მიწოდების საშუალებები საქართველოს ხელისუფლების შესაბამის ორგანოსთვის გადაცემამდე საწყობში შენახვისას

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საქონლის შენახვის განთავსება ხორციელდება ამ დებულების გათვალისწინებული საერთო წესით. აქტი ივსება საბაჟო ორგანოს შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ.

მუხლი 26.

1. უპატრონოდ მიტოვებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების საბაჟო კონტროლის მიზნით აღრიცხვისთვის საბაჟოს პასუხისმგებელი მოხელის მიერ დგება აქტი დანართი N2–ის შესაბამისად, რომელიც ივსება საბაჟო დათვალიერების აქტის საფუძველზე. (9.03.2007 N189)

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საქონლის შენახვა ხორციელდება ამ დებულებით გათვალისწინებული საერთო წესით. აქტი ივსება საბაჟო ორგანოს შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ.

3. უპატრონოდ მიტოვებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების თაობაზე ინფორმაციის დაუყოვნებლივ განცხადების მიზნით საბაჟო ორგანოს შესაბამისი უფლებამოსილი პირი:

ა) საბაჟო ორგანოს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის სამოქმედო ტერიტორიაზე აკრავს სათანადო განცხადებას;

ბ) მიტოვებული საქონლის მფლობელის ოდენტიფიკაციისთვის საჭირო დოკუმენტის არსებობის შემთხვევაში უგზავნის დაზღვეული ფოსტით წერილს;

4. ამ მუხლში მითითებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების მიმართ ხორციელდება 22-ე მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებული ზომები.

მუხლი 27. საწყობის შესაბამისი პასუხისმგებელი პირი ვალდებულია:

ა) გამორიცხოს საწყობში არსებული საქონლის, სატრანსპორტო საშუალებების ამოღების შესაძლებლობა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს საჭიროა საბაჟო კონტროლისათვის;

ბ) აწარმოოს საქონლის საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის საბაჟო რეჟიმში და საქონლის საბაჟო კონტროლით დროებით შენახული საქონლის, სატრანსპორტო საშუალებების აღრიცხვა, მოსთხოვოს საქონლის მესაკუთრეს ან/და მფლობელს სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის ან/და საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების დროებით დასაწყობებისა და განთავსების აქტის შევსებისთვის აუცილებელი დოკუმენტების წარმოდგენა და უზრუნველყოს მათი ასლების დამზადება და შენახვა განაცხათან ერთად;

გ)წარუდგინოს რეგიონალურ საბაჟოს მოთხოვნისთანავე, აგრეთვე რეგიონალური საბაჟოს უფროსის მიერ დადგენილი პერიოდულობით, ინფორმაცია საბაჟო ორგანოს საწყობში შენახული საქონლის, სატრანსპორტო საშუალებებისა და მასზე წარმოებული

ყველა ოპერაციის თაობაზე;

დ) გამორიცხოს სხვა სახის ოპერაციების განხორციელება საწყობში განთავსებული საქონლის, სატრანსპორტო საშუალებების მიმართ, გარდა საქონლის მფლობელის ან/და დეკლარანტის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე შენახვის უზრუნველყოფისათვის დასაშვები შემდეგი ოპერაციებისა:

დ.ა) გასუფთავება;

დ.ბ) განიავება;

დ.გ) გაშრობა (კერძოდ, სითბოს მიწოდებით);

დ.დ) შენახვის ოპტიმალური ტემპერატურული რეჟიმის შექმნა (გაცივება, გაყინვა, გახურება);

დ.ე) დამცავ შესაფუთში მოთავსება;

დ.ვ) დამცავი საფენისა და კონსერვანტის ჩატანება;

დ.ზ) ჟანგსაწინააღმდეგო შეღებვა;

დ.თ) დამცავი მოწყობილობის შეყვანა;

დ.ი) ანტიკოროზიული საფენის ჩატანება ტრანსპორტირების წინ;

დ.კ) შენახვის უზრუნველყოფისათვის საჭირო სხვა ოპერაციები;

დ.ლ) განხორციელებულმა ოპერაციებმა არ უნდა შეცვალონ მისი მახასიათებლები (ხარისხი), რომლებიც დაკავშირებულია სასაქონლო კლასიფიკაციის შეცვლასთან, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის სასაქონლო ნომენკლატურის მიხედვით, ციფრული კოდის მეთერთმეტე ნიშნის დონემდე. ზემოთ მითითებული ოპერაციები მიმდინარეობს საბაჟო ორგანოს წარმომადგენლის უშუალო მეთვალყურეობის ქვეშ;

ე) საქონლის დაკარგვისას, ან დანაკლისის აღმოჩენისას, ან დანაკლისის (რომელიც აღემატება საქონლის ბუნებრივი ცვეთით, ტრანსპორტირებით ან შენახვის ნორმალურ პირობებში დანაკარგებით დაშვებულ ნორმებს) შესახებ საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირი ადგენს დანაკლისის აქტს, რომელიც სხვა მასალებთან ერთად იგზავნება შესაბამის საბაჟო ორგანოში სამართალდამცავი ორგანოებისთვის გადაცემის მიზნით;

ვ) აწარმოოს საბაჟო კონტროლის ზონაში შემსვლელ და გამსვლელ პირთა (გარდა საბაჟო ორგანოს შესაბამისი უფლებამოსილების პირებისა) აღრიცხვის ჟურნალი, რომელშიც უნდა აისახოს შესვლის/გამოსვლის თარიღი და დრო, პირის საიდენტიფიკაციო მონაცემები (ფიზიკური პირი – სახელი, გვარი, რეგისტრაციის მისამართი; იურიდიული პირი – სრული საფირმო სახელწოდება, იურიდიული მისამართი, იურიდიული პირის წარმომადგენლის (თანამშრომლის) სახელი, გვარი, რეგისტრაციის მისამართი; შემოსავლების სამსახურის ან/და სხვა შესაბამის მაკონტროლებელი უფლებამოსილების მქონე დაწესებულებათა თანამშრომელი – სამსახურებრივი მოწმობის საიდენტიფიკაციო ნომერი), შესვლის მიზანი; (23.04.2007 N409)

ზ) უზრუნველყოს ავარიის ან დაუძლეველი ძალის ზემოქმედების შედეგად უვარგის მდგომარეობაში მოყვანილი, გაფუჭებული ან დაზიანებული საქონლის, სატრანსპორტო საშუალების განცალკევებულად განთავსება, რომლის შესახებაც ინფორმაცია აისახება ჟურნალში;

თ) განალაგოს საწყობში განთავსებული საქონელი ისეთი სახით, რაც შესაძლებელს გახდის საქონლის ინვენტარიზაციის დაუბრკოლებლად განხორციელებას

თავი V

მუხლი 28. საწყობში განთავსებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გატანა

1. საწყობიდან საქონლის გატანისას საწყობის უფლებამოსილი პირის მიერ დგება საბაჟო საწყობიდან საქონლის გატანის აქტი (იხ. დანართი N3).

2. უსასყიდლოდ ჩამორთმეული, აგრეთვე სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების გადაცემისას საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 9 ივნისის N209 ბრძანებულებით დამტკიცებული „სახელმწიფოს საკუთრებაში მიქცეული ქონების აღრიცხვის, შენახვის, შეფასების, განადგურების, განაწილებისა და/ან რეალიზაციის წესის შესახებ" დებულებით გათვალისწინებული აქტი.

მუხლი 29. (9.03.2007 N189)

1. მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტით და მე-41 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში შენახვის სხვა ადგილზე დროებით დასაწყობებისთვის განკუთვნილი საქონლის და საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონლის საბაჟო საწყობის გარეთ სხვა ადგილზე საერთაშორისო მიმოსვლისათვის გახსნილი საზღვაო ნავსადგურის შემოფარგლულ ტერიტორიაზე შენახვისთვის, ამ ტერიტორიაზე საქონლის განთავსებისთვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობის, ღია მოედნის მფლობელი და საერთაშორისო საფოსტო მომსახურების ადგილების მფლობელი ვალდებულია წარუდგინოს საბაჟო ორგანოს:

ა) შესაბამისი უფლების მქონე პირის მიერ შედგენილი სასაწყობოდ განკუთვნილი შენობა-ნაგებობების, ღია მოედნის სიტუაციური გეგმა (ნახაზი) ან/და ასაშენებელი შენობა-ნაგებობების პროექტი;

ბ) ინფორმაცია სასაწყობოდ განკუთვნილი შენობა-ნაგებობების, ღია მოედნის ტერიტორიაზე არსებული სათავსის შესასვლელისა და გასასვლელის გამოსახულების ჩამწერი საშუალებებით აღჭურვის შესახებ. გამოსახულების ჩამწერი საშუალებებით უნდა ფიქსირდებოდეს მფლობელის მიერ სათავსისათვის მინიჭებული ნომერი, სათავსის შესასვლელი ან/და გასასვლელი, სატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო ნომერი (სანომრე ნიშანი), რომლითაც გადაადიდება საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონელი;

გ) სასაწყობოდ განკუთვნილი შენობა-ნაგებობების, ღია მოედნის შესაბამისი მფლობელობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი;

დ) ვალდებულება სასაწყობო მეურნეობის სამუშაო რეჟიმში ფუნქციონირების უზრუნველყოფის შესახებ. ამ ქვეპუნქტის მიზნებისათვის სასაწყობო მეურნეობის სამუშაო რეჟიმი ნიშნავს:

დ.ა) სასაწყობოდ განკუთვნილი შენობა-ნაგებობებსა და ღია მოედანზე განთავსებული საქონლის შენახვის სათანადო პირობებში, საჭიროების შემთხვევაში განცალკევებულ, ასეთი სახის საქონლის შენახვისათვის აუცილებელი მოთხოვნების შესაბამისად, სპეციალურად აღჭურვილ სათავსში შენახვის უზრუნველყოფას;

დ.ბ) საბაჟო კოდექსით გათვალისწინებული დაუძლეველი ძალის პირობების ზემოქმედების შედეგად უვარგის მდგომარეობაში მოყვანილი, გაფუჭებული ან დაზიანებული საქონლის განცალკევებულად განთავსებას;

დ.გ) კვების პროდუქტების ცალკე იზოლირებულ სათავსში განთავსებას;

დ.დ) საქონლის ინვენტარიზაციის დაუბრკოლებლად განხორციელების შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად სასაწყობოდ განკუთვნილი შენობა-ნაგებობებში და ღია მოედანზე განთავსებული საქონლის შესაბამის განლაგებას;

დ.ე) სასაწყობოდ განკუთვნილი შენობა-ნაგებობებსა და ღია მოედანზე შესაბამისი სანიტარიული პირობებისა და რემონტის უზრუნველყოფასა და სასაწყობო მეურნეობის შეუფერხებელი მუშაობისათვის აუცილებელი სხვა პირობების შესრულებას;

ე) ვალდებულება საბაჟო კონტროლის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით სასაწყობოდ განკუთვნილი შენობა-ნაგებობებში და ღია მოედანზე საბაჟო კონტროლისა და საბაჟო პროცედურებისათვის აუცილებელი სათავსის, მოწყობილობებისა და კავშირგაბმულობის საშუალებების საბაჟო ორგანოსათვის უსასყიდლოდ გამოყოფის შესახებ;

ვ) ინფორმაცია სათავსის რიგითი ნომრის მითითებით საქონლის სპეციფიკური შენახვის სათანადო პირობების უზრუნველყოფის შესახებ (მაცივარი, ელექტორი და სხვ.);

ზ) ინფორმაცია საბაჟო კონტროლის ზონაში დაშვებულ პირთა შესახებ, რომელშიც აისახება: პირის საიდენტიფიკაციო მონაცემები (ფიზიკური პირი – სახელი, გვარი, მისამართი; იურიდიული პირი – საფირმო სახელწოდება, იურიდიული მისამართი, იურიდიული პირის წარმომადგენლის (თანამშრომლის) სახელი, გვარი, მუდმივად საცხოვრებელი ადგილის მისამართი);

თ) დროებით დასაწყობებისას - საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 20 დეკემბრის N1767 ბრძანებით დამტკიცებული "გარანტიის წარდგენისა და გამოყენების, მისი წარდგენისაგან გათავისუფლების შემთხვევების და საგარანტიო თანხის განსაზღვრის წესების შესახებ ინსტრუქციის" მე-6 მუხლის პირველი პუნქტის "ე.ბ" ან/და "ე.დ" ქვეპუნქტებით განსაზღვრული ოდენობის საბაჟო გარანტია.

ი) ნავთობის მსუბუქი, საშუალო და მძიმე დისტილატების შენახვის სათავსების შემთხვევაში საბაჟო ორგანოს წარედგინება:

ი.ა) სათავსში კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობისა და გამზომი საშუალებების (მრიცხველი, არეომეტრი, მეტროჭიკი, ბაფთა (ლოტით) და სხვ.) გაზომვის სიზუსტის დამოწმების დამადასტურებელი საბუთები;

ი.ბ) დროებით დასაწყობებისას ნავთობის მსუბუქი, საშუალო და მძიმე დისტილატების შენახვის შემთხვევაში საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 20 დეკემბრის N1767 ბრძანებით დამტკიცებული "გარანტიის წარდგენისა და გამოყენების, მისი წარდგენისაგან გათავისუფლების შემთხვევების და საგარანტიო თანხის განსაზღვრის წესების შესახებ ინსტრუქციის" მე-6 მუხლის პირველი პუნქტის "ე.ე" ქვეპუნქტით განსაზღვრული ოდენობის საბაჟო გარანტია.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული პირი ვალდებულია შეათანხმოს სათავსის დასალუქად გამოსაყენებელი უნიკალურნომრიანი ერთჯერადი ლუქის ნიმუში საბაჟო ორგანოსთან.

მუხლი 30. (9.03.2007 N189)

ამ ინსტრუქციის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის, მე-41 პუნქტის და 29-ე მუხლის მოქმედების ვადა განისაზღვროს 2007 წლის 15 ივნისამდე.

დანართი №1
(23.04.2007, №409)

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

შ ე მ ო ს ა ვ ლ ე ბ ი ს ს ა მ ს ა ხ უ რ ი

საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო კონტროლის ქვეშ დროებითი შენახვის განაცხადი №

დამატებითი ფურცლების რაოდენობა:_____

1. საქონლის გამგზავნი, გამგზავნი ქვეყანა		3. გადამზიდველი		
2. საქონლის მიმღები, დანიშნულების ქვეყანა		4. მონაცემები სატრანსპორტო საშუალებებზე		
5. სატრანსპორტო დოკუმენტების ნომრები	6. საქონლის დასახელება	7. ადგილების რაოდენობა	8. ბრუტო წონა (კგ)	9. მონაცემები საიდენტიფიკაციო საშუალებებზე
10. აღრიცხვის მოწმობის (TIR წიგნაკის) № და D ნომერი, დამატებითი მონაცემები				
11. საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალებების შენახვის ვადა	20 დღე 45 დღე	გაგრძელებულია		

(განმცხადებლის: საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალებების მფლობელი (მისი წარმომადგენლის) – სახელი, გვარი ან დეკლარანტის სრული საფირმო სახელწოდება)

(მისამართი: ქალაქი / რაიონი, ბინა, კორპუსი, ქუჩა, საკონტაქტო ტელეფონი)

განაცხადში მოცემული მონაცემების უტყუარობასა და სისრულეს ვადასტურებ:

პასუხისმგებელი პირი

სახელი, გვარი (ხელმოწერა) (თარიღი), (თვე) (წელი)

12. აყვანილია საბაჟო კონტროლზე პასუხისმგებელი პირი	გაფორმდა სხდ. №№	13. მოხსნილია საბაჟო კონტროლიდან

საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო კონტროლის ქვეშ დროებითი შენახვის განაცხადის შევსების წესი

1. განაცხადი ივსება ქართულ ენაზე, მონაცემები შეიტანება გარკვევით, არ დაიშვება მონაცემების წაშლა ან გადასწორება. იმ შემთხვევაში, თუ არ არის საკმარისი ადგილი მონაცემების შესატანად, განმცხადებელი ავრძელებს მონაცემების შეტანას მეორე გვერდზე. ამასთან, განაცხადის შესაბამის გრაფაში უთითებს ამის შესახებ.

2. განაცხადის ერთი ფორმით შეიძლება განცხადებულ იქნეს მხოლოდ საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალებების ერთი პარტია.

3. განაცხადი ივსება 3 ეგზემპლარად და ნაწილდება შემდეგნაირად: ა) პირველი – საბაჟო დეპარტამენტის ტერიტორიულ ორგანოში; ბ) მეორე საწყობს; გ) მესამე უბრუნდება განმცხადებელს.

4. განმცხადებლის მიერ მითითება: 1-ლ და მე-2 გრაფაში – საქონლის გამგზავნისა და მიმღების რეკვიზიტები: იურიდიული პირის ან მისი სტრუქტურული ქვედანაყოფის (ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი და გვარი) სახელწოდება და მისამართი; გამგზავნი და მიმღები ქვეყნის დასახელება; მე-3 გრაფაში – გადამზიდველის სრული სახელწოდება მე-4 გრაფაში – სატრანსპორტო საშუალებათა რაოდენობა და მონაცემები, რომლითაც საქონელი ან/და სატრანსპორტო საშუალება გადაიზიდება საბაჟო ორგანომდე (საზღვაო სატრანსპორტო საშუალების დასახელება, საჰაერო ხომალდის რეისის და ბორტის ნომრები, სარკინიგზო ვაგონის ნომერი, ავტოტრანსპორტის სარეგისტრაციო ნომერი და სხვა მსგავსი მონაცემები); მე-5 გრაფაში – სატრანსპორტო ზედდებულის, კონოსამენტი ან საქონლის თანმხლები სხვა დოკუმენტების ნომრები, რომელთა საფუძველზეც ხორციელდება მისი გადაზიდვა; მე-6 გრაფაში მითითება საქონლის დასახელება სატრანსპორტო დოკუმენტების მიხედვით; მე-7 გრაფაში – განცხადებული საქონლის (სასაქონლო პარტიის) ადგილების საერთო რაოდენობა, რაც მოცემულია სატრანსპორტო დოკუმენტებში; მე-8 გრაფაში – საქონლის მთლიანი წონა შესაფუთი მასალის (ტარის), მათ შორის, შესაფუთი კონტეინერების ჩათვლით, რომლებიც უზრუნველყოფენ საქონლის დაცვას შენახვისა და ტრანსპორტირების დროს; მე-9 გრაფაში – მონაცემები პლომბის, ელექტრონული ლუქისა და ბეჭდის, ციფრობრივი, ასოებრივი ან სხვა მარკირების, საიდენტიფიკაციო ნიშნებისა და შტამპის, იდენტიფიკაციის სხვა საშუალებების შესახებ; მე-10 გრაფაში – შესაბამისი განაცხადის №, ალრიცხვის მოწმობის № და საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების სხვა საიდენტიფიკაციო დოკუმენტების № და გაფორმების თარიღი.

5. საბაჟო ორგანოს პასუხისმგებელი მოხელის მიერ ივსება: მე-11 გრაფაში – მითითება შენახვის ვადა; მე-12 გრაფაში – დაესმება დამღა "აყვანილია საბაჟო კონტროლზე" და პირადნომრიანი ბეჭედი, ხოლო მე-13 გრაფაში დროებით დასაწყობების ადგილიდან საქონლის გატანისას დაესმება დამღა "მოხსნილია კონტროლიდან" პირადნომრიანი ბეჭედი.

განაცხადს საწყობის მფლობელის უფლებამოსილი პირის მიერ ენიჭება ნომერი, რომელიც შედგება 3 ნაწილისაგან, პირველი – ასახავს საბაჟო საწყობის უნიკალურ კოდს, მეორე – აქტის რიგით ნომერს, მესამე – აქტის შედგენის თარიღს (ორციფრა რიცხვების კომბინაცია, რომლითაც აისახება რიცხვი, თვე და წელი). ყოველი კალენდარული წლის 1 იანვრის მდგომარეობით აქტის რიგითი ნომრების ათვლა წარმოებს თავიდან

შენიშვნა:

1. წინამდებარე ფორმა მოქმედებს საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე, რომლითაც განმცხადებელს უფლება ეძლევა საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო ორგანოსათვის წარდგენის მომენტიდან მათ გაშებამდე, ან, არსებული საბაჟო რეჟიმის შესაბამისად, პირის განკარგულებაში გადაცემამდე საბაჟო კონტროლის ქვეშ დროებით შენახვისას წინამდებარე განაცხადის წარდგენა.

2. განაცხადი საბაჟო ორგანოს წარედგინება საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო ორგანოსათვის წარდგენის მომენტიდან არა უგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა. შევსებული განაცხადი ინახება 6 წლის განმავლობაში.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

შ ე მ ო ს ა ვ ლ ე ბ ი ს ს ა მ ს ა ხ უ რ ი

საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო კონტროლის ქვეშ დროებითი შენახვის განაცხადი №

№_____ დამატებითი ფურცელი №_____

1. საქონლის გამგზავნი, გამგზავნი ქვეყანა		3. გადამზიდველი		
2. საქონლის მიმღები, დანიშნულების ქვეყანა		4. მონაცემები სატრანსპორტო საშუალებებზე		
5. სატრანსპორტო დოკუმენტების ნომრები	6. საქონლის დასახელება	7. ადგილების რაოდენობა	8. ბრუტო წონა (კგ)	9. მონაცემები საიდენტიფიკაციო საშუალებებზე
10. ალრიცხვის მოწმობის (TIR წიგნაკის) № და D ნომერი, დამატებითი მონაცემები				
11. საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალებების შენახვის ვადა	20 დღე 45 დღე	გაგრძელებულია		

(განმცხადებლის: საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალებების მფლობელი (მისი წარმომადგენლის) – სახელი, გვარი ან დეკლარანტის სრული საფირმო სახელწოდება)

(მისამართი: ქალაქი / რაიონი, ბინა, კორპუსი, ქუჩა, საკონტაქტო ტელეფონი)

განაცხადში მოცემული მონაცემების უტყუარობასა და სისრულეს ვადასტურებ:

პასუხისმგებელი პირი

სახელი, გვარი (ხელმოწერა) (თარიღი), (თვე) (წელი)

12. აყვანილია საბაჟო კონტროლზე პასუხისმგებელი პირი	გაფორმდა სხდ. №	13. მოხსნილია საბაჟო კონტროლიდან

საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო კონტროლის ქვეშ დროებითი შენახვის განაცხადის შევსების წესი

1. განაცხადი იესება ქართულ ენაზე, მონაცემები შეიტანება გარკვევით, არ დაიშვება მონაცემების წაშლა ან გადასწორება. იმ შემთხვევაში, თუ არ არის საკმარისი ადგილი მონაცემების შესატანად, განმცხადებელი აგრძელებს მონაცემების შეტანას მეორე გვერდზე, ამასთან, განაცხადის შესაბამის გრაფაში უთითებს ამის შესახებ.
2. განაცხადის ერთი ფორმით შეიძლება განცხადებულ იქნეს მხოლოდ საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალებების ერთი პარტია.
3. განაცხადი იესება 3 ეგზემპლარად და ნაწილდება შემდეგნაირად: ა) პირველი – საბაჟო დეპარტამენტის ტერიტორიულ ორგანოში; ბ) მეორე საწყობს; გ) მესამე უბრუნდება განმცხადებელს.

4. განმცხადებლის მიერ მითითება: 1-ლ და მე-2 გრაფაში – საქონლის გამგზავნისა და მიმღების რეკვიზიტები: იურიდიული პირის ან მისი სტრუქტურული ქვედანაყოფის (ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი და გვარი) სახელწოდება და მისამართი; გამგზავნი და მიმღები ქვეყნის დასახელება; მე-3 გრაფაში – გადამზიდველის სრული სახელწოდება მე-4 გრაფაში – სატრანსპორტო საშუალებათა რაოდენობა და მონაცემები, რომლითაც საქონელი ან/და სატრანსპორტო საშუალება გადაიზიდა საბაჟო ორგანომდე (საზღვაო სატრანსპორტო საშუალების დასახელება, საჰაერო ხომალდის რეისის და ბორტის ნომრები, სარკინიგზო ვაგონის ნომერი, ავტოტრანსპორტის სარეგისტრაციო ნომერი და სხვა მსგავსი მონაცემები); მე-5 გრაფაში – სატრანსპორტო ზედდებულის, კონოსამენტი ან საქონლის თანხმლები სხვა დოკუმენტების ნომრები, რომელთა საფუძველზეც ხორციელდება მისი გადაზიდვა; მე-6 გრაფაში მითითება საქონლის დასახელება სატრანსპორტო დოკუმენტების მიხედვით; მე-7 გრაფაში – განცხადებული საქონლის (სასაქონლო პარტიის) ადგილების საერთო რაოდენობა, რაც მოცემულია სატრანსპორტო დოკუმენტებში; მე-8 გრაფაში – საქონლის მთლიანი წონა შესაფუთი მასალის (ტარის), მათ შორის, შესაფუთი კონტეინერების ჩათვლით, რომლებიც უზრუნველყოფენ საქონლის დაცვას შენახვისა და ტრანსპორტირების დროს; მე-9 გრაფაში – მონაცემები პლომბის, ელექტრონული ლუქისა და ბეჭდის, ციფრობრივი, ასოებრივი ან სხვა მარკირების, საიდენტიფიკაციო ნიშნებისა და შტამპის, იდენტიფიკაციის სხვა საშუალებების შესახებ; მე-10 გრაფაში – შესაბამისი განაცხადის №, აღრიცხვის მოწმობის № და საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების სხვა საიდენტიფიკაციო დოკუმენტების № და გაფორმების თარიღი.

5. საბაჟო ორგანოს პასუხისმგებელი მოხელის მიერ ივსება: მე-11 გრაფაში – მითითება შენახვის ვადა; მე-12 გრაფაში – დაესმება დამღა "აყვანილია საბაჟო კონტროლზე" და პირადნომრიანი ბეჭედი, ხოლო მე-13 გრაფაში დროებით დასაწყობების ადგილიდან საქონლის გატანისას დაესმება დამღა "მოხსნილია კონტროლიდან" პირადნომრიანი ბეჭედი.

განაცხადს საწყობის მფლობელის უფლებამოსილი პირის მიერ ენიჭება ნომერი, რომელიც შედგება 3 ნაწილისაგან, პირველი – ასახავს საბაჟო საწყობის უნიკალურ კოდს, მეორე – აქტის რიგით ნომერს, მესამე – აქტის შედგენის თარიღს (ორციფრა რიცხვების კომბინაცია, რომლითაც აისახება რიცხვი, თვე და წელი). ყოველი კალენდარული წლის 1 იანვრის მდგომარეობით აქტის რიგითი ნომრების ათვლა წარმოებს თავიდან.

შენიშვნა:

1. წინამდებარე ფორმა მოქმედებს საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე, რომლითაც განმცხადებელს უფლება ეძლევა საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო ორგანოსათვის წარდგენის მომენტიდან მათ გაშვებამდე, ან, არსებული საბაჟო რეჟიმის შესაბამისად, პირის განკარგულებაში გადაცემამდე საბაჟო კონტროლის ქვეშ დროებით შენახვისას წინამდებარე განაცხადის წარდგენა.

2. განაცხადი საბაჟო ორგანოს წარედგინება საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო ორგანოსათვის წარდგენის მომენტიდან არა უგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა. შეუსებული განაცხადი ინახება 6 წლის განმავლობაში.

დანართი №2

საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების დროებით დასწყობებისა და განთავსების შენახვის აქტი №

ავტოსატრანსპორტო საშუალების (მისაბმელის) დასახელება და სარეგისტრაციო ნომერი: _____

სხვა სატრანსპორტო საშუალების ტიპი, დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი: _____

მიმღების დასახელება: _____

გადამზიდველის დასახელება: _____

№	საწყობში განთავსების დრო და თარიღი	საქონლის დასახელება, საქონლის კოდი (სეს ხნ არანაკლებ ოთხნიშნა)	საქონლის სასაწყობე ნომერი	სატვირთო ადგილების რაოდენობა	საქონლის ბრუტო წონა (კგ.) ან საქონლის მოცულობა	სატრანსპორტო ან კომერციული დოკუმენტების სახეობა და ნომერი, ასლების ფურცლების რაოდენობა	დროებით დასაწყობების ან სპეციალურ საწყობში საქონლის შენახვის ვადა	ფაქტურული ღირებულება სატრანსპორტო დოკუმენტების მიხედვით და ვალუტის კოდი	შენიშვნა
1	2	3	4	5	6	7	8	9	10

_____

(დეკლარანტის: – იურიდიული პირის, დაწესებულების სრული დასახელება, მისამართი. წარმომადგენლის სახელი გვარი, პირადობის მოწმობის (პასპორტის) ნომერი, პირადი ნომერი მისამართი (მ.შ. წარმომადგენლის): (საკონტაქტო ტელეფონი)

აქტში მოცემული მონაცემების უტყუარობასა და სისრულეს ვადასტურებ:

პასუხისმგებელი პირი

სახელი, გვარი (ხელმოწერა) (თარიღი), (თვე) (წელი)

დამატებითი ფურცლების რაოდენობა:_____

აყვანილია საბაჟო კონტროლზე ს.ბ.	სახელი გვარი პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა

შენიშვნა: შევსების წესი იხ. მეორე გვერდზე

საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების დროებით დასაწყობებისა და განთავსების შენახვის აქტის შევსების წესი

1. აქტი ივსება ქართულ ენაზე, მონაცემები შეიტანება გარკვევით, არ დაიშვება მონაცემების წაშლა ან გადასწორება. იმ შემთხვევაში, თუ არ არის საკმარისი ადგილი მონაცემების შესატანად, განმცხადებელი აგრძელებს მონაცემების შეტანას დამატებით ფურცელზე, ამასთან, დამატებით ფურცლის შესაბამის გრაფაში უთითებს ამის შესახებ.

2. აქტის ერთი ფორმით შეიძლება განცხადებულ იქნეს მხოლოდ საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალებების ერთი პარტია.

3. აქტი ივსება 3 ეგზემპლარად და ნაწილდება შემდეგნაირად: ა) პირველი –საწყობს; ბ) მეორე - განმცხადებელს;

4. აქტს ენიჭება ნომერი, რომელიც შედგება 3 ნაწილისაგან, პირველი – ასახავს საწყობის უნიკალურ კოდს, მეორე – აქტის რიგით ნომერს, მესამე – აქტის შედგენის თარიღს (ორციფრა რიცხვების კომბინაცია, რომლითაც აისახება რიცხვი, თვე და წელი). ყოველი კალენდარული წლის 1 იანვრის მდგომარეობით აქტის რიგითი ნომრების ათვლა წარმოებს თავიდან.

5. ავტოსატრანსპორტო საშუალების (მისაბმელის) დასახელება და სარეგისტრაციო ნომერი: მიეთითება ტიპი (სატვირთო, მსუბუქი და სხვა), მარკის, მოდელის, სახელმწიფო სანომრე ნიშნების, VIN-სატრანსპორტო საშუალების საიდენტიფიკაციო ნომრის თაობაზე ინფორმაცია.

სხვა სატრანსპორტო საშუალების ტიპი, დასახელება: საიდენტიფიკაციო ნომერი: მიეთითება ტიპი (სარკინიგზო, საჰაერო, საზღვაო და ა.შ.). დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი (ვაგონის, ბორტის ნომერი და ა.შ.). მიმღების დასახელება: საქონლის მიმღების სრული საფირმო სახელწოდება, მისამართი; გადამზიდველის დასახელება: გადამზიდველის საფირმო სახელწოდება, მისამართი, ლიცენზიის ნომერი. აქტის 1-ელ გრაფაში ეთითება: ჩანაწერის რიგითი ნომერი (არაბული ციფრი); მე-2 გრაფაში - საწყობში საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების წარდგენის დრო და თარიღი; მე-3 გრაფაში – საქონლის დასახელება, საქონლის კოდი (სეს სნ არანაკლებ ოთხნიშნა) სატრანსპორტო დოკუმენტების მიხედვით ან სატრანსპორტო დოკუმენტების არარსებობისას საბაჟო დათვალიერების შედეგების საფუძველზე (ამ შემთხვევაში მიეთითება დათვალიერების აქტის ნომერი); მე-4 გრაფაში საქონლის სასაწყობე ნომერი შედგება 4 ნაწილისაგან, რომელიც ერთმანეთისგან გამოიყოფა ტირეთი, პირველი – შენობა-ნაგებობის ნომერს (ღია მოედნის შემთხვევაში მიეთითება 0), მეორე – სათავსის ნომერს (შენობა-ნაგებობაში ცალკე სათავსის არ არსებობისას მიეთითება 0), მესამე – კონტეინერის ნომერს ან საქონლის სასაწყობე ნომერს, მეოთხე – საბაჟო ლუქის ნომერს (არ არსებობისას მიეთითება 0); მე-5 გრაფაში – სატვირთო ადგილების რაოდენობა სატრანსპორტო დოკუმენტების მიხედვით ან საბაჟო დათვალიერების შედეგების საფუძველზე; მე-6 გრაფაში - საქონლის ბრუტო წონა (კგ.) ან საქონლის მოცულობა შესაბამის ერთეულებში სატრანსპორტო დოკუმენტების მიხედვით ან საბაჟო დათვალიერების შედეგების საფუძველზე; მე-7 გრაფაში - სატრანსპორტო, კომერციული დოკუმენტების სახეობა (დასახელება), ნომერი, ასლების ფურცლების რაოდენობა; მე-8 გრაფაში – ვადა მიეთითება მალფუჭებადი საქონლის დასაწყობებისას (ან ქონების ზოგიერთ კატეგორიას მიკუთვნებული საქონლის მიმართ დაწესებული შენახვის განსაკუთრებული რეჟიმის არსებობისას შესაბამის ორგანოში გადაცემამდე შენახვის ვადა); მე-9 გრაფაში – ფაქტურული ღირებულება სატრანსპორტო დოკუმენტების მიხედვით და ვალუტის კოდი; მე-10 გრაფაში შენიშვნა.

6. დეკლარანტის არსებობისას მის მიერ ივსება შესაბამისი რეკვიზიტების გრაფა, ხელმოწერით დასტურდება მონაცემების უტყუარობა.

7. დამატებითი ფურცლების რაოდენობა: მიეთითება არაბული ციფრებით.

8. აყვანილია საბაჟო კონტროლზე: დაესმება დამღა "აყვანილია საბაჟო კონტროლზე" და პირადნომრიანი ბეჭედი, მიეთითება სახელი გვარი და ხელმოწერა.

შენიშვნა: შევსებული აქტი ინახება 6 წლის განმავლობაში, შესაბამის დოკუმენტაციასთან ერთად.

დანართი №2-ა

საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების დროებით დასაწყობებისა და განთავსების შენახვის აქტი
№

ავტოსატრანსპორტო საშუალების (მისაბმელის) დასახელება და სარეგისტრაციო ნომერი:

სხვა სატრანსპორტო საშუალების ტიპი, დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი: _____

მიმღების დასახელება: _____

გადამზიდველის დასახელება: _____

№	საწყობში განთავსების დრო და თარიღი	საქონლის დასახელება, საქონლის კოდი (სეს სნ არანაკლებ ოთხნიშნა)	საქონლის სასაწყობე ნომერი	საქონლის ადგილების რაოდენობა	საქონლის ბრუტო წონა (კგ.) ან საქონლის მოცულობა	სატრანსპორტო ან კომერციული დოკუმენტების სახეობა და ნომერი, ასლების ფურცლების რაოდენობა	დროებით დასაწყობების ან საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის ვადა	ფაქტურული ღირებულება სატრანსპორტო დოკუმენტების მიხედვით და ვალუტის კოდი	შენიშვნა
1	2	3	4	5	6	7	8	9	10

(დეკლარანტის: – ორიდენტული პირის, დაწესებულების სრული დასახელება, მისამართი. წარმომადგენლის სახელი გვარი, პირადობის მოწმობის (პასპორტის) ნომერი, პირადი ნომერი მისამართი (მ.შ. წარმომადგენლის): (საკონტაქტო ტელეფონი)

აქტში მოცემული მონაცემების უტყუარობასა და სისრულეს ვადასტურებ:

პასუხისმგებელი პირი

სახელი, გვარი (ხელმოწერა) (თარიღი), (თვე) (წელი)

დამატებითი ფურცლების რაოდენობა:_____

აყვანილია საბაჟო კონტროლზე ა.ბ.	სახელი გვარი პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა

შენიშვნა: შევსების წესი იხ. მეორე გვერდზე

საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების დროებით დასაწყობებისა და განთავსების შენახვის აქტის შევსების წესი

1. აქტი იცსება ქართულ ენაზე, მონაცემები შეიტანება გარკვევით, არ დაიშვება მონაცემების წაშლა ან გადასწორება. იმ შემთხვევაში, თუ არ არის საკმარისი ადგილი მონაცემების შესატანად, განმცხადებელი აგრძელებს მონაცემების შეტანას დამატებით ფურცელზე, ამასთან, დამატებით ფურცლის შესაბამის გრაფაში უთითებს ამის შესახებ.

2. აქტის ერთი ფორმით შეიძლება განცხადებულ იქნეს მხოლოდ საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალებების ერთი პარტია.

3. აქტი ივსება 3 ეგზემპლარად და ნაწილდება შემდეგნაირად: ა) პირველი –საწყობს; ბ) მეორე - განმცხადებელს;

4. აქტს ენიჭება ნომერი, რომელიც შედგება 3 ნაწილისაგან, პირველი – ასახავს საწყობის უნიკალურ კოდს, მეორე – აქტის რიგით ნომერს, მესამე – აქტის შედგენის თარიღს (ორციფრა რიცხვების კომბინაცია, რომლითაც აისახება რიცხვი, თვე და წელი). ყოველი კალენდარული წლის 1 იანვრის მდგომარეობით აქტის რიგითი ნომრების ათვლა წარმოებს თავიდან.

5. ავტოსატრანსპორტო საშუალების (მისაბმელის) დასახელება და სარეგისტრაციო ნომერი: მიეთითება ტიპი (სატვირთო, მსუბუქი და სხვა), მარკის, მოდელის, სახელმწიფო სანომრე ნიშნების, VIN-სატრანსპორტო საშუალების საიდენტიფიკაციო ნომრის თაობაზე ინფორმაცია.

სხვა სატრანსპორტო საშუალების ტიპი, დასახელება: საიდენტიფიკაციო ნომერი: მიეთითება ტიპი (სარკინიგზო, საჰაერო, საზღვაო და ა.შ.). დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი (ვაგონის, ბორტის ნომერი და ა.შ.). მიმღების დასახელება: საქონლის მიმღების სრული საფირმო სახელწოდება, მისამართი; გადამზიდველის დასახელება: გადამზიდველის საფირმო სახელწოდება, მისამართი, ლიცენზიის ნომერი. აქტის 1-ელ გრაფაში ეთითება: ჩანაწერის რიგითი ნომერი (არაბული ციფრი); მე-2 გრაფაში - საწყობში საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების წარდგენის დრო და თარიღი; მე-3 გრაფაში – საქონლის დასახელება, საქონლის კოდი (სეს სნ არნაკლებ ოთხნიშნა) სატრანსპორტო დოკუმენტების მიხედვით ან სატრანსპორტო დოკუმენტების არარსებობისას საბაჟო დათვალიერების შედეგების საფუძველზე (ამ შემთხვევაში მიეთითება დათვალიერების აქტის ნომერი); მე-4 გრაფაში საქონლის სასაწყობე ნომერი შედგება 4 ნაწილისაგან, რომელიც ერთმანეთისგან გამოიყოფა ტირეთი, პირველი – შენობა-ნაგებობის ნომერს (ღია მოედნის შემთხვევაში მიეთითება 0), მეორე – სათავსის ნომერს (შენობა-ნაგებობაში ცალკე სათავსის არ არსებობისას მიეთითება 0), მესამე – კონტეინერის ნომერს ან საქონლის სასაწყობე ნომერს, მეოთხე – საბაჟო ლუქის ნომერს (არ არსებობისას მიეთითება 0); მე-5 გრაფაში – სატვირთო ადგილების რაოდენობა სატრანსპორტო დოკუმენტების მიხედვით ან საბაჟო დათვალიერების შედეგების საფუძველზე; მე-6 გრაფაში - საქონლის ბრუტო წონა (კგ.) ან საქონლის მოცულობა შესაბამის ერთეულებში სატრანსპორტო დოკუმენტების მიხედვით ან საბაჟო დათვალიერების შედეგების საფუძველზე; მე-7 გრაფაში - სატრანსპორტო, კომერციული დოკუმენტების სახეობა (დასახელება), ნომერი, ასლების ფურცლების რაოდენობა; მე-8 გრაფაში – ვადა მიეთითება მალფუჭებადი საქონლის დასაწყობებისას (ან ქონების ზოგიერთ კატეგორიას მიკუთვნებული საქონლის მიმართ დაწესებული შენახვის განსაკუთრებული რეჟიმის არსებობისას შესაბამის ორგანოში გადაცემამდე შენახვის ვადა); მე-9 გრაფაში – ფაქტურული ღირებულება სატრანსპორტო დოკუმენტების მიხედვით და ვალუტის კოდი; მე-10 გრაფაში შენიშვნა.

6. დეკლარანტის არსებობისას მის მიერ ივსება შესაბამისი რეკვიზიტების გრაფა, ხელმოწერით დასტურდება მონაცემების უტყუარობა.

7. დამატებითი ფურცლების რაოდენობა: მიეთითება არაბული ციფრებით.

8. აყვანილია საბაჟო კონტროლზე: დაესმება დამღა "აყვანილია საბაჟო კონტროლზე" და პირადნომრიანი ბეჭედი, მიეთითება სახელი გვარი და ხელმოწერა.

შენიშვნა: შევსებული აქტი ინახება 6 წლის განმავლობაში, შესაბამის დოკუმენტაციასთან ერთად.

დანართი №3

საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საწყობიდან გატანის აქტი

№

ავტოსატრანსპორტო საშუალების (მისაბმელის) დასახელება და სარეგისტრაციო ნომერი: _____

სხვა სატრანსპორტო საშუალების ტიპი, დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი: _____

მიმღების დასახელება: _____

გადამზიდველის დასახელება: _____

№	საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების დროებით დასაწყობებისა და განთავსების აქტი №	საწყობში განთავსებისას საბაჟო დოკუმენტის დასახელება და №	საქონლის დასახელება, საქონლის კოდი (ეს სნ არანაკლებ ოთხნიშნა)	საქონლის ბრუტო წონა (კგ.) ან საქონლის მოცულობა	სატრანსპორტო ან კომერციული დოკუმენტების სახეობა და ნომერი, ასლების ფურცლების რაოდენობა	დროებითი დასაწყობების ან საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის ვადა	ფაქტურული ღირებულება სატრანსპორტო დოკუმენტების მიხედვით და ვალუტის კოდი	საქონლის გატანისას საბაჟო დოკუმენტის დასახელება და №	შენიშვნა
1	2	3	4	5	6	7	8	9	10

(დეკლარანტის: – იურიდიული პირის, დაწესებულების სრული დასახელება, მისამართი. წარმომადგენლის სახელი გვარი, პირადობის მოწმობის (პასპორტის) ნომერი, პირადი ნომერი მისამართი (მ.შ. წარმომადგენლის): (საკონტაქტო ტელეფონი)

აქტში მოცემული მონაცემების უტყუარობასა და სისრულეს ვადასტურებ:

პასუხისმგებელი პირი

სახელი, გვარი (ხელმოწერა) (თარიღი), (თვე) (წელი)

დამატებითი ფურცლების რაოდენობა:_____

მოხსნილია საბაჟო კონტროლიდან ა.ბ.	სახელი გვარი პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა

შენიშვნა: შეკრებული აქტი ინახება 6 წლის განმავლობაში, შესაბამის დოკუმენტაციასთან ერთად.

დანართი №4
(23.04.2007 №409)

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს
შემოსავლების სამსახური



საბაჟო საწყობის (ღია ან დახურული) საქმიანობის
სანებართვო მოწმობა №000000

სანებართვო მოწმობის მფლობელი _____

(საწარმოს სრული დასახელება, მისამართი, სარეგისტრაციო მონაცემები)

_____

საწყობის ადგილმდებარეობა და ფართობი _____

_____

(ნებართვის მფლობელის იურიდიული მისამართი; საწყობის მისამართი; საბაჟო ორგანოს დასახელება, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მდებარეობს საწყობი; შენობა-ნაგებობებისა და ღია მოედნების ფართობი)

საწყობის ტიპი _____

სანებართვო მოწმობა გაცემულია საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარის
200..... წლის ..... ის №№ ბრძანების საფუძველზე.

გაცემის თარიღი ..... 200 წ.

მოქმედების ვადა ..... 200 წ.

საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარე _____
ხელმოწერა ბ.ა.

_____

დამამზადებელი: დამკვეთი სფს სფს რეგისტრაციის №№

დანართი N5
(23.04.2007 N409)

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს
საბაჟო დეპარტამენტი



დროებითი შენახვის (ღია ან დახურული) საწყობის საქმიანობის სანებართვო მოწმობა №000000

სანებართვო მოწმობის მფლობელი _____

(საწარმოს სრული დასახელება, მისამართი, სარეგისტრაციო მონაცემები)

_____

საწყობის ადგილმდებარეობა და ფართობი _____

_____

_____

(ნებართვის მფლობელის იურიდიული მისამართი; დროებითი შენახვის საწყობის მისამართი; საბაჟო ორგანოს დასახელება, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მდებარეობს დროებითი შენახვის საწყობი; შენობა-ნაგებობებისა და ღია მოედნების ფართობი)

სანებართვო მოწმობა გაცემულია საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარის
200..... წლის .... ის № ბრძანების საფუძველზე.

გაცემის თარიღი ..... 200 წ.

მოქმედების ვადა ..... 200 წ.

საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარე _____

ხელმოწერა ბ.ა.

დამამზადებელი: დამკვეთი სფს სფს რეგისტრაციის №

საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ერთობლივი ბრძანება №1778–1497

2006 წლის 20 დეკემბერი

საბაჟო კონტროლის ზონაში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალისტების დაშვების და იმპორტის საბაჟო რეჟიმით შემოტანილი სატრანსპორტო საშუალებების დათვალიერებისა და მათი რეკვიზიტების შემოწმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბაჟო კოდექსის მე-20 მუხლის მე-5 ნაწილის, 78-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „საქართველოს ტერიტორიაზე სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო გაფორმების, საგადასახადო ვალდებულების შესრულე-ბისა და საჯალ-დებულო რეგისტრაციის გამარტივების ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 8 მარტის N125 ბრძანებულების მე-4 პუნქტის შესაბამისად, ებრძანებთ:

1. დამტკიცდეს „საბაჟო კონტროლის ზონაში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო და საგადასახადო ორგანოების, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სატრანსპორტო საშუალებების სარეგისტრაციო ორგანოების შეთანხმებული და კოორდინირებული თანამშრომლობის შესახებ" თანდართული ინსტრუქ-ცია.
2. ამ ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საბაჟო კონტროლის ზონაში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო და საგადა-სახადო ორგანოების, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სატრანსპორტო საშუალებების სარეგისტრაციო ორგანოების შეთანხმებული და კოორდინირებული თანამშრომლობის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 30-26 აგვისტოს N823-N876 ერთობლიეი ბრძანება.
3. ბრძანება ამოქმედდეს 2007 წლის 1 იანვრიდან.

ა. ალექსიშვილი
ი. მერაბიშვილი

ინსტრუქცია
საბაჟო კონტროლის ზონაში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალისტების დაშვების და იმპორტის საბაჟო რეჟიმით შემოტანილი სატრანსპორტო საშუალებების დათვალიერებისა და მათი რეკვიზიტების შემოწმების შესახებ

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1

1. ეს ინსტრუქცია განსაზღვრავს საბაჟო კონტროლის ზონაში სატ-რანს-პორტო საშუალებების მიმართ საბაჟო რეჟიმის გამოყენებასთან, საბაჟო ვალ-დებულებების შეს-რულებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, აგრეთვე საქარ-თველოს შინაგან საქმეთა და ფინანსთა სამინისტროების შესაბამისი ორგანოების, ფიზიური და იურიდიული პი-რების უფლება-მოვალეობებს, საბაჟო, საგადასახადო აღრიცხვის (რეგისტრაციის) ფორმისა და სარეგისტრაციო დოკუმენტების შევსების წესებსა და მათი წარდგენის თავისებურებებს.
2. ამ ინსტრუქციის მიზანია ხელი შეუწყოს ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო რეჟიმის გამოყენების, საჯალდებულო რეგისტრა-

ციისა და საგადასახადო ვალდებულებათა შესრულების პროცედურების გამარტივებას, აგრეთვე საქართველოს შინაგან საქმეთა და ფინანსთა სამინისტროების შესაბამისი ორგანოების შეთანხმებულ და კოორდინირებულ თანამშრომლობას.

მუხლი 2.

ამ ინსტრუქციის მიზნებისათვის გამოყენებულ ტერმინებსა და ცნებებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) საბაჟო კონტროლის ზონა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქ. თბილისის მთავარ სამმართველოსთან, აჭარის სამმართველოსთან და სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სამმართველოს მე-3 სახაზო განყოფილებაში (ქ. ფოთი) განთავსებული საბაჟო ორგანოების საბაჟო დამუშავების ოპერაციის განმახორციელებელი ჯგუფების განლაგების ადგილი.

ბ) საბაჟო ორგანო - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ტერიტორიული ორგანოების სტრუქტურული ქვედანაყოფები, რომელთა ფუნქცია არის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი სატრანსპორტო საშუალებების მიმართ საბაჟო რეჟიმის გამოყენებასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელება. (15.05.2007 N 499-701)

გ) საგადასახადო ორგანო – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანებით შექმნილი და შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილი სპეციალისტების ჯგუფი, რომელიც განთავსებულია საბაჟო კონტროლის ზონაში. (15.05.2007 N 499-701)

დ) სარეგისტრაციო ორგანო – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს, აჭარის სამმართველოსა და სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სამმართველოს მე-3 სახაზო განყოფილების (ქ. ფოთი) სატრანსპორტო საშუალებების სარეგისტრაციო ჯგუფი.

ე) დეკლარანტი – სატრანსპორტო საშუალების მიმართ უფლებამოსილი პირი (მესაკუთრე) ან მისი წარმომადგენელი, რომელიც პირის მიერ გაცემული ერთჯერადი ან გენერალური მინდობილობის, აგრეთვე ხელშეკრულების ან მისი შემცვლელი დოკუმენტის საფუძველზე კისრულობს საბაჟო ორგანოში საბაჟო დეკლარაციის წარდგენის, საბაჟო პროცედურების განხორციელების ან/და საბაჟო ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების ვალდებულებას.

ვ) საბანკო საქმიანობა – საბაჟო კონტროლის ზონაში შექმნილი საბანკო დაწესებულებების მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განხორციელებული საბანკო ოპერაციები;

ზ) დაწესებულებები – საქართველოს ფინანსთა სმინისტრო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;

თ) ერთი ფანჯრის პრინციპი – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო და საგადასახადო ორგანოების, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სატრანსპორტო საშუალებების სარეგისტრაციო ორგანოების შეთანხმებული და კოორდინირებული საქმიანობა (ტერიტორიული თვალსაზრისით ერთ ადგილას განთავსებული საბაჟო კონტროლის ზონა, საბაჟო, საგადასახადო და სარეგისტრაციო ორგანოები, საბროკერო, საექსპერტიზო და საბანკო საქმიანობის განმახორციელებელი დაწესებულებები);

ი) სატრანსპორტო საშუალება – საგარეო ეკონომიური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) 8702, 8703, 8704, 8705, 8711 (გარდა 871110000 კოდით კლასიფიცირებული საქონლისა) და 8716 კოდებით აღწერილი და კლასიფიცირებული საქონელი.

მუხლი 3.

საქართველოში თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების (იმპორტის) საბაჟო რეჟიმში შემოყვანილი იმ სატრანსპორტო საშუალების დათვალიერება და მისი რეკვიზიტების (საიდენტიფიკაციო მარკირების, ნომრის) შემოწმება, რომლის რეგისტრაციას ახორციელებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სატრანსპორტო საშუალებათა სარეგისტრაციო სამსახური, დასაშვებია განხორციელდეს ამავე დაწესებულების სპეციალისტების მონაწილეობით, მხოლოდ საბაჟო კონტროლის ზონად განსაზღვრულ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სტრუქტურულ დანაყოფებთან (სამმართველოები, სახაზო განყოფილებები) განთავსებული საბაჟო ორგანოების მიერ საბაჟო პროცედურების განხორციელების ადგილებში.

მუხლი 4.

სატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც მოექცნენ თავისუფალ მიმოქცე-ვაში გაშვების (იმპორტის) საბაჟო რეჟიმში, სატრანსპორტო საშუალების მფლობელის სურვილისამებრ, სარეგისტრაციო ორგანოების მიერ რეგისტრა-ციაში ტარდებიან საბაჟო რეჟიმში მოქცევიდან ერთი თვის ვადაში ან საბაჟო რეჟიმში მოქცევისთანავე ამ ინსტრუქციით გათვალისწინებულ საბაჟო კონტროლის ზონებში, ერთი ფანჯრის პრინციპით.

თავი II. სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო რეჟიმში მოქცევა, საგადასახადო ვალდებულებების შესრულება და სავალდებულო რეგისტრაცია ერთი ფანჯრის პრინციპით

მუხლი 5.

1. სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო რეჟიმში მოქცევას, საბაჟო ვალდებულებების შესრულებას და სავალდებულო რეგისტრაციას ერთი ფანჯრის პრინციპით ქვეყნის მასშტაბით ახორციელებენ საბაჟო კონტროლის ზონაში მოქმედი საბაჟო, საგადასახადო და სარეგისტრაციო ორგანოები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში.

2. გადასახადის გადამხდელი ფიზიკური პირები, რომლებიც არ იმყოფებიან საგადასახადო აღრიცხვაზე (რეგისტრაციაზე) და რომელთა სატრანსპორტო საშუალებები ექცევიან თავისუფალი მიმოქცევაში გაშვების (იმპორტის) რეჟიმში, ექვემდებარებიან საგადასახადო აღრიცხვაზე (რეგისტრაციაზე) აყვანას დადგენილი წესის შესაბამისად. ამასთან, აღნიშნული კატეგორიის პირები საგადასახადო აღრიცხვაზე (რეგისტრაციაზე) აყვანას ექვემდებარებიან მოცემულ წესზე თანდართული საგადასახადო აღრიცხვის (რეგისტრაციის) გამარტივებული ფორმით (დანართი N1).

თავი III. საბაჟო, საგადასახადო, სარეგისტრაციო ორგანოებისა და მოქალაქეთა უფლება-მოვალეობები სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო რეჟიმში მოქცევისას საბაჟო ვალდებულებების შესრულებისა და სავალდებულო რეგისტრაციის განხორციელებისას ერთი ფანჯრის პრინციპით

მუხლი 6.

1. სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო რეჟიმში მოქცევა, როგორც წესი, წარმოებს საქართველოს სახელმწიფო ენაზე, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად, სხვა ენაზეც.

2. სატრანსპორტო საშუალებების მიმართ უფლებამოსილ პირებსა ან/და მათ წარმომადგენლებს უფლება აქვთ, საბაჟო ორგანოს მოთხოვნით კი - ვალდებულნი არიან დაესწრონ საბაჟო რეჟიმში მოქცევის პროცედურას.

3. სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო რეჟიმში მოქცევასთან დაკავშირე-ბუ-ლი სატვირთო და სხვა ოპერაციები ხორციელდება მესაკუთრის ხარჯით.

მუხლი 7.

დაუშვებელია სატრანსპორტო საშუალებების გამოყენება ან/და განკარ-გვა საბაჟო რეჟიმში მოქცევის დაწყებიდან საბაჟო რეჟიმში მოქცევის დამთავრებამდე, გარდა კანონმდებ-ლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 8.

1. დეკლარანტი ვალდებულია, საბაჟო კონტროლის ზონაში წარ-დგენილი სატრანსპორ-ტო საშუალებების საბაჟო რეჟიმში მოსაქცევად მოახდინოს მათი დეკლარირება.

2. საბაჟო დეკლარაციის წარდგენა ხდება საქართველოს საბაჟო კოდექსის 65-ე-69-ე მუხლებით დადგენილი დებულებების შესაბამისად.

3. დეკლარირება ხდება დადგენილი ფორმის მიხედვით, რომელიც შეიცავს ზუსტ ცნო-ბებს სატრანსპორტო საშუალებების, მათი საბაჟო რეჟიმის შესახებ და საბაჟო მიზნები-სათვის საჭირო სხვა ცნობებს.

4. დეკლარანტი ასრულებს ამ ინსტრუქციით და მოქმედი კანონმდებლობით გათვალის-წინებულ მოვალეობებს და მას ეკისრება პასუხისმგებლობა ამ მოვალეობების შეუსრულებ-ლობისათვის.

მუხლი 9.

1. სატრანსპორტო საშუალებების დეკლარირების დროს დეკლარანტი ვალდებულია:

ა) მოახდინოს სატრანსპორტო საშუალებების დეკლარირება საქართვე-ლოს საბაჟო კოდექსით გათვალისწინებული წესის მიხედვით;

ბ) საბაჟო ორგანოს მოთხოვნით წარადგინოს საჭირო საბუთები და ცნობები;

გ) უზრუნველყოს საბაჟო გადასახდელების გადახდა;

დ) ხელი შეუწყოს საბაჟო ორგანოებს საბაჟო რეჟიმის გამოყე-ნებაში, მათ შორის საჭირო სატვირთო და სხვა ოპერაციების შესრულების გზით.

2. სატრანსპორტო საშუალებების რეგისტრაციისას ფიზიკური და იურიდიული პირები ვალდებულნი არიან სარეგისტრაციო ორგანოებს წარუდგინონ:

ა) ცნობა საგადასახადო აღრიცხვის (რეგისტრაციის), საგადასახადო ვალდებულების შესრულების ან საგადასახადო ვალდებულების არარსებობის შესახებ;

ბ) საბაჟო დეკლარაცია;

გ) სატრანსპორტო საშუალებების კუთვნილების დამადასტურებელი დოკუმენტები;

დ) სატრანსპორტო საშუალებების დათვალიერების ჩატარების თაობაზე სარეგისტრაციო ორგანოების უფლებამოსილი პირების მიერ შევსებული დათვალიერების აქტი ("სატრან-სპორტო საშუალებების, მათი მისაბმელებისა, ნომრიანი აგრეგატებისა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სავალდებულო რეგისტრაციის წესების შესახებ ინსტრუქციის დამ-ტკიცების თაობაზე" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2006 წლის 27 მარტის N401 ბრძანებით დამტკიცებული N2 დანართი).

ე) ერთობლივი განცხადება ("სატრანსპორტო საშუალებების, მათი მისაბმელებისა, ნომრიანი აგრეგატებისა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სავალდებულო რეგისტრაციის წესების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2006 წლის 27 მარტის N401 ბრძანებით დამტკიცებული N1 დანართი) სატრანსპორტო საშუალებების გასხვისების შემთხვევაში.

ვ) სარეგისტრაციო მოსაკრებლების გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

მუხლი 10.

მოქალაქეთა მიერ შესასრულებელი ვალდებულებების, ასევე წარმოსად-გენი დოკუმენტების ან შესავსები ბლანკების ნიმუშების თაობაზე ფიზიკური და იურიდიული პირების ინფორმირების მიზნით, ერთი ფანჯრის პრინციპის უზრუნველსაყოფად იქმნება საინფორმაციო დაფები და მაგიდები.

მუხლი 11.

1. დეკლარანტმა საბაჟო ორგანოს დეკლარაციასთან ერთად უნდა წარუდგინოს საბაჟო რეჟიმის გამოყენებისათვის საჭირო საბუთები, მათი ელექტრო-ნული ასლები (ელექტრონული საბუთები), ელექტრონული პასპორტი და სხვა დოკუმენტები.

2. წარმოდგენილ საბაჟო დეკლარაციას იღებს საბაჟო ორგანო და ახდენს მის რეგისტრაციას დადგენილი წესით.

3. საბაჟო ორგანოს ნებართვით შეიძლება საბაჟო დეკლარაციაში აღნიშნული მონაცემების შეცვლა, შევსება ან წარდგენილი საბაჟო დეკლარაციის გამოთხოვა.

4. საბაჟო დეკლარაციის მონაცემების შეცვლა, შევსება ან გამოთხოვა შეიძლება მხოლოდ:

ა) საბაჟო დეკლარაციის შემოწმების დაწყებამდე;

ბ) სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო დათვალიერებამდე და/ან საბაჟო შემოწმებამდე;

გ) საბაჟო ორგანოს მიერ საბაჟო დეკლარაციაში აღნიშნული მონაცემების უტყუარობის დადგენამდე.

5. დეკლარანტის თხოვნით და სათანადო დოკუმენტების წარდგენის შემთხვევაში, დასაშვებია საბაჟო ორგანოს მიერ საბაჟო დეკლარაციის შევსება.

მუხლი 12.

1. საბაჟო დეკლარაციის მიღებისა და საბაჟო ორგანოების მიერ მისი შემოწმების შემდეგ ხორციელდება საქართველოს საბაჟო კოდექსით გათვალისწინებული საბაჟო რეჟიმში მოქცევის პროცედურები.

2. სატრანსპორტო საშუალებების დათვალიერებაში მონაწილეობას ღებულობენ სარეგისტრაციო ორგანოების უფლებამოსილი პირები, რის თაობაზეც ავსებენ დათვალიერების აქტს, რომელსაც გადასცემენ დეკლარანტს სატრანსპორტო საშუალებების რეგისტრაციისათვის წარსადგენად.

3. სატრანსპორტო საშუალებების დათვალიერებისა და შემოწმების დროს საბაჟო ორგანოები ამოწმებენ სატრანსპორტო საშუალებების დასახელების, წარმოშობის, მდგომარეობის, ღირებულების შესაბამისობას წარმოდგენილი დეკლარაციის მონაცემებთან, ხოლო სარეგისტრაციო ორგანოები – სატრანსპორტო საშუალებების საქარხნო ნომრების შედარებას დეკლარაციაში მითითებულ მონაცემებთან.

4. შემოწმების დროს აღმოჩენილი საეჭვო გარემოებების შემთხვევაში, საბაჟო და სარეგისტრაციო ორგანოებს შეუძლიათ მოითხოვონ გამოკვლევის (ექსპერტიზის) ჩატარება.

მუხლი 13.

1. საბაჟო დამუშავების ოპერაციის დამთავრების შემდგომ საბაჟო ორგანოების მიერ დარეგისტრირებული საბაჟო დეკლარაცია, დათვალიერების აქტი, ხოლო სატრანსპორტო საშუალების გასხვისების შემთხვევაში ერთობლივი განცხადება და საგასახადო ორგანოების მიერ გაცემული ცნობა იყრიბება და დეკლარანტის მიერ გადაეცემა სარეგისტრაციო ორგანოებს.

2. სარეგისტრაციო ორგანოები სატრანსპორტო საშუალებების რეგისტრაციას და მათზე სახელმწიფო სანომრე ნიშნების გაცემას ახდენენ მხოლოდ სარეგისტრაციო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენის შემდგომ.

მუხლი 14.

1. საგადასახადო ორგანო მისი განთავსების ადგილის მიხედვით ახდენს:

ა) სატრანსპორტო საშუალების გამყიდველი ან უსასყიდლოდ მიმღები ფიზიკური პირის საგადასახადო აღრიცხვაზე აყვანას, თუ ის გადასახადის გადამხდელად რეგისტრირებული არ არის. ამასთან, აღნიშნული კატეგორიის პირები საგადასახადო აღრიცხვაზე (რეგისტრაციაზე) აყვანას ექვემდებარებიან ამ ინსტრუქციაზე თანდართული საგადასახადო აღრიცხვის (რეგისტრაციის) გამარტივებული ფორმით (დანართი N1);

ბ) შესაბამისი პირების საგადასახადო დეკლარაციების (განცხადების) ბლანკებით უზრუნველყოფას და მათთვის მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულებების შესრულების წესის და ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების გაცნობას (ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდები მიეთითება საგადასახადო დეკლარაციების ბლანკებზე);

გ) შეევსებული დეკლარაციების (განცხადების) მიღებას, დეკლარირე-ბული საგადასახადო ვალდებულებების შესრულების მდგომარეობის დადგენას და შესაბამის პირებზე საქართველოს საგადასახადო კოდექსის 217-ე და 275-ე მუხლებით გათვალისწინებული ცნობების გაცემას;

დ) გადამხდელებიდან მიღებული დეკლარაციების (განცხადების) და გაცემული ცნობების რეესტრის წარმოებას და ანგარიშგებას შემოსავლების სამსახურის მიერ დადგენილი წესით. (15.05.2007 N 499-701)

2. პირები ვალდებულნი არიან დამოუკიდებლად უზრუნველყონ საგა-დასახადო დეკლარაციების (განცხადების) შევსება. საგადასახადო ორგანოს მოვალეობაში არ შედის გადამხდელის საგადასახადო დეკლარაციების ბლანკების შევსება. ამასთან, საგადასახადო ორგანო ვალდებულია დასაბეგრი ოპერაციის მიხედვით კონსულტაცია გაუწიოს გადამხდელს.

3. საგადასახადო ორგანოს მიერ ზემოაღნიშნული ფუნქციების შესრულების მიზნით შემოსავლების სამსახური უზრუნველყოფს: (15.05.2007 N 499-701)

ა) საგადასახადო ორგანოსათვის ტერიტორიული ერთეულების მიხედვით გადასახადის გადამხდელებისათვის მისანიჭებლად შესაბამისი საიდენტიფიკაციო ნომრების ველის გამოყოფას;

ბ) საგადასახადო ორგანოს ინფორმაციულ უზრუნველყოფას გადამხდელთა საგადასახადო ვალდებულებათა შესრულების მდგომარეობის დასადგენად;

გ) საგადასახადო ორგანოს სათანადო კვალიფიკაციის სპეციალისტებით დაკომპლექტებას და მათ მეთოდოლოგიურ უზრუნველყოფას;

დ) საგადასახადო ორგანოს მიერ გადამხდელებისათვის საიდენტიფიკაციო ნომრების მინიჭების, მიღებული დეკლარაციების (განცხადების) და გადახდილი გადასახადების შესახებ შესაბამისი ტერიტორიული საგადასახადო ინსპექციების ინფორმირების მექანიზმების შემუშავებას.

ფიზიკური პირის, რომლის სატრანსპორტო საშუალება ექცევა თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების (იმპორტის) საბაჟო რეჟიმში, საგადასახადო აღრიცხვის (რეგისტრაციის)

ფ ო რ მ ა

I. განაცხადის სახე

1. პირველადი საგადასახადო აღრიცხვა (რეგისტრაცია) _____ _____
(დიახ) (არა)

2. ცვლილება

_____ _____
(დიახ) (არა)

საიდენტიფიკაციო ნომერი

საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭების თარიღი

ს/ნ-ის მიმნიჭებელი საგადასახადო ინსპექცია _____ _____

II. ინფორმაცია გადამხდელის შესახებ

3. გადამხდელის (ფიზიკური პირის) სახელი, გვარი ----------

საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ნომერი, ----------
პირადი ნომერი _____

4. გადასახადის გადამხდელი ფიზიკური პირის საცხოვრებელი ადგილის მისამართი

(ქალაქი, რაიონი, სოფელი, ქუჩა)

საფოსტო ინდექსი

III. ინფორმაცია გადასახადის გადამხდელის მომსახურე ბანკ(ებ)ის და გახსნილი ანგარიშ(ებ)ის შესახებ

5. ინფორმაცია გახსნილი საბანკო ანგარიშების შესახებ

მომსახურე ბანკ(ებ)ის სრული დასახელება _____

ბანკის საიდენტიფიკაციო ნომერი (ები)

ბანკ(ებ)ის კოდ(ებ)ი

საბანკო ანგარიშის ნომერი (ები)

მ.შ. უცხოურ ვალუტაში

IV. დამატებითი ინფორმაცია გადასახადის გადამხდელის შესახებ

6. გადამხდელის საკონტაქტო მონაცემები

ტელეფონი	
ვებ-გვერდი	
ელ-ფოსტა	

7. მარეგისტრირებელი ორგანოს

დასახელება _____

რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა _____

(რიცხვი, თვე, წელი)

გადამხდელის ხელმოწერა _____

(რიცხვი, თვე, წელი)

შენიშვნა: სარეგისტრაციო ინფორმაციაში ცვლილებების განხორციელებისას გადამხდელი - ფიზიკური პირი ვალდებულია ცვლილებების განხორციელებიდან არა უგვიანეს 10 დღისა, შესაბამისი ცვლილებები შეიტანოს საკუთარ საგადასახადო სარეგისტრაციო მონაცემებში.

დეკლარანტი _____

(სახელი, გვარი, ხელმოწერა, ბეჭედი (არსებობის შემთხვევაში)

საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირი _____

(სახელი, გვარი, ხელმოწერა, ბეჭედი)

შენიშვნა: გადახდის თარიღის გრაფაში იწერება საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის მომდევნო თვის (თვეების) არაუგვიანეს 15 რიცხვი.